

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი
განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ნათელა მელიქიძე

ასპინძის მუნიციპალიტეტის ანთროპონიმთა
სტრუქტურა და სემანტიკა

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სადოქტორო პროგრამა

სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია ფილოლოგიის დოქტორის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მერაბ ბერიძე, ფილოლოგიის
მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ახალციხე

2018

შ ი ნ ა ა რ ს ი

წინასიტყვაობა -----	გვ. 4
შესავალი -----	გვ. 9
<i>I თავი:</i> ასპინძის მუნიციპალიტეტის ანთროპონიმები ისტორიული წყაროების მიხედვით -----	
1.1. ადამიანთა სახელდებისათვის -----	გვ. 17
1.2. გვარი საქართველოში. თეორიები გვარის წარმოშობის შესახებ -----	გვ. 28
1.3. „მესხური დავითნის მატთან“, „ამილახორთა და კოპასძეთა მოსახსენებელი“, „მცხეთის საბუთები“ -----	გვ. 33
1.4. „თოფქაფის სასახლის არქივის“ მასალები -----	გვ. 37
1.5. „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“ -----	გვ. 42
1.6. ანთროპონიმთა სტრუქტურული და სემანტიკური ჯგუფები ისტორიული წყაროების მიხედვით -----	გვ. 98
<i>II თავი:</i> ასპინძის მუნიციპალიტეტში გავრცელებული მეტსახელები -----	
2.1. მეტსახელთა მოტივაცია -----	გვ. 104
2.2. ასპინძის მუნიციპალიტეტის მეტსახელთა სემანტიკური ჯგუფები ---	გვ. 109
2.2.1. გარეგნულ მახასიათებლებზე დამყარებული მეტსახელები -----	გვ. 109
2.2.1.1. სიმსუქნე-სიგამხდრის, სიმაღლე-სიდაბლის მიმანიშნებელი მეტსახელები -----	გვ. 109
2.2.1.2. პირისახის მოყვანილობისა და თვალის ფერის მიმანიშნებელი მეტსახელები -----	გვ. 112
2.2.1.3. თმისა და სახის კანის ფერის მიხედვით შერქმეული მეტსახელები -----	გვ. 113
2.2.1.4. ფიზიკური ნაკლის გამომხატველი მეტსახელები -----	გვ. 115
2.2.2. მსგავსების გამომხატველი მეტსახელები -----	გვ. 115
2.2.2.1. სხვა პიროვნებასთან მსგავსების გამო შერქმეული მეტსახელები ---	გვ. 115
2.2.2.2. ლიტერატურულ პერსონაჟთან ან კინოფილმის გმირთან მსგავსების გამო შერქმეული მეტსახელები -----	გვ. 115
2.2.3. შინაგანი ბუნების გამომხატველი მეტსახელები -----	გვ. 116
2.2.4. ბავშვობისდროინდელი მეტსახელები -----	გვ. 123
2.2.5. მეტყველებასთან დაკავშირებული მეტსახელები -----	გვ. 124
2.2.5.1. მეტყველების მანერის მიხედვით შერქმეული მეტსახელები -----	გვ. 124
2.2.5.2. ამოჩემებული სიტყვისა და ფრაზის გამო შერქმეული	

მეტსახელები -----	გვ. 125
2.3. ასპინძის მუნიციპალიტეტის მეტსახელთა სტრუქტურული ანალიზი -----	გვ.126
2.4. ეპითეტური სახელები -----	გვ.130
2.5. კვაზიონიმები -----	გვ. 132
<i>III თავი: მაჰმადიანი მოსახლეობის გვარსახელები (XIX-XX სს.)</i> -----	გვ. 135
3.1. „გვაქვს სიყვარული ჩვენი სამშობლოსი“ -----	გვ. 135
3.2. „თურქი მესხების“ იარლიყით ცასა და დედამიწას შორის გამოკიდებულნი“ -----	გვ.137
3.3. ქართველ მაჰმადიანთა გაუცხოება -----	გვ. 139
3.4. „ჩუმი ქრისტიანობის ხანა“ -----	გვ. 152
3.5. რელიგიური დაპირისპირება -----	გვ. 157
3.6. 1944 წლის შემოდგომა -----	გვ. 165
3.7. გამაჰმადიანებულ წარჩინებულთა გვარები -----	გვ. 169
3.8. გვარები, რომლებიც ასპინძის მუნიციპალიტეტში აღარ გვხვდება ----	გვ. 184
3.9. მეტსახელიდან მომდინარე გამაჰმადიანებულთა გვარები -----	გვ. 196
3.10. ქრისტიანთა და მაჰმადიანთა საერთო გვარები -----	გვ. 204
<i>IV თავი: გვარის განაყოფთა სახელები ასპინძის მუნიციპალიტეტში</i> -----	გვ. 209
4.1. გვარის განაყოფთა სახელები -----	გვ. 209
4.2. გვარის განაყოფთა სახელების წარმოება -----	გვ. 222
4.3. ასპინძის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ზედგინიძეთა შტოგვარები ---	გვ. 226
ძირითადი დასკვნები -----	გვ. 232
დამოწმებული ლიტერატურა -----	გვ. 238
ინფორმაცორთა ტექსტები -----	გვ.249

წინასიტყვაობა

თემის აქტუალობა: ანთროპონიმთა შესწავლა მნიშვნელოვანი საქმეა. საუკუნეები ერთმანეთს ცვლიან და იცვლება ადამიანთა გემოვნება, დამოკიდებულება ანთროპონიმებისადმი. ისტორიის ერთ მონაკვეთში თუ გარკვეული სახელები მოსწონთ და კეთილხმოვნად ეჩვენებათ, შემდეგ ისინი დავიწყებას ეძლევა და სხვა სახელები „ამოტივტივდებიან“. ამ მხრივ არც ასპინძის მუნიციპალიტეტის ანთროპონიმთა გამორჩეული, რადგან ისტორიული და თანამედროვე ვითარება განსხვავებულ სურათს იძლევა.

სამცხე-ჯავახეთის ანთროპონიმული მონაცემები გაანალიზებულია ქართველ მეცნიერთა ცალკეულ ნაშრომებში (გრ.ბერიძე, ი.მაისურაძე, ს.ჯიქია, მ.ბერიძე, ს.მელიქიძე, მ.ქუჭიშვილი, ლ.კობაიძე...), მიუხედავად ამისა, ასპინძის მუნიციპალიტეტის ანთროპონიმთა მონოგრაფიულად არ ყოფილა შესწავლილი, ცალკეული საკითხების გარდა არ დამუშავებულა. მითუმეტეს, არ გვქონია სტრუქტურული და სემანტიკური ანალიზი.

ასპინძის მუნიციპალიტეტში ანთროპონიმთა რამდენიმე დიალექტური შრე გამოიყოფა, რაც განპირობებულია 1944 წლის შემდეგ მოსახლეობის შიდა მიგრაციით. საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ასპინძის მუნიციპალიტეტში ჩამოსახლდნენ იმერლები, აჭარლები და მთიულეები, რომლებმაც საკუთარი დიალექტი და ანთროპონიმთა ჩამოიტანეს, ადგილზე კი დახვდათ სამცხურსა და ჯავახურ დიალექტზე მეტყველი მოსახლეობა. ჩვენი თემის აქტუალობა იმაში მდგომარეობს, რომ გაირკვეს: შეიქმნა ანთროპონიმული კონგლომერატი თუ ჩამოყალიბდა კუნძულური ანთროპონიმთა.

სადისერტაციო თემის მიზანი: სადისერტაციო ნაშრომი წარმოადგენს ცდას, სემანტიკური და სტრუქტურული ანალიზის საფუძველზე წარმოვაჩინოთ ასპინძის მუნიციპალიტეტის პირსახელები და გვარსახელები ისტორიული წყაროების მიხედვით. თემის მიზანია, შევადაროთ ისტორიული მონაცემები თანამედროვე მდგომარეობას და ამის საფუძველზე დავადგინოთ ანთროპონიმების სახეცვლილებანი და ზოგადი კანონზომიერებები; გამოვკვეთოთ: ასპინძის მუნიციპალიტეტში გავრცელებული მეტსახელების მოტივაცია, მათი სემანტიკური ჯგუფები, მეტსახელთა ფუნქცია და სტრუქტურული კლასიფიკაცია; ეპითეტიანი სახელები; კვაზონიმები. ასევე მიზნად ვისახავთ, ინფორმაცია ტექსტების, არქივისა და დეპორტირებული მოსახლეობის მოგონებების, წიგნების, წერილების მიხედვით გამოვარკვიოთ XIX-XX საუკუნეების გამაჰმადიანებული მესხების გვარსახელები, რომელთა დიდი ნაწილი ასპინძის მუნიციპალიტეტში აღარ გვხვდება. ვფიქრობთ, საშური საქმეა,

წარმოვადგინოთ ასპინძის მუნიციპალიტეტის მცხოვრებთა შტოგვარების სემანტიკური მხარე და წარმოების თავისებურებანი.

სადისერტაციო ნაშრომის სიახლე: მოცემულია ისტორიული და თანამედროვე ანთროპონიმების ენათმეცნიერული ანალიზი ასპინძის მუნიციპალიტეტის მიხედვით. აღწერილია და დახარისხებულია მეტსახელები მოტივაციისა და წარმოების მიხედვით, გაანალიზებულია მეტსახელთა მაწარმოებლები. განხილულია ეპითეტური სახელები. დახასიათებულია კვაზიონიმები, როგორც „სახელდების ფუნქციით დატვირთული“ სიტყვები და შესიტყვებები.

ძალიან მგრძობიარეა სამცხე-ჯავახეთიდან დეპორტირებულთა საკითხი, მათი წამომავლობისა და ფესვების დადგენა არა მარტო მეცნიერებისათვის არის აქტუალური, თითოეული მათი შთამომავლისთვისაც საგულისხმო საქმეა. ნაშრომის სიახლე არის ისიც, რომ აქამდე დეპორტირებულთა გვარების სემანტიკურ-სტრუქტურული ანალიზი არ გვექონია, გარდა ცალკეული შემთხვევისა (მბერიძე), გვექონდა მხოლოდ აღწერა სოფლების მიხედვით. აღმოჩნდა, რომ დღეს ასპინძის მუნიციპალიტეტში გამქრალია 100 გვარზე მეტი, რომელთა მატარებელი მაჰმადიანი მოსახლეობა იყო. გადასახლებისას მათ თან წაიყოლეს მემკვიდრეობითი სახელები. დეპორტირებულთა გვარსახელებმა ჩვენ თვალწინ გააცოცლეს მეტსახელები, გეოგრაფიული სახელები, ეპონიმები, რომლებმაც გვარის ჩამოყალიბებაში გადამწყვეტი როლი ითამაშა.

ნაშრომის პრაქტიკული ღირებულება: სადისერტაციო ნაშრომში გამოთქმული მოსაზრებანი, ვფიქრობთ, გარკვეულ სამსახურს გაუწევს როგორც ანთროპონიმის საკითხების მკვლევარებს, ონომასტიკოსებს, ენათმეცნიერებს, დიალექტოლოგებს, ისე ისტორიკოსებს, ეთნოლოგებს. ასპინძის მუნიციპალიტეტიდან დეპორტირებულთა გვარსახელების კვლევა დააინტერესებს გასახლებულთა შთამომავლებსა და საკითხით დაინტერესებულ საზოგადოებას. გარდა ამისა, ჩვენი ჩაწერილი, ინფორმატორთა სიზუსტით გადმოცემული ტექსტები საყურადღებოა ენობრივი, ფოლკლორული, ეთნოლოგიური და ისტორიული თვალსაზრისით.

კვლევის მეთოდები: საკითხის შესწავლისას გამოყენებულია აღწერითი და ისტორიულ-შედარებითი მეთოდები, შედარება-შეპირისპირების მეთოდი, ველზე მუშაობის მეთოდი. ანალიზის პროცესში გამოვიყენეთ ველზე მუშაობისას ჩვენ მიერ მოპოვებული მასალა (ინფორმატორთა ტექსტები).

ნაშრომის სტრუქტურა: ნაშრომი შედგება შინაარსის, წინასიტყვაობის, შესავლის, 4 თავის, ძირითადი დასკვნებისა და დანართისაგან (ინფორმატორთა ტექსტები).

შესავალში მიმოხილულია ასპინძის მუნიციპალიტეტი ისტორიულ-გეოგრაფიული თვალსაზრისით; მოცემულია თანამედროვე ადმინისტრაციული დაყოფა (თემები და მასში შემავალი სოფლები); საუბარია შერეულ და კომპაქტურად დასახლებულ მოსახლეობაზე.

I თავის – „ასპინძის მუნიციპალიტეტის ანთროპონიმები ისტორიული წყაროების მიხედვით“– I ქვეთავში (ადამიანთა სახელდებისათვის (1.1) განხილულია ანთროპონიმები, როგორც ისტორიულად შეპირობებული სახელები, რომლებიც საზოგადო სახელთა დამკვიდრების შემდგომი ეტაპია; საუბარია სახელდების მოტივაციაზე, ადამიანთა საკუთარი სახელების „მოგზაურობაზე“, რომლებიც მკვიდრდება ან ვერ მკვიდრდება ახალ ენობრივ სამყაროში, ზოგჯერ კი ისე გადასხვაფერდება, რომ ძნელდება მათი თავდაპირველი ფორმის დადგენა; ეპოქათა მიხედვით ანთროპონიმების ცვალებადობაზე: კანონიკური, კონიუქტურით განპირობებული და ისტორიული სახელების მონაცვლეობაზე; სხვადასხვა ხალხთა ანთროპონიმულ სისტემაში არსებულ საერთო სახელებზე; მრავალსახელიანობის გამომწვევ მიზეზებზე, სახელთა ტაბუირებისა და ტოტემიზმის კვალზე ანთროპონიმიაში.

II ქვეთავში (გვარი საქართველოში. თეორიები გვარის წარმოშობის შესახებ (1.2) მოყვანილია მეცნიერთა (ა.დლონტი, პ.ცხადაია, გ.ხორნაული, რ.თოფჩიშვილი, ქ.გოდერძიშვილი...) მოსაზრებანი გვარის რაობაზე; საუბარია: გვარისწარმოქმნის მიზეზებზე, გვარის ეგზოგამიურობაზე, ტერმინის პოლისემიურობაზე. წარმოდგენილია მეცნიერთა შეხედულებანი ქართული გვარის როდინდელობაზე.

შემდეგ ქვეთავებში ცალ-ცალკე განხილულია ისტორიულ წყაროებში, კერძოდ, „მესხურ ქრონიკებში“ (იგივე „მესხური დავითნის მატიანე“–XVI საუკუნის 60-80-იანი წლები), „ამოლახორთა და კოპასქეთა მოსახსენებლებში“ (XVI საუკუნის 20-40-იანი წლები), „მცხეთის საბუთებში“ (1.3), „თოფქაფის სასახლის არქივის“ მასალებსა (თურქული დოკუმენტები)– (1.4) და „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“ (1595წ.)– (1.5) წარმოდგენილი ანთროპონიმები. ბოლო ქვეთავში მოცემულია ანთროპონიმთა სტრუქტურული და სემანტიკური ჯგუფები ისტორიული წყაროების მიხედვით (1.6).

II თავში – „ასპინძის მუნიციპალიტეტში გავრცელებული მეტსახელები“ ხუთ ქვეთავად არის წარმოდგენილი მეტსახელთა მოტივაცია (2.1); ასპინძის მუნიციპალიტეტის მეტსახელთა სემანტიკური ჯგუფები (2.2.), ასპინძის მუნიციპალიტეტის მეტსახელთა სტრუქტურული ანალიზი (2.3). დახასიათებულია მეტსახელი, როგორც ინფორმაციული, შემდგომ შერქმეული

მეტი სინამდვილის გამომხატველი სახელი, საუბარია მეტსახელთა წარმოშობის მიზეზებზე. დადასტურებულია ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფლებში გავრცელებული „ლაღაბი“ სახელი. დახასიათებულია უწყინარი და დაცინვითი, გამახელბელი და ზურგსუკანა მეტსახელები. გამოკვეთილია: გარეგნულ მახასიათებლებზე დამყარებული, მსგავსების გამომხატველი, შინაგანი ბუნების მიმანიშნებელი, მეტყველებასთან დაკავშირებული და ბავშვობისდროინდელი მეტსახელები. გამჭვირვალე სემანტიკის მეტსახელების გარდა მითითებულია დაბინდული სემანტიკის მეტსახელები.

წარმოდგენილია ეპითეტური სახელები (2.4). დახასიათებულია კვაზიონიმები (2.5) – „სახელდების ფუნქციით დატვირთული“ სიტყვები და შესიტყვებები; ასპინძის მუნიციპალიტეტში მოპოვებული მასალიდან დახარისხებულია: გარეგნობის, შინაგანი ბუნების, საქმიანობის, კუთვნილებითი მიმართების გამომხატველი კვაზიონიმები.

III თავში – „მაჰმადიანი მოსახლეობის გვარსახელები (XIX-XX სს.)“ წარმოდგენილია ქვეთავები: „გვაქვს სიყვარული ჩვენი სამშობლოსი“ (3.1); „თურქი მესხების იარლიყით ცასა და დედამიწას შორის გამოკიდებულნი“ (3.2); ქართველ მაჰმადიანთა გაუცხოება (3.3.); „ჩემად ქრისტიანობის ხანა“ (3.4.); რელიგიური დაპირისპირება (3.5.); 1944 წლის შემოდგომა (3.6.); გამაჰმადიანებულ წარჩინებულთა გვარები (3.7); გვარები, რომლებიც ასპინძის მუნიციპალიტეტში აღარ გვხვდება (3.8); მეტსახელიდან მომდინარე გამაჰმადიანებულთა გვარები (3.9); ქრისტიანთა და მაჰმადიანთა საერთო გვარები (3.10.).

IV თავში – „გვარის განაყოფთა სახელები ასპინძის მუნიციპალიტეტში“ ქვეთავებად განხილულია გვარის განაყოფთა სახელები (4.1.), გვარის განაყოფთა სახელების წარმოება (4.2) და ასპინძის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ზედგინიძეთა შტოგვარები (4.3.).

ნაშრომის აპრობაცია: ნაშრომის ცალკეული თავები მოხსენებების სახით წაკითხულია სხვადასხვა სამეცნიერო კონფერენციასა და სესიაზე, აგრეთვე სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სამეცნიერო გულანის“ სხდომებზე. გამოქვეყნებულია 6 ნაშრომი სტატიების სახით:

1. ასპინძის მუნიციპალიტეტის გვარსახელები ისტორიული წყაროების მიხედვით, ქართველური მემკვიდრეობა, XX, ქუთაისი, 2016 წელი, გვ.159-172.
2. ასპინძის მუნიციპალიტეტის მეტსახელები, სტრუქტურა და სემანტიკა, „გულანი“, №21, ახალციხე, 2017 წელი, გვ.116-141.
3. აწყვიტის ანთროპონიმიდან („გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ მიხედვით), დიალექტოლოგიური კრებული, 37-ე დიალექტოლოგიური სამეცნიერო

სესიის მასალები, ეძღვნება პროფესორ თედო უთურგაიძეს დაბადებიდან 90-ე წლისთავზე, თბილისი, 2017 წელი, გვ.106-124.

4. ადამიანთა სახელდებისათვის, სამეცნიერო რეფერირებადი ჟურნალი „ენა და კულტურა“, №17, ქუთაისი, 2017 წელი, გვ. 69-76.

5. ასპინძის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ზედგინიძეთა შტოგვარები, ქართველური ონომასტიკა, ტ.VIII, თბილისი, 2018.

6. მეტსახელიდან მომდინარე გვარსახელები, რომლებიც ასპინძის მუნიციპალიტეტში აღარ გვხვდება, სამეცნიერო რეფერირებადი ჟურნალი „ენა და კულტურა“, № 19, ქუთაისი, 2018 წელი, გვ. 64-73.

შ ე ს ა ვ ა ლ ი

ასპინძის მუნიციპალიტეტის ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა; თანამედროვე ადმინისტრაციული დაყოფა (თემები და მასში შემავალი სოფლები); შერეული და კომპაქტურად დასახლებული მოსახლეობა

აკადემიკოსი ნიკო ბერძენიშვილი წერდა: „ყოველ საფეხურს საზოგადოებრივი ცხოვრებისა თავისი გეოგრაფია აქვს და ისტორიული გეოგრაფიაც ისტორიასთან ერთად იცვლება“ (ბერძენიშვილი, 1990: 7). ეს რომ უდავოა, ამაში ასპინძის მუნიციპალიტეტის ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვაც გვარწმუნებს. ჩვენი კვლევა სამცხეში შემავალ ადმინისტრაციულ ერთეულს ეხება. სამცხე საქართველოს ისტორიული მესხეთის ნაწილია. თანამედროვე ტერიტორიული დაყოფით იგი მოიცავს ახალციხის, ასპინძისა და ადიგენის მუნიციპალიტეტებს. ასპინძას აღმოსავლეთით ახალქალაქის რაიონი ესაზღვრება, დასავლეთით – ახალციხის, ჩრდილოეთით – ბორჯომის, სამხრეთ-დასავლეთით კი თურქეთის რესპუბლიკაა.

ასპინძის სახელს მანდრონიკაშვილი უკავშირებს „მასპინძელს“, რომლის თავდაპირველი მნიშვნელობა უნდა ყოფილიყო სადგური, თავშესაფარი. „დადასტურებულია ფალაური ასპანჯ, ისპინგ, რომელსაც ეყრდნობა ქართულიც. არსებობს მოსაზრება, რომლის მიხედვითაც ეს სიტყვა სპარსულ ასპ-ს უკავშირდება, მაგრამ არამეული ფორმისათვის ამოსავლად მიჩნეულია უსპინგ ან ისპიჯ“ (ანდრონიკაშვილი, 1966: 287).

როგორც ი.სიხარულიძე აღნიშნავს, თავდაპირველად სამცხის ქვეყანა ოძრხის ხევით იფარგლებოდა, შემდეგ ამ ხევმა თანდათან გაიერთა მახლობელი ხევები (ქვაბლიანი, ბოცხევი, ქვაბისხევი და ა.შ.) და ვრცელი ტერიტორია მოიცვა. გვიანი შუა საუკუნეებისათვის უკვე სამცხედ იწოდებოდა ზემო ქართლის საკმაოდ დიდი მიწა-წყალი ტაშისკარიდან გოდერძის უღელტეხილამდე და დადოს მთებიდან კოდიანისა და ნიჯგორის თავამდე (სიხარულიძე, 1980: 132). ისტორიული სამცხის ტერიტორია, მეცნიერის აზრით, ასეა განაწილებული: ძირითადი ნაწილი მოქცეულია ახალციხის რაიონის ფარგლებში, სამცხის შედარებით მცირე მიწა-წყალს შეიცავენ აგრეთვე ხაშურისა (ყოფილი ბორჯომის რაიონი) და ხულოს რაიონები. ხაშურში შესული ტერიტორიიდან სამცხისაა ზოვრეთ-ტაშისკარს შორის მდებარე მიწა-წყალი, ხოლო ხულოს ტერიტორიიდან გოდერძის გადასავალისა და ბეშუმის მიდამოები (არსიანის ქედის აღმოსავლეთი მხარის ნაწილი (სიხარულიძე, 1980: 132).

ვახუშტი ბატონიშვილი „აღწერა საჩინოთა ადგილთა სამცხე-საათაბაგოსი“ მიუთითებს, რომ ქართლოსის სიკვდილის შემდეგ მისმა ცოლმა უხუცეს შვილს

– მცხეთოსს მისცა „ტფილისისა და არაგვს დასავლეთი, და ფანავრის ტბის დასავლეთი ქვეყანა, წილი ქართლოსისა, ზღუამდე სპერისა, და ტაოსა და კლარჯეთს შორისის მთამდე“. მცხეთოსი „ტფილისის და არაგვის დასავლეთს, ლიხის მთამდე და ტაშისკარამდე“ შიდა ქართლს უწოდებს, ხოლო „ტაშისკარსა და ფანავრის დასავლეთს ზღუამდე“ – ზემო ქართლს. შემდგომში მცხეთოსი განუყოფს „სამთა ძეთა თვისთა“ თავის წილს: უფლოსს – აღნიშნული ტერიტორია, ოძრახოსს – „ტაშისკარს ზეითი და მტკურის დასავლეთი, ვიდრე ზღუამდე, საზღვრამდე ქართლოსისა, რომელ არიან აწ სამცხე, გურია, ლიგანი, შავშეთი, არტანუჯი, ფანასკეტი, ოლთისი და ტაო“, ხოლო ჯავახოსს – „ფანავრის დასავლეთი და მტკუარს აღმოსავლეთი, ვიდრე თავადმდე მტკვრისა“ (ვახუშტი, 1973: 656-657).

ვახუშტი ბატონიშვილი სამცხის აღწერისას მიჰყვება მტკვრის ხეობას, „რამეთუ მტკვარს მიერთვიან ყოველნი მდინარენი სამცხისანი“ (ვახუშტი, 1973: 661). სამცხეს ესაზღვრება, ანუ ვახუშტის ენით რომ ვთქვათ, „მზღვრის“ აღმოსავლეთიდან: ქართლისა და კოდიანის მთები, შარვაშეთისა და ჯავახეთის საზღვარი, სამხრეთით – ერუშეთისა და სამცხეს შორისი მთა, არსიანის მთა (შავშეთისა და ყუელს შორისი), დასავლეთით – გურია-აჭარის მთა (ფერსათის მთიდან არსიანამდე) და ჩრდილოეთიდან – ფერსათის მთა (ვახუშტი, 1973: 668).

მ.ბერიძის ცნობით, „სამცხისა და ჯავახეთის სასაზღვრო ხაზის დადგენა კოდიანიდან მტკვრამდე დიდი სიზუსტით ხერხდება ვახუშტის მიხედვით. ჯავახეთს ეკუთვნის კოდიანი, რომელიც ესაზღვრება სამცხეს, კოდიანის მთები ჯავახეთის ჩრდილო-დასავლეთი საზღვარია. აქედან მოყოლებული საზღვარი გადის ოთის თავზე, შემდეგ კი საზღვრის თანმიმდევრობა ასე მიჰყვება: ბოქთა, დართა, შორეთა, კოხტა, ტამალის წყალი, მტკვრის მარჯვენა ნაპირი ნიჯგორამდე“ (ბერიძე, 2008: 5). მ.ბერიძის დაკვირვებით, ვახუშტი ხერთვისს სასაზღვრო ხაზად მოიაზრებს, რადგან მას აღწერს როგორც სამცხეში, ისე ჯავახეთში (ბერიძე, 2008: 5). ასპინძა რომ სამცხეში იგულისხმება, ამის მიმანიშნებელია ივ. ჯავახიშვილის ნაშრომში მოყვანილი ციტატა: „...ხევსა სამცხისასა სოფელსა ასპინძას“ (ჯავახიშვილი, 1965: 57).

XVIII-XIX საუკუნეებში ახალციხის საფაშო შედგებოდა 24 სანჯაყისაგან. ხერთვისისა და ასპინძის სანჯაყთა ბეგები ხერთვისსა და ასპინძაში იხდნენ. შ.ლომსაძის ცნობით, როცა თურქეთთან ომი დაიწყო (1828წ.), ქართველები ხალისით ჩაებნენ ამ ომში, რათა გაეთავისუფლებინათ თავიანთი ისტორიული მიწა-წყალი და ახალციხის საფაშოც შემოეერთებინათ. „შესაძლებლობა იქმნებოდა, – წერს მეცნიერი, – რუსეთის არმიის დახმარებით მთლიანად

განთავისუფლებულიყო სამხრეთ საქართველო და მისი საზღვრები ისევ ძველ, ისტორიულ საზღვრებამდე გადაწეულიყო“ (ლომსაძე, 2011: 259). ომის დასრულებასა და ადრიანოპოლის ზავს ახალციხის საფაშოს გაყოფა მოჰყვა და საქართველოს შემოუერთდა მხოლოდ ათი სანჯაყი: ახალციხის, აწყვერის, ახალქალაქის, ასპინძის, ხერთვისის, ქვაბლიანის, ფოცხოვის, ჩილდირის, ჭაჭარაქისა და აბასთუმნის. ადრიანოპოლის ხელშეკრულებაში ჩადებული სასაზღვრო ზოლის გადასინჯვა დიდხანს ვერ მოხერხდა და მხოლოდ 1834 წელს ოფიციალურად რუსეთის შემადგენლობაში შემოვიდა ათი სანჯაყი, ფაქტობრივად, როგორც შ.ლომსაძე აღნიშნავს, შედარებით სრულად რვა სანჯაყი, ორის კი – ჩილდირისა და ფოცხოვის სანჯაყების – ძალიან მცირე ნაწილი (ლომსაძე, 2011: 264).

საინტერესოა სანჯაყებად დაყოფის ფაქტი, რადგან ეს დაგვეხმარება სამცხისა და ჯავახეთის საზღვრის უკეთ წარმოდგენაშიც. უკვე XVIII-XIX საუკუნეებისათვის ასეთი სურათი გვაქვს: „ხერთვისისა და ახალქალაქის სანჯაყების დასავლეთის საზღვარი იწყებოდა ზემო ნიალასთან, ლებისი-ზედათმოგვის გამოვლით ჩამოსული ნაქალაქევამდე ისე, რომ ნიალა, ლებისი, ზედათმოგვი, ნაქალაქევ-წუნდა რჩებოდა ახალქალაქის სანჯაყში. ნაქალაქევიდან საზღვარი მისდევდა მტკვარს გელსუნდამდე, აქედან აღიოდა ჯავახეთის პლატოზე ისე, რომ ხერთვისის სანჯაყში რჩებოდა კვარშა, ჩუნჩხა, პრტენა, დილისკა, ხოლო ქილდა და ზრესკი – ახალქალაქის სანჯაყში. მაშინდელი ახალქალაქის სანჯაყი მოიცავდა ასპინძის რაიონის შესამჩნევ ტერიტორიას, – აცხადებს ავტორი. უკვე შემოერთების შემდეგ ახალქალაქის სანჯაყის შემადგენლობაში გადადის მარცხენა ნაპირის ჯავახეთის სოფლები: დილისკა, პრტენა და ჩუნჩხა (ლომსაძე, 2011: 267). ხერთვისის სანჯაყის სამხრეთ-დასავლეთი საზღვარი გრძელდებოდა ზემო ნიალის მთებამდე, აქედან კვეთდა ვანი-ბუზმარეთის მიდამოებს, დადემსა და ერკოტას შუა გამოვლით ჩადიოდა ოსკერიასთან (ლომსაძე, 2011: 267). ასპინძის სანჯაყს დასავლეთიდან ემეზობლებოდა ჭეჭერაქის სანჯაყი, სამხრეთით კი შოლა-მუკუზაშენის მიდამოებიდან ჩაუვლიდა თეთრისხევს, ძველს, ჭობარეთს, მუსხს, გაივლიდა ტობასა და რუსთავს შორის, აქედან აღიოდა ფერისციხემდე ყანობასთან, აწყვერის სანჯაყის საზღვარზე“ (ლომსაძე, 2011: 268).

მოგვიწოდებთ, 1840 წელს იქმნება ახალციხის მაზრა სამი უბნით (აბასთუმნის, ხერთვისისა და ახალქალაქის). ხერთვისის უბანს მიაკუთვნეს მთლიანად ხერთვისის სანჯაყი, აგრეთვე ასპინძის სანჯაყის მარცხენა ნაპირი, ჭეჭერაქის სანჯაყის ნაწილი, მტკვრის მარცხენა მხარე და ურავლის ხეობა (ლომსაძე, 2011:

269). მალე ეს დაყოფა უარყვეს და ახალქალაქისა და ახალციხის უბნები შეიქმნა.

სამართლიანად შენიშნავს დ.ბერძენიშვილი, როდესაც ამბობს, რომ „მართალია, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ადმინისტრაციული დანაწილება თურქების მიერ ქართული მიწების დაპყრობის შედეგადაა ჩატარებული, მაგრამ წარმოდგენელია იგი ნებისმიერი ყოფილიყო. ამ დანაწილებას საფუძვლად უნდა ჰქონოდა გაცილებით ძველი ტრადიცია, რომელიც ქართულ სამეფოშივე იქნებოდა შემუშავებული“ (ბერძენიშვილი, 1985: 113). ლივების ცენტრებად არჩეულია ყველაზე მნიშვნელოვანი პუნქტები XVI საუკუნის ჯავახეთისა – ხერთვისი და ახალქალაქი. ორივე ეს ლივა მოიცავს რაიონებს ისტორიული ჯავახეთისა მტკვრის როგორც მარჯვენა, ისე მარცხენა სანაპიროზე და სრულად ემთხვევა მის ისტორიულ-გეოგრაფიულ საზღვრებს (ბერძენიშვილი, 1985: 113).

საინტერესოა დ.ბერძენიშვილის დაკვირვება ჯავახური სოფლების ხევის პირას და ზეგანზე განლაგებით, რომელიც განპირობებული იყო მეძინდვრეობის, მებაღეობისა და მესაქონლეობისათვის კარგი პირობების შერჩევით. „სწორედ ხევისპირა ზეგანზე იყო ჯავახეთის ყველა მნიშვნელოვანი პუნქტი, ეკონომიურად ძლიერი და კულტურულად მოწინავე,– აცხადებს მკვლევარი და ასეთ პუნქტებად ასახელებს: საროს, კუმურდოს, ხიზაბავრას, კვარშას, ხანდოს, ჩუნჩხას, პრტენას, ახალქალაქსა და სხვ.“ (ბერძენიშვილი, 1985: 72). ახლანდელი ადმინისტრაციული დაყოფით ასპინძის რაიონში შემავალი სოფლები: სარო და ხიზაბავრა ჯავახეთის პუნქტებად მოიხსენიება.

როცა საუბრობენ სელის ზეთის წარმოებაზე ჯავახეთში, იხსენიებენ ჭობარეთს, ნიალასა და ზედა თმოგვს. საღი ხილის მოსავლიანობით ცნობილი „ჯავახური სოფლებია“ მირაშხანიდან ბნელამდე (ბერძენიშვილი, 1985: 74).

ლეონტი მროველის ცნობით, ორნი ციხე-ქალაქნი: წუნდა და არტანი, რომელსაცა მაშინ ერქვა ქაჯთა ქალაქი, ხოლო აწ პრქვიან ჰური, ჯავახოსის (მცხეთოსის ვაჟის) აშენებულია (ქც, 1955: 10). როდესაც ალექსანდრე მაკედონელის შემოსვლაზეა საუბარი, შუა ქართლის ციხე-ქალაქადაა მოხსენებული წუნდასთან ერთად ხერთვისი მტკურისა: „აღმოვიდა ქვეყანასა ქართლისასა და პოვნა ციხე-ქალაქნი ესე ძლიერნი შუა ქართლ: წუნდა, ხერთვისი მტკურისა, ოძრახე მოკიდებული კლდესა დადოსსა, თუხარისი, ურბნისი, კასპი და უფლისციხე, ქალაქი დიდი მცხეთა და უბანნი მისნი“ (ქც, 1955: 17).

ხერთვისის ციხის სტრატეგიულ მნიშვნელობაზე საუბარი გაზვიადებული არ იქნება, რადგან მისი მდებარეობა კეტავს და აკონტროლებს ხეობას.

ხერთვისთან „გზებით, ნახიდურებით, სასმელი წყლით, სახიზარ-გამოქვაბულებით და ბად-ბოსტნებით“ დაკავშირებული იყვნენ მურჯიკანი, პრტენა, ჩუნჩხა, ცხიკნელი, ალჯუა და კვარში – ადრეფეოდალური ხანის საყურადღებო ძეგლების შემცველნი (ბერძენიშვილი, 1985: 81). ხერთვისის ციხეზე დამოკიდებული უნდა ყოფილიყო მტკვრის ხეობის ნაწილი ნაქალაქევიდან დაახლოებით ასპინძამდე, ასევე მტკვრის მარცხენა შენაკადი, ტოლოშის ხეობის აუზი, ანუ ქვაბისხევი. მცირე ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებად მოიაზრებოდა ამ ხეობაში არსებული ადრეფეოდალური ხანის ნასოფლარები. ადრეფეოდალური ხანის ცალკე ერთეულად ნ.ჩუბინაშვილს გაუაზრებია მტკვრის მარცხენა შენაკადი სალოშეთისხევი (ახლანდელი შალოშეთი – ნ.მ.), რომელსაც მიჰყვება გზა ბუზმარეთისაკენ. ხეობის ცენტრად ივარაუდება სოფელი ალანძია (ჩუბინაშვილი, 1974: 17). მსგავსი ერთეულია ქუნცის ხეობა მეზობელი მცირე ხეობით მტკვრის მარცხენა ნაპირზე. ადრეფეოდალური ხანის დასახლებებად მიაჩნიათ აქაური ნასოფლარები: დადეში, აძვიტა, ქუნცა, ბნელა, როკეთი. ვახუშტი ბატონიშვილის „ცუნქის ხევში“ (ვახუშტი, 1973: 665) სწორედ ქუნცა უნდა იგულისხმებოდეს, ოღონდ სხვა ადგილთა აღრევის მსგავსად, აქაც უზუსტობაა გაპარული. მ.ბერიძის აზრით, ვახუშტის მიერ დასახელებული ცუნქის ხევი არც ამჟამად და, სავარაუდებელია, რომ არც მაშინ უნდა ყოფილიყო ამ სახელით იქ, სადაც მეცნიერი აღწერს (ბერიძე, 2008: 41): „ახალციხის წყლისა მტკურის შესართავს ზეით მტკუარს მოერთვის ცუნქის ხევი. გამოსდის ერუშეთის მთას და მოდის აღმოსავლეთ-ჩდილოს შორის. ამ ხევს ერთვის ღრელის ხევი, მისვე მთის კალთისა გამომდინარე... ცუნქის ხევს მოერთვის ჭობარეთის ხევი... ხობას ზეით არს ცუნქა-ღრელის ხევთ შორის, თმოგუს, კლდესა ზედა, ციხე შენი“ (ვახუშტი, 1973: 666). ქუნცასთან ახლოს ვერ იქნება თმოგვის ციხე, რომელიც არაბთა შემოსევისას გაუტეხელობით აოცებს მომხდურს: „მოადგა ციხესა, თმოგვისასა და ვითარ იხილა სიმტკიცე მისი და სიმაგრე, აიყარა მუნით“ (ქც, 1955: 263). „საგულისხმო ფაქტია, რომ ბაგრატ IV-ის მეფობის დროს ცნობილი ფარსმან თმოგველი (ქც, 1955: 298) მთელი ჯავახეთის ერისთავია, რომელიც მოხსენიებულია სათხის, თმოგვისა და მირაშხნის წარწერებში. (გაფრინდაშვილი, 1964: 9). დ. ბერძენიშვილის გამოკვლევით, წოდება „თმოგველი“ მიუთითებს თმოგვის ციხის მქონებელობას, რომელიც მაშინდელი ჯავახეთის მნიშვნელოვანი ცენტრი იყო და რომლის დაწინაურებაც უნდა დაწყებულიყო წუნდის დაცემის შემდეგ. თმოგვი ქვემო ჯავახეთის უპირველესი

ცენტრი ხდება. ყურადსადებია, რომ სწორედ ქვემო ჯავახეთის სოფლები მოექცა ასპინძის რაიონის (შემდგომში მუნიციპალიტეტის) შემადგენლობაში.

ზემო და ქვემო ჯავახეთის გამყოფი ხაზის დასადგენად დბერძენიშვილი იშველიებს დაჩისა და მისი ნახევარძმების „წილებს“: ვახტანგმა დაჩის დაუტოვა „წუნდამდის“, ხოლო „წუნდითგან“ ჰქონდათ ნახევარძმებს, რომლებიც „დასხდნეს წუნდას ქალაქსა“. ეს აფიქრებინებს მეცნიერს, რომ გამყოფი ხაზი (ფარაენითგან წუნდამდე და დანარჩენი ჯავახეთი) გადიოდა ჯავახეთის ზეგანის პირზე და წუნდა „ქვემო“ ჯავახეთს ეკუთვნოდა (ბერძენიშვილი, 1985: 78). სომხურ გეოგრაფიაში გაჩენილი ტერმინი „ზემო ჯავახეთი“, დბერძენიშვილის აზრით, გულისხმობს ქართული წყაროების „ჯავახეთი ფარაენითგან მტკვრამდე“, ხოლო დანარჩენი „ქვემო ჯავახეთი“ იქნებოდა მტკვრის ნაპირიდან სამცხემდე და ნიალის ველი (ბერძენიშვილი, 1985: 78). ნიალა-ბუზმარეთი რომ არც სიმაღლის და არც მდინარის მიხედვით არ უპირისპირდება „ზემო ჯავახეთს“, ამიტომ მბერძენის ისინი ქვემო ჯავახეთად არ მიაჩნია. გასათვალისწინებელია მეცნიერის შენიშვნა, რომ „თუ მაინც აუცილებლად ჩავთვლით ჯავახეთის დაყოფას ზემო და ქვემო ნაწილებად, მხოლოდ ბარის ჯავახეთი იქნება ქვემო ჯავახეთი, რომელიც უპირისპირდება მთიან ჯავახეთს როგორც რელიეფით, ისე კლიმატითა და სამეურნეო პირობებით (ბერიძე, 2008: 9).

კიდევ ერთ საინტერესო ცნობას გვაწვდის მბერძენი („მესხურ მატთანზე“ დაყრდნობით), რომ XVI საუკუნისათვის თმოგვი ჯავახეთში არ შედის (ბერიძე, 2008: 7): „შეიყარა კოკოლამა ყარახან, წამოვიდა თმოგუზე მოსაშუელებლად, ვეღარ მოესწრა. ციხე ორივე წაერთმევიანა. ყუელიდამა თმოგუს წავიდა დედისიმედი. იქიდამა ბატონი მანუჩარ ჯავახეთს წავიდა; ფოსო და ჯავახეთი დაარბივა და გურგაქს ქაჯისციხე გაუბარაქიანა“ (შარაშიძე, 1961: 47). ეს ის კოკოლა შალიკაშვილია, ვარაზას შვილი, რომელიც ძმასთან – ლაშქარასთან და ბიძასთან – გურგაქთან ერთად იბრძვის მოღალატე ათაბაგების წინააღმდეგ. ეს ეპიზოდიც იმას აღგვიწერს, როგორ უკავშირდება კოკოლა ყარახანს და მისი დახმარებით სურს გაათავისუფლოს თმოგვი მანუჩარ და ყვარყვარე ათაბაგთაგან.

თუ ზედა თმოგვის წარწერას ვერწმუნებით, **ფარსმან თმოგველი იოანე ჭიმჭიმელის ძეა** („ქრისტე, შეიწყალე სული ფარსმან ერისთავთ-ერისთავისაი იოვანეს ძისაი ჭიმჭიმელისაი“). მისი შვილები არ არიან მოხსენიებულნი, ამიტომ ვარაუდობენ, რომ „მისით იწყება და მთავრდება თმოგველობა, ციხე-ქვეყნის სამამულებდ ფლობა“ (ბერძენიშვილი, 1985: 96). ამ ფაქტზე ამახვილებს რა ყურადღებას რ.თოფჩიშვილი, წერს, რომ სამცხეში ერთ-ერთი საგვარეულო

ჭიმჭიმელი იყო. „გვარსახელი აშკარა ტოპონიმური წარმოშობისაა, რადგან ის - ელ სუფიქსითაა ნაწარმოები. სადაა ტოპონიმი ჭიმჭიმი? საიდან იყვნენ ჭიმჭიმელები? ტაოსა და კლარჯეთს შორის სოფელი ამ ტოპონიმით დღემდეა შემორჩენილი“ (თოფჩიშვილი, 2010: 13). ფარსმანის შემდეგ (იგი ალფ-არსლანის შემოსევისას იღუპება) თმოგვის მქონე ფეოდალები სარგის მხარგრძელადღე თმოგველებად აღარ იწოდებიან, მაგალითად, ნიანია ქვაბულის ძე, რომელსაც მეფე გიორგი II საერისთავოდ თმოგვს აძლევს, თმოგველად არ მოიხსენიება. XII საუკუნის მეორე ნახევრიდან ჯავახეთის საუფლისწულო დომენის გამგებელ ერისთავებად თორელები არიან. 1178 წელს თმოგვი „მიეცა“ აფრიდონს, რომელიც ყოფილა თრიალეთის ერისთავთერისთავიც. მისი დამხობის შემდეგ – **გამრეკელ თორელს**, მისი მიცვალების შემდეგ კი – **მხარგრძელებს**. რაც შეეხება ზემო ჯავახეთის საერისთავოს, ახალქალაქის ერისთავის კახა თორელის შემდეგ ჯავახეთის ერისთავობა გადადის თორელთა საგვარეულოს **ღობიართა შტოზე**. ღობიარი მიღებულია ადგილის სახელწოდებიდან – ღობიეთი. მბერძნის გამოკვლევით, ღობიარის და მისთ. -არ სუფიქსს გარდა წარმომავლობისა, კუთვნილების აღნიშვნის ფუნქციაც ჰქონია (ბერიძე, 2008: 117), ე.ი. ღობიარი „ღობიეთის მფლობელია“. ასპინძის მუნიციპალიტეტში არსებული ნასოფლარი თოღერთა (მეტათეზისით მიღებული თორელთასაგან) ღობიართა საგვარეულოს დაუკავშირა გრ.ბერიძემ (ბერიძე, 1981: 190), დბერძენიშვილი კი ფიქრობს, რომ მტკვრის მარცხნივ მდებარე სოფლები, მათ შორის თოღერთაც, თმოგველთა სამფლობელოს განეკუთვნებოდა (ბერძენიშვილი, 1985: 103), მაგრამ რადგან თორელებმა „იზრუნეს“ ჯავახეთის გაფართოებისთვის მეზობლების ხარჯზე, სულაც არაა მოულოდნელი თოღერთა თორელების სამფლობელო ყოფილიყო.

XIII საუკუნის ბოლოს სამცხის ათაბაგის ბექა ჯაყელის სამფლობელოები ფართოვდება – ის სამცხის მეზობელ ჯავახურ სოფლებს ეპატრონება (ქც, 1959: 273). ამიტომ, რომ XIV საუკუნეში ღობიარები კარგავენ ერისთავობას. მათი მამული ჯაყელთა სამთავროში შედის, სადაც შემდგომში **დიასამისძენი** ბატონობენ (შოშიაშვილი, 1966: 49).

ასპინძის მუნიციპალიტეტის ტერიტორია 825,3 კვ.კმ-ია. ის 1917 წლამდე ტფილისის გუბერნიის ახალციხის მაზრაში შედიოდა, 1921 წლიდან – ახალციხის მაზრაში ტოლოშის რაიონის სახელით, 1930 წლიდან – ცალკე ტოლოშის რაიონია, 1933 წლიდან დაერქვა ასპინძის რაიონი, ამჟამად ასპინძის მუნიციპალიტეტის სახელით მოიხსენიება.

ასპინძის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა, აღწერების მიხედვით, 1989 წლისათვის 13 262-ს შეადგენდა, 2002 წელს – 13 106-ს, ხოლო 2014 წელს – 10 372-ს.

1955 წლიდან არქივის მონაცემებით (რეგიონული არქივი: ახალციხე, ადგილობრივი არქივი: ასპინძა, ფონდი №232 – 245) ასპინძის სასოფლო, სადაბო საბჭო-საკრებულო აერთიანებდა: ასპინძას, სკანდეს, თავასას, მუჯირეთს, ერკოტას და ოთას; იდუმალის სასოფლო საბჭო-საკრებულო – იდუმალასა და ოშორას; რუსთავის სასოფლო საბჭო-საკრებულო: რუსთავსა და ინდუსას; ძველის სასოფლო საბჭო-საკრებულო – ძველს, ჭობარეთსა და ღობიეთს; ორგორის სასოფლო საბჭო-საკრებულო – ორგორასა და საყუდაბელს; დამალის სასოფლო საბჭო საკრებულო – დამალას; ტოლოშის სასოფლო საბჭო-საკრებულო – ტოლოშს, ხერთვისს, როკეთს, ლებისს, გელსუნდას, ოსკერიას, აღანძიას, ნარმანს, ფანაქეთს; აწყვიტის სასოფლო საბჭო-საკრებულო – აწყვიტას, ქუნცას, დადეშს, ერკოტას; ნაქალაქევის სასოფლო საბჭო-საკრებულო – ნაქალაქევს, აგარას, ფიას, თმოგვს, მირაშხანს; ხიზაბავრის სასოფლო საბჭო-საკრებულო – ხიზაბავრას, საროს, თოკს, ვარგავს, ნიჯგორს; ოთის სასოფლო საბჭო – ოთას.

ასპინძის მუნიციპალიტეტში ამჟამად 12 ადმინისტრაციული ერთეული შედის, რომელიც აერთიანებს როგორც ცალკეულ სოფლებს, ისე ორ და სამ სოფელსაც. ასპინძის თემი აერთიანებს ასპინძასა და სოფელ ივერიას; აწყვიტის თემში შედის მხოლოდ სოფელი აწყვიტა; დამალის თემში – სოფელი დამალა; თოკის თემი აერთიანებს სოფლებს: თოკსა და ვარგავს; იდუმალის თემი – იდუმალასა და ოშორას; ორგორის თემი – ორგორასა და საყუდაბელს; ოთის თემი – სოფელ ოთას; რუსთავის თემი – სოფელ რუსთავს; ტოლოშის თემი – გელსუნდას, ტოლოშსა და ხერთვისს; ძველის თემი: ძველსა და ჭობარეთს; ნაქალაქევის თემი: სოფელ ვარძიას, ზემო ვარძიას, თმოგვს, მირაშხანს, ნაქალაქევსა და ფიას; ხიზაბავრის თემი: ნიჯგორს, საროსა და ხიზაბავრას.

ასპინძის მუნიციპალიტეტში სამცხური და ჯავახური მოსახლეობის გარდა სხვადასხვა კუთხიდან გადმოსახლებული მთიულები, იმერლები და აჭარლები ცხოვრობენ. შერეული მოსახლეობაა: ასპინძაში, ოშორაში, რუსთავსა და ოთაში. მთიულები კომპაქტურად არიან დასახლებული ხერთვისში, იდუმალაში, სახუდაბელსა და ორგორაში. აჭარლები სახლობენ: გელსუნდაში, ივერიასა და მირაშხანში.

I თავი

ასპინძის მუნიციპალიტეტის ანთროპონიმები

ისტორიული წყაროების მიხედვით

1.1. ადამიანთა სახელდებისათვის

ადამიანს სახელი ამშვენებს (ჭუმბურიძე, 1992: 45) და სახელს ალამაზებს ადამიანი. ინდივიდს დაბადებისთანავე არქმევენ სახელს, სიცოცხლის მანძილზე კი იგი თავად ქმნის მას და ამ სახელით მიდის ამქვეყნიდანაც. რამდენი არცხვენს სახელს და რამდენს გაუთქვამს სახელი. სახელს თვლიდნენ ადამიანის სულის დედაარსად აღმოსავლეთის ქვეყნებში, ამიტომ ის იყო ყველაზე ძვირფასი, რაც ადამიანს გააჩნდა.

სახელმა ადამიანი გამოყო ჯოგური ყოფიდან, ინდივიდად აქცია. ამიტომ ქართველთა და სხვა ხალხების აზროვნებაშიც „სახელი“ დამატებით კიდევ სხვა მნიშვნელობასაც იძენს: სახელოვანი, ცნობილი, კარგი ადამიანი (ხორნაული, 2003: 214).

ამბობენ, სახელის გაფრთხილებას მთელი ცხოვრება სჭირდება, სახელის შერცხვენას კი – წუთებო. ამიტომაც, შოთა რუსთაველის აფორიზმიც იმის მიმანიშნებელი, რომ ყველანაირი საგანძურის მოპოვებას, მოხვეჭას, სჯობს სახელის განთქმა, სახელიანობა. „სახელს უმატეთ სახელი, ძვირფასი საპოვარია“, – გვაფრთხილებენ ფშაველი გმირები ვაჟას პოემაში (ვაჟა-ფშაველა, 1990: 197). მხატვრულ ლიტერატურაში არცთუ იშვიათად გვიამბობენ სახელიან და „სიცოცხლით სიკვდილიან“ (ცოცხლად მკვდარ) პერსონაჟებზე. „არ დაიდარდო, დედაო, რაც მე სიკვდილით გაწყინე, მე შენი ძუძუს ნათელი საქვეყნოდ გამოვაბრწყინე“, – ამბობს ღიმილის ბიჭი გიორგი ლეონიძის ლექსში (ლეონიძე, 1985: 473), რომელსაც სჯერა, რომ დედას „დაჰხურა შუქური“. სამაგიეროდ, როგორ მოთქვამს წიწოლას დედა, შვილი რომ ჯაბანი გამოადგა და ბრძოლის ველიდან გაიპარა: „რად არ იქ მაჰკვდი, ბეჩავო, რად ხარ ყელსაბელიანი, რად არ მამიხველ, წიწოლავე, პირნათლი, სახელიანი?!“ (ვაჟა-ფშაველა, 1990: 200).

სახელს მოპოვება სჭირდებოდა.სახელი უნდა მოგეპოვებინა!

ენისეისა და ალთაის თურქებს რაღაც პერიოდში არ ჰქონიათ ანთროპონიმები, ისინი იყენებდნენ თავიანთ (მიკრო) ეთნონიმებს. საკუთარი სახელის ტარების უფლებას ის მოიპოვებდა, ვინც განსაკუთრებულ ნიჭს გამოავლენდა ან ბრძოლაში თავს გამოიჩენდა (ჯიქია, 2008: 14).

ნომინაცია ყოველგვარ საკუთარ სახელს შეისწავლის. სახელდების ბუნების შესახებ დავა ადრეული საუკუნეებიდან მომდინარეობს. ძველი ბერძენი ფილოსოფოსების ნააზრევი საგნებისა და მათი სახელწოდებების ურთიერთ-დამოკიდებულებაზე ორი მიმართულებით განვითარდა. თუ ერთნი ირწმუნებოდნენ – სიტყვასა და საგნებს შორის ბუნებრივი კავშირი არსებობსო, მეორენი საპირისპირო თვალსაზრისს ავითარებდნენ. შემდგომში ეს დავა ნომინალისტებისა და რეალისტების დაპირისპირებაშიც ჩნდება. ბიბლიიდან ჩვენთვის ცნობილია, რომ ღმერთის მიერ შექმნილ არსებებსა და საგნებს პირველმა ადამიანმა უწოდა სახელი. რქმევის ეს მომენტი ზოგ შემთხვევაში ხმაბაძეითი იყო, ზოგჯერ კი – გაუთვითცნობიერებელი. თავდაპირველი სახელდება საგნებისა ჯერ კიდევ პრობლემური საკითხია, მაგრამ ერთი რამ უდავოა, „სახელდების უფლება ადამიანის პრეროგატივაა“ (ხუციშვილი, 1998: 32). **ადამიანთა სახელდება საზოგადო სახელთა დამკვიდრების შემდგომი ეტაპი უნდა იყოს, სახელდების გარკვეული პრაქტიკით გაჯერებული.** ასე რომ, ანთროპონიმები ისტორიულად შეპირობებული სახელებია. ამის შესახებ მიუთითებს ა.დლონტი, რომელიც „ქართველურ საკუთარ სახელებში“ წერს: სწორედ საზოგადო სახელთა სამყარო (ცალკე საგნის, მოვლენის, ცხოველის, ფრინველის, მწერის, მცენარის, ნივთიერების, ხელობა-მოსაქმეობის, სოციალური ყოფისა თუ მდგომარეობის აღმნიშვნელი სხვა სიტყვები) არის ის ნოყიერი ნიადაგი, რომელშიაც ისტორიულად სათავეს იღებს ანთროპონიმოლოგია (დლონტი, 1967: 9). ქგოდერძიშვილი ქართულ ნიადაგზე წარმოქმნილ სახელებს „ინდიგენურ სახელებს“ უწოდებს: „ესაა ენის სისტემაში არსებული ოდინდელი ანთროპონიმული ლექსიკა, რომელიც პირველი მოსწყდა თავის ბუნებრივ ნიადაგს – საზოგადო სახელთა წრეს, შეიძინა ინდივიდუალური ნიშან-თვისებები და ზოგადი საგნის აღმნიშვნელი ცნებიდან იქცა კონკრეტული ობიექტის ტიპობრივ ნიშნად – ონიმად“ (გოდერძიშვილი, 2012: 54).

როდესაც მსჯელობენ საკუთარი სახელის ენობრივი არსის დადგენაზე, ფიქრობენ, რომ უნდა ამოვიდნენ თვით საკუთარი სახელების თავისებურებებიდან. „საკუთარი სახელი გამოყოფს მსგავსიდან (ერთგვაროვანიდან) ერთადერთს და უპირისპირებს ყველა დანარჩენს. ამრიგად, საკუთარი სახელისათვის დამახასიათებელია მხოლოდ გამოყოფის, გამოცალკევების თვისება“ (ჯორბენაძე, 1993: 19), ამდენად, „საზოგადო სახელისაგან განსხვავებით, რომელიც სახელს აზოგადებს, საკუთარი სახელი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მხოლოდ კონკრეტულ ობიექტს ვარაუდობს. საკუთარი სახელი თავისი ბუნებით განსხვავდება საზოგადო სახელისაგან. თუმცა აკაკი, გიორგი...

ერთადერთს მაინც არ ჰქვია, საკუთარ სახელს მაინც აქვს კონკრეტული მიმართების უნარი“ (ჯორბენაძე, 1997: 130). საკუთარ სახელთა სპეციფიკას, ა.დღონტის აზრით, გვიჩვენებს მათი სემანტიკა და სტრუქტურული თავისებურებანი, სახელდობრ, ნომინატიურობა, მრავლობითი რიცხვის უქონლობა, კინობით-მოფერებით ფორმათა წარმოება. მეცნიერს საკუთარ სახელთა ნიშანდობლივ თავისებურებად მიაჩნია ის გარემოება, რომ საზოგადო სახელი განსაზღვრულ პოზიციაში გვევლინება საკუთარ სახელად (კაცი, ბერი, ფოცხვერი, სული, მშვიდობა, ნანობა, წყალობა) და, პირიქით, ცალკე საკუთარი სახელები გარკვეულ შემთხვევაში საზოგადო სახელთა თანრიგში გადადიან (კვაჭი, ხულიგანი, რენტგენი, ვოლტა, ბრაუნინგი) (დღონტი, 1967: 9).

სახელი ადამიანის არა მარტო კუთვნილებაა, არამედ, არსებობის აუცილებელი პირობაცაა, თუნდაც ყველაზე პრიმიტიულ საზოგადოებაში. „უეჭველია, სახელების დარქმევა ადამიანების ერთმანეთისაგან გასარჩევად მეტყველების უძველეს საფეხურზევე იყო საჭირო. ასე რომ, არ შეეცდებით, თუ ვიტყვით, რომ ადამიანის სახელი წარმოშობის მხრივ ისევე ძველია, როგორც საზოგადო სახელი. დროთა განმავლობაში ქრებოდა ძველი და ჩნდებოდა ახალი სახელი, იცვლებოდა სახელის დარქმევის წეს-ჩვეულებანი“ (ჭუმბურიძე, 1992: 6). ქგოდერძიშვილი აღნიშნავს, რომ პირველი საკუთარი სახელი, პირსახელი, უფლისძეველია: „ანთროპონიმად წოდებული პირველი საკუთარი სახელი გაჩნდა სამყაროს შექმნის მეექვსე დღეს ადამიანის გაჩენასთან ერთად. უფალი იყო შემოქმედი პირველი ადამიანისა და პირველი საკუთარი სახელისაც: „და დაარქვა ღმერთმა კაცს სახელი ადამი“ (გოდერძიშვილი, 2012: 11). რ.თოფჩიშვილის აზრით: ადამიანი არა მხოლოდ ბიოლოგიური, არამედ სოციალური არსებაცაა და მას საკუთარი (პირადი) სახელის გარეშე არასოდეს უცხოვრია, განვითარების ყველაზე დაბალ საფეხურზე მდგომი ეთნოსებისთვისაც კი ის აუცილებელი ატრიბუტი იყო. მისი სიტყვებით, „პირადი (ინდივიდუალური) სახელის წარმოქმნა უნდა უკავშირდებოდეს პლანეტაზე „ჰომო საპიენსის“ – მოაზროვნე ადამიანის – გაჩენას. პიროვნული სახელი ენის თანამდგევი მოვლენა იყო. კაცობრიობის ყველა ისტორიულ პერიოდში ადამიანები ერთმანეთისაგან თავს საკუთარი სახელებითაც განასხვავებდნენ“ (თოფჩიშვილი, 2010: 8). ა.გაფუროვის აზრით, დანაწევრებულ მეტყველებასთან ერთად, ერთდროულად გაჩნდნენ სახელები, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ იყო სახელები თანამედროვე გაგებით. ისინი ძალიან ნაკლებად განსხვავდებოდა მეტსახელებისაგან. ეს გასაკვირი არცაა. კაცობრიობას ხომ

ჯერ კიდევ არ ჰქონდა შედგენილი (ან ჩამოყალიბებული) სახელთა ფონდი (გაფუროვი, 1971: 5).

სახელსა და მთის დიალექტებში გავრცელებულ „მოხელვას“ შორის კავშირს ხედავს გ.ხორნაული, როდესაც აცხადებს, რომ სახელი იყო საჭირო იმაზე მისანიშნებლად, თუ ვის ეხებოდა საუბარი, ან ვის მიმართავდნენ, ე.ი. ისეთი რამ, რაც დაეხმარებოდათ საგნისა თუ ადამიანის მიგნებაში, პოვნაში, ხელში მოგდებაში, მოხელვაში („პოვნა“). სწორედ სახელია ის, რისი საშუალებითაც პოულობენ. ამის გაგრძელებად კი მიაჩნია იმერულში არსებული „საგინებელი“ (< საგნებელი) – კომლთა სახელი (ხორნაული, 2010: 3).

ქრისტიანთა მთავარი წიგნის – „ბიბლიის“ თანახმად, კაცობრიობას ადამმა და ევამ დაუდეს სათავე, ამიტომ გვქვია ჩვენ ადამიანები – ადამიდან წამოსულები, ადამის ჩამომავლები. ამ პირველმა ადამიანებმა დაარქვეს ყველა არსებას სახელი და გონებრივი, შემოქმედებითი განვითარება დაგვანათლეს. „სახელდება რომ ენობრივი აზროვნებაა, ქმნადობის პროცესია, სახელთა მრავალფეროვნება კი – საზოგადოებრივი პროგრესის გამოძახილი“, ამაზე არავინ დაობს.

საუკუნები ერთმანეთს ცვლიან და იცვლება ადამიანთა გემოვნება, დამოკიდებულება ანთროპონიმებისადმი. ისტორიის ერთ მონაკვეთში თუ გარკვეული სახელები მოსწონთ და კეთილხმოვნად ეჩვენებათ, შემდეგ ისინი დავიწყებას ეძლევა და სხვა სახელები „ამოტივტივდებიან“. ამჟამად ასპინძის მუნიციპალიტეტში, საქართველოს დანარჩენი რეგიონების მსგავსად, კანონიკურ ქრისტიანულ სახელებს არქმევენ შვილებს (გაბრიელი, იოანე, ალექსანდრე, მარიამი, ანა, შიო, ნინო, თეკლა, ბასილი, ელენე, მართა, თომა, პავლე, დემეტრე, ბარბარე, ილია, მათე, სალომე, ნიკოლოზი, გიორგი, ლუკა, საბა, ელისაბედი, ანდრია...), ამასთანავე, შეინიშნება სახელთა სრული ფორმით დამკვიდრება (გიორგი და არა: გიო, ანასტასია და არა: ანა, დემეტრე და არა: დიტო/დემნა/მიტო, ელენე და არა: ელა/ლენა, ანდრია და არა: ანდრო/ანრი...); არის სურვილი ძველი ქართველური სახელების გააქტიურებისა (ცოტნე, ნათია, დაჩი, გვანცა, ია, ნანი, მზია, შალვა, ბექა, იმედა...); დავიწყებას მიეცა სოციალისტური რეჟიმის დროს „ნაბოძები“ აბრევიატურული სახელები (მელორი, მარლენი, დაზმირი...). გაიშვიათდა, თითქმის აღარ არქმევენ ახალდაბადებულებს: ნოდარს, ნუგზარს, მერის, მალხაზს, რამაზს, მანანას, ვაჟას, გივის, ელზას, მაიას, კახას, უჩას, გოჩას, ლიას, ოთარს, ხათუნას, ლალის, დალის, თამაზს, მერაბს, ომარს, ვენერას, ნაირას, ნათელას, იაკობს, როინს, ეთერს, ტარიელს, ავთოს, ლადოს, მთვარისას, რეზოს, რუსიკოს, გულოს, ციურის, კობას, ბესოს,

მამიას... „გამქრალი პირსახელებია“ მესხურისათვის დამახასიათებელი: თუთა, ფოფალა, თეთრა, ერმონე, მაგდანა, ეფენა (< ეფემია), ოლდა, საბედა, იაგორა.

საქართველოში სახელი ხშირად პაპა-ბებიიდან შვილიშვილზე, ე.ი. წინაპრიდან შთამომავალზე გადადიოდა. ბევრს ახლაც მოსწონს ეს ტრადიცია, რადგან ფიქრობენ, რომ აცოცხლებენ, დავიწყებას არ აძლევენ წინაპართა სახელებს. ტოლოშელ მელიქიძეთა ერთ ოჯახში (ასპინძის მუნიციპალიტეტი) უკვე ხუთი თაობა მონაცვლეობენ იაკობი და პავლე: პავლე იაკობის ძე > იაკობ პავლეს ძე > პავლე იაკობის ძე და ა.შ.

უმნიშვნელოვანეს მოვლენად მიაჩნდათ სახელის დარქმევა ძველ თურქებს. მათ სწამდათ, რომ სახელსა და ბედისწერას შორის ფარული კავშირია, ამიტომ ახალშობილის სახელდება სადღესასწაულო რანგში აჰყავდათ (ჯიქია, 2008: 16).

„სახელი ქვერადობისა და ეტიმოლოგიური თვალსაზრისით ესთეტიკის სფეროსაც განეკუთვნება. ამიტომაც, რომ ისტორიის ერთ პერიოდში სახელთა გარკვეული ჯგუფი ჭარბობს, მეორე პერიოდში უკვე სხვა სახელებია წინ წამოწეული. მაგალითად, XVIII საუკუნის საქართველოში ყველაზე პოპულარული სახელი იყო ბერი და მისი სხვადასხვასუფიქსიანი ფორმები (ბერუკა, ბერიკა, ბერუნა, ბერო, ბერელა...), XIX საუკუნის შუა ხანებიდან ის აღარ იხმარებოდა. ამრიგად, სახელები გარკვეულწილად მოდასთან არის დაკავშირებული“ (თოფჩიშვილი, 2010: 14). მეცნიერი აღნიშნავს, რომ გავლენა აქვს მხატვრულ ლიტერატურასაც, გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენის“ დაბეჭდვამ ქალის სახელი შორენა პოპულარული გახადა, ხოლო ილიას „კაცია ადამიანმა?!“ ერთობ გავრცელებული სახელი ღუარსაბი „ქართული ანთროპონიმიდან ფაქტობრივად გააქრო“ (თოფჩიშვილი, 2010: 14). ზოგჯერ ლიტერატურული პერსონაჟის (პერსონიმის) სახელი განზოგადდება და მსგავსი ხასიათის, ქცევისა და მიზანდასახულების ადამიანს შეერქმევა ხოლმე. კვაჭი, ღუარსაბი, ყვარყვარე იმდენად სახასიათო სახეებია, მოხერხებულ, ზარმაც და მედროვე ადამიანებს ამ სახელით „ნათლავენ“. დავიმოწმებთ ქგოდერძიშვილს: „საკუთარი სახელი პერსონაჟის სახელად ქცევისას ხშირად იძენს აბსტრაქტიზებისა და განზოგადების უნარს, უფლებით უკვე პერსონაჟსაც აჭარბებს და მოცემული ანთროპონიმის ფარგლებში ამ პერსონაჟის მსგავს სხვა ადამიანებსაც აერთიანებს, რა თქმა უნდა, გარკვეული ნიშნის თუ ნიშნების მიხედვით“ (გოდერძიშვილი, 2012: 56).

ადამიანთა საკუთარი სახელები მსოფლიოში ყველაზე „თავისუფლად მოგზაური“ ლექსიკური ერთეულებია, რომლებიც იმკვიდრებენ ან ვერ იმკვიდრებენ ადგილს ახალ ენობრივ გარემოში, ეთვისებიან ადგილობრივ

ანთროპონიმიკონს ან იცვლიან სახეს. ხშირად ამა თუ იმ ენიდან შემოსული ასეთი სახელები იმდენად გადასხვაფერდება, რომ ძნელია მათი თავდაპირველი ფორმით წარმოდგენა.

„წინასწარგანსაზღვრულად შეცვლილი ნასესხები სახელები, რა თქმა უნდა, არ არსებობს. ყველა ენას აქვს თავისი ფონეტიკური წესები, ბგერათა შეთანხმების საკუთარი პრინციპი. ერთი და იგივე ბგერა რომელიმე ენას შეესაბამება, რომელიმეს კი – არა. არაბული სახელები: იანუსი, იუსუფი, იაკუბი ყაზახურ ენაზე გადაიქცნენ ჯანუსად, ჟუსუპად და ჟაკიპად, რადგან ყაზახურს არა აქვს ლათინური ასოს-იოტას შესაბამისი ბგერა (გაფუროვი, 1971: 22). ძალიან ხშირად ერთი ენობრივი სამყაროდან მეორეში გავრცელებული სახელი ფონეტიკურად იმდენად იცვლებოდა, რომ ფაქტობრივად, ხელში ახალი სახელი გვჩნებოდა. „გიორგისაგან“ არის მიღებული რუსული სახელები „იგორი“ და „იური“. მეცნიერებს ვერ გადაუწყვეტიათ, მათი იგივეობა აღიარონ თუ სხვადასხვაობა (თოფჩიშვილი, 2010: 20).

„ადამიანებსა და ეთნოსებს მუდმივი კონტაქტები ჰქონდათ ერთმანეთთან, უზიარებდნენ გამოცდილებას, ერთი ხალხის კულტურა თუ მისი ცალკეული ელემენტი სხვა ხალხში ვრცელდებოდა. ასევე იყო საკუთარი სახელებიც, – აცხადებს რ. თოფჩიშვილი, – მეზობელი ხალხები ინდივიდუალურ სახელებს ერთმანეთისგან სესხულობდნენ. ამიტომაც, რომ ძალიან ხშირად არ ვიცით ამა თუ იმ საკუთარი სახელის მნიშვნელობა“ (თოფჩიშვილი, 2010: 9). ქგოდერძიშვილი ამგვარ სახელებს, ნასესხებ სახელებს, მოძრავ ანთროპონიმებად მოიაზრებს და „ენის მოძრავ ლექსიკურ ერთეულებს“ უწოდებს, რომლებიც ადვილად გადადიან დედა ენიდან სხვადასხვა ენაში ან პირდაპირი გზით, ან რომელიმე ენა ხდება გამტარი სხვა ენისათვის (გოდერძიშვილი, 2012: 51).

სხვადასხვა ხალხთა ანთროპონიმულ სისტემაში არსებული სახელთა საერთო პლასტი ისტორიულადაა განპირობებული. ქრისტიანული რელიგიის ქვეყნებში ამ საერთო სახელებს წარმოადგენს კანონიკური სახელები, ბუნებრივია, კონკრეტულ ენასთან ადაპტირებული. სწორედ ეს კანონიკური სახელები დროთა განმავლობაში ზღუდავენ ამა თუ იმ ენაში მანამდე არსებულ სახელთა ფონდს (მელიქიძე, 1999: 27).

მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში პიროვნული სახელები იყო რელიგიის დაქვემდებარებაში. ყველა რელიგიას სახელთა დარქმევის სფეროში მონოპოლიური უფლება ჰქონდა, მათ შორის ქრისტიანობასაც. საკუთარი სახელის მიხედვით ადვილად ხვდებოდნენ, რომელი რელიგიისა და კონფესიის მიმდევარი იყო იგი. ასე რომ, სახელთა დარქმევა რელიგიური ხასიათისა იყო და ხშირად

გარკვეული ქმედებითაც ფორმდებოდა (ქრისტიანს ნათლობისას ენიჭებოდა იმ წმინდანის სახელი, რომლის ხსენების დღეც იყო). ქრისტიანთა რწმენით, ახალშობილს ის წმინდანი მფარველობს, ვისი სახელიც ჰქვია. ზოგიერთი რელიგია კომპრომისული იყო, სახელის შერჩევას – თავისუფალი. საეკლესიო და არასაეკლესიო სახელებს შორის „ბროლა“ ყველა ქრისტიანულ ქვეყანაში მიმდინარეობდა. ადგილობრივი ეთნიკური სახელები მეტსახელების სახით აგრძელებდნენ არსებობას (თოფჩიშვილი, 2010: 17). ხშირ შემთხვევაში ქრისტიანულ სახელთა ენობრივი სახეცვლილებანი გარკვეულ ენობრივ დატვირთვას იღებდა, რაც ზოგჯერ სავალალო შედეგს გვაძლევდა. სამცხე-ჯავახეთში კომუნისტური რეჟიმის დროს არ მოქმედებდა მართლმადიდებლური ეკლესია, სამაგიეროდ, გააქტიურებული იყო სომხურ-გრიგორიანული მსახურება. ქართველები სომეხ მღვდელს ანათვლინებდნენ ახალშობილებს, რომ ქრისტიანები გაეხადათ. სომხური ეკლესია აძლევდა „სომხურ“ ქრისტიანულ სახელებს ქართველებს და შესაბამისი დოკუმენტით აფორმებდა ამ ფაქტს. შედეგი გათვლილი იყო წინასწარ. ნათლობის ფაქტი გატარდებოდა შესაბამის საეკლესიო ჟურნალში, რის გამოც სამომავლოდ ახალშობილის სახელის გამო ეროვნების პრობლემაც კი დგებოდა, გრიგოლს როდესაც დაარქმევდნენ „ოფიციალურად“ გრიქორს, ბუნებრივია, რომ ეს მხოლოდ რიტუალური ხასიათისა იყო და ნამდვილი სახელი მონათლულს ქართული ჰქონდა. აღმოჩნდებოდა, რომ ქართული სახელი არ იყო ოფიციალური, იგი ან მეორე ან მეტსახელის როლს ასრულებდა.

ა.დლონტის აზრით, „ვეფხისტყაოსნის“ ანთროპონიმია უკვე ქრისტიანული ტრადიციის აშკარა უარყოფაა. მართალია, იგი მთლიანად არც წარმართიზმის აღორძინებას მოასწავებს, მაგრამ საკუთარ სახელთა საეკლესიო ნომენკლატურას რომ არ ცნობს, იმთავითვე უდავოა. რუსთველის გენიალური ქმნილება საზრდოობს არა ქრისტიანული კალენდრის, არამედ ძველქართული, აღმოსავლური და დასავლური წარმართული ანთროპონიმით (დლონტი, 1967: 12). სამეცნიერო ლიტერატურაში გვიანი შუა საუკუნეების ძეგლებში არაკანონიკური პიროვნული სახელების სიჭარბის ახსნა ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის მკაცრი კანონების არარსებობით, რ.თოფჩიშვილს არასწორად მიაჩნია, რადგან ფიქრობს, რომ ნათლობისას ახალშობილთათვის საეკლესიო სახელების დარქმევის მიუხედავად, ხალხი უფრო ხშირად მეტსახელებსა და ტრადიციულ ქართულ სახელებს იყენებდა (თოფჩიშვილი, 2010: 189). სწორედ შინაურული სახელების, მშობლების სურვილის გამომხატველი სახელებისა და მეტსახელების არსებობამ ოფიციალური სახელის, ანუ

„წიგნის სახელის“, გვერდით განაპირობა მრავალსახელიანობა საქართველოში. ნათლობის სახელის გვერდით რამდენიმე სახელის თანაარსებობა ფაქტია ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხის მკვიდრთათვის. ს.მაკალათიას დაფიქსირებული აქვს ხევსურეთში მცხოვრები დავით ბაღიაურის რამდენიმე სახელი: მღვდლისა – პეტრე, სულისა – დავითი, რძლისა – ხინჩლა, ხატისა – გიორგი, დედისძმის ცოლისა – ბეწიკუა“ (მაკალათია, 1935: 193).

ვფიქრობთ, მრავალსახელიანობისაგან გასარჩევია ამ ბოლო წლებში საქართველოში მომრავლებული გოგონათა ისეთი სახელები, როგორცაა: ანა-მარია, ანა-სოფია, მარია-სოფია, ანა-ლუსია, ანა-ლია... ჯერ კიდევ ათეული საუკუნის წინ თამარ მეფის მემკვიდრე, საქართველოს მეფე ლაშა-გიორგი ორი სახელით მოიხსენიებოდა¹. სულხან-საბა ორბელიანი საერო და სასულიერო სახელს ერთად ატარებდა (იმ ტიპის ორსახელიანობას, რომლის ერთი კომპონენტი საეროა, მეორე კი – სასულიერო, ქგოდერძიშვილი „თავსებად ანთროპონიმებს“ უწოდებს (გოდერძიშვილი, 2012: 27). არ შეიძლება არ გაგვახსენდეს „ვეფხისტყაოსნის“ ნესტან-დარეჯანი და ნურადინ-ფრიდონი. ეს ანთროპონიმული მოდელებიც (ანა-მარია...) ფორმით ორსახელიანობის გამოხატულებაა, როგორც ტოლადშერწმული სახელები, მაგრამ ფუნქციური დატვირთვა განსხვავებული აქვთ: ერთიანად მიემართება დენოტატს, თანადროულია, არ განარჩევს ძირითადსა და დამატებით სახელს.

მრავალსახელიანობის ერთ-ერთ მიზეზად გ.ხორნაული ასახელებს სახელთა ტაბუირებას, როცა ძირითადი სახელი იმალებოდა სხვა შერქმეული სახელებით, როცა სახელით ვერ მიმართავდა რძალი დედამთილსა და მამამთილს, ასევე მაზლებს, ცოლი – ქმარს და ქმარი – ცოლს (ხორნაული, 2003: 328). „სახელის ტაბუირება საყოველთაო მოვლენა იყო შესატყვისი მისტიკური მოტივაციებით. ეს ტრადიცია საქართველოს მთიან რაიონებში თითქმის უკანასკნელ ხანებამდე შემორჩა. გარკვეული მოსაზრებით რძალი არ ახსენებდა ქმრის, მამამთილის და მაზლის სახელებს და პირიქით. საკუთარ სახელთა ნაცვლად იყენებდნენ აპელატივებს: დიაცო, კაცო“ (გოდერძიშვილი, 2012: 13). ქართულ სინამდვილეში მამაკაცსა და ქალს შორის სახელთა ტაბუირების გამომწვევი ერთ-ერთი მიზეზი, ქგოდერძიშვილის აზრით, უნდა ყოფილიყო ის, რომ სახელი ინტიმური დატვირთვის შემცველია, რასაც ქვეცნობიერად გრძნობდნენ ამ ტრადიციის დამცველნი (გოდერძიშვილი, 2012: 13). საკუთარი სახელების ტაბუ გავრცელებ-

¹ ლაშა-გიორგი თავდაპირველად არ იყო ტოლადშერწმული, ლაშა ნიშნავდა „მანათობელს“, შემდეგ იქცა სახელად. ქგოდერძიშვილი მიუთითებს, რომ აპელატივისა და ანთროპონიმის ერთმანეთთან შერწყმა ხდება დეფისით, რაც ეპითეტის შემდგომი ანთროპონიმიზაციის ერთ-ერთი გზაა (იხ. გოდერძიშვილი, 2012: 392).

ბულია აფხაზეთში, სამეგრელოსა და ხევსურეთში. აფხაზეთში ქალებს აკრძალული აქვთ მამამთილის სახელის ხსენება. აფხაზი ქალი ისეთ სიტყვასაც არ ხმარობს, რომელიც თუნდაც ერთი მარცვლით ჩამოჰგავს მისი მამამთილის სახელს. ყოველივე ეს ხდება იმის გამო, რომ სახელს მაგიური ძალა მიეწერება. ესაა სურვილი – „დაუმალონ“ პიროვნება მაგნე სულს. სახელის დაფარვა („სახელიში ფალჟა“) სამეგრელოშიც იყო გავრცელებული. ცოლ-ქმარი ერთმანეთს სახელით არასდროს მიმართავდა. თუშეთში ცოლი ქმარს ასე უხმობს: ეგე კაცო. ამავე რიგისა ჩანს წარმოშობით: იმანო (ჯორბენაძე, 1997: 73). დადესტნურ ენებში ცოლი და ქმარი ერთმანეთს ახლა ჩვეულებრივ მიმართავენ საკუთარი სახელებით (მუჰამად! აბაქარ! რამაზან! ფატიმათ! ზაინაბ!...), კუბანურსა და ხინალულურში კი გამოიყენებენ: ქალიშვილო! ვაჟო! (მაჰომეტოვი, 1999: 30). **სამცხე-ჯავახეთში ამ წესს იყენებდნენ არა მხოლოდ ქართველები, არამედ სომხებიც, რომელთა დიდი ნაწილი დღესაც აგრძელებს მსგავს ტრადიციას.**

მსგავსი ფაქტები დასტურდებოდა წინა საუკუნეში ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფლებშიც. ინფორმატორთა ცნობით, რძალი ოჯახის უფროსების სახელს არ ახსენებდა; მუღს „ქალოს“ ან „ჩემო მუღოს“ ეძახდა, მაზღს „ჩემო მაზღოთი“ მიმართავდა. ხანდაზმული ცოლი ქმარს გარდაცვალების შემდეგაც სახელით არ მოიხსენებდა, ჩემი მოხუციო – იტყოდა. ითვლებოდა, რომ ეს მოკრძალებისა და პატივისცემის გამოხატულება იყო.

ზ.გამსახურდიას აზრით, ძველ მსოფლიოში არსებობდა სახელის კულტი, სახელი გამოხატავდა თავად ცხოვრებას ადამიანისას, მის არსს, ზეგავლენას ახდენდა მისი მატარებელი ადამიანის პიროვნებაზე, ჰქონდა მაგიური ზემოქმედების საშუალება. საკუთარი სახელი განიხილებოდა, როგორც შინაგან ძალთა, ფარულ ენერჯიათა ერთგვარი კონდენსატორი. ყოველივე ამასთან იყო დაკავშირებული ტაბუირების პრინციპი. ტაბუ იყო პატივისცემა სახელის ძალისა, ამიტომაც არსებობდა გარეგანი სახელი და დაფარული სახელი (გამსახურდია, 1991: 238). პიროვნების სახელების ტაბუირებას რ.თოფჩიშვილი სახელისა და სულის გაიგივებით ხსნის, რაც დამახასიათებელი იყო ზოგიერთი რწმენა-წარმოდგენისათვის. ნამდვილ სახელს მტრისაგან, ავი სულებისაგან საიდუმლოდ იცავდნენ, რადგან მათი რწმენით, თუ ბოროტი სული ნამდვილ სახელს შეიტყობდა, მფლობელს ზიანს მიაყენებდა. რუსეთში ნათლობის სახელის გასაიდუმლოება XVII საუკუნის ბოლომდე ვრცელდებოდა. თურქმენეთსა და აზერბაიჯანში ადამიანებს ახლაც აქვთ ნამდვილი და ცრუ სახელი (თოფჩიშვილი, 2010: 19). ბ.ჯორბენაძის დაკვირვებით, ტაბუ თავისებური

გამოვლინებაა ე.წ. ფიუსი-თეორიისა, რომლის თანახმადაც საგანს სახელი მისი ბუნების შესაბამისად ჰქვია. ეს კი ნიშნავს, რომ თუ არსებობს სახელი, არსებობს საგანიც. სხვაგვარად სახელი ეკვივალენტია მის მიერ დასახელებული საგნისა (ჯორბენაძე, 1997: 67). ტაბუირების შემთხვევაში კი, რაკი არ ვახსენებთ სახელს, პიროვნებასაც ვარიდებთ საფრთხეს.

სახელთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებანი უამრავია:

1) **საკუთარი სახელებით ბოროტ სულთა მოტყუების სურვილი ჩანს ბავშვისათვის სხვა ეროვნების სახელის დარქმევაში**, „ურჯულოს“ სახელის დარქმევაში. ასე შეურჩიეს სახელები მშობლებმა ჯიმშერს (სოფ. იდუმალა) და სერმანს (სოფ. კოთელია).

2) მ.ჯიქიას გამოკვლევით, **ხარიზმატულ სახელებს** მიმართავდნენ მაშინ, როდესაც ოჯახს თავს ატყდებოდა რაიმე უბედურება. სიცოცხლის შესანარჩუნებლად მუსლიმები ახალშობილთ არქმევდნენ: გირმიშა „შემოსულა“, დურმიშა „გადარჩენილა“, დურსუნ „დაე, გადარჩეს“, სათილმიშა „გაყიდულა“ (ჯიქია, 1995: 31).

3) **სამცხეში ცნობილი იყო შვილის ე.წ. ყიდვა-გაყიდვის რიტუალი**. ინფორმატორთა ცნობით, ოჯახში, სადაც ბავშვი ვერ ცოცხლობდა, ახალდაბადებულს დროებით მიაბარებდნენ ახლობელს, ან მეზობელს, მერე „გამოსასყიდს“ უბოძებდნენ და ისე მიჰყავდათ საკუთარ კერაზე. ანალოგიური შინაარსისაა სხვის (მეზობლის, ნათესავის...) სახვევებში ჩვილის გამოხვევა და გაზრდა. ამ რიტუალმა სახელდებაშიც პოვა გამოხმაურება: ნასყიდა შეერქმეოდა პატარას, რომელიც მეზობლისგან, ან ახლობლისგან იყო „გამოსყიდული“.

4) **მსოფლიოს ხალხების დიდი უმრავლესობა სახელს ერთგვარ ზებუნებრივ ძალას მიაწერდა**. ფიქრობდნენ, რომ დენოტატს სახელი დაეხმარებოდა წარმატების მიღწევაში. ასეთია სლავიანური სახელები „ვლადისლავი“ და „ესევეოლოდი“.

5) **წარსულში ირანელები დარწმუნებული იყვნენ, რომ სახელს შეეძლო გაგლენა მოეხდინა ავადმყოფობაზე**. თქმულების თანახმად, საკმარისი იყო შეეცვალათ ავადმყოფისათვის სახელი, რათა ეს უკანასკნელი გამოჯანმრთელებულიყო. უდმურტები სახელის შეცვლასთან ერთად ავადმყოფის თმასაც წვავენ (თოფჩიშვილი, 2010: 28). ესკიმოსებში მოხუცებულნი როცა იგრძნობდნენ სიკვდილის მოახლოებას, იცვლიდნენ სახელს, ტაჯიკეთში ავადმყოფ ბავშვებს უწოდებდნენ „ლიას, თავისუფალს, გაიდე, გათავისუფლდი“, რათა ავადმყოფობისაგან ეხსნათ (გაფუროვი, 1971: 14).

ცნობილია, რომ „სხვადასხვა ხალხში ადამიანთა სახელებად ხშირად გამოიყენებოდა ცხოველთა, ფრინველთა და მცენარეთა სახელწოდებანი. ქართულში ასეთია, მაგალითად, დათვია, ვეფხია, ლომა, ლომინა, მგელა, ძაღლიკა, ფოცხვერა, ქორია, ჩიტო, ია, ვარდო, ენძელა, ფოთოლა, სოსანა და სხვა. უფრო ხშირად ასეთი სახელები დაცულია მთის კუთხეებში და აქედან მწერლობაშიცაა შემოტანილი. ერთ დროს რომ ასეთი სახელები ფართოდ იყო გავრცელებული, ამას ადასტურებს გვარები: ლომიძე, ლომაშვილი, ლომაია, ლომინაძე, ლომინაშვილი, მგელაძე, გელიაშვილი, გელოვანი, ფოცხვერაშვილი, ხარაძე, ხარაიშვილი, მიმინოშვილი, ქორიძე და სხვანი“ (ჭუმბურიძე, 1992: 7). ეს სახელდებაზე ტოტემიზმის გავლენის მაგალითებია.

საინტერესოა მსოფლიოს ხალხთა ანთროპონიმული მოდელების გაცნობა, რომელიც წარმოდგენილი აქვს რ.თოფჩიშვილს. რით ჰგვანან ან განსხვავდებიან ქართული საკუთარი სახელები სხვა ენობრივი საკუთარი სახელებისაგან, ყველაზე მეტ სიახლოვეს რომელთან ამჟღავნებენ? ყველა ხალხის ანთროპონიმული სისტემა, მეცნიერის აზრით, განპირობებული იყო ენობრივი თავისებურებებით, ეთნოსის გავლელი ისტორიული გზით, სოციალური განვითარების თავისებურებებით, რელიგიით, სხვა მეზობელ ხალხებთან ურთიერთობით. „შეიძლება ხაზგასმით ითქვას, – წერს რ.თოფჩიშვილი, – რომ ისტორიულად მსოფლიოში სხვადასხვა, ერთმანეთისაგან განსხვავებული სისტემები ჩამოყალიბდა“ (თოფჩიშვილი, 2010: 29). ანთროპონიმული მოდელების კლასიფიკაცია დღემდე სრულყოფილი და სიღრმისეული არაა. თადეუშ მილევსკის შედგენილი ყველა ანთროპონიმული სისტემა, რომელიც შემადგენელი წევრების რაოდენობითაა განსაზღვრული, ზედაპირული ჩანს. ამ კლასიფიკაციით რუსული და გერმანული სამედიკამენტო-მოდელები მსგავსია, მაგრამ შინაარსობრივად ძალიან შორსაა, რადგან თუ რუსულ მოდელებში (ლევნიკოლაევიჩ ტოლსტოი) სახელი, მამის სახელი და გვარსახელი გვაქვს, გერმანულში (იოჰან სებასტიან ბახ) – ორი პიროვნული სახელი და გვარსახელია. რ.თოფჩიშვილი მიმოიხილავს თანამედროვე ანთროპონიმულ მოდელებს, რომლებიც პირობითად ცხრა ზონადაა განაწილებული. ე.წ. ჩრდილოეთის ზონის საკუთარ სახელთა სისტემას ახასიათებს ჩვენში ოფიციალურად დამკვიდრებული და სულ ცოტა ხნის წინ უარყოფილი სამწევრო მოდელები: ერთი პიროვნული სახელი + მამის სახელი + გვარსახელი, რომელიც შედარებით გვიან ჩამოყალიბდა რუსეთში (XIX ს.) და სავალდებულო გახდა საბჭოთა კავშირში შემავალი ყველა ხალხისათვის. მეცნიერი ადასტურებს, რომ ქართველებისათვის გვარსახელი გაცილებით ძველი მოვლენა იყო (VII ს.), ისევე

როგორც მამის სახელი და გვარის განაყოფის ინსტიტი. სწორედ ეს უკანასკნელი წარმოადგენდა მეორე მემკვიდრეობით სახელს, რომელიც თითქმის ანალოგიურია რომაული გვარების დანაყოფისა – კოგნომებისა (რომელსაც სამეცნიერო ლიტერატურაში ოჯახის სახელით მოიხსენიებენ) და ჩინური საოჯახო სახელისა („ში“) (თოფჩიშვილი, 2010: 35).

ამდენად, ადამიანთა საკუთარი სახელების შესწავლა ისტორიაში მოგზაურობას ჰგავს, სახელის შემოქმედთა და ამ სახელის მატარებელთა გვერდით ფუსფუსს; ხვდები – როგორ ცხოვრობდნენ, რა ამოძრავებდათ, რით სუნთქავდნენ, რას ითვალისწინებდნენ, როგორ აზროვნებდნენ.

12. გვარი საქართველოში. თეორიები გვარის წარმოშობის შესახებ

თანამედროვე მსოფლიოში პიროვნული სახელიც და გვარსახელიც სამართლებრივი თვალსაზრისით ოფიციალურად არის გაფორმებული. სახელის ტარება ყოველი ფიზიკური პირის არა მარტო უფლება, არამედ მოვალეობაცაა. სახელს ყოველი უფლებაუნარიანი ადამიანი ატარებს სამოქალაქო, სამართლებრივ და საზოგადოებრივ ურთიერთობებში თავისი იდენტიფიკაციის მიზნით. მიუთითებენ, რომ სამოქალაქო სახელი (ოფიციალური სახელი) ყოველთვის არის პირადი არაქონებრივი სიკეთე, რომლის გასხვისება და სხვა პირზე გადაცემა დაუშვებელია. ფიზიკური პირის სახელის ქვეშ, საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, იგულისხმება ადამიანის საკუთარი სახელი და გვარი. სახელის შექმნის საფუძველს წარმოადგენს დაბადება, დაქორწინება და სახელის შეცვლა ნებაყოფლობით. ზოგ ქვეყანაში შერქმეული სახელის შეცვლა შეუძლებელია.

გვარი ბავშვის დაბადებამდეა მარკირებული, სახელი, წინასწარ შერჩეულიც რომ იყოს, მხოლოდ ბავშვის დაბადების შემდეგ რეალიზდება. გვარი ობიექტურად, ადამიანის ნების გარეშე არსებობს. გვარი გარდა იმისა, რომ უწინარესია ბავშვის დაბადებაზე და სახელზე, მდგრადიცაა. გვარის სიცოცხლისუნარიანობას მისი ისტორიულად ჩამოყალიბების შემდეგ თაობები განსაზღვრავს (გოდერძიშვილი, 2012: 397-398).

თავდაპირველად პირსახელი საკმარისი იყო პიროვნების სახელდების, სხვათაგან გამორჩევისა და იდენტიფიკაციისათვის (ჰომეროსი, არისტოტელე, სოფოკლე...), მაგრამ სეხნია სახელების მქონე ადამიანების ერთმანეთისაგან გარჩევის მიზნით სახელდების სისტემა გართულდა. ამასთანავე, სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურმა და სოციალურ-ეკონომიკურმა განვითარებამ მოითხოვა სათანადო დოკუმენტირება, რისთვისაც საჭირო გახდა პირის სახელდება

ორ- ან სამწევროვანი ანთროპონიმული მოდელით (ცხადაია, 2005: 126). ზ.ჭუმბურიძის თქმით, „შრომის განაწილება, მოსახლეობის ზრდა, ტომებს შორის ურთიერთობის გაცხოველება და ხალხის უფრო მრავალრიცხოვან კოლექტივად ჩამოყალიბება აუცილებელს ხდიდა არა მარტო იმის ცოდნას, თუ რა ჰქვია ამა და იმ პირს, არამედ რა ხელობის კაცია, ვისი შთამომავალია, სადაურია და ა.შ. ამრიგად, სახელის გვერდით გაჩნდა მეორე, დამატებითი სახელი, რომელიც აზუსტებდა პიროვნების ვინაობს. ამ დამატებითი სახელისაგან დროთა განმავლობაში წარმოიშვა გვარი, როგორც პიროვნული სახელის თანმხლები განუყრელი ნაწილი“ (ჭუმბურიძე, 1992: 52).

ევროპულ და რუსულ სამეცნიერო ლიტერატურაში გაბატონებულია აზრი, რომ გვართა წარმოქმნის ბუმი იტალიაში დაიწყო XI საუკუნეში და ერთი ასწლეულის მანძილზე ფართოდ მოიცვა ევროპის განვითარებული ქვეყნები – საფრანგეთი, გერმანია, ინგლისი (ცხადაია, 2005: 130). უნგრეთში, ჩეხეთსა და პოლონეთში გვარსახელი დასტურდება XIV ს-ში, დანიასა და შვეიცარიაში – XV-XVI სს., რუსეთში XX საუკუნეში დასრულდა მისი ჩამოყალიბების პროცესი. იაპონიაში დაადგინეს XIX საუკუნეში (1868 წ.), თურქეთსა და ეგვიპტეში – XX ს-ში (თოფჩიშვილი, 2010: 37-39).

„გვარსახელი აღმოსავლეთის ქვეყნებში საკმაოდ დიდ იშვიათობას წარმოადგენდა. მათ ატარებდნენ წარჩინებული გვარის წარმომადგენლები თავიანთი მაღალი წარმოშობის დასტურად. თავდაპირველად გვარები მიიღებოდა მხოლოდ მამის სახელის მიხედვით. გამოდიოდა ისე, რომ მამა და შვილი სხვადასხვა გვარისანი იყვნენ. ამჟამად გვარი ეკუთვნის ოჯახის ყველა წევრს, მამის სახელი კი რჩება როგორც „მამისახელობა“ (გაფუროვი, 1971: 27). გაირკვა, რომ ისლანდიელებს დღესაც არ ჰქონიათ გვარი და სახელისა და მამის სახელის მატარებელნი ყოფილან მხოლოდ.

გვარი, როგორც ტერმინი, მრავალი მნიშვნელობით გამოიყენება ქართულ სინამდვილეში. ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში გვარი შვიდგვარადაა დახასიათებული: როგორც საოჯახო სახელწოდება; როგორც ჯიში, მოდგმა; როგორც პირველყოფილი თემური წყობილების წარმონაქმნი; როგორც გრამატიკული ტერმინი, ზმნის მორფოლოგიური კატეგორია და ა.შ.

რატომ არ ასხვავებს ქართული ენა პირველყოფილი საზოგადოების გვარსა და სოციალურად დიფერენცირებული საზოგადოების გვარს (გვარსახელს) ერთმანეთისაგან?– ამ კითხვის პასუხად რ.თოფჩიშვილი წერს: „ეს მოვლენა მეცნიერებს მნიშვნელოვანი დასკვნის გამოტანის საშუალებას აძლევს: საქართველოში მოხდა პირველყოფილი გვარის კლასობრივი საზოგადოების

გვარში გადაზრდა. ამ თვალსაზრისით საქართველოში ტრადიციის გაწყვეტა არ მომხდარა, თუმცა პირველყოფილი საზოგადოების გვარი და სახელმწიფოების დროინდელი გვარები თავისი შინაარსით ერთმანეთისაგან განსხვავდება. ამასთანავე, იმის გამო, რომ ტრადიციის წყვეტა არ მომხდარა, სახელმწიფოების დროინდელმა გვარმა (გვარსახელმა) – მემკვიდრეობითმა სახელმა ბევრი ის ნიშან-თვისებაც გამოიყოლა, რაც კლასობრიობამდელი გვარისთვის იყო დამახასიათებელი“ (თოფჩიშვილი, 2010: 34).

თანამედროვე გვარი „გვარსახელად“ იწოდება, მას უპირატესობას ანიჭებს ბევრი მკვლევარი (ს.ჯანაშია, მ.ქალდანი, ი.მაისურაძე...). გვარსახელს სხვანაირად „მემკვიდრეობითი სახელითაც“ მოიხსენიებენ. გვარის პოლისემიურობიდან გამომდინარე, პ.ცხადაიას „გვარსახელი“ მიაჩნია უფრო ზუსტ და მოსახერხებელ ტერმინად (ცხადაია, 2005: 145).

ქ.გოდერძიშვილისთვის მისაღებია „გვარი“, რადგან ერთფუძიანი, ადვილად გამოსათქმელი, ფართო საზოგადოებისათვის მიღებული და ცნობილი ტრადიციული ტერმინია. მისი აზრით, „გვარსახელი“ მიჩნეულია ერთცნებიან კომპოზიტად და ვარაუდობენ „გვარის სახელსაც“, რაც ტავტოლოგიაა. ამ ტერმინის მეორე კომპონენტი ცნებადობის თვალსაზრისით ვერაფერს მატებს მას. პირიქითაც კია: 1. გვარის აღმნიშვნელ ამ ტერმინს ზოგჯერ დეფისით ვხვდებით, რაც არ მოიაზრებს გვარს. 2. ეს არტოლად შერწყმული კომპოზიტი გზას უღობავს იმავე ფონემატური შემადგენლობის ორცნებიან კომპოზიტს, რომელიც მოიაზრებს გვარსაც და სახელსაც და რომელიც იწერება ტოლად შერწყმული სახელის ორთოგრაფიით – გვარ-სახელი (გოდერძიშვილი, 2012: 403).

ჩვენ ვფიქრობთ, რომ **გვარსახელი პირსახელის საპირწონეა, ამიტომ გვარს და გვარსახელს თანაბარი მნიშვნელობით ვხმარობთ.**

გვარი ყოფითი ტერმინია, გვარსახელი – სამეცნიერო.

როგორ განმარტავენ გვარსახელს?

„ონომასტიკურ ტერმინთა განმარტებით ლექსიკონში“ გვარი (გვარსახელი) ოფიციალური და მემკვიდრეობითი საოჯახო სახელწოდებაა, რომელიც ერთვის პიროვნულ სახელს (ცხადაია, 1988: 33).

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში გვარსახელის დეფინიცია ასეა წარმოდგენილი: 1. სისხლით ნათესავთა ჯგუფი, რომლის წევრები თავიანთ წარმომავლობას დედის ან მამის მხრიდან საერთო წინაპარს უკავშირებდნენ და საერთო სახელწოდება ჰქონდათ. 2. დაბადებით ან ქორწინებით მიღებული და შთამომავლობით გადაამავალი გვარეობითი სახელწოდება, რომელიც ერთვის საკუთარ სახელს (ქსე, 1978: 134).

ყველაზე მისაღებ განსაზღვრებად რ.თოფჩიშვილს მიაჩნია, რომ: „გვარსახელი არის მემკვიდრეობითი სახელი, რომელიც მემკვიდრეობით სამი თაობის განმავლობაში მაინც გადაეცემა თაობიდან თაობას“ (თოფჩიშვილი, 2010: 32).

პ.ცხადაიას განმარტებით: „გვარსახელი არის ერთი წინაპრის შთამომავალთა გამაერთიანებელი ან ქორწინებით მიღებული მემკვიდრეობითი სახელი, რომელსაც ოფიციალურ-სამართლებრივი სტატუსი აქვს მინიჭებული“ (ცხადაია, 2005: 132).

რ.თოფჩიშვილის დაკვირვებით, გვარსახელი თავდაპირველად ოჯახის, მასში შემავალი წევრების საერთო სახელწოდება იყო, შემდეგ კი ჯგუფური, დიდი სანათესაო წრის აღმნიშვნელი გახდა. რადგან მსოფლიოს ბევრ ხალხში, მათ შორის ქართველებშიც, ტრადიციით არ შეიძლება ერთი წინაპრის შთამომავალთა ერთმანეთზე დაქორწინება, გვარი (გვარსახელი) საქორწინო ურთიერთობის მომწესრიგებელიცაა. ქართული გვარის ეგზოგამიურობა, მეცნიერის თვალსაზრისით, მისი ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციაა (თოფჩიშვილი, 2010: 15). საქართველოში ახლაც დაუშვებლად მიაჩნიათ მოგვარესთან შეუღლება. ასპინძის მუნიციპალიტეტის ხანდაზმულებში დაფიქსირდა მოგვარეზე დაქორწინების რამდენიმე ფაქტი. მოხუცები მოგვარეზე ქორწინებას ამართლებენ მხოლოდ და მხოლოდ გვარის განაყოფთა სხვადასხვაობით: არანათესაური ურთიერთობით, წინაპართა სიშორით, თაობათა ცვლით. გ.ხორნაული საქართველოს სხვადასხვა კუთხის მაგალითების მოხმობით მიუთითებს, რომ გვარში ქორწინება, ანუ „გვარტეხილობა“ გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია: ლეჩხუმში ერთმანეთში ქალს თხოულობდნენ ასათიანები, ახვლედიანები, კოპალიანები, ხვადაგიანები და მუშკუდიანები, მაგრამ ქორწინება შეიდ თაობაზე აქეთ არ უნდა შემდგარიყო; რაჭაში გვარტეხილობა ჰქონიათ: მაისურაძეებს, აბაშიძეებსა და ჯაფარიძეებს; სვანეთში – გულედიანებს, ჯაფარიძეებს, ფილფანებს (ხორნაული, 2000: 61). როგორც ვხედავთ, მხოლოდ „დიდ გვართა“ – მრავალრიცხოვან გვართა შიგნით დაიშვებოდა ეგზოგამიის რღვევა.

გვარსახელის წარმოქმნა საქართველოში სოციალური მიზეზებით იყო განპირობებული. ქართული ფეოდალური სისტემა მოითხოვდა მემკვიდრეობითი სახელის (გვარსახელის) არსებობას. ქართველ გლეხიცა და აზნაურიც მამულზე მემკვიდრეობის უფლებით იჯდა და მიწის მემკვიდრეობით ფლობას მემკვიდრეობითი სახელიც ესაჭიროებოდა (თოფჩიშვილი, 2010: 226).

გვარსახელი სოციალური მოვლენაა. ევროპაში ის თავდაპირველად მაღალ სოციალურ ფენებში წარმოიქმნა და მათ ინტერესებს ემსახურებოდა. კომერ-

ციული ფორმების გაფართოება ფორმების მემკვიდრეობას ითხოვდა, ისევე როგორც მემკვიდრეობითი მიწათმფლობელობა, რათა შეენარჩუნებინათ და გაეფართოებინათ კლიენტურა. გვარი წარმოადგენდა სავაჭრო ნიშანს, საიმედოობის დამდას. შემდეგ გვარები გავრცელდა მოქალაქეებსა და გლეხებს შორის (თოფჩიშვილი, 2010: 39).

ა.დლონტმა ყურადღება მიაქცია „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ იმ მონაკვეთს, სადაც „დაფანხული ზედწოდებადაა მოხსენიებული“. იგი აღნიშნავს: „დაფანხული ისეა ნაწარმოები გვარად, როგორც შეწირული – ვნებითი გვარის მიმღეობა ზმნისა „ვწირავ“. ზ.ჭუმბურიძემაც „დაფანხულში“ გვარსახელი დაინახა: „ხოლო იყო ვინმე აზნაური დიდებული წინაშე აშოტ კურაპალატისა და ერქვა მას სახელი გაბრიელ დაფანხული, და აწ ნათესავთა მისთა ჰქვიან დაფანხულნი“, გიორგი მერჩულე ხომ პირდაპირ გვეუბნება: ახლაც, ერთი საუკუნის შემდეგ, გაბრიელ დაფანხულის ნათესავები (შთამომავალნი) დაფანხულის გვარს ატარებენო (თოფჩიშვილი, 1997: 45).

ა.დლონტის მიხედვით, გვაროვნული სახელი, როგორც ენობრივი და სოციალური ფენომენი, ქართველ ტომებში ადრეული ფეოდალიზმის ეპოქაში ჩასახულა და VII–VIII სს-ში მისი ჩამოყალიბების პროცესი თითქმის დასრულებული ჩანს (დლონტი, 1988: 48).

სულ სხვა აზრისაა ქართული გვარსახელის ჩამოყალიბებაზე გ.ხორნაული, რომელიც ფიქრობს, რომ საქართველოში იყო რუსეთის მსგავსი ვითარება: თავადებსა და აზნაურებს გვარი XVI-XVII საუკუნეებში უყალიბდებოდათ, გლეხობას კი – XIX საუკუნეში (რუსეთის მმართველობის დამყარების დროს საპასპორტო რეჟიმისთვის მიაკერეს). მეცნიერის აზრით, „უმრავლესობას გვარებად ჩაეწერათ მამის სახელები, მანამაღე როგორც მოიხსენიებდნენ ხოლმე ერთურთს – ვისი შვილიაო? ქავთარას ძე – ქავთარაძე, ბერის ძე – ბერიძე, ზურაბას შვილი – ზურაბაშვილი, ლაშქარას შვილი – ლაშქარაშვილი... ხშირად ისტორიულ წყაროებში, ძეგლებში, დოკუმენტებში მამის სახელით მოხსენიებულ პირებს გვართ მოხსენიებულად მიიჩნევენ, ეს მისი გვარი ჰგონიათ: ბადრიას შვილი პატა, ბადგულას შვილი ხუცია, ბოცოს ძე ვადა, გოგოჩას შვილი შოშია. თუ ჩვენ ზემოთჩამოთვლილთ და მათ მსგავს წოდებებს გვარებად მივიჩნევთ, მაშინ უნდა ვამტკიცოთ, რომ სპარსელებსა და სხვა ქვეყნის შვილებსაც ქართული გვარები ჰქონიათ. ისინიც, ქართველთა მსგავსად, მამისშვილობით მოიხსენიებიან ქართულ წყაროებში: აბუბაქრი მირიან შაჰის ძე, სულთან არსლან მაჰმუდის ძე, გაგიკ აბასის ძე, დუბეი სიდაყის ძე, თოდრულ მუჰამედის ძედა მისთ.“ (ხორნაული, 2003: 221).

რ.თოფჩიშვილის აზრით, VIII-IX საუკუნეების საქართველოში უკვე დამთავრებულია ახალი გვარების – გვარსახელების (მემკვიდრეობითი სახელების) წარმოქმნა, რომლებსაც, ფაქტობრივად, აღარაფერი აქვს საერთო გვაროვნული საზოგადოების გვართან. XI საუკუნის პირველ ნახევარში იხსენიება ჯაყელების გვარი (აღის ეკლესიის წარწერა). ქართული გვარსახელები დიდი ხნის წინ წარმოქმნილად მიაჩნდათ ი.ჯავახიშვილს, ს.ჯანაშიასა და ნ.ბერძენიშვილს. ქართული საისტორიო წყაროებიდან, საბუთებიდან არაერთი მაგალითი შეიძლება მოვიყვანოთ, რომელთა მიხედვითაც ამკარაა, რომ ქართული გვარსახელები, ანუ მემკვიდრეობითი სახელები ისტორიის სიღრმეშია წარმოქმნილი. XII საუკუნის საბუთში ჟინოვანს მოხსენიებული „ოქრაი და მახარაი, ბრაჭი და იოვანე“ „მიხითარაისქენი“ არიან, „დავითის შვილნი“, ე.ი. დავითი მამის სახელია, მიხითარაისქე კი – გვარსახელი (თოფჩიშვილი, 2010: 213-217), ეს მოწმობს შუა საუკუნეებში სამწვერა ანთროპონიმული მოდელის არსებობას.

როგორც ვხედავთ, მეცნიერთა ერთი ნაწილისთვის ქართული გვარსახელები გვიანდელი მოვლენაა, ნაწილი კი მას ადრეულ წარმონაქმნად მიიჩნევს. ჩვენ ვეთახებით პ.ცხადაიას, რომელიც აცხადებს, რომ ერთია გვარსახელის, როგორც მემკვიდრეობითი ანთროპონიმული კატეგორიის ჩამოყალიბება და მეორე – მისი საყოველთაო დანერგვა-გავრცელება (ცხადაია, 2005: 134).

ზოგჯერ მეცნიერები საუბრობენ გვარსახელის ჩამოყალიბების ეტაპზე, როცა ის მამისახელიდან გვარსახელში გარდამავალი პერიოდია: გვარის წინაპირობა, საწყისი გვარსახელის ჩამოყალიბებისა. რა ვითარებაა გვარსახელთან დაკავშირებით მესხურ ანთროპონიმიაში? ამაზე პასუხს ისტორიული წყაროები იძლევიან.

13. „მესხური დავითნის მატიანე“ (XVI საუკუნის 60-80-იანი წლები), „ამოლახორთა და კოპასძეთა მოსახსენებელნი“ (XVI საუკუნის 20-40-იანი წლები), „მცხეთის საბუთები“

XVI საუკუნის მეორე ნახევრის სამხრეთ საქართველოს შესახებ მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის „მესხური დავითნის მატიანე“, იგივე „მესხური ქრონიკები“, რომელიც დიმიტრი ბაქრაძეს აღმოუჩენია პლატონ იოსელიანის არქივში. ქრ.შარაშიძის აზრით, მისი აღმწერი უნდა იყოს დედისიმედი, ქაიხოსრო ათაბაგის მეუღლე, რომლის უშუალო მონაწილეობით ან კარნახით არის შეტანილი ცნობები „მესხურ ქრონიკებში“.

ქაიხოსრო ათაბაგის ვაჟის – ყვარყვარეს (ყუარყუარე „მესხური ქრონიკებით“) და ოდიშის მთავრის დადიანის ასულის – მარეხის დაქორწინების ცნობას

მოპყვება ტყუილი ვაუხების: **ბასილისა და ბექაი-პავლეს** დაბადების ამბავი. პავლე ზემოდან არის ჩამატებული, – წერს ქრ.შარაშიძე და აღნიშნავს, რომ ახლადდაბადებულ ტყუპთაგანს შინაურობაში ბექა ერქვა, ნათლობის სახელი კი – პავლე. ცოტა ზემოთ (მუხლი მე-3) საბას დაბადებაზეა საუბარი, იქვე გრძელდება: პატრონი **იანქო**. ექვთიმე თაყაიშვილის მოსაზრებას, რომ საბა და იანქო სხვადასხვა პირები არიან, ქრ.შარაშიძე უარყოფს და საბას იანქოს ნათლობის სახელად მიიჩნევს. ნათლობისა და საშინაო სახელებზე საუბრობს ქრ.შარაშიძე „ვალეს წარწერაში“ ამოკითხული „თვალშეუნიერი ივანეს“ შემთხვევაში, რომელთაგან პირველი საშინაო სახელად მიაჩნია, მეორე (ივანე) კი – ნათლობის სახელად (შარაშიძე, 1961: 142). ამას ზურგს უმაგრებს ის ფაქტი, რომ „მესხურ ქრონიკებში“ მხოლოდ თვალშეუნიერის სახელით არის ცნობილი ქაიხოსროსა და დედისიმედის ვაჟი.

„მესხური ქრონიკების“ მსგავსად, სამცხის ათაბაგთა და დიდგვაროვანთა „მოსახსენებლებსა“ (კოპასძეთა მოსახსენებლები, ამილახორთა მოსახსენებლები, მეწიეთის მარხვანის მოსახსენებელი) და „ანდერძებში“ იშვიათია პიროვნება ერთი სახელით იყოს ნახსენები: ქრ.შარაშიძე „შემონაზვნებულთა სახელებს“ უწოდებს საათაბაგოს წევრთა ამგვარ სახელდებას: **ნესტანდარეჯან-ყოფილი ნინო** (ეს ქალბატონი შემოკლებული სახელითაცაა ცნობილი – **ნესტარჯან**: „ამილახორისა ელბდურისა და თანამეცხედრისა მისისა (ინეს) ხურციძისა ასულისა ნესტ(ა)რჯანისი საუკუნომცა არს სახსენებელი“), **ბაგრატ-ყოფილი ბარნაბა**, **დედისიმედ ყოფილი დებორა**, **თამარ-ყოფილი სალომე**, **ქეთაონ-ყოფილი ქრისტინა**, **ვახტანგ-ყოფილი ვარსიმე**, **ნოშრევან-ყოფილი ნეოფიტე**, **ვახუშტ-ყოფილი ვასილიოსი**, **მამქან-ყოფილი მარინე**, **ქოიარ-ყოფილი ქერობინ**, **მზეჭაბუკ-ყოფილი იაკობ**, **რუამ-ყოფილი რაშთაელ**, **რაინდო-ყოფილი ეკატირინე**, **მანგუშარ-ყოფილი მართა**. ქ.გოდერძიშვილი რელიგიურ სივრცეში ორმაგი სახელდების ამგვარ მოდელს „პროზაულს“ უწოდებს (გოდერძიშვილი, 2012: 27).

„მოსახსენებლებსა“ და „ანდერძებში“ საკუთარი სახელებიდან გვხვდება: **აბდულმისე**, **ათანასია**, **ამუანი**, **ანნა**, **ბასილი**, **ბოქა**, **გარსევანი**, **გულბუდახი**, **გულქანი**, **გურგაქი**, **დედისიმედი**, **ედიშერი**, **ევნე**, **ეკატირინა**, **ელბდური**, **ელენე**, **ელისბაარი**, **ზებედე**, **ზოსიმე**, **თამარი**, **თინათინი**, **ინეს**, **იოთამი**, **იორამი**, **ირინე**, **იოსაფატი**, **მამისა**, **მარინი**, **მელქიზედეგი**, **მზეიქალი**, **მზეჭაბუკი**, **ნიკოლოზი**, **რებექი**, **სოილ**, **სურხანი**, **სფირიდონი**, **ფალვანხოსრო**, **ქაიხოსრო**, **ქეთაონი**, **ყუარყუარე**, **ხოსროთანგილი**.

„მესხურ ქრონიკებში“ დადასტურებული მამაკაცთა საკუთარი სახელებია: აბდუყაფარი, ავთანდილი, ათამირძა, აიდარმირძა/ჰაიდარმირძა, ალიხანი, ამატაკი, არჩილი, აშოთი, ბაგრატი, ბარძიმი, ბასილი, ბერი, ბექა, ბეჟანი, გულდფარი, გურგაქი, ედიშერი, ელია, ელისბარი, ვახტანგი, ზაქარია, ზემბადი, ზურაბი, თუალშუენიერი, იანქო, იასონი, იობი, იონათანი, იოთამი, კოკოლა, ლაშქარა, მანუჩარი, მატა, მზეჭაბუკი, როსტომი, რინი, სეხნია, სვიმეონი, ქაიხოსრო, ქო(ა)რი, ყანდურალი, ყუარყუარე, შერმაზანი, ხოსიტა, ჯირასონი, ჰერაკლე. ქალთა სახელებიდან გვხვდება: დებორა, დედისიმედი, ელენე, თამარ, თეოდორა, მარეხი, როდამ.

„მცხეთის საბუთებში“, რომელიც აშუქებს მესხეთის ტერიტორიაზე მდებარე საკათალიკოსოს საეკლესიო და სხვა მამულების გამო ატეხილ დავას, მცხეთის საკათალიკოსო ტაძრისადმი მორჩილებას ასაბუთებენ: მაწყუერელ-მთავარებისკოპოზი გერასიმე (1414-1426), მაწყუერელ-მთავარებისკოპოზი სერაპიონ (1430-1434), ლასურის ძე კუმურდოელი (1453-1459), კუმურდოელ მთავარებისკოპოზი გერასიმე (155-1503), მაწყუერელ მთავარებისკოპოზი ნიკოლაუზ (1505-1515), კუმურდოელ მთავარებისკოპოზი ზოსიმე და მტბეგარი საბა.

XVI საუკუნის მეორე ნახევრის მცხეთის საკათალიკოსო მამულების ნუსხაში დასახელებულია „ჯავახეთს საცორველა და სხუა სოფლები“: სამძივარი გოგიბასშივილსა „აქუს“, ქუელისძე (მეორე ნუსხით Ad:91– ბუმბულისძენი) სლესარსა და ავალიშივილებს ჰქონიათ, ლონგოსძენი – ლასურისძეთა, ხერხემელისძე – თაქთირისძეთა, ჩორჩანელი – ხურსისძესა, ღობიარი– დიასამისძეთა, ბოცოსძენი – ოლადასშივილებს, ოთარი – შალიკასშივილებს, ხერთვისარნი – „ქამქამისძისა ეულზედა არიან, ამატაკიანთა (Ad:697– ამატაკის შვილსა) აქუს“, თმოგუელნი – შალიკასშივილსა ელისბაალს და იოთამს, ბულადარასშივილნი – რჩეულაანთა და ფროდიანთა, ასპანისძენი – სფირიდონის შვილსა, კალმახელი – უზნასძეთა (Ad:697– უზუნიშივილსა); ასევე: ანძაველნი, კაკეასისძე, აბუსერისძე, დუკისძენი, ფანასკერტელნი, სპასალარნი, ხახულარნი, კოპასძენი, თუხარელნი, ოშკი, ხახული და ვარძია შესავლებით, მონასტრებით, სასაფლაოებით, კარის ეკლესიებით, მამულებით და აზნაურიშივილებით (შარაშიძე, 1961: 31-36).

რაც შეეხება გვარსახელებს, XVI საუკუნის სამხრეთ საქართველოში დასტურდება: ამილახორიშივილი, ამატაკისშივილი, ბედანისშივილი, ბოსტოლანიშივილი, გოგორიშივილი, დიასამიძე, დოლენჯიშივილი, ვარაზაშივილი, იოთამიშივილი, რჩეულაშივილი, სავანლიშივილი, უსტაჯალუანი, შალვაშივილი, შალიკაშივილი...

მოგვეყავს ამონარიდები „მესხური ქრონიკებიდან“:

შაჰთამაზის სიკვდილის შემდეგ „**უსტაჯალუანთა და იოთამიშვილმან ალიხან** სულთან ჰაიდარმირძას ბატონობაი მოინდომეს“ (მუხლი 24). ამ ამბავს ის მოჰყოლია, რომ „ვინც მათი ოიმახი იყო“, უსტაჯალუანი ამოუწყვეტიათ და აიდარმირძა მოუკლავთ.

მგელციხეში წასული ყვარყვარეს, მანუჩარისა და ჰერაკლეს გადაწყვეტილება ყაენთან ელჩის გასაგზავნად „**აცნობა ოლადის ქუაბიდამა ბედანისშვილმა** იასონ **ვარაზაშვილს** კოკოლასა და მის ძმასა ლაშქარასა და მის ბიძას გურგაქს. იახლენ თანა **დიასამიძის** ელიას შვილი ავთანდილ და მისი ძმა შერმაზან, **ამატკისშვილის** როსტომის შვილი ამატ(ა)კ და აბდუყაფარ და მათი ძმისწული როსტომ და ამატკის ვაჟი სეხნიაი... ბორგს მივიდეს. იქ ფანასკერტელი იობის შვილი ჯირასონ გუერც იახლა, საუბარს შეესწრა, ... **აცნობა დოლენჯიშვილს** ყანდურალის,- თუ მართლა ბატონიშვილებს დაჰკხოცენ! ფიცხლა აცნობე!“ (მუხლი 25).

„**შალიკაშვილის** ზემბადის შვილმა მათივ ნაქონები ოთის ციხე წაართუა და თათარნი შუა შემოვიდეს, გამოუდგეით, წამოვედით მგელციხეს, შერანშაიანთ წყაროზე“ დავდეით და მერმე აწყურს წავედით“ (მუხლი 28).

„**შალიკაიანთ** აზნაურიშვილებს თავს დაესხნეს“ (მუხლი 29).

„**ბოსტოლანიშვილმან** მატამა, უხუცესი მისი ძმა მოკლა, ათამირძა ერქუა (მუხლი 36), რასაც ის მოჰყვა, რომ მანუჩარმა მატაის და „მისთან მყოფთ ყმათა თვალები დასწუა“.

მუსტაფა ლალა-ფაშას მეთაურობით ხონთქრის ლაშქარს ხუთშაბათიდან სამშაბათამდის მგელციხეს არ ანებებენ „ციხიანი“ **გოგორიშვილი** როინ და მისი ძმა – ბერი **ერუშნელი** და მისი ძმისწული ზურაბ“ და მათი ყმანი (მუხლი 46). სამაგიეროდ, „**ამილახორიშვილი** ქო(ი)არ მიეგებაი არტანს და ორი ციხე შესძლუნა ლალაფაშასა“ (მუხლი 50).

„**დიასამიძემ** ელია დემოთიას ციხეს **სავალინშვილი** საღალატოდ შეუყენა“ (მუხლი 106). ვახუშტი ბატონიშვილს ეს ცნობა სხვაგვარად აქვს წარმოდგენილი, თითქოს ელია დიასამიძე საავალიშვილოს (ავალიშვილთა სამფლობელოს) შეუყენეს. ქრ. შარაშიძეს შეუმჩნევია ეს უზუსტობა: „ეს გეოგრაფიული სახელწოდება (სავალიშვილი) წარმოადგენს „მესხურ ქრონიკებში“ მოხსენებული გვარის სავალინშვილის გადაკეთებას. „გურჯისტანის ვილაიეთში“ ცნობილია გეოგრაფიული სახელები სავანელის სახელწოდებით, პეტრეს ლივაში, შიდა ქართლის მიჯნასთან. საფიქრებელია, რომ ამ ადგილის

სახელისაგან უნდა ყოფილიყო წარმომდგარი გვარი სავანილშვილი (სავანილშვილი)“ (შარაშიძე, 1961:121).

„და გოგორიშვილმან ბეჟან ციხიჯუარი უკუიჭირა და მისცა ფაშას“ (მუხლი 107).

სამცხის ათაბაგთა მოწინააღმდეგეებს შორის „მესხური ქრონიკები“ იხსენიებს შალიკაშვილებს (ვარაზას შვილებს; კოკოლას, ლაშქარას და მათ ბიძა გურგაქს), დიასამიძეებს (ელიას და მის შვილებს: ავთანდილსა და შერმაზანს) და ამბაკისშვილებს (ამბაკს, აბდუყაფარს, როსტომს, სეხნიას).

აღსანიშნავია, რომ იმ გვარსახელთაგან, რომლებიც „მესხურ ქრონიკებსა“ და „მცხეთის საბუთებშია“ დაფიქსირებული, ასპინძის მუნიციპალიტეტში თანამედროვე მონაცემებით მხოლოდ დიასამიძენი ცხოვრობენ.

საგულისხმოა ცნობა იმის შესახებ, რომ ბაზალეთის ომის შემდეგ სამცხეს ასულ გიორგი სააკაძეს მიუვიდნენ: „ჯვრის მკვიდრად მფლობელი“ დაუდ-ბეგ გოგორიშვილი (როგორც სახელიდან ჩანს, უკვე გამაჰმადიანებული), ასპინძის მფლობელი თანუნა დიასამიძე, ფეოდალები – როსტომ შალიკაშვილი, ელიზბარ და ბეჟან თაქთირიძეები, რომელნიც კვლავ ქრისტიანები არიან და სპარსელთა წინააღმდეგ ბრძოლაში თანადგომას ჰპირდებიან გიორგი სააკაძეს.

1.4. „თოფჯაფის სასახლის არქივის“ მასალები (თურქული დოკუმენტები)

როგორც ცაბულაძე აღნიშნავს, XV-XVI საუკუნეების მიჯნაზე „სრული ხელმწიფების მოტრფიალე“ სამცხის ათაბაგთა ბრძოლა საქართველოს პოლიტიკური ორგანიზმიდან გამოყოფაზე კარგა ხნის დასრულებულია. ჯაყელების სამთავროში არსებული 25 მსხვილი ფეოდალური სახლიდან XVI საუკუნეში განსაკუთრებით შალიკაშვილები აქტიურობენ.

თოფჯაფის სასახლის არქივის პირველსავე დოკუმენტში საუბარია სამცხის ათაბაგის ყვარყვარე III-ისა და მისი ბიძის – მანუჩარის დაპირისპირებაზე. ყვარყვარე „ნავ-ყვარყვარედ“ წოდებულია „კოპასძეთა მოსახსენებელში“, ხოლო სტამბოლის მინისტრთა საბჭოს არქივის, ფეკეტეს ფონდის დოკუმენტში – „ყანდურაღად“: დიდისა და წარჩინებულისა და სიმხნით განთქმულისა და სახელოვანისა და მტერთაგან უძლეველისა ათაბაგ-ამირსპასალარისა, მორწმუნისა პატრონისა ჩვენისა ყუარყუარესი... ქრისტეს ჭეშმარიტისა სჯულისა მტკიცედ მპყრობელისა და აწ მფლობელისა ჩუენისა პატრონისა ნავ ყუარყუარესი (შარაშიძე, 1961: 16); „...საზღვარი გასდევს უსჯულო ყვარყვარეს აზნაურთაგან ყანდურაღად წოდებულის მამულს“ (აბულაძე, 1983: 53). როგორც ცნობილია, მხეჭაბუკის (რომელმაც საქართველოს დედა ეკლესიას მოსწვევითა

სამცხის საეპისკოპოსო) გარდაცვალების შემდეგ სამცხის ათაბაგად გამხდარ ყვარყვარეს მალევე უჯანყდება მანუჩარი და ამარცხებს კიდეც. მანუჩარის გაათაბაგების მოწმეა ქართლის კათალიკოსისადმი მიწერილი პირობის წიგნი, რომელშიც აღნიშნულია, რომ „მცხეთისა საყდრისა მამულად მაწყვერელი და სხუანი სამცხისა ეფისკოპოსნი ისრნე თქუენი სამწესონი იყვნენ და ისრე დაგამორჩილნეთ და საღმრთოთა და სჯულიერითა საქმითა თქუენისა ბრძანებისა მორჩილნი ვიყუნეთ (შარაშიძე, 1961:30). აქვეა მითითებული იმ თავადთა სია ადგილ-მამულებითურთ, რომლებიც მცხეთის საპატრიარქოს საქონებლად და სამწესოდ იქნა აღიარებული. ეს საბუთი ქრ.შარაშიძეს ორი მებრძოლი მხარის შეთანხმების პირობად მიაჩნია, მისი სიტყვებით, „უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვით, რომ ეს არის დამარცხებული მხარის (ათაბაგების სახლის) სრული კაპიტულაციის აქტი“ (შარაშიძე, 1961: 97). ეს დოკუმენტი მნიშვნელოვან ცნობას გვაწვდის ყვარყვარეს ორსახელიანობაზე: „აზნაურთაგან ყანდურადად წოდებული“, ე.ი. აზნაურები მას ამ სახელით მოიხსენიებენო.

E 6478/1–ში იკითხება: „თუ ყვარყვარეს ამბავს იკითხავენ, მანუჩართან ბრძოლაშია. საქართველოში ზოგიერთი, მაგალითად, მეფე დავითი (ქართლის მეფე დავით X) მანუჩარის მხარეზეა, ზოგიერთი კი – იმერეთის მეფითურთ (იმერეთის მეფე ბაგრატ III) ყვარყვარეს მხარეზე. ერთმანეთთან ბრძოლაში და ერთიმეორის ხოცვა-ჟლეტაში არიან გამუდმებით. ამჯერად ერთსაც მტკიცედ შეკავშირებული ჯამაათი ჰყავს და მეორესაც. თითოეული თადარიგს იჭერს უახლოესი ბრძოლისათვის“ (აბულაძე, 1983: 48).

E 7296–ში წერია: „ქურცინას შვილმა იბაშერმა ზაქარიას შვილი ხახულარი დაიჭირა და მის ხუთ აზნაურთან ერთად ციხეში ჩასვა. დაჭერის ამბავი თავის მამას, ქურცინას შეატყობინა ამირად წოდებული თავისი კაცის საშუალებით. ქურცინამ კი არზა წარმოუდგინა ჩემს ბედნიერების მფარველ ზღურბლს...“ ოსმალეთის ტაქტიკურ ნეიტრალიტეტზე ამახვილებს ყურადღებას ც.აბულაძე, როდესაც წერს: „სულთანი ცდილობს, ისე მოაგვაროს მოქიშპე აზნაურთა ურთიერთობა, რომ საკუთარი პოზიცია არ გამოამჟღავნოს. ის მხარს უჭერს იბაშერისაგან შევიწროებულ ხახულარს, ბრძანებას უგზავნის ანატოლიის ბეგლარბეგს – აიძულოს იბაშერი, რომ გაათავისუფლოს დატყვევებული ხახულარი თავისი აზნაურებით. ბრძანებასთან ერთად იბაშერი იღებს წყალობის სიგელს“ (აბულაძე, 1983: 15). ამავე შეტყობინებინებიდან ვიგებთ, რომ „ყვარყვარეს ხელქვეითი აზნაურთაგან რამდენიმე მანუჩარის მხარეზე გადავიდა და ყვარყვარეს უღალატა“ (აბულაძე, 1983: 49). ყვარყვარეს შესაძლებლობებში ეჭვიმტანილ მედროვე აზნაურებს, რომელთაც მანუჩარის მხარეს ყოფნა არჩიეს,

ყვარყვარემ ხრიკი უყო, ხმა გააგრცვლა: ჩვენი დესპანი დივ ალი ერევნიდან აიყარა და მალე საქართველოში შემოიჭრება სამი ათასი ყიზილბაშითო. ამას აზნაურები შეუშინებია და ისევ ყვარყვარეს დაბრუნებიან. გაერთიანებული ძალებით ყვარყვარე მალე ოლთისის ციხეზე მოდის, მანუხარის უყურადღებობა, შვილთან – ივანესთან ხუთი აზნაურით გაქცევა და ციხეში მხოლოდ ერთი აზნაურის დატოვება, ყვარყვარეს საშუალებას აძლევს ოლთისის ციხის მცველი აზნაური ნათესავის საშუალებით გადმოიბიროს და ციხე ჩაიბაროს.

ცაბულაძე თარგმანის კომენტარებში წერს: ხახულარი იხსენიება 1516 წელს მცხეთის საკათალიკოსო საყდრის სამწყსო სამცხის თავადთა სიაში: „ხახულარნი სასაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკლესიითა“; „ხახულარი სასაფლაოთა და მონასტრითა“ (შარაშიძე, 1961: 35). ხახულარი, ისევე როგორც ხერთვისარი, სლესარი, ოპიზარი, ოთარი, ოლთისარი, საგვარეულო სახელწოდებაა წარმომდგარი სამფლობელოს სახელიდან, მაგრამ ვერ დაგვიდგენია რომელი ფეოდალური გვარი ფლობდა ხახულს. სამცხის თავადთა სიაში ხახულარს არ ახლავს წინამორბედთა გვარი. ჩვენი დოკუმენტის **ხახულარი** ანთროპონიმია „ზაქარიას შვილი ხახულარი“. იქნებ რაიმეს გვეუბნებოდეს ის ფაქტი, რომ 1556 წელს მტბვერად დაჯდა **ხახულარი წყმედიძე, მამაი საბა** (შარაშიძე, 1961: 36). ზაქარია სხვადასხვა ფეოდალური სახლის სახელი ჩანს. გერგეტის სულთა მატთანში იხსენიება ზაქარია კავკასიძე. კავკასიძეები ტაოს ფეოდალები იყვნენ და შედიოდნენ იშხნელის სამწყსოში – „სულ საკავკასიძო“ ქართლის კათალიკოსს ემორჩილებოდა. თისლის სვინაქსარში იხსენიება „ზაქარია ხუცის ძე“. მაგრამ ხახულარი აზნაურიშვილად არის ფიქსირებული 1615 წლის წყაროების წიგნში (Ad 1410, ხელნაწერთა ინსტიტუტი). 1693, 1690 და 1700 წლით დათარიღებული დოკუმენტების დამწერი და მოწამე არის მღვდელი იოსებ და ოთარ ხახულარი (Ad 1504, Hd 14564, Hd 14317). თურქულ დოკუმენტებში ზაქარიას შვილი ხახულარი თავისი აზნაურებით რომ არ ფიგურირებდეს, შეიძლება დაგვეშვა, რომ თვითონ ზაქარია და ხახულარი იყვნენ ყვარყვარეს აზნაურები, რადგან თორთუმის მხარე, რომელსაც ხახულის ხეობას უწოდებენ, ყვარყვარეს კუთვნილება იყო“ (აბულაძე, 1983: 61).

E 6678 გვამცნობს: „ყვარყვარე სრულიად შემობრუნდა ჩვენკენ (იგულისხმება თურქებისკენ). შეცოდებისათვის პატიებას გვევედრება... მთელი არსებით შეიძულა ყიზილბაშები. ამის დასადასტურებლად, თავისი გულწრფელობისა და ერთგულების მაუწყებლად უნდა, რომ აგნიქის ციხე ოსმალებმა ჩაიგდონ ხელთ.

ამასთანავე მისი სურვილია, რომ იყოს შეწყნარებული და შენდობილი, ხოლო მოწინააღმდეგე აზნაურები დამორჩილებული და დაქვემდებარებული. აზნაურების კუთვნილი ციხეები და მამულები დაიპყრან, რათა ყველაფერი ხონთქრის საგამგებო გახდეს“ (აბულაძე, 1983: 52). ყვარყვარე იმდენად დაუბრმავებია მოწინააღმდეგეების გამწარების სურვილს, რომ არ დაგიდევთ მტრის ხელში ქართული ციხეების, აზნაურთა მამულების გადასვლას. სწორედ ამან ათქმევინა მეცნიერს რომ „ათაბაგები, თავიანთი სამფლობელოს შენარჩუნების ვიწრო ინტერესებით შემოფარგლულნი, გამეზობლებულ მტერს ზავს სთავაზობდნენ და მდიდარ ძღვენს უგზავნიდნენ; მეორე მხრივ კი იმავე მტერს იწვევდნენ დინასტიური ბრძოლისა და შიდა ფეოდალური შუღლის აღმოსაფხვრელად“ (აბულაძე, 1983: 6). წერილის ავტორი, ფაიქი, თოფქაფის სასახლისადმი მიწერილში აღნიშნავს, რომ „ყვარყვარეს ერთადერთი სურვილია მისი მტრები იყვნენ დამარცხებულნი“, ამიტომ ყვარყვარეთაბაგის გავლენაში დარწმუნებული ურჩევს „მაღალი სამეფო ზღურბლისა და უმაღლესი სასახლის“ მესვეურთ: „როცა ყვარყვარეს დაიქვემდებარებთ, მთელი საქართველო იქნება დაპყრობილი, რადგან მისი ბეგების შთამომავალია. როცა დამორჩილდება, წინააღმდეგობის გაწევას ვერავინ გაბედავს. ქვეყნის შემამკობელი ნათელი აზრი ის არის, რომ მხოლოდ მისი დაქვემდებარება უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე 100 აზნაურის დამორჩილება“ (აბულაძე, 1983: 53).

F 134.სტამბოლის მინისტრთა საბჭოს არქივი, ფეკეტეს ფონდი: „როგორც კი საქართველოს ტერიტორიაზე ფეხს დაადგამ, მარჯვენა მხარეს საზღვარი გასდევს უსჯულო ყვარყვარეს აზნაურთაგან ყანდურაღად წოდებულის მამულს... ყანდურაღიც მხოლოდშობილი როდია, მას რამდენიმე ძმა უნდა ჰყავდეს... მამირვანის ციხე ყვარყვარე ათაბაგის სახასოა, მაგრამ დროებით ჩაბარებული აქვს მის მოურავს, ნარიმანად სახელდებულ აზნაურს. თორთუმის ციხე თავდაპირველად ყვარყვარესი იყო, მაგრამ დროებით ქურცინას ხელში გადავიდა: ქურცინას ძველი მთავარი ციხე კი აღჯაყალა იყო. ხსენებული ციხეები ამჯერად დროებით ხელთა აქვს ერთ უსჯულო აზნაურს, სახელად როსტომს. არტანუკის ციხე სულ ცოტა ხნის წინ ყვარყვარემ წაართვა თავის ბიძაშვილს – ივანეს. თმოგვის ციხე საკმაოდ ცნობილი და მიუვალი ციხეა საქართველოსი. მის ზემო მხარეს, თმოგვის წყალზე განიერი სიმაგრეა (ც.აბულაძე ფიქრობს, რომ აქ იგულისხმება ვარძიის მიდამოებში მდებარე სახიზარი ქვაბ-სენაკები, ძირითადად, ვანის ქვაბები. გვ. 68). წინათ, სულთან სელიმ-ხანის დროს, როცა ყიზილ აჰმედ ოღლი ბეგმა საქართველო დალაშქრა, ყვარყვარეს სიმაგრი, უსჯულო, სახელად სურხანი, თავისი ხალხითა და

ოჯახით იმ გამოქვაბულში იყო. ქურცინას ხალხი და ოჯახის წევრებიც მასთან იყვნენ. თმოგვის ციხის პატრონს ელიზბარს უწოდებენ. იგი ყვავარეს სიმამრის სურხანის ძმისშვილია და იმ უსჯულო ყვარყვარეს ერთ-ერთი მეტად სახელოვანი აზნაურია... ყვარყვარედ წოდებული უსჯულოს ნათესავი და მასზე დამოკიდებული ერთ-ერთი პირია მისი ბიძა მანუჩარი. იგი ეკლესიაშია განდგომილი. ბიძაშვილს ივანე ჰქვია. ივანე ბეგს ერთი ძმა ჰყავს, მას ქაიხოსრო ჰქვია. პატარა ბეგების სახელები ესენია, აქ რომ იქნა ჩამოთვლილი. ყვარყვარეს ცოლის ძმები არიან სურხანის შვილები – ხუთნი ძმანი. ამ ხუთიდან უფროსის სახელია ქუცნა, ერთ ბიძაშვილს ელიზბარი ჰქვია, ელიზბარს ძმა ჰყავს, სახელად იოთამი. მათ თავიანთი მსახურების გარდა, 40-40, 50-50 მათზე დამორჩილებული აზნაური ჰყავთ. სურხანს ერთი ძმაცა ჰყავს, სახელად ბოქნუქს (ბოქა) ეძახიან. მასაც რამდენიმე ვაჟი ჰყავს. გარდა ამისა ერთი უსახელო უსჯულო კიდევ არის, მას სახელად ასდრადუზს ეძახიან. ის აქ ხსენებულების მოწინააღმდეგე პირია. ყველა მათი ძმები და შვილები, აქ დასახელებული და შესაძლოა, უფრო მეტნიც, ერთად არიან. ერთი აზნაურიცაა, სახელად ანდრომანი, მისი ტერიტორიაა უდეს რაიონი. ისიც ამათთან ერთად არის. აზნაური სახელად ყანდურალი თავისი ძმებითურთ და ამილახორი ცნობილი გვარიდან არიან. მას (ამილახორს) სახელად ქოჭიარს უწოდებენ. ბეგრი ძმა ჰყავს. ესეც მრავალრიცხოვანი ჯამაათია.... ერთი კიდევ არის შერმაზანოდლუ. თავისი ნათესავებითა და ხელქვეითი პირებით ესეც მათი ტოლი და სწორია. მისი სამფლობელო ჯავახეთად წოდებული ადგილია. ძირითადად ყვარყვარეს ექვემდებარებიან აქ ჩამოთვლილი პირები“ (აბულაძე, 1984: 53-56). ამ დოკუმენტიდან ირკვევა, რომ ათაბაგის ტახტის ძიებაში ხელმოცარული მანუჩარი ბერად აღკვეცილა – „ეკლესიაშია განდგომილი“.

ეს არზა „მეწიეთის მარხვანის“, სადგერის ჯვრის წარწერის, ნავ-ყვარყვარეს შეწირულების წიგნის, „მესხური ქრონიკებისა“ და „მოსახსენებლებთან“ შეჯერებით მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის სამცხის ფეოდალთა სანათესაოზე. ცაბულაძის აზრით, არზის („F-134“) შემდგენი ჯერ კიდევ არ იცნობს ტერმინს „თავადი“, მაგრამ შესანიშნავად განარჩევს ჯაყელების საგვარეულოს შალიკაშვილების, ამილახორების, დიასამიძეების, ამატაკიშვილების, დოლენჯიშვილებისაგან და ყველა მათგანს უდიდგვარო აზნაურებისაგან (აბულაძე, 1983: 45). ყვარყვარეს თანამეცხედრეა „ღვთივგვირგვინოსანი“ ანნა, იგივე ანა, რომელსაც რომელიმე მეფის ნაცოლარად მიიჩნევდნენ ამ ტიტულის გამო. „F-134“ დოკუმენტი თითქმის სრულად წარმოგვიდგენს ანას საგვარეულოს. რამდენჯერმე იხსენიება ყვარყვარეს სიმამრი სურხანი, რომელსაც ხუთი ძე

ჰყავს, რომელთაგან უფროსს ქუცნა ჰქვია. სურხანის ძმაა ბოქნუქი, მისი ბიძაშვილები (სხვა წყაროთი – ძმიშვილები) კი იოთამი და რეზბარი (ელიზბარი). ყველა ესენი შალიკაშვილის სახლის წევრები არიან (აბულაძე, 1983: 40). ამილახორთა სახლის მოსახსენებელში პატრონისა ეკატერინასი ძენი არიან: ბოქა, სურხანი, გარსევანი და გურგაქი. ცაბულაძეს შეუნიშნავს იერუსალიმის ჯვრის აღაპებში შალიკაშვილის საგვარეულო სახელით ვარაზას მამად მოხსენიებული სურხანი, რომელიც თამაზ ყოფილი თადეოზის სულის მოსახსენებელში მამად იწოდება: სურხანის შვილის თამაზის სულისათვის... ელიზბარ და იოთამ შალიკაშვილები XVI საუკუნის დასაწყისში თმოგველთა მამულს ფლობენ: „თმოგუელნი შალიკაშვილთა ელისბააღს და იოთამს აქუს“ (შარაშიძე, 1961: 34), სტამბოლის მინისტრთა საბჭოს არქივშიც ნახსენები ელიზბარი თმოგვის ციხის პატრონია, სურხანის ძმიშვილად მოხსენიებული. „ამილახორთა მოსახსენებელში“ ელიზბარის მეცხედრეა მარისი, ხოლო იოთამისა – მზექალი, მათ შემდგომად იხსენიება მათი და– თამარი, ცოტა ქვემოთ კი თამარის მეუღლე ქოიარ-ყოფილი ქერობინი.

ამრიგად, „თოფჯაფის სასახლის არქივის“ მონაცემებით, მაღალი სოციალური ფენის სივრცეში ტრიალებს სახელები: ყანდურალი, ნავ ყვარყვარე, მანუჩარი, ქურცინა, იბაშერი, სახულარი, ივანე, ნარიმანი, როსტომი, სურხანი, ელიზბარი, ქაიხოსრო, ქუცნა, იოთამი, ბოქნუქი, ასლრადუზი, ანდრომანი, ქოჭიარი, შერმაზანოდღუ.

1.5. „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“

„გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ წინასიტყვაობაში სერგი ჯიქია წერს: „ეს ოფიციალური დოკუმენტი, საბეგრო დავთარი, ოსმალთა ხელი-სუფალთა მიერ შედგენილია შემდეგი ქართული პროვინციებისათვის: სამცხე, ჯავახეთი, პალაკაციო, კოლა, არტაანი, ტაო და ახლანდელი ბორჯომის ხეობა ვიდრე სოფ. ქვიშხეთამდე“ (ჯიქია, 1941: შესავალი). XVI საუკუნის მეორე ნახევარში პოლიტიკურად გაძლიერებულმა თურქებმა ისარგებლეს მაშინდელი საქართველოს გართულებული შინაური მდგომარეობით, დაიპყრეს სამხრეთ საქართველოს სამთავრო – სამცხე-საათაბაგო – და მას გურჯისტანის ვილაიეთი, ე.ი. საქართველოს პროვინცია უწოდეს. დაპყრობის შემდეგ ოსმალთა ხელისუფლებმა აღწერეს ეს კუთხე დასაბეგრავე ობიექტების გამოვლინების მიზნით. 1595 წელს შეიქმნა ოფიციალური საბეგრო დოკუმენტი, რომელიც ოსმალეთის საიმპერიო მთავრობის განკარგულებით შეადგინეს სამცხე-საათაბაგოსათვის ადგილებზე მოვლენილმა თურქმა მოხელეებმა (ჯიქია, 1947:7).

მ.ჯიქია „დიდ დავთარზე“ დაკვირვების შედეგად აღნიშნავს: „ოსმალთა დევთერდარებს ქალები არ შეჰყავდათ საბეგრო დავთარში. ისინი გადასახადის გადამხდელთა გვარს არ ასახელებენ. გამოცდილი ეკონომისტობის მიუხედავად, დევთერდარს გვარის მნიშვნელობა არ ესმოდა და ამას არც აღნიშნავდა. ზოგჯერ იგი ვერ იგებდა მამის სახელს და გვარს მამის სახელად აფიქსირებდა. ამიტომ აღმოჩნდა დავთარში გვარები: ბერაძე, დემეტრეძე, ვარდიძე, კაკასიძე, პაპაძე, ცირეკიძე და სხვ. დაბეგრილ პიროვნებას მოხელე აზუსტებდა შვილობისა და ძმობის მიმართებით. თუმცა არცთუ იშვიათია შვილიშვილის მითითებაც: ლომას შვილიშვილი, დონენას შვილიშვილი. მხოლოდ ერთგზისაა მითითებული სიმამრი (ჯიქია, 2004: 284).

„დიდი დავთარი“ არის მატთანე XVI საუკუნის ანთროპონიმებისა, რომლებიც გავრცელებული იყო სამხრეთ საქართველოში. ოჯახის უფროსები დავთარში მოხსენებულია სახელით, სახელითა და მამისსახელით, სახელითა და ძმის სახელით, ან ორი სახელით (იშვიათად), ან მარტო მამის სახელით, ან პაპის სახელით. ჩვენი მიზანია, ამ დოკუმენტის მიხედვით ვიკვლიოთ ასპინძის მუნიციპალიტეტში შემავალი (იმდროინდელი განაწილებით – ახალციხის, ხერთვისისა და ახალქალაქის ლივებში არსებული) სოფლების მკვიდრთა სახელები, რომლებიც შემდგომ დაედო საფუძვლად გვარებისა და მეტგვარების ჩამოყალიბებას.

საყურადღებოა „დავთარისდროინდელი“ დარაიონება, რომელიც განსხვავებულ სურათს ქმნის ასპინძის მუნიციპალიტეტის თანამედროვე დარაიონებასთან შედარებით. „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“ ახალციხის, ხერთვისისა და ახალქალაქის ლივებში მოიაზრებს ასპინძის, ჭაჭარაქის, ხერთვისის, ტყიანი ჯავახეთის, ბუზმარეთის, თმოგვისა და ნიალისყურის რაიონებს, იმ სოფლებსა და ნასოფლარებს, რომლებიც ახლა ასპინძის მუნიციპალიტეტს განეკუთვნება.

„ასპინძის მუნიციპალიტეტი მესხეთის რამდენიმე ისტორიული პროვინციის ნაწილს აერთიანებს, კოდინიდან მოყოლებული, კოხტისხევის გავლით, მტკვრის მარჯვენა სანაპიროს შეყოლებით – ნიჯგორ-ხერთვის-წუნდით, სათავემდე ჯავახეთია. რაიონის ფარგლებშია ბარის ჯავახეთის დიდი ნაწილი და მცირე ტერიტორია მთიანი ჯავახეთისა: ხიზა, სარო, ხიზაბაგრა, ვარგავი, თოკი. ერუშეთის ნაწილიც: ნიალა, ქარზამეთი, ვანი, ბუზმარეთი ასპინძის რაიონში შემოდის. დანარჩენი უმეტესი ფართობი რაიონისა სამცხის ტერიტორიაა. თანამედროვე ადმინისტრაციული დაყოფით რაიონში სულ ოცი დასახლებული პუნქტია, რასაც დაემატა განახლებული სოფლები: ოსკერია (იბერია), გელსუნდა, ფია, ახნია. ბევრად უფრო მჭიდროდ იყო დასახლებული ეს ტერიტორია

ისტორიულად“... ამჟამად ნასოფლარებია: ქარზამეთი, ვარნეთი, კორისხევი, დუმილა, გომი, ლეპისი, ფანაკეთი, ზედა თმოგვი, ვაშლობი, გიორგიწმინდა, ზედა ვარძია, ელიასუბანი, ავაზანა, გუნდი, ქართაშენი, მუკუზანი და მრავალი სხვა (ბერიძე, 2011: 30).

„დავთრის“ მიხედვით, **ახალციხის ლივა** აერთიანებს **ასპინძისა და ჭაჭარაქის რაიონის** იმ სოფლებს, რომლებიც ახლა უკვე ასპინძის მუნიციპალიტეტის შემადგენლობაშია. ამ სოფელთაგან ბევრი უკვე ნასოფლარია, რამდენიმე – სახელცვლილებით ჩვენამდე მოსული და დასახლებული. ესენია: ასპინძის ციხის რაბათი, ზემო ზურზველი, სახუდაბელი, ონღორა, ტამალა, ყური, ჯაბოეთი, ერკოტა, ხვილიშა, იდუმალა, ინდუსა, კოხტას ციხის რაბათი, ვარნეთი, რუსთავი, ინწყორა, ზემო და ქვემო ოშორა, აგარა, ოთა და ჭობარეთი. **ხერთვისის ლივის ხერთვისის რაიონს** მიეკუთვნება: ხერთვისის ციხის რაბათი, როკეთი, ხიზაბავრა, დაღეში, აწკუტა, ტოლოში, თოლერთა, ნიჯგორი, ქუნცა, ბნალა, კვარშა, ალანძია, კულულეთი, გომი, შალოშეთი, გელსუნდა, იფნიეთი, სარო, ოსკერია, ხიზა და ფია. **ხერთვისის ლივის ტყიანი ჯავახეთის რაიონშია** თოკი, **ბუზმარეთის რაიონში**: გუნდი, ვანი, ზემო და ქვემო ბუზმარეთი. **ახალქალაქის ლივის თმოგვის რაიონს** წარმოადგენენ სოფლები: მირაშხანი, ზედა ვარძია, თმოგვის ციხის რაბათი, ფანაკეთი, წუნდა, ჭაჭკარი, ვაშლობი და ვანისქვაბი. **ახალქალაქის ლივის ნიალისყურის რაიონშია**: ზედა თმოგვი, ზემო ნიალა, ახნია, ქვემო ნიალა, ლეპისი, დუმელია, გომი, ვარნეთი და ქარზამეთი.

საბევრო დავთრის ჩანაწერებით, ასპინძის ციხის რაბათის მოსახლენი არიან: გურაზა აბუღასძე, მისი ძმა ჩოღალა, სარგიზ მურადისძე, ზურაბ სარგიზისძე, კირაკოზ შაჰველისძე, მისი ძმები არსენა და ლაშქარა, ვარძელ და ისფენდიარ, ოქროპიდ, ბადურა, სარგიზ გულაზიზისძე, ზარხოშ, მახლურაღასძე, მირიანასძე, მამუკა ყუზანასძე, ამროსა, აბრამისძე, მისი ძმები ვარძელა და პავლია, მაწყვერელის ძე, ზურაბა ირემასძე, იორდანე და მისი ძმა ია, ჰაზარგულ და მისი ძმა აბრამა, დოვლათიარ დოვლათბეგისძე, მისი ძმები ჰაზარგულ და ვარძელ, ვარაზგულ ჰაზარგულისძე, ყუზანა დოვლათბეგისძე, ლაშქარა აბასძე, მისი ძმა მირველი, ტერ-აკოფ, სახელად ხოსიკა, ვარძელ მუშვისძე, სახელად უმიკა, ნურალი, რამაზა პავლესძე, მისი ძმები გრიგოლ და ზურაბა, ყანდუ გრიგოლასძე და მისი ძმა.

როგორც „დავთრიდან“ ჩანს, ასპინძის ციხეს აქვს რაბათი, მისი მოსახლეობა ორმოცდაათ კომლს შეადგენს. სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებულია, რომ რაბათი არაბულად გამაგრებულ სამხედრო ბანაკს ნიშნავს. „შეიძლება დაბეჯითებით ითქვას,- წერს მ.ბერიძე,- რომ არაბობის მძლავრობისა და

საერთოდ, მაჰმადიანი სამყაროს მძლავრობის პერიოდში საქართველოში ბევრი რაბათი უნდა ყოფილიყო. ფაქტობრივად, სადაც ციხე იქნებოდა, ყველგან გვექნებოდა რაბათი. ამის ნათელი მაგალითია „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“, რომლის შედგენის დროსაც, XVI საუკუნის ბოლოს, ყველა ციხეს აქვს თავისი რაბათი – ე.ი. დასახლება (ბერიძე, 2008: 274). რაბათი „დავთარის“ მიხედვით ნიშნავს „ციხე-სიმაგრის მქონე იმ ადგილს, სადაც სახელმწიფო გამოსაღებით დაბეგრული სამოქალაქო მოსახლეობაა თავმოყრილი“ (ჯიქია, 1958: 49). ასპინძაში ცალ-ცალკე კომლად ცხოვრობს სამი ძმა: ვინმე პავლეს შვილები – რამაზა, გრიგოლ და ზურაბა („რამაზა პავლესძე, გრიგოლ ძმა მისი, ზურაბა ძმა მისი“ (ჯიქია, 1941: 130). გრიგოლას ვაჟებიც – ყანდუ და ძმა მისი (სახელი უცნობია) – ცალკე ოჯახის უფროსებად მოიხსენიებიან („ყანდუ გრიგოლასძე, ... ძმა მისი“ (ჯიქია, 1941: 130). მოცემულ შემთხვევაში პავლესძე რომ ჯერ კიდევ მამისახელია და არა გვარსახელი, ამის დასტურია, რომ მამა-ბიძანი: გრიგოლაც, ზურაბაც და რამაზაც პავლესძედ იხსენიებიან, ხოლო გრიგოლის შვილები – გრიგოლასძედ; ან შესაძლებელია, ეს არის მაგალითი იმისა, თუ როგორ ეყრება საფუძველი ახალ გვარს მამის სახელის მიხედვით. სახელს პავლე საფუძველად უდევს ლათინური სიტყვა პაულუს – „პატარა, მცირე“, რომელიც სახელადაც გვხვდება ევროპაში და გვარადაც (ჭუმბურიძე, 1992: 136). ბიბლიიდან ჩვენთვის ცნობილია პავლე მოციქული; ივერიის მონასტრის ერთ-ერთ წინამძღვარსაც პავლე რქმევია (ქორდანი, 1892: 271). პავლესშვილი, პავლეური, პავლიაშვილი დასტურდება „პირთა ანოტირებულ ლექსიკონში“ (პალ, 2007: 10), ხოლო პავლაძე ი.მაისურაძესთან (მაისურაძე, 1990: 131). პავლე ვარაზგულასძე, „დავთარის“ მიხედვით, სოფელ ნიჯგორის მკვიდრია (ჯიქია, 1941: 180); პავლია აბრამისძეს უცხოვრია ასპინძის ციხის რაბათში (ჯიქია, 1941: 130), პავლია ბულდადარისძეს – რუსთავში (ჯიქია, 1941: 141), პავლია რომანოზისძეს – ზემო ოშორაში (ჯიქია, 1941: 143), მამისახელის გარეშე დასახელებული ვინმე პავლია იდუმალაში (ჯიქია, 1941: 139), იონა პავლიასძე გვხვდება ვარნეთში (ჯიქია, 1941: 141), პავლესძე დასტურდება ასპინძასა და საროში (ჯიქია, 1941: 130, 188). გვხვდება პაველა ფორმაც: პაველა პაპასძე – ზემო ბუზმარეთში (ჯიქია, 1941: 210) და ოქრო პაველასძე – ქვემო ბუზმარეთში (ჯიქია, 1941: 211).

გრიგოლი/გრიგოლა ბერძნულიდან მომდინარე სახელია („მღვიძარე, ფხიზელი“ ჭუმბურიძე, 1992: 105) და უდევს საფუძველად გვარებს: გიგოლაშვილები, გრიგოლია. შდრ. სოფელი გრიგოლიში ზუგდიდის რაიონში (მაისურაძე, 1990: 50); სოფ. გრიგოლეთი გურიაში. „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრიდან“

ცნობილია, რომ **გრიგოლა** გულაზიზისძე სოფელ ბნალას მკვიდრია (ჯიქია, 1941:182), სახელად გრიგოლ – ინდუსისა (ჯიქია, 1941: 140). რამდენიმე გრიგოლაა ზველში: **გრიგოლა** გულასძე, **გრიგოლა** დანიელისძე, **გრიგოლა** ისაიასძე და **გრიგოლ** ისასძე (ჯიქია, 1941: 132), სოფელ იდუმალაშიც ყოფილა **გრიგოლი**, რომლის მამისახელი გაუშიფრავია (ჯიქია, 1941: 139); ჭობარეთში დასტურდება გარსევან **გრიგოლისძე** (ჯიქია, 1941: 160), ხერთვისის ციხის რაბათში კი ორი ძმა **გრიგორისძე**: პაპუ და მელიქა, ასევე **გრიგორ** ბაჭასძე, **გრიგორ** მღვდელი და **გრიგორი** მამისახელის გარეშე (ჯიქია, 1941: 171, 172).

ასპინძელი გრიგოლ პავლესძის ერთ-ერთი ვაჟის სახელი **ყანდუ** შეუმოკლებელი ფორმით – **ყანდურალი** – დაფიქსირებულია „მესხურ ქრონიკებში“, „თოფქაფის სასახლის არქივში“ (F-134) და გურჯისტანის ვილაიეთის საბეგრო დოკუმენტში (კერძოდ, ხერთვისისა – ყანდურალი მირზასძე და ტოლოში – ყანდურალი მინდოდასძე (ჯიქია, 1941: 178; 187). ამ უკანასკნელის მიხედვით, **ყანდო** აზარგულისძე ხიზაბავრის მკვიდრია (ჯიქია, 1941: 176), **ყანდუ** – თმოგვის ციხის რაბათის და ხერთვისისა (ჯიქია, 1941: 171, 240), **ყანდუსძე** – ხერთვისის (ჯიქია, 1941: 172). **ყანდია**, **ყანდუაი** მითითებული აქვს ა.დლონტს „ქართველურ საკუთარ სახელებში“ (დლონტი, 1967: 138). ვფიქრობთ, ყანდი, ყანდუ მეტათეზისის შედეგია და უნდა მომდინარეობდეს ბიბლიური სახელიდან **ყადინ**, რომელიც ი.გაგულაშვილის აზრით, „ნაზის, სათუთის, ნატიფის“ აღმნიშვნელია (გაგულაშვილი, 1993: 122). ი.მაისურაძეს „ქართული გვარსახელების სალექსიკონო ბიბლიოგრაფიულ მასალებში“ მითითებული აქვს გვარები: ყანდარელი (შდრ. ქალაქი ყანდაარი ირანში), ყანდიაშვილი, ყანდინაშვილი, ყანდილაძე/ყანტილაძე (მაისურაძე, 1990: 182, 183). **ყანდურ** „დასათრომლად გამზადებული ტყავი, ნედლი ტყავია“ მ.ჯიქიას „თურქიზმები ქართველურ ანთროპონიმიაში“ მიხედვით; მეცნიერს ძველ საბუთებში შეხვედრია გვარი **ყანდურალისშვილი** (ჯიქია, 2008: 96).

„ძველად სადაურობის აღმნიშვნელ სახელებში -ელ სუფიქსთან ერთად გვქონდა მ- პრეფიქსიც, რომელიც დღემდე შემორჩენილია რამდენიმე გვარში: მატაბელი, მაჩაბელი, მეტრეველი, მარგველი...“ (ჭუმბურიძე, 1992: 73). ხუთი საუკუნის წინანდელ ასპინძის ციხის რაბათის საბეგრო სიაში **მაწყვერელისძეც** იკითხება. ეჭვგარეშეა, რომ მისი წინაპარი აწყურიდან უნდა ყოფილიყო (აწყუერი/აწყვერი > მ-აწყვერ-ელ-ი). შდრ. მაწყვერელი არის სასულიერო თანამდებობა. „გრიგოლ ხანძთელის ცხვრებაში“ ვკითხულობთ: „ღირსნი არსენი და ეფრემ, მოწაფენი და აღზრდილნი გრიგოლისნი, სათნო-იყვნა ნებაჲან ღმრთისაჲან მწყემსმთავრად სამწყესოთა მათ თვისთა პირმეტყუელთა. რამეთუ

დიდ ევრემ იქმნა ეპისკოპოს აწყურისა საყდარსა სამცხეს“; ასევე: „ხოლი ყოველი ვერ შეუძლევ აღწერად უმეცრებისა გზითა, რამეთუ ვჭკონებდ ცხორებისა ამის დაწერას ბრძენთაგან: დიდი სოფრონ, სანატრელი მამაი, ღმერთშემოსილი ილარიონ პარეხელი, ქრისტეს მღვდელთმოდუარნი ღირსნი გიორგი მაწყვერელი ეპისკოპოსი და სტეფანე მტბეგარი ეპისკოპოსი პირველი“ (ქპძ., 2011: 368). „მცხეთის საბუთების“ მიხედვით, მაწყვერელი ეპისკოპოსი კათალიკოსს ერთგულების წიგნს უგზავნის: „აწ ესე წიგნი მე, მაწყვერელმთავარებისკოპოსმან გერასიმე კადრე და მოგაკსენე და ვინც შემდგომად ჩემსა სხუანი მაწყვერელნი იყუნენ და საყდრიშვილნი, როგორც ამას წინათ მეფეთ მლოცველნი და თქუენნი მამკსენებელნი და ერთგულნი ყოფილან, ამავე წესითა მეფეთ მლოცველნი ვიყუნეთ და თქუენნი მომკსენებელნი...“ (შარაშიძე, 1961: 23).

XVI საუკუნის მიწურულს ასპინძის მცხოვრებთაგან მამისახელის გარეშე გვხვდება ორი ოჯახის თავკაცი: სახელად ხოსიკა და სახელად უშიკა. ეს პირსახელები საფუძვლად უდევს მეტგვარს – უშეკაანთ (ხოსინა) (პალ. 2007: 261) და გვარსახელებს: ხოსიაური, ხოსიაშვილი, ხოსიტაშვილი (ხოსიტაშვილი მითითებული აქვს ი. მაისურაძეს ახალქალაქის რაიონის სოფელ გოგაშენში), უშეკაშვილი (უშეკა, უშეკი XVII საუკუნის საამილახვროს დავთრის სახელებშიც გვხვდება; ღლონტი, 1967: 226), უშიკაშვილი (მაისურაძე, 1990: 158).

ასპინძის ციხის რაბათში დოვლათბეგისძენი არიან დოვლათიარ, ჰაზარგულ და ვარძელ. მამისა და ბიძების გვერდით იხსენიება ვარაზგულ ჰაზარგულისძე. დოვლათიარი მამის მოსახელეა. „დოვლათი“ ხეავის, ბარაქის, სიუხვის აღმნიშვნელია და შესაძლებელია, მეტსახელიდან მომდინარე იყოს ეს სახელი. დოვლათბეგის მეორე კომპონენტი, მ.ჯიქიას გამოკვლევით, ოსმალთა იმპერიაში დაერთვოდა დიპლომატების, თარჯიმნებისა და მოხელეების სახელებს. ბეგი, თურქული განმარტებით, თავადის, ფეოდალის, ბატონის, წარჩინებულის, სამოქალაქო თუ სამხედრო დარგის მოხელეთა, მაღალი თანამდებობის პირთა საპატიო ტიტულია (ჯიქია, 2007: 261). მიმართვისას ხშირი გამოყენების შედეგად იგი მრავალი პირის სახელს შეერწყა (ჯიქია, 2008: 38). მ.ჯიქიას აზრით, ბეგისაგან მომდინარე სახელებია: ბეგა, ბეგუა, ბეგია, ბეგოია. ვფიქრობთ, იმავე ფუძიდან ნაწარმოები უნდა იყოს ა.ღლონტის „ქართველურ სახელებში“ დადასტურებული: ბეგალა, ბეგინა, ბეგლარი, ბეგნია, ბეგო (ღლონტი, 1967: 56). ამ სახელისგან წარმოქმნილი გვარებია: ბეგაია, ბეგაშვილი, ბეგაძე, ბეგიაშვილი, ბეგიშვილი, ბეგოაშვილი, ბეგოიძე, ბეგოძე, ბეგუაშვილი (ჯიქია, 2007: 261). ბეგლართან დაკავშირებით, ი.ახუაშვილი აღნიშნავს, რომ თურქული სიტყვა

ბეგი, ბეგა (გვიანდელი გამოთქმით ბეი), რაც ბატონს ნიშნავს, ქართულში საკუთარ სახელად არის ქცეული; ბეგლარ „ბატონები“ (ახუაშვილი, 1994: 655). მეცნიერთა აზრით, თურქული სოციალური ტერმინი (ბეგ) ქართველთა ანთროპონიმიკონში 150-მდე რთული სახელის პირველი ან მეორე კომპონენტია (გურგენიძე-ჯიქია, 1994: 32). სწორედ ამ ფაქტზე მიანიშნებს მ.ბერიძე როცა წერს, რომ ოსმალეთის მიერ დაპყრობილ საქართველოში განსაკუთრებით პოპულარული იყო ოსმალეთის უმაღლესი ხელისუფლის (სულთანი) აღმნიშვნელი ტერმინის გამოყენება საკუთარ სახელად **სულთანა** (ბერიძე, 2012: 13). ანალოგიურია, **ამილბარისა** და **მელიქის** დარქმევა ქართველთა შორის. „დავთრის“ ჩანაწერით, **სულთანას შვილიშვილს**, ოქრო **სულთანასძეს** და მის ძმას **ამილბარს** უცხოვრიათ სოფელ ზველში (ჯიქია, 1941: 132). **ამირბარი** აგარაში გვხვდება (ჯიქია, 1941: 145), ილია სულთანასძე კი – ზედა თმოგვში (ჯიქია, 1941: 246). მ.ბერიძის აზრით, თურქული ან სხვაენოვანი ლექსიკის საფუძველზე წარმოქმნილი სახელების მატარებელნი არ უნდა განვიხილოთ სხვა ეროვნებად, რადგან სახელის დარქმევა ხშირად განპირობებული იყო ერთგვარი „მოდით“ და სერიოზულ, თუნდაც სარწმუნოებრივ შეზღუდვებს არ ემორჩილებოდა (ბერიძე, 2012: 13).

დოვლათბეგის შვილის – **ჰაზარგულისა** და მისი ძის, **ვარაზგულის**, სახელების შემადგენლობაში **გულ** კომპონენტი სპარსულად „ვარდის“ აღმნიშვნელია; ქართულში გავრცელებული ყოფილა სპარსულიდან მომდინარე გულბაათ, გულდამ, გულდა, გულანდამ, გულანდარ სახით (ჭუმბურიძე, 1992: 106, 156). შემდგომში ქართულმა ანთროპონიმიკონმა გაითავისა სახელები: გულია, გულიკო, გულისა, გულისვარდი, გულსუნდა. **გულისა** ქართული სახელია, სურვილის სახელი (გულ-ის-ა). რაც შეეხება **გულაზიზისძეს** (ჯიქია, 1941: 130; 182), ვფიქრობთ, თხზული სახელია, მეტსახელიდან მომდინარე: გულ-აზიზი – „ფაქიზი, ყველაფერს რომ ვერ ჭამს“; (შდრ. აზიზ-მაზიზი (ფშ.) – ნაზი, სუსტი, სათუთი. დლონტი, 1984: 25). ასევე შესაძლებელია მიღებული იყოს: გულნაზი// გულნაზისი > გულაზიზი. ზ.ჭუმბურიძე მიუთითებს, რომ **გულნაზ** სპარსულად „კოხტა ყვავილია“, რომ სახელით „ნაზი“ ძველ სპარსულში მოიხსენებდნენ კაცებს, ახალ სპარსულში კი ეს სახელი დაუკავშირდა ქალს (ჭუმბურიძე, 1992: 157). გულაზი დასტურდება ალ.დლონტთან (დლონტი, 1967: 69). ინწყორაშიერთ-ერთიოჯახის უფროსია **გულისა** გენებასძე (ჯიქია, 1941: 143), **საბაგულას** უცხოვრია ვარნეთში (ჯიქია, 1941: 141), **სამანაგულას** – ინდუსაში (ჯიქია, 1941: 140), **გულია** ფიქსირდება კოხტას ციხის რაბათში (ჯიქია, 1941: 140), **გულა** ბერისძე – საროში (ჯიქია, 1941: 187), **გულა** ოჰანეს ბაინდურისძის ძმა – თმოგვის

ციხის რაბათში (ჯიქია, 1941: 240), გულო მაზმანისძე –ხერთვისში (ჯიქია, 1941: 172). XVIII-XIX საუკუნეებში საქართველოში გავრცელებულ სახელებში იახუაშვილს დასახელებული აქვს მამაგული (ახუაშვილი, 1994: 645). ოსმალო დევთერდარების ცნობით, ბასილა მამაგულასძე მირაშხნის მკვიდრია (ჯიქია, 1941: 239).

ასპინძის მკვიდრნი არიან კიდევ ერთი **ჰაზარგული** და მისი ძმა **აბრამა**. **ჰაზარგული**ს პირველი ნაწილი **აზა** არაბულად „ძვირფასს, საყვარელს“ გულისხმობს. „ქართველურ სახელებში“ მითითებულია: აზან, აზარია, აზნავირ, აზატა (ღლონტი, 1967: 45). ი.მაისურაძეს დადასტურებული აქვს გვარები: აზალაძე და აზანაშვილი (მაისურაძე, 1990: 18), ცნობილი გვარია აზარაშვილი. ახალციხესა და ადიგენში ახლაც ცხოვრობენ **აზირაშვილები**. ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაქალაქევში დავაფიქსირეთ ბერიძეთა შტოგვარი **ჰაზირაანი/აზრანი**, რომელთა წინაპრებიც ზედათმოგვიდან ჩამოსულან ნაქალაქევში (ინფორმ. რუსუდან კაველიძე). გადმოცემით, ბერიძეთა ქალის, სარას, დაქვრივების შემდეგ მასზე დაქორწინდა სოფელ ხოსპიოდან მოსული იშილა (სხვადასხვა ინფორმაციით, გიორგი/მიხეილი). თათრებმა მას „ჰაზირა“ შეარქვეს, როგორც „მზამზარეულზე“ მოსულის მეტსახელი. შემდგომში მის შთამომავლებს იშილანი უწოდეს, მეორენაირად – **ჰაზირაანი**. „დავთრის“ მიხედვით, XVI საუკუნეში სოფელ თმოგვის ციხის რაბათში უცხოვრიათ **ჰეზარგულს**, **ჰაზართელ** ნურაზიზისძეს და ბერო **ჰაზართელასძეს** (ჯიქია, 1941: 240-141). -ა მანთროპონიმებული სუფიქსით გაფორმებული **ვარაზა** გვხვდება „ქართლის ცხოვრებაში“ (ქც, 1959: 370). ვარაზი წარმოშობით ირანულია და „გარეულ ტახს“ ნიშნავს (ჭუმბურიძე, 1992: 10). ეს სახელი ფიგურირებს გვარადქცეულ საკუთარ სახელში **ვარაზი** და გვარსახელში **ვარაზაშვილი** (მაისურაძე, 1990:63). შდრ. ტოპონიმები: ვარაზის ციხე (ასპინძა), ვარაზი, ვარაზისხევი. „მესხური ქრონიკებიდან“ ცნობილია, რომ **კოკოლა ვარაზაშვილი** ძმასა და ბიძასთან ერთად ეურჩება ათაბაგებს. რაც შეეხება ვარძელ დოვლათბეგისძეს, მას რამდენიმე მოსახელე ჰყოლია ასპინძის ციხის რაბათში: ერთი ვარძელი აბრამისძეა, მეორე – მუშვისძე, მესამე კი ისფენდიარის ძმაა.

ვარძიას უნდა უკავშირდებოდეს „დავთარში“ მოცემული სახელები: **ვარძელ** და **ვარძელისძე**. ასე ფიქრობს ზ.ჭუმბურიძეც და ძველ ქართულში ადგილის სახელწოდებიდან ნაწარმოებ პიროვნულ სახელებში (ბირთველ, ორბელ, გაგელ, თორელ) აერთიანებს **ვარძელს** (ჭუმბურიძე, 1992: 71). მ.ბერიძის აზრით, ვარძელი ვარძიიდან წამოსულ კაცს დაერქმეოდა თავიდან და შემდეგ იქცა საკუთარ სახელად (ბერიძე, 2012: 15). ვარძელი ფართოდ გავრცელებული სახელია

„გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“, ამას მოწმობს სხვადასხვა სოფლის აღწერა: როკეთის მცხოვრებთაგან ერთ-ერთი ვარძელ გალობელასძე (ჯიქია, 1941: 175), ვარძელ ზაზასძე ცხოვრობს ქუნცაში (ჯიქია, 1941: 182), ხოლო აწყვიტაში სახელის გარეშე მოხსენებულია ვარძელისძე (ჯიქია, 1941: 178), ერკოტელი ვარძელი გიორგისძეა (ჯიქია, 1941: 138); ზველში ვარძელ გურგენისძე, ვარძელ ატომასძე, ქემაზას ძმა ვარძელი და მახარა ვარძელისძე დასტურდება (ჯიქია, 1941: 132); სახუდაბელში ვარძელ აბესალომისძე და მისი ძმა ელია ცხოვრობენ (ჯიქია, 1941: 134); ქვემო ოშორელია ვარძელ მახარასძე (ჯიქია, 1941: 144), ჭობარეთშია ვარძელ მამუკასძე (ჯიქია, 1941: 159), ხერთვისის ციხის რაბათში ცხოვრობს ექესი ვარძელი, მათ შორის ვარძელ ზათელისძე, ვარძელ შაჰყუბადისძე და ვარძელ ბეჟანისძე (ჯიქია, 1941: 172-173); თოლერთის მკვიდრია ია ვარძელისძე (ჯიქია, 1941: 179), ფის– ივანე ვარძელისძე; ნიჯგორში ერთ-ერთი კომლის მოთავეა ვარძელ აბაგულისძე (ჯიქია, 1941: 180), შალოშეთში უცხოვრია ვარძელ ნიკოლოზისძეს (ჯიქია, 1941: 185), საროდანაა ვარძელ ბერისძე (ჯიქია, 1941: 187), თმოგვის ციხის რაბათის მკვიდრია ვარძელ ბერასძე (ჯიქია, 1941: 240), ინდუსაში მოხსენიებულია ვარძელ შოთასძე (ჯიქია, 1941: 140) და ა.შ. ა.დლონტის „ქართველურ საკუთარ სახელებში“ გვხვდება ვარძელის სხვადასხვამაწარმოებლიანი ვარიანტები: **ვარძელა, ვარძიელა, ვარძუკა** (დლონტი, 1967:79). ი.მაისურაძეს მესხეთისა და ქართლის რაიონებში დადასტურებული აქვს გვარსახელი ვარძელაშვილი, ამავე ძირისად მიაჩნია: ვარძელაძე, ვარძიაშვილი, ვარძიელი, ვარძუკაშვილი (მაისურაძე, 1990: 64). XIX საუკუნის დასასრულს სოფელ ხიზაბავრაში უმოღვაწია მღვდელ მიხეილ **ვარძიელს**, იგივე **ვარძელაშვილს**, მისი თაოსნობით აშენებულა ახალი ეკლესია და გახსნილა კათოლიკეთა კერძო სასულიერო სემინარია. შემდგომში „1904 წელს ხიზაბავრის ადგილობრივი ერთკლასიანი სკოლა მღვდელ ვარძელაშვილის თანხმობით გადაეცა ხაზინას და გადაკეთდა ორკლასიანად, ქალთა პროფესიული განყოფილებით“ (სუდაძე, 1998: 71).

ასპინძის ციხის რაბათის მცხოვრებნი არიან ძმები: **ია** და **იორდანე**, მათი მამისახელობის ამოკითხვაც ვერ მოხერხებულა დიაკრიტიკული ნიშნების გარეშე, ისევე როგორც უწერტილო არაბული ასოებით გადმოცემული ზოგი საკუთარი სახელისა. ია, თანამედროვე ქართულში, როგორც ცნობილია, მამაკაცის სახელად აღარ გვხვდება, გარდა იაკობის შემოკლებული ფორმისა (იაკობ > იაკო > ია), თუმცა ის დადასტურებულია ჯერ კიდევ IX საუკუნის „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში“. ზ.ჭუმბურიძეს მიაჩნია, რომ **ია** შესაძლოა მომდინარეობდეს არაბული **იაჰიასაგან** (ჭუმბურიძე, 1992: 117). ჩვენი აზრით, **ია**

ყვაილის სახელიდან მოდის, ვარდიას, ვარდოსა და ენძელას მსგავსად (შდრ. **ყაყაჩო** – მამაკაცის მეტსახელი ზველში). ვინმე ია ვარძელისძე ფიქსირდება თოლერთაში (ჯიქია, 1941: 179). იასგან უნდა მომდინარეობდეს გვარები: იაძე და იაშვილი. **იასძე** დასტურდება სოფლებში: ერკოტასა და ჭობარეთში (ჯიქია, 1941: 138, 160). ი.მაისურაძის ცნობით, იაშვილთა სათავადოს ჩამოყალიბებას ვარაუდობენ XV საუკუნეში, ყველაზე ადრინდელი ცნობა დაცულია 1432 წლის სიგელში (მაისურაძე, 1990: 78). რაც შეეხება სახელს **იორდანე**, ძველ ებრაულად, „მდინარეს, მდინარებას“ აღნიშნავს. აქედან ნაწარმოები ქართული გვარები: იორდანიშვილი, უორდანია (< იორდანია) (ჭუმბურიძე, 1992: 120). „დავთრის“ მონაცემებით, ტოლოში უცხოვრია **იორდანე მღვდელს**. სოფლის გამოსაღების შემდეგ მინაწერია: **იორდანე ბერის** ვენახი, „აწ ჰაჯი რიდვანის მფლობელობაში, სასამართლოს განაჩენის თანახმად, იჯარის წესით წელიწადში ორმოც ახჩას იძლევა“ (ჯიქია, 1941: 179). რა თქმა უნდა, საუბარია ერთსა და იმავე პიროვნებაზე.

არ ხერხდება მამისახელის ამოკითხვა ასპინძელი **ნურალის** (ჯიქია, 1941: 131) შემთხვევაში. **ნურალას** უცხოვრია კულუღეთსა და ქარზამეთში (ჯიქია, 1941: 184, 254), ამ სახელების ფუძე უნდა იყოს ნური, რომელიც -ალ სუფიქსითაა გაფორმებული. როგორც ზ.ჭუმბურიძე მიუთითებს, **ნური** არაბულად „შუქს, სინათლეს“ აღნიშნავს (ჭუმბურიძე, 1992: 134). ი.მაისურაძის „ქართულ გვარ-სახელებში“ ამ სახელიდან მომდინარე გვარებია: ნურიძე და ნუროშვილი (მაისურაძე, 1990: 126). **ნური, ნურო, ნურუა, ნურალი** გვხვდება აღ.დლონტთან (დლონტი, 1967: 111). პირთა ანოტირებულ ლექსიკონში რამდენიმე ნურალა ფიქსირდება, ერთ-ერთი „ნურალა ახალციხიდან გორში წაუყვანიათ, წილად ერგო ჯიმშიტა თუმანიშვილს“ (პალ, 2004: 315). იქვე მითითებულია: **ნურალასშვილი** და **ნურალაშვილი** (პალ, 2004: 126).

აბრამა და **აბრამისძე** ფიქსირდება ასპინძაში. **აბრამ** ძველ ებრაულად არის „მამა სიმაღლისა“ ან „ამაღლებული“. ამ სახელიდან მიღებული გვარებია: აბრამიშვილი, აბრამიძე, აბრამია (ჭუმბურიძე, 1992: 93). ძალიან გავრცელებული სახელია, ერქვა ებრაელთა მამამთავარს; მოფერებითი ფორმაა **ავი/აბი** (< ავრაჰამ) (გაგულაშვილი, 1993: 106). ამ სახელიდან მომდინარე გვარები არ დასტურდება ასპინძის მუნიციპალიტეტში. სანაცვლოდ, ერკოტის ტოპონიმიში გვხვდება **აბრამასთავი, აბრამას ჩოქაქი**. „აბრამა, ეტყობა, პატრონი იყო ამ ადგილისა“ (ბერიძე, 2013: 3).

„სახელთა ერთი ჯგუფი შინაარსობრივად დროის გამოსატვას უკავშირდება: ნაწარმოებია იმ დღის, თვის ან დღესასწაულის სახელწოდებისაგან, როცა

ბავშვი დაიბადა“. ზ.ჭუმბურიძის აზრით, არაბულიდან მომდინარე უნდა იყოს სახელი **რამაზ**, რომელიც, სავარაუდოდ, უკავშირდება მაჰმადიანთა მარხვისთვის სახელწოდებას – **რამაზანს** და ნიშნავს ამ თვეში დაბადებულს (ჭუმბურიძე, 1992: 137). ანალოგიურია ბაირამი და ნოვრუზი. სახელი **ბაირამ** კორისხევში დასტურდება (ჯიქია, 1941: 253). მ.ჯიქია ადასტურებს ქართულში ბაირამიდან ნაწარმოებ პატრონიმს – ბაირამაშვილი (ჯიქია, 2008: 100). ასპინძაში უცხოვრიათ **რამაზა** პავლესძეს და **რამაზას შვილიშვილს** (ჯიქია, 1941: 131). რამაზა მურადისძე ბნელის მკვიდრია (ჯიქია, 1941: 182), ზარასფა **რამაზასძე** – ნიჯგორის (ჯიქია, 1941: 180), უმამისსახელოდ გვხვდება რამაზა თოქსა და ფიაში (ჯიქია, 1941: 201, 190). პაპის სახელად რამაზა გვაქვს ჭაჭკარსა და გუნდში (ჯიქია, 1941: 243, 210). იახუაშვილის ცნობით, ვახუშტი ბატონიშვილი რამაზისშვილებს თავადთა შორის მოიხსენიებს: „რამაზისშვილი და დავითისშვილი არიან ავგიორგის ძმის დიმიტრისაგან, რომელი არჩენა მეფემან და არიან მიერთგან აქა“ (ახუაშვილი, 1994: 504).

ასპინძელები არიან **კირაკოზ** შაჰველისძე და მისი სამი ძმა, რომელთაგან ორის სახელი ცნობილია (**არსლანა** და **ლაშქარა**), მესამის სახელი კი ვერ ამოუკითხავს ს.ჯიქიას. ვფიქრობთ, კირაკოზ უნდა მოდიოდეს ბერძნული „კვირიოს“ ფორმიდან, რომელმაც ზ.ჭუმბურიძის აზრით, მოგვცა კვირიკე ქართული შესატყვისით „უფლისა“ (ჭუმბურიძე, 1992: 123). ბერძნულთან ყველაზე ახლოს დგას სომხურში დაცული „კირაკოს“, აქედანაა გვარი – კირაკოსიანი. ქართულში კვირიკედან მომდინარეობს: კვირიკაძე და კვირიკაშვილი (მდრ. ტოპონიმი **საკვირიკე**). ხერთვისის ციხის რაბათში დოკუმენტირებულია **კირაკოს** ყანდუსძე და ბატატა **კირაკოსისძე** (ჯიქია, 1941: 172). კირაკოზის ქართულენოვანი სახელი **კვირიკა** დასტურდება ერკოტასა და ქვემო ოშორაში: კვირიკას შვილიშვილი (ჯიქია, 1941: 138), კვირიკა ხელასძე (ჯიქია, 1941: 144). კირაკოზის ძმის სახელი **არსლანა** ორი მიმართულებით შეიძლება განვიხილოთ. ამ სახელთან ახლოს დგას ბერძნული **არსენ** „მამაცი, ვაჟკაცი“, მისგან ნაწარმოები გვარებია: არსენიძე, არსენიშვილი (ჭუმბურიძე, 1992:96). უფრო სარწმუნოა, არსლანთან **ასლანის** (თურქ.) დაკავშირება, რომელიც ადრე „ლომს“ აღნიშნავდა, მოგვიანებით კი – „გმირს, გოლიათს, დიდს“. ამ სახელიდან ნაწარმოები გვარებია: ასლანიშვილი, ასლანიკაშვილი, ასლანიძე (ჭუმბურიძე, 1992: 97). ასლანის მნიშვნელობის ცვლა მიგვანიშნებს, რომ ეს სიტყვა თურქულში ჯერ გაანთროპონიმებული, ხოლო შემდეგ აპელატივიზებული, ანუ საზოგადო სახელთა რიგში იყო გადასული.

ასპინძის ციხის რაბათში უცხოვრიათ **სარგიზ გულაზიზისძეს** და **სარგიზ მურადისძეს**. **სარგისი**, იახუაშვილის გამოკვლევით, ასურული სახელია და მისი მნიშვნელობა დაუდგენელია. აქედანაა გვარი სარგისაშვილი, შემდგომში სარქისაშვილი, რუსული დაბოლოებით: სარქისოვი. სარგის სახელით ცნობილია ბევრი ისტორიული პირი, განსაკუთრებით თმოგველთა და ჯაყელთა საგვარეულოდან (ახუაშვილი, 1994: 642). ასპინძელია ზურაბ **სარგიზისძე** (ჯიქია, 1941: 130); მასურა **სარგისისძეს**, ელიაზარ **სარგისისძეს** და ასითა **სარგისისძეს** უცხოვრიათ სოფელ აგარაში (ჯიქია, 1941: 145); XVI საუკუნეში ხერთვისის მკვიდრია **სარგის** მელიქი (ჯიქია, 1941: 171). „დავთრის“ მიხედვით, **სარგის** არაქელისძე, **სარგის** მალიქისძე და ვინმე **სარგიზისძე** არიან თმოგვის ციხის რაბათის მცხოვრებნი (ჯიქია, 1941: 240-241).

ახალციხის ლივის ასპინძის რაიონში შემავალი სოფელი **აგარა—ჩაირ** **ოთარაშენითურთ** დოკუმენტირებულია ოცდათერთმეტი ოჯახის უფროსით, რომელთაგან რამდენიმეს სახელის ამოკითხვა ვერ მოხერხებულა. აგარა ადგილის სახელად ხშირად გვხვდება „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“. ჩვენი კვლევის ობიექტს ს.ჯიქია „ასპინძის აგარას“ უწოდებს ახლომდებარე პუნქტების გათვალისწინებით (ჯიქია, 1958: 200). ვახუშტი ბატონიშვილს აგარის მიმდებარე ადგილები ასე აქვს აღწერილი: „კუალად მტკუარს მოერთვის, წითელ კლდეს ზეით, ღობიეთის პირისპირ, ოშორის ხევი. ამ ხევზედ, **ხემო ოშორას** ზეით, არს მონასტერი გუმბათიანი, დიდკეთილად ნაგები და აწ ცალიერი. ოშორას ხევის შესართავს ზეით, **ინდუსას**, არს ხიდი მტკუარზედ. მას ზეით მოერთვის მტკუარს სუელის ხევი დასავლეთიდან. ამას ზეით ერთვის მტკუარს ასპინძის ხევი აღმოსავლეთიდან, გამოსდის კოდიანისას ანუ ჯავახეთის მთას. ამის შესართავთან არს ხიდი მტკუარსა ზედა. **ასპინძის** თავს და **აგარის** ბოლოს არს **ციხე კლდესა ზედა შენი**, მაგარი. ასპინძას ზეით, ჩდილოთ კერძოთ, არს მგელციხე, მაგარი, დიდშენი. ამავე ხევზედ, **ოთას** არს კლდესა შინა გამოკუეთილნი ქუაბნი დიდ-დიდნი, სახიზრად. ოთას ამ ხევის ერთვის ჯაბოეთის ხევი“ (ვახუშტი, 1973: 666). მართლაც, საბეგრო წიგნში სოფელ აგარასთან მიმდებარედ აღწერილია სოფლები: ჯაბოეთი, ინდუსა, კოხტას ციხის რაბათი, ვარნეთი, **ხემო** და **ქვემო ოშორა**, **ინწყორა**, და **ოთა** (ჯიქია, 1941: 140-146).

„დავთრის“ მიხედვით, აგარაში უცხოვრიათ: ზანდარა მაცხოვნასძეს და მის ძმებს: გოგიბერასა და ლონდარას; სელმან კუპარასძეს, პაპუნა ასმანასძეს, ასითა სარგისისძეს, ადღგომელ იმანასძეს, მის ძმას – ჩუბინას, რომანოზ მღვდელს, ელიაზარ სარგისისძეს, ძმებს: იმარინდოს, ამირბარს, გულიას და

მიქელას; დემეტრე მამისასძეს, გაბოს, მჭედელსა და მის ძმას – რამაზას, მახარებელ კუპარასძეს, მეორე მახარებელს, რესაფ დავითასძეს, სახელად პაპუნას, იმედა ფირიჯანისძეს და მის ვაჟს, გიორგი პაპუნასძეს, სახელად დავითას, მასურა სარგისისძეს და მაცაცა იმანასძეს.

ა.დლონტის თვალსაზრისით, ქართველურ ანთროპონიმოლოგიაში მნიშვნელოვან ფუნას ქმნის ზმნა, რომლის პირიანი და უპირო ფორმები საკუთარ სახელადაა გამოყენებული (დლონტი, 1967: 18). ქვოდერძიშვილის „ქართველური ანთროპონიმოლოგიის ძირითად საკითხებში“ ვერბოფორულ ანთროპონიმებად მონათლულია ინდიგენურ სახელთა ის ჯგუფი, რომელთაც საფუძვლად უდევს ზმნური და სახელზმნური სიტყვები (გოდერძიშვილი, 2012: 57). ამგვარ სახელებს განეკუთვნება აგარაში დადასტურებული **მაცხონასძე**. **მაცხონა** წყვეტილის ფორმაა (მან მე), ისევე როგორც ზველსა და როკეთში დადასტურებული **იმატა** (იმატა გაბუასძე და იმატას შვილიშვილი). სწორედ ასეთი სახელები აქვს მხედველობაში მბერიძეს, როცა აცხადებს, რომ გაჭირვების, ომებისა და დაპყრობათა ფონზე ხალხში ოპტიმიზმი ჭარბობს, ამიტომ მშობლები სიხარულს, მატებას, იმედს დებენ შვილთა სახელებში (ბერიძე, 2012: 16). პირთა ანოტირებულ ლექსიკონში დადასტურებულია, რომ XVII საუკუნეში **მაცხონასშვილი** დარჩია, იმერხევეში მცხოვრები, ედიშერ და პაპუნა ციციშვილების გაყრის დროს მამულით რგებია ედიშერს (პალ, 2004: 113).

სახელდება რაიმე ნიშნის მიხედვით ჩვეულებრივი ფაქტია. წინაპართა ფერის მიხედვით ახასიათებენ გვარებს: შავაძე, თეთრაძე, თეთრაშვილი, წითლანაძე, ჭრელაშვილი, თვალჭრელიძე. ზ.ჭუმბურიძე მათ რიცხვში აერთიანებს: კუპრაძეს, კუპრაშვილს, კუპრავას და მიუთითებს, რომ კუპრი აქ ნახმარია „შავის, შავგვრემანის“ აღსანიშნავად (ჭუმბურიძე, 1992: 65). აგარის მკვიდრთაგან ორი **კუპარასძეა**; ეტყობა, რომ ძმები არ არიან, რადგან „დავთრის“ ჩამონათვალში ერთმანეთის მიყოლებით არ არიან წარმოდგენილი, მეტიც, მახარებელ კუპარასძე სელმანის შემდეგ მეთექვსმეტე მეკომურად წერია. ელია კუპარასძე დადასტურებულია სოფელ ჭობარეთში (ჯიქია, 1941: 160). **კუპარა** შეკუმშული ფორმით **კუპრა** „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ ადარნერსე კურაპალატის მონაზვნად შემდგარი მეუღლის წინაშე წარგზავნილ მოციქულს ჰქვია: „და მსწრაფლ-ხოლო წარავლინა კაცი კეთილი, რომელსა ერქუა კუპრა, წინაშე დედოფლისა მის შენდობისა თხოვად“ (ქპძ, 2011: 386). პირთა ანოტირებულ ლექსიკონში რამდენიმე **კუპრაძე** და **კუპრაშვილი** გვხვდება (პალ, 1999: 540-541). **კუპარი** შოთა მოიხსენიება მემატეანის ნაამბობში: „კოხტას თავსა“ შეკრებილ მთავართა შორის (ქამთააღმწერელი, 1959: 668). მბერიძემ ყურადღება მიაქცია იმ

ფაქტს, რომ ვარიანტებში შოთა არის კუპრო, კუპრი, კუპრაი, კუპრა. მისი მოსაზრებით, ძირითად ტექსტში გამოტანილი კუპარ ფორმა კუპრთან არის დაკავშირებული და შოთას მეტსახელით წარმოაჩენს. კუპრა წარმოქმნილი სახელია, სადაც -ა სუფიქსი მსგავსების აღმნიშვნელია (ბერიძე, 2009–2: 12). ქეგლ-ში კუპრი განმარტებულია, როგორც „შავი ფისი, იღებენ ხის, ტორფის ან ქვანახშირის მშრალი გამოხდით; კუპრისებური/კუპრისებრი – კუპრივით შავი, ძალიან შავი (ქეგლ, 1955: 1434)

აგარაში რესაფ **დავითასძე** და სახელად **დავითა** დაუფიქსირებიათ ოჯახის უფროსებად (ჯიქია, 1941: 145). დავითი ძვ. ებრაულიდან მომდინარე სახელია და „საყვარელს“, სხვაგვარი გააზრებით, „წინამძღოლს“ ნიშნავს (ჭუმბურიძე, 1992: 106). ა.დლონტის „ქართველურ საკუთარ სახელებში“ გვხვდება: დავითა, დავითელა, დათულა, დათი, დათია, დათუკელა, დათუ, დათულია, დათუნა, დათუნი (დლონტი, 1967: 71). „დავთარში“ საყურადღებოა დავითის რამდენიმე ფორმა: **დავით, დავითა, დათუ, დათუნა, დავითგულ, დავითასძე, დავითანისძე, დათუნასძე.** დავით სულიასძე და დავით გიორგისძე დოკუმენტირებულია სახუდაბელში, დათუნა გულასძე – ვარნეთში, დათუ აბო ზერეკასძის შვილი – ხერთვისში, დავითა – ჭობარეთში, დავითგულ – ჭაჭარაქში, თევდორე დავითასძე – ლეპისში, ხოსიკ დავითანისძე – ხერთვისში (ჯიქია, 1941: 134-254). ი.მაისურაძეს ამავე ძირისად მიაჩნია: დავითაია, დავითაშვილი, დავითელაშვილი, დავითანი, დავითიძე, დავითულიანი, დავითური და სხვ. (მაისურაძე, 1990: 53).

აგარის ერთ მცხოვრებს ჰქვია ბიბლიური სახელი **მიქელა** (< მიქაელ), რომლის მამისახელი გაურკვეველია, მაგრამ ვიცით, რომ მისი ძმები არიან იმარინდო, ამირბარ და გულია (ჯიქია, 1941: 145). სირაჯა **მიქელასძე** და ამროს **მიქელისძე** არიან ზემო ოშორისა და ჭაჭკრის მკვიდრნი (ჯიქია, 1941: 143, 243). მიქელა ძველებრაულიდან მომდინარე სახელია, ნიშნავს „ღვთის სწორს, ღვთაებრივს“, შესულია ბერძნულში და აქედანაა გავრცელებული მსოფლიოს მრავალ ენაში საგრძნობი ცვლილებებით. ქართულში გვაქვს როგორც **მიქელ, მიქელა, ისე მიხეილ, მიხა.** მათგან ნაწარმოები გვარებია: მიქელაძე, მიქელაშვილი, მიქელაიშვილი, მიქაშვილი, მიქიაშვილი, მიქაძე, მიქავა, მიხელაშვილი, მიხელაძე (ჭუმბურიძე, 1992: 132). მიხა, ი.ახუაშვილის ცნობით, „დამდაბლებულის, დამცირებულის, ღარიბის“ აღმნიშვნელია. მისგანაა წარმოქმნილი ქართველთა გვარი მიხაკაშვილი (გაგულაშვილი, 1993: 117).

ახალციხის ლივაში შედის სოფელი **ზემო-ზურხელი – დობიეთი,** სადაც ცხოვრობენ: ასლან არაბასძე, მისი ძე იასა, საბია ზარასფასძე, მახარა ზაზასძე, ოქრო სულთანასძე, მისი ძმა ამილბალ, ოქრო ბარამასძე, აღდგომელას

შვილიშვილი, მისი ძენი პაპუნა და სიმონა, იონა ჯანისარისძე, მახარა ვარძელისძე, ოთარა ქემაზასძე და მისი ძმა ბარსეგა, იასონ სარუხანისძე და მისი ძმა იოსებ, კაკალა ბასილასძე, ვარძელ გურგენისძე, პაპუნა, გრიგოლ ისასძე და მისი ძმა ამროს, პაპუნა ისასძე, ძმები ვარძელ და ქემაზა, გულისაძე მახარებლისძე, მისი შვილები ძამანაგულ და მახარგულ, აზარიას შვილიშვილი, მისი შვილები ბასილა და დავითა, ატომა ელისასძე, ელიაზარ და მისი ძე ოქრო, იმატა გაბუასძე, გორგალა გერმანასძე, გრიგოლა ისაიასძე, რამაზას შვილიშვილი, ღვინიას შვილიშვილი, ბადუჩა, შავგუზარის შვილიშვილი, გორგოლა, მაზან, ყუბადისძე, ატომა დანიელისძე, მისი ძმა გრიგოლა, სულთანას შვილიშვილი, ვარძელ ატომასძე, პერმუხის შვილიშვილი, ულქმაზ შავგულასძე, მისი ძმა ელია, შვილები: ბიძინა და პაპუნა, გრიგოლა და პაპუნა გულასძე, სულთაგრას შვილიშვილი, იასონის შვილიშვილი, ვიგრიასძე, იონა არსენისძე. საბეგროს ჩამონათვალის შემდეგ მითითებულია: „ვენახი ზაალისა ადგილ ღობიეთში, აწ ... ადას მფლობელობაში“ (ჯიქია, 1941: 133).

ზველი მდებარეობს ერუშეთის მთების კალთაზე, გაშლილ ვაკე ადგილზე. აღმოსავლეთიდან ესაზღვრება ორგორა და საყუდაბელი, ჩრდილო-დასავლეთით – ჭობარეთი, დასავლეთით – ნასოფლარი პატრაშენი, ჩრდილოეთით კი ნასოფლარები: ღობიეთი და ქორეთი. დღეისათვის სოფელში ორი სამანქანე გზა მიდის, რომელთაგან ერთი, ორგორა-საყუდაბლის გავლით, აკავშირებს მუნიციპალიტეტის ცენტრს ასპინძას, ხოლო მეორე – ჭობარეთისა და მუსხის შემდეგ ურავლის ხეობის გავლით უკავშირდება რეგიონის ცენტრს – ახალციხეს. ისტორიულად დატვირთული იყო დადემის გზა, რომლითაც ზველი უკავშირდებოდა ერკოტა-დადემ-აწყვიტის გავლით ხერთვისსა და ჯავახეთს. მისი ერთი განშტოება იყოფა ერკოტასა და ბერიებს შორის, გაივლის გრძელ ჭაღას, ბუზმარეთს, ნიალას და მიდის აგრეთვე ჯავახეთისაკენ. თავისი მდებარეობით, გზებითა და მოსახლეობით ეს სოფელი იმსახურებს გამორჩეულ ყურადღებას, – წერს მ.ბერიძე (ბერიძე, 2012: 11). ვფიქრობთ, სოფლის ვაკე ადგილზე მდებარეობამ განსაზღვრა ხალხური ეტიმოლოგია ზველის ზემოველიდან მომდინარეობის შესახებ: ზემოველი > ზეველი > ზველი. ინფორმაციის ცნობით, „ვიდრე კომუნისტები მოვიდოდნენ, ზველი ერქვა (სოფელს), მერე შეუცვალეს სახელი და ძველი დაარქვეს. წიგნებში, საბუთებში, გაზეთებში – ყველგან სოფელი ძველი ეწერა, მერე ჩვენებმა ისევ ძველი სახელი დაუბრუნეს – ზველი. ზემოველი რომ ყოფილიყო, უფრო უკეთესი იქნებოდა“ (იხ. ინფ. ტექსტები). როგორც მ.ბერიძე მიუთითებს, ზემო ზურზელი მარტო დგას და მას არა ჰყავს ანტიპოდი მოსახელე „ქვემო ზურზელი“. თუ გავითვალისწინებთ

იმ ფაქტს, რომ „ზემო“ და „ქვემო“ აუცილებლად გულისხმობდა გეოგრაფიულად შესაბამის ადგილებს, საფიქრებელია, რომ ქვემო ზურზელში უნდა იგულისხმებოდეს ღობიეთი ან ქორეთი. მეცნიერს საგულისხმოდ მიაჩნია ის ფაქტი, რომ „გურჯისტანის ვილაიეთის“ აღწერის დროს ზემო ზურზელთან არის მითითებული ღობიეთი, როგორც მისი სავენახე და არა ცალკე სოფელი (ბერიძე, 2012: 26).

ზველის ეტიმოლოგიის შესახებ მ.ბერიძე წიგნში „ზველი და მისი შემოგარენი“ წერს: სახელ ზველს რამდენიმე ვარიანტი აქვს. ყველაზე ძველი და პოპულარული ჩანს ზურზელი. ასეა „დავთარში“, რუსეთის აღწერის დოკუმენტებში, ბევრ ქართველ ინფორმატორთან. მოცემული სქემიდან: **ზრზელი > ზურზელი > ზურზელი > ზველი > ძველი** გამოიყოფა **ზრზ-**ძირი, საიდანაც მოდის ყველა დანარჩენი ფორმა, მისი მეორე ნაწილი **-ველ** მიღებული უნდა იყოს **-უელ-**ისაგან, რომლის უმარცვლო უ-მ მოგვცა შემდეგში ვ. „ზრზელი“ უნდა ნიშნავდეს ლაღს, მრისხანეს, მოწინააღმდეგეს, ურჩს. თუ გავიხსენებთ ძველის ციხის მასშტაბებს, რომლისგანაც დღეს თითქმის აღარაფერია შემორჩენილი, კიდევ უფრო დამაჯერებელი გახდება სახელის ასეთი ახსნა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ზველი ოსმალების მიერ დაპყრობილ მესხეთში ყველაზე დიდი სოფელი იყო. როგორც ჩანს, მისი მდებარეობა და მდგომარეობა იზიდავდა ისტორიულად მოსახლეობას. დღეისათვის დაკანონებული ფორმა ზველი გარკვეული ფონეტიკური ცვლილებების შედეგად არის მიღებული, ფორმაც და უღერადობაც დახვეწილია, ამიტომ იგი ყველაზე მარჯვე ვარიანტია ისტორიულად არსებულ ვარიანტთა შორის (ბერიძე, 2012: 27-28). 1900-იანი წლების დასაწყისში მესხეთში მომრიგებელ-შუამავლად დანიშნული ალექსანდრე ფრონელი იცნობს ძველს და აღშფოთებას ვერ მალავს ზოგიერთის მიერ ამ სოფლის „ზურზელით“ მოხსენიების გამო (ფრონელი, 1991: 143).

ზველის 61 კომლთაგან ორს **მახარა** თავკაცობს (მახარა ზაზასძე და მახარა ვარძელისძე), სამს – **ოქრო** (ოქრო სულთანასძე, ოქრო ბარამასძე და ერთის მამისახელი გაუშიფრაავია), სამს – **ვარძელი** (ვარძელ გურგენისძე, ვარძელ ატომასძე და ერთი ვარძელიც მამისახელისა თუ გვარსახელის გარეშე), ორს – **ატომა** (ატომა ელისასძე, ატომა დანიელისძე); ათი ოჯახის მეთაური პაპისახელითაა მოხსენებული: ადღომელას შვილიშვილი, აზარიას შვილიშვილი, რამაზას შვილიშვილი, ღვინიას შვილიშვილი, შავგუზარის შვილიშვილი, სულთანას შვილიშვილი, ჰურმუზის შვილიშვილი, სულთაგრას შვილიშვილი, იასონის შვილიშვილი და ერთიც განუმარტავი სახელით „...-ს

შვილიშვილი“. ზურზველში ხუთი პაპუნა (პაპუნა – ბიძინას ძმა, პაპუნა იასასძე, პაპუნა – აღდგომელას შვილიშვილის ძე, მამისახელის გარეშე მოხსენებული პაპუნა და პაპუნა გულასძე), ორი იონა (იონა არსენისძე და იონა ჯანისარისძე) და ოთხი გრიგოლა (გრიგოლა გულასძე, გრიგოლა დანიელისძე, გრიგოლ ისასძე და გრიგოლა ისაიასძე) ცხოვრობს.

შვილის დაბადების სიხარულს გამოხატავს ბევრი ქართული სახელი და მათ შორის მოიაზრება **მახარა// მახარე**, რომლის საწყისიც „ხარებაა“. მახარე დამოწმებული ყოფილა ჯერ კიდევ ძველი წელთაღრიცხვის I საუკუნის ბერძნულ წყაროში, კერძოდ, მახარე რქმევია პონტოს ხელმწიფის, მითრიდატე ევპატოსის, შვილს. ზოგი ქართველი მკვლევარის აზრით, არაა გამორიცხული მითრიდატეს მრავალრიცხოვან ცოლთაგან ერთ-ერთი ქართველი ყოფილიყო და შვილისთვის მას შეერჩია სახელი (ცხადაია, 2005: 110). ზველელ ვარძელსა და ზაზას შვილებისთვის მახარე დაურქმევიათ. „დავთარში“ დადასტურებულია **მახარასძე, მახარგულ** (შდრ. გულმახარა), **მახარებელ, მახარებლისძე. მახარებელი** ხარება ზმნის მიმღეობაა მა-ელ პრეფიქს-სუფიქსით გაფორმებული. მახარგულ და მახარებლისძე ნათესაურ კავშირს გვიდასტურებს აღნიშნულ სოფელში: **გულისადებ მახარებლისძეს** ვაჟებისთვის დაურქმევია ძამანაგული და მახარგული. ანდრია მახარებლისძეს უცხოვრია ახალშენში (ჯიქია, 1941: 134), კაკალა მახარებლისძეს – შალოშეთში (ჯიქია, 1941: 185); **მახარებლის შვილიშვილები** არიან: ონგორას მკვიდრი და ხიზას მცხოვრები; **მახარებელი** ჰქვია ნიჯგორელ რამაზასძეს, ქვემო ოშორელ ნათენასძეს, ჭობარელ ზაქარასძეს, ინდუსელ მარინდოსძეს და ორგორელ რომასძეს (ჯიქია, 1941: 135-180), ორი მახარებელი ცხოვრობს აგარაში (ჯიქია, 1941: 145), ორი – ტოლოშში: მახარებელ (იოსების შვილი) და მახარებელ ვეფხიასძე. ტოლოშელია მახარას შვილიშვილიც (ჯიქია, 1941: 178-179). **მახარასძენი** არიან ნიჯგორელი გაგუჩა, ფირალა და ზარასფა (ჯიქია, 1941: 180). **მახარა** ზველის გარდა დასტურდება ქუნცასა (მახარა თევდორესძე) და იდუმალაში (მახარა აღდგომელასძე). მახარას შემოკლებული ფორმა **მახა** დამკვიდრებულია შალოშეთსა და ხიზაბავრაში. ეს მაგალითები მოწმობს ამ სახელის ფართოდ გავრცელებაზე იმდროინდელი „გურჯისტანის ვილაიეთის“ სოფლებში. ზ.ჭუმბურიძეს მახარა/მახარე ძირისგან ნაწარმოებად მიაჩნია სახელი „მახარობელა“, რომლისგანაც მიღებულია გვარები: მახარობლიძე, მახარობლიშვილი (ჭუმბურიძე, 1992: 130). შდრ. „მშობლისმიერი“ ზმნური საკუთარი სახელი „გამიხარდა“ (მაისურაძე, 1990: 42). იახუაშვილის ცნობით, მახარა, მახარე, მახარებელი, მახარობელა, მახარაძე, მახარაშვილი, მახარეშვილი, მახარებლიშვილი, მახარობლიშვილი დასტურდება

ისტორიულ დოკუმენტებში (ახუაშვილი, 1994: 440). პირთა ანოტირებულ ლექსიკონში ეს სახელები XV-XVII საუკუნეების ქართული ისტორიული საბუთების მიხედვითაა წარმოდგენილი (პალ, 2004: 119-128). პ.ცხადაია მახარა პირსახელს უკავშირებს ტოპონიმებს: **ნამახარუ** – ჩაის ფართობი ლენოშეში, **სამახარიო// მახარია** – უბანი და დეღე ჩხორის საზღვართან. მეცნიერის ცნობით, მახარია სამეგრელოში სახელიცაა და გვარიც, მიღებულია მახარესაგან: მახარია < მახარე-ა (ცხადაია, 2000: 110). სურვილის სახელთაგან „დავთრისდროინდელ“ სამცხის სოფლებში მახარეს, მაცხონას და იმატას გარდა გვხვდება: **მანდო**, **ხარება**, **მინდოდა** და **იმედა**. აქედან პირველი ორი დასტურდება ჭობარეთში: **ხარება** ყარასძე და **მანდოს** შვილიშვილი (ჯიქია, 1941: 160), მესამე (**მინდოდასძე**) – ტოლოშში (ჯიქია, 1941: 178), მეოთხე სახელის მატარებელს – **იმედა** ფირიჯანისძეს უცხოვრია აგარაში (ჯიქია, 1941: 145). **იმედა** -ა მაანთროპონიმებული სუფიქსით გაფორმებული პირსახელია, რომელსაც სხვა ენებშიც აქვს შესატყვისი, (მაგალითად, რუს. надежда). იმედადან ნაწარმოები გვარებია: იმედაძე, იმედიძე, იმედიშვილი და იმედაშვილი. ა.დლონტი გვთავაზობს იმედას სახეცვლილებებს: იმედია, იმედო, იმედუა, იმედურა (დლონტი, 1967: 88). **ხარება** საწყისია, აწარმოებს გვარებს: ხარაბაძე, ხარებაძე, ხარებაშვილი, ხარებავა. **ხარაბისძე** გვხვდება ხერთვისის ციხის რაბათში (ჯიქია, 1941: 173). **ხარებასშვილი** დადასტურებულია XVI საუკუნის 30-იანი წლების ბარათაანთ გაყრის წიგნში (ახუაშვილი, 1994: 642). **მანდო** ზმნის მესამე პირის ფორმით გადმოცემული სახელია (მანდო მან მე ის), რომელიც უფლის ნდობას, მინდობას, რწმენას გამოხატავს. პირთა ანოტირებული ლექსიკონის მიხედვით, **მანდოა** ჰქვია „კარშაგარს მცხოვრებს, რომელიც მამულით წილად ხვდა იოთამ ბარათაშვილს“; იქვე ვკითხულობთ: „**მანდუასშვილი** ბერუა სოფელ აბელიასთან ერთად დონმაზ გოგიბაშვილმა გაუცვალა ოთარ ბარათაშვილს ვანქში მდებარე მამულზე“ (პალ, 2004: 48). **მინდოდაც** სახელადქცეული ზმნის პირიანი ფორმაა (მინდოდა მე ის). ამ სახელიდან მომდინარე უნდა იყოს: მინდოდაშვილი, მინდიაშვილი, მინდაძე, მინდელი. შდრ. მინდაძეები – სოფელი ხულოს რაიონში (მაისურაძე, 1990: 112). ისტორიული საეკლესიო საბუთების მიხედვით, ოდიშ-აფხაზეთის ტერიტორიაზე გავრცელებულ ანთროპონიმებში ს.კეკუა ასახელებს ზმნური კომპონენტების შემცველ საკუთარ სახელებს, რომლებიც, შესაძლებელია, ნაგვიანვეად გაჩენილ პატარებს დარქმეოდა: **მამიყორდი** („მე მიყვარდი“) და **ვამოგელი** („არ მოგელი“) (კეკუა, 2017: 73).

სახელი **ოქროს** შემთხვევაში ზ.ჭუმბურიძე ფიქრობს, რომ იგი არის შემოკლებული ფორმა ბერძნულიდან მომდინარე (თარგმნილი) **ოქროპირისა**,

რომელიც უნდა ყოფილიყო ზედწოდება მჭევრმეტყველი ადამიანისა, კარგი ორატორისა და შემდეგ იქცა დამოუკიდებელ სახელად. აქედან ნაწარმოები გვარებია: ოქროაშვილი, ოქროპირიძე (ჭუმბურიძე, 199: 135). როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ სახელის მატარებელი სამი მოსახლე ყოფილა ზველში. ასპინძის ციხის რაბათში გვხვდება ვინმე **ოქროპილ**, რომლის მამისახელი გაურკვეველია მთარგმნელისათვის (ჯიქია, 1941: 130), მირაშხანში კი – **ოქროპირ** დემეტრესძე (ჯიქია, 1941: 239); **ოქრო** ივანესძე დასტურდება ჭაჭკარში, იქვე მითითებულია ივანე **ოქროსძეც** (ჯიქია, 1941: 142), ზემო ბუზმარეთში – **ოქრა** პაველასძე (ჯიქია, 1941: 210). ი.ახუაშვილი გვამცნობს, რომ XII საუკუნის დიდ ხელნაწერში წმინდა მამებს შორის: თეოდორიტე, მინივე, სევირ-მინივე, ევსები და სხვ., მოხსენიებულია ოქროპირი; ერტისში 1558 წელს მოიხსენიება ოქრიაშვილი; 1886 წელს დიდ თონეთში – თომა და გიორგი ოქრომელაშვილები (ახუაშვილი, 1994: 491). ა.დლონტთან დასახელებულია: ოქრია, ოქრო, ოქროა, ოქრობელა, ოქროპირ, ოქროფა, ოქრუა (დლონტი, 1967: 113). ი.მაისურაძის აზრით, **ოქრია**დან მომდინარეა ოქრიაშვილი, ოქრადე (მაისურაძე, 1990: 129). ოქრო იშვიათი სახელია ჩვენი საკვლევი ობიექტების ანთროპონიმიაში. რაც შეეხება ამ სახელიდან მომდინარე გვარებს, ამჟამინდელი მონაცემებით, **ოქრომელიძეები** ცხოვრობენ ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ მუსხში.

ზველში მცხოვრებ **ატომას** სახელთან დაკავშირებით, მბერიძე წერს, რომ გაურკვეველი ეტიმოლოგიისაა და არავითარ კავშირში არ არის ატომის თანამედროვე გაგებასთან. მეცნიერის აზრით, საინტერესოა, რომ ატომა ლოკალური სახელია და მხოლოდ სამ ზველელს ჰქვია (ბერიძე, 2012: 15): ატომა ელისასძეს, ატომა დანიელისძეს და ვარძელის მამას. ა.დლონტის ანთროპონიმთა ლექსიკონი იცნობს **ატას**, **ატოს**, **ატეს** (დლონტი, 1967: 50). „დავთრის“ მიხედვით, სოფელ ქარზამეთში დოკუმენტირებულია ბატუა **ატუასძე** (ჯიქია, 1941: 255).

ზველში დაფიქსირებულ **იონა** არსენისძეს და **იონა** ჯანისარისძეს ძველებრაულიდან მომდინარე სახელი ჰქვიათ, რაც „მტრედს“ ნიშნავს (ჭუმბურიძე, 1992: 120). ი.გაგულაშვილის აზრით, აქედანაა მიღებული ქართული გვარი **იონიძე** და საქართველოში მცხოვრებ ასირიელთა გვარი **იონანიძე** (გაგულაშვილი, 1993: 115). ი.მაისურაძესთან მხოლოდ **იონათამიშვილია** მითითებული (მაისურაძე, 1990: 80). ა.დლონტს კოლხეთის ექსპედიციის მასალებში დაფიქსირებული აქვს **იონა** (დლონტი, 1967: 88). **იონა** იშვიათი სახელია ასპინძის მუნიციპალიტეტის „დავთრისდროინდელ“ დარაიონებაში შემავალი სოფლების მაცხოვრებლებში: **იონა პაველასძე** გვხვდება ვარნეთში (ჯიქია, 1941: 141).

ზველში დაფიქსირებული გურგენისძე დღეს გენტივის თანხმონის გარეშე (გურგენიძე) გვარსახელადაა გავრცელებული სოფელ ნიჯგორში. გურგენა გვხვდება დავთრისდროინდელ სოფელ ქვემო ნიალაში (ჯიქია, 1941: 249), სახელად გურგელა – ფანაკეთში (ჯიქია, 1941: 250). გურგენ ირანულად „მგლისას“ აღმნიშვნელია (ჭუმბურიძე, 1992: 106). ამავე ძირისაა გურგენიშვილი > გუგენიშვილი (მაისურაძე, 1990: 51). ი.მაისურაძის ცნობით, გურგენიძე გავრცელებულია ამბროლაურის, ჩოხატაურისა და ახალციხის რაიონებში. გურგენისძეთა გვარი სამხრეთ საქართველოში ცნობილია XII საუკუნიდან: იქით გურგენისძე იყო წუნდის ეკლესიის აღმშენებელი (ცისკარიძე, 1959: 47). ამავე პიროვნების მოღვაწეობაზე საუბრობს ვანის ქვაბთა მონასტერში ნაპოვნი წარწერიანი ქვა: „იესო ქრისტე, აღიდე ორთავე შინა სუფევათა მეფეთა მეფე და დედოფალი თამარ, რომლისა ზე მე, იქით გურგენისძემან აღვაშენე კედელი ესე და დავასვენენ ხატნი მაცხოვრისაი...“ (გაფრინდაშვილი, 1966: 8); „ესე არს სამკვიდრებელი ჩვენ – გურგენათი. მე, იქითმან, აღვაშენე. შეგვინდვეს ღმერთმან“ (ტალახაძე, 1997: 44).

„ხშირად კაცს ხასიათის ან ფიზიკური ნიშნის მიხედვით შეარქმევდნენ სახელს ან მეტსახელს,– ვკითხულობთ მბერიძის წიგნში,– გაუტყველ, თვითდაჯერებულ კაცს კაკალას, კერკეტას დაუძახებდნენ, შემდეგ იქცეოდა სახელად და გვარის დამდებადაც“ (ბერიძე, 2012: 16). ხუთი საუკუნის წინანდელ ზველში ასეთი სახელის მატარებელია კაკალა ბასილასძე (ჯიქია, 1941: 132). კაკალა ჰქვია დადეშში ალაღინისძეს, ხიზაბავრაში – პაატაგულის შვილს, შალოშეთში – მახარებლისძეს (ჯიქია, 1941: 176, 177, 185); კაკა – ზემო ოშორაში რომანოზ ფარნაოზისძის შვილს (ჯიქია, 1941: 143), დუმელიაში – რევაზისძეს (ჯიქია, 1941: 252). კაკუტა დაურქმევია შვილისთვის ტოლოშელ ფარსიას (ჯიქია, 1941: 178).

ს.მაკალათიას ჩაწერილი ხალხური ლექსი: „რუსთავს აყვავდა გვირილა, ვაი მოუვა ზველსაო, ყურს წყაროები გამოვლენ, ნეტაი ახაშენსაო“,– აფიქრებინებს ს.ჯიქიას, რომ „დავთრის“ თარგმანში მითითებული სოფელი ყურა სათესვლით ქორეთი (ჯიქია, 1941: 133) უნდა იყოს ყური (ჯიქია, 1958: 182). იმ დროისათვის, როცა ს.ჯიქია „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ მიხედვით მხარის გეოგრაფიასა და ტოპონიმიკას იკვლევდა, ამ სახელით დასახლებული პუნქტი არ არსებობდა, მაგრამ მისი ადგილმდებარეობის გარკვევა ხერხდებოდა კავკასიის ხუთვერსიანი რუკის ჩვენებით: „დავთრის მოხაზულობით აღრიცხული სოფელი სახუდაბლის, ონდორის, ზურზველისა და ახალშენის სანახებში იყო აღნიშნული; ამასთანავე, საარქივო მასალებში ყურს აღმოსავლეთით სახუ-

დაბლის მიწები, დასავლეთითა და ჩრდილოეთით – კახოვეისა და ყანდინოვის მიწები, ხოლო სამხრეთით – სოფელ ონდორის მიწები ემეზობლებოდა“ (ჯიქია, 1958: 182). „დავთარში“ ყური რეაკომლიანი სოფელია. ოჯახის უფროსები არიან: ღვინია ზაალისძე, გოგინა ძმა მისი, აღდგომელ გიორგისძე, როსებ ძმა მისი, გონა ბადურასძე, ბასილი სუნბათისძე, ხოსრო გურჯისტანისძე, იოსებ მღვდელი. ყურელი მღვდლის სახელი **იოსები** ძველ ებრაულად „მატებას, გამრავლებას“ აღნიშნავს, სიტყვასიტყვით „ღმერთი გაამრავლებს, შეჰმატებს.“ მისი კნინობითი ფორმებია ქართულში: სოსო, სოსია, სოსოია, სოსიკო, ოსიკო; იოსებისაგან ნაწარმოებია გვარები: იოსებიძე, იოსებაშვილი, ოსეფაშვილი, ოსეფაიშვილი და სხვ. (ჭუმბურიძე, 1992: 120). ბერძნულად გამოითქმის: იოსეფ, იოსიფ, სომხურად – ჰოვსეფ, რუსულად – იოსიფ, უკრაინულად – ოსიპ, იუგოსლავიურად – იოსიპ, პოლონურად – იუზეფ, ინგლისურად – ჟოზეფ, ესპანურად – ხოზე, პორტუგალიურად – ჟუზე, იტალიურად – ჯუზეპე, ყაზახურად – ჟუსუპ, თურქულად – იუსუფ... (ჭუმბურიძე, 1992: 22). „ქართველურ საკუთარ სახელებში“ დადასტურებულია: იოსაფ, იოსაფატ, იოსეფ, იოსებ, იოსება (ღლონტი, 1967: 88). **იოსებ** მღვდლის ძე ტოლოშის მკვიდრია (ჯიქია, 1941: 178), იოსებ მახარასძე – ქვემო ოშორის (ჯიქია, 1941: 144), იოსებ იმარინდოსძე – შალოშეთის (ჯიქია, 1941: 185), იოსებ მოსესძე – საროსი(ჯიქია, 1941: 188), სახელად **იოსება** – ზემო და ქვემო ბუზმარეთის (ჯიქია, 1941: 210-211), **იოსებისძე** – ზემო ბუზმარეთის, ერკოტისა და შალოშეთის (ჯიქია, 1941: 138). **იოსები, სოსო, სოსიკო** ახლაც გვხვდება ასპინძის მუნიციპალიტეტის მცხოვრებთა საკუთარ სახელებად. **ოსეფას** (< იოსეფა < იოსება) დაუდია სათავე შტოგვარის სახელისათვის **ოსეფაანი**. ასპინძის სოფლებში ახლაც ხუმრობენ ხინკლის დაგვიანებული ამოწურვისას „**ოსეფაანთ** ხინკალიაო“: არასასურველი სტუმრის შემოსწრებას ოსეფაანი უგულოდ შეხვედრიან, მისი წასვლის მოლოდინში ხინკლის ამოწურვა გაუფანჯლებიათ, რის გამოც ჩაშლიათ და თვითონაც ვერ დაუგემოვნებიათ.

იოსებ/იოსებასთან ახლოს დგას აღდგომელ გიორგისძის ძმის სახელი **როსება**. **როსებასშვილი** დასტურდება ბარათაანთ გაყრის წიგნში (ახუაშვილი, 1994: 643). **როსებაშვილი** კასპის რაიონსა და გორში დაუფიქსირებია ი.მაისურაძეს (მაისურაძე, 1990: 138). აღლონტთან გვხვდება: როსაბ, როსაფ, როსაპ, როსებ, როსეფ (ღლონტი, 1967: 118). ი.ახუაშვილის აზრით, როსაბის კნინობითი ფორმა **როსია** უდევს საფუძვლად გვარს **როსიაშვილი** (ახუაშვილი, 1994: 508). **როსაფ** ჭაჭიასძე ალანძის მკვიდრია XVI საუკუნეში (ჯიქია, 1941: 183). **როსაფა** ხერთვისის ციხის რაბათის მცხოვრებია (ჯიქია, 1941: 172), **რესაფ** დავითასძე – აგარის (ჯიქია, 1941: 143), **როსებ** – ქარზამეთის (ჯიქია, 1941: 255).

როსება ტეტია ზათელასძის ძმა ტამალაში (ჯიქია, 1941: 136). „დავთის“ 185-ე გვერდზე, სოფელ შალოშეთის შემდეგ, მითითებულია **როსებას შვილიშვილი** (ჯიქია, 1941: 185).

ყურის მცხოვრებთაგან ერთს **ბასილი** ჰქვია, იმდროინდელ სამხრეთ საქართველოში გავრცელებული სახელი. ბასილი ბერძნულად „მეფურის, სამეფოს“ აღმნიშვნელია (ჭუმბურიძე, 1992: 99). ამ სახელის კნინობითი ფორმებია: ბასია, ბასო, ბასუკა (ღლონტი, 1967: 54). -ა სუფიქსით გაფორმებული **ბასილა** დასტურდება ინწყორაში: ბასილა პეტრიასძე (ჯიქია, 1941: 143), ბნელაში-ბასილა ნათასძე (ჯიქია, 1941: 182), საროში – ბასილა არსენასძე (ჯიქია, 1941: 188), ზემო ბუზმარეთში – ბასილა რევაზასძე (ჯიქია, 1941: 210), მირაშხანში – ბასილა მამაგულასძე (ჯიქია, 1941: 239); **ბასილ** გვხვდება ტამალაში (ჯიქია, 1941: 136), **ბასილისძე** – ახალშენში (ჯიქია, 1941: 134), **ბასილასძე** – ვაშლობში (ჯიქია, 1941: 244).

XX საუკუნის დასაწყისში ახალციხის მაზრის სოფელ ძველში მცხოვრებ მთავარდიაკონ ანდრია ჯვარიძეს შვილისათვის – ლევან ჯვარიძისათვის უამბნია, როგორ სვინნათდებოდნენ გადასახადისაგან თავის ასარიდებლად ქრისტიანი მამაკაცები, გადასახადი კი წლიურად ოცდათხუთმეტ ყურუშამდე აღიოდაო. ხარაჯის დასაფარად **სოფელ ონგორაში** (ყიფშიძის მითითებით, „გონებ, ეს სოფელი **ორგორა** უნდა იყოს“) კირს წვავენ და ახალციხეში ზურგით ეზიდებოდნენ გასაყიდადო (ფრონელი, 1991: 62). ფრონელისეული ონგორა „დავთარში“ მოიხსენიება, როგორც **სოფელი ონდორა-აგარა სათესვლით**. ონდორისათვის საარქივო მასალებში შემდეგი მიჯნებია მოხაზული: აღმოსავლეთით სოფელი სახუდაბელი, დასავლეთით სოფელ ზველის მიწები, ჩრდილოეთით ნასოფლარი ყური და სამხრეთით არტაანის წყალი (სცია-ფ.73,ს.77,გვ.11) (ჯიქია, 1958: 185). ორგორის მკვიდრნი არიან: შამულასძე, მახარებელ რომასძე, ბატატა ძმა მისი, ბაინდურისძე, ელიასძე, სოსია ცხადაბერისძე, გოგინა სოსიასძე, ზოსიმას შვილიშვილი, მაცაცა ზარასფასძე, ზაალისძე, მახარებლის შვილიშვილი და ქერა გოგინა (ჯიქია, 1941: 135).

სახელი **იოსების** შესახებ ყურის მცხოვრებთა ანთროპონიმებში ვსაუბრობდით. სწორედ იოსების მოფერებითი ფორმა **სოსია** გვხვდება ცხადაბერიძის საკუთარ სახელად და გოგინას მამისახელად. გოგინა სოსიას შვილია – **სოსიასძეა**. სოსია აწარმოებს გვარს სოსიაშვილი (ახუაშვილი, 1994: 528).

ზოგიერთ სახელს ებრაული და ძველებრაული წარმომავლობა აქვს, ისინი ძველი და ახალი აღთქმის წიგნისეულია. ორგორელ **შამულასძეს** სახელში

გამოიყოფა ძირი **შამ**, რომელიც გვხვდება სახელებში: შამილა, შამულა, შამელი, შამილი. ა.დლონტთან დადასტურებულია: შამე, შამეთია, შამელი, შამერთ, შამიგელა, შამიგია, შამელა (დლონტი, 1967: 141). ამ სახელებთან ახლოსაა ძველებრაული: ა) **შამშე, შანშე** – „მზე“ (ჭუმბურიძე, 1992: 148), ბ) **შამაი** – „შემფასებელი“, რომლიდანაც შესაძლებელია მოდიოდეს ქართველთა გვარი შამელაშვილი (გაგულაშვილი, 1993: 123), გ) **შმუელ** – „სახელი მისი ღმერთი“ ქართველთა ზეპირ. შემუელ/შამუელ. ქართული ტრადიციით სამუელი, სამოელი, აქედანაა გვარი შამულაშვილი (გაგულაშვილი, 1993: 124). **შამიენთ** ეძახიან აწყვიტაში მცხოვრებ ივანიძეთა შტოგვარს, რომელთა წინაპარი შამილას ძუძუმტე ყოფილა.

პაპისახელითაა ცნობილი ორგორელი **ზოსიმას შვილიშვილი**. ზოსიმე ბერძნულია და „სიცოცხლისუნარიანს“ აღნიშნავს (ჭუმბურიძე, 1992: 114). ა.დლონტთან დადასტურებულია: ზოსი, ზოსმე, ზოსიმე (დლონტი, 1967: 81). -ა კნინობითი სუფიქსით სახელი ზოსიმა ჯაბოეთშიც შეგვხვდა ოჯახის უფროსის სახელად (ჯიქია, 1941: 137). იახუაშვილს გვარი **ზოსიაშვილი** ზოსიადან მომდინარედ მიაჩნია (ახუაშვილი, 1994: 356), რომელიც კნინობითსუფიქსიანი (ზოს-ია < ზოსიმე) ფორმაა ზოსიმესი. თანამედროვე მონაცემებით, **ზოსიმე** სოფელ აწყვიტაში დასტურდება პირის საკუთარ სახელად.

ეპითეტური სახელები იშვიათია დავთრისდროინდელ სოფლებში ოჯახის უფროსთა სახელდებისას. ასეთი გამონაკლისია **ქერა გოგიჩა**. შესაძლებელია ეს მეორე გოგიჩასაგან (სოსიასძე) გასარჩევად გამოიყენა აღმწერმა, მაგრამ რომ არ ყოფილიყო ასეთი სახელდება, კონკრეტულად ქერას მითითებით, მიმართავდა ისეთ ფორმულირებას, როგორც სხვა შემთხვევებში სახელთა გამეორებისას გამოუყენებიათ: „სახელად მეორე თევდორე“, „მეორე ელია“. ეპითეტი **ქერა** ფიზიკურ მახასიათებელზე მიანიშნებს. ასპინძის მუნიციპალიტეტის მცხოვრებთაგან ზოგს დღესაც „ამშვენებს“ ეპითეტები: ქერა, რიჟა, ყარა (ეს უკანასკნელი „შავგრემანის“ აღსანიშნავად) და ა.შ.

სახუდაბელი ზეელიდან ასპინძისკენ მიმავალ გზაზე ორგორის შემდეგი სოფელია. ადგილობრივები მას საყუდაბელს ეძახიან. ასე უხმობდნენ ამ ადგილს ძველადაც აქ მცხოვრებნი და მიმდებარე სოფლის მკვიდრნი. მბერიძე საყუდაბელში გამოყოფს „ყუდ“ ფუძეს (სა-ყუდ-აბ-ელ-ი), რომელიც აახლოებს საყუდელთან („სამყოფი“-საბა) და საყუდართან („თავშესაფარი“- იახულაძე). მბერიძის აზრით, სემასიოლოგიურად ამ სიტყვასთან ახლოს დგას მეგრული „ყუდე“ (სახლი), რომელმაც მეტყველებიდან გამოდევნა „ოხორი“. ამ ფუძის შემცველი ყველა სახელისათვის (დაყუდება, დაყუდნება, მყუდრო, სადა-

ყუდებლო...) ამოსავალია თავშესაფარი, სახლი. შემდეგ ტერმინის მნიშვნელობა დავიწროებული ჩანს და მხოლოდ საკლერიკო თავშესაფარს აღნიშნავს (ბერიძე, 2008: 138). სახუდაბელში, „დავთრის“ მონაცემებით, უცხოვრია რვა ოჯახს; მათი თავკაცები არიან: ვარძელ აბესალომისძე, ელია ძმა მისი, ზურაბ გიორგისძე, დავით ძმა მისი, ვარდია მინასძე, ნიკოლოზ ძმა მისი, დავით სულიასძე და პაპუნა ასასძე (ჯიქია, 1941: 134). როგორც ერთი შეხედვითვე ჩანს, ქართული და კანონიკური სახელებია დამკვიდრებული სახუდაბელთა ანთროპონიმიკონში.

სახუდაბლის მკვიდრს **გიორგისძეს** გვარსახელში საფუძვლად უდევს საქართველოში ფართოდ გავრცელებული ბერძნული წარმოშობის სახელი **გიორგი**, რომელიც „მიწის მუშას, მხვნელ-მთესველს, მიწათმოქმედს“ აღნიშნავს (ჭუმბურიძე, 1992: 22). შდრ. გიორგაძე, გორგაძე, გოგავა, გოგიტიძე და ა.შ. **გოგი**, **გოგია**, **გოგიტა**, **გოგლა**, **გოგინა** – გიორგის კნინობით ფორმად მიიჩნევა (ჭუმბურიძე, 1992: 105).² იმოწმებს რა ზ.გამსახურდიას, გ.ხორნაული მოარულ აზრს– ბერძნების მიერ ჩვენს მონათვლას გეორგიანელებად, ანუ მიწის მუშებად, აქარწყლებს: „გეორგიანელებს გვეძახდნენ წმინდა გიორგის კულტის განსაკუთრებული სიყვარულისა და გავრცელების გამო (ხორნაული, 2003: 325). ა.დლონტს დადასტურებული აქვს: გიორგა, გიორგელა, გიორგიტა, გიორგიშა (დლონტი, 1967: 67). ი.მაისურაძე გიორგაძის გავრცელების არეალად მესხეთსაც ასახელებს და ამავე ძირისად მიაჩნია გიორგანაშვილი, გიორგელაშვილი, გიორგიძე... (მაისურაძე, 1990: 46). მრავალფეროვნადაა წარმოდგენილი სახელი გიორგი ახალციხის, ხერთვისისა და ახალქალაქის ლივების ჩვენთვის საკვლევ რაიონებში. **გოგი** ბაჭასძე ხერთვისის მკვიდრია (ჯიქია, 1941: 171), **გოგიბერა** მაცხონასძე – აგარის (ჯიქია, 1941: 145), **გოგინა** სოსიასძე – ორგორის, **გოგინა** ჰათელასძე – ხერთვისის (ჯიქია, 1941: 135, 172), **გოგინა** გათენას ძმა, **გოგინა** ვარაზგულასძე, **გოგინა** მანასესძე და **გოგინა** აღდგომელას ძმა – ნიჯგორის, **გოგინა** ხარაბისძე – ხერთვისის, **გოგინა** თევდორესძე – თოკის (ჯიქია, 1941: 173, 181, 201), **გოგიტა** ლაზარესძე – გელსუნდის (ჯიქია, 1941: 186), **გიორგი** – თოკის, ხერთვისის (ჯიქია, 1941: 172, 201), **გოგინასძე** – მირაშხნის (ჯიქია, 1941: 239); **გიორგისძე** – გუნდის, ჭობარეთის (ჯიქია, 1941: 159, 210), დღეს გიორგისაგან დამოუკიდებელ სახელად მიჩნეული **გაგა** – ხიზაბაგრის, **გაგა** ლაშქარასძე–

² ქგოდერძიშვილმა ემოციური ელფერის გამოხატველი ტერმინები დააზუსტა. გამიჯნა კნინობითი (დემინუტივი, დამცირებითი (პეიორატივი), და აღერსობითი ფორმები. „ზოგადად ყველგან, მათ შორის ქართულ ანთროპონიმიკაში, კნინობითობა, როგორც დამოუკიდებელი მოვლენა, არ არის ცალკე გამოყოფილი. მასში ან მასთან ერთად წარმოდგენილია ხან აღერსობითობა, ხან დამცირებითობა“– წერს მეცნიერი. მისი აზრით, ა.შანიძის, ლ.კვაჭაძის, ა.დლონტის, ლ.გეგუჩაძის ნაშრომებში კნინობით-აღერსობითი, მოფერებით-კნინობითი ტერმინები გადასინჯვას საჭიროებს, რადგან კნინობა არ არის მოფერება-აღერსობისა და, მეორე მხრივ, დამცირების სინონიმი.

აწყვიტის (ჯიქია, 1941: 176, 178), გაგია – გომის, თოლერტის (ჯიქია, 1941: 179,184), გაგუნა ბასილისძე – ახალშენის, გაგუნა მახარასძე – ნიჯგორის (ჯიქია, 1941: 134, 180), გორგაძისძე – კვარშის (ჯიქია, 1941: 183).

სახუდაბელში დადასტურებულია ვარდია მინასძე (ჯიქია, 1941: 134). მინა ბერძნულად „თვისას, თვიურს“ აღნიშნავს (ახუაშვილი, 1994: 669), მინადორა– „თვის სახუქარს“ (ჭუმბურიძე, 1992: 171). მინა, მინაგო გვხვდება ა.დლონტთან (დლონტი, 1967: 105). მინა ზარასფას და მახარებლის ძმაა ნიჯგორში (ჯიქია, 1941: 180). მინაძე სოფელია ახალციხის რაიონში (მაისურაძე, 1990: 112), რომელიც ადრე მინაძეებით იყო დასახლებული, დღეს კი ასეთი გვარის არცერთი მოსახლე აღარ გვხვდება. მინაძეები არც ასპინძის მუნიციპალიტეტში ცხოვრობენ. ვარდია, ვარდო ქართული სახელებია და აწარმოებს გვარებს: ვარდიაშვილი, ვარდიძე, ვარდოძე. ი.მაისურაძეს ამავე ძირისად მიაჩნია: ვარდიშვილი, ვარდოშვილი, ვარდოკაძე, ვარდოსანიძე (მაისურაძე, 1990: 64). ვარდიასძე გვხვდება ახალშენსა და ტამალაში (ჯიქია, 1941: 134, 136). ვარდიაშვილს ი.ახუაშვილი ვარდუას, ვარდოს (ვარდიკოს), ვარდიას, ვარდიგულასთან ერთად უკავშირებს „ვარდენს“ (ახუაშვილი, 1994: 344), რომელიც ზ.ჭუმბურიძის აზრით, შესაძლებელია ვარდანის (ირან. „გმირი“ ან „მოქალაქე“) ფონეტიკურ ვარიანტს წარმოადგენდეს (ჭუმბურიძე, 1992: 112). ვარდენისძე ხერთვისის ციხის რაბათის მკვიდრია (ჯიქია, 1941: 172), ჩვენ ი.მაისურაძის მოსაზრება უფრო სარწმუნოდ მიგვაჩნია და ვარდია/ვარდიასძე ფიტოფორული (ვარდიდან მომდინარე)ქართული ანთროპონიმები გვგონია. ცნობილია, რომ მესხეთში წინა საუკუნის 40-50-იანი წლების პატარძლები უმცროს მაზლებს ვარდოს ეძახდნენ.

სახუდაბელში რვა კომლიდან სამი წყვილი ძმათა ოჯახია. აქედან ერთს ვარდია მინასძის ძმა ნიკოლოზი მეთაურობს. ნიკოლოზი კომპოზიტური სახელია, ნიკე ბერძნულად „გამარჯვებას“ აღნიშნავს, ლაოს–„ხალხს“. ნიკოლოზის შემოკლებულ ფორმას ნიკო ახასიათებს დამოუკიდებელ სახელად ქცევის ტენდენცია. ქართულში ადრიდანვე დასტურდება და დღესაც ფართოდ გავრცელებულია ნიკოლოზ, ნიკა, ნიკო, ნიკოლა. აქედანაა გვარები: ნიკოლოზიშვილი, ნიკოლაძე, ნიკოლაიშვილი, ნიკოლეიშვილი (ჭუმბურიძე, 1992: 134). საგარეჯოს რაიონში ი.მაისურაძეს დადასტურებული აქვს გვარი ნიკოლაშვილი (მაისურაძე, 1990: 125). ნიკოლოზის შემოკლებული ვარიანტია კოლა/კოლია. ნიკა, ნიკოლი, ნიკალა, ნიკო, კოლა, კოლია – ასე მოიხსენიებდნენ ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ ყველა ნიკოლოზს; პირველი ორი ვარიანტი პატარებს ერქვა, დანარჩენით პაპების თაობას მიმართავდნენ (კოლა პაპა, ნიკალ

პაპა...). ახლა ქრისტიანული სახელების გააქტიურებამ ისევ დაამკვიდრა ნიკოლოზის სრული ვერსია. დავთრისდროინდელ თმოგვის ციხის რაბათში დოკუმენტირებულია ნიკო ხუდავერდიძე, მამისახელის გაუშიფრავად ვინმე ნიკუა და ანბარჯი ნიკოხოსისძე (ჯიქია, 1941: 240). მირაშხანში უცხოვრიათ ნიკოლოზ დემეტრესძეს და სახელად ნიკუას (ჯიქია, 1941: 239), შალოშეთში – ვარძელ ნიკოლოზისძეს (ჯიქია, 1941: 185), აწყვიტაში კი – მახარა ნიკოლოზისძეს და მღვდელ ნიკოლოზისძეს (ჯიქია, 1941: 178). ასპინძის მუნიციპალიტეტში შტოგვარის სახელად ცნობილია ნიკიენი (ნიკიას შთამომავალი). მ.ქუჭიშვილს ხიზაბავრაში დათაშვილების მეტეგვარად მოჰყავს ნიკიენი (ქუჭიშვილი, 2007: 175, 180).

სოფელი ახალშენი, ს.ჯიქიას ცნობით, არქივისეულ დოკუმენტებსა და საქართველოს ისტორიის რუკაზე ფიქსირებულია, როგორც ახალშენი, მაგრამ მეცნიერს პირველად და სალიტერატურო ფორმად მიაჩნია „დავთარში“ მოცემული ახალშენი (ჯიქია, 1958: 184). ახალშენში „შენ“ სიტყვა შენებას უკავშირდება; „შენ“ იხმარება აღმოსავლურ ენებშიც და დამუშავებულს, კეთილმოწყობილს, დასახლებულს, საცხოვრებლად ვარგისს აღნიშნავს (ჯიქია, 1958: 185). XVI საუკუნის ახალშენში ხუთი ოჯახი სახლობს, მათ თავკაცობენ: ანდრია მახარებლისძე, პაპუნა ძმა მისი, საბია ვარდიასძე, მანასე ძე მისი და გაგუჩა ბასილისძე (ჯიქია, 1941: 134).

ახალშენის მკვიდრის – ვარდიასძის – სახელი საბია საბას აღერსობითი ფორმაა, რაც არამეულად „მოხუცს, პაპას“ აღნიშნავს, ხოლო ძველებრაულად – „თავისუფლებას მოკლებულს, ტყვეს“ (ჭუმბურიძე, 1992: 139). საბასაგან ნაწარმოები გვარებია: საბადაშვილი, საბაური, საბაშვილი, საბაძე, საბიაშვილი, საბინაძე... (გაგულაშვილი, 1993: 120). ა.დლონტს მითითებული აქვს: საბანა, საბია, საბირა, საბუ (დლონტი, 1967: 119). XIII-XIV საუკუნეების ქართული ისტორიული საბუთების მიხედვით ცნობილია, რომ: საბა და მისი ძმა დანიელ დემეტრე წილკნელმა მღვიმის მონასტერში დაადგინა მწირველებად და უწყალობა მამულები.... მესხური მიწიდან ორი გუთანი...; საბა ქართლის მთავარეპისკოპოსს დაუმტკიცებია საეკლესიო კრების დადგენილება მღვიმის მონასტრისათვის შეუვალობის განახლების შესახებ; საბაგულაშვილი საბა, ეგრისში მცხოვრები, ნაზარალი-ხანმა დაუბრუნა პაატა ლარაძეს, რომლისთვისაც იგი მისივე განაყოფს ზურაბს წაერთმია; არვანბეგ საბაისძისათვის დავით მეფეს კლარჯეთში გაწეული სამსახურის სანაცვლოდ სამამულოდ სიგელით უბოძებია მცხეთის მკვიდრი შეუბანი; ხოდაშენს მცხოვრები საბანაძე შეტანილია სვეტიცხოვლის კუთვნილი საკომლოების

ნუსხაში და ა.შ. (პალ, 2007: 18-110). საბა დასტურდება ზემო ოშორაში (ჯიქია, 1941: 144), საბაგულა – ვარნეთში (ჯიქია, 1941: 141), საბაგულისძე – აწყვიტაში (ჯიქია, 1941: 178).

სოფელი **ჭობარეთი** „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“ ახალციხის ლივას განეკუთვნება და ჭაჭარაქის რაიონში შედის. „ჭობარეთი მთა კალაჯუკის სამხრეთისაკენ დაქანებულ ფერდობზეა გაშენებული, ამ ფერდობს უწინ „მზიანეთი“ რქმევია. სათიკნე მთის ძირებს, რომლებიც სოფლის თავთანაა გადმომდგარი, ბაირის თავი ჰქვია, ამავე მხრით, ე.ი. ჩრდილოეთით, მას ესაზღვრება სოფელი მუსხი, სამხრეთით ჩაუდის ჭობარეთის ხევი, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა ჩამდადარას (კვარიან ხევს) უწოდებენ, მას მიერთვის მანგალეების და დარათლალების (ყანის ხევი) ხეხები, რომლებიც შემდეგ ურავლის ხეობას უერთდებიან. აღმოსავლეთით სოფელს ესაზღვრება ვერანა ჭობარეთი, დასავლეთით – ქორ-დარა (ბრმა ხევი) და სოფელი ხეოთი“ (ს.ჯ.ი.მ. ხელნაწერთა ფონდი, საქმე №100). სოფლის სახელი ეტიმოლოგიურად წაბლს უკავშირდება. მკვლევართა აზრით, იგი ზანური წარმოშობისაა და ერთ-ერთი უძველესი გეოგრაფიული სახელია სამხრეთ საქართველოში (თოფურია, 1968: 168). ჭობარეთის შესახებ ხალხური ეტიმოლოგია გვამცნობს, რომ ადრე აქაური მოსახლეობა მთაში ცხოვრობდა, რამდენიმე კომლი ბარში ჩამოსულა საცხოვრებლად, მოსწონებიათ ადგილი და მთაში მყოფთათვის დაუძახიათ: ჭო, ბარში ჩამოდითო (ბერიძე, 2011: 225). ხუთი საუკუნის წინ ჭობარეთში უცხოვრია ოცდაათ კომლს. ოჯახის უფროსები არიან: ელია იასძე, დავითა ძე მისი, მახარებელ ზაქარასძე, საბია ძე მისი, გათენა გიორგისძე, ყუბადის შვილიშვილი, გიორგის შვილიშვილი, ვარძელ მამუკასძე, აბიათარ ძე მისი, აბისონ ძე მისი, ირაკლი ძმა მისი, ნარიმას შვილიშვილი, სალუყაზანისძე, პოპია ძე მისი, კოკოლა გოგიჩასძე, იასონისძე, ღვინია მარინდოსძე, ბატატა ძმა მისი, გულისადებ სეხნიასძე, ელია კუპარასძე, ელია ძმა მისი, გარსევან გრიგოლისძე, მახარებელ ძმა მისი, ... ძმა მისი, მანდოს შვილიშვილი, გოგიჩა ცხადიასძე, ელია ბატატასძე, ხარება ყარასძე, ნურყულა (ჯიქია, 1967: 159-160).

საინტერესო ფაქტია, რომ ძმების სახელდებლად გვხვდება ერთი და იგივე სახელი ელია. მათი სეხნიები არიან ელია იასძე და ელია ბატატასძე. ბატატა ჰქვია ღვინია მარინდოსძის ძმას. ბატატა პროდუქტიული სახელია იმდროინდელი სახელთა ფონდიდან: ბატატა მახარებლისძე ჯაბოეთიდანაა (ჯიქია, 1941: 137), ბატატა რომასძე – ორგორაში (ჯიქია, 1941: 135), ბატატა ყაითმასისძე და ბატატა კირაკოსისძე – ხერთვისიდან (ჯიქია, 1941: 172), ბატატა სელმანისძე – წუნდიდან (ჯიქია, 1941: 242); ორი ბატატა ცხოვრობს ხიზაბავრაში (ჯიქია, 1941: 175), ორი-

ნიჯგორში (ჯიქია, 1941: 181), ორი – ინწყორაში (ჯიქია, 1941: 143); ბატატა დასტურდება გომში, ოსკერიაში, გუნდში, ლეპისში, დუმელიასა და ვარნეთში. ტოლოშელი ბატატასძე მურვან აზნაურია (ჯიქია, 1941: 179). ბატატას მბერიძე უკავშირებს ფრინველის სახელს (ბატა შეერქმეოდა ადამიანს, ისევე როგორც წერო, კაჭკაჭა, ქორი და სხვ.) და მასში გამოყოფს კინობითის -ატ სუფიქსს (ბერიძე, 2010: 218). -უა სუფიქსითაა გაფორმებული ქარზამეთში მცხოვრები ბატუა ატუასძის სახელი (ჯიქია, 1941: 255). ბატატა შესაძლებელია მოდიოდეს მეტსახელიდან და გულისხმობდეს ა) სიარულის თავისებურებით გამორჩეულ ან ბ) დაბნეულ ადამიანს. ბატია შეგვხვდა მეტსახელად სოფელ ტოლოშში („ბუცუტი, დაბნეული“). ბატოთები დადასტურებულია ვალის ნასყიდაშვილთა შტოგვარად (კობაიძე, 2015: 14). ი.მაისურაძეს ამავე ძირისად მიაჩნია: ბატატუნაშვილი, ბატაშვილი, ბატიაშვილი, ბატიკაშვილი, ბატკუაშვილი (მაისურაძე, 1990: 32). „ქართველურ საკუთარ სახელებში“ ა.დლონტი ყურადღებას ამახვილებს ბატას მოტივაციაზე – მეტსახელი ბატის ქურდისა (გომი, კასპის რ-ნი) და სუფიქსური მრავალფეროვნებით წარმოგვიდგენს წყაროებიდან მოძიებულ მასალას: ბატე, ბატია, ბატიყელა, ბატუნა, ბატულა, ბატუნია (დლონტი, 1967: 54).

ჭობარელი ნარიმას შვილიშვილის პაპისახელი ბოლოკიდურა თანხმოვან-ნმოკვეცილი ფორმაა ძველი ირანული სახელისა ნარიმან და „გულადს, ძალგულოვანს ან: ვაჟკაცურად მოაზროვნეს“ ნიშნავს. აქედანაა გვარები: ნარიმანაშვილი, ნარიმანიშვილი, ნარიმანიძე და ნარმანია (ჭუმბურიძე, 1992: 133). ნარიმასძე ლომგულა დავთრისდროინდელი გომის მკვიდრია (ჯიქია, 1941: 253), ნარიმანისძე – დადეშის (ჯიქია, 1941: 177). ერეკლე მეფე პანინისადმი მიწერილ წერილში ასპინძის ბრძოლაში მოკლულთა შორის ასახელებს ნარიმანის ბეგს(გოგოლაური, 2007: 29). ნარიმანი ტოპონიმია სოფელ ტოლოშში, ხერთვისის მოპირდაპირედ ბაღებს ეძახიან; უდავოა, რომ ოდესღაც ეს ადგილები ვინმე ნარიმანს ეკუთვნოდა (ნარიმანის ბაღები > ნარიმანისა/ნარიმანისი > ნარიმანი).

სავარაუდებელია, მეტსახელიდან მომდინარე იყოს ღვინია, „რომელიც შეერქმეოდა ხოლმე ან ღვინისფერ კაცს ან ღვინის მოყვარულს“ (ბერიძე, 2011: 17). ამ სახელმა მოგვცა გვარები: ღვინაძე, ღვინიანიძე და ღვინიაშვილი. ღვინია, ჭობარელის გარდა, რქმევია ზემო ოშორასა და ინწყორაში მცხოვრებთ – აბესასძეს და გენებასძეს (ჯიქია, 1941: 143, 144). ზველშია ღვინიას შვილიშვილი (ჯიქია, 1941: 132), სოფელ ფანაკეთში – ღვინიას ძმა (ჯიქია, 1941: 250). შდრ. ღვინე (ალ.დლონტი „სიძველენი“).

XVI საუკუნის თურქ მოხელეებს საბეგრო დავთარში შეყვანილი ჰყავთ ერკოტაში მცხოვრებნი. ამჟამად ერკოტა ნასოფლარია. ერკოტელები ასპინძაში

სახლობენ „ერკოტის უბანში“, ერეკლეს ნახიდართან. როგორც სამეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია, **ერკოტის** ეტიმოლოგიის პირველი ცდა ი.გვარამაძეს ეკუთვნის, რომელიც ამ ტოპონიმს ერის კოტაობას (გარჯიშს თუ კეჭნაობას) უკავშირებს (ბერიძე, 2013: 71). ამ აზრს ზურგს უმაგრებს ხსოვნა სპორტული შეჯიბრებებისა, რომელიც თქმულებებმაც შემოგვინა (ხიზამბარელის ამბავი) და საჯილდაო ქვებმაც. ერთი ასეთი „უკარება“ ქვა დადემის ეკლესიის ეზოშიც იწონებს თავს. მ.ბერიძის აზრით, ერკოტის ფონეტიკური ვარიანტი და ძველი ფორმა არის **ერკუატა**; სავარაუდებელია ვა კომპლექსიანი ფორმაც – ერკვატა. ერკუატაში უ არის უმარცვლო. ორივე ფორმა: ერკუატა და ერკოტა ისტორიულად დროში ახლო-ახლოს არის ჩვენამდე მოღწეული. „ვაჰანის ქვაბთა განგების“ მინაწერი – „**ერკუატას** ორნივე კვირიკას ძენი ორმოცდაექუს თავ ჩაფ ღუინოს მოახსენებდენ მნათესა... **ერკუატას** ევატას ძე ჟამერაი თოთხმეტსა თავჩაფსა ღვინოსა მოახსენებდეს“ – XV საუკუნისაა, ხოლო „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“, სადაც დაფიქსირებულია ერკოტა, XVI საუკუნეშია შექმნილი. სწორედ ეს აფიქრებინებს მ.ბერიძეს, რომ ეს ფორმები ჯერ კიდევ პარალელურად არსებობდა (ბერიძე, 2011: 69). ვანის ქვაბთა წესდების მინაწერიდან ვიგებთ, რომ ექვსი საუკუნის წინ ერკოტაში უცხოვრიათ **კვირიკას** ორ შვილს და **ევატას** ვაჟს, **ჟამერას**. ხუთი საუკუნისწინანდელი ერკოტა, მუსლიმი ინფორმატორების ცნობით, შვიდკომლიანი სოფელია. აქ მკვიდრობენ: ვარძელ გიორგისძე, პაპუნა ბერისძე, სამადა იოსებისძე, იმარინდო ქეთხუდა, ვინმე იასძე, თაყა ბალიასძე და კვირიკას შვილიშვილი.

ი.ტალახაძის აზრით, „ვაჰანის ქვაბთა განგების“ მინაწერებში მოხსენებული გლეხები საეკლესიო გლეხები არიან (ტალახაძე, 1995: 86). მ.ბერიძე ფიქრობს, რომ აქედან გამომდინარე, სწორედ ერკოტაში იყო ყველაზე დიდი გვარი **ბერიძე** და ლოკალური გვარი **ხატიძე** (ბერიძე, 2011: 68). **ბერისძე** ერკოტის გარდა, დასტურდება საროში (ჯიქია, 1941:187); **ბერიკ** ფირაზიზისძე, **ბერიკ** მურადისძე, ვარძელ **ბერასძე** და **ბერაკასძე** – თმოგვის ციხის რაბათში (ჯიქია, 1941: 240), **ბერამ** ზოდოტასძე – ვანში (ჯიქია, 1941: 211), **ბერუა** აზარასძე – ქარზამეთში (ჯიქია, 1941: 255), **ბერეკა** კაკასძე – ხვილიშაში (ჯიქია, 1941: 138), **ბერო** – ასპინძასა და თმოგვში (ჯიქია, 1941: 131, 240). „დავთრის“ ცნობით, „საყანე მიწა ჩაირითურთ **ბერო** შაჰაზიზისძისა, აწ... მეჰმედ ჩაგუშის მფლობელობაში, სასამართლოს განაჩენის თანახმად იჯარის წესით წელიწადში 30 ახნას იძლევა“ (ჯიქია, 1941: 131). „ქართველურ საკუთარ სახელებში“ იკითხება: ბერი, ბერიკა, ბერიკელა, ბერიკი, ბერინ, ბერისძე, ბერიტა, ბერკა, ბერო, ბეროა, ბერუა, ბერუკა, ბერუკია, ბერულა, ბერუჩა, ბერუხა (დლონტი, 1967: 56-57). ი.მაისურაძე გვარებს:

ბერაძე, ბერეკაშვილი, ბერია, ბერიანიძე, ბერიკაშვილი, ბერინაშვილი, ბერიტაშვილი, ბეროზაშვილი, ბეროძე, ბერულავა და სხვ. „ბერი“- (რომელიც ზოგადი მნიშვნელობით, ვაჟის, ძის, ყმის აღმნიშვნელია) და მისგან წარმოქმნილი მრავალი საკუთარი სახელისგან მომდინარედ მიიჩნევა. ჩვენს შემთხვევაში, ასპინძის მუნიციპალიტეტის ისტორიულ სოფლებში, სახელი ბერი რამდენიმე სახეცვლილებით (ბერა, ბერამ, ბერაკა, ბერეკა, ბერო, ბერუა, ბერაძე) დასტურდება და გაფორმებულია: -ა, -ამ, -აკა, -ეკა, -ო, -უა სუფიქსებით. -ე მაწარმოებლიანი ბერე მეტსახელია ტოლოშის ბერიძეთა წარმომადგენლისა.

ერკოტის ერთ კომლს თავკაცობს თაყა ბალიასძე. თაყა ზ.ჭუმბურიძეს ქართულ სახელად მიაჩნია, მაგრამ მის მნიშვნელობას ვერ აზუსტებს. ამ სახელიდან მომდინარე გვარებია: თაყაშვილი, თაყაიშვილი, თაყაძე, თაყინაშვილი, ტაკაშვილი (ჭუმბურიძე, 1992: 116). ი.მაისურაძე თაყას უკავშირებს ანდაზას– „ეგრე არ უნდა, თაყაო, შენ რომ მამული გაყაო“ (მაისურაძე, 1990: 73). ქართულ ანდაზებში იშვიათად, მაგრამ მაინც გამოიყენება აპელატივიზებული ფორმები. ასეთია, მაგალითად, „ქმრიანი ქალი ამირანია და უქმრო ქალი – ამირანთამირანო!“ (ამირანია – შეუპოვარია, „მიჯაჭვულიც“ კი თავს დაიხსნის). თაყა, თაყინა, თაყიადინა შეტანილია ა.დლონტის „ქართველურ საკუთარ სახელებში“ (დლონტი, 1967: 84). რაც შეეხება, ბალიასძეს, მომდინარეობს ბალა/ბალიადან. ბალა ფიაში დასტურდება (ჯიქია, 1941: 190), იასა ბალასძე – ფანაკეთში (ჯიქია, 1941: 250). ი.მაისურაძე წარმოგვიდგენს გვარებს: ბალიაური და ბალიაშვილი (მაისურაძე, 1990: 29), რომლებიც ი.ახუაშვილს მეტსახელიდან მომდინარედ მიაჩნია (ახუაშვილი, 1994: 247). ზ.ჭუმბურიძე დახასიათების შემცველ გვარებში აერთიანებს ბალიაშვილს და მნიშვნელობით აიგივებს კოჭლაშვილთან (ბალია ქიზიყ. „კოჭლი“ (ჭუმბურიძე, 1992: 64). ბალიასძის მსგავსად, კოჭლასძეც შეგვხვდა „დავთარში“ იდუმელი ოჯახის თავკაცის სახელად (ჯიქია, 1941: 139). ბალა გვარსახელის ფუძედ და მეტსახელად ახლაც აქტუალურია. თანამედროვე მონაცემებით, ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფლებსა (ოშორა, აწყვიტა) და თავად ასპინძაში მცხოვრები ბალიაშვილები წამოსული არიან სოფელ ხიზაბავრიდან. ბალაანი (ბალა-ანი) ოთანაძეების შტოგვარია ნაქალაქეში, მათგან მოდის პატარაბალაანი და ქორამუაანი. ბალიენი კი ხიზაბავრელი ბალიაშვილების შტოგვარია.

სახელი იმარინდო ერკოტის გარდა შეგვხვდა აგარაში (ჯიქია, 1941: 145). იოსებ იმარინდოსძეს უცხოვრია შალოშეთში (ჯიქია, 1941: 185). ამარინდო/ მეორე სახელი ბექას ძე – წუნდის კომლთა სიაშია (ჯიქია, 1941: 242), ხოლო ნადარა ამარინდასძე – ზედა თმოგვის (ჯიქია, 1941: 246). აშკარაა, რომ ყველა სახელს

კავშირი აქვს სპარსულ **ამირინდოსთან**, რომელიც „ინდოეთის ამირად“ ითარგმნება (ახუაშვილი, 1994: 657). აღლონტთან დასტურდება: იმარანდო, იმარდონ, იმარინდო (დლონტი, 1967: 88).

მესხეთში გავრცელებული ლეგენდის თანახმად, თამარ მეფეს თავისი ამალით აწყვიტის მიდამოებში შეუსვენია. მეფის ცხენს საბელი აუწყვეტია, გაქცეულა და დამალულა. ძველი თოკი აწყვიტაო, – შემფოთებულან. ასპინძის რაიონში შემავალი სოფლების სახელები: ძველი, თოკი, აწყვიტა და დამალა ხალხური ეტიმოლოგიით ამ ლეგენდას უკავშირდება (მელიქიძე, 2000: 54). სპეციალურ ლიტერატურაში მითითებულია, რომ „ტოპონიმთა ამ სახით დამკვიდრება სამცხის ადმინისტრაციული დაყოფის შემდგომ, ადმინისტრატორთა გადააზრების შედეგია“ (ბერიძე, 1992: 31). აწყვიტის თემი აერთიანებს დასახლებებს: ქუნცას, აწყვიტას, ქვაცხელიას და ნასოფლარებს: დადემს, ბნელას, როკეთს, ტაშლი-ყიშლას. „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ მიხედვით, ოდნავ სახეცვლილი ფორმით ეს სოფლები: როკეთი, დადემში, აწკუტა, ქუნცა, ბნალა ხერთვისის ლივას მიეკუთვნება. ვახუშტი ბატონიშვილი მიუთითებს, რომ „კობტის ხევის შესართავს ზეით მტკვარს მოერთვის დადემის ხევი, გამომდინარე ერუშეთის მთისა. დადემს არს მონასტერი გუმბათიანი, კეთილ–შუენიერს ადგილს შენი, აწ ცალიერი“ (ვახუშტი, 1973: 667). **როკეთის** მცხოვრებთაგან დასახელებულია 15 ოჯახის უფროსი: მანველ გიორგისძე, გოგინა ძე მისი, რევაზა ძმა მისი, მარინდო ვიგრიასძე, გოშპარ ძე მისი, იმატას შვილიშვილი, გელეტა მახარებლისძე, სარგის აბესალომისძე, რომანოზისძე, ვარძელ გალობელასძე, მახარასძე, მახარებელ ძმა მისი, სახელად თევდორე, დათუნა (ჯიქია, 1941: 175). **დადემში** ამ დროისათვის 10 ოჯახია, რომელთა უფროსებად დასახელებული არიან: გაგუჩა ზანდარასძე, ბადუჩა ძმა მისი, ნარიმანისძე და ელია მისი ძმა, კაკალა ალაღინისძე, ლომკაცი ძმა მისი, ბიძინა, ცისკარასძე, პაპუნა, ირაკლი (ჯიქია, 1941: 177). **აწკუტა** 15-კომლიანი სოფელია, ოჯახის თავკაცები არიან: მარკოზ, ღონენა ძმა მისი, მახარა ნიკოლოზისძე, ზურაბა ძმა მისი, ვარძელისძე, მღვდელი ნიკოლოზისძე, ელიაზარ საბაგულისძე, გოგი ელისასძე, ივანესძე, გაგა ლაშქარასძე, ივანე მაზანასძე, ძმა მისი, ნოდარას შვილიშვილი, სახელად აგვაროზ, პაპუნა გაგას ძმა, სახელად გულისა (ჯიქია, 1941: 178). **ქუნცა** პატარა სოფელია, რვაკომლიანი, ოჯახის უფროსებად ჩანან: ლაზარე ზაზუნასძე, ლაშქარა მაზანასძე, მახარა თევდორესძე, ზაზუტა ძმა მისი, გაგა ძმა მისი, გულისა ზაზასძე, ვარძელ ძმა მისი, გულბათ ძმა მისი (ჯიქია, 1941: 182). **ბნალაში** 7 ოჯახია, თავკაცები არიან: გულაზიზისძე, გრიგოლა ძმა

მისი, დემეტრე დავითასძე, აბიათარ ძე მისი, რამაზა მურადისძე, ბასილა ნათასძე, პაპუნა მირზიასძე.

XVI საუკუნეში როკეთში მცხოვრები სარგისი **აბესალომისძეა**. მისი გვარისა თუ მამისახელის ფუძე **აბესალომ** ძველ ებრაულად ნიშნავს „მამა მშვიდობისა, მამა ქვეყნისა“, სპარსულად კი – „ყვავილნარის, ვენახის“ აღმნიშვნელია (ჭუმბურიძე, 1992: 92). **აბესალომ** გვხვდება საბეგრო დოკუმენტის ხერთვისის ციხის რაბათში (ჯიქია, 1941: 172). **აბესალომისძეა** სახუდაბლის მკვიდრი ვარძელი (ჯიქია, 1941: 134), **აბესასძეა** ღვინია სოფელ ზემო ოშორაში (ჯიქია, 1941: 144). ალექსანდრე ღლონტს „ქართველურ საკუთარ სახელებში“ აბესალომის პარალელურად დადასტურებული აქვს აბესალო და აბესალამ (ღლონტი, 1967: 43). ი.გაგულაშვილის აზრით, ამ სახელმა სათავე დაუდო ქართულ გვარებს: აბესალომიძე, აბესლამიძე, აბესალაშვილი (გაგულაშვილი, 1993: 106). ი.ახუაშვილის ცნობით, ბარათაანთ გაყრის წიგნში (1523წ.) იკითხება აბესალამაშვილი (ახუაშვილი, 1994: 643). აბესალომიძეები დღეს აწყვიტაში არ ცხოვრობენ, მაგრამ პირის სახელად გვხვდება აბე და აბესალომ. ვფიქრობთ, აბესალომიდან უნდა მოდიოდეს სახელი **აბისონი**, რომელიც რქმევი მახარებლის ძმას ჯაბოეთში (ჯიქია, 1941: 137). ეს პროცესი ასე განვითარდებოდა: **აბესალომ > აბესალონ > აბესონ > აბისონ**. როგორც ბ.ჯორბენაძე მიუთითებს, მ>ნ შენაცვლება მესხურში ბოლოკიდურა პოზიციაში ხდება ხმოვნის მომდევნოდ პაუზის ან თანხმოვნის წინ (ჯორბენაძე, 1998: 329). ჩვენს შემთხვევაშიც სწორედ ასეა: **აბესალომ > აბესალონ**; და რადგან ფონეტიკურ ცვლილებას განსაზღვრავს ხმოვანთა ურთიერთობა მანძილის მიხედვით, -ალ მარცვლის შეკუმშვის შემდგომ ე-ს მეზობლობაში ო-მ მოგვცა **აბისონ** (ეო > იო).

პაპუნა **მირზიასძე** ერთ-ერთია ბნელას მცხოვრებთაგან. ამ სახელის ფუძით ნაწარმოები **მირზასძე** საროსა და ქარზამეთში დავაფიქსირეთ (ჯიქია, 1941: 187, 255). **მირზა** ჰქვია ფანაკეთში, ვარნეთსა და ქარზამეთში კომლთა უფროსებს (ჯიქია, 1941: 241, 141, 255). ზ.ჭუმბურიძის მიხედვით, **მირზა** მომდინარეობს არაბულ-სპარსული სიტყვიდან **ამირზადე** – „ამირის შვილი“. ამირი შუა აზიაში არაბთა მოსვლის დროიდან ეწოდებოდა მხედართმთავარს, მმართველს. ამირობით დაუწვია თავისი კარიერა თემურ-ლენგს, რომელსაც ბოლომდე შეუნარჩუნებია ეს ტიტული და არ გაუცვლია უფრო საპატიო წოდებაზე – ხანზე. ამირ(ემირ)-ზადე უკვე თემურის შვილების წოდებაა. აქედან თავ-ბოლოს მოკვეციტ მიღებულია მირზა. მაშასადამე, მირზა თავდაპირველად ტიტულს (უფლისწულს, ბატონიშვილს; მოგვიანებით: მდივან-მწიგნობარს, მწერალს)

აღნიშნავდა, შემდეგ იქცა საკუთარ სახელად. ზ.ჭუმბურიძის აზრით, ამ სახელის გავრცელებას მოწმობს გვარი მირზაშვილი და გეოგრაფიული სახელი მირზაანი (ჭუმბურიძე, 1992: 131). პირთა ანოტირებული ლექსიკონი XI-XVII სს. ქართული ისტორიული საბუთების მიხედვით იცნობს: მირზას, მირზაბეგს, მირზათას, მირზასშვილს, მირზაჯანას, მირზიას, მირზიაშვილს, მირზუაშვილს, მირზუკაშვილს (პალ, 2004: 173-176). „მესხურ ქრონიკებში“ დადასტურებული **აიდარმირძა/ჰაიდარმირძას** მეორე კომპონენტი სწორედ მირზადან მოდის.

„დავთარში“ იკითხება, რომ სოფელბნელის მკვიდრნი არიან **დემეტრე** დავითასძე და ძე მისი **აბიათარ** (ჯიქია, 1941: 182). სახელი აბიათარი ფიქსირდება „ქართლის ცხოვრებაში“ (ქც, 1955: 95) ი.ახუაშვილს მოძიებული აქვს: „მირიან მეფე განჰკვირდა და იწყო გამოძიებად სჯულსა ქრისტესსა და მრავალ გზის ჰკითხავენ ჰურია-ყოფილსა აბიათარს ძუელთა და ახალთა წიგნთასა“; „გიორგი, გრიგოლ და აბიათარ ჭარმაულებს, 1531 წელს ბასილ კათალიკოსმა დაუმტკიცა სოფ. ხატი-წობენა და მათგანვე შექმნილი მამულები“... (ახუაშვილი, 1994: 188). შესაძლებელია, აბიათარი კომპოზიტიური სახელი იყოს, ორი სახელის შეერთებით მიღებული: აბი + ათარი. ცალ-ცალკე ეს სახელები თავიანთი ფონეტიკური ვარიანტებით (აბი / აბია / აბიო / აბო) და ათარ / ათანა / ათანი / ათანია / ათალა) დასტურდება ა.ღლონტის „ქართველურ საკუთარ სახელებში“ (ღლონტი, 1967: 43-45).

დემეტრე – ბერძნულად „ხალხის დედა“ (ახუაშვილი, 1994: 324), „მიწა-დედა“, სხვაგვარი განმარტებით: „დემეტრასი“. ანტიკური მითოლოგიის მიხედვით, დემეტრა მიწათმოქმედებისა და ნაყოფიერების ქალღმერთია. დიმიტრი დემეტრეს გვიანდელი ფორმაა (შდრ. ელია > ილია). უფრო ძველი ფორმები დაცულია გვარებში: დემეტრადე, დემეტრაშვილი; შემოკლებული ფორმებია: დიტო, მიტო, დუტუ (ჭუმბურიძე, 1992: 197). დიმიტრი „დავთრის“ ჩვენთვის საინტერესო მონაკვეთში არ იძებნება, დემეტრეს ვხვდებით ვანისქვაბში, აგარასა და ბნალაში (ჯიქია, 1941: 244, 145, 182), **დემეტრეს შვილიშვილს** – ტამალასა და მირაშხანში (ჯიქია, 1941: 136, 239), ზაქარა **დემეტრესძეს** – ვაშლობში (ჯიქია, 1941: 244), ნიკოლოზ **დემეტრესძეს** – მირაშხანში (ჯიქია, 1941: 239)

ზ.ჭუმბურიძე შენიშნავს, რომ **ელიაზარ** ძველ ებრაულად „ღვთის წყალობას, ღვთის შემწეობას“ ნიშნავს და ამ ფორმით ქართულში ნაკლებად გვხვდება. „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ სოფელ აწყვიტაში დასტურდება **ელიაზარ საბაგულისძე** (ჯიქია, 1941: 178). ქუნცაში გვაქვს ელიაზარის სახეცვლილი ფორმა **ლაზარე**. ლაზარე ზაზუნასძეა (ჯიქია, 1941: 182). **ელიაზარი**, მისი პარალელური ფორმა **ელიეზერ** და ლათინური შესატყვისი **ლაზაროს**

დამოწმებულია სულხან-საბასთან. განსხვავებული სემანტიკისაა ელია (ელიაუს), რომელიც ძველი ებრაულიდან ითარგმნება, როგორც „ღმერთი – სიმაგრე ჩემი“, ებრაულიდან შესულია ბერძნულში, სადაც მიღებული აქვს მნიშვნელობა „მზიანისა, მზიურისა“. ბერძნულ მითოლოგიაში იგი ამინდისა და ჭექა-ქუხილის ღმერთად ითვლება (ჭუმბურიძე, 1992: 109, 119). ქართულში ელიას გავრცელებული ფორმაა ილია და მისი კნინობითი: ილა, ილო, ილიკო. აწყვიტაში ერთ-ერთი ოჯახის უფროსია გოგი ელისასძე (ჯიქია, 1941: 178), რომლის მამაც უნდა ყოფილიყო ელისა; სწორედ ამ სახელმა დაამკვიდრა გვარი ელისაშვილი. ელისაშვილი ი.მაისურაძეს დადასტურებული აქვს გურჯაანის რაიონში (მაისურაძე, 1990: 60). XVI საუკუნის დასასრულს ელია ნარიმანისძე ცხოვრობს დაღესტანში, ელიას შვილიშვილი – ლეპისში, ელიასძე – ვარნეთში, ილია სულთანასძე – ზედა თმოგვში, სუმბატა ელიაზარისძე – ხერთვისში (ჯიქია, 1941: 177-254). ელია სამცხეში გავრცელებული სახელია. „მესხურ მატინაეში“ იკითხება, როგორ იახლეს კოკოლა და ლაშქარა ვარაზაშვილებმა, მათმა ბიძამ გურგაქმა და იასონ ბედანისშვილმა „დიასამიძის ელიას შვილი ავთანდილ“, რამდენიმე ფურცლის შემდეგ კი: „დიასამიძემ ელია დემოთიას ციხეს სავალინშვილი საღალატოდ შეუყენა“ (შარაშიძე, 1961: 43, 55).

„დავთრის“ მიხედვით აწყვიტაში დასტურდება ივანე მაზანასძე და ვინმე ივანესძე. ივანე ძველი ებრაულიდან მომდინარე სახელია (იეჰოხანან/იოხანან), რომელიც „ღვთის წყალობას“ ნიშნავს, „ვისაც ღმერთი სწყალობს“ (ჭუმბურიძე, 1992: 22). აღ.ღლონტთან გვხვდება: იოანე, იოვანე, ივანე (ღლონტი, 1967: 88). ქართულში ამ სახელმა განიცადა ცვლილება: იოჰანე > იოვანე > ივანე > ვანო. ივანიძე, თანამედროვე მონაცემებით, აწყვიტაში ერთ-ერთი გავრცელებული გვარსახელია. აშკარაა, რომ XVI საუკუნეში ეს გვარი უკვე არსებობდა (ივანესძე > ივანეძე > ივანიძე). ი.მაისურაძე ამავე ძირისად მიიჩნევს გვარებს: ივანაური, ივანაშვილი, ივანეიშვილი, ივანელაშვილი, ივანიძე, ივანიკაშვილი, ივანიშვილი (მაისურაძე, 1990: 79).

საყურადღებოა აწყვიტაში მცხოვრები მარკოზის ძმის სახელი – ღონენა (მისგასწვრივმითითებული მეორე სახელი, ბევრი სხვა ადგილის მსგავსად, ქართულად არ იკითხება). ღონენა დოკუმენტირებულია ტოლოშშიც, ღონენა გიორგაძისძე – კვარში, ღონენა მათათასძე – ხერთვისში, ღონენას შვილიშვილი – ალანძიაში (ჯიქია, 1941: 183, 172, 178). იახუაშვილს დადასტურებული აქვს ამ სახელიდან მომდინარე გვარი ღონენაშვილი (ახუაშვილი, 1994: 566). ღონენა, ერთი შეხედვით, სურვილის სახელს მოგვაგონებს, რომ სახელდებისას ნათლიამ ძალა, ღონე, ფიზიკური სიმრთელე უსურვა ნათლულს.

სულ სხვაგვარად ფიქრობს მბერიძე, როცა იმოწმებს სულხან-საბას (საბას მიხედვით, „ღონა (თევზ.) – ღორჯო ჰქვიან“) და აცხადებს, რომ ღონენაში გამოყოფილი **ღონ-** ფუძე პატარა, თავმსხვილი შავი თევზის აღმნიშვნელია, მთის წყალში არ იცის, ბინადრობს მტკვრის ლამიან ადგილებში (ბერიძე, 2011: 59). მბერიძე საკუთარ მოსაზრებას განამტკიცებს იმით, რომ უფროსი თაობის წარმომადგენლებში ერქვათ მეტსახელად **ღვანა**, ღონას ფონეტიკური ვარიანტი; ხოლო ახალგაზრდებში შეარქმევენ ხოლმე ღორჯოს ისეთ ადამიანს, ვისაც შავი ფერი და დიდი თავი აქვს. ეტყობა, ღონენაც ამ ნიშნით გამოირჩეოდა (ბერიძე, 2011: 60). ი.მაისურაძე „ქართულ გვარსახელებში“ ასახელებს გვარებს: ღვანიძე, ღონიაშვილი და ღონიერაშვილი (მაისურაძე, 1990: 180). აქედან პირველი (**ღვანიძე**) სარწმუნოს ხდის მბერიძის მოსაზრებას, ხოლო გვარი **ღონიერაშვილი** დაკავშირებულია დიდი ძალის მქონე ადამიანის მეტსახელთან – **ღონიერა**.

სახელთა დარქმევა ბავშვის ავი თვალისაგან დასაფარავად უძველეს წარმოდგენებს უკავშირდება. ასეთი სახელი უნდა იყოს აწყვიტაში დოკუმენტირებული **ავგაროზ** (ჯიქია, 1941: 178). ავგაროზი დამცავი, გათვალვის საწინააღმდეგო საშუალებაა. ქველი გვამცნობს: რომ ავგაროზი გულზე სატარებელი რაიმე მცირე ზომის ნივთია, რომელსაც ცრუმორწმუნეობით სამკურნალო ძალა ან მფარველის თვისებები აქვს (ქველი, 1950: 150). სწამდათ, რომ ავგაროზი, რომელსაც ზებუნებრივ ძალას მიაწერდნენ, მფლობელს დაიცავდა ავადმყოფობის, ხიფათისა და ავი თვალისაგან (ქსე, 1975: 118). ავგაროზი ჯერ იყო მეტსახელი, ანგელოზას მსგავსად, შემდეგ საკუთარ სახელად იქცა. ისტორიაში მოიხსენებიან: ავგაროზი, 1446-1460წწ. უძველესი დროის ქსნის ერისთავის გირშელი ქვენიფნეველი II-ის შვილი; ავგაროზ ქურული (1460წ. 12 ივნისი), ავგაროზ ქარუმისძე და სხვ.“ (ახუაშვილი, 1994: 198). **ავგაროზი** დადასტურებული აქვს ა.დლონტს (დლონტი, 1967: 45). „დავთრის“ მონაცემებით, ეს სახელი გვხვდება ოსკერიასა და თოკში (ჯიქია, 1941: 188, 201). ამავე დოკუმენტით, ხარება **ავგაროზისძე** ღამზის მკვიდრია (ჯიქია, 1941: 139).

ირანული წარმოშობის სახელი **ლაშქარა** („მხედარი, მეომარი, მოლაშქრე“ – ჭუმბურიძე, 1992: 126) უდევს საფუძვლად ოსმალთა მოხელეების მიერ აწყვიტაში აღრიცხულ **ლაშქარასძეს**. ლაშქარა დაფიქსირებულია კვარმასა და ასპინძაში. ლაშქარა გუბელასძე ვარნეთელია, ლაშქარა აბასძე – ასპინძელი, ლაშქარა ბაინდურასძე – ინწყორელი, ლაშქარა მაზანასძე – ქუჩელი, ლაშქარა ჯანელასძე – ხიზაბავრელი. ეს სახელი აწარმოებს გვარებს: ლაშქარაშვილი, ლაშქარაძე, ლაშქარავა (ჭუმბურიძე, 1992: 126).

დავთრისდროინდელ დადგეში ცხოვრობენ და ოჯახის თავკაცებად დასახელებული არიან გაგუჩა **ზანდარასძე** და მისი ძმა ბადუჩა. ზ.ჭუმბურიძის მიხედვით, **ზარანდ** სკვითურია და ნიშნავს „მოხუცს“, აქედანაა გვარი **ზარანდია** (ჭუმბურიძე, 1992: 65). პ.ცხადაიას აზრით, ს.მაკალათიას მიერ ფშავში დაფიქსირებული პირსახელი **ზარავანდა** გვარს წარმოქმნის ასეთი გზით: **ზარავანდა** > **ზარავანდია** > **ზარანდია** (ცხადაია, 2000: 85). ვფიქრობთ, ჩვენთვის საინტერესო ფორმა **ზანდარა** მეტათეზისის შედეგია: **ზარანდ** > **ზანდარ**. **ზანდარა** მაცხოვნასძეს შევხვდით აგარის მკვიდრთა ჩამონათვალში (ჯიქია, 1941: 145), გაგუჩა **ზანდარასძეს** – დადგეში (ჯიქია, 1941: 177), მასურა **ზანდარასძეს** – ვარნეთში (ჯიქია, 1941: 141). დღეს სახელი **ზანდარა** და მისგან ნაწარმოები გვარი ასპინძის მუნიციპალიტეტში არ დასტურდება, მაგრამ ერკოტის ბერიძეთა შტოგვარის სახელად გვაქვს **ზანდარაანი** (ბერიძე, 2011: 133). საინტერესოა **ზანდარასძეების** სახელები: **ბადუჩა** და **გაგუჩა**. ორივე -უჩა სუფიქსითაა გაფორმებული. **ბადუჩასთან** ახლოს დგას **ბაადო**, **ბაადურ** (ღლონტი, 1967: 51), **ბადრი** – არაბ. „სავსე მთვარე“ (ჭუმბურიძე, 1992: 98), **ბაადურ** – მონღ. „გმირი“ (ჯიქია, 2008: 117). **გაგა**, **გაგუჩა** – აღ.ღლონტის მიხედვით, დასტურდება გერგეტსა და ბარისახოში (ღლონტი, 1967: 63). **ბადუჩა** აქტუალური სახელია სხვადასხვა ვარიანტებთან ერთად ოსმალთა მოხელეების აღწერილ დასახლებებში. ეს სახელი მიღებულია მონღოლური წარმოშობის და თურქულში დამკვიდრებული **ბაადურისაგან** („გმირი, გოლიათი, მამაცი“ – ჭუმბურიძე, 1992:9 7). **ბადურა** შეგვხვდა ასპინძის, ტოლოშის, ზემო ნიალის, ოსკერიის, კულუღეთის და ვარნეთის ოჯახების თავკაცთა სახელებად (ჯიქია, 1941: 130-247); **ბადუჩა** – იდუმალაში, ზედა თმოგვში, ქვემო ნიალაში, ლეპისში, ზველსა და ქვემო ბუზმარეთში (ჯიქია, 1941: 139-252); **ბადუკა** – ფანაკეთში, ზედა ვარძიაში (ჯიქია, 1941: 250, 240); **ბადელა** ლალას ძმა – ქარზამეთში (ჯიქია, 1941: 255); **ბადრია** – ქვემო ოშორაში (ჯიქია, 1941: 144); **ბადურ** გულბეგისძე – ხერთვისში (ჯიქია, 1941: 172); **ბადურასძე** – ზემო და ქვემო ნიალაში (ჯიქია, 1941: 247, 249); **ბადრიასძე** – ვაშლობში (ჯიქია, 1941: 243). პაპისახელით – **ბადუჩას შვილიშვილი** დაფიქსირებულია ქვემო ნიალის ერთი ოჯახის მეთაური (ჯიქია, 1941: 248).

ბაადურ/ბადურა/ბადუჩა/ბადელა ფორმებისაგან განირჩევა ეთნოანთროპონიმი **ბაინდური** – „ბაინდურის ტომი“, ოღუზურ ტომობრივი სახელიდან მომდინარე; რომელიც მ.ჯიქიას აზრით, ბგერათა შემადგენლობის მსგავსების გამო გაიგივდა ანთროპონიმ ბადათურ//ბადურთან (ჯიქია, 2008: 76). „დიდი დავთრის“ მონაცემებით, **ბაინდურ** როსთევანისძეს უცხოვრია ხერთვისში (ჯიქია, 1941: 172),

ბაინდურისძეს – რუსთავეში, ვარნეთში, ინწყორაში, თმოგვის ციხის რაბათში (ჯიქია, 1941: 141,240);

დადემელ კაკალა ალაღინისძეს ჰყავს ძმა **ლომკაცი**. ჩანს, ძლიერი, შეუპოვარი, უდრეკი ხასიათი უსურვა შვილებს სახელდებისას კაკალას და ლომკაცის მამამ. კაკალას შესახებ ზემოთ მოგახსენებდით. ლომკაცი თხზული სახელია და მისი პირველი კომპონენტი გვხვდება სახელებში: **ლომიზგულ** (ლომიზგულ ლაშქარას შვილი – ხიზაბავრა), **ლომდარა** (ხერთვისი), **ლონდარა** (აგარა), **ლონგულა** (ღამზა) და **ლომგულა** (ლომგულა ნარიმასძე – გომი). **ლომა** დასტურდება ზედა თმოგვსა და ქვემო ნიალაში (ჯიქია, 1941: 246, 248); **ლომას შვილიშვილს** უცხოვრია ალანდიაში (ჯიქია, 1941: 183); **ლომასძე** ბადურა კულილეთის მკვიდრია (ჯიქია, 1941: 184), მამი **ლომსასძე** და ოქრო **ლომინასძე** – ღამზის (ჯიქია, 1941: 139), პაპუნა **ლომისგულისძე** – ახთილის (ჯიქია, 1941: 159). ზღუმბურიძის აზრით, გვარები ლომიძე, ლომაძე, ლომაშვილი და სხვ. მიღებულია წინაპრის სახელისაგან ლომი, ლომა. „ცხოველთა, მცენარეთა, ფრინველთა და თევზებუთა სახელები დომინირებს ადამიანთა ჯერ მეტსახელების ან სახელების შერქმევაში და ამის საფუძველზე გვარების ჩამოყალიბებაში. ამ დროს გარკვეულ როლს თამაშობს ტოტემი, ადამიანისა და ბუნების ნათესაობის ეს საინტერესო ფორმა“ (ბერიძე, 2011: 59). ცხოველთა მეფის სახელწოდება ადამიანის სახელად გვხვდება ბევრ ხალხში. ქართული სიტყვა ლომი მომდინარეობს ძველი ეგვიპტური ლიაბუ(ღებუ)საგან. იქიდანაა მიღებული ბერძნული ლეონ და რუსული ლევ (ზღუმბურიძე, 1992: 7-8). იახუაშვილის აზრით, გვარი ლონდარიძე/ლონდარიშვილი მომდინარეობს მეტსახელისაგან **ლონდრე** – ტლანქი, მოუხეშავი კაცი (ახუაშვილი, 1994: 418). ჩვენ სარწმუნოდ არ მიგვაჩნია მისი მოსაზრება და ვფიქრობთ, სახელმა **ლომდარა** („ლომის დარი, ლომებრ ძლიერი“) დაუდო სათავე სოფელ საროში გავრცელებულ გვარს **ლონდარიძე** (< ლონდარა < ლომდარა). ინფორმატორის ცნობით, მათი გვარი ადგილობრივია, „ლონდარიძეები ძირძველი მესხები არიან. საროდან ჩადიოდნენ ნიჯგორში, ნიჯგორიდან ამოდიოდნენ საროში. ეკლესიასთან არის ყველაზე ძველი დასახლება ჩვენი გვარისა, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ეკლესიასთან, ციხე-სიმაგრეებთან ძირძველი მოსახლეობა იყო. აქედან წასული ლონდარიძეები არიან მანგლისში, თეთრიწყაროში, ქვემო ქართლში. XIX-XX საუკუნეებში წასული არიან დიდლოში“ (იხ. ინფ. ტექსტები). შდრ. **ლომო** მეტსახელის მნიშვნელობით შეგვხვდა ტოლოშში. რაც შეეხება ლომის თურქულ სახეწოდებას **არსლან**, გვხვდება კაცის სახელად ასპინძასა (არსლანა –ჯიქია, 1941: 130) და ზველში (ასლან არაბასძე, ჯიქია, 1941: 132).

მისგან ნაწარმოები გვარებია: ასლანიძე, ასლანაძე, ასლანიკაშვილი. ი.მაისურაძეს ახალქალაქის რაიონის სოფელ ბავრაში დადასტურებული აქვს გვარი ასლანიშვილი (მაისურაძე, 1990:24). „დავთრის“ მიხედვით, ლომთან დაკავშირებული სახელების გარდა ახალციხის, ხერთვისისა და ახალქალაქის ლიეების საკვლევ მასალაში ზოოფორული, ცხოველთა სახელებისაგან ნაწარმოები, ანთროპონიმებია: **ვეფხია** (წუნდა), **ვეფხიასძე** (ტოლოში), **ქურციკისძე** (ღამზა) და **ირემასძე** (ასპინძა). ქურციკისძე მიღებულია ქურციკისაგან, რომელიც იქცა პირსახელად, შემდეგ მამისახელად და გვარსახელად. **ირემასა** და **ლომას** შემთხვევაში -ა მაანთროპონიმებელმა სუფიქსმა მოგვცა: ირემი > ირემა > ირემასძე; ლომი > ლომა > ლომასძე. ამ სახელებში ჩანს ხსოვნა ტოტემისა. ისინი, მეცნიერთა აზრით, უძველეს ხანას ეკუთვნის, როცა „ადამიანები აღმერთებდნენ ამა თუ იმ ცხოველს. ხალხს ეგონა, რომ ლომის, დათვის თუ მგლის ძალა მიენიჭებოდა იმას, ვისაც ასეთ სახელს დაარქმევდნენ“ (ჭუმბურიძე, 1992: 11).

საკუთრივ ქართული სახელი **ცისკარა** რქმევია ერთ-ერთ დადგენილს, აქედან მოდის **ცისკარასძე**. ი.მაისურაძის აზრით, ამავე ძირისაა: ცისკარავა, ცისკარაული, ცისკარაშვილი (მაისურაძე, 1990: 207). ვფიქრობთ, სახელების განმსაზღვრელი თავდაპირველად უნდა ყოფილიყო განთიადისას, ალიონზე დაბადებული შვილი; შემდეგ სხვა სახელების მსგავსად, რომლებიც აგრძელებენ სიცოცხლეს თავისი კეთილხმოვანების შესაბამისად და არა შინაარსობრივი დატვირთვით, ამ სახელსაც არქმევდნენ არა მარტო ცისკრის უამს დაბადებულთ.

„გურჯისტანის ვილაიეთის“ საბეგრო აღწერის მიხედვით, ქუნცაში დადასტურებულია **ზაზუტა**, რომელიც წარმოქმნილ სახელებში უნდა გავაერთიანოთ (**ზაზ-უტა**), ანალოგიური წარმოებისაა **ზაზუნა** (**ზაზ-უნა**); ორივე სახელის ფუძე (**ზაზა**) არის **ზაზასძის** შემადგენლობაში. ქუნცაში ოჯახის უფროსებად დასახელებული არიან გულისა **ზაზასძე** და მისი ძმები: ვარძელ და გულბათ; **ზაზუტა** თევდორესძეა, მახარას და გაგას ძმა. **ზაზუნასძეა** ლაზარე (ჯიქია, 1941: 182). **ზაზა**, ჭუმბურიძის მითითებით, მიღებულია „შაჰ-ნამეს“ გმირის ზაალ-ზარ-ის სახელისგან – „ოქროს მოხუცი“ (ჭუმბურიძე, 1992: 114). **ზაზა** ედიშერისძე „დავთრისდროინდელი“ თმოგვის ციხის რაბათის მცხოვრებია (ჯიქია, 1941: 241). დლონტის „ქართველურ საკუთარ სახელებში“ რამდენიმე სახეცვლილებაა ამ სახელისა: **ზაზალა**, **ზაზი**, **ზაზო**, **ზაზუ**, **ზაზუა**, **ზაზუნიკი**, **ზაზუტა** (დლონტი, 1967: 80). **ზაალი** გვხვდება ზველის საბეგრო ჩამონათვალის მინაწერში. თურქი მოხელე გვამცნობს, რომ „ვენახი **ზაალისა** ადგილ ღობიეთში, აწ ... ადას მფლობელობაში, სასამართლოს განაჩენის თანახმად, იჯარის წესით წელიწადში

30 ახჩას იძლევა“ (ჯიქია, 1941: 133). **ზაალისძე** დასტურდება ყურაში, ორგორასა და საროში (ჯიქია, 1941: 133-188); ზემო ოშორაში უცხოვრიათ მაცაცა **ზაალასძეს**, **ზალია** გალობელისძეს და მახანა **ზალიასძეს** (ჯიქია, 1941: 143).

„დავთრის“ აღწერით, **გელეტა** მახარებლისძეც ქუნცაში ცხოვრობს. გელე, გელია, გელიტა, გელო (ღლონტი, 1967: 65) ტოტემური სახელიდან მომდინარე ჩანს: მგელა > გელა > გელეტა. შდრ. გვარები: მგელაძე, გელაშვილი, გელიკაშვილი, გელიტაშვილი, გელუტაშვილი. იახუაშვილი სხვადასხვა ისტორიული წყაროების მიხედვით მიუთითებს გელიტაშვილებსა და გულიტაშვილებზე, მაგალითად, 1713 წლის წყალობის წიგნში მოხსენებულ ვინმე გიორგი გელიტაშვილზე (ახუაშვილი, 1994: 289). ამჟამად ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ხერთვისში ცხოვრობენ მთიულეთიდან გადმოსახლებული **გელიაშვილები**.

პროფესიის აღმნიშვნელი ან მეტსახელიდან მომდინარე უნდა იყოს **გალობელასძე/ გალობელისძე**. სოფელ როკეთში დასტურდება გალობელასძე ვარძელი (ჯიქია, 1941: 175), **გალობელისძეა** ზალია სოფელ ზემო ოშორაში (ჯიქია, 1941: 143). მგალობელა > გალობელა – სიმღერის, ღიღინის მოყვარული; მოსიმღერე, მოღიღინე. შდრ. გვარსახელი მგალობლიშვილი. ი.მაისურაძეს აღნიშნული აქვს, რომ „სამეგრელოში გამოთქვამდნენ, როგორც გალობერი, გელეპერი, გელეპერ სქუა“ (მაისურაძე, 1990: 106).

როკეთში მანველ გიორგისძეს ჰყავს ძმები: გოგიჩა და **რევაზა**. რევაზა ჰქვიათ ხიზაბავრის, წუნდის, ვაშლობისა და დუმელიის მცხოვრებთ (ჯიქია, 1941: 175-252). **რევაზას შვილიშვილი** ლეპისიდანაა, კაკა **რევაზასძე** – დუმელიიდან (ჯიქია, 1941: 252). რევაზი ირანული სახელია – „უმდიდრესი, წარჩინებული“. მოფერებითი ფორმებია: რეზო, რეზიკო. აწარმოებს რევაზიშვილის გვარს (ჭუმბურიძე, 1992: 138). რევაზისშვილები ისტორიულად ამილახორთა შთამომავალნი არიან, „რომელნიც განიყოფებიან სხუა და სხუა სახლად: რევაზისშვილებად, ქაიხოსროსშვილებად, ბეჟანისშვილებად, ერასტისშვილებად (და იმის ძმისწულელებად), გივისშვილებად, ხოლო პირველი თავადობისა ადგილი და ამილახორობა-სპასპეტობა იყო რევაზისშვილთა, რომელნიც უფროსნი იქნებოდნენ სახლში, ხოლო სხუათა აქუნდათ მეორისა და მესამისა თავადისა ხარისხნი და პატივი...“ (ახუაშვილი, 1994: 506). რევაზიშვილები ამჟამად ასპინძის მუნიციპალიტეტში არ დასტურდება, მაგრამ დადგენილი ტოპონიმად შემორჩენილია **ლევაზას ღარები** (მელიქიძე, 2003: 141).

„აღწერა საჩინოთა ადგილთა სამცხე-საათაბაგოსი“ გვამცნობს, რომ დადგენილი ხევის „შესართავს ზეით, ნიჯგორის პირისპირ, მტკუარს მოერთვის შულავრის

ხევი“ (ვახუშტი, 1973: 667). ვახუშტისაგან განსხვავებით, „დავთარში“ მითითებულია **ნიჯღორი**, რომლის მართებულ ფორმად მ.ბროსეს მსგავსად, ჯიქიაც თვლის ნიჯგორს. სულხან-საბას მიხედვით, **ნიჯგორი** არის „საისრე დიდი კაპარჭი, ხოლო მენიჯგორე და ნიჟორგალი – მნე მათი (ორბელიანი, 1991: 596). ეს სოფელი XVI საუკუნის ბოლოს ოცდათხუთმეტი კომლითაა წარმოდგენილი. მისი მაცხოვრებლები არიან: წამალასძე, ფასია ძმა მისი, ფირალა მახარასძე, მისი ძმა ზარასფა, მამისასძე, პაპუნა ძმა მისი, გოგინა ვარაზგულასძე, მისი ძმა პავლე, პაპუნა გულისადებისძე, ზარასფა რამაზასძე და მისი ძმები – მახარებელ და მინა, პაპუნა თევდორესძე, ფირალა ძმა მისი და მეორე ძმა, რომლის სახელი ქართულად არ იკითხება, გაგუჩა მახარასძე, აღდგომელ ქაიძაროზისძე, ელისა მათათასძე, მაზანა ძმა მისი და მეორე ძმა, გოგინა მანასესძე, მაცაცა ძმა მისი, როვამ გოგინას ძმა, სამი ძმა: აღდგომელ, ნათენა და გოგინა, პაპუნა აბაგულასძე, მისი ძმები – ბატატა და ვარძელ, ფასია აბასასძე, იაღღუზა ტყემალასძე, მისი შვილები – ბატატა და ნათენა, იაღღუზა მებაღე (ჯიქია, 1967: 181). როგორც ჩანს, ნიჯგორში რამდენიმე წყვილი მოსახელე ცხოვრობდა: ორი ფირალა, ორი იაღღუზა, ორი ნათენა, ორი ზარასფა, ორი ფასია, ორი აღდგომელ, ორი ბატატა, სამი გოგინა და ოთხი პაპუნა.

ნიჯგორში დოკუმენტირებული **ნათენა** დღეს **ნათელას/ნათიას** ფორმითაა ცნობილი. ზ.ჭუმბურიძე მათ ქართულ სახელებად მიიჩნევს, რომლებიც წინათ კაცის სახელადაც გვხვდებოდა (ნათაი იხსენიება XIII საუკუნის მეორე ნახევრის სვანეთის კრების მატეანეში). აქედანაა გვარები: ნათელაშვილი, ნათაძე, ნათიძე, ნათიშვილი (ჭუმბურიძე, 1992: 172). ი.მაისურაძეს ამავე ძირისად მიაჩნია ნათური (მაისურაძე, 1990: 120). მამაკაცის სახელადაა დაფიქსირებული ნათა/ნათენა თურქულ საბუთშიც: **ნათენა** გაგელისძე ვაშლობის მკვიდრია (ჯიქია, 1941: 244), **ნათენა** ვარდიასძე – ტამალის (ჯიქია, 1941: 136), **ნათას** უცხოვრია რუსთავსა და ხერთვისში (ჯიქია, 1941: 141, 173), ბასილა **ნათასძეს** – ბნელაში (ჯიქია, 1941: 182), იარალ **ნათენასძეს** – ლეპისში (ჯიქია, 1941: 255), მახარებელ **ნათენასძეს** – ქვემო ოშორაში (ჯიქია, 1941: 144). დავთრისეული ნათენასძე და ნათასძე თანამედროვე მდგომარეობით (ნათენაძე, ნათაძე) გენეტივის თანხმონის გარეშე გავრცელებული გვარსახელებია. ასპინძის მუნიციპალიტეტში მრავლადაა ანთროპონიმებისაგან ნაწარმოები ადგილის სახელები და მათ რიცხვს მიეკუთვნება ნათელასაგან წარმოქმნილი „**ნათელაურები**“ – ბაღი ქუეცაში (მელიქიძე, 2003: 181).

ნიჯგორელ **წამალასძეთა** ერთი ძმის სახელი გაუშიფრავია, მეორეს კი **ფასია** ჰქვია. წამალასძეს საფუძვლად უდევს **წამალა**. ნ.ჭოსონელიძე სახელს წამალა აერთიანებს ბავშვის დაბადებასთან დაკავშირებულ სახელებში, კერძოდ, მშობიარობის შემდეგ პირველად დანახული, ნათქვამი ან გაგონილი სიტყვების მიხედვით დარქმეულ სახელებში (ჭოსონელიძე, 2007: 238). ი.ახუაშვილის ცნობით, წამალასძე მოხსენებულია 1250-1260 წწ. შიო-მღვიმის სიგელში; 1523 წლის ბარათაანთ გაყრის წიგნში (ახუაშვილი, 1994: 604). წამალა იშვიათი სახელია ჩვენი კვლევის არეში. სიმონ წამალასძე დასტურდება სოფელ არტახში (ჯიქია, 1941: 246), წამალა პაპუნასძე – სოფელ ჩოლეთში (ჯიქია, 1941: 250). **ფასია**, ვფიქრობთ, შემოკლებული ფორმაა სპარსული სახელისა – **ფარსადანი**, რომელიც ზ.ჭუმბურიძეს განმარტებული აქვს, როგორც „ბრძენი, სწავლული, მეცნიერი“ (ჭუმბურიძე, 1992: 145). ამის თქმის საშუალებას გვაძლევს, დავთრის მიხედვით, ტოლოში დადასტურებული **ფარსიასძე** (ფარსადანი > ფარსია > ფასია). ა.დლონტის „ქართველურ საკუთარ სახელებში“ გვხვდება: ფარსადანი, ფარსადანა, ფარსია, ფარსმან, ფარუ, ფარსოა (დლონტი, 1967: 130). ი.ახუაშვილს ქართული დოკუმენტების მიხედვით მოხმობილი აქვს პირის საკუთარი სახელები: ფარსია, ფარსუა, ფარსელა, ფასია და გვარები: ფარსადანაშვილი, ფარსულაშვილი, ფარსიაშვილი, ფარსულაშვილი, ფასინაშვილი (ახუაშვილი, 1994: 546).

ნიჯგორის მკვიდრთაგან ერთი **ტყემალასძეა** (< ტყემალა < ტყემალი). ანთროპონიმთა ლექსიკონები ამ გვარის შესახებ ცნობებს არ გავწვდის, მხოლოდ ი.მაისურაძესთან აღნიშნულია, რომ სავარაუდებელია მომდინარეობდეს საკუთარი სახელიდან **ტყემალა** (მაისურაძე, 1990: 157). შდრ. ნუშია/ნუშა/ნუშო. პირთა ანოტირებული ლექსიკონის მიხედვით, **ტყემალაძე** თავის ბატონთან – ათიანა მამისბედიშვილთან ერთად ალექსანდრე მეფეს შეუწირავს გელათის მონასტრისათვის (პალ, 2007: 254).

მაცაცა/მაცაცო დღეს ქალის მეტსახელად გვხვდება (ბერიძე, 2011: 60), „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ მიხედვით კი მამაკაცის სახელია. **მაცაცა** ნიჯგორის გარდა დასტურდება ორგორაში (მაცაცა ზარასფასძე), დამზაში, ზემო ოშორასა (მაცაცა ზაალისძე) და აგარაში (მაცაცა იმანასძე). პაპისახელობად გვხვდება ფანაკეთში – მაცაცას შვილიშვილი (ჯიქია, 1941: 250). სახელები **მაცა** და **მაცი** დაფიქსირებული აქვს ა.დლონტს (დლონტი, 1967: 102). შდრ. „მაცი ხვიტია.“ მეტსახელი **მაცაცერა** გვხვდება გ.შატბერაშვილის „ჭაშნიკში“ (შატბერაშვილი, 1964: 138). პირთა ანოტირებულ ლექსიკონში იკითხება, რომ „მაცა ლეონ მეფემ უწყალობა და გაუთარხნა მაქსიმე ჩოლოყასშვილს“, ხოლო „**მაცაცაშვილი** პატა მოწმეა ბერუა როინასშვილის

მიერ სეხნიასათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა“ (პალ, 2004: 113). მაისურაძის „ქართულმა გვარსახელებმა“ იცის მაცასაგან წარმოქმნილი: მაცაბერიძე, მაციშვილი, მაციკაძე, მაციაშვილი, მაცუკაშვილი (მაისურაძე, 1990: 105).

მაცაცას მსგავსად, მოფერებითი ფორმა უნდა იყოს ამავე სოფელში დადასტურებული **მათათასძე** (< მათათა). **მათათასძე** დაფიქსირდა ხერთვისის ციხის რაბათშიც (ჯიქია, 1941: 172). მათათა **მათესაგან** მოდის, ძველებრაულად „ღვთის კაცი, ღვთის ნაჩუქარია“. მისგანაა მიღებული გვარები: მათეშვილი, მათიაშვილი, მათიკაშვილი, მათეთაშვილი, მათითაშვილი, მათიკოშვილი, მათოშვილი... (გაგულაშვილი, 1993: 117). მათე -ია მაწარმოებლიანი ფორმით **მათიასძე** შეგვხვდა ლეპისში (ჯიქია, 1941: 252). მათათასთან ახლოს დგას **მათარსა** – სარო (ჯიქია, 1941: 188). იახუაშვილს დაფიქსირებული აქვს მათარსიშვილი (ახუაშვილი, 1994: 420). პირთა ანოტირებულ ლექსიკონში მითითებულია: მათარსი, სამეფო კარის მდივანი, დამწერი ალექსანდრე კახთა მეფის მიერ დავით ჯორჯასძისათვის მიცემული მალის ამოკვეთის წიგნისა; მათარსისშვილი ჯაჯანა, მოწმე ზაალ გაბაშვილის მიერ გიორგი ბარათაშვილისათვის მიცემული ყმა-მამულობის ნასყიდობის წიგნისა (პალ, 2004: 7). გეოგრაფიული სახელი რომ ანთროპონიმზე დღეგრძელია, ამისი დადასტურებაა დადემის საძოვარი „მათასაი“, რაც მოწმობს, რომ ოდესღაც, მეზობელი სოფლების მსგავსად, აქაც ცხოვრობდა და შრომობდა მათასა/მათარსა (მელიქიძე, 2003: 141). **მათა** ბაბო, არხიოზას დედა, ცხოვრობდა წინა საუკუნის ზველში (ინფ. ნაამბობი). შესაძლებელია მეორადი ანთროპონიმი -ა სუფიქსით ნაწარმოები (მათე > მათა) ქალთა სახელად იქცა.

ნიჯგორელი **ფირალას** სახელი ი.მაისურაძის აზრით, მოდის ზოგადი მნიშვნელობის სიტყვიდან **ფირალი** – მეფის დროს ყაჩაღი (გურიაში) (ქეგლ, 1986: 446). ამავე ძირისაა: ფირალიშვილი, ფირალაშვილი (ახუაშვილი, 1994: 548). ნიჯგორის გარდა, ფირალა დასტურდება ხიზაბავრაში (ჯიქია, 1941: 176). **ფირალის შვილიშვილია** ლეპისის მცხოვრები (ჯიქია, 1941: 252). ფუძის სახით და ნარნარა ლ > ნ-ს ჩანაცვლებით გვაქვს წარმოდგენილი სოფელ გუნდის რვა ოჯახის უფროსთაგან ერთ-ერთის სახელი: **ფირან** ზოლოტასძე (ჯიქია, 1941: 210). კვარშის მკვიდრია **ფირანა**, გოგიჩა ოსიასძის ძმა (ჯიქია, 1967: 183). **ფირანი** ოფიციალურ სახელად ამჟამად დასტურდება ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ზველში (ფირან სერიოჟის ძე დიასამიძე, დაბ. 1969). კომპოზიტური წარმოებისაა სახელები: **ფირყულა** ქვემო ბუზმარეთში (ჯიქია, 1941: 211), **ფირიჯანისძე** – აგარაში (ჯიქია, 1941: 145), **ფირაზიზისძე** – თმოგვში (ჯიქია,

1941: 240). ფირალა -ა მანთროპონიმებელი სუფიქსის დართვით შეიძლება შერქმეოდა მეამბოხე, მოუსვენარი ან ყაჩაღანა ხასიათის ადამიანს, რომელიც შემდეგ დამკვიდრდა საკუთარ სახელად.

სოფელი იდუმალა გამჭვირვალე ეტიმოლოგიისაა და იდუმალ, დაფარულ, თავშესაფარ ადგილს მოიაზრებს. სახელდების შესახებ თ.ჩიქოვანი წერს: მიწაში ჩადგმული, შენიღბული სოფლები იშვიათი არ უნდა ყოფილიყო სამხრეთ საქართველოში. ზოგი სოფლის სახელი პირდაპირ მიგვანიშნებს, რომ ძველად მის ადგილზე მიწისქვეშა დასახლებები უნდა ყოფილიყო. საიდუმლო იყო სოფლის არსებობა და ამიტომაც ერქვა მას იდუმალა (ჩიქოვანი, 1975: 9-12). ინფორმატორთა განმარტებით, იდუმალაში ყოფილა მიწისქვეშა სამალავები, სადაც მტრის შემოსევების დროს ხალხი თავს აფარებდა; სამალავში ცხენიანად შეედლოთ შესვლა, გაუჩინარდებოდნენ...“ (ზაზაძე, 2015: 9). აღნიშნული სოფელი „დავთარში“ ჩვიდმეტი ოჯახის უფროსითაა წარმოდგენილი: ბადუჩა კოჭლასძე, პაპუნა ძე მისი, იარალი ბადუჩას ძმა, მამუკა ძე მისი, ბატატა, გრიგოლ, მახარა აღდგომელასძე, პავლია, თევდორე ძმა მისი, თევდორე, ბადუჩა ძე მისი, ივანე ძმა მისი, ნოდარა, ...შვილიშვილი, აღდგომელა ძმა მისი, ივანე ძე მისი (ჯიქია, 1941: 139).

სოფელში ორი **თევდორე** ცხოვრობს: ერთი პავლიას ძმას, მეორეს შესახებ მარტო ის ვიცით, რომ ორი ვაჟი ჰყოლია: ბადუჩა და ივანე. თევდორე (< თეოდორე) ბერძნულიდან მომდინარე სახელია და „ღვთის ბოძებულს, ღვთის საჩუქარს“ ნიშნავს. მისგან ნაწარმოები გვარებია: თევდორაძე და თევდორაშვილი. კინობითი ფორმას თედო, თედუა (ჭუმბურიძე, 1992: 116). ა.დლონტთან დაფიქსირებულია: თედია, თედო, თევდორე და თედორა (დლონტი, 1967: 84). „დავთარის“ მონაცემებით, **თევდორეს** უცხოვრია როკეთში, კვარშაში, შალოშეთში; **თევდორესძეს** – ნიჯგორში, ვარნეთში, ქუნცასა და ფიაში (ჯიქია, 1941: 180-254). **თედოსა თევდორესძე** ალანძიის მკვიდრია (ჯიქია, 1941: 183). იფნიეთში მცხოვრები ორი თევდორე რომ ერთმანეთისაგან გაერჩია, თურქ მოხელეს მიუთითებია: „სახელად თევდორე“ და „სახელად მეორე თევდორე“ (ჯიქია, 1941: 187). თევდორე დღესაც აქტუალურია გვარსახელსა – **თედორაძე** და შტოგვარში – **თედვიენი** (სოფ. ხიზაბავრა).

იდუმალაში უცხოვრიათ **აღდგომელას** და **მახარა აღდგომელასძეს**. ქრისტიანულ სახელებთან შეგუების მიზნით თარგმნილ სახელებში (უფლისა, ღვთისო, ქრისტესია, ქიტესა...) მოიაზრებს აღდგომელას ზ.ჭუმბურიძე, რომლის ბერძნული ანალოგია **ანასტასი** (ჭუმბურიძე, 1992: 18). აღდგომელას აღდგომა დღეს დაბადებულს არქმევდნენ ხოლმე,– წერს ი.მაისურაძე და ამ სახელიდან

მომდინარე გვარებად ასახელებს აღდგომელადეს და აღდგომელაშვილს (მაისურაძე, 1990: 24). ბარათაანთ გაყრის წიგნში მოხსენიებულ გვარსახელებში იახუაშვილი უთითებს **აღდგომლისშვილს** (ახუაშვილი, 1994: 643). **აღდგომელას შვილიშვილი** – ასე ჩაუწერიათ ზველში ერთი ოჯახის უფროსი, რომლის ვაჟებს პაპუნა და სიმონა ჰქვიათ (ჯიქია, 1941: 132). ივანე **აღდგომელასძე** წუნდის მკვიდრია (ჯიქია, 1941: 242), **აღდგომელ** ლაბურასძე ცხოვრობს თმოგვის ციხის რაბათში (ჯიქია, 1941: 241), აღდგომელ ქაიმაროზისძე – ნიჯგორში (ჯიქია, 1941: 180), **აღდგომელ** გულიჯანისძე კი – ტოლოში (ჯიქია, 1941: 179).

იდუმლელი **მამუკას** მამა-ბიძანის სახით ოთხი ოჯახია წარმოდგენილი: ძმების – ბადუჩასა და იარალის, ასევე მათი შვილების: მამუკასა და პაპუნასი. სახელს **მამუკა** ზ.ჭუმბურიძე მნიშვნელობის მხრივ ნათესაური ურთიერთობის გამომხატველ წმინდა ქართულ სახელებში აერთიანებს, როგორცაა: დედუკა, ბიძინა, მამისა, მამია, პაპუნა... (ჭუმბურიძე, 1992: 18). ქგოდერძიშვილისათვის ასეთი სახელები ანთროპოფორული ონიმებია (გოდერძიშვილი, 2012: 57). წინათ გვქონია მამუკას კინობითი ფორმა მამუკელა, საიდანაც ნაწარმოებია გვარი მამუკელაშვილი. ვაჟის სახელად გვხვდება აგრეთვე მამისა, რომელიც საფუძვლად უდევს მამისაშვილის გვარს (ჭუმბურიძე, 1992: 129). ი.მაისურაძე **მამასაგან** წარმოებულ გვარსახელებში მოიაზრებს წარმოქმნილფუძიანებსაც: მამაგულაშვილი, მამიჯანაშვილი, მამისთვალაშვილი, მამამთავრიშვილი, მამასახლისაშვილი... (მაისურაძე, 1990: 101). ა.დლონტთან დადასტურებულია: მამუკია, მამუკელა, მამუკი, მამუკო, მამულა, მამუჩა, მამუჩიკა (დლონტი, 1967: 101). **მამუკა** ყუზანასძე დოკუმენტირებულია ასპინძაში (ჯიქია, 1941: 130), **მამუკა** პაპუსძე – თმოგვის ციხის რაბათში (ჯიქია, 1941: 241), **მამუკა** ჩომაყასძე – ფიაში (ჯიქია, 1941: 190), **მამუკა** მიტიჩისძე – ხერთვისში (ჯიქია, 1941: 172), ვარძელ **მამუკასძე** – ჭობარეთში (ჯიქია, 1941: 159), **მამი** ლომსასძე – ღამზაში (ჯიქია, 1941: 139), **მამისა** – ქვემო ოშორაში (ჯიქია, 1941: 144), **მამისასძე** – აგარაში, ფანაკეთში, ნიჯგორში, ფიაში (ჯიქია, 1941: 145-250). ეპონიმისაგან ნაწარმოები გვარსახელი **მამუკაშვილი** აქტუალურია დღესაც ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიზაბავრაში.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მამუკას მსგავსად, ნათესაობის აღმნიშვნელი სიტყვისაგან მომდინარეობს **ბიძინა** – „ბიძისა“ (ჭუმბურიძე, 1992: 102). -იკა სუფიქსითაა გაფორმებული ბიძინიკა (დლონტი, 1967: 59). ბიძინა „დავთრის“ მიხედვით, დადემის კომლის მეთაურია (ჯიქია, 1941: 177). **ბიძიკაანი** შტოგვარია ნაქალაქევი მცხოვრები მაისურაძეებისა.

ხერთვისის ლივაში შედის სოფელ ხერთვისის ციხის რაბათი, რომელიც წარმოდგენილია 129 ოჯახით. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, „ამ ხევს ზეით (გულისხმობს შულავრის ხევს, რომელიც მ.პერიძის აზრით, ისტორიულად ამ ხეობაში არ დასტუდება და ერთგვარად გადააზრებულია), ხერთვისს ერთვის ჯავახეთის მდინარე მტკუარი, რომელსა უწოდებენ ჯავახეთის მტკურად. ხერთვისს არს კხიდი მტკუარსა ზედა“ (ვახუშტი, 1973: 667). ხერთვისი ს.ს.ორბელიანს განმარტებული აქვს, როგორც „ზღვათა და წყალთა საშუალ ადგილი ხმელი“ (ორბელიანი, 1993: 421). ძველი ტექსტების დამოწმებით ა.შანიძემ გაარკვია, რომ ხერთვისი აღნიშნავდა როგორც დღევანდელ კუნძულს, ისე ნახევარკუნძულსაც, რომელთა დიფერენციაცია მაშინ არ არსებობდა. „მიუხედავად ამისა, – წერს ა.შანიძე, – ხერთვისი თავდაპირველად უნდა ყოფილიყო ნახევარკუნძული და არა კუნძული, თანაც ისეთი ნახევარკუნძული, რომელიც ორი მდინარის შეერთებით (ან მდინარის ზღვასთან შეერთებით) არის წარმოდგენილი. ამას ის გარემოება გვაფიქრებინებს, რომ საზოგადო სახელი ხერთვისი საკუთარ სახელად იქცა ქართულში და გეოგრაფიულ ნომენკლატურაში ამოყო თავი“ (შანიძე, 1981: 272). კავკასიის სამხედრო ტოპოგრაფიული განყოფილების გამოცემულ ხუთვერსიან რუკაზე ხუთ სხვა ხერთვისთან ერთად აღნიშნულია ხერთვისი იქ, სადაც მტკუარს ახალაქალაქის წყალი ერთვის. ა.შანიძის აზრით, ხერთვისს ეტიმოლოგიური კავშირი აქვს ერთვის ზმნის ფორმასთან, რომელიც ვნებითა თავისი წარმოებით და დამატება აქვს მიცემითში – ერთვის მას (შანიძე, 1981: 275). ა.ფრონელი აღფრთოვანებულია ხერთვისის „თვალწარმტაცი“ მდებარეობით: შეფენილია ტიტველი კლდის ფერდობზე, კოხტა სახლები კიბე-კიბეა აშენებული და ამფითეატრივით მალდა, კლდის წვეროსაკენ მიდის“ (ფრონელი, 1991: 165). ხერთვისის სტრატეგიულ მნიშვნელობაზე ე.თაყაიშვილს უწერია, რომ „ხერთვისი იყო ქალაქი და პირველხარისხოვანი ციხე, რომელიც იცავდა ჯავახეთიდან სამცხისაკენ მიმავალ გზას“ (ჯიქია, 1958: 243).

„დავთრის“ მიხედვით, ხერთვისის მცხოვრებნი არიან: ველი ყაბდუ-ლ-ლაჰისძე, რიდვარ ყაბდუ-ლ-ლაჰისძე, ამირან, შელალა ძე მისი, სარგის ძმა მისი, დიაკონ მოსესძე, ხოსიკ დავითანისძე, ყუბად ჯემალისძე, გაბრიელ ძე მისი, პაპუ გრიგორისძე, მელიქა ძმა მისი, მაზანა გოგორისძე, ზაქარა, გოგი ბაჭასძე, გრიგორ ძმა მისი, სარგის მელიქი, შაჰრუხ ყარუყასძე, ჰანეს, ყანდუ ვილალისძე, აზარა ძმა მისი, ხაჩატურ ჰაირაპეტისძე, მურვან ძმა მისი, ბატატა ხაჩატურისძე, ბაგრატის შვილიშვილი, მიტიჩ ძმა მისი, ზამუკა ძე მისი, ყუბად ყურასძე, სარგის ძე მისი, პაპუ, ობალა და მისი ძმა, უმიკა ხანდამასძე, ასვატურ ძმა მისი,

ნავსოს შვილიშვილი, გოგინა ჰათელასძე, ხოსიკ ძმა მისი, როსაფა და მისი ძე ვარძელ, ყუზან, ვარძელ ბეჟანისძე და მისი ძმა ელია, ძმები – ზადიკ და ემირგულ, ვარაზგულ, პაპუ მაზმანისძე, გულო ძმა მისი, აბესალომ ძე მისის, ზათელისძე, ვარძელ ძე მისი, სორაზან ვარდენისძე და მისი შვილები – ღარიბა და მაზან, ბადურ გულბეგისძე, ბადუკა სუხასძე და მისი შვილი ლომდარა, აბო ზააქისძე, ვარძელ შაჰყუბადისძე, ბატატა ყაითმასისძე, ხარება, იარაზიზ გიტოსძე, ხაჩატურ სორაზანისძე, გურასფა მოსესძე და მისი ძმა ზარასფა, სუმბატა ელიაზარისძე, ღონენა მათათასძე, მაზან, გაბრიელისძე და მისი ძმა ხაჩატურ, მაზანა, გრიგორ მღვდელი, ზაქარა, აბრამ მაზანასძე, კირაკოს ყანდუსძე, ზამუკასძე, მურვან ბაბელიძე და მისი ძე ოტია, ზამუკა ბაგრატიძე, მამუკა მიტიჩისძე, ვარძელ და ძმა მისი, პაპუ, მეტისა ყუბადისძე, აბო ზერეკასძე და დათუ ძე მისი, ბაინდურ აბოს ძმა, ძმები – გულაბა, ბატატა და ასვატურ, გრიგორ, სახელად გიორგი, ბაინდურ როსთევანისძე, გოგინა, სარგის, სახელად ზურაბა, ხაჩატურ ზადიკისძე, ბატატა კირაკოსისძე, სახელად ზაქარა, აბესალომის ძმა, ვარძელ და მისი ძე პაპუ, ველიჯან, ზარასფა, ხოსიკ კარიჭასძე, ნათა, უმიკ მიკირტიჩისძე, სახელად დალიქ და მისი ძე ზამუკა, ვარძელ, გოგინა ხარაბისძე, მოსე მღვდელი და იაკობ ქაქუჩასძე (ჯიქია, 1958: 173).

ხერთვისის ციხის რაბათის თოთხმეტი კომლის უფროსის სახელის ამოკითხვა სრულად ვერ მოხერხებულა, ზოგიერთის მამისახელი გაურკვეველია, ზოგი მხოლოდ მამისახელითაა წარმოდგენილი, ორსაც პაპისახელით ვეცნობით. ხერთვისელებს შორისაა **გაბრიელი** (ყუბად ჯემალისძის ვაჟი) და **გაბრიელისძე**. ერთი **გაბრიელი** დაფიქსირდა ზემო ოშორაში (ჯიქია, 1941: 144). **გაბრიელის შვილიშვილს** უცხოვრია ფანაკეთში (ჯიქია, 1941: 241), **გაბოს** – აგარაში (ჯიქია, 1941: 145), **გაბუასძეს** – ზემო ზურზველში (ჯიქია, 1941: 132). გაბრიელი ძველებრაულიდან მოდის და სიტყვასიტყვით ნიშნავს: „ჩემი ძალა დმერთია“. მისი შემოკლებული და მოფერებითი ფორმებია: გაბრო, გაბო, გაბილა. ამათგან წარმოქმნილი გვარებია: გაბრიელაშვილი, გაბრუაშვილი, გაბრაშვილი, გაბრიაძე, გაბოძე, გაბოშვილი, გაბიაშვილი, გაბიანი, გაბლიანი, გაბლიშვილი, გაბილაია, გაბელაია, გაბელია (ჭუმბურიძე, 1992: 103). გაბრიელიძეები და გაბუაძეები ამჟამად ასპინძაში არ არიან, მაგრამ გაბრიელი, გაბრო და გაბო პირსახელებად დასტურდება. ტოპონიმებში კი შემორჩენილია: გაბოს სათიბი, გაბობიხანგები(მ.ბერიძე, 2011: 197).

ხერთვისში **ყუბად** ჯემალისძეს და **ყუბად** ყურასძეს უცხოვრია. ვარძელ **შაჰყუბადისძეც** ხერთვისის მკვიდრია. ხოსიკ **ყუბადისძე** ფიქსირდება წუნდაში,

ქეიყუბადისძე – ქვემო ნიალასა და დუმელიაში. ვეფქრობთ, ეს სახელი უნდა უკავშირდებოდეს ებრაულ **ყოვადიას** (ყოვადია), რომელიც ითარგმნება, როგორც „მონა უფლისა“ (გაგულაშვილი, 1993: 123). ა.დლონტის სახელთა ლექსიკონი იცნობს **ყობიას** და **ყოვას** (დლონტი, 1967: 139). ყუბადისგან მომდინარე გვარები ქართულში არ დასტურდება.

ძველებრაული სახელია **ზაქარია**ც, „ღვთის მიერ დაუვიწყარს“, სხვანაირად: „ღვთის მსახურს“ ნიშნავს. მისი მოფერებითი ფორმებია ქართულში: **ზაქრო**, **შაქრო**, **შაქარა**... მათგან ნაწარმოები გვარები: **ზაქარიაძე**, **ზაქარაძე**, **ზაქარაია**, **შაქარაშვილი**, **ზარქუა** (< **ზაქრუა**) (ჭუმბურიძე, 1992: 114). სამი **ზაქარა** და ერთი **ზააქისძე** გვხვდება ხერთვისში. სოფელ ვაშლობშიც სამ **ზაქარას** უცხოვრია (ჯიქია, 1941: 244), **ზაქარა** მღვდლის შვილს ჰქვია საროში (ჯიქია, 1941: 187), **ზაქარა** ჩოკასძე დუმელიელია (ჯიქია, 1941: 252), **ზაქარასძეა** ჭობარეთში (ჯიქია, 1941: 159). ერთი შეხედვით, ხერთვისის ციხის რაბათში დადასტურებული **ზააქისძე** (/ზაქისძე) ზონნიმიდან მომდინარე სახელს ჰგავს, მაგრამ რომ ნამდვილად **ზაქარიას**გან მოდის, ამას ზურგს უმაგრებს ა.დლონტის ანთროპონიმთა ლექსიკონში **ზაქას**, **ზაქრიას**, **ზაქეს**, **ზაქუს**, **ზაქუტას** არსებობა (დლონტი, 1967: 81). შდრ. გვარი **ზაქაიძე** < საკ.სახელი **ზაქა**, შემოკლებით **ზაქარია** (ახუაშვილი, 1994: 353). **შაქრო**, მართალია, **ზაქარიას** მოფერებით ფორმად მიიხნევა, მაგრამ ზ.ჭუმბურიძე ფიქრობს, რომ „შეიძლება მისგან დამოუკიდებლად იყოს წარმოქმნილი“ (ჭუმბურიძე, 1992: 148). **შაქარაშაქარასძე** და ბატატა **შაქარასძე** ხიზაბავრაში კომლთა უფროსები არიან (ჯიქია, 1941: 176). რომანოზ **შაქარასძე** საროს მკვიდრია (ჯიქია, 1941: 187), ორი **შაქარა** დასტურდება თმოგვის ციხის რაბათში (ჯიქია, 1941: 241). შესაძლებელია, **შაქრო/შაქარა** მოდიოდეს: ა) ებრაული **შახარ** ფორმიდან („ციხისკარი, განთიადი, აისი“ – გაგულაშვილი, 1993: 124), რადგან **ზაქარია**ც ებრაული გახმოვანებით არის **ზახარ**; ბ) მეტსახელიდან, რომელიც ტკბილ, დათაფლულ ადამიანზე მიანიშნებს. შდრ. **შაქარა** ვაშლი – ტკბილი წითელი ვაშლის ჯიში.

ხერთვისში დოკუმენტირებულია **მაზანას** რამდენიმე ფორმა: **მაზან**, **მაზანა**, **მაზანასძე** და **მაზმანისძე**. გარდა ამისა, **მაზანა** დაფიქსირებულია ზემო ოშორაში, თოღურთაში, ნიჯგორსა და ხიზაბავრაში. **მაზანასძე** გვხვდება აწყვიტაში, ხიზაბავრასა და ქუნცაში, **მაზანისძე** – თმოგვის ციხის რაბათში, **მაგზარ** – საროში, **მაზნია** – კორისხევში (ჯიქია, 1941: 253). პირთა ანოტირებულ ლექსიკონში ვკითხულობთ: **მაზანა** მამულით ერგო უცხო პირს; **მაზანა**, სახუნდარს მცხოვრები პაპია და დოღმაზა შანშიაშვილების გაყრის დროს ერგო დოღმაზს; გულეულს მცხოვრები **მაზანას**შვილი მამულით წილად ხვდა

როსტევან ჯანიაშიელს; მაზია, ჯიმითელი, ალექსანდრე მეფემ შესწირა სვეტიცხოველს; მაზმანისშვილი ვარძიელა წილად ხვდა ქაიხოსრო ციციშვილს; მაზმისშვილი ყანდუა მოწმეა მიწის ნასყიდობის წიგნისა...“ (პალ, 2004: 5-7). ი.მაისურაძეს დასახელებული აქვს: მაზავრიშვილი, მაზავრაშვილი, მაზანაშვილი, მაზაშვილი, მაზიაშვილი, მაზმანიშვილი (მაისურაძე, 1990: 99). ამჟამად **მაზაშვილები** და **მაზმიშვილები** ცხოვრობენ ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიზაბავრაში; გავრცელებული შტოგვარია **მაზიენი/მაზათი** (ქუქჩიშვილი, 2007: 176). სავარაუდებელია, რომ სწორედ ხუთი საუკუნის წინათ მაზანამ და მაზანასქემ დაუდო სათავე მაზაშვილებს. მაზან, მაზარ, მაზნია, მაზანასქე, მაზანისქე უნდა უკავშირდებოდეს ებრაულ ფუძეს – **მაზალ** („ბედნიერება“ – გაგულაშვილი, 1993: 130), რომელიც „დავთრის“ სახელებში ნარნარა ბგერების ცვალებადობით და განსხვავებული სუფიქსებით გვხვდება (მაზალ > მაზან > მაზნია; მაზალ > მაზარ > მაზარ). რაც შეეხება მაზმანისქეს, ის მოხელეობის სახელიდანაა ნაწარმოები: **მაზმანი** საბასთან განმარტებულია, როგორც „ბაღნის მსთველი, ბაღნის მგრეხელი“ (ორბელიანი, 1991: 428).

ხერთვისელთაგან, ვისაც მაზანა ჰქვია, ერთი **გოგორისძეა**. „მესხურ მატიანეზე“ დაყრდნობით, ი.მაისურაძე აცხადებს, რომ XVII საუკუნეში ცნობილი იყვნენ როინ, ბერი, ზურაბ, ბეჟან გოგორიშვილები. ცხოვრობდნენ ციხისჯვარში, გადასახლდნენ იმერეთსა და გურიაში (მაისურაძე, 1990: 48). „მცხეთის საბუთებში“, რომელიც აშუქებს მესხეთის ტერიტორიაზე მდებარე მცხეთის საკათალიკოსოს საეკლესიო და სხვა მამულების გამო ატეხილ დავას XV-XVI საუკუნეებში, დაფიქსირებულია, როგორ იმარჯვეს გოგორიშვილებმა და თავიანთი ყმების დახმარებით არ დაუთმეს მგელციხე თურქებს: „ამავე ქორონიკონსა, მარიამობისთუეს ზ, ხუთშაბათსა დღესა ხუანთქარის ლაშქარი და ლაღაფაშა მგელციხეს მოადგეს, შეიბნეს. სამშაბათამდის ყოველ დღით ომში იყუნეს ციხიანი. გოგორიშვილი როინ და მისი ძმა – ბერი ერუშნელი და მისი ძმისწული ზურაბ იყუნეს, მათის ყმითა და ღთის შეწევნით უკუყარნეს და ციხე ჩ-ნვე დაგურჩა: ჩუენტა გაემარჯუა“ (შარაშიძე, 1961: 47). გოგორიძეები, გოგორიშვილები ამჟამად ხერთვისსა და საერთოდ ასპინძის მუნიციპალიტეტში აღარ გვხვდებიან, სამაგიეროდ, ტოპონიმამ შემოინახა მათი ხსოვნა: **გოგორიშვილის/გოგოროშვილის ჭალა** – საყანეები, სათიბი ჭობარეთში; **გოგორიშვილიჭალის მზიგული** – საძოვარი, ჭალა (ბერიძე, 2011: 198).

ხერთვისის ციხის რაბათში დაფიქსირებულია **სუმბატა** ელიაზარისძე. ნარნარა მ-ნ მონაცვლეობით და ტ-ს გაფშინიერებით გვაქვს: **სუნბათისძე** ყურაში (ჯიქია, 1941: 133), **სუნბატ** – ლეპისში (ჯიქია, 1941: 252), **სუმბათასძე** –

ხიზაბავრაში (ჯიქია, 1941: 175). XI-XVII საუკუნეების ქართული ისტორიული საბუთების მიხედვით: სუმბატაშვილის ნაოხარი მამული ზაქარია კათალიკოსმა უწყალობა ელია ზუმბულიძეს; ამირან სუმბატაშვილმა მიჰყიდა ქრისტესა ბეჟანისშვილს ყმები... (პალ, 2007: 212). ვფიქრობთ, სუმბატა/სუმბათა ერთი მხრივ, დაკავშირებულია **სუმბულა** ფორმასთან, მეორე მხრივ – **ზუმბა / ზუბადა / ზუბულასთან**. (მდრ.გვარები: ზუბადაშვილი, ზუბულაშვილი – მაისურაძე, 1990:70; ზუმბულაძე – ახუაშვილი, 1994: 357). შალოშეთის მკვიდრი – **სახელად ზუბა** – სწორედ სუმბატას ფორმაცვლილ სახელს ატარებდა (ჯიქია, 1941: 185).

ზ.ჭუმბურიძე ხელობისა და თანამდებობის სახელებისაგან წარმოშობილ გვარებში იხსენიებს ეკლესიის მსახურთა სხვადასხვა სახელწოდებისაგან მიღებულ გვარებს: დეკანოზიშვილი, დეკანოსიძე, წინამძღვრიშვილი, მრევლიშვილი, მღვდელაძე, ხუციძე, ხუციშვილი, ნახუცრიშვილი, დიაკონიძე, მგალობლიშვილი... (ჭუმბურიძე, 1992: 69). ხერთვისის მკვიდრია **დიაკონ** მოსესძე (ჯიქია, 1941: 171). აქ „დიაკონ“ საკუთარ სახელადქცეული თანამდებობის სახელია, რომელიც -ა მანთროპონიმებული სუფიქსითაც გვაქვს წარმოდგენილი „დავთრის“ სოფელ ჩუნჩხელში: **დიაკონა** ძმა მისი (გვ. 177). ამ სახელმა დაუღო სათავე გვარებს დიაკონიძე და დიაკონაშვილი. ხერთვისში უცხოვრიათ მღვდლებს – გრიგორსა და მოსეს, მაგრამ მათი შვილები ჯერ ოჯახის უფროსებად არ არიან დაფიქსირებული, ისე როგორც ეს ტოლოშის, საროს, ცხეკნელას, ჭობარეთისა და ოთის შემთხვევაშია: ზაქარა **მღვდლის შვილი** გვხვდება ჭობარეთში (ჯიქია, 1941: 180), მანასე **მღვდლის შვილი** – ოთაში (ჯიქია, 1941: 146), ზაქარა **მღვდლის შვილი** – საროში (ჯიქია, 1941: 187), ბასილა **მღვდლის შვილი** – ცხეკნელაში (ჯიქია, 1941: 180), ხოლო იოსებ **მღვდლის ძე** – ტოლოშში (ჯიქია, 1941: 178). სავარაუდებელია, რომ თანამდებობის სახელიდან მომდინარე მამისახელმა დაუღო სათავე ისეთ გვარებს, როგორცაა: მღვდლიშვილი (< მღვდლის შვილი < მღვდელი), მღვდლიაშვილი, მღვდლიაძე. მდრ. მეტსახელი **ღვდელა** – „გაუპარსავი, წვერმოშვებული“.

სოფელი ხიზაბავრა „დავთარში“ მითითებულია „სათესველით ასპანაური და სოფელ გომის ვენახებითურთ“ (ჯიქია, 1941: 175). მესამე ტომში, სადაც საუბარია ტექსტში მოხმობილი მასალის გეოგრაფიასა და ტოპონიმოგრაფიის, ს.ჯიქია ასწორებს დავთრის შემდგენლის შეცდომას და „ასპანაურს“ „ოსპანაურად“ წარმოაჩენს. მეცნიერისთვის ადგილობრივ მკვიდრს პ.მაზნიაშვილს უთქვამს, რომ ხიზაბავრასთან ნამდვილად არის ადგილი ოსპანაური (ჯიქია, 1958: 245). ხალხური გადმოცემა ამ სოფელს ასე ახასიათებს: „ხიზაბავრა ქარიანი, დარნები აქვს კარიანი, წინ მინდორი და უკან ტყე, ღვინო იცის გვარიანი“ (მაკალათია,

1938: 74). ხიზაბავრაში ოჯახის თაგვაცეზად დასახელებული არიან: ძმები – რევაზა და გოგინა, ელია სუმბათასძე, გულისადებ ძმა მისი, ველიჯან ემირგულისძე, ძმა მისი, ჯანელა ღარიბისძე, საბია ძმა მისი, გულია ძე მისი, ვარმიშასძე, ბატატა ძემისი, ველუ იოსებისძე, ლაშქარა ჯანელასძე, ლომიზგულ ძე მისი, შაქარა შაქარასძე, ყულიჯან ძმა მისი, მეორე ძმა მისი, კიდევ ძმა მისი, პაპუნა რევაზას ძმა, ყანდო აზარგულისძე, ზამაგულ ძმა, პაატაგულ მაზანასძე, კაკალა ძე მისი, მაზანა სოზასძე, გოგინა ძმა მისი, პატია მღვდელი, ძამაგულის შვილიშვილი, პატია დოვლათიარისძე, ბატატა შაქარასძე, გულია ძმა მისი, მახა დანიელასძე, სახელად ფირალა, სახელად გაგა, სახელად ძმა, მეორე ძმა მისი, ძე მისი, პაპუნა ირაკლი, მეორე ძმა მისი.

ორმოცი კომლიდან ერთ-ერთი პატია მღვდლის ოჯახია. პატია ჰქვია აქაურ დოვლათიარისძესაც. პატია სორაზანისძე ცხოვრობს თოღერთაში (ჯიქია, 1941: 179), პატია მახარებლისძე – ვანში (ჯიქია, 1941: 211). პატია პაატას შემოკლებული ფორმაა -ია სუფიქსით გაფორმებული: პაატა > პატა / პატია. ხიზაბავრის მკვიდრი ყოფილა კომპოზიტური სახელის მატარებელი პაატაგულ (პაატა-გულ-ი) მაზანასძე. ჩვენი აზრით, პაატაგული (< პატარგული) შეიძლება დარქმეოდა მშიშარა, „პატარაგულიან“ ადამიანს. პაატა ზ.ჭუმბურიძეს ქართულ სახელად მიაჩნია, „პატარას, უმცროსის“ მნიშვნელობით. აქედანაა გვარი პაატაშვილი (ჭუმბურიძე, 1992: 135). ნ.ჭოხონელიძე ბავშვის ფიზიკური მახასიათებლის გამომხატველ სახელებში აერთიანებს: პატარა/ ბატარა/ პაატა; პაატელა/ პატა/ პატია/ პატიკი/ პატელა და ა.შ. სახელებს (ჭოხონელიძე, 2007: 238). ი.მაისურაძესთან გვხვდება: პატეიშვილი, პატიაშვილი, პატიეშვილი, პატატიშვილი (მაისურაძე, 1990: 132). ისტორიული დოკუმენტებით ცნობილია: კარის მწიგნობარი პაატა, პატა მამასახლისი, პატატა ქალაქის მოურავი, მოწმე პაატაბეგ ელენე-ხანუმის მიერ შერმაზან სულთაშვილისათვის მიცემული მამულის ნასყიდობის წიგნისა; პაატასშვილი, პატასშვილი, პატაშვილი, პაატი, პაატისშვილი, პატისშვილი... (პალ, 2007: 3-8).

ხიზაბავრაში უცხოვრიათ ველიჯან ემირგულისძეს და ველუ იოსებისძეს. ველიჯან საკუთარ სახელად დასტურდება ხერთვისის ციხის რაბათშიც (ჯიქია, 1941: 172). ველიჯანის შემადგენლობაში -ჯან კომპონენტი იგივეა, რაც ჯანიბეგას შემთხვევაში. ჯანი „სულის“ აღმნიშვნელია სპარსულში (ახუაშვილი, 1994: 642). ჯანსულ – „ვისაც სული დაეწვა, (სიყვარულით)სულდამწვარი“ (ჭუმბურიძე, 1992: 152). ხიზაბავრელი ჯანელა ღარიბისძის და ლაშქარა ჯანელასძის სახელებშიც „ჯანი“ ფიგურირებს. ჯანელა სიტყვასიტყვით იგივეა, რაც სულალა / სულულა / სულია: სულულა ივანესძე – ქვემო ბუზმარეთი (ჯიქია, 1941: 211); სახელად

სულალა – ზემო ბუზმარეთი (ჯიქია, 1941: 210); სულიასძე – სახუდაბელი (ჯიქია, 1941: 134); მენახირე სულალა – ვანი (ჯიქია, 1941: 211). ჯანის შემადგენლობით გვაქვს სახელი **ჯანისარი** ოთასა და ქარზამეთში (ჯიქია, 1941: 146, 255), **ჯანისარისძე** – ზველსა და დუმელიაში (ჯიქია, 1941: 132, 252).

ძმის ძამანისაგან მომდინარეობაზე (**ძმა<ძამან**) მიუთითებდა არნ.ჩიქობავა (ჩიქობავა, 1938: 27). სწორედ უძველესი ფორმა უდევს საფუძვლად ანთროპონიმებს: **ძამაგულ** – ხიზაბავრა (ჯიქია, 1941: 176), **ძამანა** (ბალასძე – ფია. ჯიქია, 1941: 190), **ძამანაგულ** – ზველი (ჯიქია, 1941: 132). ერთგან დასტურდება ძამანის შეკუმშული ვარიანტიც: **სახელად ძმა** (ხიზაბავრა, ჯიქია, 1941: 176). **ძამაგულის შვილიშვილიც** ხიზაბავრელია. ი.მაისურაძე ს.ყაუხჩიშვილის ნაშრომზე დაყრდნობით გვამცნობს, რომ ბიზანტიელ ისტორიკოსს შემოუნახავს ცნობა იბერთა მეფის **ძამანადის** შესახებ (მაისურაძე, 1990: 210). ა.ღლონტის ანთროპონიმთა ლექსიკონი გვიდასტურებს სახელებს: ძამა, ძამელა, ძამიკა, ძამინა, ძამუა, ძამუკა და ძამულა (ღლონტი, 1967: 149). ძამასაგან მომდინარეობს გვარები: ძამაშვილი, ძამანაშვილი, ძამნაშვილი, ძამიაშვილი, ძამუკაშვილი, ძამუნაშვილი, ძმანაშვილი, ძამანაძე (ახუაშვილი, 1994: 602). სოფელ აწყვიტაში დავაფიქსირეთ, რომ და ძმებს ოფიციალური სახელებით (გოდერძი, გოგი) კი არ მიმართავდა, არამედ „ძამას“ ეძახდა.

მ.ქუჭიშვილი დაწვრილებით მიმოიხილავს დავთრისდროინდელი ხიზაბავრის ანთროპონიმებს, რომლებიც გვარად შემოგვრჩა და იხმარება მეტგვარადაც: ველიჯანა > ველიჯანაშვილი > ვენჯალათი (ვენჯალაშვილი), თედორე < (თევდორე) > თედორაძე > თედოთი, ივანე > ივანიშვილი > ივანოთი, მაზა > მაზაშვილი > მაზათი, ღარიბა > ღარიბაშვილი > ღარიბათი, ჯანელა (< ჯანა) > ჯანაშვილი > ჯანათი (ქუჭიშვილი, 2003: 106).

გ.შატბერაშვილს XX საუკუნის დასაწყისში ყურადღება გაუმახვილებია **სოფელ ტოლოშხე**, რომელიც „მესხეთისა და ჯავახეთის საზღვარზედ ძვეს მდინარე მტკვრის მარცხენა მხარეს“ (შატბერაშვილი, 1901, № 80). „გამოვიარე ტოლოშსაო, წისქვილი ბრუნავს ბოლოსაო,“ – გვეუბნება ხალხური პოეზია (მაკალათია, 1938: 126). გვარსახელი **ტოროშელიძე** < ტოლოშელიძე (ამბროლაურის რაიონი: მაისურაძე, 1990: 155) მიუთითებს ამ გვარის წინაპრის სადაურობაზე. მუსხის მელიქიძეებს **ტოლოშელიენტ** (შტოგვარი) ეძახიან, როგორც ტოლოშიდან გადასულებს. ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მიხედვით, „ტოლოშელები – მესხ აზნაურთა საგვარეულო XI საუკუნეში, გვარის სახელწოდება წარმოდგა სოფ.ტოლოშიდან, რასაც, ალბათ, სამამულოდ (ე.ი. სამემკვიდროდ) ფლობდა ეს საგვარეულო. ტოლოშელების ერთ-

ერთი წარმომადგენელი – ისაკი XI ს.შუა წლებში დასახლებულა ქალეთში (კახეთში). „ქართლის ცხოვრებაში“ იგი უკვე არა ტოლოშელად, არამედ ტოლობელის ძედ იხსენიება (ქ.ც. გვიანდელ გადამწერს გრაფიკული ხასიათის შეცდომა მოსვლია: „შ“ მიუჩნევია „ბ“-დ, რის გამოც ტოლოშელის ნაცვლად გადაუწერია ტოლობელისძე). 1069 წელს ისაკ ტოლოშელისძეს ხელში ჩაუვარდა საქართველოს მეფე ბაგრატ IV-სთან ბრძოლაში დამარცხებული და ლტოლვილი განძის ამირთამირა ფადლონი 15 მხლებლითურთ. ისაკმა გაძარცვა ფადლონი და იმის მაგივრად, რომ ერთგულება გაეწია ბაგრატ IV-ისთვის (დაივიწყა, რომ ადრე საქართველოს მეფის ქვეშევრდომი იყო), განძის ამირა თავის ახალ პატრონს – კახეთ-ჰერეთის მეფეს აღსართან I-ს მიჰგვარა თელავში. ტოლოშელების საგვარეულომ, როგორც ჩანს, XI საუკუნეშივე დაკარგა ტოლოში და ამის გამო საგვარეულო სახელიც შეიცვალა“ (ქსე). „დავთარში“ მოსახლეობისა და გადასახადების აღრიცხვის შემდეგ დასახელებულია ვენახები: ხოსიკ ზიმისა, არდგომელ გულიჯანისძისა, ვართანასი, ბარამა მურიდისა, იორდანე ბერისა, ბატატასძის მურვან აზნაურისა. მართლაც, ტერასები ნარმანისა და მილახევის მიმართულებით მოწმეა იმისა, რომ ამ ფერდობებზე ხუთი საუკუნის წინ ვენახები ყვავდა. ტოლოშის ეტიმოლოგია ჩვენთვის უცნობია. ტოლოში გვხვდება ზმნაში „ატოლოშინება“, რომელიც აჭარულში ადვენებას, ატორღიალებას ნიშნავს (ღლონტი, 1984: 42). ტოლოში ხერთვისთან ორიოდ კილომეტრშია, დვისციშლისა და ხარეშაუნის ხეობას კეტავს, გუნდისა და თოღერთისაკენ მიმავალ გზაზეა, სავარაუდებელია, რომ ხეობის დარაჯის ან მაცნობარის ფუნქცია ჰქონოდა. ტოლოშს გადმოჰყურებს სარო-ხიზაბავრა, საიდანაც არ ჩანს ხერთვისის ციხე. ტოლოშიდან დაკავშირება შეიძლება მტკვრის როგორც ჩრდილო-აღმოსავლეთის, ისე სამხრეთის მიმართულებით. ტოლოშთან სემანტიკურად ახლოსაა სიტყვა ტალა („ყარაული“ მ.ბერიძე, 2008: 36), ტოლოშშია მთა სატალაო, ანუ საყარაული.

„დავთარის“ მიხედვით, ტოლოშში თვრამეტ კომლს უცხოვრია, მათი ოჯახის უფროსები არიან: კაკუტა ფარსიასძე, ბარდია ლაზარესძე, სტეფანე, იოსებ მღვდლის ძე, მახარებელ ძე მისი, ყანდურალი მინდოდასძე, ღონენა, კირაკოს მღვდელი, მახარებელ ვეფხიასძე, ივანე ორსოლასძე, იორდანე მღვდელი, ქქია, სახელად ბადურა, მახარას შვილიშვილი, სახელად გოზალ.

გოზალ თურქულად „ლამაზის“ აღმნიშვნელია (ჯიქია, 2008: 118), აქედან მოდის გვარი გოზალიშვილი. ტოლოშელი ოჯახის უფროსის სახელი გოზალა - ა მაანთროპონიმებელი სუფიქსითაა გაფორმებული. სახელად გოზალ გვხვდება თმოგვის ციხის რაბათში (ჯიქია, 1941: 240). აღლონტის ანთროპონიმთა

ლექსიკონი აფიქსირებს: გვაზას, გვაზის, გოზალასა და გოზიას (ღლონტი, 1967: 68). ა.ფრონელი „დიდებულ მესხეთში“ საუბრობს ქართველ კათოლიკეთა შესახებ. მისი თქმით, რაბათის რომის კათოლიკეთა ეკლესიას განაგებდნენ პატრები და დღესაც (იგულისხმება XX საუკუნის დასაწყისი – ნ.მ.) ამ ეკლესიას განაგებს ქართველი პატრი, მამა ლაზარე გოზალიშვილი (ფრონელი, 1991: 43). გოზალ/გვეზალ გვხვდება ტოპონიმის შემადგენალ ნაწილად სოფელ ტოლოშში: გვეზალათო – ყანა, ქვაბისხევის ზევით, იფნიეთის ტყესთან, თორულების გვერდით (ინფ. იაკობ მელიქიძე).

ტოლოშელი ქეჩია მამისახელისა და გვარსახელის გარეშეა მითითებული. ვფიქრობთ, მისი სახელდება მეტსახელიდანაა. ქეჩია შეიძლება დარქმეოდა ა)კისერჩამპვრალ, კისერმოკლე ადამიანს. ქეჩო საბასთან განმარტებულია, როგორც „ამოზეული კისერი, ამოსმული კისერი“ (ორბელიანი, 1993: 222); ქეჩო დაფიქსირებულია ანთროპონიმთა ლექსიკონშიც (ღლონტი, 1967: 134); ბ) ინიციატივიან, წინამძღოლის თვისებებით გამორჩეულ ადამიანს. შდრ. ქეჩი – ცხვრის ფარის წინამძღოლი ვაცი, თხა.; გაქეჩვა – „მიმართულების მიცემა“ (ღლონტი, 1984: 141, 567). წუნდასა და ზემო ოშორაში გვხვდება ქოჩია (ჯიქია, 1941: 144, 242). ი.მაისურაძეს გვარები: ქოჩაშვილი, ქოჩიაშვილი, ქოჩიშვილი საკუთარი სახელიდან (ქოჩა) მომდინარედ მიაჩნია (მაისურაძე, 1990: 176). ქოჩო ამჟამად ზედწოდებაა ტოლოშის მკვიდრისა, რომელსაც მემკვიდრეობით, მამისაგან ერგო ეს მეტსახელი (ქოჩო < ქოჩორა).

ტოლოშის ვენახების გამოსაღებზე მითითებულია: „ვენახი 1 ნაკვეთი, 3 ქილიანი, ბატატასძის, მურვან აზნაურის, აწ ვარძელ მელიქის მფლობელობაში, სასამართლოს განაჩენის თანახმად წელიწადში 40 ახჩას იძლევა“ (ჯიქია, 1941: 179). ინფორმატორთა გადმოცემით, „ხერთვისის ციხისთავს ერქვათ მელიქები. ერთ-ერთი გამოსულა, ტოლოშის ტერიტორია უნახია, ვენახი გასაშენებლად მოსწონებია ეს ადგილი, გაუშენებია ვენახი და თითონაც ბინად დასახლებულა, შესაძლებელია გვარიც იქიდან წამოვიდა. მელიქი იყო თანამდებობა, ციხის პატრონი. წამოვიდა მელიქ შვილებზე ძედ“. ინფორმატორთა ცნობა საგულისხმოა იმ თვალსაზრისით, რომ XVI საუკუნის ტოლოშში არც პირსახელად და არც გვარსახელად არაა მითითებული მელიქი, ხერთვისელთაგან კი სარგის მელიქსა და პაპუ გრიგორისძის ძმა მელიქას ვიცნობთ. შესაძლებელია, სწორედ ვარძელ მელიქი იყოს ხერთვისიდან გადმოსული ის მეიჯარე, რომელიც ამჟამავენს ტოლოშელთა ვენახს და შემდგომშიც სათავეს უდებს ტოლოშელ მელიქიძეთა მოდგმას. საკუთარ სახელადტყეული თანამდებობის ტერმინი მელიქი აღნიშნავს კუთხის, სოფლის, ქალაქის

მმართველს, გამგებელს (ქეგლი). ქსე-ში ვკითხულობთ: „მელიქი (არაბ. მალიქ. მფლობელი, გამგებელი, მეფე, მონარქი) ისლამამდე ჰასანიდებისა და ჰალმიდების არაბულ სახელმწიფოთა გამგებელი, სამხ.-აღმ. არაბეთის ზოგიერთი ტომისა და ცენტრ. არაბეთის ტომთა კონფედერაციის მეთაური. ისლამის აღმოცენების შემდეგ ტერმინ „მალიქს“ არაბები იყენებდნენ უპირატესად არამუსლიმანი გამგებლების მიმართ (მონარქის მნიშვნელობით). სახალიფოს დაშლის შემდეგ მალიქს უწოდებდნენ სახალიფოს ტერიტორიაზე აღმოცენებული დამოუკიდებელი სახელმწიფოების საერო გამგებლებსაც. XIII-XVIII სს. ამიერკავკასიაში ტერმინი „მელიქი“ ფეოდალთა ტიტულსა და თანამდებობას აღნიშნავდა. მომდევნო პერიოდში მელიქი ეწოდებოდა სოფლის მოხელეს (მამასახლისს) და ძვ. დიდგვაროვანი ფეოდალის მემკვიდრეს – წვრილი ფეოდალური სამფლობელოს მეთაურს, რომელიც შაჰზე იყო დამოკიდებული. „მელიქი“ ქალაქის მოხელესაც ერქვა. იგი იხსენიება თბილისის სხვა მოხელეებთან, მოურავთან და მამასახლისთან ერთად. XVIII საუკუნეში მელიქისა და მამასახლისის თანამდებობა შეერთდა. მელიქი, შემდეგში მელიქ-მამასახლისი, აქტიურად მონაწილეობდა ქალაქის მართვაში. იგი განაგებდა ვაჭრობის საკითხებს, მონაწილეობდა საქონელზე ნიხრის დაწესებაში, სასამართლო საქმის გარჩევაში და ა.შ. (ქსე, 1993: 558). „სტეფანე მელიქიშვილი, წარჩინებული ქართველი, თავის დროს ქართველ საზოგადოებაში კარგად ცნობილი, იყო ქართველი მწიგნობარი და ზედმიწევნით მცოდნე ქართველთა ავკარგიანობისა. 1860 წლების შემდეგ ის ყველა ქართველთა საქმეში მხურვალედ იღებდა მონაწილეობას. 1866 წ. ქართულ გაზეთ „დროების“ გამომცემლობა მან იკისრა და ამ საქმეს კარგახანს გაუძღვა. „დროებაზედ“ მას ბევრი ამაგი აქვს დადებული. თბილისში სტეფანე მელიქიშვილის სახელით სტამბაც არსებობდა“ (ზ.ჭიჭინაძე, ქართველი კათოლიკენი ყველა ასპარესზედ, თფ., 1905წ. 19-20) ახუაშვილი, 1994: 445). **მელიქიძესა და მელიქიშვილს** სამოხელეო ტერმინისაგან მიღებულ გვარებში ასახელებს ზ.ჭუმბურიძე (ჭუმბურიძე, 1992: 68). „დავთრის“ თანახმად, **სარგის მელიქი** ხერთვისის მკვიდრია (ჯიქია, 1941: 171), პაპუ გრიგოლისძის ძმასაც **მელიქა** ჰქვია (ჯიქია, 1941: 171), **სარგის მალიქისძე** კი თმოგვის ციხის რაბათიდანაა (ჯიქია, 1941: 241). **მელიქი / მელიქა / მალიქისძე** მოწმობს წოდების გადასვლას პირსახელში, შემდეგ მამისახელსა და გვარში.

ახალქალაქის ლივის თმოგვის რაიონს მიეკუთვნება **თმოგვის ციხის რაბათი**, რომელიც სამოცდაცხრა კომლითაა წარმოდგენილი. კომლთა მეთაურები არიან: ნიკუა, ზარასფა, ჰეზარგულ, სარგის არაქელისძე, არაქელ, ზერეკასძე, გურასფა და ძე მისი როსთომ, ნიკო ხუდავერდასძე, პაპუ მურადისძე, ვარძელ ბერასძე,

მერაბ და ძმა მისი ამირაზიზ, ხოსიკ მურადისძე, ძმა მისი, მურად ბაბანასძე, პაპუ იარაღისძე, იარაღი, ანანიასძე, მიკირტიჩ ძმა მისი, იარაზიზ აზიზისძე, პაპუ ძმა მისი, ვართან და მისი ძე ბევროზ, პაპუ მაზანასძე, მამუკა ძმა მისი, იედიგარისძე, ნურალი ძე მისი, იარაზიზ ნურაზიზისძე, ჰათარდელ ძმა მისი, აბარდან, ოჰანეს ბაინდურისძე, გულა ძმა მისი, პაპუ შირინისძე, ბერეკასძე, ყანდუ ძე მისი, ოდექ ხუდავერდისძე, სებან გულასლანისძე, როსთევეან ძმა მისი, ბერიკ ფირაზიზისძე, მიკირტიჩ ძე მისი, მურად, სახელად გოზალ, ტერაკოფ, ბერიკ მურადისძე, მარქარ ძმა მისი, შაჰადინ ასასასძე, ჩალაბასძე, პაპუ ყუზანისძე, ნურალი, აკოფ ძე მისი, აღდგომელ ლაბურასძე, ბატატა ძე მისი, სარგიზისძე, ზაზა ედიშერისძე, შაქარა ხაჩატურისძე, შაქარა, მირველი ნახასძე, ანბარჯი ნიკოხოსისძე, ბერო ჰაზართელასძე, სარგის მაღიქისძე, მამუკა პაპუსძე, სახელად თევალა, სახელად მასურა, მუქუ მასურასძე და ბატატა ამირხანისძე (ჯიქია, 1941: 240-241).

ვართანის, მიკირტიჩის, მარქარის, ოჰანესის, ხაჩატურისძის („ჯვრის ბოძებუდი“) მოხსენიება თმოგვში გვაფიქრებინებს ამ პერიოდისათვის სომეხთა თანაცხოვრებაზე ქართველებთან ერთად, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ მათ ანთროპონიმურ ველებს, რომლებშიც მოქცეულია ეს სახელები, ძნელი წარმოსადგენია ანანია, ბატატა, შაქარა, გაბრიელი, ბადურა, გულაბა, ბერიკა, ლაშქარა რქმეოდან სომეხთა ძმებსა და შვილებს, მით უფრო კუპარასძე, გაბრიელისძე, ანანიასძე და გიორგისძე არ იქნებოდა სომეხი. აღფრონელი ქართველთა სახელების სახეცვლილებაზე წერს: „ოსმალის თვალის ასაბმელად და ქრისტიანობის დასაცავად ქართველმა კათოლიკეებმა განიზრახეს, შემოედოთ წირვა-ლოცვა სომხურ ენაზე. მართლაც, ამ ხერხმა გაჭრა, ქართველმა კათოლიკეებმა შეინარჩუნეს ქრისტიანობა, მაგრამ ლამის ქართული ეროვნება დაკარგონ. თუ სცოდნოდან მაშინ, რომ გულუბრყვილო დიპლომატიური ხერხი მატლად გადაექცეოდან, რომ პავლე და იაკობი პოლოსად და აკოფად გადაინათლებოდან, შესაძლებელია, რომ მაჰმადიანობაზე უარი არ ეთქვათ..... ქართველ კათოლიკე მოძღვართა სახელებს წინ უძღვის სიტყვა „ტერ“ და მათი სახელები ასე გამოითქმის: ტერ-პოლოსი, ტერ-პეტროსი და სხვ.“ ფრონელი, 1991: 43). ამის მიმანიშნებელია კომლის უფროსთა დოკუმენტირება ტერ ეპითეტის დართვით (დეფისითა და დეფისის გარეშე): ტერაკოფ (თმოგვი, ჯიქია, 1941: 240), ტერ-აკოფ (ასპინძა, ჯიქია, 1941: 130). შდრ. ტერსიმონე (ა.დლონტი, 1967: 125). ტერ – სომხურად „მამა, მამაო, უფალი, პატრონი, მღვდელი, ხუცესი, მოძღვარი“ (ახუაშვილი, 1994: 641).

1595 წლისათვის, „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ მიხედვით, სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას ქართველები წარმოადგენდნენ. თ.იველაშვილის გამოკვლევით, ამ დოკუმენტის თანახმად, ხერთვისის რაიონში ქართველები 99,28%-ს შეადგენდნენ, ტყიანი ჯავახეთის რაიონში – 99,2%-ს, ბუზმარეთის რაიონში – 99,5%-ს, თმოგვის რაიონში – 82,98%-ს, ნიალისყურის რაიონში – 96,51%-ს (იველაშვილი, 2004: 49).

1.6. ანთროპონიმთა სტრუქტურული და სემანტიკური ჯგუფები ისტორიული წყაროების მიხედვით

ისტორიული წყაროების მიმოხილვამ დაგვანახა, რომ ქართული სახელდება ტოლერანტულია, სახელთა მოქართულების საკონტროლო საშუალება კი მისი გვარსახელში გადასვლაა. ამისი დამადასტურებელია: აბრაჰამ > აბრამიშვილი / აბრამიძე; ასლან > ასლანიშვილი /ასლანიძე, ვარაზ > ვარაზიშვილი/ვარაზი, მიქაელ > მიქელაძე; ნარიმან > ნარიმანიძე/ ნარიმანიშვილი; მელიქი > მელქაძე/ მელიქიძე; გრიგოლ> გრიგოლია/ გრიგალაშვილი; ყადინ > ყანდიაშვილი/ ყანდილაძე / ყანდარელი; გურგენ > გურგენიძე; ზანდარ > ზარანდია; დემეტრე> დემეტრაძე; იოსებ > იოსებაშვილი / ოსეფაშვილი; იოჰანე > ივანიძე / ივანიშვილი; ზარზაალ > ზაზაძე; ბასილი > ბასილაძე; იაკობ > იაკობიძე; გოზალ > გოზალიშვილი და სხვ.

ყველაზე გავრცელებული სახელებიდან აღსანიშნავია: ბასილი, ვარძელი, პაპუნა, მახარებელ, ლაშქარა, ბადუჩა, ბატატა, ბადურა, მაზანა და გრიგოლი.

XVI საუკუნის სამცხე-ჯავახეთის ისტორიულ დოკუმენტებში გამოიკვეთა საკუთრივ ქართული წარმოშობის ანთროპონიმები, ანუ როგორც მათ ქ. გოდერძიშვილი უწოდებს „ინდიგენური სახელები“ (გოდერძიშვილი, 2012: 54): ბერი, მხეჭაბუკი, თვალშვენიერი, მზეიქალი, ლომგული, ნათა/ნათენა, მამისა, მამუკა, ბიძისა, ცისკარა, აღდგომელა, გელიტა, ქურციკა, ირემა, კაკალა, ლაშქარა, მაცაცა, მინდოდა, მაცხონა, პაპუნა, სულია, ტყემალა, წამალა, დედისიმედი, ია, ვარდია, ლომა, ლონდარა, გულო, გულისა, გულია, პაატაგულ, პატია, ღვინია, ღონენა, გალობელა, სულალა, ძამაგულ, ძამანა, თაყა, ლომიზგულ...

ლ.პერტაია მიუთითებს, რომ კალენდარული სახელები უდიდესი მნიშვნელობის მატარებელია. ამგვარ სახელთა ნუსხაში შესულია ძველი აღთქმის, ახალი აღთქმისა და ყველა ქვეყნის წმინდანთა სახელები. წმინდანებად არიან შერაცხულნი ძველი აღთქმისეული მართალი ადამიანები: ადამი, ევა, აბელი, შეთი, ნოე, სემი, აბრაამი, სარა, ისაკი, რებეკა, იოსები და მრავალი სხვა.

ენობრივ ფენომენტთან ერთად სახელი წარმოადგენს გასაღებს ხალხთა რელიგიური, სოციალური და პიროვნული მდგომარეობის ცოდნისა (პერტაია, 2007: 130). „მესხურ ქრონიკებში“, „მოსახსენებლებში“, „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ ჩვენთვის საინტერესო უბნებზე **კალენდარული სახელებიდან** დაფიქსირდა: იობი, ზაქარია, თეოდორა, მართა, ირინე, ნინო, ბასილი, ნიკოლოზი, დანიელი, იაკობი, იოსები, აბესალომი, ელიაზარი, ელია, იონა, მიქელა, გაბრიელი, ლაზარე, საბა, ყუბად, ივანე, დავითი, კირაკოზ, გიორგი, ქრისტე, აბრამ, დემეტრე, მოსე, ზოსიმე, პეტრე, პავლე, თევდორე, არსენ, კვირიკა...

ისტორიულ წყაროებში **ბერძნული სახელებიდან** შეგვხვდა: კირაკოს, კვირიოს, ოქროპირ, ბასილი, გიორგი, ნიკოლაუზ (ნიკე + ლაოს)...

ებრაული სახელებიდან ფიქსირებულია: აბესალომ („მამა მშვედობისა“), ივანე (< იოჰანე), ელიაზარ, ელია, იორდანე, დავითი, მიქელა (< მიქაელ), იონა, იოსები, საბა, გაბრიელი, ყუბად...

სომხური სახელებიდან დოკუმენტირებულია: მიკირტიზ, ძაგან, ვართან, ხაჩატურ, ჰანეს, მარქარ, ოჰანეს...

სპარსული წარმომავლობისაა: ვარაზი, გურგენი, ვარდანი, ზაზა, ამარინდო, ნანუქა(< მანუქარ), დარისპანი, ნარიმანი, როსტომი, მირიანი, ქეთაონ, ფარნაოზი...

არაბული სახელები: ნური, ბადრი, რამაზა, რევაზ, ამირზადე, მურად...

სკვითურია: ზარანდ.

თურქული სახელებიდან შეგვხვდა: არსლანა, სულთანა, სურხანი, გოზალა, ყანდუ, იანქო, ბაადურ, იაღღუზ...

საანალიზო მასალის მიხედვით ისტორიულ წყაროებში გამოიყოფა ანთროპონიმთა შემდეგი სემანტიკური ჯგუფები:

ბავშვის დაბადებასთან დაკავშირებული სახელები: ცისკარა (ცისკრის უამს დაბადებული), იანვარა (იანვარში დაბადებული), წამალა, პაატა, რამაზ, ბაირამ...

სურვილის სახელები: იმედა, იმატა, მაცხონა, მანდო, ხარება, მახარებელ/მახარგულ/მახა, ოქრუა, სულთანა (წარმატების სურვილი დევს), ღონენა, ღონდარა, ღომკაცი, კაკალა ...

მეტსახელებიდან წამოსული საკუთარი სახელები ანუ თიკუნოფორული ანთროპონიმები: ბატატა/ბადუა, შაქარა, ოქროპილ, ჭაჭია, ზარხომ, ჩოლადა, ფირადა, ბაღა, ბაღია, კოჭლა, კაკალა, ტეტია, ღომგულა, ქეჩია, ფირადა, გალობელა, გულაზიზი, კუპარასძე, კოჭლასძე...

ტოტემიდან მომდინარე ანთროპონიმები: გელეტა, ირემა, ირემასძე, ქურციკისძე, ფოცხვერა, ღომა, არსლან, ვეფხია.

ნათესაური ურთიერთობის გამომხატველი სახელები: მამისა, მამუკა, ბიძისა, პაპუნა, ბიძინა, მამი, ძამანა, ძამაგულ/ძამანაგულ, მამაგულ, დედისიმედი ...

ხელობის, თანამდებობის აღმნიშვნელი ტერმინებით გამოსატული სახელები: ზეინკლიშვილი < პაპუნა ზეინკლის შვილი (სარო), მღვდლიაძე < იოსებ მღვდლისძე (ტოლოში), მღვდლიშვილი /მღვდლიაშვილი < ბასილა მღვდლის შვილი (ცხეკნელა), ზაქარა მღვდლის შვილი; მელიქიძე < სარგის მალიქისძე (ხერთვისი)...

რაც შეეხება ისტორიულ დოკუმენტებში დაფიქსირებული საკუთარი სახელების სტრუქტურას, გვაქვს:

კომპოზიტიური სახელები: ნურაზიზი, ელიაზარი, ცისკარა, ლომკაცა, დოვლათბეგი, ამილბალ/ამირბარ, ოქროპირ, მზეიქალი... **გულკომპონენტიანი სახელებიდან,** როცა -გულ კომპოზიტიური სახელის მეორე ნაწილია ანთროპონიმებში: მამაგულა, ლომგულა, საბაგულა, სამანაგულა, შავგულა, ძამანაგულ, ჰაზარგული, ჰეზარგულ, ვარაზგული... **გულ-** პირველი ნაწილია კომპოზიტიურ სახელებში: გულაზიზი, გულნარა... **შაჰ-** თხზული სახელების პირველ კომპონენტად გვხვდება: შაჰრუხ (შდრ. შახრუხაძე), შაჰადინ, შაჰყუბადისძე.

მართულმსახდგრელიანი სახელები (მსახდგრელის ბრუნვის ნიშნის სრულად შენარჩუნებით): ცისკარა, ლომიზგულ (> ლომისგულ), გულისადებ, დედისიმედი...

ისრაელში გავრცელებული ჩვეულებისაგან განსხვავებით (რომელთა კომბინირებული სახელების პირველი კომპონენტი ივრითული ანუ ებრაული სახელია, ხოლო მეორე – იდიშური ანუ ევროპის ებრაელთა სახელი), საქართველოში დაფიქსირებული ადამიანის ორსახელიანობა (ლაშა-გიორგი, სუმბატ-დავითი, სულხან-საბა...) ლ.პერტაიას აზრით, დაბადებისა და კალენდარული სახელების სინთეზს წარმოადგენს (პერტაია, 2007: 134). ოსმალთა მოხელეების აღწერილ სოფლებში **ორსახელიანობა** დადასტურდა ხიზაბავრაში: **პაპუნა ირაკლი** (იხ. ჯიქია, 1941: 176). „მესხურ ქრონიკებში“ ორსახელიანობის მაგალითებია: **ბექაი-პავლე, საბა-იანქო;** „თოფქაფის სასახლის არქივში“ დაფიქსირდა **ყვარყვარე-ყანდურალი**.

სამხრეთ საქართველოს ისტორიულ წყაროებში დადასტურებული ანთროპონიმების მაწარმოებელი სუფიქსებია:

–ა: ადამ-ა, ალალ-ა, ამბროს-ა, არსლან-ა, ბალ-ა, ბასიდ-ა, ბერ-ა, გრიგოლ-ა, გულ-ა, დიაკონ-ა, ზაქარ-ა, იაკობ-ა, იზაკ-ა, ირემ-ა, კაკალ-ა, კუპრ-ა, ლაშქარ-ა, ლომ-ა, ლომდარ-ა, ლონგულ-ა, მიქელ-ა, ნათ-ა, ნოდარ-ა, ობალ-ა, ოქრ-ა, რევაზ-

ა, როსაფ-ა, როსებ-ა, სიმონ-ა, სულთან-ა, ტყემალ-ა, ღარიბ-ა, ღვინ-ა, შაქარ-ა, ჩოღალ-ა, ჩუბინ-ა, ცისკარ-ა, წამალ-ა...

-ალ/-ალ-ა: ნურ-ალ-ი/ნურ-ალ-ა, სულ-ალ-ა...

-ან-ა: ბაბ-ან-ა, ბედ-ან-ა, ვართ-ან-ა, მაზ-ან-ა, ძამ-ან-ა

-ატ/-ათ-ა: ბატ-ატ-ა, მათ-ათ-ა

-აც-ა: მაც-აც-ა

-ეკ-ა: ბერ-ეკ-ა

-ელ/-ელ-ა: აღდგომელ/აღდგომ-ელ-ა, ბაბ-ელ-ი, ბად-ელ-ა, გურგ-ელ-ა, ვარძ-ელ/ვარძ-ელ-ა, პავ-ელ-ა

-ენ/-ენ-ა: გეგ-ენ-ა, გელ-ენ-ა, გურგ-ენ-ა, ნათ-ენ-ა, ღონ-ენ-ა

-ეტ/ეტ-ა: გელ-ეტ-ა

-ია: აზარ-ია, ბალ-ია, ბადრ-ია, ბატ-ია, გულ-ია, ვარდ-ია, ვეფხ-ია, ზალ-ია, მაზნ-ია, მამ-ია, პავლ-ია, პატ-ია, რუს-ია, სოს-ია, ფას-ია, ქიტ-ია, ქორ-ია, ღვინ-ია

-იკ/იკ-ა: ბერ-იკ / ბერ-იკ-ა, ბიძ-იკ-ა, კვირ-იკ-ა, შალ-იკ-ა, ხოს-იკ / ხოს-იკ-ა

-ინ-ა: ბიძ-ინ-ა, გოგ-ინ-ა

-ისა: ბიძ-ისა, გულ-ისა, ელ-ისა, მამ-ისა

-იტ-ა: გოგ-იტ-ა

-ირ/ირ-ა: გოგ-ირ-ა, მიტ-ირ

-ო: აბ-ო, ბერ-ო, გაბ-ო, გულ-ო, ნიკ-ო, ყანდ-ო

-უ: ველ-უ, პაპ-უ, ყანდ-უ

-უა: ატ-უა, ბატ-უა, ბერ-უა, ნიკ-უა, პაპ-უა

-უკ-ა: ბად-უკ-ა, ზამ-უკ-ა, მამ-უკ-ა

-ულ/ულ-ა: მამაგ-ულ-ა, ძამაგ-ულ

-უნ-ა: დათ-უნ-ა, პაპ-უნ-ა

-ურ-ა: ბად-ურ-ა

-უტ-ა: ზაზ-უტ-ა, კაკ-უტ-ა

-ურ-ა: ბად-ურ-ა, გაგ-ურ-ა, ნან-ურ-ა, ქაქ-ურ-ა

ფონეტიკური პროცესებიდან ისტორიულ დოკუმენტებში დადასტურებულ ანთროპონიმებში გვხვდება მეტათუხისის (ყანდუ > ყადინ; ზარანდ < ზანდარ), ასიმილაციის (ეკატერინა < ეკატერინა), დისიმილაციის (ჰეზარგულ < პაზარგულ), სუბსტიტუციის (ღონდარა > ღომდარა; სარგიზ < სარგის; ვიქრიასძე < ვიგრიასძე; გრიგოლ < გრიგორ; კირაკოზ < კირაკოს; ელისბარი < ელიზბარი; თადეოზ < თადეოს); რედუქციის (თეოდოსია < თეოდოსია; პავლე < პაულუს) შემთხვევები.

XVI საუკუნის დოკუმენტებზე დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ სამხრეთ საქართველოში გავრცელებული იყო -შილ-ი, -ძე, -იან-ი, -არ-ი, -ელ-ი სუფიქსებით გაფორმებული მემკვიდრეობითი სახელები (თაქთირისძე, ამატაკიანი, ავალიშილი, ანძაველი, სლესარი...). „მესხური დავითნის მატიანესა“ და „მცხეთის საბუთებისაგან“ განსხვავებით, „თოფქაფის სასახლის არქივის“ მასალებში არ გვხვდება სამცხის დიდგვაროვანთა გვარსახელები, ისინი მხოლოდ პირსახელით ან პირსახელითა და მამის სახელითაა მოხსენებული („თუ ყვარყვარეს ამბავს იკითხავენ, მანუჩართან ბრძოლაშია“, „ქურცინას შვილმა იბაშერმა ზაქარიას შვილი ხახულარი დაიჭირა“...). ეს ბუნებრივიცაა, რადგან ოსმალოებს არ ესმით გვარის მნიშვნელობა და მხოლოდ სახელებს მიუთითებენ. მბერიძის აზრით, ოსმალოსათვის გაუგებარია ქართული ფორმა გვარის წარმოებისა და კომლის მეთაურის მინიშნების თავისებურ ხერხს იყენებს (ბერიძე, 2009: 133). ანალოგიური მდგომარეობა გვაქვს „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“, მაგრამ ჩვენთვის საინტერესო მონაკვეთში დევთერდარებს მაინც „გამოეპარათ“ ბერაძე, ბენაძე, გიორგაძე: „ღონენა გიორგაძის ძე“ დაფიქსირებულია კვარშიაში (ჯიქია, 1941: 183), „მახარა ბერაძისძე“ – ქარზამეთში (ჯიქია, 1941: 255), ხოლო „დემეტრე ბენაძისძე“ – ყანუბანში (ჯიქია, 1941: 142).

თუ დინამიკაში განვიხილავთ ისტორიულად დამოწმებულ ანთროპონიმებს, დავინახავთ, რომ ამა თუ იმ სახელმა შტოგვარსა და გვარსახელში გადაინაცვლა, XVI საუკუნეში დოკუმენტირებული ზოგი მემკვიდრეობითი სახელი დღესაც დასტურდება ასპინძის მუნიციპალიტეტში, ზოგი სახელიც ტოპონიმებში ცოცხლობს.

ხუთი საუკუნის წინანდელი გვარსახელებიდან ჩვენი კვლევის ობიექტზე შემორჩენილია: ბერიძე (< ბერისძე), ზაზაძე (< ზაზასძე), გიორგაძე, ივანიძე (< ივანესძე), დიასამიძე, თევდორაძე (< თევდორესძე), მელიქიძე (< მალიქისძე), მისურაძე (< მასურასძე), ბალიაშვილი (< ბალიასძე), ცისკარაძე (< ცისკარასძე).

ამჟამად ასპინძის მუნიციპალიტეტში აღარ გვხვდება: ვარძელაშვილი, ვარძელიძე (< ვარძელისძე), ნათენაძე (< ნათენასძე), აღდგომელაძე (< აღდგომელასძე), ირემაძე (< ირემასძე), მიქელაძე (< მიქელასძე), ლომსაძე (< ლომსასძე), იაძე (< იასძე), მინაძე (< მინასძე), ქურციკიძე (< ქურციკისძე), ვარდიძე (< ვარდიასძე), ბერაძე (< ბერასძე), გალობელიძე (< გალობელისძე), გოგორიძე/ გოგორიშვილი (< გოგორისძე), დავითაძე (< დავითასძე), დემეტრაძე (< დემეტრესძე) ...

ისტორიულ წყაროებში დადასტურებული პირსახელიდან მემკვიდრეობით სახელში გადასვლის მაგალითებია: ლონდარა/ლომდარა > **ლონდარიძე**, დათა > **დათაშვილი**, მაზა > **მაზაშვილი**, მამუკა > **მამუკაშვილი**, ბალია > **ბალიაშვილი**, ველიჯან > **ველიჯანაშვილი**, მურადი > **მურადაშვილი**...

ეპითეტური სახელების ნუსხაში ხვდება როგორც ხელობა-მოსაქმეობის, ისე თანამდებობისა და სოციალური მდგომარეობის აღმნიშვნელი სიტყვები: **საბია მღვდელი**, **გრიგოლ მღვდელი**, **პატია მღვდელი**, **იორდანე ბერი**, **იალღუზა მებაღე**, **სარგის მელიქი**, **იმარინდო ქეთხუდა**, **იასონ ქეთხუდა** (ქედხუდა < ქეთხუდა (სპარს.), მამასახლისი გვიანდელ ფეოდალურ აღმ. საქართველოში; მონაწილეობდა ადგილობრივ მმართველობაში, სამოქალაქო საქმეების გარჩევაში. სპარსული მასალების მიხედვით, სოფლის მამასახლისი, ხელოსანთა ამქრის ხელმძღვანელი, უბნის უფროსი, გვარის ან ტომის მეთაური (ქსე, 1976: 498)), **მურვან აზნაური**... ასევე ფიზიკურ მახასიათებელზე მიმანიშნებელი: **ქერა გოგიჩა**.

II თავი

ასპინძის მუნიციპალიტეტში გავრცელებული მეტსახელები

2.1. მეტსახელთა მოტივაცია

სამეცნიერო ლიტერატურაში მეტსახელს უწოდებენ დამატებით არაოფიციალურ სახელს, რომელსაც არქმევენ ადამიანს დამახასიათებელი ნიშანთვისების, ქცევა-მანერის, მისწრაფების, გარეგნობის, ანალოგიის, წარმომავლობის ან თავს გადამხდარი შემთხვევის მიხედვით (ცხადაია, 2005: 150).

ოფიციალური სახელისაგან განსხვავებით, მეტსახელი, როგორც „გვიან შერქმეული სახელი, მეტი სინამდვილის გამომხატველია. იგი მჭიდროდაა დაკავშირებული დენოტატის შინაგან და გარეგან ბუნებასთან. თუ პიროვნული სახელის შერჩევა მის კეთილხმოვანებას, მოხერხებულობასა და წინაპრის პატივისცემას ითვალისწინებს და, ამავედროულად, გამორიცხავს სახელდების ობიექტის ნიშანთვისობრიობას, მეტსახელის შემთხვევაში ხალხია სახელის „მორგების“ დიდოსტატი. მეტსახელის „მოხვეჭასთან“ არის დაკავშირებული ადამიანის მთელი ცხოვრება“ (მელიქიძე, 2000: 17). „როდესაც ადამიანს მეტსახელს შეარქმევენ, მიუთითებენ მის რომელიღაცა ნიშან-თვისებაზე. ადამიანის საკუთარი სახელის შერქმევისას სახელსადები ობიექტის თვისებების გათვალისწინება ძირითადად არ ხდება, მაგრამ მეტსახელი უკვე, პირიქით, სწორედ გახაზავს ისეთ თვისებას, რომელიც განსაზღვრავს ნომინაციას, სახელდებას“ (ბერიძე, 2015: 8).

სახელდების ორივე სახეობა (დაბადებისას დარქმეული სახელი და მეტსახელი) დენოტატის ნების გარეშე მკვიდრდება; გამონაკლისს წარმოადგენს საკუთარ სახელთა დაწუნებით გამოწვეული სახელის შეცვლა (მელიქიძე, 2000: 17).

„რა საოცარი რამაა ეს მეტსახელი!... – წერს როსტომ ჩხეიძე – მთელი სამყაროა, თუ ჩაუკვირდები და მიჰყვები ამ ამოურწყავ საღაროს ხალხური აზროვნებისა, შინაარსობრივ მხარეზე არანაკლები ყურადღება ევფონიურ მხარესაც რომ ექცევა, და პოეზიაც შიგ ჩაწნულა თავისი ხატოვანებითა და მეტაფორებით, თორემ იუმორი ხომ ანათებს და აცისკროვნებს“ (ჩხეიძე, 2017: 50).

მეტსახელის ფუნქცია, სიმინას აზრით, არის პიროვნების როგორც დაკონკრეტება, ისე გამოცალკეება მსგავსი სახელების მატარებელთაგან (სიმინა, 1969: 30).

როგორ უნდა გავმიჯნოთ სახელი მეტსახელისაგან? – კითხულობს რ.თოფჩიშვილი და აღნიშნავს, რომ „ოფიციალური სახელია ის პიროვნული სახელი, რომელსაც ეკლესია ნათლობისას ანიჭებს, რომელსაც მშობლები არქმევენ და რომელიც ფიქსირდება პიროვნების დამადასტურებელ ოფიციალურ

იურიდიულ დოკუმენტში, ხოლო მეტსახელად უნდა მივიჩნიოთ ის სახელი, რომელიც ამ ოფიციალური სახელების პარალელურად ერქმევათ (რა ასაკში, ამას მნიშვნელობა არ აქვს)“ (თოფჩიშვილი, 2010: 33). ქ.გოდერძიშვილის დაკვირვებით, მეტსახელი ინტიმურ-ინდივიდუალური და საკუთრივ ონიმური ფუნქციით ხშირად კონკურენციას უწევს სახელ-გვარს და ჩრდილავს მათ: „მეტსახელის ნომინაციური ფუნქცია ზოგჯერ სჭარბობს ანთროპონიმული წყვილის – გვარისა და სახელის – ნომინაციურ ფუნქციას, რაც იწვევს უფრო მეტად მეტსახელის დატვირთვას სამისამართო ფუნქციით“ (გოდერძიშვილი, 2012: 227).

რ.შამელაშვილი-ზექალაშვილის აზრით, მეტსახელი შეიძლება ჩაითვალოს სრულ ანთროპონიმულ ერთეულად, რომელიც მთლიანადაც კი ჩაენაცვლება პირის ოფიციალურ სახელდებას. ხდება ხოლმე, რომ ადამიანს ნათესავები, ახლობლები, მეგობრები და მეზობლები (განსაკუთრებით სოფლებში) მხოლოდ მეტსახელით იცნობენ, ხოლო მისი ოფიციალური სახელი მივიწყებულიც კია (შამელაშვილი-ზექალაშვილი, 2007: 183). „მეტსახელი ზოგჯერ არა მარტო სხვებს ავიწყებს დენოტატის საკუთრივ ანთროპონიმს, არამედ თვით დენოტატსაც, ანუ ადამიანის ცხოვრებაში ხდება სახელდების ერთი, წინა ეტაპის ჩაძირვა და მისი ჩანაცვლება ახალი ნომინაციით (გოდერძიშვილი, 2012: 228).

მეტსახელების გავრცელებას მოწმობს მისი მრავალი შესატყვისის არსებობა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში: **შერქმეული სახელი, ზედმეტი სახელი, თიკუნი, სახელბეული, მირქმეული სახელი, სახინჯარი, ბუნი, კილი.** პ.ცხადაიას აზრით: „სემანტიკურად გამჭვირვალე სახელს, ე.წ. „მოლაპარაკე სახელს“, რომელიც თვითონვე ცხადყოფს სახელდების მოტივს, ზოგადად უნდა ვუწოდოთ შერქმეული სახელი, ხოლო ტერმინი „მეტსახელი“ მივუსადაგოთ მხოლოდ იმ შერქმეულ სახელს, რომლის დენოტატს სხვა (ოფიციალური, ძირითადი) სახელიც მოეპოვება“ (ცხადაია, 2005: 151).

ძველ ქართულ ენაში შერქმეული სახელის აღმნიშვნელი ტერმინი „ნართაული“ ყოფილა. X საუკუნის პარხლის ოთხთავის ანდერძ-მინაწერში იკითხება: „ღირს ვიქმნე მე, გლახაკი ივანე, ნართაულად ბერაი, აღსრულებად წმიდას ამას სახარებას.“ ამის თაობაზე პ.ცხადაია აღნიშნავს, რომ ეს მოღვაწე ქართული კულტურის ისტორიაში ცნობილია იოანე-ბერაის სახელით და ქსეშიც ასევეა შეტანილი (ცხადაია, 2005: 152). სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებულია, რომ არაკანონიკური ანუ ნართაული სახელები დაფიქსირებულია 1621 წლის „აფხაზეთის საკათალიკოსო გამოსავალი მოსაკრებლობის დავთარში“ (თოფჩიშვილი, 2010: 189).

მეტსახელად შეიძლება ქცეულიყო არა მხოლოდ ტოპონიმური და პროფესიული სახელი, არამედ ინდივიდის ნებისმიერი თავისებურება ან მისი ცხოვრების რომელიმე მხარე. მეტსახელის დამრქმევი იყო არა ეკლესია ან მშობელი, არამედ გარემომცველი საზოგადოება. ხალხის მიერ დარქმეული მეტსახელი შეუზღუდავი, სხარტი და ეფექტური ჩანს და უფრო განმასხვავებელი ფუნქციის მქონე, ვიდრე საკუთრივ სახელი (თოფჩიშვილი, 2010: 47). „ეს უჩინმაჩინოსანი მეორე ნათლიები ერთი ხელის დაკვრით გააცამტვერებენ ხოლმე საბუთებში ბეჭდით დამტკიცებულ ვინაობას და ერთადერთი ზედმეტი სახელით ზუსტად დაახასიათებენ ადამიანს“ (დემურხანაშვილი, 1968: 61).

ა.დ. ლონტის აზრით, მეტსახელის შესწავლას მნიშვნელობა იმითაც აქვს, რომ ანთროპონიმთა მთავარი ნაწილი სწორედ მათგან მომდინარეობს. მეტსახელთა საფუძველზე საკუთარ სახელთა სისტემის შექმნა-განვითარება საყოველთაო მოვლენაა. ეს პროცესი დასტურდება არა მარტო ქართულსა და მის მონათესავე ენებზე მოლაპარაკე ტომებში, არამედ ბევრი სხვა ხალხის ანთროპონიმოლოგიაშიც (ლ. ლონტი, 1967: 24). იმის საილუსტრაციოდ, რომ მეტსახელიდან განვითარდა საკუთარი სახელები, მეცნიერს მოჰყავს ქართული ხალხური ზღაპრების პერსონაჟთა სახელები (ცერა, ხუთკუნჭულა, ჭინჭრაქა, სიზმარა, ცეროდენა, ირმისა, ნაცარქექია, ნასყიდა, მუჭანახევარა, ბელტიყლაპია...), ძველი და ახალი აღთქმის წიგნების ონომასტიკონი, აგრეთვე: ძაღლიკა, ვეფხია, ლომა, მგელიკა, აფთარა, ფოცხვერა, ირემა, კურდღელა, მერცხალა, ყორანა, შევარდენა, ზვიადა, მზექალა, ქალთამზე, პირიმზე, მაყვალა, ფიქრია, ცისია, შუქია... არმინდა, მონავარდისა, ვისელი, გინატრე, მეწყინა, მეწია, გამიხარდი... (ლ. ლონტი, 1967: 25). სამეცნიერო ლიტერატურაში დადასტურებულია მრავალი ფაქტი ოჯახის უფროსის მეტსახელის პირდაპირ გვარსახელში გადაზრდისა, ე.ი. მის შვილზე, შვილიშვილზე გადაცემისა (თოფჩიშვილი, 2010: 47). ინგლისურ ენაში განიხილება „კოგნომენი“, ადამიანის მეტსახელი, რომელიც არსებობდა ძველი რომის ისტორიაში და ფუნქციონირებდა, როგორც პიროვნების მეტსახელი, გარდამავალი მამიდან შვილზე (ზედგინიძე, 2017: 35). სოფელ ხიზაბავრაში პაპამ იცოდა რა, რომ მისი შვილიშვილიც ვერ „გადაურჩებოდა“ მემკვიდრეობით მეტსახელს (როგორც მისი შვილი: ჭიაშვილი <ჭია>), ერთგვარად „შეარბილა“ ეს პროცესი და ოფიციალურ სახელად დაარქვა ჭიაბერი (მელიქიძე, 2000: 22).

მეტსახელიდან მომდინარეა ამა თუ იმ გვარის განშტოებათა სახელების დიდი ნაწილი. ა.დ. ლონტი ფიქრობს, რომ მეტსახელის მატარებელი პირის ფიზიკური სიკვდილი ყოველთვის არ იწვევს თავად მეტსახელის გაქრობას. პირიქით, როცა

მეტსახელი გადასულია სახინჯარში, მაშინ კომლის უფროსის სიკვდილის შემდეგ ის არ წყვეტს არსებობას, კომლს მემკვიდრეობით რჩება და მასთან ერთად ცოცხლობს. ე.ი. მეტსახელი იძენს სოციალურ ღირებულებას და ყოფიერებას განაგრძობს (დლონტი, 1988: 202).

„მეტსახელის შერქმევისას მიზანში იღებენ ადამიანის პირად თვისებებს, მისწრაფებებს, მოსაქმეობას, ფიზიკურ გარეგნობას, ამიტომ აქ გონებამახვილობასა და შემოქმედებას უსაზღვრო ასპარეზი ჰქონდა (დლონტი, 1967: 24). შეიძლება ისეც მოხდეს, რომ ერთი ფორმის ორ საკუთარ სახელს სხვადასხვა მოტივაცია აღმოაჩნდეს (ჯორბენაძე, 1993: 23). ასეთია, მეტსახელი „ქურთო“: 1. მოძუბუელი სიარულის გამო; 2. კანის მუქი ფერის გამო.

ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფლებში მეტსახელს „ლაღაბ სახელს“ უწოდებენ, რომელიც, ვფიქრობთ, არაბულის გავლენით არის ჩვენში დამკვიდრებული. ამარტიროსოვს „ქართული ენის ჯავახურ დიალექტში“ მითითებული აქვს ლაღაბი სახელი, როგორც შერქმეული სახელი, მეტსახელი (მარტიროსოვი, 1984: 237). ამასთან დაკავშირებით, საყურადღებოა, გაფუროვის გამოკვლევა, რომელიც მიიჩნევს, რომ არაბულ ენაზე „ლაკაბის“ ცნება (Xს.) ძალზე ფართოა და ამ სიტყვით არაბები აღნიშნავდნენ მეტსახელსაც, წოდებასაც, თანამდებობასაც. აღმოსავლურ ენებში კი მას საპატიო ტიტულის სახე აქვს, რომელიც მეტაფორულ ხასიათს ატარებს. მუჰამედის დროს „ლაღაბი“ წარჩინებულთაშესამკობელი ყოფილა, ამით გამოხატავდნენ მათ განსაკუთრებულ დამსახურებას, მოღვაწეობის სახეს (გაფუროვი, 1971:21).

მეტსახელთა წარმოშობა გარკვეულ საფუძველს ემყარება. ხდება პიროვნების დამახასიათებელი ყველაზე მკვეთრი შტრიხის (ხასიათის, მოქმედების...) გახაზვა. ბ.ჯორბენაძე აღნიშნავს კიდევ, რომ ობიექტის მრავალ ნიშანთაგან ერთის ამორჩევა არის საკუთარი სახელის მოტივაციის პირველი წესი (ჯორბენაძე, 1993: 21). ამდენად, მეტსახელი გარკვეული ინფორმაციის შემცველი ონიმია. ცხვირა, ნისკარტა, სუსტა, მერცხალა, ნიკაპა, ქოსა, ყოჩია, პუშკინა, გლობუსა და სხვ. მეტსახელთა გაგონებისას ჩვენ ინფორმირებული ვართ და ვიცით, რომ ცხვირგრძელ, აწოწილ, ნიკაპწამოწეულ, მატყუარა, ამაყ, თმახუჭუჭა, თავდიდ და ა.შ. ადამიანებს მოიხსენიებენ (მელიქიძე, 2000: 17). ზოგჯერ მეტსახელის დამკვიდრებას ხელს უწყობს მხატვრულ ნაწარმოებთა ან კინოფილმთა გმირთან მსგავსება. ასეთი მეტსახელებია: მაგდანა („მაგდანას ლურჯას“ პერსონაჟთან მსგავსების გამო), ბენიტო („ფარული ვნების“ მსუქანი პერსონაჟის მსგავსია), იბიტო, ზორო (ფილმის სიყვარულის გამო).

სშირად მეტსახელს უფრო „ეპატრონებიან“, ვიდრე ოფიციალურ სახელს, ნაკლებად რეაგირებენ ოფიციალური სახელით მოხმობისას (სოჩიკა, ყორანა, ჭაჭო, ტუფტა, ჯორი, ფანტომასი...), ზედმეტი სახელით თავსაც იწონებენ. ასეთი მეტსახელები დამამცირებლად არ მიაჩნიათ, არც აღიზიანებთ, ამიტომ „უწყინარ მეტსახელებს“ უწოდებენ. მაგრამ როცა მეტსახელი აბუჩად აგდებას, ირონიას გამოხატავს, დენოტატის გაღიზიანებას იწვევს, ასეთებს „დაცინვითი მეტსახელი“ შეესაბამება.

ქ.გოდერძიშვილი განარჩევს დაცინვითი ფუნქციის მეტსახელებს: „როცა მეტსახელთა დანიშნულებაა პიროვნების გახელება, ამ შემთხვევაში ისინი მიმართვის ფუნქციით იხმარებიან და „გამახელებელ მეტსახელებს“ ვუწოდებთ; როცა მეტსახელი აღნიშნავს მესამე პირს და არა აქვს მიმართვის ფუნქცია, „ზურგსუკანა მეტსახელების“ ტერმინით გამოვყოფთ“ (ქ.გოდერძიშვილი, პირის საკუთარი სახელი ქართულ მხატვრულ თხზულებებში (V-XX ს. 30 წ-მდე), დისერტაცია, 1990 წ.). ორივე მეტსახელი ათვალწუნების მომენტს გულისხმობს, აქედან პირველს არ ერიდებიან, ზურგსუკანა მეტსახელებს კი „მხოლოდ ზურგსუკან ხმარობენ, ვისაც ის ჰქვია, მხოლოდ დაუსწრებლად მოიხსენიებენ ასე, პირში ეუბნებიან მხოლოდ ჩხუბის დროს, წყენინების უამს“ (ხორნაული, 2003: 336). ი.ღუტიძეს თურქეთში მცხოვრებ ქართველთაგან ჩაუწერია ერთი საინტერესო ფაქტი ზურგსუკანა მეტსახელებზე: „ჩვენ უკან გვეძახიან გველიყლაპიას. იშხიენტის გველიყლაპიას უძახიან, რადგან ერთხელ ბაბუის მამა ყანაში იყო წასული, ჩასძინებია და ორი პატარა გველი ჩაუყლაპია. ნიშადური უსმია და ამულია“ (ღუტიძე, 2016: 46). ზურგსუკანა მეტსახელებად მიიჩნევენ დამცინავ და დამამცირებელ-შეურაცხყოფელ ეპითეტის სახელებს პ.ცხადაია (ცხადაია, 2005: 156).

ა.გაფუროვის ცნობით, მეტსახელების გამოყენებას არაბულ ქვეყნებში გააჩნდა თავისი წესი. არ შეიძლებოდა ვინმეს გამოცხადება მაღალი რანგის ხალხის თანდასწრებით. მუჰამედი, იმის მიუხედავად, რომ თავად ქმნიდა მეტსახელებს, მოუწოდებდა არაბებს, ერთმანეთისათვის არ შეერქმიათ დამამცირებელი მეტსახელები. მუჰამედს აღიზიანებდა ძველი, ენობრივი სახელები, რომლებიც არ განირჩეოდა უაზრო მეტსახელებისაგან. განსაკუთრებით შეუწყენებელი ყოფილა წინასწარმეტყველი კერპების პატივსაცემად შერქმეული სახელების მიმართ (გაფუროვი, 1971:41).

2.2. ასპინძის მუნიციპალიტეტის მეტსახელთა სემანტიკური ჯგუფები:

2.2.1. გარეგნულ მახასიათებლებზე დამყარებული მეტსახელები:

2.2.1.1. სისუსტე-სიგამხდრის, სიმაღლე-სიდაბლის, სიმსუქნის მიმანიშნებელი მეტსახელები:

ა ყ ლ ა ყ უ დ ა – საგრძნობლად მაღალი ტანის; „აყუდებული“.

ა ყ ი რ თ – მაღალი, არაფრის მაქნისი კაცია; აყლიო-აყოყილი – „უშნო სიმაღლის ადამიანი, ცოტა ჭკუაზე მწყრალი“ (მელიქიძე, 2009: 188); აყლიო – „მაღალი და უშნო შესახედაობის ადამიანი, თან მოჩერჩეტო“ (ზედგინიძე, 2014: 31). შდრ. „რაც დევსქელში ხაპია, მას მურღულელები აყიროს ეძახიან“ (ღუტიძე, 2016: 79).

ბ ა ჩ უ ლ ა – პატარა ტანის; შდრ. ბაჩულია – „ჩანჩურა კაცი“ (ღლონტი, 1984: 64);

ბ ა წ ა – სუსტი, წვრილი კაცი. შდრ. ბაწარი – „წვრილი თოკი“;

ბ ა ჭ ა – პატარა ტანის; შდრ. „ბაჭაჭყანას“ განმარტავენ, როგორც პატარა, დაბალი და სქელი ყმაწვილის მოფერებით სახელს. ქართლურში უსიამოვნო გარეგნობის აღმნიშვნელია „ბაჭაჭყანა“ (ღლონტი, 1984: 65);

ბ ე ხ თ – მოტრეტილი, დიდი ტანის; ი.ქავთარაძის მიხედვით, ბეხლერწი იმერულში „დიდი, მაღალი და უშნო შესახედაობის არსებაა“ (ღლონტი, 1984: 71);

ბ თ ყ ვ ე რ ა – მეტისმეტად მსუქანი და ნელი; ბოყო – „ტანსრული, მსხვილი, ცოტა გაფუყულიც“. შდრ. ბოყო კაკალი – მსხვილი, დიდი კაკალი (ზედგინიძე, 2014: 46); ბოყო კახურში უსიამოვნო, ბოღმიანი კაცის მეტსახელია (კოშორიძე, 2004: 127).

ბ რ უ დ ე – ულამაზო აღნაგობის, უფორმო ტანის.

ბ უ ჯ დ უ ნ ი – უშნო.

ბ ღ უ ნ კ ი – მოდრეკილი, ბეჭებში მოხრილი; მობღუნკვა – ლეჩხ. გურ. ბეჭებში მოხრა; მობღუნკული – მოკუნცხული, წელში მოხრილი, მოკაკული (ღლონტი, 1984: 369); მობღუნკვა – მოკუნტვა, პატარა ტანის ადამიანის უშნო სიარული (ზედგინიძე, 2014: 50); ქართლურსა და კახურში პატარა, ჩია ადამიანის აღსანიშნავად იხმარება ბღუკი (კოშორიძე, 2004: 129). შდრ. რინანიშვილის მოთხრობა „ბღუკები“: „ცოლ-შვილიც ეგეთები ჰყავს, თვალს ვერ დაახამხამებინებ, ფიწალი რომ ატაკოს, სულ პატარები კი არიან, ბღუკები“ (ინანიშვილი, 1986: 264).

გ ა დ ა მ ბ უ ლ ი (< გადაბმული) – „ძალიან მაღალი, გრძელი“;

გ ა ლ თ კ ი ლ ი – მეტისმეტად სუსტი;

გ ე ქ ტ ა რ ა – დიდი უკანალის გამო. შდრ. ჰექტარი.

გ ე ჯ ა - გაფაფრული, გაგანიერებული (ინფ. ქეთინო მურადაშვილი). შდრ. გეჯა - დიდი ხის გობი (ორბელიანი, 1991: 157);

გ ო დ ო რ ა - ჩასქელებული;

გ ო რ გ ა ლ ა - მსუქანი. „კი არ დადის, დაგორავს“. შდრ. ბურთულა (კოშორიძე, 2004: 125).

გ ო რ გ ა ლ ო - პატარა ტანის, ჩამრგვალებული;

გ ო ძ ო - ტანდაბალი და მსუქანი კაცი. შდრ. გოდო - გადაჭრილი მორი; გოდო - ძელის მოკლე ნაჭერი (ბერიძე, 1981: 34);

დ ე შ ო - „დევივით ჩაჯიჯილი“ (ინფ. პეტრე ველიჯანაშვილი);

დ უ გ დ უ გ ა - გაბერილი, სქელი. შდრ. დუგდუგი - ქვიშერ. უწესო, წინდაუხედავი (ღლონტი, 1984: 213);

ე რ თ ჯ ე რ ა დ ი - მომცრო ტანის, გალუული;

თ ა გ ო - პატარა, მომცრო ტანის;

თ უ მ ბ უ ლ ა - მსუქანი ქალია. შდრ. თუნგულა - ლენხ. იმერ. სპილენძის პატარა თუნგი, პატარა დოქი (ღლონტი, 1984: 254);

კ ა ს ტ ი ლ ა - მაღალი, გრძელფეხება;

კ ა ც ნ ა ხ ე ვ ა რ ი - მაღალი, ტანადი, აშოლტილი;

კ ი კ ი ლ ა - ტანად მომცრო, კინკილა; შდრ. კიკილი - წვრილი პური (ბერიძე, 1981: 73).

კ ო შ ტ ო რ ა - დაბალი და ჩამრგვალებული ადამიანი; შდრ. კოშტი „რაიმეს გამკვრივებული ნატეხი; კოშტორი იხმარება კორდოხის გაგებითაც „გოროხი, მუშტზე დიდი თუ მცირე ხმელი მიწის ნაკვეთი“ (ზედგინიძე, 2014: 170);

კ ო ჭ ა ტ ა - დაბალი, მსუქანი. შდრ. კოჭატა - დაბალი ტანის ქალი, ავი ქალი (მელიქიძე, 2009: 192); კოჭატა - ქალის მეტსახელად აქვს დაფიქსირებული გ.ზედგინიძეს (ზედგინიძე, 2014: 171);

კ ო ჭ ო ბ ა - დაბალი და მსუქანი კაცი;

კ უ დ ა - პატარა ტანის, გალუული;

კ უ ნ თ ო - ძლიერი, ჯანიანი;

კ უ რ კ ა - დაბალი, პატარა;

კ უ რ ტ უ მ ა - გაბზეკილი საჯდომის გამო;

კ უ ტ ა - დაჩიავებული, გასაცოდავებული. შდრ.კუტი პური; კუტიგოგო მეტსახელად დაფიქსირებულია სოფ. მერეთში (ჩხეიძე, 2017: 106).

კ უ წ ი ა - პატარა ტანის იყო, მიკურწული;

კ უ ჭ ა – პატარა. კუჭი! კუჭო!– მიაღერებთ, მოფერებთ, მიმართვა ვინმესადმი, უმეტესად ბავშვისადმი (ზედგინიძე, 2014: 174); შდრ. კუჭია (ჩხეიძე, 2017: 110).

ლ ა გ ლ ა გ ი – დიდია ტანად, მონჯდრეული, ძლივს დადის, მოლაყლაყებს. შდრ. ლაკლაკი – ქიზიყ. აქა-იქ უხეიროდ და უმიზნოდ სიარული, წანწალი. (ს. მენთეშ.)

ლ ა კ ო ტ ა – ტანად მომცრო, გაღეული;

ლ ა წ უ ნ ა – ჩამომხმარი, სუსტი;

მ ა ღ ა ლ ო – მაღალი ქალი;

მ ო დ რ ე კ ი ლ ი – წელში მოხრილი;

ნ ო რ ჩ ი ა – სულ ახალგაზრდულად გამოიყურება;

ო ჭ ი ა – პატარა, გამქრალი;

პ ა ტ რ ა ქ ა ლ ი – დაბალი, პატარა ტანისა; შდრ. პატრა – პატარა, მცირე, უმცირესი (ღლონტი, 1984: 436);

პ ა წ ო – ტანით პატარა და დიდმუცლიანი;

პ ო ჭ ო ჭ ი კ ი /პოჭონჭიკი – პატარა, გამქრალი ტანის. შდრ. ჯავახ. კასრის საცობი (მარტიროსოვი, 1984: 242);

ს უ ს ლ ი კ ა – გაღეული, სუსტი;

ს უ ს ტ ა – ძალიან გამხდარი;

ტ ა რ ა ნ ა – ხმელ-ხმელი, სუსტი;

უ დ ა ნ ო – გაღეული, სუსტი;

ფ ი ც ა რ ა – სუსტი, გაღეული;

ფ ი ჯ ი – პატარა ტანის, დაბალი. „დაბალტანიანი, მომცრო, დანაკებული“ (ზედგინიძე, 2014: 282); შდრ. ფიჯინა – ჯავახ. აჭარ. უდროოდ ხბოს მომგები დეკეული (ღლონტი, 1984: 282));

ფ უ ნ დ უ – პუტკუნაა, დაბალი. შდრ. ფუნია, იგივე ტაბასკვერა – ლენხ. ოკრიბ. დაბალი, ჩაფსკვნილი ტანის კაცი, დაგვარჯული (ღლონტი, 1984: 504));

ქ ო თ ა ნ ა – ჩასუქებული, ჩამრგვალებული;

ღ ა ჯ ა ჯ ა – შეუხედავი, ჩაფსკვნილი, ჩასქელებული;

ღ გ ა ნ ა – გაღეული, პატარა, მომცრო ტანის კაცი. შდრ. ღვანა – წვრილი, პატარა თევზი, ღორჯოსაც ეძახიან; „ღვანა პატარა თავმსხვილი შავი თევზია. მთის წყალში არ იცის. ბინადრობს მტკვრის ნაპირებში ლამიან ადგილზე. ღვანა – ერთადერთი ფორმა იცის მესხურმა, „ღორჯო“ შემოიტანეს გადმოსახლებულმა იმერლებმა (ბერიძე, 2005-2: 41). ღვანას მ.ბერიძე შლის შემდგენიარად: ღვა-ან-ა, სადაც ღვა არის ლოყა მეგრულად, ხოლო -ან სუფიქსის ა დაკარგულია. ღვანა

გამორჩეულად „ლოყიანია“, ლაყუჩებგაბერილი და შემთხვევითი არ არის მისი „პატარა ლოქოდ“ განმარტება (ბერიძე, 2005-2: 42).

ღ ი ლ ა – მიდილული, დასუსტებული, გამხდარი, დაწუხებული;

ყ ა ვ ა რ ა – მაღალ-მაღალი კაცია; შდრ. ყავარი.

შ უ რ უ პ ი – პატარა, მოცუცქნული;

ჩ ა ბ ა ლ თ – „დაბალ კაცზე იტყვიან“– ნაგიაშვილი; ჩაბალუა – უხეირო, უმსგავსო ადამიანია – ვ.ბერიძე (დლონტი, 1984: 639);

ჩ ა ქ უ ჩ ა – ტანდაბალი, დიდთავა კაცი;

ჩ ი ნ ჩ ხ ვ ა რ ა – ძალზე გამხდარი. შდრ. ჩინჩხვარი – ხმელი ფიხის შტოები; დაახინჩხვარა – წვრილ ნაფოტებად აქცია, დაანაკუწა (ზედგინიძე, 2014: 89);

წ ე რ ი ტ თ – მაღალი. შდრ. წერწეტინა – გურ.წერწეტი, მაღალი, გამხდარტანიანი, მოხდენილტანიანი (დლონტი, 1984: 700);

წ ე რ თ – მაღალი კაცია;

წ თ წ თ – აწოწილი, სუსტი აღნაგობის, მაღალი კაცი; წოწო – „მაღალ-მაღალი“, მეტსახელად დადასტურებულია გრ.ბერიძესთან (ბერიძე, 1981: 166);

ჭ ე რ ე კ ა – მაღალი, წარმოსადეგი გარეგნობის;

ჭ ი ა – დაბალი, მომცრო ტანისა;

ჭ თ ნ ჭ ი კ ა – პატარა; შდრ. პოჭონჭიკა;

ჭ თ რ ტ ი ა – მაღალი, აწოწილი; შდრ., ჭორტი – „მაღალი ქვა, სვეტი“ (მელიქიძე, 2009: 195);

ხ ა რ ი – ზორბა ტანის, მსუქანი და ძლიერი;

2.2.1.2. პირისახის მოყვანილობისა და თვალის ფერის მიმანიშნებელი მეტსახელები:

გ ლ თ ბ უ ს ა (< გლობუსი) – დიდთავა;

ღ ი ნ გ უ ლ ა – აპრეხილი ცხვირი აქვს. შდრ. დინგი – ღორის ცხვირი; შდრ. დინგარა – დინგის მსგავსი ცხვირ-პირის გამო შერქმეული მეტსახელი (კოშორიძე, 2004: 129).

ღ თ ლ ე – მრგვალი თავის გამო. შდრ. დოლა – ურქო ძროხა ან პირუტყვი საერთოდ (დლონტი: 1984: 209). „დოლეს“ ჩვენში ეძახიან ურქო თხას“ (ინფ. ნუგზარ კაველიძე).

თ ა ვ ე – დიდთავა;

კ ე ხ უ რ ა – დიდი მრგვალი თავი და ლაქლაქა ლოყები აქვს. შდრ. კეხურა – წითელი ვაშლის ჯიში;

კ ვ ი ტ ა – პატარა ტანის, დაუზარელი. შდრ. კვირტა – გადატ. პატარა ადამიანი (ბერიძე, 1981: 72);

კ ო პ ო – შუბლზე დიდი კოპის გამო;

ლ ა ყ უ ჩ ა – დიდი ტუჩების გამო;

ლ ა შ ი ა ნ ი – დიდტუჩა კაცი.

ლ ა ფ შ ა – დიდტუჩება; „დიდი და უშნო ტუჩებიანი ადამიანი“ (ბერიძე, 1981: 78); დიდპირა, ბევრის მჭამელი (ზედგინიძე, 2014: 178);

ლ ე ს ტ ო (< ნესტო) – დიდი ნესტოების გამო;

მ ო ღ რ ე ც ი ლ ი – ცხვირმოგრეხილი;

მ რ დ ი – ტუჩმოგრეხილი; მესხეთში მრდს უშნო, შეუხედავ ადამიანს ეძახდნენ;

მ უ თ ო – ბუსთვალება, ბუსავით იყურება;

ნ ი ს კ ა რ ტ ა – ცხვირგრძელი, ცნობისმოყვარე ქალი;

ნ ი კ ა პ ა – გრძელი ნიკაპის გამო; წამოწეული ნიკაპის გამო;

მ ო ღ რ ე ც ი ლ ი – ცხვირმოგრეხილი;

ს ო ჩ ი კ ა – დიდი, ბრიალა თვალები აქვს;

ტ ა ნ ტ რ ე – მოხეული, ტანდიდი; „დიდი, მოზრდილი“ (ბერიძე, 1981: 120);

ტ უ ჩ ა – მსხვილტუჩება;

ტ უ ჩ ი ა – ტუჩებგამოწეული;

უ ზ ბ ე კ ა – წვრილი თვალების გამო;

ღ რ ჯ ო ლ ი ა – ცუდი, ღრჯოლიანი კბილების გამო;

ჩ ა ნ გ ა – უშნო, გამოწეული ყბის გამო;

ჩ ა ნ გ ა ყ რ დ ა – ყბაგამოწეულია;

ჩ ა ხ ა ლ ა – თვალჭრელი;

ც ხ ვ ი რ ა – გრძელცხვირა ქალია, ცნობისმოყვარე;

ჭ ო ტ უ რ ა – ჩაჭუტულთვალებიანი. შდრ. მთიულ. ჭოტა;

2.2.1.3. თმისა და სახის კანის ფერის მიხედვით შერქმეული მეტსახელები:

თმისა და სახის კანის ფერის მიხედვით სახელის დარქმევა არსებობდა აღმოსავლეთის ბევრ ხალხში (გაფუროვი, 1971: 16). შავი კანის ფერი ფიქსირდება ეთნონიმური წარმოშობის მეტსახელებში: თარაქამა და ქურთო. ეს უკანასკნელი გვხვდება როგორც მამაკაცის, ისე ქალის მეტსახელად.

ბ ა ხ ა ლ ა – ყვავის ბახალასავით შავია;

ბ უ რ ძ გ ნ ი ა – თმადაუვარცხნელი დადის, თმაგაბურძენული ქალია;

გ ლ ე რ ძ ა – თმებგაპუწკული; გლერძივით თმები აქვს, უხეში, რომ ვერ დავარცხნი;

დ ა ბ რ ა წ უ ლ ა ი – წითელი, „დაბრაწული“ სახის გამო;

თ უ ღ ო – შავგვრემანი;

თ უ ჯ ი – შავი ფერის;

მ უ რ ე შ ა – მურივით შავი, შავგვრემანი; მურეშა (მურა+შავი) – შავგვრემანი (ბერიძე, 1981: 93);

პ ა ნ კ ო – თმაწვერმოუწესრიგებელი, გაპანკლული; „პანკული – ხშირი და გრძელი ბალანი“ (ბერიძე, 1981: 104);

პ უ წ კ ა – თმაგაპუწკული;

ს ა რ ი ა – ქერა კაცი; სარია – ქერა, ნაცრისფერი საქონლის საკუთარ სახელადაც გვხვდება ჯავახურში (ბერიძე, 1981: 113);

რ ი ჟ ა – ქერა თმების გამო;

ტ ა ლ ა ხ ა – შავია, ტალახივით; შდრ. ტალახა – დაბლობი სოფელ მაღალ ეწერში (ძნელაძე, 2005: 81).

ტ ლ ა პ ო – შდრ. ტელაპო – „თხლად ახელილი მიწა“.

ქ ა ჩ ა ლ ი – უთმო; შდრ. სპარს. ქაჩალ – „კაცი, რომელსაც თავზე თმა რა აქვს“ (ქეგელ, 1962: 276);

ქ ე რ ა – კანის ფერის გამო;

ქ ო ჩ ო – თმახშირი, თმააქონრილი. შდრ. ქოჩო – თევზის ფაფარი (ცხადაია, 2000: 141).

ქ ო ჩ ო რ ა – ხშირთმებიანი; თმაქონორა. შდრ. მეგრული ქორჩოლუა (ქობაღია, 2010: 638).

ღ ვ ი ტ ი ტ ა – თეთრი პირისახის, ფერმკრთალი;

ყ ა რ ა – შავი. შდრ. თურქ. kara -შავი; შავგვრემანი, მუქი (ჩლაიძე, 2001: 785);

ყ ა რ ა ყ უ შ ი – პატარა შავგვრემანი ქალი. შდრ. თურქ. karakus – ზოოლ. არწივის სახეობა (ჩლაიძე, 2001: 787);

ყ ა ყ ა ჩ ო – წითური, ლამაზი კაცი;

შ ა ო – „შავი ბიჭი, შავიო და შაო დაარქვეს შავგვრემანობის გამო“ (ინფ. კახა ასპანიძე);

ჩ ო რ ნ ა – შავგვრემანი;

ც ხ რ ა ნ ა წ ნ ა ვ ი ა ნ ი – უთმო. შდრ „ცხრახელა“ ცალხელას სანაცვლოდ.

წ ი თ ე ლ თ ა ვ ა – წითელთმიანია;

წ ი რ ნ ა – წირნისფერი, მოყვითალო თმა აქვს.

2.2.1.4. ფიზიკური ნაკლის გამომხატველი მეტსახელები:

ბ რ უ მ ა – ცუდადმხედველი;

ბ რ უ ტ ი ა ნ ი – ვერ ხედავს კარგად, ცუდი მხედველობის გამო;

თ ი თ ა – უთითო, თითმოკვეთილი. შდრ. კუდა ხევს. „უკულო“.

კ ო ქ ტ ე ბ ი – მოკრუნხული, დამწვარი თითების გამო. შდრ. რუს **КОГОТЬ, КОГТЯ, КОГТИ** – ბრჭყალი, კლანჭი (კანკავა, 1977: 193);

კ ი ს ე რ ა – კისერმოგრეხილი;

ტ ა კ ვ ი – ხელდაზიანებული;

ჩ ო ლ ა ხ ი – ხელდაზიანებული. შდრ. თურქ. **colak** – ხელგამხმარი, ხელდასახინრებული, ხელდაშავებული ადამიანი (ჩლაიძე, 2001: 287); აქედან: ჩოლაყაშვილი > ჩოლოყაშვილი (გვარსახელი); ჩოლახი ჯავახურში ცაციას აღმნიშვნელიცაა: „მარჯვენის ნაცვლად მარცხენა ხელის მოხმარება უფრო ემარჯვება, ცაციაა“ (ზედგინიძე, 2014: 323); „მოკლე აზერბაიჯანულ-ქართულ ლექსიკონში“ **Чолаг** ხეობარს, კოჭლს ნიშნავს (მუსაგვი..., 1987: 174).

ც ა ლ თ ა თ ა – ცალხელა; შდრ. ცალყურა – ხანჯლით ყურჩამოთლილი „არსენა მარაბდელში“ (გოდერძიშვილი, 2012: 240).

ც ა ლ კ ლ ა ვ ა (<ცალმკლავა) – მკლავმოკვეთილი;

ც ხ რ ა თ ვ ა ლ ა – ელაპი.

2.2.2. მსგავსების გამომხატველი მეტსახელები:

2.2.2.1. სხვა პიროვნებასთან მსგავსების გამო შერქმეული მეტსახელები:

ბ ე ლ ა დ ი – სტალინით დიდ უღვაშებს დაატარებდა;

დ ო ს ტ ი ა – ბებიას თავისი ნაცნობისთვის მიუმსგავსებია; თურქ. **dost** – მეგობარი (ჩლაიძე, 2001: 372);

ე გ ნ ა ტ ე ი – ზედათმოგველ გიჟ ეგნატეს ამსგავსებდნენ;

მ ა მ ფ რ ე – სომეხ მამფრეს ამგვანებენ;

მ ე რ ო ჟ ა – მოსახელეს ჰგავს, უკმური და უხასიათოაო;

პ ო ლ ო ს ა – ვინმე პოლოსასთან მსგავსების გამო;

პ უ შ კ ი ნ ა – ხუჭუჭთმიანია პუშკინით;

ს კ რ ი ა ბ ი ნ ი – ბოქსიორ სკრიაბინით მუშტები შემართული ჰქონდა;

ტ ი გ რ ა ნ ა – სომეხ ტიგრანს წააგავსო;

2.2.2.2. ლიტერატურულ პერსონაჟთან ან კინოფილმის გმირთან მიმსგავსების გამო შერქმეული მეტსახელები:

ა ლ ი ბ ა ბ ა – ამ პერსონაჟით მოუპარავი არაფერი რჩებოდაო, ყაჩაღანა იყო;

- გ ა უ ლ ა წ უ ნ ე – ფილმის „ნატურის ხე“ პერსონაჟთან მიმსგავსების გამო;
- ი ო ნ ა – კინოფილმის პერსონაჟთან მსგავსების გამო;
- მ ა გ დ ა ნ ა – მშრომელი, გამრჯე ქალია, „მაგდანას ლურჯას“ პერსონაჟივით;
- მ ო ლ ა – ენაკვიმატი, ოხუნჯი; მოლა ნასრედინას არ ჩამოუვარდება;
- მ უ რ ტ ა ლ ო – „კუკარაჩას“ პერსონაჟს ჰგავს;
- ნ ა ხ ე ვ ა რ ქ ა თ ა მ ა – პატარა ტანისაა და მჭამელი, შედარებულია მულტიპლიკაციური ფილმის „ნახევარქათამას“ გმირს;
- ო ლ დ ა – ოლლა ბებიასავით („მე, ბებია, ილიკო და ილარიონიდან“) ხელებგადაჭდომილი დგასო;
- ო ძ ე ლ ა – არსენა ოძელაშვილს ჰგავსო;
- ქ ი მ ს ა ლ ა – კინოგმირთან მსგავსების გამო; შდრ.: თიმსალ-მაკო. მოხერხებული, გაიძვერა;
- ყ ო რ ჩ ი ხ ა ნ ი – მოწინააღმდეგე, ოპოზიციური ბუნებისაა და ფილმის გმირის გამო შეარქვეს;
- შ ა დ ი მ ა ნ ა – შადიმან ბარათაშვილივით გულბოროტი, გულდრძო;
- ჩ უ მ ა – თურქ ჩუმას ამგვანებდნენ;

2.2.3. შინაგანი ბუნების (ქცევის, ჩვევის, ხასიათის) გამომხატველი მეტსახელები:

- ა თ ლ ა ბ ი ჯ ა (< ათნაბიჯა) – დიდი ნაბიჯებით მოსიარულე; მისი ერთი ნაბიჯი სხვების ორს უდრიდა: „ერთს (ნაბიჯს) აქ დადგამს, ერთს იქ, შორს“.
- ა რ წ ი ვ ი – ამაყი, ზვიადი, თავსიტყვა;
- ა ჯ ი კ ო ხ ტ ა – კოხტაობის მოყვარული, კოპწია; აჯიკოხტა „მშიერ ლამაზს“ ნიშნავს (ინფორ. ფოფალა დიასამიძე);
- ა ფ ლ ა თ უ ნ ე – აჩაჩული, ფლათუნა, უხეირო სიარული გამო;
- ბ ა კ ა ლ ი – ბევრი სმა შეეძლო;
- ბ ა ნ ძ ი – მოუხდენელი, ჩლაჩუნა; შდრ., ქართლ. ბრანძვი – „ძალიან ძველი ტანსაცმელი; მესხ. ბრადი – „ძონძი, კონკი, ძველმანი (ღლონტი, 1984: 87);
- ბ ა რ ბ ა ც ა – ბარბაცით მოსიარულე ქალი;
- ბ ა ჩ ი ა – საწყალი, დაჩაგრული; შდრ. ფშ. ბაჩა, ბაჩანა – „პატარა, დაბალი ტანადობის კაცი“ (ღლონტი, 1984: 64);
- ბ რ ა ც უ ნ ა – უდიდამოდ მოსიარულე; ბრაცანა – მოძრავი, მოუსვენარი კაცის მეტსახელი კახეთში (კოშორიძე, 2004: 128). შდრ. ბრაცუნი – ნელი, უხეირო სიარული, ფეხის წამოკვრით და მუხლის კეცვით სიარული (ღლონტი, 1984: 87);

ბ რ ე ქ ა /ბრექია – გაჭიმული, გაბრექილი სიარული იცის, უკადრისი და უკარებაა. საბასთან „ბრექა“ განმარტებულია, როგორც გაბზეკა (ორბელიანი, 1991: 114), ქართლურში კი „ბრექია“ ამპარტავანი, თავის მაღლა დამჭერი, ჭიმიანა (დლონტი, 1984: 88);

ბ რ ი ა ლ ა – მედიდური, თვალებს აბრიალებს ხშირად;

ბ ო დ ო ს ა – დუნე, უღიმღამო; შდრ. ქიზიყ. ბოდოშა – „უსუფთაო, ჭუჭყიანი“ (დლონტი, 1984: 78);

ბ უ ს ტ ი /ბუსტუნა – მოუხერხებელი, ნელი; შდრ. ქართლ. ბუსტარა – „უგერგილო, გაუგებარი ადამიანი (დლონტი, 1984: 95);

ბ უ ყ უ შ ა – განმარტოებით ყოფნა უყვარს, ბუყუშივითაა;

გ ლ ა ვ ა – მედიდური, უფროსობის მოსურნე. შდრ. глава, главы– მეთაური, უფროსი (კანკავა, 1977: 100); **გ ლ ა ვ ი ე ნ ი** სოფ. ზველში ზედგინიძეების განაყოფთა სახელია.

გ ე ლ ო (< მგელო) – მოურიდებელი; შდრ. **მგელი** ს.მგალობლიშვილის „წარსულიდან“: მგელივით ტორღიალი, თქვლეფით ჭამა, თვალების ბრიალი ახასიათებდა.

გ ე ჯ ა – უსუფთაო, მოუწესრიგებელი;

გ ვ ე ლ ა – მოხერხებული, გაიძვერა;

გ ი შ ე – გიჟმაჟი ხასიათის გამო;

გ ი შ უ ა – ჩხუბისთავი, აფრენილი;

გ უ დ ა – მუდამ გულმოსული, დიდგულა, გუდასავით იბერებაო;

გ უ ლ ა დ ა – გულადი, მამცი, უშიშარი;

დ ა ლ ი გ ე ჩ ი ა – გიჟმაჟი, გადარეული; თურქ. daligaci – 1) ჟარგ. მატყუარა, ყალთაბანდი, თაღლითი, თვალთმაქცი, გაიძვერა, გაქნილი; 2) ფუქსავატი, თავქარიანი, ქარაფშუტა; 3) დაბნეული, დაფანტული, უგულისყურო, გულმავიწყი (ჩლაიძე, 2001: 301);

დ ა რ დ ა გ ი – არეული, დაულაგებელი, აფორიაქებული; „სულელი, ჩერჩეტი“ (ზედგინიძე, 2014: 102);

დ ი დ ი თ ქ ვ ი ა – ბუტია, დიდგულა, უხასიათო. შდრ. ამპარტავანი, ზვიადი, მედიდური, ავენა (მელიქიძე, 2009: 190);

დ ო ყ ე – ინფორმატორთა ცნობით, დოყლაპია, მოუხერხებელი ადამიანია; სულ სხვას ადასტურებენ მეცნიერები. „ადამიანს როცა დოყეს შეარქმევენ, აღმოჩნდება, რომ შემთხვევითი არ არის, – წერს მ.ბერიძე და მასში დოყ ფუძესა და ე მაწარმოებელს გამოყოფს“ (ბერიძე, 2015: 8); გ.ზედგინიძის „ჯავახური ლექსიკონი“ გვამცნობს, რომ „დოყი არის ჯავრი (ჯავრი სჭირს), შურისძიების

გრძობა, გულში ნადები მტრობა. „მაგას გულში დოყე აქს, არ გამახარამს“, „იმისი დოყი სჭირს და იმიტონ ცუდ ამომს იმაზე“. აქედან დოყიანი ადამიანი – ღვარძლიანი, ვისაც საერთოდ ჩვევია გულში ჩადება. დოყიანი სიტყვა – მტრული სიტყვა“ (ზედგინიძე, 2014: 121);

ე დ უ კ ა – ქალაჩუნა, ჭორიკანა კაცი;

ე შ მ ა კ ი – მოხერხებული, „ხეზე კუდით ეკიდება“;

გ ი რ ი – გახიდული, გაუგონარი;

ზ ბ ღ ი – ბოროტი და ღვარძლიანი;

ზ ვ უ გ უ რ დ ი / ზუგურდი – არაფრისმაქნისი, უქონელი; ზუგურდი – „ლატაკი, მშიერ-მწყურვალი, არაფრის მქონე“ (ზედგინიძე, 2014: 137);

ზ თ დ ე – ზარმაცი, ზოდვიით უძრავი; მესხეთში „გამოზოდვილს“ უწოდებენ გამოწოლილ, გაუნძრეველ ადამიანს;

ზ რ ზ პ ა – დაუდგომელი, მოუსვენარი;

თ ვ ი რ ი დ ი – მოუხელთებელი, ყაჩაღანა; „თავზე ხელაღებული, გავარდნილი, ყაჩაღი“ (ბერიძე, 1981: 65);

ი ა ბ ა ნ ი – ყურწაგდებული, უდარდელი; „განაბული, ჩუმჩუმა, მიუკარებელსავით“ (ბერიძე, 1981: 100);

ი გ ვ ი თ ა – შდრ. იგითი – „ყოჩაღი, გულადი, გამბედავი“ (მარტიროსოვი, 1984: 234);

ი ნ დ უ კ ი – „როცა თვრება, ინდაურივით იფხორებაო“;

ი ჩ ი ყ ა რ ა – დამბეზღებული, გველაძუა;

კ ა ლ ი ა – მოუსვენარი, სწრაფი;

კ ა ნ ფ ე ტ ა – ტკბილეულის მოყვარული;

კ ა რ ა ტ ე – მოჩხუბარი;

კ ა შ ა – გამძლე, ამტანი;

კ ვ ი ც ი – მარდი, ჩქარი, დაუზარელი;

კ ი ბ თ – ნერვებისმომშლელი, გამღიზიანებელი;

კ ი ნ ტ თ – გაბრეკილი სიარულის გამო;

კ ი შ თ – შდრ. ამოკიჟვა (თვალის) – თვალის მოხუჭვა, მცირედ მოჭუტვა, დაპატარავება; კიჟვა – თვალის მოჭუტვა, მოწკურვა (ზედგინიძე, 2014: 22, 167); კაცს, რომელიც ცალ თვალს ჭუტავს (არა თვალის ჩაკვრა, ერთგვარი ჩვევის გამო), კიჟოს შეარქმევენ ხოლმე (ბერიძე, 2015: 8);

კ ნ ა ჭ ა – ცელქი, მოუსვენარი; „პატარა, ცელქი გოგო, გამხდარი, სუსტი“ (ბერიძე, 1981: 73);

კ თ მ უ ნ ი ს ტ ი – ზედმეტად მოწესრიგებული;

კოიკა – მერყევი, არამყარი ხასიათის გამო; შდრ. კორიკი – სიბრტყეზე არამდგრადად მდებარე საგნების ქანაობა, რყევა (ზედგინიძე, 2014: 169); კორიკაანთი, კორიკაანთ ბიჭი (მელიქიძე, 2005: 96).

კუკუზი – არამყარი ხასიათის გამო;

კუნკულა – სიარულის მანერის გამო შერქმეული; დაკუნკულებს, კუნკულით დადის;

კუნტრუშა – სირბილით მოსიარულე ქალი;

კუსკუსა – ა) სიარულის მანერის გამო; დაკუსკუსებს. შდრ., კუსკუსებს – მოუსვენრად არის, წრიალებს (ქეგელ, ერთტომეული, I, 592); ბ) მოუსვენარი ხასიათის გამო; კუსკუსი – ქათმის კრიახი კრუხობის დროს (ბერიძე, 1981: 76);

ლაშბადა – სასაცილოდ ცეკვავს ხოლმე;

ლაფლაფატო – უშნოდ მოსიარულე, ფლათუნა. შდრ., ქართლ. ლაფლაფი – „ფამფალი, რყევა, ლაყლაყი“ (ღლონტი, 1984: 324);

ლაჯიანი – გალაჯულად მოსიარულე; ლაჯიანი გრ.ბერიძესთან უშნოდ მოსიარულე ადამიანია (ბერიძე, 1981: 78);

ლილიფარა – მატყუარა, გაიძვერა. შდრ., ლილიფარობა – „მლიქვნელობა“ (ღლონტი, 1984: 332);

ლიპო (< ლიპი) – მოუხელთებელი. შდრ., ქიზიდ. ლიპი – „სრიალა, მცურალა, სასხლტომი“ (ღლონტი, 1984: 332);

ლუწუტი – გაიძვერა, შურიანი; შდრ. ლუწუტი – ძუნწი, ენიანი, მეშურნე ადამიანი (მელიქიძე, 2009: 192);

მაჩგი – გაიძვერა, სუსია;

მეელი – უხეში, უტიფარი;

მეელა – გაიძვერა, მოხერხებული;

მერცხალა – მანქანას დააქროლებს ისე, თვალს ვერ შეავლებო;

მეშოკი – ზარმაცი, ტომარასავით დევსო, განძრევა ეზარება;

მკვდარი – უღიმღამო, უსიცოცხლო;

მუდო – უღიმღამო, ნელი, თავისთვის მყოფი;

მუთრუფი – უსუფთაო, ბინძური; „მაიმუნი, უსირცხვილო, მოურიდებელი“ (ბერიძე, 1981: 93); მუთრუფი თურქული მოდგმის ტომია, მუთრუფები ცხოვრობდნენ სამცხე-ჯავახეთში.

მურო – უხასიათო, იოლადვერწამლები;

მურტალი – უსუფთაო, ბინძური;

მყრალი – უხასიათო;

ნ ა ბ ი ა – ჩუმელა, გაიძვერა, გასუსული; „სულ მუდამ განაბული, ქვეშ-ქვეშა“ (ბერიძე, 1981: 95);

ნ ა ბ ო – ჩუმი, ნაბია;

ნ ა გ ა ზ ი – კაპარჩხანა, კაპასი, მოურიდებელი; „გადატ. მნიშ. ხმარობენ კარიკარ მოხეტიალე ადამიანზე (ბერიძე, 1981: 95);

ნ ა გ ლ ი – უტაქტო, უტიფარი ქალი;

ნ ა რ ე – ნარ-ეკალივით ისუსხებაო, წყევლა ჰყვარებია;

ო რ გ უ ლ ა – დაუნდობელი, შეუბრალებელი;

პ ა ნ ჭ ი კ ა – პრანჭია, კოპწია;

პ ა ც ე – ჩქარი, ნერვიული, მოუსვენარი;

პ ი რ ღ ი ა – მყვირალა; სიტყვის არშემნახი;

პ რ უ წ უ ნ ა – ტრაბახა, „თავისთვის აპრაწუნებსო“;

ჟ ა ნ დ ა რ მ ი – მოსწავლეებმა შეარქვეს სიმკაცრის გამო;

რ ა უ ნ დ ი ჩ ი – წარამარა ჩხუბობს, რა უნდა, თვითონაც არ იცის;

რ ო ბ ო ტ ი – გაშეშებული სიარულის გამო;

რ უ ხ ო ი – მაღალი, ჩაფსკენილი ქალი იყო, მგლური ნაბიჯებით დადიოდა;

ს ა გ ვ ე ლ ა – უსუფთაო, მურტალი, მოუწესრიგებელი. საგველა მესხეთში ფურნის გამოსაგველი ჯოხზე წამოცმული ნაჭერია;

ს ა ს უ ფ თ ა ო – სუფთა, კოპწია, მოწესრიგებული ქალია;

ს ა რ ს ა ღ ი – სულელი, თავადებული; სარსამი (თურქ.) შტერი, ყვეფი (ბერიძე, 1981: 114);

ს ა ჯ ი – ორპირი, გაიძვერა, მოხერხებული. შდრ. მოხეურში შაჯი/საჯი – „ორპირა“; საჯი – ჯავახ. 60 სმ-მდე დიამეტრის თუჯის ამობერილი ფილა, რომელზეც პურს აცხობენ (ზედგინიძე, 2014: 255); „ბაზლამას ჩააკრავდნენ საჯზე, გამოაცხობდნენ. საჯები იცოდნენ წინათ, ცეცხლზე დატოვებდნენ, ქვეშ ცეცხლ მიცემდნენ და რო გახურდებოდა, მერე გადააკრავდნენ გაბრტყელებულ ცომ და გამოცხვებოდა ბტყელად, ბაზლამას ვეტყოდით“ (ბერიძე, 2005: 369). საჯის პური – თხელი, ბრტყელი პური, გამომცხვარი უღვიარი ცომისგან; ძირი და ზედაპირი განსხვავებული არ უცხვებოდა, ორივე მხარე ერთნაირად ბრტყელი უნდა ჰქონოდა. უპირო ან ორპირ კაცზე იტყოდნენ ხოლმე: „საჯის პურივით არის, რომელ მხარესაც გინდა გადააბრუნო, ერთნაირია, ასეთ კაცს არ უნდა ენდო“ (ბერიძე, 2015: 8). ანალოგიურია: **ფუშრუკა** – მერყევი, რომელსაც ვერ ენდობი (კოშორიძე, 2004: 125), **ორბატონა** – გაიძვერა მსტოვარი, „ორი ბატონის ჩრდილი“ (გოდერძიშვილი, 2012: 243).

ს ვ რ ი ნ ა – ცხვირში ისვრინება;

ს ლ ხ ჩ ი ა – სულ ჯავრობს, ხმაურობს, ჩხუბობს, „სულ ხჩის“;

ს თ კ თ – თავგასიებული, ზარმაცი, გაუნძრეველი;

ს თ ხ ა ხ ა – მაწანწალა, აქა-იქ მოსიარულე, მოხეტიალე. შდრ. არაბულად სოხახი – „შუკა“. ტოლოშში დასტურდება ტოპონიმი „სოხახის თავი“.

ს უ ს ე – ჩუმჩუმა, გასუსული დაიარება;

ს უ ს ი ა – დაისუსება, ჩუმჩუმა, ქვეშქვეშა კაცი;

ს უ ტ ი ა – გასუსული დადის, იღუმალივით;

ტ ა ღ ბ ა დ ი შ ა – ამაყი, თავნება.

ტ თ კ ა – „წიხლებს ისროდა, რას იტოკებო და ტოკა დაუძახეს“.

ტ რ უ ს ე – ცუდი, მყრალი ხასიათის გამო; „რომ აყროლდება, ვერ გაეკარები“.

ტ უ ჩ ი ლ თ კ ი ა – ტუჩებს ილოკავს წამდაუწუმ. შდრ. თითიღეჭია მის. ჯავახიშვილის მოთხრობიდან „მდევარი“.

ფ ა ც ი კ ა – მოუსვენარი, მოხერხებული. შდრ. ქართლ. ფაცანაკალი – „ფაცი-ფუცი, ალიაქოთი, გამოწვეული მოულოდნელი სასიხარულო ან საწყენი ცნობით, ან საქმის მალე დამთავრების სურვილით“ (ღლონტი, 1984: 538);

ფ ე თ ი ა ნ ი – ფიცხი, ფეთქებადი ხასიათის გამო;

ფ ი ც ხ ე ლ ა – ფიცხი, აგრესიული;

ფ ლ ი დ ი – გაიძვერა, საქმისგან რომ თავს იძვრენს;

ფ თ რ ი ა – გიჟმაჟი, გადარეული, ფორიაქა;

ფ ს ლ ი კ თ – ქვეშაფსია. შდრ. ფსლიკიანი – „ბავშვი, რომელიც შარდს ვერ იკავებს“ (მელიქიძე, 2009: 194);

ქ ე თ – „ქეობს“, მედიდური, ამაყი;

ქ გ ა კ ა ც ა – უტეხი, მტკიცე ხასიათის;

ქ ვ ე შ ქ ვ ე შ ა ი – თავჩაღუნული, გაიძვერა;

ქ ი მ ს ა ლ ა – მოხერხებული, გაიძვერა;

ქ თ ქ თ ა – ჭირვეული, ფორიაქა;

ქ თ ს ა – მატყუარა, ტრაბახა, ტყუილა;

ღ ა ვ ე ი ნ ი – ჯუჯღუნა, ღნავია ხასიათის გამო;

ყ ე რ ა უ ც ი – სულელი, შტერი. შდრ. ჯავახ. ყერაუცი – „შტერი, უგუნური“ (მარტიროსოვი, 1984: 249); ყერანუცი – „თავადებული, მოსულელო ტიპი“ (მელიქიძე, 2009: 194);

ყ ე ყ ე – დოყლაპია, მოუხერხებელი, ბედოვლათი. ყეყენა – „გამოყეყენებული“ (გოდერძიშვილი, 2012: 244). შდრ. ჯავახ. დოყე – „უქნარა, ყეყენი, დოყლაპია“ (მარტიროსოვი, 1984: 231);

ქ ე ჯ ე – გალაჯული სიარული იცის; შდრ. ყვეელი – ორკაპი, ბოლოში ორად გაყოფილი (ზედგინიძე, 2014: 299);

ყ გ ა გ ი – ხელმრუდე;

ყ თ ყ თ რ ა – სემანტიკური გადახრის საინტერესო მაგალითია მბერიძის აზრით, „ბავშვის ჯიშთან კვერცხებზე იტყვიან ყოყრიანიაო – ჯიშთან, შეძლებული: „ბიჭს ყოყრებში ეტყობა, რაც გაიზრდება“. ყოყორე ზანურში გოგრის ჯიშია“ (ბერიძე, 2011: 79).

ყ თ ჩ ი – ძლიერი, ბაქია, თავმომწონე;

ყ უ რ შ ა – „ყველგან მიყურადებულისა, რომ რამე შეიტყოს“; ცნობისმოყვარე.

შ ა ლ ა ხ თ – საუბრისას ხელებს შლის;

შ ა ს ტ რ ი – ჩქარი, მოუსვენარი; შდრ. რუს. шустрий - სწრაფი.

შ ე ფ ი – თავგამოდება, თავის გამოჩენა უყვარს;

შ ლ ე ფ ე თ თ – საქმეს ჩქარ-ჩქარა აკეთებს;

შ ი ტ ლ ი კ ი ნ ე – მოლაყბე, მოხეტიალე, ცერცეტი; შდრ. გ.ხორნაულის „შვინტლიკა“.

შ ი ფ ე რ ა – თავქარიანი, გადარეული;

შ უ ს ტ რ ი – სწრაფი, მოუსვენარი, მოხერხებული; შდრ. რუს. шустрий სწრაფი;

ჩ ა ხ თ (< ჩლახო < ჩლახუნი) – უწესრიგო, აჩაჩულ-დაჩაჩული. შდრ. ჩლახუნი – „უმნოდ, ფეხის თრევით სიარული; ტალახში ტლაპა-ტლუპით სიარული“ (დლონტი, 1984: 660);

ჩ თ ლ ფ თ ტ ი – უთაური, უღიმღამო, მოუხერხებელი. „მოუქნელი, საქმის უცოდინარი, მოუხერხებელი“ (ზედგინიძე, 2014: 323). შდრ. თურქ. colpalik(-gi)– დაბდურობა, დაუდევრობა, მოუქნელობა, მოუხერხებლობა (ჩლაიძე, 2001: 287).

ჩ უ ბ ი ს ტ უ ნ ა – ბუსტუნა, უღიმღამო; საქმის თავსა და ბოლოს რომ ვერ გაიგებს;

ჩ უ ლ თ – მოდუნებული, უსიცოცხლო;

ჩ უ მ ე ლ ა – ჩუმჩუმა, ნაბია, წყნარი;

ც ა ნ ც ა რ ა – ცანცარი უყვარს, თავქარიანია;

ც თ ც მ ა ნ ა – მოუსვენარი, დაუდგომელი;

ც რ უ – მატყუარა, მასხარა;

ც უ გ თ – გულუბრყვილო, საცოდავი, დამჯერო;

ძ ი გ ძ ი გ ა – ყანყალით მოსიარულე;

წ ი ვ წ ი ვ ა – წუწუნა, მოწივწივე ქალია;

წ ი ტ ა – უდიდამო, წიტიანი. მთიულურში გადატანითი მნიშვნელობით „ტურტიანს“ ნიშნავს (დლონტი, 1984: 706);

წ რ უ წ უ ნ ა – ყველგან დაძვრება თავივით, მსუნაგია;

ჭ ა ჭ ა – მჭახე ხასიათის გამო;

ჭ ა ჭ ო – მსმელი, მოქეიფე; შდრ. ჭაჭა – არაყის გამოსახდელად დიდ ჭურჭელში ჩაყრილი ხილი;

ჭ ო ჭ ო ნ ა – მყვირალა, უხასიათო, ჭიჭყინა;

ჭ უ კ ი ა – ამრეხილი, გაფხორილი;

ჭ ყ ლ ი ნ ტ ო – უხასიათო, შარიანი, შარნაზი კაცი;

ხ ა ფ ო – ხასიათის გამო; „აფორიაქებულია, აქაფებულია მუდამუამს“;

ხ ვ ი წ ა – მეტიხარა, ცნობისმოყვარე ქალია, ყველას საქმეში ცხვირს ყოფს;

ხ ე კ ა კ უ ნ ა – „თუ რამეს გაიგებს, ყველას ტვინს უჭამს“;

ხ ე ხ ე ლ ა – თავქარიანი, ახუხული, მოუხერხებელი, გაუთლელი; შდრ. ქართლ. ხეხელა – „გამხდარი, ხმელ-ხმლი ადამიანი“ (დლონტი, 1984: 748);

ჯ ა მ ბ ა ზ ი – თვალთმაქცი, თავისთავა, მესაკუთრე, მოხერხებული;

ჯ ა ზ ი – მოხერხებული. შდრ. ჯავახ. ჯაზი – „თვალთმაქცი, კუდიანი, ცბიერი“ (მარტიროსოვი, 1984: 255);

ჯ ა შ უ შ ი – „კანტორის კურიერი იყო და სამსახურის გამო შეარქვეს“;

ჯ ე ჯ ი მ ა – აქეთ-იქითაა გაწელილ-გამოწელილი (ჯეჯიმივით), ბევრს წვალობს; შდრ. ჯეჯიმი – დიდი, გაშლილი ფარდაგი, თუთის საფენი;

ჯ ი ბ გ ი რ ი – მომხვეჭველი, მპარავი;

ჯ ი ნ ო – ჯიბრიანი, ჯინიანი ქალია, ურჩი, თავნება;

ჯ ი ჯ ი ა – ბუზღუნა, ჯიჯღინა;

ჯ ო რ ი – ჯიუტი, გაუგონარი;

ჯ ო რ ზ ა ქ ა რ ა – ჯიუტი, კერპი;

2.2.4. ბავშვობისდროინდელი მეტსახელები, რომლებიც დღემდე „ამშვენებს“ დენოტატს:

ა ლ თ უ ნ ა – შდრ. თურქ. altin/ altun – ოქრო (ჩლაიძე, 2001: 56).

ბ ე კ ე კ ო – ბეკეკასავით ხუჭუჭა და მოუხვენარი ყოფილა ბავშვობისას;

ბ უ ტ ი ა – ბავშვობისას იბუტებოდა და შემორჩა მეტსახელად;

გ ე ლ ხ ა უ ზ ა – გაკვეთილზე არასწორად წარმოთქმული გერმანული ფრაზის გამო;

ე ლ თ ო – „ერთის“ ნაცვლად ამბობდა;

კ ვ ა ნ ტ ა ლ ი ა ნ ი – აღმართში ძლივს დადიოდა და ბავშვობიდან შეარქვეს, ამ მსახიობს ჰგავხარო;

კ წ ა – ბავშვობაში მიდილული, მისუსტებული იყო;

ლ თ ქ ო – ბუთხუზა, მსუქანი ბიჭი ყოფილა ბავშვობაში და მოფერებით შეურქმევიათ;

ო კ ი კ ე < თორნიკე – „ოკიკე მქვიაო“;

პ ი ნ გ ვ ი ნ ა – მოუხერხებელი სიარულის გამო;

ს ა მ ა ლ ი ო ტ ი – დიდი გაბზეკილი ყურები ჰქონია ბავშვობაში, თვითმფრინავის ფრთებს ჰგავსო,– ახელებდნენ თურმე.

ტ ა შ ტ ა ნ ა – ტაშის დამკვრელი;

ფ უ ნ თ უ შ ა – მსუქანი ბავშვი ყოფილა;

ჩ ი რ ი ჩ ა – სკოლის გაკვეთილზე, რვეულში სიტყვების გამოწერისას, სიტყვას გადააბა მეორე სიტყვის დასაწყისი ასოც (ჩირჩ) და შემორჩა მეტსახელად;

წ რ უ წ უ ნ ა – კლასში ყველაზე გალუული მოსწავლე ყოფილა და აქედან შემორჩა ეს მეტსახელი;

ჭ ი კ ო რ ა – ბავშვობაში პატარა იყო ტანად და „ჭიკორივით“ მოუსვენარი. შდრ. ქართლ. ჭიკო „პატარა ბიჭი“ (დლონტი, 1984: 721); ჭიკო მეტსახელად დაუფიქსირებია ო.ჩხეიძეს სოფ. ფცაში (ჩხეიძე, 2017: 112). ჩიკორა – სწრაფი, მოძრავი კაცის მეტსახელია, ჩიკორასავით რომ ბზრიალებს (კოშორიძე, 2004: 125).

2.2.5. მეტყველებასთან დაკავშირებული მეტსახელები:

2.2.5.1. მეტყველების მანერის მიხედვით შერქმეული მეტსახელები:

ბ უ ტ უ ყ ა – ბუტბუტით მოლაპარაკე;

თ უ ხ თ უ ხ ა – ლაპარაკისას ცხვირში დუდღუნებს;

კ ა ჭ კ ა ჭ ა – გაუჩერებლად ლაპარაკობს. შდრ. გვარსახელი კაჭკაჭიშვილი /კაჭკაჭაშვილი;

ლ ა ქ ლ ა ქ ა – მოლაყბე;

ლ ა ყ ა ფ ი ს ტ ი – მომაბეზრებლად მოლაპარაკე;

ლ ი ყ ი ა ნ ი – ენაჩლუნგი, ენაბლუ;

ლ უ ღ ლ უ ღ ა – გაუგებარი მეტყველების გამო;

მ ა თ რ ა ხ ა – ენამწარე, ენამოსწრებელი;

მ ე გ რ ე ლ ი – სწრაფი ლაპარაკის გამო შეარქვეს ამ კაცს;

მ წ ა რ ე – „შხამიანი, მწარე ენა აქვს“;

ნ ა ფ ე – მოლაპარაკე, „სულ ნაფნაფებს“;

- ნ ა ყ ე ფ ი – ბეერის მოლაპარაკე, ყბელი;
- ო ხ ლ ი ა (> თოხლია) – ცუდად მეტყველი, ბეერაგამოკლებით მოლაპარაკე
- ს ი ლ ი ბ ო რ ე – დაუფიქრებელი ლაპარაკი იცის; შდრ., „სილაბანდურაი – უშინაარსო მსჯელობა, უადგილო ლაპარაკი“ (დლონტი, 1984: 493);
- ტ ა ტ ლ ე – ენაჩლუნგია;
- ყ ლ ი ნ ჩ ი – მამალივით ხრინწიანი ხმა აქვს;
- ჩ ო რ ლ ი ა ნ ი – ლაპარაკის დროს ახველებს ხშირად, ჩახველებით ლაპარაკობს;
- წ ა რ ე – ენაპილილიანი;
- ჭ ა ჭ უ ნ ა – ენაბლუ. შდრ. ქართლ. ჭაჭანი – ბეერი, განუწყვეტელი ლაპარაკი; იმერულში „ჭაჭყანი“ ნიშნავს ტატყანს, დადღანს, ჯაჯღანს, უშნო ლაპარაკს (დლონტი, 1984: 718);
- ხ რ ი კ ი ნ ა – მოლაქლაქე, მოლაპარაკე, ყბელი;

2.2.5.2. ამოჩემებული სიტყვისა და ფრაზის გამო შერქმეული მეტსახელები:

- ა ს ა – ამოჩემებული ჰქონდა სიტყვა „ასა“;
- ბ ხ ე – ამ სიტყვის ხშირი ხმარების გამო;
- გ ა დ ა მ წ ვ ა რ ი – „სულ გადამეწვა ყველაფერი“;
- გ ა კ ო ც ე – ლაპარაკისას „გაკოცეს“ ხმარება იცის;
- გ ე ნ ა – ამოჩემებული აქვს „გენაცვალეს“ ნაცვლად, მიმართვისას ხმარობს;
- დ ო უ რ ტ ყ ა – „დოურტყი-დოურტყი“;
- ე რ თ ი მ ე ო რ ე – შეარქვეს ამ სიტყვის ხშირი ხმარების გამო;
- ვ ა ხ ვ ა ხ ა – აკვიატებული აქვს „ვახ, კაცო, ვახ-ვახო“;
- ვ ი ც ი ა – „ყველაფერი ვიცი-ვიცი“;
- თ ო მ ა თ ა გ ვ ი – „სულ თომა თაგვები აკერია პირზე“;
- მ ა შ თ ა მ ე – მოსწავლეებმა შეარქვეს ამ სიტყვის ხშირი გამეორების გამო („მაშასადამეს“ ნაცვლად ხმარობდა);
- მ ე თ ქ ი ა – აკვიატებული აქვს ეს სიტყვა;
- ო ფ შ ე (> „ვობშემ“) – სიტყვის აკვიატების გამო;
- ს ა წ ყ ა ლ ი – „საწყალი კაცი ვარო“;
- ტ ა დ ა შ ა – ამ სიტყვის აკვიატების გამო;
- ტ ა კ ტ უ კ ა – აკვიატებული სიტყვის გამო;
- ტ ე ტ ე – „გაიძახოდა ტეტე ფისტოლეტი მაქო“;
- ტ ვ ი ტ ვ ი ც ი – ამ სიტყვას ხმარობს ტუტუცის ნაცვლად;
- ტ ი შ ე – „ტიშე-ტიშე“;

უნა (< უნდა) – სიტყვის აკვიატების გამო;

წიკო – „წიწილებს ზრდის და სულ წიკო-წიკოს გაიძახის“;

ჭარო – მოვრალი სულ ჰარი-ჰარალეს გაიძახის;

ჭებიჭო – აკვიატებული ფრაზის გამო; შდრ. კიბატონო; ბჭობჭო – სულ ბჭობჭოს გაიძახოდა (გოდერძიშვილი, 2012: 247).

როგორც საანალიზო მასალიდან ჩანს, მოტივაციის თვალსაზრისით გამოყოფილი მეტსახელების დიდი წილი მოდის გარეგნობის, ქცევისა და ხასიათის გამომხატველ სახელებზე. ასპინძის მუნიციპალიტეტის მეტსახელთა დიდი ნაწილის **სემანტიკა გამჭვირვალეა**, მაგრამ გვხვდება ისეთი მეტსახელებიც, რომელთა მნიშვნელობა გაბუნდოვანებულია და ძნელდება მოტივაციის ამოცნობა. „ესა თუ ის სიტყვა ხშირად დროსთან ერთად გაქრება ხოლმე. ზოგჯერ საგანი აღარ არის, ამიტომ მისი აღმნიშვნელი სახელიც იკარგება, მაგრამ ხალხის მეხსიერებაში, აქა-იქ შემორჩება. განსაკუთრებით გამძლეა ამ ტიპის სიტყვები, როდესაც ადამიანს ერქმევა მეტსახელად. მეტსახელი ერთ თაობაში არ იკარგება, გადადის შთამომავლობაზე ისე, რომ სემანტიკისაგან დაცლილია, როგორც საკუთარ სახელთა უმრავლესობა“ (ბერიძე, 2015: 8). **გაურკვეველი სემანტიკის მეტსახელები** ვუწოდებთ მეტსახელთა ისეთ ჯგუფს, როგორცაა: ეზოფია, ყაანო, კესენგა, ურუშანა, ჩიბლია, ხრია, ჭზია, სემო, შიფი, ჩგრდა, გადა, შაია, დნაგი, ფაჩე, ჭიჭილა, დინიკა, როკო, კოშერა, პოდოსა.

2.3. ასპინძის მუნიციპალიტეტის მეტსახელთა სტრუქტურული ანალიზი:

ჩვენ მიერ მოძიებულ მეტსახელებში სტრუქტურის მიხედვით გვაქვს როგორც მარტივფუძიანი, ისე წარმოქმნილი და რთულფუძიანი სახელები.

მარტივფუძიანი, აფიქსებით გაუფორმებელი მეტსახელები მეტწილად ფრინველთა და ცხოველთა სახელებიდანაა მიღებული: არწივი, მგელი, მაჩვი, ჯორი/ჯორები, ტურა, ბახალა, წრუწუნა, პეპელა, ყვავი, ყოჩი, კვიცი, კალია, წერო, ჭია, კიბო...

–ა სუფიქსით ნაწარმოებია: ბრაცუნ-ა, ბრიალ-ა, გველ-ა, გლობუს-ა, გორგალ-ა, გულად-ა, კანფეტ-ა, კაჟა, კიკილ-ა, კისერ-ა, ლაყუნ-ა, მერცხალ-ა, მათრახ-ა, ნიკაპ-ა, ნისკარტ-ა, სუსტ-ა, ტალახ-ა, ტარან-ა, ტუჩ-ა, უზბეკ-ა, ფიცხელ-ა, ფუნთუშ-ა, ქოთან-ა, ქონორ-ა, დრჯოდ-ა, ყავარ-ა, ჩაქუჩ-ა, ჩიკორ-ა, წირნ-ა(< წირანაი), ჯეჯიმ-ა...

–ე: გიჟ-ე, დოღ-ე, დოყ-ე, ზოდ-ე (< ზოდი), თაფ-ე, ნარ-ე (< ნარი, ნარეკალი), ნაფ-ე, პაც-ე, ტატლ-ე, ტრუს-ე, ყეყ-ე, ყეჯ-ე,ჭიკ-ე...

„ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონში“ -ე არის -ა სუფიქსის ფონეტიკური ნაირსახეობა ქართული ენის ზოგ დიალექტში: ცალთვალე „ცალთვალა“, ასევე: კნინობითის -ა სუფიქსის ფონეტიკური ნაირსახეობა: მეღიტონე „მეღიტონა“, სპირიდონე „სპირიდონა“ (ჯორბენაძე, 1988: 119). -ე მაწარმოებელზე საუბრობს რ.ძნელაძე „გურული დიალექტის ტოპონიმურ სისტემაში“ და აღნიშნავს, რომ ეს სუფიქსი გურულში არა მარტო ტოპონიმებში გვხვდება, არამედ საზოგადო და საკუთარ სახელებშიც: თამარი//თამარე, ვახტანგი//ვახტანგე, იური//იურე, ოთარი//ოთარე (ძნელაძე, 2005: 83). ს.უღენტს შენიშნული აქვს -ე-ს ფუნქცია, გამიჯნოს საკუთარი და საზოგადო სახელები: „თავისებურია გურულში საკუთარ სახელთა მაწარმოებელი სუფიქსები. ისინი განსხვავებულია იმის მიხედვით, აღნიშნავს დამცირებას, განდიდებას, აღერსსა თუ კნინობითობას. თუ ქვემო გურულში საკუთარ სახელები ირჩევენ -აი დაბოლოებას (გაბილაი), ზემო გურულში მისი ეკვივალენტია -ე (გაბილე)“ (უღენტი, 1936: 65). როგორც ვხედავთ, ასპინძის მუნიციპალიტეტის მეტსახელებში დადასტურებული -ე სუფიქსიანი სახელები მეტწილად ნაწარმოებია ერთმარცვლიან თანხმოვანფუძიან საზოგადო სახელთაგან: ზოდე < ზოდ-ი, თავე < თავ-ი, გიჟე < გიჟ-ი, ნარე < ნარ-ი, დოლე < დოლ-ი, დოყე < დოყ-ი „ჯავრი“), მხოლოდ რამდენიმეა სიტყვის ბოლოკიდურა მარცვალმოკვეცილი ფორმით წარმოდგენილი: ყეყე < ყეყეხი: „სულელი“, ყეჯე < ყეჯელი: „ორად გაყოფილი, ორტოტი“.

-ელ-ა: ჩუმ-ელ-ა;

-ია: ბრექია, ბურძენ-ია, დალიგენ-ია, დიდითქე-ია, ვიც-ია, კიჭ-ია, მეთქ-ია, ნაბ-ია, ნორჩ-ია, ტუნ-ია, ტუნილოკ-ია, ჭორტ-ია, ჭუკ-ია...

-ია სუფიქსი მეცნიერთა აზრით, აწარმოებს ერთი ტიპის სასუბიექტო მიმღეობებს და აღნიშნავს რაიმე თვისების, დამახასიათებელი ნიშნის მქონებლობას; დაერთვის თხზულ ფუძეებს, რომელთა პირველი ნაწილი არსებითი სახელია, ხოლო მეორე – ზმნის ფუძე: ნაცარქექია, ბუზიჭერია, დოყლაპია... (ჯორბენაძე, 1988: 212). ა.შანიძის მიხედვით, ამგვარი ფორმები შინაარსით მოქმედებითი გვარის მიმღეობას უახლოვდება (შანიძე, 1980: 583). ასპინძის მუნიციპალიტეტში დადასტურებული -ია მაწარმოებლიანი მეტსახელები ორგვარ სურათს გვიჩვენებს: ერთი ნაწილი მარტივფუძიანია, მეორე – კომპოზიტური: ბრექია < „ვინც იბრიქება“, ბურძენია < „იბურძენება“, ნაბია < „ინაბება“, ვიცია < ყველაფრის მცოდნედ მოაქვს თავი, ჭუკია < „გამოჭუკებულია, სულელი“, ტუნილოკია < „ტუნიებს ილოკავს“, დიდითქია < დიდგულა.

-იან: ბრუტ-იან-ი, ლაშ-იან-ი, ლაჯ-იან-ი, ლიყ-იან-ი, ზუკ-იან-ი, ფეთ-იან-ი, ჩორლ-იან-ი, ცხრანაწნავიანი ...

-იან სუფიქსიანი მეტსახელები გამჭვირვალეა, მეტყველია, ინფორმატორთა განმარტებას არც კი საჭიროებს. ზუკიანი მოწმობს, რომ დენოტატი კუზიანია, წელში მოხრილი; ფეთიანი – დაფეთებული; ლაჯიანი გალაჯული დადის; ლაშიანი განიერტუჩება, ტუჩგამოწეულია. ქგოდერძიშვილს ამგვარი მეტსახელები არ მიაჩნია -იან სუფიქსით ნაწარმოებ მეტსახელებად, რადგან მათი გაონიშება არ მომხდარა აპელატივებზე საგანგებო სუფიქსის დართვით, არამედ სუფიქსდართული ლექსიკური ერთეული მზამზარეულად იქცა მეტსახელად (გოდერძიშვილი, 2012: 274).

-იტ-ა: ღვიტ-იტ-ა;

-ო: გორგალ-ო, თაგ-ო, თაფლ-ო, კიჟ-ო, კოპ-ო, კუნთ-ო, ლაფლაფატ-ო, ლიპ-ო, მაღალ-ო, მურ-ო, მურტალ-ო, ნაბ-ო, პანკ-ო, პაწ-ო, შა-ო, ფსლიკ-ო, ჩახ-ო, ჩულ-ო, ცუგ-ო, ჭაჭ-ო...

-ო მანთროპონიშებელი სუფიქსი გვაქვს ისეთ მეტსახელებთანაც, რომლებიც მიანიშნებენ დენოტატის რომელიმე მშობლის წარმომავლობაზე: **მეგრელო** („დელით მეგრელი“), **კახელო** („მამით კახელი“), შდრ. **მეგრელი** – 1. „სამეგრელოდან გამოთხოვილი“; 2. „სწრაფად მოლაპარაკე“. ქგოდერძიშვილი ამგვარ სახელებს „წარმომავლობის მიხედვით დარქმეულ მეტსახელებში“ აერთიანებს, მაგალითად, **ხევსურა** ხევსურია, **ერევანა** – სომეხი, **ბოდბურა** – ბოდბიდან გადმოსახლებული (გოდერძიშვილი, 2012: 249).

-ობა: კოჭ-ობა;

-უა: გიჟ-უა;

-ურ-ა/ულ-ა: ბაჩ-ულ-ა, დინგ-ულ-ა, ჭოტ-ურ-ა...

საყურადღებოა ასპინძის მუნიციპალიტეტში დამკვიდრებული **სადაურობის მიმანიშნებელი** -ულა/-ურა მაწარმოებლით გაფორმებული მეტსახელები, რომლებიც გათხოვილ ქალთა მშობლიური სოფლის ან მუნიციპალიტეტის სახელიდან მომდინარეობს: **ტობულა** („ტობადან გამოთხოვილი“), **როკეთულა** („როკეთიდან გამოთხოვილი“), **ჩუნჩხული** (სოფ. ხიზაბავრა – მელიქიძე, 2000: 20), **ქუნცულა** („ქუნცულ, ჩამოდი, ერთი თათრულე ელაპარაკე ამათო,“ – ინფ. უნია ივანიძე). ამის შესახებ მ.ბერიძე „ჯავახეთის“ მორფოლოგიურ თავისებურებებში წერს: „ადამიანის წარმომავლობას აღნიშნავს -ურ მესხურ-ჯავახურში, ოღონდ -ურ-ს ჩვეულებრივ -ა-ც ერთვის და გახაზავს მხოლოდ ქალის სადაურობას, გამოთხოვილის მამულის მოხსენიებისას. სოფ. ჩუნჩხა და ჩუნჩხ-ულ-ა, სოფ. ზველი – ზველ-ულ-ა, სოფ. დადეში – დადეშ-ულ-ა და სხვა. ასეთი წარმოება

თანდათან უფრო იშვიათად გვხვდება. მას მთლიანად ცვლის: ერკოტ-ელ-ი, ვარგავ-ელ-ი...“ (ბერიძე, 1992: 46). „ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონში“ ჩამოყალიბებულია, რომ -ურ სუფიქსი შეიძლება მიერთოს ადამიანის საკუთარ სახელს და აწარმოოს: ა) აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტებში (მოხეურში, მთიულურში, ხევსურულში...) გვარები: ბუჩუკ-ი > ბუჩუკ-ურ-ი, ღუდუშა > ღუდუშა-ურ-ი, ჭინჭარა > ჭინჭარა-ურ-ი > ჭინჭარა-ულ-ი... ბ) დასავლეთ საქართველოს დიალექტებში (იმერულში) – გათხოვილ ქალთა ქალიშვილობის გვარები: კვინიკა-ურ-ი > კვინიკო-ურ-ი „კვინიკადის ქალი“, ბრეგა-ულ-ი > ბრეგო-ულ-ი > „ბრეგვადის ქალი“... (ჯორბენაძე, 1988: 398). უსახლთხუციშვილის გამოკვლევით, ურ//ურ-ა (> ულ//ულ-ა) აფიქსებით ნაწარმოები ქალთა მეტსახელები გავრცელებული ყოფილა გარეკახურშიც: გოგილა-ურ-ი < გოგილაშვილი, ხმალაძია-ურ-ი < ხმალაძე, გელა-ურ-ა < გელაშვილი, ლაზა-ურ-ა < ლაზაშვილი (სახლთ-ხუციშვილი, 2004: 181). როგორც ვხედავთ, -ურა/-ულა აფიქსი ასპინძის მუნიციპალიტეტში ამჟამადაც სიცოცხლისუნარიანია: **ასპინძულა, ჭობარულა, მეგრულა, ზველულა, ქუნცულა, ერკოტულა...** სხვა დიალექტებისაგან განსხვავებით, აღნიშნული სუფიქსი მესხურში გვარებსა და შტოგვარებს არ დაერთვის და ჩვენს ხელთ არსებულ მასალაში არ გვაქვს ნადირაული, გიორგაული, ბერიული, ივანაური და ა.შ.

სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია, რომ მეტსახელად შეიძლება იქცეს უცხო ენიდან შემოსული სიტყვა, რომელიც გარკვეულ ფონეტიკურ-სემანტიკურ ადაპტაციას გადის იმ ენის შესაბამისად, რომელშიც მკვიდრდება (უშაკოვი, 1981: 112). უცხოენოვანი (უმეტესად, რუსულენოვანი და თურქულენოვანი) მეტსახელებიდან აღსანიშნავია უაფიქსო და -ა სუფიქსით გაფორმებული მეტსახელები: ბაკალი, გლავა (< გალავა), ინდუკი, კასტილა, მეშოკი, ნაგლი, ჟანდარმი, რიჟა, სამალიოტი, სოჩიკა, სოხახა, სუსლიკა, შასტრი, შეფი, შურუპი, ჩორნა, ტაღბადიშა.

ზმნური წარმოებისაა: გაულაწუნე, ათლაფუნე, გაკოცე, დოურტყა (< დაურტყა).

მიმღეობას ვხვდებით მეტსახელად: გადამბული, გაწუწული, გალოკილი, დაბრაწული, გადამწვარი, ნაყეფი, მოღრეცილი, მოღრეკილი, დაფეხვილი, დაჭეჭყილი.

რედუცირებული (რედუქციით მიღებული) მეტსახელებია: კიკილა (< კინკილა), ცალკლავა (< ცალმკლავა), ბანძი (< ბრანძვი), გელი (< მგელი), ყეჯე (<

ყველა), ჩახო (< ჩლახო), ჯახი (< ჯამბახი), გენა (< გენაცვალი), ჯიჯია (< ჯიჯლინა), მაშთამე (< მაშასადამე), ოფშე (< „ვოფშემ“), ბაწა (< ბაწარა/ბაწარი)...

ბგერათმონაცვლეობის შემთხვევაა მეტსახელებში: ბრუდე (< მრუდე), ლესტო (< ნესტო), კოქტები (< კოგტი);

მეტათეზისის მაგალითებია მეტსახელებში: გადამბული (< გადაბმული), ხვიწა (< ხიწვი), ჩოყალა (< ჩოლაყა), ზუკიანი (< კუზიანი). სუბსტიტუციის შემთხვევაა: ათლაბიჯა (< ათნაბიჯა).

ფუძეგაორკეცებით მიღებული მეტსახელები უაფიქსოა ან -ა, -ო, -უნა სუფიქსებითაა გაფორმებული: დუგდუგა, ვახვახა, თუხთუხა, კუნკულა, კუსკუსა, ლაგლაგი, ლაფლაფატო, ლაქლაქა, ლულლულა, ტვიტვიცი, ფაცფაცუნა, ქვეშქვეში, ქოთქოთა, წივწივა...

რთულფუძიანი მეტსახელების დიდი წილი **ატრიბუტულმსაზღვრელიანი**, გვხვდება როგორც პრეპოზიციური, ისე პოსტპოზიციური წყობით: ქვაკაცა, დიდითქვია, პატრაქალი, ცალთათა, ცალკლავა, ცხრანაწნავიანი, ყარაყუში, წითელთავა, ნახევარქათამა, თომათავი; კაცნახევარი, პირღია, ხეკაკუნა, ჩანგაყრღა („ჩანგამოგრეხილი“)...

მართულმსაზღვრელიანი მეტსახელების ნაწილს სრულად შემორჩენილი აქვს ნათესაობითის ნიშანი, ნაწილს – ნაწილობრივ აქვს: ხისთავა, ჭიაშვილი (< ჭიასშვილი), ტუჩილოკია (< ტუჩისლოკია).

2.4. ეპითეტური სახელები

მეტსახელებისაგან ცალკე ჯგუფს ქმნის **ეპითეტური სახელები**, რომლებსაც მეცნიერთა ერთი ნაწილი „ეპითეტური მეტსახელებს“ უწოდებს. „ონომასტიკურ სამეცნიერო ლიტერატურაში მეტსახელად განიხილავენ ორკომპონენტიან ანთროპონიმულ ფორმულასაც, რომელშიც ერთ-ერთი კომპონენტი სახელსადები პიროვნების საკუთარი სახელია, ხოლო მეორე გრამატიკულად წარმოადგენს მსაზღვრელ სიტყვას, ეპითეტს, რომელიც შეიცავს ამ პიროვნების „დახასიათებას“ რაიმე ნიშნით და, მაშასადამე, წარმოაჩენს სახელმდების ნეიტრალურ პოზიციასაც და ემოციურ-შეფასებით დამოკიდებულებასაც, კერძოდ, მოწიწება-პატივისცემას (იშვიათად), ირონიას – მსუბუქ გაკენწვლას, დაცინვა-გაკიცხვასაც და სიძულვილსაც კი“ (ცხადაია, 2005: 156). „ზუსტი ტერმინის უქონლობის გამო ორკომპონენტიან სახელდებასაც შეიძლება მეტსახელი, ოღონდ ეპითეტური მეტსახელი ვუწოდოთ,– წერს პ.ცხადაია და აზუსტებს: მეტსახელურ შინაარსს შეიცავს მხოლოდ მსაზღვრელი კომპონენტი, ძირითადი კომპონენტი კი პირსახელია“. მეცნიერი ეპითეტის ერთ-ერთ

დანიშნულებად ერთნაირი სახელების მქონე პირთა, ანუ სეხნიების, ერთმანეთისაგან გარჩევას მიიჩნევს (ცხადაია, 2005: 157). ამისი მაგალითია სოფელ ანდრიაწმინდაში (ახალციხის მუნიციპალიტეტი) დაფიქსირებული „ჩიტირვასო“ – სხვა ვასოებისაგან გასარჩევად შერქმეული სახელი.

ქგოდერძიშვილი მიჯნავს ეპითეტიან სახელს მეტსახელისაგან. მისი აზრით, თუ გავაცნობიერებთ ტერმინის „ეპითეტიანი სახელები“ კომპონენტებს, ეპითეტი ერთვის პირის ნამდვილ სახელს და არა მეტსახელს, მაგრამ რადგან თვით ეპითეტი იქცევა დამხმარე საინდენტიფიკაციო საშუალებად, ონიმად, ბუნებრივია, სწორედ ეპითეტს აღიქვამენ მეტსახელად, ეპითეტიან საკუთარ სახელს კი მეტსახელიან სახელად, სიმარტივისათვის მეტსახელად (გოდერძიშვილი, 2012: 393). მართლაც, ქოჩო ნუგზარას, ოსტატი გოგას, ტარიელ ექიმის, ლია მასწავლებლის, ჟუკა დირექტორის, ცაცვი ნაზოს, წუწკი ტასოს, გელო ილუშას... შემთხვევაში სახელდების კომპონენტებს შორის არც პირველია მეტსახელი და არც – მეორე.

ეპითეტიანი სახელები, მეტსახელების მსგავსად, ინფორმაციული სახელებია, შეიძლება ითქვას, ყველაზე მეტად სემანტიკაგამჭვირვალეც.

ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფლებში დადასტურებული ეპითეტიანი სახელები მიგვანიშნებს დენოტატის:

ა) ხასიათს/ქცევას: შიტლიკინე თალიკო, გიჟი ესმა, ქოსა მიტო, მაჩვი დათიკო, ყვინჩიპეტე, მგელი რეზო, ფათა ლევანა, პირღია სერგო, კალია ჟორა, მათრახა მარუსა, ბატია ელე, კუსკუსა ლენა;

ბ) გარეგნობას: წერო ვანო, რიჟა ვახო, თუჯი კაკო, ხარი გოგია, კუნთო მერაბა, აყირო აბე, ჩანგა რობიზონა, ცხვირა ლეილა, ქურთო შალიკო, ქაჩლი კაკო, ყარა მიშა;

გ) ფიზიკურ ნაკლს: კოჭლი სარიდანა, ტაკვი პალე, ტარუკა დათიკო, ბლუ გიგო, ბრმა იაგორა, ყრუ ვანო;

დ) საქმიანობას: ფოშტი კოლა, ოსტატი გოგა, რეზო ბუღალტერი, მზია დამლაგებელი;

ე) წარმომავლობას/სადაურობას: სომხი გოგია, რუსი ნინა;

ვ) წინაპრის ზედმეტ სახელს, რომელთანაც მიმართებით წარმონდგება დენოტატი: ქოჩო ნუგზარა, თოხლო მიშა, ბაბლე თამარა, მარფა ნანო, ჩიჩიკა რეზო, ბაჩიას სოსო, ვასო უჭმელასი, ქვაბთიხევის ნინა.

2.5. კვაზიონიმები

ქ.გოდერძიშვილი ქართული მწერლობის პერსონაჟთა საკუთარი სახელების სისტემური შესწავლისას (1990 წ. დისერტაცია) გამოკვეთს კვაზიონიმებს („ვითომონიმი“), „ისეთ სიტყვებსა და შესიტყვებებს, რომელთა ონიმოზას განაპირობებს მხოლოდ ფუნქცია“. მანამდე ქართულ ანთროპონიმიაში ამ ტიპის აღმნიშვნელებისათვის საგანგებო ყურადღება არავის მიუქცევია. კვაზისახელები „ერთი მხრივ, ასრულებენ ანთროპონიმის ფუნქციას, აღნიშნავენ გარკვეულ პირს (სამისამართო ფუნქცია), მეორე მხრივ, მათი ანთროპონიმობა მოჩვენებითია, რასაც ტერმინის კომპონენტად წარმოდგენილი კვაზი (kvazi =ვითომ) ადასტურებს“ (გოდერძიშვილი, 2012: 280).

იმას, რასაც ქ.გოდერძიშვილი კვაზიონიმებს უწოდებს, რუსი მეცნიერები სხვადასხვა ტერმინით გამოხატავენ: „საკუთარ სახელთა ეკვივალენტები“ (ტაიჩი), „საკუთარ სახელთა პერიფრასტული შემცველები“ (მაკაროვა), „საკუთარ სახელთა კონტექსტუალური ეკვივალენტები“ (ველმეშევა) (იხ. ქ.გოდერძიშვილი, 2012: 286).

იმოწმებს რა ლუის მორგანს, რომელიც ასეთ სახელებს „საკუთრივ აპელატივებად“ მოიხსენიებს: „სახელები, წარმოდგენილი აპელატივთა შეუცვლელი ფორმით“ (მორგანი, 1934: 47), ქ.გოდერძიშვილი ფიქრობს, რომ კვაზიონიმი რქმევის თავდაპირველი ვარიანტი იყო, რომელიც ან აღწევდა საკუთრივ ანთროპონიმამდე, ან რჩებოდა წინა ეტაპებზე (კვაზიონიმი > მეტსახელი > საკუთრივ ანთროპონიმი).

რა განაპირობებს კვაზიონიმთა ცალკე ჯგუფად გამოყოფას, მეტსახელებისაგან განცალკევებას? ქ.გოდერძიშვილი აღნიშნავს, რომ კვაზიონიმთა მეტსახელებად მიჩნევას ხელს უშლის მათივე ფორმა: „მეტსახელი ონიმია, მაგრამ ზედმეტი, კვაზიონიმები კი არ წარმოადგენენ ტიპურ სახელებს მათი არაანთროპონიმული ფორმის გამო, მათს ანთროპონიმობას განსაზღვრავს მხოლოდ სახელდების ფუნქცია, რაც მათ არ აქცევს ანთროპონიმულ მოდელად, მაგრამ აქცევს დენოტატის მარკირების ერთ-ერთ საშუალებად – კვაზი სახელად“ (გოდერძიშვილი, 2012: 288).

კვაზიონიმებით მდიდარია ქართული მწერლობა. ქ.გოდერძიშვილი ასახელებს უამრავ მაგალითს, როგორც ძველი, ისე უახლესი ლიტერატურიდან: კაცი ერთი სპარსი, ჯოჯიკის ცოლი, დედაკაცი სიძვისაი, წიწოლას დედა, ხვარაზმშას ძე, ოთარაანთ ქვრივი, განდგეილი, თავსაფრიანი დედაკაცი, ცოცხალი ენციკლოპედია; კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა და ა.შ.

ქგოდერძიშვილის მიერ რეალურ ყოფაში დადასტურებული კვაზიონიმებია: **ბედლის თაგვი** (პატარა ტანის კაცი), **აფთიაქის გველი**, **სტამბოლის კაჯი**, **მიწის დრელე**, **უსუნო ყვავილი**, **ორჯერ გიჟი**, **კეთილი დევი**...

კვაზიონიმები საზოგადო სახელთაგან იმით გამოირჩევა, რომ „სახელდების ფუნქციითაა დატვირთული“. **ჯიბის საათი** მსაზღვრელ-საზღვრულია, რომელიც საათის გარკვეულ სახეობას აღნიშნავს (შდრ. კედლის საათი, მაჯის საათი), მაგრამ როცა ის კონკრეტულ ადამიანს მიემართება და მიგვანიშნებს – თითქმის ჯიბეში ჩაგეტევაო, – კვაზიონიმთა ჯგუფში გადადის. ასპინძის მუნიციპალიტეტში დაფიქსირებული **ჯიბის საათი** გარეგნობის გამომხატველი კვაზიონიმია.

ზემოთ დასახელებული სახელთა ტაბუ (იხ. 1.1.) ოჯახის წევრების მიმართ (**ქალი**, **ჩემი მული**, **ჩემი მაზლი**, **ჩემი მოხუცი**...) სხვა არაფერია, თუ არა კვაზიონიმები, რომელსაც დეპენდენტი საკუთრივ ანთროპონიმის ნაცვლად იყენებს. გარდა ამისა, ანთროპონიმს ენაცვლება კვაზიონიმებად გამოყენებული მიმართვის ფორმაც (**ქალო**, **ჩემო მულო**, **ჩემო მაზლო**, **ვარდო**...).

ასპინძის მუნიციპალიტეტში მოპოვებული მასალიდან:

1) გარეგნობის გამომხატველი კვაზიონიმებია: **ნამყენი ჭიანჭველა** (დიდთავა), **გაწუწული ვირთხა** (გამხდარი, წვრილი, გამწლეული), **ბეხეხი ქალი** (ზორბა, ტლანქი), **შავი ბიჭი**, **შავი ქალი** (მეტისმეტად შავი), **ბელადი** (სტალინივით დიდ უღვაშებს ატარებდა), **რიჟა კაცი** (ქერა); **კვირტი გორგალი** (დაბალი და მსუქანი. შდრ. კვირტა – გურ. ქიზიყ. დაბალი ტანის კაცი; პატარა ტანის ჩასკვნილი ადამიანი (დლონტი, 1984: 288); გადატ. იტყვიან ადამიანზე, რომელიც უშნოდ ჩასუქებულია (ბერიძე, 1981: 72).

2) შინაგანი ბუნების მიმანიშნებელია: **ციცხვი ნატეხი** (ჯიუტი);

3) საქმიანობის გამომხატველი კვაზიონიმია: **უსტა პაპა** (ოსტატი).

4) თითქმის ყველა სოფელში დაგვისახელეს „კუთვნილებითი მიმართების გამომხატველი“ კვაზიონიმები, რომელშიც „ფუნქციონირებს საკუთარი სახელი, მაგრამ არა მოცემული პერსონაჟის სახელი (ჩვენს შემთხვევაში – დენოტატის ნ.მ.), არამედ იმისი, ვისთან მიმართებითაც არის წარმოდგენილი“ (ქგოდერძიშვილი, 2012: 306). ახალციხეში პატარა გოგო „**თონას დედას**“ ეძახდა მეზობელს, ასეც მიმართავდა პირად საუბარში. სატელევიზიო გადაცემაში მსახიობ დოდო (დავით) აბაშიძის შვილმა, პროფესორმა ზაზა აბაშიძემ, განაცხადა, ახლაც ყველა **დოდოს ბიჭს** მეძახისო. მკემულარიას პირის სახელთან ერთად ნაწარმოებ ტოპონიმებში დასახელებული აქვს „მექოს ცოლის ჩამონაჭერი“; ინფორმატორის განმარტებით, მაროს, მექო მაისურაძის ცოლს,

სოფელში სეხნიებისაგან გამოსარჩევად მექოს ცოლს ეძახდნენ (კემულარია, 2007: 79). ასპინძის მუნიციპალიტეტში აღნიშნული ტიპის კვაზიონიმებია: სამსონიენტ ბიჭი, ღიტო ქალი (ზეელი), ილოს გოგო, კუჭუნთ ობოლი, წუწკ ტასოს თორუნი, მურეშას ბიჭი, ბეხეხი ქალის გოგო, მიტო ბიჭი, ბაბლე ქალი, გოგიას ბიჭი, ყაყაჩოს ასული, კაკაჩა ქალი (აწყვიტა), ჭაჭოს ბიჭი, ათამიშას რძალი, ხოსროს შვილიშვილი, შაკიტოს მამა, ზურას ლედი, ქურთოს შვილიშვილი, ჟუკას სიძე, ხრიას ქალი, ოქოს ქალი, ფაცას ბიჭი, ცრუს ქალი, ჰასანას ქალი, ნარიმანას შვილიშვილი (ტოლოში), გელი რეზოს შვილიშვილი, ყოჩოს შვილი, ტობულას შვილი (სარო), თომას სიძე, ნუშას რძალი, ციურას გოგო, სოსოს შვილი (ჭობარეთი), მექოთ მახინჯი (ხიზაბავრა).

„გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“ (XVI ს.) ხარკის გადამხდელთა ნაწილი დაფიქსირებულია პაპისახელობით: ზოსიმას შვილიშვილი (ჯიქია, 1941: 135), მანდოს შვილიშვილი (იქვე, 183), ნოდარას შვილიშვილი (გვ. 178), ძამაგულის შვილიშვილი (გვ.176), ღვინიას შვილიშვილი, აზარიას შვილიშვილი (გვ.133), როსებას შვილიშვილი (გვ.185), შავგურაზის შვილიშვილი (გვ.133)... ესაა ოფიციალურ დოკუმენტში პიროვნებათა მარკირების საშუალება, რაც უდავოდ კვაზიონიმებია.

თავი III

მაჰმადიანი მოსახლეობის გვარსახელები (XIX-XX სს.)

3.1. „გვაქვს სიყვარული ჩვენი სამშობლოსი“

მაჰმადიანი მოსახლეობის 90%-ზე მეტს, რომლებსაც XX საუკუნის 40-იან წლებში საბჭოთა ხელისუფლებამ მშობლიური მხარიდან შუა აზიაში გასახლება მიუსაჯა, გამაჰმადიანებული მესხები წარმოადგენდნენ. მათ რომ ქრისტიანული ფესვები ჰქონდათ და „თათარს“ არა ეროვნების, არამედ სარწმუნოების გამო უწოდებდნენ, დღემდე შემორჩენილი ბევრი ტრადიცია ადასტურებს. დეპორტირებული მესხების რძალი ხათუნა გელაშვილი გვიამბობს მაჰმადიანი მესხების მიერ შენარჩუნებულ ქრისტიანობისდრინდელ ტრადიციებზე, იმ წეს-ჩვეულებებზე, რომლებიც საქართველოში უკვე დავიწყებას მისცემია, მესხებს კი დღემდე შემოუნახავთ. ცნობილია, რომ სანთელს მუსლიმანურ რელიგიაში არანაირი დატვირთვა არ გააჩნია, მით უფრო, რელიგიური, ქორწინების დროს კი დეპორტირებული მესხები პატარძალს თავისი სახლიდან სიძის სახლამდე მიაცილებენ ტკბილეულით სავსე სამი ხონჩით, თითოეულზე კი სამი სანთელი ანთია (თაფლის სანთლები). ეს, რა თქმა უნდა, სიმბოლურად ყოვლადწმინდა სამების გამომხატველია. რძლისთვის დედამთილის მიერ გაკეთებული მაჟარიც (კულონი) კიდევზე წრიულად ოცდათვრამეტ პატარა ჯვარს ითვლის და მისი ტარება სავალდებულო გახლდათ გათხოვილი ქალისათვის; გაუცნობიერებლად, წინაპრებისაგან დამკვიდრებული ჩვეულების ძალით ხდებოდა ხელით ნაქსოვ ხალიჩებში სხვადასხვა ფერით გაფორმებული ჯვრის გამოსახვაც (გელაშვილი, 2015: 30). მაჰმადიანი მესხების საკითხით დაინტერესებულ ომაზ ჩხეიძეს, რომელსაც მოვლილი აქვს ცენტრალური აზიის ქვეყნები და ტაო-კლარჯეთი, პირადად იცნობს და წლების მანძილზე აქვს მიმოწერა გასახლებულთა შთამომავლებთან, ჩახო ჩიტაძე სწერს: „ჩვენ მესხებს, ვინც შევიწინა ხეთ მშობლიური ენა, ქართველი გვარები, ეროვნება, რო შეიკითხოს სულელს, შავკანიან ნეგირსა, იტყვის, რომ ისინი არიან ქართველები და სუფთა ქართველები ქართულ არიენტაციის ყველა მესხი...“ (ჩხეიძე, 2007: 104). 2016 წლის 6 მაისს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართულ კონფერენციაზე „თურქულ-ქართული ურთიერთობები – ისტორია და თანამედროვეობა“ ყირგიზეთის დელეგაციის წარმომადგენელმა, მესხების დიასპორის ხელმძღვანელმა რაშად შამიროვმა, მიესალმა რა დამსწრე საზოგადოებას ყირგიზეთში მცხოვრები ორმოცდაათი ათასი მესხის სახელით, განაცხადა: „სამშობლო ადამიანს ერთი აქვს, შეიძლება სხვაგან დაიბადოს, გაიზარდოს, განათლება მიიღოს, მაგრამ სამშობლო ერთია. როდესაც ჩვენ

გაგასახლეს, სხვა ქვეყანაში კი ვცხოვრობდით, მაგრამ სამშობლოდ ყოველთვის მივიჩნევდით საქართველოს და ამ მხარეს. ჩვენი დიასპორა ცხრა ქვეყანაში ცხოვრობს, მაგრამ სადაც არ უნდა ვიყოთ, გვაქვს სიყვარული ჩვენი სამშობლოსი – საქართველოსი. ჩვენს შვილებსაც აქვთ ეს სიყვარული. მამაჩემი აქ დაიბადა, სოფელ სვირში და აქედან გაიწვიეს ომში. ოთხი ძმიდან მხოლოდ ის დაბრუნდა. მამაჩემი 1988 წელს გარდაიცვალა. მერწმუნეთ, მხოლოდ სიტყვებისთვის არ ვამბობ, მისგან აქაურ ხალხზე არასდროს აუგი არ გამიგია. დღემდე გრძელდება ისე, რომ ჩვენი დიასპორის წარმომადგენლები ცუდს არავის ათქმევინებენ საქართველოზე, აქაურობაზე“ (კაჭკაჭიშვილი-ბერიძე, 2016: 4). 2016 წლის 24 მაისს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ყაზახეთის დელეგაციასთან შეხვედრისას დელეგაციის ხელმძღვანელმა სადირ ეიბოვმა გვამცნო, რომ ყაზახეთში დღეისათვის ორასი ათასზე მეტი ახალციხელი თურქი ცხოვრობს, რომლებიც ძირითადად ასპინძის რაიონიდან გადაასახლეს, არიან ახალქალაქისა და ცოტაც ახალციხის რაიონიდან გადასახლებულთა შთამომავლებიც. „ჩვენი ჩამოსვლის უპირველესი მიზანი სამშობლოს ნახვის ოცნების ახდენა იყო,– გააგრძელა ბატონმა სადირმა,– ჩემი პაპები აქედან – მამის მხრიდან, ბაზირხანიდან, დედის მხრიდან, ტოლოშიდან – გაასახლეს. დღეს აქ ჩემი შვილიშვილი ზის. ის სამშობლოდან წასულთა მეხუთე თაობაა. ყველას გვაქვს ერთი განცდა. ჩვენთვის ახლობელია სახის ნაკეთები. მართალია, ბევრს არ გვესმის ქართული, მაგრამ მნიშვნელობას მაინც ვხვდებით. მადლობა ღმერთს, რომ საშუალება მოგვეცა და დღეს აქ მოვედით“ (კაჭკაჭიშვილი-ბერიძე, 2016: 5). სოფელ ნიჯგორის მკვიდრი უენია ივანიძე-მჭედლიშვილი იხსენებს თოკელი მუსლიმის, აბაშიძის, ნათქვამს: „ჩვენ იქ (გასახლებულ რესპუბლიკებში) არ გაგჩერდებით, მაინც აქ მომსვლელები ვართო. კარგი ცხოვრებაც გვაქ, კარგი სახლ-კარიც, მარაო... – ისევ აქეთ უტიროდა (გული). ისევ ამითუნ ტიროდა. ჩვენი მიწა-წყალი გვინდა ისევაო“.

არ შეიძლება უგულისყუროდ დატოვო სამშობლოდან გაძევებულთა სიტყვები, მით უფრო, როცა იცი, როგორ უფროთხილდებიან ერთ კენჭსაც კი: „როცა დედამ საბნიდან მატყლი გადმოყარა, პატარა, უფორმო, კაკლისხელა კენჭიც გადმოჰყვა. ჯერ გაგვიკვირდა, როცა ვკერავდით, მაშინ რატომ ვერ შევამჩნიეთ, მერე კი სიხარული დაგვეუფლა: კარგია, რომ ვერ შევნიშნეთო! მამამ აიღო და დიდხანს ჩუმად ათვალიერებდა, მივხვდით ჩუმად რაზე ფიქრობდა, რადგან ჩვენი ფიქრებიც იქაურობას დასტრიალებდა, სადაც ჩვენი სახლი იდგა. სახლი, სადაც ამ მატყლს ვამზადებდით. ვერანაირი სიტყვებით ვერ გადმოსცემ ამ განწყობას. ამას მხოლოდ ის გაიგებს, ვინც სახლიდან შორს იმყოფება, ენატრება ვინმე და

უცებ რაიმე ნივთს იპოვის, მას ან ვინმე მონატრებულ არსებას რომ ეკუთვნოდა. აი, ამ კენჭმაც ასე გაგვახსენა დაკარგული სამშობლო. თვალზე ცრემლი მოგვერია. მამამ ცრემლიან თვალებთან ახლოს მიიტანა კენჭი და დახუჭულ ქუთუთოებზე გადაისვა. ყველა მოთმინებით ელოდა თავის რიგს. ხმა ელვის სისწრაფით გავარდა მეზობლებში, თანამემამულეებში, რომ „ერთი კენჭი სამშობლო ვიპოვეთ“... პირველად ბიძია იბრაჰიმ ნანიაშვილი გვესტუმრა. ეს მოხუცი კაცი თვალცრემლიანი მისჩერებოდა ამ სანუკვარ კენჭს, მერე მორიდებულად გვთხოვა: ერთი დღით მათხოვეთ, რომ მთელი ოჯახი შეეხოსო. ნაპოვნი კენჭი შინ დაბრუნებას ვერ ასწრებდა, ისე გადადიოდა ერთი თანამემამულის ხელიდან მეორის ხელში. ყოველ მათგანს მოწიწებით მიჰქონდა და მაღლიერებით მოჰქონდა უკან (ვაჩნაძე, 2005: 47).

3.2. „თურქი მესხების“ იარლიყით ცასა და დედამიწას შორის გამოკიდებულნი“

XX საუკუნის ბოლოსათვის მუსლიმ მესხთა აღსანიშნავად შექმნილი ტერმინები: კავკასიელი თურქები, ახალციხელი თურქები, მესხი თურქები, მბერძნის აზრით, ხელოვნურია, ატარებს პოლიტიკურ ხასიათს და ემსახურება მესხთა შიდა დაპირისპირებას, მათი ეთნოგენეზისის გაბუნდოვნებას. წიგნში „მაჰმადიანი მესხების ფესვები და დღევანდებლობა“ ვკითხულობთ: „XIX საუკუნის ბოლოსათვის მაჰმადიან მესხთა ერთ ნაწილს უწოდეს „თათრები“, რადგან მათი სალაპარაკო საურთიერთობო ენა იყო თურქული ენის დიალექტი. ეს ტერმინი XX საუკუნის პირველ ნახევარში გავრცელდა დანარჩენ მუსლიმ მესხებზე. სახელი ხელოვნური იყო და შეიქმნა საქართველოს სამხრეთ ნაწილში სარწმუნოებრივი დაპირისპირებისათვის“ (ბერიძე, 2009-1: 5). ყაზახეთიდან სამშობლოში დაბრუნებული ფაზლიათ ჯანაევა იხსენებს, რომ გადასახლებაში ერთად ცხოვრობდნენ აწყურის, ყამზას, ინდუსას და ოშორის მკვიდრნი; ქალები და ბავშვები, რადგანაც სულ სახლში იხსდნენ, მხოლოდ ქართულად ლაპარაკობდნენ, კაცებს კი უწევდათ გარეთ სიარული და ასე ისწავლეს ჩვენი დიალექტით (ბარათაშვილი, 1997: 57). მაშასადამე, გადასახლებულთა ნაწილმა თურქული ენაც კი არ იცოდა, გვარებს საგანგებოდ ართმევდნენ და ფესვებიდან კვეთდნენ. „ჩემი პაპის პაპას ხასანას ეძახდნენ. გასაბჭოების შემდეგ მისი სახელის მიხედვით ხასანოვებად ჩაგვწერეს, მაგრამ მამა ყოველთვის გვეუბნებოდა, ჩვენი ნამდვილი გვარი ვარსკენელიძეაო, მისი უძველესი ფორმაც კი ახსოვდა – ვოროსკენელიძე. ჩვენს სოფელში ყველა მაჰმადიანმა იცოდა თავისი ქართული გვარი: გაგნიძე, ვარსკენელიძე, დავქარიძე, თამარაძე“–

აცხადებდა იასონ ვარსკნელიძე, რომელსაც სჯეროდა, რომ მისი ფესვები მესხეთის მიწაშია: „თუ ღმერთმა ადამიანი შექმნა მიწისაგან, მაშინ ჩვენ ვართ შექმნილი მესხეთის მიწისაგან. სხვაგან ფუფუნებაში ცხოვრებას მე ჩემი სოფლის – ტობას ნანგრევებს ვარჩევ“ (ვარსკნელიძე, 2000: 11). „გადავწყვიტე, დავწერ ყველაფერს, რაც ჩემი თვალთ მინახავს, მსმენია, რისი შეკრებაც მოვახერხე, რაც გამოვცადე, მაგრამ იმ მიზნით არა, რომ ვინმეს თავი შევაბრალო, არა! მინდა ხმა მივაწვდინო ადამიანებს, შევატყობინო, თუ ვინ ვართ ჩვენ, ვისაც „თურქ მესხებს“ გვიწოდებენ და ვინც სინამდვილეში მაჰმადიანი მესხები ვართ, ანუ ეთნიკური ქართველები“ (ვაჩნაძე, 2005: 10) – ასე იწყება დეპორტირებული მესხი ქალის – ნაზირას წიგნი გადასახლებულთა ტკივილიან დღეებზე, უკან დაბრუნების სურვილსა და ქართველებთან თანაცხოვრებაზე.

სამცხე-ჯავახეთის ქართველ მაჰმადიანთა ერთი ჯგუფი, რომელსაც ცარიზმი ქართველებად მიიჩნევდა, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ თურქულ და აზერბაიჯანულ ეროვნებებს მიეკუთვნენ იმის გამო, რომ მაჰმადიანები იყვნენ. ანგარიში არ გაეწია ბევრი მათგანის თვითშეგნებას, სამეცხველო ენას, საყოფაცხოვრებო ტრადიციებს, ქართულ გვარებს (თოფჩიშვილი, 2005: 155). ი.ვარსკნელიძემ ყურადღება მიაქცია ერთ ფაქტს: 1916 წელს მეფის რუსეთის ოფიციალური სტატისტიკით ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებში დაფიქსირდა 1000 „თურქი“, ხოლო 1926 წლის საბჭოთა მონაცემებით – 36000, ე.ი. 10 წლის შემდეგ 36-ჯერ მეტი, მიუხედავად იმისა, რომ ამ კუთხეში რაიმე მნიშვნელოვანი მიგრაცია არ მომხდარა. 1936 წლის აღწერამ კი გამოავლინა 28428 „აზერბაიჯანელი“ (ქართველები მხოლოდ 5836-ს შეადგენდნენ). „აღნიშნული უეცარი დემოგრაფიული ცვლილება იყო შედეგი ბოლშევიკური რეჟიმის პოლიტიკური მანიპულაციებისა, რომელმაც ადმინისტრაციული ძალდატანების გზით, თვითნებურად შეუცვალა ეროვნება ქართველებს, შექმნა პირობები მესხეთის ისტორიის გაყალბებისა“ (ვარსკნელიძე, 2000: 18). რუსეთის იმპერიასთან მესხეთის მიერთების შემდეგ რუსეთის მთავრობას უნდოდა ქართველი მაჰმადიანების ასიმილირება რელიგიის საფუძველზე. ამიტომ ქართველებად თვლიდნენ მხოლოდ მართლმადიდებელ ქართველებს, მათთვის „მაჰმადიანი ქართველი“ არ არსებობდა. მათ სურდათ აღმოეფხვრათ ეს ცნება, ამიტომ ქართველი მაჰმადიანები ჩაწერილნი იყვნენ, როგორც „თათარი“ თარაქმებთან, ქურთებთან და სხვა მაჰმადიანებთან ერთად (ბარათაშვილი, 1997: 17). „აზერბაიჯანში თურქებს გვეძახიან – ალბათ იმიტომ, რომ ჩვენი ენა მათი ენისაგან განსხვავდება, შუა აზიაში კავკასიელებს გვიწოდებენ იმის გამო, რომ

მათთან კავკასიიდან ჩაგვიყვანეს. რუსეთში თურქებად მოგვიხსენიებენ, რადგან გადასახლებულთა სიებში ასე წერია, საქართველოში კი „თათრებს“ გვძახიან. მოგვიანებით საერთოდ არარსებული ეროვნება მოიგონეს: „თურქი მესხები“ დაგვარქვეს და აი, ამ იარლიყით უკვე სამოცი წელია ეს ხალხი ცასა და დედამიწას შორის არის გამოკიდებული“ (ვანნაძე, 2005: 130).

3.3. ქართველ მაჰმადიანთა გაუცხოება

გააკეთა რამე იმდროინდელმა ხელისუფლებამ, რომ ქართული სული, შემართება და ქართული გვარები არ დაეკარგა მრავალჭირგამოვლილი, გამაჰმადიანებული მესხებისათვის?

მ.ბერიძის აზრით, 1828 წელს, მესხეთის შემოერთების შემდეგ, რუსეთი ფორმალურად გამოდიოდა ქრისტიანული რელიგიის დასაცავად. ოსმალეთი თავის გავლენას არ თმობდა, რაც განსაკუთრებით ეროვნულ-სარწმუნოებრივ აქტიურობაში გამოიხატებოდა. მესხეთის გამუსლიმება კიდევ უფრო გაძლიერდა XIX საუკუნეში, როცა მოსახლეობის ენობრივ-რელიგიური შეგნება გაორების გარდა დაბნეულობამაც მოიცვა. ერთმანეთში აღრეული ეროვნება და სარწმუნოება კიდევ უფრო გაბუნდოვანებისაკენ მიდიოდა, რადგან რუსეთმა არ გაატარა რადიკალური რელიგიური პოლიტიკა, არ დაუბრუნა ქრისტიანობას ჯერ კიდევ ბოლომდე გაუმაჰმადიანებელი მოსახლეობა. ეს რუსეთის ეროვნულ ინტერესებში არ შედიოდა, რადგან ასეთ შემთხვევაში მთელი მესხეთი ქრისტიანობის დაბრუნებისთანავე „ქართველობას“ უბრუნდებოდა; მათი რელიგიური ცნობიერება ეროვნულს გაუტოლდებოდა. ეს რუსეთის მიზანს არ წარმოადგენდა. გარდა ამისა, რუსეთის იმპერიაში ბევრი მუსლიმი ცხოვრობდა და ასეთი პოლიტიკის გატარების შემთხვევაში მაჰმადიანთა უკმაყოფილება არ აძლევდა ხელს რუსეთის ხელისუფლებას (ბერიძე, 2009-1: 102). „რუსეთთან შეერთების შემდეგ მესხეთის დაბრუნების საკითხი იმპერიის დამპყრობლური პოლიტიკის საერთო საკითხებში ჩაერთო და დავიწყებულ იქნა (გეორგიევსკის) ტრაქტატით აღიარებული მემკვიდრე მფლობელის უფლებები, რამაც ჩვენი ქვეყნის ერეკლესულ გეგმებს ერთდროულად შეუცვალა შინაარსიცა და მიმართულებაც“ (ლომსაძე, 1995: 4). ამის დემონსტრირებად შ.ლომსაძე თვლის ადრიანოპოლის საზავო ხელშეკრულებას, რომელმაც ე.წ. „რელიგიური ზონების“ შექმნითა და შესაბამისად, ხალხთა გადასახლება-გადმოსახლებით ცარიზმს საშუალება მისცა შემოერთებული სამცხე-ჯავახეთიდან თვითგამორკვევის ნაცვლად გამაჰმადიანებული მესხები „თათრებად“ გამოეცხადებინა და ვითარცა უცხონი თავის სამემკვიდროდან აეყარა და მუჰაჯირებად გაეშვა. მათ ნაცვლად

კი არზრუმ-ყარსის ვილაიეთიდან ჯერ ქრისტიანი სომხები და ბერძნები შემოესახლებინა, შემდეგ მათ კვალდაკვალ რუსი სექტანტები შემოეყვანა. ამას მოჰყვა ადგილზე დარჩენილ მაჰმადიან მესხთა არაქართველებად აღრიცხვა. ეს იყო ნამდვილი გენოციდი – აცხადებს შ.ლომსაძე, – რომელსაც შემდეგ ცარისტული ისტორიოგრაფია ქართველი ხალხის ხსნის ღონისძიებად ასაღებდა (ლომსაძე, 1995: 4).

ა.ფრონელი „დიდებულ მესხეთში“ წერდა: 1828 წელს პასკევიჩმა შემუსრა რა ოსმალთა ჯარი ახალციხესა და სოფელ კლდეს შუა, „ღორისხორციჭამია“ რუსების გაბატონება არ ეპრიანათ ოსმალთს მოხელეებს და გამაჰმადიანებულ ქართველობას მოღების პირით შეუთვალეს, ავიყაროთ და ფადიშაჰის სამფლობელოში გადავსახლდეთო. ორი წლის განმავლობაში მრავალი გამაჰმადიანებული ქართველი გადაიხვეწა მცირე აზიაში. ჯავახეთი და ახალციხის მაზრა მთლად გატიალდა და გავერანდა... გამაჰმადიანებულნი ქართველნი, ჯერ ისევ წმინდა ქართულით მოლაპარაკენი და მობაასენი, ვინც დარჩა საქართველოში, მთავრობამ „შეცდომით“ „თათრებად“ აღიარა. ასე ნელ-ნელა და სისტემატიურად ისპობოდა მესხეთში ქართველის სახსენებელი (ფრონელი, 1991: 40).

„დღეს რაღა არის ჯავახეთი? – აღარაფერი, ძრიელ ცოტა, აღარც მეთედი მის, რაც 1635 წ.იყო. მაშ რა იქნა ეს ამდენი ქართველი ერი?– კითხულობს ზ.ჭიჭინაძე და დასძენს – ოსმალეთის მთავრობამ და მათმა მახვილმა შეჭამა იგინი. დღეს ჯავახეთის ერი არც ოსმალთთვის არსებობს, არც თავის თავისთვის, გურჯისტანისთვის, იგინი გაქრნენ უმეცრების და ფანატიკობის წყალობით, ამათ მათი მთავრობაც ნატრობდა. ამ გაქრობის მთავარი მიზეზი ის არის, რომ 1828 წ. ჯარებმა ჯავახეთი და მესხეთი აიღეს, ეს ალება ქართველ მაჰმადიანებს ისე ეჯავრათ, რომ ვერ მოითმინეს, ოსმალთს მთავრობას გაჰყვნენ უკან“ (ჭიჭინაძე, 1913: 217). „1801 წლიდან, როდესაც „საქართველოს ქართველი ბატონის მაგივრად რუსი მეპატრონე გაუჩნდა“, მდგომარეობა საგრძნობლად შეიცვალა. თუ სულთანის ქართველობის გადაგვარებას ადგილზე ქართველთა გამაჰმადიანებით ახერხებდა, რუს მეპატრონეს ქართველთა ძირ-ფესვიანად ამოძირკვა და აქ სხვა ეთნოსების დასახლება ჰქონდა გადაწყვეტილი. XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან ქართველ მაჰმადიანთა შორის თანდათან ფეხს იკიდებდა ეროვნული ნიჰილიზმი“ (ლომსაძე, 1995: 5). მაჰმადიანი ქართველების გათურქებისა და მიგრაციის პროცესში რუსეთის იმპერიის წილს ხედავს პროფ. რ.თოფჩიშვილიც: „მე-19 საუკუნეში ცარიზმის მიერ ჩატარებული აღწერებიდან კარგად ჩანს „თათრებად“ ჩაწერილი მოსახლეობის ქართული წარმომავლობა,

ხშირ შემთხვევაში კი მათი ადრინდელი ქართული გვარებიც. აშკარაა, რომ ქართული სახელმწიფოებრიობისაგან მოწყვეტამ, რელიგიის შეცვლამ ქართველთა დენაციონალიზაცია გამოიწვია. დენაციონალიზაცია კი ძალიან სწრაფად, ორ-სამ თაობაში მოხდა“ (თოფჩიშვილი, 2013: 60). პასკევიჩმა იმისათვის, რომ დაეჩქარებინა ქართველი მაჰმადიანების გასახლება მესხეთიდან, თვითნებურად მისცა აქაურ ბეგებს მამულების გაყიდვის უფლება, თუ ისინი სასწრაფოდ თურქეთში გადასახლდებოდნენ. ქართველ მაჰმადიანებს ექცეოდნენ, როგორც თურქებს, ავიწროებდნენ, უქმნიდნენ ეკონომიურ და რელიგიურ წინააღმდეგობებს. გამაჰმადიანებული და ფანატიზმით გაბრუნებული მოსახლეობა მტრის ანკესზე წამოეგო, ბევრი მათგანი მართლაც აიყარა და თურქეთისაკენ მიმავალ გზას დაადგა (იველაშვილი, 2015: 112). მაგრამ იყვნენ ისეთებიც, რომლებიც ანალიზებდნენ შექმნილ მდგომარეობას. მაგალითისათვის, 1919 წლის 4 აპრილის საქართველოს დამფუძნებელი კრების სტენოგრაფიულ ანგარიშში იკითხება **ოსმან-შაფეი-ეფენდი მიქელაძის** სიტყვა, სადაც აღნიშნულია, რომ „ოსმალეთის ფაშები ცდილობენ ახალციხის მაზრიდან მუსულმანი ქართველების მოწყვეტას, ეს კი იმის ნიშანია, რომ საქართველოს ისტორიულ მტრებს არ სძინავთ. თქვენ იცით, ბატონებო, რომ სამუსლიმანო საქართველოს განთავისუფლების საქმეში ბევრი ხელშემშლელი ჰყავს. არტაანი, ყარსი, დენიკინი, ყველა სცდილობენ, რომ ბათუმი და ახალციხე ჩვენ ჩამოგვწყვიტონ. თვით ხალხი ახალციხისა და აჭარისა კი ამბობს, რომ ის საქართველოს ვერ დაშორდება (ივანიძე..., 2008: 148). მაჰმადიანი ქართველების ოსმალეთში გადასვლას ადასტურებს 1886 წლის საოჯახო სიები. თითქმის მთლიანად დაცლილა ზოგიერთი სოფელი; კლდის სასოფლო საზოგადოების სოფლებიდან 58 კომლი გადასახლებულა თურქეთში, ურავლის სასოფლო საზოგადოების სხვადასხვა სოფლიდან – 37 ოჯახი; 1873 წელს სოფელ დობიეთიდან ერთი კომლი წასულა, 1896 წელს სოფელ ზურხველიდან – 4 კომლი, 1887 წელს სოფელ ახაშენიდან – 2 კომლი და ა.შ. (თოფჩიშვილი, 2013: 63). 1933 წლისათვის, როდესაც ნ.ბერძენიშვილმა ჯავახეთში იმოგზაურა, ადგილობრივი მუსლიმი ქართველები მხოლოდ სამ სოფელში შეხვედრია: ოკამში, თოქსა და ქილდაში.

მართალია, ქართული იდენტობის აღმოფხვრას ოსმალეთის იმპერია მიზანმიმართულად ცდილობდა, მაგრამ ქართული ვინაობა და მესხური საზოგადოების მთლიანობა ბოლომდე მაინც არ დარღვეულა. ამის დასტურად ა.ჯოხაძეს მიაჩნია: ა) 1816 წელს იმპერიის მარწუხებისგან მესხეთის გამოსხნის მიზნით საყოველთაო-სახალხო აჯანყება და ბ) ისლამის დატოვების და

ქრისტიანობაზე გადმოსვლის წინადადება, რომლითაც სამცხის ელიტამ პეტერბურგს მიმართა. „გათურქულენოვანების გზაზე შემდგარ ელიტას არც თავისი წარმომავლობა და ვინაობა დაგიწყებია (თაობიდან თაობაში ინახავდნენ აზნაურული და მაშასადამე, ქართული წარმოშობის მამტიციცებელ სიგელ-გუჯრებს) და არც ისლამზე ყოფილა თავგადაკლული. მით უმეტეს ასე იყო ქვედა ფენების შემთხვევაში. სამცხის გლეხობა ოსმალურ პერიოდში არც ენობრივად გადათურქებულა და ისლამიც გვიან, XVIII საუკუნის მეორე ნახევარში აღიარა. თურქული ენის ინტენსიური გავრცელება ქვედა ფენებში რუსულ პერიოდში დაიწყო“ (ჯოხაძე, 2013: 25). კ.ბარათაშვილი არ იზიარებს გავრცელებულ აზრს იმის შესახებ, რომ სამცხე-ჯავახეთის გლეხობა უფრო მტიციცედ იცავდა ქართულ ეროვნულ ცნობიერებას და ამის საილუსტრაციოდ მოჰყავს საოჯახო სიები, რომლებშიც მითითებულია ალაღარებისა და ბეგების (პრივილეგირებული ფენების) ქართული გვარები: **ერისთავი** (ადიგენი), **ამილახვარი** (ზაზალო), **მაჩაბელი** (შალოშეთი), **ყიფიანი** (აწყური), **ავალიანი** (ჭარალი), **სანიკიძე** (შოლავერი)... საქმე ის გახლდათ, რომ წარჩინებულები ფლობდნენ საბუთებს მიწისა და სხვა საკუთრების უფლებების შესახებ, მათში კი დოკუმენტირებული იყო მფლობელთა გვარები. მაგალითად, 1886 წელს ბეგი მაჩაბლები სოფელ შალოშეთში მიწის მფლობელები არიან, 1890 წლიდან ისინი ახალციხის მაზრის მიწათმფლობელთა სიებში მოიხსენებიან, ხოლო 1890 წლიდან ფლობენ მანუფაქტურულ საწარმოს (ბარათაშვილი, 1997: 10). ცნობილია, როგორ გააღიზიანა ახალციხის გათავისუფლების შემდეგ მთავარსარდალი პასკევიჩი **ციციშვილების, ავალიშვილების, გოგორიშვილების, მუსხელიშვილების** და სხვა ქართველი თავად-აზნაურების წარდგენილმა ძველმა სიგელებმა (წყალობის წიგნებმა) მესხეთში მიწების მფლობელობის (რომლებიც ქართველ მეფეთა მიერ იყო გაცემული) შესახებ და ამ მიწებზე უფლებების აღდგენის თხოვნამ და უარით გამოსიტუმრა ისინი.

მ.ბერიძის აზრით, ქართულ გვარებზე მიტანილი იერიშის მაგალითებია 1930-იანი წლების ბოლოსათვის ტიპური სახელდებიდან (რომლებშიც ჩანს, რომ გვარი ქართულია, სახელი ჩვეულებრივ თურქული და მამის სახელი უკვე თურქული კონსტრუქციით წარმოდგენილი): **მუხაშვილი** მავლუდ ალიოღლი, **ომარაშვილი** ალაღია ასრათოღლი, **ცეკვიაშვილი** შაქარ საფარ ოღლი (ხელნაწერი №1082), **თანდათან** ჩამოცილებული ქართული გვარი და დარჩენილი ასრათოღლი, **საფაროღლი**, **ალიოღლი**... (ბერიძე, 2009-1: 35). ზოგჯერ გვარსახელს ქართულ დაბოლოებას არ ჩამოაცილებდნენ და თურქულ „ოღლის“ მიუმატებდნენ, რაც აღწერებშიც (1886წ.) არის დაფიქსირებული: ბაძაძე-ოღლი

(ზედა ოშორა), მახარიძე-ოღლი (მოხე), ტატიძე-ოღლი, კიკნაძე-ოღლი (კლდე)... (ბარათაშვილი, 1997: 11). რაც შეეხება ქართულ გვარსახელებს, რომლებიც დღემდე ფიქსირდება დეპორტირებულთა შორის, მკვლევართა ერთ ნაწილს მენშევიკური საქართველოს (1918-1921 წწ.) ხელისუფალთა იძულების შედეგად მიღებულად მიაჩნია, ხოლო სხვები (სვერდლოვი, იუნუსოვი) აქ კომუნისტური საქართველოს (1938წ.) მესვეურთა და ქართველი ინტელიგენციის იძულების კვალს ხედავენ, ამიტომ წყაროების უგულებელყოფით და ქართული ანთროპონიმებისათვის თურქული ჟღერადობის მიცემით ცდილობენ ცალკეული ისტორიული პირების თურქული წარმომავლობის მტკიცებას: მზეჭაბუკი – მირზა ჩაბუკი, ყვარყვარე – კორკორე და ა.შ. (ჯანიაშვილი, 2013: 70). მაჰმადიანი მესხების წარმომავლობის გაბუნდოვანების მოსურნეებმა არც კი იციან, რომ თურქად დაფიქსირებულნიც კი ხშირად ქართულ გვარს გულისხმობენ; აბა, რას უნდა ნიშნავდეს სარაჯ-გილი (< სარაჯიშვილი) და ხუცი-გილი (< ხუციშვილი), თუ არა იმ პროფესიებიდან მომდინარეობას (ხუცესი, სარაჯი), რომლებიც მაჰმადიანურ სამყაროში არ გვხვდება (თოფჩიშვილი, 2005: 273). კ.ბარათაშვილის დაკვირვებით, 1886 წლის საოჯახო სიებში სამცხე-ჯავახეთის მუსულმან მოსახლეობაში სამასზე მეტი გვარია დაფიქსირებული, ხოლო გ.მამულიას ცნობით, დეპორტირებულ მოსახლეობაში 1094 ქართული გვარი გვხვდება (ჯანიაშვილი, 2013: 72).

საგადასახადო სისტემა ოსმალეთის ბატონობის პერიოდში ითვალისწინებდა შეღავათს, თუ სარწმუნოებას შეიცვლიდა ქრისტიანი კაცი, ამასთან საჭირო იყო სახელის შეცვლაც. გვარის შეცვლის პრობლემა თავიდან საერთოდ არ იდგა. სამომავლოდ მამის სახელით, უკვე თურქული სახელით მოიხსენიებდნენ მასაც და მის შთამომავალსაც. გამაჰმადანებულ თაობას მამის სახელს არ სთხოვდნენ, რადგან ასეთ შემთხვევაში მამის სახელად ქართული სახელი იქნებოდა, რაც არ აძლევდა ხელს ოსმალეთის ხელისუფლებას, მხოლოდ სახელითაც იოლად გადიოდნენ, ვიდრე მისი შთამომავალი არ მიიღებდა მამის სახელად „თათრულ“ ვარიანტს (ბერიძე, 2009-1: 115). მ.ბერიძე ზემოთნათქვამს ადასტურებს ს.ჯ.ი.მ.ხელნაწერი №4002:8-ის ერთი დოკუმენტით, სადაც ნათქვამია: „მუსხიდან გათათრდნენ თომაანთ თორომანი, სიმონ მაისურაძეს დაარქვეს უსეინაი, ხოლო ქურდაძეს სვილეიმანაი, ისიდორ ქურდაძეს – ალიაი, ქიტე ქურდაძეს – იბოი...“. ინფორმატორთა მესხიერებაში შემორჩენილია, რომ მაჰმადიან მესხებს უხმობდნენ სახელებით: ნუსიაი, გულხანუმაი, ესმაი, ხანუმაი, ნანიანი, კუკლაი, შვეირათაი, ვომარაი, ხაიალაი... ერთს ჯაბარ ჯაბაროვი ერქვა, ჰეიდარ

ჯაბაროღლიც იყო, ე.ი.ჯაბარას შვილი, თუ მამამის ჯაბარაი ერქვა, გვარი არ აქვს (იხ. ინფ. ტექსტები).

ოსმალეთი ორმხრივ ახერხებდა ბრძოლას. უპირველესი იყო სამხედრო ექსპანსია, ხოლო ეკონომიკური წახალისება, რაც რჯულის შეცვლით მიღებულ პრივილეგიებში მდგომარეობდა, აძლევდა მას საშუალებას, რომ „გათათრებინა“, ე.ი. სახელიც კი შეეცვალა ქართველისათვის, რასაც ბუნებრივად მოსდევდა შემდეგ საკუთარი გვარისა და ეროვნების შეცვლა (ბერიძე, 2009-1: 89). „გათათრება“ თავიდან თითქოს არაფერს ცვლიდა ადამიანის ცხოვრებაში, უბრალოდ, ის მოინათლებოდა მაჰმადიანად, მიიღებდა შედავათს გადასახადებში, მაგრამ ძმა ძმად, ქართველად რჩებოდა, ენა ქართული ჰქონდა, ურთიერთობები ძველებური რჩებოდა. ბოლომდე არავინ უშლიდა ქრისტიანულ დღესასწაულებში მიეღო მონაწილეობა. მთავარი მოვლენები შემდეგ ვითარდებოდა, როდესაც მის შვილს გვარის ოსმალურ ან აზერბაიჯანულ დაბოლოებას მოსთხოვდნენ და თურქული ენის ცოდნაც აუცილებელი შეიქმნებოდა (ბერიძე, 2009-1: 91).

„გათათრება“ რომ მხოლოდ ეკონომიკური ზეწოლით არ ხდებოდა, იყო ძალადობაც, მუქარაც, ამის დასადასტურებლად ვასო ასპანიძის მონათხოვბიც საკმარისია მ.ბერიძის წიგნში „პირდაპირი რეპორტაჟები წარსულიდან“ (ბერიძე, 2005-1: 139).

„ვინც გაათათრდა, სახელმწიფო ხარჯისაგან გაანთავისუფლეს, ხოლო ვინც არა, იმას ერთი ორად შეაწერეს. მალე თავად-აზნაურნიც შეისყიდეს და თავადობაც და აზნაურობაც მოსპეს. თავადებს ბეგობა მისცეს, აზნაურებს – ალაობა. სხვადასხვა საჩუქრებით მოინადირეს და აღუთქვეს – რამდენ კაცსაც გაათათრებთ, იმდენ ალთუნს მიიღებთო. თავად-აზნაურობის გაათათრების შემდეგ სამღვდელოებას მიჰყვეს ხელი და დაუწყეს გაათათრება“ (ჭიჭინაძე, 1913: 131). „თათარი რო შემოდოდა, ჩვენი ხალხი გარბოდა, ვერ უძლებდა. ეს ქრისტიანობა რო დარჩნენ, დიდი გადასახადი ჰქონდათ, მაგრამ გაუძლეს ამ ხალხმა და ი რომელი თათარიც, რო ვამონთ გვილიაი, მაგალითად, ვერ გაუძლეს და გაათათრდნენ, რადგან მაგათ გადასახადი არ ჰქონდათ. ეგბნეოდნენ: გაათათრდები – არ გადაიხდი, არადა – უნდა გადაიხადო“ (ინფ. რობიზონ მელიქიძე). რწმენის შეცვლა არ იყო არჩევანი ან მისი რელიგიური შეხედულების საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილება, ეს იყო დიდი ტკივილისა და ძალდატანების ნიადაგზე შეცვლილი სარწმუნოება, – წერს მ.ბერიძე (ბერიძე, 2009-1: 4).

1901 წელს ვედენბაუმი ურჩევდა რუსეთის ხელისუფლებას, აღარ გაემეორებინა ის შეცდომა, რომელიც 1928 წელს ახალციხის მაზრაში შესვლის

დროს ჩაიდინა, როცა გამაჰმადიანებული ქართველები ოსმალებად ჩათვალა, ლაპარაკიც ოსმალური დაუწყო, შედეგად კი ის მიიღო, რომ ქართული ენა უკვალოდ გაქრა, ხოლო ხელისუფალნი შიშის ქვეშ არიან – ოსმალეთთან ომის დროს ვაი თუ ჩვენმა მოსაზღვრე გამაჰმადიანებულმა ხალხმა გვიდალატოსო. „(ქართული) ენის დავიწყებასა და „ქართველი“ სახელის გათახსირებას ეხლაც დიდად ვუმართავთ ხელს, როცა აწყურის სკოლის მასწავლებლებად ყირიმიდან იწერენ ყმაწვილ კაცებს, რომლებიც ისე სდევნიან ქართულ გვარებს, როგორც მშიერი მგლები პირუტყვსა...“ (საითიძე, 2016: 6-7). საბჭოთა რუსეთი ოთხი ათეული წლის შემდეგ დადგა იმ ფაქტის წინაშე, რომელზეც ვედენბაუმი აფრთხილებდა, „იძულებულნი ვართ, ოსმალეთთან ომის დროს, შიშის ქვეშ ვიყვნეთ – ვაი თუ ჩვენმა მოსაზღვრე გამაჰმადიანებულმა ხალხმა გვიდალატოსო.“ განგაშის ზარების შემოკვრა გვიანი აღმოჩნდა. დაუგვიანდა ახალციხის რაიკომის მდივან გიორგი კირვალიძის წერილსაც ხელმძღვანელობის მიმართ, რადგან უკვე დამდგარიყო 1944 წელი: „საჭიროა და დროულად მიმაჩნია, რომ იწერებოდეს ყველა ქართული გვარები, რომლებიც დღემდე შენარჩუნებულია გამაჰმადიანებულ ქართველებში, ამასთანავე ეროვნება იწერებოდეს „ქართველი“ „თათრის“ ან „აზერბაიჯანელის“ მაგივრად და აღნიშნული ღონისძიება ჩატარდეს არა მარტო ახალციხის რაიონში, არამედ ყველა მესხეთ-ჯავახეთის რაიონებში“ (კირვალიძე, 1989: 61).

მაჰმადიან მესხთათვის სახელის შეცვლა და შემდეგ გვარის შეცვლა იწვევდა ქართული ცნობიერების რღვევას, ერთი კულტურიდან მეორე კულტურაში გადაბარგებას, გვართა ქართული სტრუქტურიდან აღმოსავლურ ოსმალურ-აზერბაიჯანულ სტრუქტურაზე გადასვლას. მესხი შეჩვეული იყო გვარს, ახალი სისტემა ვერ აკმაყოფილებდა გვარის ქონის მოთხოვნას. ძველი ქართული გვარი აეკრძალა მას, მისი მოხმარების უფლება წაერთვა. გამოსავალი მოიძებნა სხვაგვარად: მაჰმადიანმა მესხებმა ნამდვილი გვარები დაკარგეს, მაგრამ არ დაკარგეს გვაროვნული სახელები ანუ მეტგვარები და შტოგვარები (ბერიძე, 2009-1: 117). „ქიმ განაყოფ?“ (ვისი განაყოფი ხარ?) – საგინაათი! ახალი საბჭოთა გვარების მიღების მიუხედავად მესხები გადასახლებაშიც, ძირითადად, განაყოფებით სცნობენ და იხსენებენ ერთმანეთს (ბერიძე, 2009-1: 111). გასახლებული მაჰმადიანი ქართველების განაყოფთა სახელები ახლაც ახსოვთ ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფლებში. ესენია: იაღმურიენი, ჭადიენი, ჭუკიენი, ბოზვიენი (< ბოზო), მოლიენი (< მოლა), რეშიდიენი, ჭიანურიენი... ამ სახელებს საუკუნო სიცოცხლე დაუმკვიდრა ტოპონიმებმა: რეშიდიენტო ყანა, იაღმურიენტო ყანები და ა.შ.

საბჭოთა პერიოდში ქართველ მაჰმადიანთა საბოლოო გაუცხოებაში განსაკუთრებული როლი შეასრულა არაქართულმა სკოლამ. თურქულ-აზერბაიჯანული განათლების მიცემამ საბოლოოდ მოათავა დაწვებული საქმე: მასიური ხასიათი მიიღო ენის დაკარგვის დაჩქარებამ. თურქული ენის დიალექტი, რომელზეც საუბრობდნენ მესხები, უფრო ახლოს იყო აზერბაიჯანულ ენასთან. თავად აზერბაიჯანის სიახლოვეც მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო, რადგან საბჭოთა პერიოდში კავშირი თურქეთთან შეწყდა და თურქეთის ადგილი დაიკავა აზერბაიჯანმა, ამიტომ XX საუკუნის 20-30-იან წლებში მაჰმადიან მესხებს მასიურად მისცეს აზერბაიჯანული სკოლები (ბერიძე, 2009-1: 105-110). ამან ის შედეგი გამოიღო, რომ გამაჰმადიანებული მესხებისათვის თურქული ენა იქცა მშობლიურად და ახლაც დეპორტირებულ მესხთა უმრავლესობა თვლის, რომ მათი სამშობლო საქართველოა, მშობლიური ენა კი – თურქული (ფირცხალავა, 2013-2: 191). 1916 წელს სოფელ ღრელის მცხოვრებნი „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ უგზავნიან თხოვნას ქართული სკოლის გახსნის თაობაზე: „ჩვენს სოფელ ღრელში ირიცხება სულ 40 კომლი, ამათგან მართლმადიდებელი ქართველი გლეხი 35 კომლია, დანარცენი კი ქართველი მაჰმადიანია. გარს არტყია ჩვენს სოფელს ქართული მაჰმადიანური სოფლები: მინაძე, ოხერა, ქისათიბი, ანდა და სხვა. რადგან, როგორც ჩვენ, მშობლებს, ისე ჩვენ შვილებს აქ ქართველ მამადიანებთან გვაქვს მისვლა-მოსვლა, იმის გამო ჩვენ ქართული ლაპარაკი სულ დავივიწყეთ და ამ ჩვენი მეზობლების წყალობით გადაგვარების გზაზე ვდგავართ. ამის გამო ჩვენ ისეთ არეულ ქართულს ვლაპარაკობთ, ჩვენსას სხვა ნამდვილი ქართველი ვერც კი გაიგებს. სიღარიბის გამო შვილები სხვაგან ვერ წაგვიყვანია სასწავლებლად. გთხოვთ შეხვიდეთ ჩვენს უზომო გაჭირვებულ მდგომარეობაში და გაგვისხნათ ჩვენს სოფელში ქართული სკოლა და ამით იხსნათ გადაგვარებისაგან ჩვენი შვილები“. მოსე სუდაძის, იორდანე მურვანიძის, ოსმან სელიმოღლის, ისმაილ ალი-ოღლის და სხვათა მაგიერ, რადგან წერა არ იციან, ხელს აწერს მათე პანდაგაკოვი (სუდაძე, 1998: 64-65).

საყურადღებოა ერთი ფაქტი, რომელზეც მიუთითებდა XX საუკუნის ათიან წლებში ზ.ჭიჭინაძე, „დღემდე ამ ენას აქეთ (ქართულ ენას მესხეთში) განსაცდელი ადგა, დღეიდან კი ეს განსაცდელი მას მოსცილდა, ვინაიდან ოსმალის სასულიერო წოდების გავლენაც საკმარისად დასუსტდა, დღეის შემდეგ უეჭველია ქართველ მაჰმადიანთა შორის ქართული ენა კვალად აღსდგება. ამ აღდგენას სხვათა შორის ხელს უწყობს ახალციხის ქართველ ურიების ქართული ენის ხმარება, ასევე ქართველ კათოლიკეების და სხვათა,

რომელნიც მკვიდრად ფლობენ ქართულ ენას და რომელნიც ქართველ მაჰმადიანებს ამ ენით ელაპარაკებიან და არა ისე, როგორც შიშიანობის გამო მათ წინაშე ქართულად ხმას ვერავენ გასცემდა, ამისი ყველას ეშინოდა, ნამეტურ ოსმალოს მთავრობის დროს. დღეს კი ეს ისე აღარ არის, აქ ამ ენის ხმარების არავის ეშინიან. ეს ენა გავრცელდა თვით არზრუმიდან გადმოსახლებულ სომხებში. 1870 წლამდე მესხეთსა და ჯავახეთში ქართული ენა სომხურმა ენამ კინაღამ დასცადა, რადგანაც ამ ორს კუთხეში სომეხთა რიცხვი სამოცი ათასამდე არის, სადღეისოდ კი ამ კუთხეებში ქართული ხმაურობა დაწინაურდა, ასე რომ აქეთ უქართულ ენოდ კაცი ვერ იცხოვრებს და უსომხუროდ კი შეიძლება, ასევე უთათრულოდ. უქართულოდ კი არა იქნება რა (ჭიჭინაძე, 1913: 215). აი, რას ვერ გაუფრთხილდა იმროინდელი ხელისუფლება.

XX საუკუნის დასაწყისისათვის უქართულოდ ვერც კი წარმოედგინათ მაჰმადიან ქართველებს ცხოვრება, 20-30-იან წლებში კი აზერბაიჯანული სკოლები მოახვიეს თავს.

ახალციხის რაიკომის მდივანი ზეინალოვი მოითხოვდა კრებების ქართულ ენაზე წარმართვას იმის გამო, რომ მოსახლეობას უჭირდა აზერბაიჯანული თურქულის გაგება. სოფელ ხერთვისის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე ხალის თუთაძე (მიუხედავად იმისა, რომ „გათურქებული“ იყო) თბილისში კურსებზე ყოფნისას, თურქულ ჯგუფში ჩარიცხული, ვერ შეძლებს სწავლას აზერბაიჯანულ-თურქულად და მიატოვებს კურსებს (ბერიძე, 2005-1: 113).

XX საუკუნის დასაწყისში ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებში მომრიგებელ-მოსამართლედ მომუშავე ა.ფრონელი „ცნობის ფურცელში“ აქვეყნებს რეცენზიას ცნობილი რუსი მოხელის ე.ვედენბაუმის წიგნზე („კავკასიური ეტიუდები...“) და იზიარებს ავტორის აზრს, რომ 1878 წლის ომით შემოერთებული მხარის შემომტკიცებისათვის უმნიშვნელოვანესია ქართული ენის გამოყენება ადგილობრივ მცხოვრებლებთან ურთიერთობისას, რომ აუცილებელია ოფიციალური ენა გახდეს ქართული. ე.ვედენბაუმის განმარტებით, „ქართულის დავიწყება მაშინ დაიწყო, როცა ოსმალეთის მფლობელობის დროს, მთავრობის მოხელეობამ ხალხს ოსმალურად დაუწყო ლაპარაკი და ზიზღით უყურებდა ქართულს, როგორც არამუსლიმანურს ენას... თვით სახელწოდება ქართული სასირცხვილოდ შეიქმნა... ქართული ენის აღდგენა განაახლებს ხალხის მესხიერებაში ჯერ კიდევ არ ჩამქრალის მოგონებას საქართველოს ერთობისას. მკვიდრნი ზნეობრივ საქართველოსაკენ დაიწყებენ ლტოლვას, ისე როგორც ახლა მიიღტივან ოსმალეთისაკენ, რომელთანაც მათ ენა და სარწმუნოება აერთებთ. გარდა ამისა, ისიც უნდა ვიქონიოთ სახეში, რომ

ხალხის წარმოდგენით და გონებით ოსმალური ენა და მუსლიმანობა განუყრელია და ერთსა და იმავესა ნიშნავს, როგორც ქართული ენა და ქრისტიანობაა განუყრელი ხალხის გონებაში“ (საითიძე, 2016: 6).

მაგრამ ცარიზმის მოხელენი იმის ნაცვლად, რომ გაეთვალისწინებინათ ვედენბაუმის წინადადება, სამცხის უკვე გამუსლიმებული მოსახლეობის ლინგვისტურ გათურქებას ესწრაფოდნენ (ლინგვისტური გათურქება გამოყენებული აქვს ა.ჯოხაძეს, დასახ. ნაშრ.), რათა ხელი შეეწყოთ მეზობელი იმპერიისაკენ გამუსლიმებულ მესხთა მიგრაციისათვის, რომ გამოთავისუფლებული მიწები სახაზინოდ გამოეცხადებინათ და ზედ სომეხი და რუსი კოლონისტები დაესახლებინათ, ამისათვის: ამკვიდრებდნენ აზერბაიჯანულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს, თეატრსა და მედიასაშუალებებს... „მრავალწლიანი რუდუნების შედეგად საქმე იქამდე მიიყვანეს, რომ დეპორტაციის მომენტისათვის მესხების ნაწილი ქართულ ენაზე ვეღარ ლაპარაკობდა. მართალია, მომეტებული ნაწილი ჯერაც ქართულად მეტყველებდა, მაგრამ რელიგიური განსხვავებისა და სახელმწიფოს მხრიდან თურქული იდენტობის მოხვევის მცდელობის გამო, მესხები, მთლიანობაში, თავს დანარჩენი ქართველებისაგან უკვე დისტანცირებულად განიცდიდნენ. თქმული იმას მაინც არ ნიშნავს, რომ მათ ქართველობის შეგნება გაუქრათ. ენობრივი გადათურქებისა და ისტორიული მესხიერების წაშლის ხანგრძლივი მცდელობის მიუხედავად, მესხები თავს მაინც ავტონომურ ხალხად თვლიდნენ და დღესაც ასე თვლიან“ (ჯოხაძე, 2013: 28). 1919 წლისათვის ახალციხეში დროებით მცხოვრები პატრი შალვა ვარდიძე აანალიზებს რა შექმნილ ვითარებას, თვლის, რომ დაუყოვნებლივ უნდა გადაწყდეს სწავლების საკითხი, უნდა გამოიგზავნოს მასწავლებლები, ჟურნალ-გაზეთები (ივანიძე..., 2008: 101).

ა.ფრონელი ქართული ენის დაჩაგვრას, პატივყრას და გამოუსადეგარობას სამცხე-საათაბაგოში მიაწერს რუსების მართვა-გამგეობის დროს სკოლებში, სასამართლოსა და პოლიცია-ადმინისტრაციაში მისი ხმარებიდან ამოღებას. „თოღერთასა და უთხისუბანში მოხუცებულები კიდევ ლაპარაკობენ ქართულს, ხოლო ყმაწვილკაცობა სრულებით აღარ ეტანება“ (ფრონელი, 1991: 135).

ზ.ჭიჭინაძის მონაცემებით, მესხეთი იყო მჭიდროდ დასახლებული, აქ ქართველთა რიცხვი ნახევარი მილიონი იყო, „ნახევარზედ მეტი აქ მცხოვრებნი – ქართველთა მაჰმადიანები, ყველგან ამათ ქართული ენა დატოვებული აქვსთ. ზოგს ალაგას ეს ენა მათ იციან, მაგრამ იქაც იდევნება, მოღები და ხოჯები სცდილობენ, რომ მათ მალე დაავიწყონ ქართული ენა“ (ჭიჭინაძე, 1913: 213). მისივე ცნობით, XX საუკუნის დასაწყისში ქართულად მოლაპარაკე ქრისტიანი

ქართველებით დასახლებულ მესხურ სოფლებში დასახელებულია: **დადეში** (43 კომ. ქართ. მოლაპარაკენი), **ზედა თმოგვი** (40 კომლ. ქართ. მოლაპ.), **კუცნა** (ქუნცა) 15კომლ. ქართ. მოლაპ.), **სოკეთი** (როკეთი) 16 კომლ.ქართ. მოლაპ.), **ტოლოში** (24 კომლ. ქართ. მოლაპ.), **ქობარეთი** (ჭობარეთი; 36 კომლ. ქართ. მოლაპ.), **ერკოტა** (4კომლ. ქართ. მოლაპ.). „მუსულმან ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში“ გვამცნობს, რომ ქართული ენის მცოდნე ქართველი მაჰმადიანები მესხეთის ათამდე სოფელში ცხოვრობენ, ხოლო დანარჩენ სოფლებში ისეთი ქართველი მაჰმადიანები, რომელთაც „ქართული ენა დაკარგული აქვს“.

XX საუკუნის 30-იანი წლების ბოლოს ს.ჯანაშიასა და პინგოროყვას ინიციატივით მუშავდებოდა პროგრამა, რომლის მიხედვითაც ქართველ მუსლიმთა შვილებს აზერბაიჯანულის ნაცვლად ქართულ სკოლებში უნდა ესწავლათ (ჯანიაშვილი, 2013: 59). ამ პერიოდისათვის ასპინძის რაიონში ყოფილა ოთხწლიანი სკოლები: 11 ქართული, 6 ქურთული და 34 თურქული. ქართულ სკოლებში უსწავლია 792 მოსწავლეს, ქურთულში – 199-ს და თურქულში – 1733-ს. გარდა ამისა, ყოფილა მაღალი საფეხურის 5 ახალგაზრდული სკოლა, მათ შორის ხიზაბავრაში, სადაც 236 ბავშვს (მათ შორის პაპაჩემს, მამის მამას, პავლე იაკობის ძე მელიქიძეს – ნ.მ.) ქართულ ენაზე 11 პედაგოგი ასწავლიდა. ტამალაში 244 მოსწავლეს 6 პედაგოგი ამეცადინებდა და სწავლება ქართულ, რუსულ და სომხურ ენებზე მიმდინარეობდა. ნიალაში, ქვემო ოშორასა და რუსთავში თურქულ ენაზე უსწავლია 583 მოსწავლეს, ჰყოლიათ 13 პედაგოგი (ა.რ.ა. ფონდი №215).

ქართულის მისუსტებულ მაჯისცემას მტკივნეულად განიცდის ახალციხის მომრიგებელ-შუამავალი: „თითოთ დაითვლება იმათი სახელი და გვარი, ვინც ამხანად (XXს. დასაწყისი) ლაპარაკობს სუფთა ქართულს: ჰამიდ-ბეგი ავალიშვილი, რომელმაც ქართული წერა-კითხვაც იცის, ორიოდე **თულაშვილი**, ორიოდე **წერეთელი**, მორჩა და გათავდა. **ერისთავიანთ**, **მაჩაბლიანთ**, **ხიდირბეგიანთ** სრულებით აღარ იციან ქართული. ზოგ-ზოგი მათგანი ამტკრევს საყველპურო ქართულს, მაგრამ ასეთი ცოდნა ცოდნად არ ჩაითვლება. აქ ჩამოთვლილ ბეგებს კარგად ესმით, რომ ქართველები არიან, აღარ უარობენ და აღარა სწყინთ ქართველობა, მაგრამ უქართულობა დიდად უშლით ხელს, საჭირო კავშირი იქონიონ დანარჩენ ქართველობასთან (ფრონელი, 1991: 134). ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით, პრივილეგირებული საზოგადოება წვეულებებსა და შეკრებებზე თავს იწონებს თათრულით, ხოლო შინაურობაში ქართულად მეტყველებს. „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ მოგვითხრობს: „აწ მთავარნი

და წარინებულნი არიან მაჰმადიანნი და გლეხნი ქრისტიანენი, არამედ კლარჯეთს გლეხნიცა უმეტესნი მაჰმადიანნი. გარნა ვინანიცა არიან ქრისტიანენი, იგინიცა უმწესელნი არიან, ვინაითგან არღარა რაისა მორჩილებენ ქართლის კათალიკოზსა და ბერძენთა არა სცალის მათთვის. ამისათვის უეპისკოპოსნი და უხუცონი არიან. ენა საკუთარი აქუსთ იგივე ქართული. გარნა წარჩინებლნი ნადიმთა და კრებულთა შინა უბნობენ აწ თათრულსა და თვისთა სახლებთა ანუ ურთიერთის მეგობრობათა შინა იტყვიან ქართულსავე“ (ვახუშტი, 1973: 660-661).

ქრისტიან მუსხელებთან გამოლაპარაკებულ ალექსანდრე ფრონელს, რომელიც საყვედურობდა: რა ცხერის ფარასავით შეფენილხართ მწირსა და გატრუსულ გორებსა და ხრიოკებზე, რატომ თვალი არ გაახილეთ და ეს ნაღებივით მსუქანი ველი (რუსთავის ველი) არ დაიჭირეთო; მიუგეს: „ბარემ თვალი ჩვენც გვეჭირა, მაგრამ ვინ გვადირსა. წინათ, თათარი რომ გვეძალებოდა, თხუნელასავით სოროებში ვძვრებოდით, მზეზე გამოსვლა უბედურებას გვაყენებდა. ცოლ-შვილს ისე გვტაცებდნენ, როგორც ქორი წიწილებს. იმ უბედურ დროს ქრისტიან ქართველს მხოლოდ კლდეცა და ღრეში თუ შეეძლო სულის მობრუნება, თორემ როგორ გაბედავდა შარაგზის პირას ბინა გაეჩინა. რუსობა რომ შემოვიდა და აშკარად ქრისტიანობა დავიწყეთ, ვითხოვეთ რუსთავის ველი, მაგრამ ჩინოვნიკებმა უარი გვითხრეს“ (ფრონელი, 1991: 24).

1932 წელს გ.ბოჭორიძე სამცხე-ჯავახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შემდეგ განათლების კომისარიატის სასკოლო სექტორის გამგეს წერდა: „სხენებულ კუთხის (მესხეთი) მემკვიდრენი არიან ქართველნი (მესხნი). მათი ერთი ნაწილი ქართველებად იწოდება (ქართველი ქრისტიანები), ხოლო მეორე ნაწილი, სარწმუნოების გამო – თათრებად (ქართველი მაჰმადიანები). ამ უკანასკნელთა უდიდეს ნაწილს დროთა ვითარებაში ქართული ენა დაუკარგავს, ხოლო მეორე ნაწილს კი დღევანდლამდე შემოუნახავს... დღეს არის მთელი სოფლები, რომელთაც ქართული ენა თავის საოჯახო ენად აქვთ; თორმეტი ასეთი სოფელი ერთ ჯგუფად სახლობს, სხვა ცალ-ცალკე; ამ ჯგუფ სოფლებში თურქული ენა იციან, ეს მხოლოდ კაცებმა, მანდილოსნებმა და ბავშვებმა კი ეს ენა სრულებით არ იციან. გარდა ამისა, არის სოფლები, რომლის მცხოვრებთა უმეტესი ნაწილი ქართულადვე ლაპარაკობს, ესენია: **ზემო ოშორა** – 230 კომლი, უდე – 150, ვალე – 90 კომლი“. გ.ბოჭორიძე ასახელებს ზემო ოშორის მცხოვრებთა გვარებს: **ხუციშვილი, ლეკიშვილი, ბეჟიროვი, ტატაძე (ტატიშვილი), თეთრაძე, ღონიაშვილი (ღონიაძე), კუჭიაძე, ზანდარაშვილი, ისპირიანი, თამაზიანი, პაწაკიანი**. „რამდენიმე სოფელს ქართული სკოლის გახსნა სდომებია, უთხოვნიათ ახალციხის

რიალმასკომისათვის, მაგრამ უარი უთქვამთ. სვირს, შურდოს და გიორგიწმინდას მითხრეს, – აგრძელებს წერილში მეცნიერი, – მივმართეთ ახალციხის მთავრობას, ქართული სკოლები გაგვისენითო, უარი გვითხრეს, თქვენ თურქული სკოლა გეკუთვნით და გაქვთ, ქართული სკოლა არ იქნებაო. ვურჩიე, განცხადება გამოეგზავნათ განათლების კომისარიატის სახელზე... ქართულად მოლაპარაკე სოფლებს, მათი სურვილისამებრ, ვგონებ, ქართული სკოლები უნდა გაეხსნას. ამას მოითხოვს საღი პედაგოგიკა“ (ბოჭორიძე, კეკელიძის ხელნაწერთა ინსტიტუტი, ივ.ჯავახიშვილის ფონდი №2950). გ.ბოჭორიძემ კი გულთან მიიტანა და გააანალიზა მოსალოდნელი საშიშროება, მაგრამ **საბჭოთა პოლიტიკა დიდად არ დაინტერესებულა განათლების ქართულად მიღების მოსურნეთა თხოვნით, ამას კი ის სავალალო შედეგი მოჰყვა, რომ ქართველმა მაჰმადიანებმა ენაც დაკარგეს. რუსეთს ყოველთვის საკუთარი ზრახვები ამოძრავებდა, მას უფრო დიდი მიზნები ჰქონდა – რუსიფიკატორული მიზნები და რად დაგიდევდათ ქართული სკოლების გახსნას?**

ჯერ კიდევ XVIII საკუნის 70-იან წლებში საქართველოში ჩამოსულ რუსეთის საექსპედიციო კორპუსის ახალ მეთაურს, გენერალ სუხოტინს, ეკატერინე II აფრთხილებდა, რომ „საიმპერატორო კარის მიზანია, გამოიყენოს ქართველები თურქების წინააღმდეგ ომში. რაც შეეხება საქართველოს შემოერთებას, ამჯერად ამოცანად არ ვისახავთ“ (ლომსაძე, 2011: 83). როცა ერეკლე მეფის ლაშქარმა ხერთვისელი იბრაჰიმ ბეგის მიმხრობით ხერთვისი აიღო („ქართლის ცხოვრებაში“ იკითხება, რომ სულეიმან ფაშას გაორგულებულმა იბრაჰიმ ბეგ-ხერთვისელმა ერეკლე მეფეს გადასცა ხერთვისი), რაც ხერთვისის სანჯაყის, მთელი მარჯვენა ნაპირის ჯავახეთის ქართლ-კახეთის სამეფოსთან შემოერთებას ნიშნავდა, რუსეთის წარმომადგენელი ი.ღვოვი ჯერ ულოცავდა მეფეს გამარჯვებას, ცოტა ხნის შემდეგ კი ურჩევდა – ხერთვისიდან მეციხოვნეები გამოეყვანა და იგი კვლავ ოსმალებისათვის დაეთმო. რატომ არ სურდა რუსეთის წარმომადგენელს დაპყრობილი ხერთვისი და მისი სანჯაყი შეენარჩუნებინა მის მოკავშირეს? – კითხულობს შ.ლომსაძე და ასკვნის, რომ „ცარიზმის ამოცანას მაშინ არ წარმოადგენდა ისტორიული ქართული მიწა-წყლის შემოერთების საკითხი, ცარიზმს მაშინ ხელს არ აძლევდა საქართველოს გაძლიერება-გაფართოება. მისი ერთადერთი ამოცანა იყო, რაც შეიძლება დიდი რაოდენობით ჩაებათ ქართველი ხალხი თურქეთთან ომში, კავკასიის ფრონტზე მიეზიდათ ოსმალთა განსაზღვრული ძალები და ამით განეცვირთათ დასავლეთის ფრონტი“ (ლომსაძე, 2011: 84). პეტერბურგში გაგზავნილი ელჩობა ანტონ კათალიკოსისა და ერეკლე მეფის ძის ლეონის მეთაურობით მოითხოვდა: „არ დაშთეს ამის

უფრო გრძლად დაუპყრობლად ქვეყანაი ახალციხისა, რომელიც ჩვენი ადგილი იყო და თუ შერიგება იქნება, მაშინ თურქეთის სახელმწიფოდ არ დაშთეს, არამედ გამოერთვას, რადგან საქართველოს მიწა არის და მრავალნი ქრისტიანენი არიან მას შინა და ყოველს წელიწადს მძლავრებით მაჰმადიანად მრავალს გარდააქცევენ“. როგორც ჩანს, – წერს შ.ლომსაძე – ქართველები 1772 წელს უკვე შიშობენ, რუსეთსა და თურქეთს შორის ზავი არ დადებულა და ჯერ კიდევ დაუპყრობელი ახალციხე საქართველოს გარეთ არ დარჩენილიყო (ლომსაძე, 2011: 87). ა.ფრონელის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ირაკლის დაღადისი და გოდება, რომ ახალციხის ქრისტიანებს ყოველ წელიწადს „მძლავრებით მაჰმადიანად მრავალს გადააქცევენ“, სრული ჭეშმარიტება იყო (ფრონელი, 1991: 37).

3.4. „ჩუმად ქრისტიანობის ხანა“

ქართველ მაჰმადიანთა დიდ ნაწილში XIX საუკუნის დასაწყისში ჯერ კიდევ შენარჩუნებული იყო ქრისტიანული სული. ქრისტიანი ქართველების მსგავსად იცავდნენ თურმე მარხვას, დადიოდნენ ქრისტიანულ დღესასწაულებზე, გასცემდნენ შესაწირავს და ღვთისმშობელს ევედრებოდნენ; ქართული წესით ნიშნავდნენ პატარძალს, ერიდებოდნენ სისხლის აღრევას... სარწმუნოებაშეცვლილი ადამიანები მტკივნეულად განიცდიდნენ წინაპართა გზის უარყოფის სულიერ სიმძიმეს. გაურბოდნენ სარწმუნოებაზე საუბარს და ხშირად არ ამხედდნენ თავიანთ ვინაობასაც კი. სიკვდილის წინ ბევრი მესხი მუსლიმანი ტოვებდა ანდერძს, რომ ქრისტიანულ ეკლესიაში დაესაფლავენინათ ან ძველ ქრისტიანულ სასაფლაოზე თავის წინაპართა შორის (ლომსაძე, 2011: 306). „უბედური ისტორიაა ჩვენი, – გვიამბობს იაკობ მელიქიძე, – თურმე გამუსლუმანებული ქართველი რო კვდებოდა, მიჰყანდათ და ტაძრი ეზოში მარხავდნენ, რო ეს ტაძარი უპატრონებდა მის სულსა და შეეხას მოჰგვრიდა. პატივს სცემდნენ მაინც ტაძარს. ეს ერთი სალოცავი იყო სოფელში. სულით მაინც ქართველები იყვნენ.“ შ.ლომსაძე „მოლოდინის, იმედებისა და ჩუმად ქრისტიანობის ხანას“ უწოდებს თურქთა მიერ დაპყრობილი სამცხე-ჯავახეთ-არტაან-ერუშეთის გამაჰმადიანებული მოსახლეობის დიდი ნაწილის მდგომარეობას, რომლებიც თავის თანამოძმეებთან გაერთიანებას ელოდნენ. (ლომსაძე, 1995: 5). XIX საუკუნის დასაწყისში სამცხე-საათაბაგოში აქა-იქ ძლივსდა კიეკივობდა თითო-ოროლა მართლმადიდებელი, რომელნიც წმინდა საიდუმლოს მალულად, ღამდამობით იღებდნენ ხოლმე ერისკაცის ტანისამოსში გამოწყობილ მღვდელთან, ან კიდევ ქრისტეს შობას დღესასწაულობდნენ ღორის ხორცის

ნაჭრის მიღებით, რომელიც იმავე საერო ტანისამოსიან მღვდლებს სოფლიდან სოფლად ხურჯინით დაჰქონდათ თავიანთი მრევლისათვის“ (ფრონელი, 1991: 37).

„არც ერთობა ენისა, არც ერთობა სარწმუნოებისა და გვარტომობისა ისე არ შემსჭვალეს ხოლმე ადამიანს ერთმანეთთან, როგორც ერთობა ისტორიისა,– წერდა იჭავჭავაძე გაზეთ „ივერიის“ ფურცლებზე XIX საუკუნის 80-იან წლებში და დასძენდა: თუნდ დროთა ბრუნვას ერი განეყოს, დაერღვიოს, მაგრამ რღვეულთა შორის იდუმალი შემსჭვალობა, მიმხედველობა იმდენად სუფევს, რომ საყოფია ხოლმე ერთი რაიმე შემთხვევა, რათა იფეთქოს, იტეკოს დაძინებულმა ისტორიამ და ერთსულობამ, ერთგულობამ თავისი ძლიერი ფრთა გაშალოს. ამ დღეში ვართ ჩვენა და ოსმალეთის საქართველო... გარდა იმისა, რომ ჩვენ ვართ ერთი სისხლისა და ხორცისანი, ერთი და იმავე ენით მოლაპარაკენი, ერთი ისტორიაცა გვქონია. ოდეს ბიზანტია, სპარსეთი და ოსმალეთი ამ ჩვენს მშვენიერს ქვეყანას ეტანებოდნენ და ურთიერთს ეცილებოდნენ, მაშინ ის საქართველოს ნაწილი, რომლებიც დღეს ოსმალის ხელში, მედგრად იბრძოდა ჩვენის სარწმუნოების, განათლების, ერთ-მთავრობის დადგინებისათვის... დღესაც იციან იქაურმა ქართველებმა, რომ ზოგის დედა, მამა, პაპა ჯერ კიდევ მათს ხსოვნაში ქრისტიანები ყოფილან. ამბობენ, რომ იქ ზოგიერთი დღესაც იდუმალად აღიარებს ქრისტიანობასაო, რომ დღესაც ათისა და თორმეტის წლის ყმაწვილები საჩვენოში გადმოჰყავთ მოსანათლავად, ზოგი ჩვენებურად ჯვარსაც იწერს, ოსმალების იდუმალად თურმე“ (ჭავჭავაძე, 1987: 7-10). ჩვენი სულიერი მამის ამ შეგონებიდან ერთი საუკუნის მერე გადასახლებიდან დაბრუნებული ნაზირა ვაჩნაძე დაწერს: „მთავარი, რაც ამა თუ იმ ერს ერთმანეთისაგან განასხვავებს და მის მონაპოვარს წარმოადგენს, ეს ხალხის მენტალობაა, საკუთარი მიწის ნამდვილი სიყვარული. ჩვენ უსამშობლოები არა ვართ, მაგრამ გვაიძულებენ ვიქცეთ უსამშობლოებად. იქ, სადაც გაგვასახლეს, ზედამხედველობის რეჟიმის მოხსნის შემდეგ, მატერიალურად აღარ გვიჭირდა, მაგრამ ნოსტალგია, ჩვენი მოხუცების მოგონებები ჩვენი მშობლიური მხარის ბუნებაზე, წყალზე, ჰაერზე, მიწაზე, საქართველოში დაბრუნების წყურვილს კი არ გვიქარწყლებდა, უფრო გვიღვივებდა. არ გვინდა ჩვენი შვილები უძირფესოდ დარჩნენ მაშინ, როცა საკუთარი სამშობლო გააჩნიათ... ჩვენი თანამემამულეები თაობიდან თაობას ზეპირსიტყვიერ ესტაფეტასავით გადასცემენ: ჩვენ ქართველები ვართ და არა თურქები, ჩვენი წინაპრები ქრისტიანი ქართველები იყვნენ და ოდითგან საქართველოში, მესხეთში ცხოვრობდნენო“ (ვაჩნაძე, 2005: 130). მეტიც, „ქრისტიანულ საყდარს აშენებს მაჰმადიანი XX საუკუნის დასაწყისში, ჩვენი ერთობის ნატურის ტაძარიც

ეს არის“ – აღნიშნავს მ.ბერიძე და ამის საილუსტრაციოდ მოჰყავს სოფელ უდელში 1909 წელს აშენებული ტაძრის წარწერა: „უდელს არის კათოლიკეები 2120 სული, მაშენებელნი ამა საყდრისა. მაჰმადიანები – 520 სული, ორნივე ტომით ქართველნი“ (ბერიძე, 2009-1: 20).

მოგზაურთა ჩანაწერებიდან ვიგებთ, რომ მესხეთის ქართველ მაჰმადიანებს რომ არ შეშინებოდათ თურქების დაბრუნებისა და მათი სისასტიკისა, ისევ დაუბრუნდებოდნენ თავიანთი წინაპრების სარწმუნოებას. დობიეთში ქართველ მაჰმადიანებთან სტუმრობისას დიუბუა დე მონპერე გაოცებულა, რომ თურქული უდელის მიუხედავად, მათში არ დაკარგულა ქართველთა მოსაწონი ზნე-ჩვეულება, ქართული ენა და სახე (მალრაძე, 2002: 90). ამისვე ადასტურებს ზ.ჭიჭინაძის ჩანაწერები: „აქაურების (ზეგანის მკვიდრთა) სამშობლო ენა ქართული არის. მე ჩემის თვალთ ვნახე ისეთი ქართველ მაჰმადიანები, რომელთაც თათრულის ათი სიტყვაც არ იციან, ქალებმა ხომ სულ არ იციან თათრული. ერთ სხალტელს ვინაობა ვკითხე, მან მითხრა, თათარი ვარო.

–თათარი თუ ხარ, ქართულად რად ლაპარაკობ?

–თათრული არ ვიცი, ბატონო, ჩვენს ძველებსაც ამ ენით ულაპარაკიათ და ჩვენც ამ ენით ვლაპარაკობთ. ჩვენი ენა ეგ გახლავთ. თათრულს რაზე ვილაპარაკებთ. ჩვენ გურჯები გახლავართ....

აქაურ ხალხის გვარებში კაცი ნამდვილ ჯავახურს გვარებსაც შეხვდება, ქართულს და იმერულსაც. ამბობენ, 1829 წ. რუსმა რომ ახალციხე აიღო, მაშინ იქ ბევრნი არ დარჩნენ და აქ (ზეგანში) გადმოსახლდნენო. ზოგი იმ დროის გადმოსული კაცი მე თვით ვნახე და მათ აღიარეს, რომ ჩვენ მაშინ ძრიელ შევცდით, რომ ჩვენი ადგილები დაგვარგეთ და აქ წამოვედითო... ჩვენ არა გვიშავს რა და ვინც ქვეით (ოსმალეთში) წავიდნენ, ისინი ხომ სულ დაიღუპნენ, ჩვენ იმათი არაფერი ვიცით და იმათ ჩვენიო“ (ჭიჭინაძე, 1913: 170).

მაჰმადიანი ქართველების მართლმადიდებლობაზე დაბრუნების შემთხვევებია დაფიქსირებული XIX საუკუნის 60-იანი წლების აღწერებში. მაგალითად, ზედა თმოგვში **ისმაილ ლაშქარ-ოდლის** ოჯახი შვილებითურთ (იაკობი, ივანე, გიორგი) ქრისტიანობის მიღების გამო მთელი ცხოვრების მანძილზე გათავისუფლებულა საგამოსაღებო გადასახადისაგან (თოფჩიშვილი, 2013: 40).

მესხეთისადმი საზოგადოების ინტერესის გაღვიძების მიზნით ა.ყიფშიძე 1914 წელს „დიდებული მესხეთის“ წინასიტყვაობაში მიუთითებდა, რომ გამაჰმადიანებული ქართველი თავის ისტორიულ „სახეს“ პოულობს და საჯაროდ აცხადებს, რომ, მიუხედავად რჯულისა, მეც იგივე ქართველი ვარ, როგორცაა ღვიძლი ქართველი ქრისტიანიო“ (ფრონელი, 1991: 17).

„ამათ (ოსმალებს) დაუწყიათ ჩონი რჯულისათვის დევნა, უთათრებიათ ხალხი. ვინც თათრობას მიიღებდა, იმას ანთავისუფლებდნენ მახთოდან (გადასახადიდან). ქრისტიანეფს ხშირათ ამუშავებდნენ სოხრაზე, ადებდნენ ბევრ მახთოს... ერთ ცოლოშელ მიუღია თათრობა. თიბათვეში რამაზანი ყოფილა. ამ დროს თურმე ამ კაც უთიბნია ჭალა წყლი პირას. მოსწყურებია ძაან წყალი, მისულა და ერთი ხის ქოლგაში დაუსვენია. ამ კაც ჩასძინებია. სიზმარი უნახია, მითამ ერთი ცხენოსანი კაცი ხმლით მისულა: უნა მოქკლა, რათ მიიღე თათრობაო! ხმალი დაუქნეგია. კაც სიზმარში შეშინებია, წამომხტარა და დაუღრიალია: მიშველეთო! მეზობლეფს დაუძახნიათ: რა მოგივიდა, ჯანო, რა იყო? – არაფერიო, – გადაუსხვაფერებია (ამ კაც ჰრქმეგია თათრული სახელი ქარუმა), წამოსულა სახში და ცოლისთუნ უთქვამ: ეე, ქალო, წყალი მომიტანე, თორე ვკვდებო. ცოლ უთქვია: უიმე, რო გაგიგონ, ხო დაქვხოცებენო. – ნეტაი ერთი შენცა, მოიტაო! წყალი რო დაუღვენია, მერე უთქვამ: მე-ნა წავიდე, ღვდელი-ნა მოვიყვანო და ბავშვები-ნა დავანათვლინო. ღამე გაპარულა, ბარაღეთიდან ჩამოუყვანია ქრისტიანი, მაგრამ თათრულ ტანისამოსში გამოწყობილი სარულიანი ღვდელი, დღისით სახში დაუმალია, ღამე მოუნათვლინებია ოთხი ბავშვი. მესამე ღამეს ისევე თავი სოფელში აუყვანია ღამე ი ღვდელი“ (მარტიროსოვი, 1984: 123). ანდრო ბერიძის მონათხრობიდან ირკვევა, რომ „ბევრი გათათრებული ქართველი იყო. თოკში აბაშიძეები იყვნენ, ხერთვისში – ვაჩნაძეები, შალაშეთში – ბერიძეები, ინდუსაში – გელაშვილები. ძველში და ჭობარეთში ბევრი იყო ძალით გათათრებული. ეგენი გულში ინახავდნენ ქართველობას, მე ჩემი თვალით მინახავს ზველელ თათარს მარხვაში სუფრაზე ყველი და ერბო ედო და არ ჭამდა, მარხულობდა, თავის ჩვეულებასა და რჯულს ინახავდა. ვინმე რომ შემოსულიყო, იმის დასანახად ყველი იდო მაგიდაზე“ (ბერიძე, 2005-1: 67). იმისურაძის ჩანაწერებში მოიპოვება ინფორმაცია, რომ სოფელ ანდრიაწმინდაში „სალოცავად მიდიან ელიას დღეობაზე. მიდიან აქაური თათრებიც, საღთოს დაკლებენ, თათრობა იტყვიან ხოლმე, როდის მოვა ელიობა, რო ყანები არ დასეტყვოსო. ამ დღეობას თათრები ეძახიან „დალიგიუან“ (გიუი დღე). ელიას ძალა სეტყვის ასაცილებლად არის, როგორც თათრებისათვის, ისე ქართველებისათვის“ (მაისურაძე, ხელნაწერი №1451: 21). მაშინ, ალბათ, ვერც აცნობიერებდნენ წვიმის მომლოდინე ქრისტიანი და მუსლიმი ქართველები, რომ წარმართულ-ქრისტიანულ დეთაებას მიმართავდნენ. აქ ყურადსადები ისაა, რომ სარწმუნოებრივ ტრადიციას მაჰმადიანი მესხებიც არ დალატობენ.

2004-2006 წლებში ე.ფირცხალავას ჩატარებულმა კვლევამ, რომელიც ითვალისწინებდა მუსლიმი მესხების მიგრაციის საკითხთან დაკავშირებულ

პრობლემებს, კერძოდ, ახალი სოციალური გარემოს გავლენას, გამოკვეთა, რომ მუსლიმი მესხები ჯერ კიდევ არ არიან ადაპტირებულნი იმ გარემოში, სადაც ცხოვრობენ; ისტორიული წარსული ამ ადამიანებისა მეტყველებს მათ დახურულობასა და ტრადიციების შენარჩუნებაზე (ფირცხალავა, 2013–I: 197). ე.ფირცხალავას აზრით, მუსლიმ მესხებს, ყველა ქვეყანაში, სადაც მოუწიათ ცხოვრება, ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების ნაწილი შემორჩენილი აქვთ ერთნაირად – ეს არის ქორწინება თავისი რიტუალით და დაკრძალვა“ (ფირცხალავა, 2013–II: 56).

მესხეთის მაჰმადიანობა ადვილად არ ელევა დაკარგულ რწმენას, არ ითქვიფება დანარჩენ ერთმორწმუნე, მაგრამ სხვა თესლში, არ მისცემს ქალს და თვითონაც არ მოიყვანს. ერთად ყოფნა და ერთად ცხოვრება ისევ თანამოძმესთან ურჩევნია (ბერიძე, 2009-1: 20). მუსლიმმა ქართველებმა იმისათვის, რომ გამორჩეულიყვნენ და არ აღრეულიყვნენ ქურთებსა და თარაქმებში, XIX საუკუნის II ნახევარში შექმნეს ტერმინი „იერლი“, რაც ადგილობრივს ნიშნავდა და ეთნო-სოციალურ საფუძველზე იყო აღმოცენებული (ბერიძე, 2009-1: 6).

1893 წელს გამოცემულ სტატისტიკურ დავთარში, რომელიც 1886 წლის ამიერკავკასიის მოსახლეობის აღწერაა, მაჰმადიან ქართველთა დიდი ნაწილი ქართველად იწერება. ამ დოკუმენტის მიხედვით ქართველები, რომლებიც მაჰმადიანები არიან, შეუყვანიათ „სხვა სარწმუნოების“ გრაფაში, რადგანაც ისინი აღარ არიან მართლმადიდებლები, მაგრამ ჯერ კიდევ არ არიან „თათრები“ (ბერიძე, 2009-1: 24). ამ პერიოდისათვის ქართველებად აღიწერება ასპინძის რაიონიდან: ზედა და ქვედა ოშორის, ხერთვისისა და შვიდრევანტას მოსახლეობა. 1944 წლისათვის ეს მოსახლეობა იწოდება „იერლიდ“. იერლი (გამაჰმადიანებული ქართველი) ცხოვრობდა ასპინძის რაიონის შემდეგ სოფლებში: აგარას (მართლმადიდებლების გვერდით), ნიალას, გავეთს, ვარნეთს, ქუნცას (ქრისტიანებთან ერთად), აწყვიტას, ტოლოში (ქრისტიანებთან ერთად), ნარმანში, გელსუნდაში, მარგასტანში, ხერთვისში, შვიდრევანტას, ალჯვაში, კვარშაში, თოკში, ერკოტაში (ქრისტიანებთან ერთად), ზედა ვარნეთში, საყუდაბელში, ორგორაში, ახაშენში (ქრისტიანებთან ერთად), ღობიეთში, ზველში (ქრისტიანებთან ერთად), ჭობარეთში (ქრისტიანებთან ერთად), იდუმალაში, ლაშხევში, ყამზაში, ინდუსაში, ზედა და ქვედა ოშორაში, ასპინძაში (ბერიძე, 2009-1: 25).

ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის 1937-1940 წლების მესხეთის ექსპედიციის ჩანაწერებში იკითხება მაჰმადიან მესხთა ყოფა, რომ მათი ენა ქართული ენის მესხური დიალექტია; სარწმუნოებით განსხვავებულ ქართველთა

მეზობლობა ბევრგან ენობრივში არაა გადაზრდილი. ექსპედიციის მასალებიდან ვიცით, რომ ზველის ძირში, მტკვრის უშუალო ნაპირზე ორი სოფელია გაშენებული, ქართველი მაჰმადიანებით დასახლებული – ონღორა და სახუდაბელი (ს.ჯ.ი.მ.ფ. ხელნაწერი №100: 116).

3.5. რელიგიური დაპირისპირება

კავკასიაში გაბატონების მოსურნე ქვეყნების (ინგლისი, ოსმალეთი, რუსეთი...) წახალისებით 1918-1919 წლების დამოუკიდებელ საქართველოში, კერძოდ, სამცხე-ჯავახეთში, პროვოცირებულ იქნა რელიგიური დაპირისპირება, რომელიც სისხლიან ავანტიურად აქციეს ეთნიკურმა ქურთმა იბრაჰიმ-ბეი ჯიჰანგიროღლუმ და ქართული წარმოშობის ლიდერებმა: **ომერ ფაიკ-ბეგ ყიფიანმა და ოსმან სევერ-ბეგ ათაბეგოვ-ქვაბლიანსკიმ**. მათ სურდათ საქართველოს სახელმწიფოს ამ ნაწილზე შეექმნათ „სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის ისლამურ-დემოკრატიული რესპუბლიკა“, ბრძოლა წამოიწიეს საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს წინააღმდეგ და ბრძოლის საწყის ეტაპად დასახეს რეგიონში მცხოვრები ქრისტიანი მოსახლეობის გენოციდი (ფუტკარაძე, 2013: 121).

შ.მაღლაკელიძის ცნობით, სერვერ ბეგის, სამცხის ათაბაგების უკანასკნელი შთამომავლის, არაქართული განწყობის ჩამოყალიბებაში მამის (ფეიზულას) სიკვდილის შემდეგ დიდი როლი უთამაშია ოჯახში გაბატონებულ სომეხ მოურავს, რომელიც დედამისის (ყაზანელი თათრის) არაკანონიერ ქმრადაც ითვლებოდა. მაღლაკელიძე სერვერ ბეგის მტრად მოკიდებაში ადანაშაულებს კავკასიის კომისარიატს, რომელმაც ჩამოართვა ქონება და მამულები, გაწირა გადატაკებისათვის „შემატყობინა, ყარსში მივდივარ და იცოდეთ, არ დაგზოგავო, არცერთი ქართველის ფეხი არ იქნება ჩემს ბაღშიო, რაიმე დიდ პოლიტიკაზე კი არ ამბობს, ჩემი ბენარისთვისო, ჩემი ბაღისთვისო!... მენშევიკების პოლიტიკა იყო სულელური, რა დროს ბაღია! შენ უნდა გადმოიბირო რამენაირად, რამე უნდა მისცე. იმის უნარი არ უნდა გქონდეს, რომ როგორმე მოინადირო მისი გული? შენ კი ბენარის ბაღს ართმევ, სადაც თვითონ ძინავს, ყმებს არ ენდობა, არ გამიფუჭონ ვაშლიო...“ და აი, უკვე საქართველოზე გადამტყრებული, აცხადებს, რომ არ სცნობს საქართველოს მთავრობას, რადგან ჰყავს საკუთარი მთავრობა „სამხრეთ-დასავლეთის კავკასიის მთავრობის“ სახით. სწორედ „კავკასიის სამხრეთ-დასავლეთ ტერიტორიის მთავრობის“ მიერ დაინიშნა სერვერ ათაბაგი ახალციხე-ახალქალაქის დროებით კომისრად და სათავეში ჩაუდგა თავდასხმებს ქრისტიან მოსახლეობაზე.

სამეცნიერო ლიტერატურაში მოიპოვება ინფორმაცია, რომ სერვერ ბეგს, „ქობლიანელ პრინცს,“ ჰყავდა ძლიერი ოპოზიცია მუსლიმი ბეგებისა და მხარის მუსლიმანური მოსახლეობის უმრავლესობის სახით, რომლისათვისაც მისაღები იყო ცხოვრება მხოლოდ ერთიან ქართულ სახელმწიფოში (ყავრელიშვილი, 2002:5).

მიწათმფლობელობის არასწორმა რეფორმამ გააორგულა ქართული წარმომავლობის სხვა ბეგებიც და მონაწილე გახდა ანტიქართული პოლიტიკისა. ცნობილია, რომ სამცხე-ჯავახეთში აჯანყებისათვის მაჰმადიან მოხალისეთა ბანდას („ხუჯანი“) ასპინძასა და ხერთვისში წვრთნიდნენ ხერთვისელი ბეგები აბას ალა და ალალი ბეგ მაჩაბლები, ქვეშალი ბეგ და ხალილ ბეგ ვაჩნაძეები, ასპინძელი ფეფეკ ფაშა, ოშორელი ჰამიდ ბეგი შვილებით— ფერი ბეგ და ყაფლან ბეგ ავალიშვილებით, ახალციხელი ზია ბეგ შარაბჩიევი (მელვინეთუხუცესი), ბაღჩი ბეგ მაჩაბელი ადიგენიდან, თოკელი ბეგები — აბაშიძეები და ტოლოშელი ჰასან ბეგი (ივანიძე..., 2008: 21).

აჯანყებული ბეგებიდან ქრისტიანი ქართველების მიმართ კეთილგანწყობით გამო ირჩეოდა სოფელ ოშორის ბეგი, მაჰმედ-ბეგ აბაშიძის სიძე, ახმედ-ბეგ ავალიშვილი, რომელიც მაჰმადიანთა პირველი აჯანყების დროს, 1917 წელს, სერვერ-ბეგის მომხრე იყო (ხერთვისის დაცვა და გამაგრება ევალეზოდა), მაგრამ გენერალ ბალო მაყაშვილის სარდლობით ქართული ჯარის გამოჩენისთანავე, როგორც კი ქართველ მაჰმადიანთა ბანდებმა უკან დაიხიეს, ავალიშვილი ქრისტან ქართველთა მხარეზე გადავიდა, ქართულ ჩოხაში გამოწყობილი მოსალაპარაკებლად ეწვია აწყურში მაყაშვილს და ჯავახეთში მაჰმადიანური ბანდების დაშლას დაჰპირდა. ახმედ ბეგი ირწმუნებოდა, რომ ჯავახეთში მდგარი მოთარეშეები ჩილდირიდან და არდაგანიდან იყვნენ მოსული, „ჩვენც თქვენი სისხლის ქართველები ვართ და აბა, ქართველებს როგორ გიდალატებდითო“. მაჰმადიანებისაგან ქრისტიანი ქართველების დაცვას ცდილობდა შალოშეთის ბეგი მუშტად-ბეგ მაჩაბელი. მას გადაურჩენია ზედა თმოგვის მოსახლეობა (ნარიშანიძე, 2016: 142).

„ხუჯანის“ შემოსევების დროს განსაკუთრებით დაზარალებულან გოგაშნის, აფნიის, ზედა თმოგვის, აგარის, საროს, ხიზაბაგრის, კოთელიის, ქილდის, ჩუნჩის, ბრტენას, ბარაღეთის, ვარგავის, თოკის, ტოლოშის, ერკოტის, ქუნცის, დადეშის, ჭობარეთის, ზველის, მუსხის, დრელის, უდის და არალის მცხოვრებლები. აწიოკებულები, ნამუსშერცხვენილები, ახლობლებდახოცილები, გაძარცვულნი, სარწმუნოებაშეგინებლნი ხან ტყეებს აფარებდნენ თავს, ხან მეზობელ სოფლებს. „გაქცევაზე ვინც იქით ვერ წავიდნენ (თოღერთისკენ,

შალოშეთისკენ, სადაც ნაცნობ-მეგობრები ან ნათლიები ჰყავდათ და იფარებდნენ), ბაკურიანისკენ მიდიოდნენ. 1917-1918 წლებში, პაპაჩემი წავიდა სოფელ რეხაში მთელი ოჯახით: ცოლ-შვილით, თავისი ძმა ცოლთან, დები ჰყავდა გასათხოვარი. იქიდან რო დაბრუნდნენ, რაღა დახვდათ სახში? სიცარიელე! ქვაბიც აღარ იყო, რაში უნდა გაეკეთებინა შეჭამანდი? – ცარიელი სახლი!... წალკაში პაპას ნათლულები ჰყავდა, საბაძეები, სულთან ბაბოს ბიძის ოჯახი. იმათმა კარგად მიხედეს. ორი თუ სამი თვე იყვნენ. ალბათ, ძლიერი ოჯახი იყო. ის ზამთარი გადაიტანეს და მეორედ, აპრილის თვეში ისევ წამოვიდა მტერი. მტკვარი გადაკვეთეს აქედან, გავიდნენ მილახევზე, სარო-ხიზაბავრა გადაიარეს და გავიდნენ საკირის ტყეში. გაჭირვებამ გააჩინა ტიფი. იქ დატოვა (დაასაფლავა) პაპაჩემმა ძმა ცოლთან ერთად, დები, ცოლ-შვილი და მარტო ერთი სამი წლის ბიჭი წამოიყვანა, ვანო ბიძაი“ (ინფ. იაკობ მელიქიძე).

აი, რას წერენ თბილისის მთავრობის ლტოლვილთა მინისტრს ახალციხის მაზრის ლევისის საზოგადოების სოფელ ქუნცის მცხოვრებნი: „უკანასკნელ უამისაგან ვართ აოხრებულნი, გაცარცულნი და დატიტვლებულნი თათრის და ოსმალოს ხელიდან, რომელნიცა ვართ დარჩენილნი ცის ქვეშ პირდაღებულნი, მშიერი, ტიტველი, არცა გყავს ხარი, არცა ძროხა, ცხვარი, არცა გვაქვს პური, არც ჭურჭელი, ერთი სიტყვით, სულის ამომღებლისათვის გამზადებულნი ვართ საერთოდ დაობლებულნი. ახლა თქვენს მთავრობას მოგმართავთ მოგვიწყობთ ხელი. გვაქვს დასახნავი ყანები 50 დესეტინა მიწები, დაგვრჩა დასათესი დოლი. გარდა ამისა, არ გვაქვს საჭმელი, არც მთესლი ყანებისათვის... სიმშილის გამო და სიტიტვლისაგან ვიხოცებით. აქნობამდის ზაფხული იყო და ღარიბი საწყალი ბალახებით და სხვა საჭმელებით იოლათ მივდიოდით. ახლა თოვლში რა გაგაწყობთ, არც სახლი, არც საჭმელი... ვართ ჭილობებში შეხვეულნი. 150 სული ხიზანი ვართ სოფელ ქუნციდან“. თხოვნას ხელს აწერენ: სოფლის წარმომადგენელი, სოფლის კომისარი ისაკ თომას ძე ივანიძე; ზაქარ ივანიძის, ვლადიმერ ივანიძის, ლევან ივანიძის, აკოფ ივანიძის, ვასილ ხიზაძის და ილარიონ ხიზაძის ნაცვლად, რადგან მათ წერა არ იციან, ბაგრატ საბას ძე მელიქოვი; ორფელ ხიზაძის, ნიკოლოზ ხიზაძის, შიო ხიზაძის, გიგო ივანიძის და პავლე მელიქიძის თხოვნით ლადო ივანიძე. წერილი დათარიღებულია 1919 წლის 16 ნოემბრით (ივანიძე... 2008: 157). ძნელი წარმოსადგენი არაა, რა გაუსაძლის მდგომარეობაში იქნებოდნენ სამხრეთ საქართველოს ცივი ზამთრის პირობებში უჭმელ-უსმელი, უტანსაცმლო, უსახლკაროდ დარჩენილი ქუნცელები, რომლებიც ემსხვერპლნენ მაჰმადიანთა „თალანს“.

ოსმალებმა სამცხე-ჯავახეთის მაჰმადიან მოსახლეობას მოსთხოვეს „შეჯავრებინათ თვისი მეთვისტომე ქრისტიანი ქართველნი, დაევიწყათ თვისი მამაპაპეული ენა, მის მაგივრად გაეკვეთათ ოსმალური. საქმე ამით არ გათავდა და შეჯავრების გარეშე მტრობას და სისხლის დაღვრასაც ასწავლიდნენ, ამისთვის დიდათ იმეცადინეს და საწადელსაც მიადწიეს“ (ჭიჭინაძე, 1913: 216).

ნ.ყრუაშვილი ამ მოვლენების მომსწრეთა ნაამბობზე დაყრდნობით აღნიშნავს, რომ ადგილობრივი მაჰმადიანი მოსახლეობა მოქმედებდა 1918-1919 წლებში სამცხე-ჯავახეთში შექმნილი პოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე. კერძოდ, ისინი აქტიურად მონაწილეობდნენ თურქეთიდან შემოსული ბანდების საბრძოლო საქმიანობაში და ხშირად მათი გზების მაჩვენებლებიც იყვნენ. „მთხრობელთა გადმოცემიდან ჩანს, რომ ამ წლების სიმძიმე განსაკუთრებით დააწვათ წმინდა ქართულ სოფლებს. სხვა მდგომარეობა იყო შერეულ სოფლებში. შემოსევების დროს ასეთი სოფლების ქრისტიანი ქართველები არ გარბოდნენ. მათ იფარავდნენ მეზობელი მაჰმადიანი ქართველები. გარბოდა წმინდა ქართული სოფლების მოსახლეობა და თუ რამე ნაწყენობა ჰქონდათ, იმ დროს უხდიდნენ მათ სამაგიეროს“ (ყრუაშვილი, 2013: 272). „შალიკოს პაპა და ბაბო დამარხილი არის ტოლოში. ორმო ჰქონდათ კარტოფილისა და იქვე დიდი ქვა იყო. ბაბოაჩემი აღდგომაზე გავიდოდა, სანთელ აუნთენდა. შვილო, მიხას დედ-მამააო და აქ მარხიაო. ტოლოში რო იყვნენ თათრები, მაგათ დახოცეს. ღამე დახოცეს და ორმოში ჩაყარეს. სანდრეს უთხრეს რო, გაიოზას მამას, ჩადი და ამოიყვანეო (ორმოდან მიცვალებულები). რო ჩავიდა, ცუდად გამხდარიყო, გახრწნილიყო (გვაძები). იქვე დააყარეს ორმოში მიწა და მანდ მარხია. ბევრი დახოცეს, ძალიან ბევრი, ბიძაჩემიც. წალკაში რო გაიქცნენ, გაზაფხული მოვიდა და წავალ, ვნახამო. ფეხები მოეყინა და კოჭლომდა. ვიღაცამ უთხრა, რო წადი, თორემ მოგკლავენო. რო გაიქცა, გაიქცა, ჩაურმაში ესროლეს და იქ მარხია“ (იხ. ინფ. ტეტსტები). 1917-1919 წლები მესხეთის ისტორიაში სისხლიანი წლებია. დამოკიდებული საქართველოს ხელისუფლება ცდილობს მაჰმადიანთა და ქრისტიანთა ერთადყოფნის სწორი გზების გამონახვას. დარღვეული ურთიერთობების, ეროვნული შეგნების აღდგენას, მაგრამ ამის გაკეთება მეზობელი დიდი სახელმწიფოების გამო შეუძლებელი ხდება და იმპერიათა ინტერესებს ემსხვერპლება სარწმუნოებრივ ნიადაგზე გახლეჩილი მესხეთის ქართველობა (ბერიძე, 2009-1: 94). „1918 წელს ღვთის ანაბარად მიტოვებულ მესხეთს მოაწყდა ოსმალეთი. აიშალა ადგილობრივი მაჰმადიანობა, ამოუდგა მოძალადეს მხარში, იფეთქა ღობის იქითა წყენის მცირე ღვარძლმა და დაერივნენ ერთმანეთს ქრისტიანი და მაჰმადიანი. სისხლი ღვარად დიოდა. გაიქცა ქრისტიანი

მოსახლეობა. ბევრი მწარე მაგალითი გაახსენდება ამ ამბის ჯერ კიდევ ცოცხალ მომსწრეს. რამდენმა დედამ შვილი დააგდო იმისათვის, რომ მეორე მაინც გადაერჩინა. რამდენია 1918 წელს ბაკურიანის ტყეში დაბადებული, საკუთარ პერანგში რომ გაუხვევია დედას. იყო კალო და ადამიანთა ლეწვა, იყო საბძელში დაწვა ხალხისა, ბევრი რამ იყო... მაგრამ მარტო მტრობა არ ყოფილა, ბევრი სიკეთეც ახსოვთ ძველებს. რამდენმა მაჰმადიანმა შეიფარა ქრისტიანი თანაბოძმის ოჯახი, საქონელი, ნივთები. რამდენს სიცოცხლის ფასად დაუჯდა ეს თავგანწირვა“ (ბერიძე, 2009-1: 21).

ქრისტიან ქართველებსა და მაჰმადიან მესხებს შორის კეთილმეზობლური ურთიერთობის შესახებ ყვებიან ხანდაზმული ინფორმატორები. ქუნცელი ჟენია ივანიძის თქმით (დაბ. 1935 წ.), „ერთი თათარი, წიწილბოს უძახდნენ ზედმეტ სახელად, ფერმის გამგე იყო, ისეთი ღვთისნიერი კაცი იყო, მამაჩემი რო ომში იყო, ფერმაში რო მივიდოდით, რო ვითომ ნა შრატო ნა წამოგველო, ხან ყველ ჩაგვიგდენდა ამ შრატში, ხან ამხელა გუნდა კარაქ, წაიღეთ შვილო, ვითომ მარტო შრატო მიგვაქ, კარგი კაცი იყო.“ ნ.ვაჩნაძე იხსენებს: „სარწმუნოება და ეროვნება კეთილმეზობლურ ურთიერთობაში ხელს ვერ გვიშლიდა. ერთმანეთის რელიგიურ დღესასწაულებს პატიმს ვცემდით და ვულოცავდით. ბავშვები ბავშვობიდანვე პოლიგლოტებად იზრდებოდნენ, იცოდნენ ის სამი ენა, რა ენაზეც ადგილობრივები ლაპარაკობდნენ. თვალის ერთ დახამხამებაში ყველაფერი გაანადგურეს, წლობით ნაშენი საძირკველი ერთ წამში მოშალეს. უცებ გაავლეს განსხვავებულობის მკვეთრი ზღვარი იმ ხალხს შორის, რომელსაც საერთო ფესვები ჰქონდა“ (ვაჩნაძე, 2005: 16). „პირველი გაქცევისას ასეთი შემთხვევა მომხდარა: ბებიჩემის მახლობლად ცხოვრობდა თათარი, ერქვა გვილიაი... ქართულ უბანში ცხოვრობდა ი კაცი, მაგრამ იყო მაჰმადიანი. ამონდნენო, რო ეგენი ქართველები იყვნენ და მერე გათათრდნენო. რო შემოვიდა ეს თათარი თურქეთისა და ადგილობრივებიც დიდ დახმარებას უწევდნენ და უღებდნენ ამ ქართველებსა, ამ ოჯადმა შეიფარა. მაგრა გარე ხალხი არ ასვენებს: გამოიყვანეთ (ქრისტიანები), ჩვენ ნა დავხოცოთო! დეიდაჩემი ცოტა მოზრდილი გოგოა, დედაჩემიც პატარაი, სარიდანაიც პატარაი... ისე ხდება, რომ თუ გვილიაი სახლშია, თათარი ვერ მოდის, რო დახოცონ, თუ სახლში არ არის – ძალადობენ! გვილიას მოხუცი მამა ჰყანდა. ხელი უკრიათ და კარაპანში ჩაუჩეხიათ. ამ კაც არ შეუშვია ესენი. მოსულა გვილიაი, ახალგაზრდა კაცი, ვაჟკაცი კაცი. მამას უთქვია: შვილო, ესენი ან შენ დახოცე, ან წაიყვა სადმე, უპატრონეო; ასე არ იზანსო, გვიწიოკებენ ოჯადსაო. განთიადისა ადგა, გაადვიდა ბებიჩემი, ანაღურის ხევზე ნა აიყვანოს, სოფელ თოღერთაში... გვილიას მიჰყანს

ესენი, წინ მიდის, თოვლ ტეხს, ეს ქალი ბავშვით ხელში, უკანაც გოგოები მისდევენ და რო ავიდნენ ამ სოფლის პირას, პიტნის წყაროს რო უძახიან, ძველი თოლერთიდან რო ავიდნენ ყანობაში, დაინახეს რო ვიღაცა მოდის. ესლა გვილიაი ეტყვის ბებიაჩემ: აგერ სოფელი, ადით იქო, მე თოფ გავისვრი სამჯერ და თქვენ არ შეგეშინდეთო. გვილიას აქედან ძადლი წაჰყოლია და წკმუტუნ დაუწყია. კაცმა ხანჯალი გამოჰკრა, დაკლა, სისხლიანი აქ ნა (ტოლოში) ჩამოიტანის, რო აჩვენოს. ესენი წავიდნენ. სოფელ რო მიუახლოვდა, ხალხმა რო დაინახა, სოფელი მოიგლიჯა და უყურანს, ზამთრი დღეში, ამ სიცივეში ვინ არი, ვინ მოდის?.. გვილიამ ვინც უთხრა, ის კაცი დაეპატრონა ამ ქალ და ბავშვებ. ამან რო თქვა, რო ვისი ხარ? ტოლოშიდან! იცნომდნენ ერთი მეორეს, კონას რძალი ვარო, შვილიშვილის ცოლიო, გამოსულა ამ ხალხში ერთი კაცი: უი, შვილო, შენ ჩვენი ყოფილხარ, აქ რა გინდაო, შენ ჩვენთან ნა წამოხვიდეთო. მეორე მოხუცმა უთხრა: ეს გვილიას გამოგზავნილია და მე გვილიას ამათ გულიზე თავ არ მოვაკვლევინამო, უნდა იყვეს ჩემთანაო. საერთოდ, თოლერთელებზე ამბობენ, რო ქართველები არიანო, თორელები არიანო, ძირძველი მესხები არიანო, გათათრებული. ბოლოს და ბოლოს სამი საუკუნე, სამასი წელი სამი დღე ხო არ არი! ბებიაჩემი ხან ერთის ოჯახშია, ხან მეორესი, უყურადღებოდ არ არი. მოვიდა გაზაფხული. გაზაფხული მოვიდა და ესლა მაგის (თოლერთის) მოპირდაპირედ ჩვენ რო გვაქ კულილეთი, ჩვენი ყანობა, ბებიაჩემმა ხო იცოდა, რომელია მისი ყანა. ამ ხალხმა ეს ყანები დახნა, ხორბალი დაუთესეს. ბიჭები მერე ჩამოვიდნენ, ეს სახლები ნახეს, რო დაუნგრევიათ ადგილობრივ თათრებ. შეამოწმეს – ჩავიდეს თუ არა სოფელში. არაფერი, აფსოლიტურად, დაგვილია! ჩამოვიდნენ, ძელები დადეს, მიწა შეყარეს, მიწა დააყარეს, წამოიღეს ორი-სამი მეშოკი ხორბალი, დაუფქვეს, ბებიაჩემიც ჩამოიყვანეს“ (ინფ. რობიზონ მელიქიძე). სხვა ინფორმატორთა ცნობით, „ეკლესიის წინ გამოიყვანეს ხალხი, ქართველები. დაამწკრივეს. მოილაპარაკეს, მოდი, დავწვიპოთო და ერთი სროლით ვნახოთ რამდენს მოკვლავთო. რატო არ დაამწკრივეს ერთი ორმოცდაათი კაცი. ის იყო ცეცხლი უნდა გაეხსნათ და დაეხოცათ ეს ხალხი, რო ერთი ღვთისნიერი კაცი, აქაური თათარი, ხეოთელი ნაჯაფაი გამოვიდა და: თქვე უღმერთოებო, რას აკეთებთ, რას ერჩით, ამდენ ხალხს უდანაშაულოდ რად ხოცავთ! ახლა რო ქართული ჯარი შემოვიდეს, რას შერებითო. ავტორიტეტი დიდი ჰქონდა და დაუჯერეს. იმან, ნაჯაფამ გადაარჩინა ეს ამდენი ქართველები“ (ბერიძე, 2005-1: 65). ქუნცელი მაჰმადიანი ჰეიდარი მცველად ედგა ქართველობას, ხმლით ხელში იცავდა: „სიზმარივით მახსოვს, რო შემოესეოდა თათარი. ერთი კაცი იყო, ჰეიდარაი ერქვა, თელ ქართველობას

თავის სახელში შეიყვანდა და იარაღით ხელში ჩადგებოდა: აბა ვინ მოხვალთ, ჩემ ქართველობას რამეს დაუშავებთო... ისე კარგათ ვიყავით ერთმანეთში...“ (ინფ. უნია ივანიძე). ამასვე ადასტურებს ნინა ნათენაძე: „დედაიც მაგას იტყვის, რო ქუნცაშიო, თათრებმა შეგვინახესო, მეზობელ თათრებმაო. მერე რო გაშჭირდაო, ასე გვითხრესო, რო გაგაპარანთ თქვენაო, წადითო, რო ჩვენცა გაგვწყვიტონო. აჰა, გინახანთ მარაო, ჩვენც დაგვცქერიანო, რო თქვენ ქართველი ქყაანთო. ჩვენ ნა დაქვსოცონ მაგათო და... სიდაანდი გადმოგვყვო კაციო, თათარიო, რო გაგვაცილაო, რო წადითო არ გაგვწყვიტონო, ცოდონი ხაართო. ჰო, იქაც იყენენ ხალხი...“ (ბერიძე, 2005-1: 288). **შიშის მიუხედავად, რომ ქრისტიანისათვის თავშესაფრის მიცემა სიკვდილის ტოლფასი იყო, მაჰმადიანთა ნაწილი მაინც ასერხებდა მეზობლები და ნაცნობ-მეგობრები შეეხიზნა, დაეპურებინა და თუ საჭირო გახდებოდა, გაეპარებინა კიდევ.**

„ბაბოი ყვებოდა, კეკე ბაბოი, პატარები რო ვიყავითო, თქვეს, რო თათრებმა ამაღამ ქართველები ნა დახოცონო, ტოლოშის თათრებმა ისევა. ამ ქალმა გვითხრაო, რო ამაღამ ნა დახოცონო და გვენანებითო. წაიყვანა ბაბოაჩემი თავის ბავშვებით და სალოგინის უკან დამალა. განთიადიაო, კარების ხმა ისმისო. ადგა ეს ქალიო, კარები გაუღო. –გიაურები ხო არ არიან აქაო, მაგათი სუნიაო... –არა, შვილო, არაო! წავიდა, ჩაინიკით წყალი წაიღო, შეიყვანა ბოსელშიო მოთუთხნული კაცი, ხოცა მთელი ღამე ქართველები თურმე, დააბანინა ხელ-მკლავი, რამე. დაწვაო (დასაძინებლად). ქალი გამოვიდა და გვითხრაო, რო წადით ახლაო. ერთმა ქართველები ხოცა, პიჯოი ერქვაო, ხოლო მეორე ძმამ ჩვენ შეგვინახაო. რა აქეთ გამოვლილი, იცი? შეგვრეკესო, ახლა რო კლუბი გააკეთეს, საცხვარე იყო, რო ბენზინი ნა გადაასხანო, დაგვწვანო. ერთიც შალოშეთიდან ამბავი მოვიდაო, რო ახალციხეშია შემოსული ჯარიო და გამოგვიშვეს ისევაო. ახლა კიდევ, თათრებმა დაჭრესო, დედაჩემი გვიყვებოდა, ვარევანშიო, თათარი დაჭრესო. ადგა ეს კაცი და მოვიდა პაპაჩემთანო. თან ეშინია, რო შენ თათარ მალან. ეს კაცი ასეა დაჭრილი, კლავი თუ რაღაც. რა ქნან ახლა, როგორ უშველონ, გარეთ ვერ გამოდიან. დაკლეს ცხვარი თურმე, ეს კაცი შეიყვანეს საცხვარეში, დედაჩემიო ერთიც დაასხამს საჭმელ, წაიღენს, დაასხამს, წაიღენს, სად მიაქ, რა ვიციო... ბავშვებ ვინ ეტყოდა. ეს კაცი იქ შეინახეს თვე-ნახევარი, ეს ჭრილობა მოურჩინა ბებიაჩემმა. გაიგეს, რო ამასთან თათარი იყო. რატო შეინახეო?“ (ინფ. ვენერა მელიქიძე).

მესხეთში აჯანყების მიზეზების გამომკვლევითი საგანგებო კომისიის მიერ დაკითხული მოსახლეობის (18 მარტი, 1919 წ.) ოქმებიდან ირკვევა, რომ: მესხეთის მოსახლეობა საქართველოს მთავრობის წინააღმდეგი არ არის, მაგრამ

დაბნეულია ხელისუფალთა მონაცვლეობით, ვერ გაუგიათ, „მთავარი ვინ არის“, ერთ ადგილზე რომ გაჩერებულიყვნენ, ყველა მათი ერთგული იქნებოდა (ასმედ ბეგ ავალოვი – ზემო ოშორისა და იდუმალას საზოგადოების მცხოვრები); „თუ პროვოკატორი მეთაურები მოსპობილი იქნებიან და აგრარული რეფორმა გატარდება, მაშინ ესენი (იგულისხმება მაჰმადიანი ქართველები) შიდა საქართველოს გლეხობაზე ერთგულნი იქნებიან“ (შალვა ვარდიძე, პატრი – ახალციხეში დროებით მცხოვრები); სერგერ-ბეგმა იმიტომ ასტეხა ეს ამბავი, რომ უნდოდა თავისი მიწების შერჩენა (დიმიტრი ყალაიჯიშვილი – ახალციხის მცხოვრები); მიზეზი მოძრაობისა და აჯანყებისა მაჰმადიანთა შორის საქართველოს წინააღმდეგ იყო არა რომელიმე პირის შეცდომები, არამედ უფრო ღრმა და ვრცელი. ეს იყო ნაყოფი პანისლამიზმის დიდი ხნის ქადაგებისა და ოსმალეთის ისტორიული ბრძოლებისა საქართველოს წინააღმდეგ (ივანე ასათიანი) (ივანიძე, 2008: 97-117).

ხშირად მომისმენია „გაქცევების“ მომსწრე ბაბო-პაპის ნაამბობი. 1997-1998 წლებში სოფლის უხუცესებისგან (სოფ. ტოლოში) ვიწერდი დიალექტოლოგიურ მასალას, რომელთა შორის იყო მოგონებანი „შიშიანობის წლებზე“. შალიკო დავლაშერიძე გვიამბობდა: „შიო პაპაი ლაპარაკონდა: ასპინძიდან მოვდივართო, აბანოზე გამოვივართო, სოფელში მოვდივართო, ოთხნი ვაართო. გადმოგვიცვივდნენ წინაო. აბა, მოდით, დაგვეჭიდებით და თუ ჩვენ მოგვერიეთ, თათრები ქართველებ, ნა დაგხოცოთ, თუ თქვენ მოგვერიეთ, გაგიშვათ ნა ცოცხალიო. ახლა ვთქვით რო, ოთხი კაცი – ოცი კაცი, ჩვენ როგორ ნა მოვერიოთო? ერთი პეტრე პაპაი იყო, იე ჩვენი ნარიმანას პაპა, მოჭიდავე, ამან თქვაო: ამათი დედა კი ვატირე, მოიცადეთ, ბიჭებო, ჯერ მე გავალო, ზათი ასეც ნა დაგხოცონ, ისეცო, ჯერ მე დავეჭიდებით, მერეც თქვენაო, ნახო რამდენ დავცემო. გავიდა ეს პეტრე პაპაიო. ერთი, ორი, სამი, ოთხი... ცხრა კაცი მიაწვინაო. ერთიც გამოიარეს სხვა თათრებმაო. რაუდენ პაპაი იყო მაღალი კაცი და შიშით კანკალებნო, რო ნა დაგხოცონო. – ეე, გეშინია, ბიჭო? – უთხრა თათარმაო. –რა ეშინია, ჭიდაობისთუნ კანკალებნო. წავიდა, უმფროს უთხრაო, რო: კაცო, ამ ერთმა ეს ცხრა-ათი კაცი დასცა ძირაო, ხუთი-ექვსნი დავრჩით, ისინი რაღას იზმონენო, კანკალობენ ჭიდაობისთვინაო. გოუშვით, წავიდნენ, გოუშვითო! ისეო, გამოგვიშვესო და აღარ ვეჭიდავეთ ჩვენაო, წამოვედითო და გადავრჩით იეგრეო“.

ასპინძაში აბანოებზე საჭიდაოს გამართვა ბეგებს პარასკეობით ტრადიციად ჰქონიათ. ერთ დღეს ტოლოშისა და ოშორის ბეგებს გამოუყვანიათ ფალავნები. ზველელი ტროფიმეს შვილს, ზედგინიძე რაჟდენას, სდომებია დაჭიდება და ასან

ბეგისთვის (ტოლოშელი ბეგი) უთქვამს – მაჭიდავეო. იმასაც: თუ წააქცევ, მაშინ გაჭიდავებო. „ამ ზველელმა: რო წავაქციო, ეგენი მცემენ, არ მაპატიებენ. მოკვლა კი არ უთხრა, მცემენო! –ნუ გეშინია, აქ არა ვარ, რა უნდა გცემონო! ჩამოვიდა ოშორელი ფალავანი, მივიდა ეს პატარა კაცი, შეუვარდა და გადაატრიალა, წააქცია. გამოეკიდნენ საწყაღს, სდიეს. მაშინ ეს აბანოები ასე კი არ იყო, გუბეები იყო ცხელი წყლის და იქ ბანაობდა ხალხი. გუბეში შიშველი ქალები ისხდნენ. ამ ქალებში ჩავარდა ეს კაცი. ჩაახალეს და შიშველ ქალებში მოკლეს. იმ ბეგმა ფეხებზეც არ დაიკიდა.“– ჰყვება ერკოტელი ანდრო ბერიძე (ბერიძე, 2005-1: 69). აწყვიტელი ილიკო ივანიძე (1912-1993 წწ.) სიცოცხლის ბოლომდე გულისტკივილით იგონებდა ბაკურიანის ტყეში გარდაცვლილ დედას – მაგდანა ჯვარიძეს, რომლის საფლავიც, სხვა გარდაცვლილთა მსგავსად, ნაუცბათევეად გათხრილი, დაკარგულა. ტოლოშელი ლალი მელიქიძე (1917-2004 წწ.) „თათარს“ გადაურჩენია, რომელსაც მილახევის გზაზე, მტკვრის პირას, დიდი ლოდის ძირში დატოვებული ჩვრებში გახვეული პატარა მეზობლის შვილად შეუცვნია და სახლში წამოუყვანია. ანა ზედგინიძე (1917-2003 წწ.) ზველში დატრიალებულ ტრაგედიას ვინმე ჯაბოს უგულობასა და სისხლისმსმელობას მიაწერდა...

3.6. 1944 წლის შემოდგომა

მესხეთის მოსახლეობას ასსოვს თანამოძმეთაგან სიმწარე, მაგრამ ასსოვს გულისტკივილიც 1944 წელს სამხრეთის საზღვრის ღალატის ბრალდებით მაჰმადიან მესხთა შუა აზიაში გასახლებისა: „სანამ ამათ გაასახლამდნენ, ერთ ქალმა დედაჩემს მიუტანა ოქროები და აკვანი: ბევრი ბავშვები გყანს შენაო და იეს აკვანი დაგჭირდებაო, იეს ოქროებიც შემინახეო, ვაითუ, სად წავიდეთ, სად დავიხოცეთ, სად რამეო და თუ მოვედით, ხო მომცემო, თუ არადა – შენზე ალალი იყვესო. ამ დედაჩემს ეთქვა, რო აკვანს დავიტოვამ და ესენიო (ოქრო) წაიღეთ თქვენაო. ვერ წავიღებთო. ადგა დედაჩემმა, ამსიგრძე ზომა აუღო, მაშინ რო ამერიკები იყო და ეს შეუკერა, ესენი შიგ ჩატოვა, მიაკერა, დაამაგრა, ორმაგი გაუკეთა და შემოაკრა წელზე ეს ოქროები, გაატანა. არ იღებდა თურმე, ვაითუ სადმე რამეო, იქნებ მოვიდეთ ისევო და შენ მაინც გქონდესო. თუთაძეები იყვნენ ეგენი, მახსოვს. რო ნა გაესახლებინათ, მაშინ გახმინდა, რო ესენი თუთაძეები არიან, არეგ-დარევის დროს გადიკეთეს გვარი. ესლა რო იძახიან თურქი მესხებიო, აი, ეგენია“ (ინფ. ვენერა მელიქიძე). „15 ნოემბერ გაასახლეს თურქები. ჩვენ მიგვამაგრეს ნიალა-შალოშეთის ზონაში, თათრები ბინიდან გამოგვეყვანა ნა და წასულიყვნენ ნა. დაგვიძახეს ასპინძაში, კლუბში, სამი დღის პურ-მარილით, ჩავედით იქ. აპა, რაშია საქმე, სად მივდივართ? გამოძახება იყო. სოფლებ

უძახდნენ სახელებით. როკეთის ხალხი გამოვიდეს! ჩვენც გამოვედით, თექვსმეტი ვართ ჩვენი სოფლიდან, ვარგავი დაგვიმატეს, ერთ მანქანაში ჩაგვასხვდინეს. მოვდივართ, მარა ამ ტოლოშის მიმართულებით, გამოვედით ხიდზე, აველით შალოშეთში. ერთი სამხედრო პირია, წვერიანი, მოხუცი კაცი, ჯოხი ხელში. ამან თოღურთაში გადაგვიყვანა. ახლოა. სოფლი კიდურზე დაგვასხვდინა. დაღამდა. ეს წავიდა. რა ვიცი, სად წავიდა, სად არ წავიდა, ერთიც ვნახოთ – ისევ მოვიდა. დაგვაბინავა. რო დავიწყეთ სახში შესვლა, ამ თათარმა გვითხრა: მოყვარე, აქეთ, იქით. ეს იცნეს, ის იცნეს. უმუდარი ერქვა იმ კაცსაც, ამ თათარ. სამხედრომ თქვა: ხმა არ ამოიღოთ, არ ილაპარაკოთ. ცოტა ხანი-დრო გავიდა, სოფლი კოლმეურნეობის თავჯდომარე დაუძახა ამ სამხედრო პირმა: აპა, შენ არ ჩაგიბარებია სახემწიფოსათვის ტყავი, ხორცი, ერბო, გადასახადები არ გადაგიხდია, ეს ხალხი ამოვიდა, რო სასწრაფოთ წავიღოთ ნა, ჩავაბაროთ ნა. მოატყვიილა. ახლა ეს ხალხი შემოდის, კაცია, ქალია. გვეკითხებიან: რაშია საქმე რა ამბავია, რათ ხართ მოსული? ესენიც არაფერ არ ეუბნებიან. გახდა ასე დილის შვიდი საათი. ერთიც გამოუძახა თავჯდომარემ, კრება არისო. ეს თათრობა შემოლაგდა. ჩვენ კარზე არ გამოვდივართ. გვითხრეს- არ გამოხვიდეთო. ბევრმა თუ არ იცის, ცოტამ იცის, რო ჩვენ აქ ვართ. გამოველით, ერთი-მეორე... ამათ დაიწყეს ლაპარაკი: თქვენ გეძლევათ ოთხი საათი, ოთხი საათის განმავლობაში, ადგილი უჩვენა სოფლის გარეთ, აქ ადგილზე ნა გამოხვიდეთ, ხუთასიდან ტონამდის რაც შეგიძლიათ გამოიტანეთო, რაც გაქთ. ამ ხალხმა რაც ჰქონდათ, გამოიტანეს, მაგრამ არ გინდა რო მანქანასთან მიიტანო? გზა არ არი, არაფერი არ არი. ე რო გამოცხადდა, წივილ-კივილი ატყდა. გათენდა. ზოგი ცხვარ ჰკლანს, ზოგი საქონელ ჰკლანს, ზოგი პურ ანხემს, ზოგი რას აკეთამს... გავიხედეთ რო სოფლის ირგვლივ აესე დგას სამხედრო, ღობე. რამდენიმე სამხედრომ მოუარა, სოფლი კიდურზე დააღაგეს. ახლა გზა რო გადაუხვევს თოღურთისაკენ, იქნამდისურმით ნა ჩამოვიყვანოთ. დავაუდვინეთ ეს ხალხი ურმებზე, ვეხმარებით. ხარები შევაბით, ჩამოვზიდეთ. ოთხი მანქანა გააჩერა, ეს ხალხი ასწიეს, შეყარეს შიგა. ადგნენ, გაიარეს, წავიდნენ...“ (ინფ. შალიკო დავლაშერიძე).

„თათრების“ გასახლების სამზადისი მესხეთში მოსახლეობის აღწერითა და თითოეულ დასახლებაში ინფორმატორთა განაწილებით დაიწყო, რომლებიც ვითომდა სამეურნეო საქმიანობას ადევნებდნენ თვალყურს, სინამდვილეში კი გასახლებულთა სიებს აზუსტებდნენ. ადგილობრივმა მოსახლეობამ არ იცოდა მოსალოდნელი გახიზვნის შესახებ და თუ ვინმემ იცოდა, შიშით ვერც ამხელდა.

იყო შემთხვევები, როცა თათრის ქალები ქართველებს აფრთხილებდნენ: უნდა გაგასახლონ და თადარიგი დაიჭირეთო.

მარინე ბერიძის „რეპორტაჟებიდან“ ცნობილია, რომ მუგარეთში მცხოვრებ თათარ აზიზას (ბერიძეს) რკინიგზაზე მომუშავე გაბო ასპანიძისათვის გაუმხელია: „ჩვენ თათრებს უხარიათ, ჯარი რო მოდის, ფიქრობენ, თურქეთთან ომი უნდა დაიწყოსო. მე კი ყველაფერი ვიცი, ბაქოში მეგობარი მოლა მყავს, იმან მითხრა, თქვენ გასახლებას გიპირებენ და ჯობია, ქონება გაყიდო და ფული ჯიბეში ჩაიდოო.“ ასეც მოქცეულა, მაგრამ სანანებელი მაინც დარჩენია: „ჩვენ ერთი რამე წავაგეთ, სახელმწიფო აღწერის დროს მთავრობა გვთხოვდა, ეროვნებად ქართველი ჩაგვეწერა. ძალიან დავაშავეთ, ამაზე უარი რომ ვთქვით. ჩვენ რომ ქართველებად დავწერილიყავით, დღეს ჩვენი გამსახლებელი არავინ იყო!“ (ბერიძე, 2005-1: 115). აზიზა გულისხმობდა 1937 წლის მოსახლეობის აღწერას, რომელსაც უნდა გამოერკვია მხარის დემოგრაფიული და ენობრივი სიტუაცია. კომისიის წევრ აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას ყურადღება გაუმახვილებია იმ ფაქტზე, რომ აღწერის სიებში აღრეული ყოფილა ეროვნებისა და სარწმუნოების ცნება, შესაბამისად, შედეგიც არაობიექტურიაო. მაგალითისათვის დაუსახელებია: ზარზმაში კითხვაზე – ნაციონალობა? ერთმა უპასუხა: მუსლიმანი! კითხვაზე: რელიგია? – თურქი. ს.ჯანაშიას ანგარიშში მიუთითებია, რომ მოსახლეობას კარგად ახსოვს თავისი გვარები, მაგრამ ოფიციალურად მამის ან პაპის სახელი აქვთ გვარად მიკუთვნებული, „ოღლის“ მიმატებით; რომ მათი დიდი ნაწილისათვის დედაენა კვლავ ქართულია და ტერმინი „თურქი“ არ არის გამართლებული არც ისტორიულად, არც ენობრივ-კულტურულად, არც ტერიტორიულად (ბერიძე, 2005-1: 113).

„არ ვიცოდით, ვინ ნაგაესახლებინათ. ერთი მეცხვარე კაცი იყო, ხაიალაი, დამე მოვიდა, ერდოდან დედაჩემ დაუძახა: საბედ-ბაჯიჯან, საბედ-ძალოჯან, პური არ გვიდევს და გამოგვიცხო ნა. ადგა დედაჩემი, წავიდა, მოუხილა ცომი. ორი თვე არავის უშვებდნენ სოფლიდან, არავინ ნა წასულიყო სოფლიდან, როგორც კარანტინი იყო, არსად არ ნა წასულიყო სოფლელი კაცი. იმ დამეს, რა დამესაც თათრები ნა გაესახლებინათ, ისეთი შემოერტყა გარს სოფელს სამხედრო, რო ბუხი ვერ ჩაფრინდებოდა. ორი დღე და დამე გამორეკეს სახლებიდან, საათი დაუთქვეს, რო რამდენ წუთში რას მოასწრენდნენ და რაც მოასწრეს, გამოიტანეს სახლებიდან, მერე მივიდოდნენ ეს რუსები და ზრიხით გადაზრეხილს დაულურსმამდნენ. კალოები იყო ქუნცაში, ჯვარს რო ვუძახით, იქ გამოასახლეს და ორი დამე იქ ჰყანდათ, იქ გააჩერეს ეს ხალხი ღია ცის ქვეშ. ვისაც საქონელი ჰყავდა, ქვაბებით ყაურმები გააკეთეს. აღარც იმ თათარს

გამოუშვენდნენ, აღარც ჩვენ იმათთან. დიდი მანქანებით შეყარეს ეს ხალხი. მარტო მამაკაცები დაუძახეს ქართველები, კრება მოიწვიეს: ყველა ფეხზე ნა იყენეთ, რო სოფლიდან არ გასულიყო არავინ. ავადმყოფი ბიჭი იყო, ზოირაი ერქვა იმის დედასა, დედაჩემ ეხვეწებოდა: საბედ-აბლაჯან აქ შემინახეთ, იქამდე ვერ ჩავადწევ. რაგორ ნა შეგინახოთ, ვინ შემანახინებს შენ თავს?“ (ინფ. უენია ივანიძე).

სამხრეთ საქართველოდან მაჰმადიანი მოსახლეობის დეპორტაციის მთავარ მიზეზად „თურქეთთან თანამშრომლობისა და მის მიმართ გამოჩენილი კეთილგანწყობისათვის“ ამ მოსახლეობის დასჯა სახელდება. „ეს გასახლება როგორ მოხდა? დაგეგმა მოსკოვმა. ეს ხალხი კი არ ეჯავრებოდათ, არა! ომი რო იყო 44-ში, ლეინაკანში, სტალინმა ლეინაკნიდან ვერ მოხსნა დივიზიები, რო გადაესროლათ ფრონტზე, თურქეთისა ეშინოდათ, თურქეთ ხელ უწყონდა ადგილობრივი მუსლუმანები, აემაგითი ხდებოდა დიდი პროვოკაციები, ხალხი გადადიოდა-გადმოდიოდა (საზღვარზე). ეს ადგილობრივ ხალხმა ისე შებოჭეს ამ დროისათვის მთავრობა, რო აქედან კაცი ვერ მოხსნა. დიდი ნაწილ ლეინაკანში იდგა, დიდი ნაწილი – ბათუმში. ვერ ენდობოდა მაგ ხალხს და მაგის გულიზე. მკვლევლობები ხდებოდა, როცა უკვე გაიპარპაშენდნენ, ხალხს ხოცანდნენ“ (ინფ. რობიზონ მელიქიძე). დიდი სამამულო ომის წლებში საბჭოთა კავშირისა და თურქეთის სახელმწიფო საზღვართან „არასანდო ელემენტების“ დარჩენა სარისკო გახლდათ, ასეთად კი მიიჩნეოდა მაჰმადიანი მოსახლეობა, რომელსაც კონტრაბანდისტული მიზნებით მიმოსვლა არ გაუწყვეტია „საზღვრისიქითა საქართველოსთან“, სადაც ნათესავები ეგულებოდა. თურქეთის ხელისუფლება კი ინფორმაციის დასატყუებლად იყენებდა მათ. მაგრამ დეპორტაციის, როგორც სადამსჯელო ღონისძიების, უმთავრეს და ერთადერთ მიზეზად აღნიშნული ფაქტორის დასახელება მართებულად არ მიაჩნია უბლუაშვილს, მით უფრო, რომ „1944 წლის ბოლოს საბჭოთა არმია ბრძოლებს ქვეყნის საზღვრებს გარეთ აწარმოებდა და გერმანიის მხარეს თურქეთის ჩაბმაც გამორიცხული იყო. ომის მსვლელობაში მომხდარი გარდატეხის შემდეგ საბჭოთა ხელმძღვანელობა სერიოზულ სამხედრო და პოლიტიკურ სამზადისს შეუდგა 1918-1920 წლებში თურქეთის მიერ მიტაცებული ქართულ-სომხური ტერიტორიების დაბრუნებისათვის (ტერიტორიების შესახებ კამათი მიმდინარეობდა პოტსდამის კონფერენციის სხდომებზე; 1945წ. 17ივლისი–2აგვისტო). ამ ჩანაფიქრის პრაქტიკული განხორციელების შემთხვევაში საქართველოს დაუბრუნდებოდა მაჰმადიანებით დასახლებული ბათუმის ოლქის სამხრეთი ნაწილი – მაჭახელა, ბორჩხა და მაკრიალი და სამცხე-ჯავახეთის მოსაზღვრე არტაანის, ართვინისა

და ტაოს საკმაოდ ვრცელი ტერიტორია. სამცხე-ჯავახეთისა და აჭარის მაჰმადიან მოსახლეობასთან ერთად ახლადშემოერთებული მოსახლეობა შექმნიდა ვრცელ მაჰმადიანურ არეალს, რომელსაც შეეძლო კონფესიური და პოლიტიკური პრობლემები შეექმნა პატარა საქართველოსათვის. განსაკუთრებულ ხიფათს ხედავდნენ ახალი მაჰმადიანური ნაკადის მიერთებისა სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობასთან, რომელსაც დაკარგულ ჰქონდა ენა, სარწმუნოება და ეროვნული ცნობიერება, მათი უმრავლესობა თავს თურქად თვლიდა. ასეთ პირობებში კი ქართულ მოსახლეობასთან ახლადშემოერთებული მოსახლეობის ინტეგრაცია გაჭიანურდებოდა, შესაძლოა პრობლემურიც გამხდარიყო.“ სწორედ საკითხის ამ კონტექსტში განხილვა იძლევა სრულ სურათს სამხრეთ საქართველოდან მაჰმადიანთა დეპორტაციის ჭეშმარიტი მოტივების შესახებ, – წერს უბლუაშვილი, – თურქული ცნობიერების მაჰმადიანი მოსახლეობის დეპორტაციით და მათ ადგილზე დასავლეთ საქართველოდან ქართული ცნობიერების ქრისტიანი მოსახლეობის ჩამოსახლებით საბჭოთა ხელმძღვანელობა ცდილობდა გარკვეულწილად დაეხალანსებინა კონფესიური ვითარება სამხრეთ საქართველოში, რაც საბოლოო ჯამში ხელს შეუწყობდა ინტეგრაციულ პროცესებს ამ რეგიონში (ბლუაშვილი, 2013: 52).

3.7. გამაჰმადიანებულ წარჩინებულთა გვარები

XVI საუკუნის ბოლოს დაპყობილ მესხეთში საათაბაგოს გამგებელნი ცდილობდნენ ქართული სოციალურ-პოლიტიკური სისტემის შენარჩუნებას და თურქეთის წინაშე მოხარკეობას კისრულობდნენ, რაც იმას ნიშნავდა, რომ ქვეყანაში ქრისტიანული სარწმუნოება ხელშეუხებელი დარჩებოდა, მაგრამ თურქები დათმობაზე არ მიდიოდნენ და ათაბაგებს „სრულად მის მამულს“ გამაჰმადიანებისა და ფაშობის პირობით აძლევდნენ (შარაშიძე, 1961: 53). ასე მოხდა 1579 წელს მანუჩარის (მუსტაფა-ფაშას) შემთხვევაში. სულ მალე, 1582 წელს, მანუჩარმა მაჰმადიანობა უარყო და კვლავ ქრისტიანობით იკურთხა გვირგვინი. ეს იყო მესხეთის დიდი აჯანყების დასაწყისი, რომელიც ოთხ ათეულ წელზე მეტხანს გაგრძელდა და იმით დამთავრდა, რომ ჯაყელთა სახლის შვილი – ბექა (საფარ-ფაშა) გაამაჰმადიანეს და სამცხე-საათაბაგოს მმართველობა ფაშობით მისცეს. მართლმადიდებელ ქრისტიანობაში თურქეთი ხედავდა რუსეთ-საქართველოს კავშირს და არ დაუშვებდა, რომ დათმობაზე წასულიყო. ქვეყნის ხსნისათვის ბრძოლაში სამცხე-საათაბაგო დამარცხდა და ჩილდირის საფაშოდ გადაიქცა. ქართველები ახალციხის ფაშას თუმცა კვლავაც ათაბაგს უწოდებდნენ და ქვეყანას – საათაბაგოს, მაგრამ ეს მხოლოდ ტრადიციაა.

ახალციხის საფაშო კარი ასე უცბად ვერ გარდაიქმნებოდა და შ.ლომსაძის აზრით, საფიქრებელია, რომ პირველ ხანებში კარის მოხელენი ქრისტიანებიც იქნებოდნენ (ლომსაძე, 2011: 285). თვით საფარ-ფაშასა (1628-1651წწ.) და იუსუფ-ფაშას (1737-1744წწ.) ოჯახის წევრები ქრისტიანები ჩანან და თავიანთი კარის მღვდელიც ჰყავთ. ახალციხის გამაჰმადიანებულ წარჩინებლთა ოჯახებიც ასევე ჯერ კიდევ ქრისტიანები არიან: „ცოლნი მათნი და მხევალნი იყუნენ ყოვლითა ქრისტიანენი“ (ვახუშტი, 1973: 169). XVII საუკუნის ბოლოს რომ ფაშას კარი არ არის ბოლომდე გამუსლიმებული, ამის დასტურია სულხან-საბა ორბელიანის დამოყვრება ათაბაგთა სახლთან.

მ.სვანიძის ცნობით, XVII საუკუნის 30-იანი წლებისათვის ახალციხის საფაშოს ფეოდალთა კლასის უმრავლესობა ჯერ ისევ ქრისტიანია. ლალა ფაშას სამცხე-საათაბაგოს ფეოდალებისათვის უფლება მიუცია, დარჩენილიყვნენ ქრისტიანებად, შეენარჩუნებინათ თავიანთი მამული და თანამდებობა მემკვიდრეობის უფლებით. ეს წესი ძალაში ყოფილა როსტომ ფაშას დრომდე (სვანიძე, 1971: 322). როსტომ ფაშას დროს გამოცემულა ბრძანება, რომ ყოველ დიდ მოხელეს უნდა დაეტოვებინა ქრისტიანული რელიგია, უარის შემთხვევაში დაკარგავდნენ თანამდებობებსა და პრივილეგიებს. ფეოდალისათვის მაჰმადიანობა გარდაუვალი იყო. ხშირად მშობლებსა და შვილებს, დებსა და ძმებს ერთ ოჯახში სხვადასხვა სარწმუნოება ჰქონდათ. ამის მაგალითად შ.ლომსაძე ასახელებს XVIII საუკუნის დასაწყისში ხეობაში მჯდარ გიორგი ავალიშვილს, რომელიც ქრისტიანი იყო და სამცხეს, სოფელ ლოვათხევში მყოფ გიორგის ძმას, უკვე მაჰმადიანს (ლომსაძე, 2011: 287). ვახუშტის ცნობით, „ივლტოდიან კვალადცა, რომელთა არა ინებეს გამაჰმადიანება: ქართლს, იმერეთს, ოდიშს, გურიას, კახეთს... მოისპობოდნენ ეპისკოპოსნი, თვინიერ ადგილ-ადგილ იპოვებოდნენ მღუდელნი“ (ქც, II: 169). თურქთა აგრესიამ და დაპყრობამ სახრეთ საქართველოს მიგრაციული პროცესები განაპირობა. საისტორიო წყაროებზე და ეთნოგრაფიულ მონაცემებზე დაკვირვება ნათელყოფს, რომ სამცხელთა გადასახლებანი ძირითადად დასავლეთ საქართველოსაკენ (გურია, იმერეთი) იყო მიმართული, ჯავახები კი აღმოსავლეთ საქართველოში (ძირითადად ქართლში) მიგრირდებოდნენ (თოფჩიშვილი, 2013: 83).

ამ ქვეთავში მიმოვიხილავთ წარჩინებულ მაჰმადიან ქართველთა გვარებს: აბაშიძე, ავალიშვილი, დიასამიძე, ვაჩნაძე, ზუბალაშვილი / ზუბალოვი, თულაევი, მაჩაბელი, ორბელიანი, ფალავანდიშვილი / ფალავანდოვი, შალიკაშვილი, ხიდირბეგიშვილი / ხიდირბეგოვი, რომლებიც ასპინძის მუნიციპალიტეტში დასტურდებოდა XX საუკუნის 20-40-იან წლებამდე. გვარსახელთა ერთი ნაწილი

საკუთრივ ანთროპონიმიდან მომდინარეა, ნაწილი – გეოგრაფიული სახელიდან, ზოგს მეტსახელი უდევს საფუძვლად. აღნიშნულ გვართა გაქრობა სოციალ-პოლიტიკურმა ვითარებამ განაპირობა. დღეს თერთმეტი გვარიდან ასპინძის მუნიციპალიტეტში მხოლოდ ერთი ფიქსირდება – დიასამიძე.

აბაშიძე – მომდინარეობს საკუთარი სახელიდან **აბაში**-ი (< აბას – არაბ.). შდრ. აბაზაძეები (< აბასაძეები). პ.ცხადაიას მოსაზრებით, არაა გამორიცხული, **აბაში**კოლხურსუფიქსიანი წარმომავლობის სახელი იყოს და „აბას შვილს, აბას შთამომავალს“ აღნიშნავდეს, ხოლო აბაშიძე – ორმაგი სუფიქსაციით წარმოქმნილი გვარსახელი: აბა-ში-ძე (ცხადაია, 2000: 48). აბაში დადასტურებულია „ქართლის ცხოვრებასა“ („მეფემ ალექსანდრემ, ძემან გიორგი მეფისამან, გაჰყარნა სამნი ძმანი – აბაში, გუგუნა და დავით“. ქც, 1973: 33) და „ტბეთის სულთა მატინაეში“ („სულსა გოგლაეთ აბაშისასა შეუნდვენ ღმერთმან“. ტსმ. 1977: 239). აღ. ღლონტს მითითებული აქვს: აბაში, აბაში, აბაში, აბეში – მამაკაცთა სახელებში, აბაშია – ქალთა სახელებში (ღლონტი, 1967: 43, 169). ი.მაისურაძის ცნობით, აბაშიძე ერთ-ერთი პოპულარული ისტორიული გვარსახელია, ვახუშტი ბატონიშვილს მოხსენიებული აქვს იმერეთის უწარჩინებულეს და შემძლებელ თავადთა შორის, რომელთაც ქართლშიც ჰქონდათ მამულები (ქც. IV, 34, 36); აბაშიძენი არის გვაროვნობითი შტო ქართლის აბაშიძეთა (ჟორდ., ქრონ., II, 179); ეთნონიმადაც არის ცნობილი: აბაში (–აბისინიელი, კეკელიძე, ეტიუდ., 1, 179); შდრ. ტოპონიმები: აბაშია, აბაშეთი; ამავე ძირისაა: აბაშია, აბაშიშვილი (წარჩინებული ფეოდალური საგვარეულო ქართლში, ბარათაშვილთა შტო); შდრ. **Абашин** (Никонов, 126), **Абашев** (Баскаков, 216), (მაისურაძე, 1990: 15). მ.ქამადაძე ვარაუდობს, რომ მამაკაცის საკუთარი სახელისაგან „აბაში“ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გვარი **აბაშიძე/აბაშიშვილი/აბაშია** სხვადასხვა დროს დამოკიდებულად წარმოიქმნა (ქამადაძე, 2007: 155).

ქსე აბაშიძეების შესახებ გვამცნობს: „ფეოდალური საგვარეულო იმერეთში, ქართლსა და კახეთში. პირველი დოკუმენტური ცნობა ამ საგვარეულოს შესახებ XV საუკუნის II ნახევარს ეკუთვნის. აბაშიძეები განსაკუთრებით დაწინაურდნენ იმერეთის სამეფოში. XV-XVI სს. მიჯნაზე ზემო იმერეთში ჩამოყალიბდა აბაშიძეების სათავადო, რომელიც განსაკუთრებით გაძლიერდა XVIII ს. მიწურულსა და XVIII ს. I ნახევარში. აბაშიძეები იყვნენ იმერეთის მეფის უძლიერესი ვასალები. ხშირად მათი ნება-სურვილისამებრ წყდებოდა იმერეთის მეფის ტახტზე ასვლა-დარჩენის საკითხი. 1774 წელს ერეკლე II-მთავის სიმამრს ზაალ აბაშიძესა და მის შვილებს კახეთში უბოძა ყმა-მამული. კახეთის

აბაშიძეები მათგან მომდინარეობენ. იმერელი აბაშიძეების განაყოფად მიიჩნევენ ქართლის აბაშიძეებსაც. XVIII ს. I ნახევარში იმერელი აზნაური აბაშიძეები ბათუმის მხარეში ჩასახლდნენ, გამაჰმადიანდნენ და ოსმალს მთავრობისაგან სანჯაყ-ბეგობა მიიღეს (ქსე, 1975: 20).

მესხი აბაშიძეების აჭარიდან წარმომავლობაზე საუბრობს დავით ზედგინიძე: „თოკელი აბაშიძეები ბეგები იყვნენ. რაც კაი მამული იყო, თოკს ეკავა ყველა, რაც ბაღებია თოკში, სულ აბაშიძეების ბაღებია. ესენი აჭარიდან გადმოსული აბაშიძეები იყვნენ. მოვესწარი მე, ვამხანაგობდით ერთმანეთთან“ (ბერიძე, 2005-1: 421).

ს.ხოსიტაშვილისა და ა.ფრონელის ინფორმაციით, ხერთვისსა და თოკში ბეგებად აბაშიძეები იყვნენ, ამასვე ადასტურებს ინფორმატორ ვასო ასპანიძის მოგონებაც: „თოკში ბეგები იყვნენ აბაშიძეები, ბატონები იყვნენ და ემ პატარა სოფელ ოთხი ბეგი ჰყავდა“ (ბერიძე, 2005-1: 148). ა.მარტიროსოვის „ქართული ენის ჯავახური დიალექტის“ თანდართულ ტექსტებში იკითხება: „საროში ყოფილან მებატონეები აბაშიძეები, სამი ძმანი, გაუკეთებიათ სამი ციხე თავენტოვინ, ეკლესიაც გაუკეთებიათ. ჩონ ეკლესიაში ერთი ხატი იყო წინათ, ძოლი დარჩენილი, (ზედ) დაწერილი იყო: „ქრისტე, აღიდე ძენი აბაშიძენი და გლახაკი ივანე“. აბაშიძეები რო შეუწუხებიათ, თათრობა მიიღეთო, ამდგარან და თოკში გადასახლებულან, ვითომ დამადიან თათრებს, მაგრამ იქაც მიუგნიათ და გაუთათრებიათ“ (მარტიროსოვი, 1995: 139). სამხრეთ საქართველოში აბაშიძეთა გვარი აღარ დასტურდება, მაგრამ ნაცისხარს შემორჩა „აბაშიძის ციხე“ (ბერიძე, 1992: 35).

ავალიშვილი – ფეოდალური საგვარეულო საქართველოში, დაწინაურდა XV-XVI სს. ძველი თორის მხარეში (ახლანდ. ბორჯომის ხეობა). აქ ჩამოყალიბდა ავალიშვილების სათავადო (საავალიშვილო), ცენტრი სადგერი იყო. საავალიშვილო 1535-1545 წლებში იმერეთის სამეფოში, ხოლო 1545 წლიდან სამცხე-საათაბაგოში შედიოდა. XVI საუკუნის 70-80-იან წლებში ოსმალებმა დაიპყრეს. XVII საუკუნეში ავალიშვილების ერთი ნაწილი შიდა ქართლში, კახეთსა და იმერეთში გადასახლდა, საკუთარ მიწა-წყალზე დარჩენილნი გამაჰმადიანდნენ და ბეგების წოდება მიიღეს (ქსე, 1975: 114); ავალიშვილები ძველად ციციშვილთა გვარს ენათესავებოდნენ და წინაპარს სახელად ავალა ერქვა. თავდაპირველად სახლობდნენ ახალციხის ახლომახლო, როცა ათაბაგი „განდგა და დაიპყრა ახალციხე თავისად შეწვენითა თურქთა წელსა 1601, მათგან რომელიმე შთავიდნენ იმერეთს, სხვანი მოსახლე იყვნენ ძველადვე მტკვრის ხეობასა შინა და იწოდებოდნენ მტკვრის მოურავად და მერე მტრიანობის მიზეზთა აიყარნენ

და შთამოვიდნენ ბრეთსა. რომელნიმე განვიდნენ კახეთს და არიან მუნიოგან წოდებულნი ავალიანნი ქართლს მოსახლენი და კახეთს მოსახლენი, ხოლო ქართლს მოსახლენი არიან უპირველესნი: პეტრესშვილები, გოგიასშვილები, ანუ გიორგისა და სხვანი ამათნი სახლის კაცნი“ (საანალიზო ლექსები... 21); ავალიანები და ავალიშვილები ერთი ძირისანი არიან. ისტორიულად სამცხის სათავადო გვარეულობაა. ვახუშტი მთავართა და წარჩინებულთა გვარებს შორის იხსენიებს (ქც. IV: 34) (ახუაშვილი, 1994: 196). ა.დლონტი „ქართველურ საკუთარ სახელებში“ ადასტურებს ავალ და ავალო ფორმებს (დლონტი, 1967: 45). ს.მელიქიძე ახალდაბის (ბორჯომის რაიონი) მცხოვრებთა შორის აფიქსირებს ავალიშვილებს და განმარტავს, რომ XIX საუკუნის 50-იან წლებამდე ხეობა მათ ეკუთვნოდათ; შემდეგ ჩამოურთმევიათ რომანოვებს და ხაზინისთვის გადაუციათ. ძნელბედობის უამს წასულან კახეთში, ქართლში, სამეგრელოში, სამცხეში (აქ ზოგს მუსულმანობაც მიუღია); მეცნიერის აზრით, ფუძე მესხეთიდანაა (მელიქიძე, 2009: 174). ვახუშტი ბატონიშვილის ნაშრომში ავალიშვილები მოიხსენებიან სამცხის, ქართლისა და კახეთის თავადებში (ვახუშტი „აწინდელთა მთავართა გვართათვის“). ავალიშვილები სოფელ ოშორის ბეგები ყოფილან. მიუხედავად იმისა, რომ ზედა და ქვემო ოშორა ქართველი მაჰმადიანებით იყო დასახლებული, მათ სკოლაში რუსულ-თურქული სწავლება მიმდინარეობდა, მოსახლეობა „ქართულის სწავლებასა და წიგნს მოკლებული ყოფილა“. ცნობილი პუბლიცისტის ილია ალხაზიშვილის საგაზეთო წერილით ვიგებთ, რომ „ერთხანს აქაურები სკოლის გარეშეც კი ხალისით ასწავლიდნენ ერთმანეთს მამა-პაპურ ქართულ ანბანს. ამ სოფლის ბეგი ავალიშვილი ქართველობას ჩემულობდა და მამულიშვილობაზედ მოჰქონდა თავი“ (სუდაძე, 1998: 61). ცნობილია, ერთ-ერთმა ავალიშვილმა აკად. ექვთიმე თაყაიშვილს მოგზაურობის დროს უსახსოვრა დიდი რუდუნებით შენახული ვეფხისტყაოსნის ხელნაწერი (ლომსაძე, 1996: 87).

ღიასამიძე – წარჩინებულ გვარეულთაგანი სამცხეში (ქც. IV: 35); საკ. სახ. ღიასამ (დღ. სახელები); ღიასამიძის სახლი მაწყვერელის სამწყსოშია მოხსენიებული (ეორდ., II, 53) (მაისურაძე, 1990: 56). ისტორიული წყაროებში მითითებულია, რომ დ[ი]ასამ დ[ი]ასამიძე მოწმედაა დასახლებული იესე ხერხეულიძის ყმის ნასყიდობის წიგნში (1676 წ.); ხოლო XVI საუკუნის შუა წლებში ღიასამიძე ვახუშტი, სამცხე-საათაბაგოს პოლიტიკური მოღვაწე, მხარს უჭერდა ქართლის მეფეს ლუარსაბ I-ს (ახუაშვილი, 1994: 327). ყველაზე ადრინდელი საბუთი, რომელშიც ღიასამიძეები არიან მოხსენიებული, 1443 წლით თარიღდება: ვარამ ღიასამიძეს, ავთანდილისა და ღიასამის მამას, შიოს

კათალიკოსობის დროს, სეგტიცხოვლისათვის შეუწირავს ყვიბისელი გლეხი ფერიაშვილი თავისი მამულით (პალ, 1993: 78). დიასამიძეები ღობიეთის მმართველებად ჩანან XVI საუკუნეში: „ღობიერნი, სასაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკლესიითა, დიასამიძეთა აქუს“ (შარაშიძე, 1961: 31).

ვაჩნაძე – საკუთარი სახელიდან (ვაჩა, ვაჩე) მომდინარედ თელის ი.მაისურაძე, ამავე ფუძისად მიიჩნია ვაჩაძე და ვაჩეშვილი (მაისურაძე, 1990: 65). ზ.ჭუმბურიძის აზრით, ვაჩე ძველ საქართველოში ფართოდ გავრცელებული სახელი იყო, ერქვა ქართლის მეოცე მეფეს; წარმოშობით ირანული სახელია და ყმაწვილს, ბავშვს, ბიჭს, შვილს ნიშნავს. შდრ. ქართული „ბიჭიკო“ (ჭუმბურიძე, 1992: 112). ა.დლონტთან დაფიქსირებულია: **ვაჩან, ვაჩე, ვაჩიტო** (დლონტი, 1967: 79). იერუსალიმის ჯვრის მონასტრის აღაპებში მოხსენიებულია არსენი ვაჩეს ძე (ინგოროყვა, 1964: 168). ჯავახეთში არის სოფელი **ვაჩიანი**, რომელიც შესაძლებელია ადრე ვაჩნაძეთა მემკვიდრეობას წარმოადგენდა; კახეთში, გურჯაანის რაიონში, XX საუკუნის დასასრულს სოფელ შრომას დაუბრუნეს თავისი ისტორიული სახელი **ვაჩნაძიანი** (სახლთხუციშვილი, 1997: 140). ცნობილია, რომ ადრე ის ვაჩნაძეების სამკვიდრო იყო, ვაჩნაძეებით დასახლებული.

ვაჩეს გავრცელება ქართულ მოსახლეობაში დოკუმენტურად დასტურდება X საუკუნის შუა ხანებიდან. **ვაჩე ერისთავი** (პირობითად 964 წ.) ფიგურირებს კუმურდოს წარწერებში: „სახელითა ღმრთისაითა, მე, იოვანე ეპისკოპოსმან დაუდევ დღე აღუსებაი აღაპად ვაჩე ერისთავსა. ვინ შეცვალოს – კრულია ამით ხატითა, ჩემითა ჯუართა“ (სილოგავა, 1994: 84). **ვაჩაი** გურაძისა და მირაძის გვერდით, რომლებიც „როგორც ჩანს, ძმები იყვნენ, შესაძლებელია ერთად დადუპულები“, მოხსენიებულია ხეოთის სამრეკლოს წარწერებში (X-XI სს.): „ქრისტე განუსვენე სულსა ვაჩაძისასა, გურაძისასა, მირაძისასა“. ამ სახელების კინობითი ფორმით გადმოცემა, ვ.სილოგავას აზრით, საკუთარ სახელთა სოციალური ბუნებით უნდა აიხსნას და მოწმობს, რომ წარწერაში დასახელებული პირები წვრილი აზნაურებია (სილოგავა, 1997: 17, 28).

ფურცელაანთ ქრონიკის მიხედვით, ასპინძის ბრძოლაში თავი უსახელებია ახალგაზრდა **ლუარსაბ ვაჩნაძეს** (ეორდანი, 1967: 320).

რ.თოფჩიშვილი „საქართველოს თავად-აზნაურთა გვარების ისტორიაში“ განიხილავს **ვაჩიანიძეთა** გვარს, რომლებიც თავად მუხრან-ბაგრატიონების აზნაურებს ეკუთვნოდნენ და 1651 წლის საბუთში მოწმედ მოხსენიებულ ვაჩიანიძეს ვაჩიანიძედ მიიჩნევს. მასვე მოჰყავს ციტატა ი.ბაგრატიონის წიგნიდან (ბაგრატიონი, 1997: 101): „წინაპართა ადგილისა გამო ვაჩიანისა მიიღეს გვარი ესე, რომელიც არიან ჯავახეთის ადგილიდან მოსრულნი და ცნობილნი, როსტომ

მეფის დროსვე მცირე აზნაურად მიღებულნი, როსტომ მეფემ 1597 წელს მისცა აზნაურობა, როდესაც მოჰყვა ათაბაგისა ქალსა დედოფალს თინათინს ზითევში“ (თოფჩიშვილი, 2011: 130). ვაჩიანიძეები ასპინძის რაიონში არ დასტურდება, კბარათაშვილი, ს.ხოსიტაშვილი, ნ.ვაჩნაძე და ინფორმატორები ასახელებენ მხოლოდ ვაჩნაძეს.

გვარსახელთა ფუძეებში ფონეტიკური პროცესების ტიპობრივ შემთხვევად განიხილავს ი.მაისურაძე ვაჩნაძეს, რომელშიც ი ხმოვანი ამოვარდება: ვაჩინასძე > ვაჩნაძე. შდრ. ჯიბლაძე < ჯიბილასძე, მეღქაძე < მეღიქასძე, სანგია < სანიგია. ვაჩინა, თავის მხრივ, კნინობითი ფორმაა საკუთარი სახელისა ვაჩე-დასქნს მეცნიერი (მაისურაძე, 1979: 54).

ახალციხის საფაშოს ბოლო წლების პოლიტიკურ ისტორიაში საინტერესო ფიგურაა ხერთვისის სანჯაყ ბეგი აღზიაჩული, იგივე **მამედ ბეგ ვაჩნაძე**, რომელიც ჩანს XIX საუკუნის 20-იანი წლების (1816 წ.) მესხეთის აჯანყების მეთაურად. ამ აჯანყების საბაბი გამხდარა ახალციხის სოფლებიდან ჩამოსული მაჰმადიანი ქალების საჩივარი ფაშასთან. შეშფოთებულ ქალებს მამედ რაშიდ ბეგისთვის მოუხსენებიათ სოფლებში ჩაყენებული ჯარების თავაშეებულობისა და გახრწნილების შესახებ და უთხოვიათ მფარველობა. არაქართველი წარმომშობის ფაშას არაფრად ჩაუგდია ქალების თხოვნა და შეურაცხყოფილნი უკან გამოუყრია. ახალციხის ქუჩებში უკან მომავალ ატირებულ ქალებს შეხვედრია ყალბა აღასი ოღლი სულეიმან ალა, რომელიც მხლებლებთან ერთად ფაშას მისჭრია, ხმალი უშიშვლია და მიძიმედ დაუჭრია. დაუხოცავთ ფაშას ამალის წევრებიც. ციხის ინციდენტს მოელი ქალაქი ფეხზე დაუყენებია, ყველა ერთად, განურჩევლად რწმენისა და შეხედულებისა, აღმდგარა თავიანთი ქალაქის, მიწა-წყლისა და ოჯახის დასაცავად. აჯანყებულები არ მორიდებიან სერასკირი ბაბა ფაშას მუქარას და ახალქალაქის გარნიზონის საქმეც მოუგვარებიათ. 4 სექტემბრის გადამწყვეტი ბრძოლა ახალციხის მოსახლეობის გამარჯვებით დასრულებულა. სახალხო აჯანყებამ მაჰმადიან მესხთა ეროვნული გრძნობები შესამჩნევად გამოაფხიზლა. აჯანყების შემდეგ ახალციხეში ფაშად კვლავ ჯაყელთა მოდგმის ლუთფი ალი ფაშა დაინიშნა. როგორც კი დამთავრდა 1816 წლის აჯანყება, მამედ ბეგ ვაჩნაძე ხერთვისს ავიდა და ციხე გაამაგრა. ამ ბრძოლის შემდეგ ერთიორად გაზრდილა მამედ ბეგ ვაჩნაძის ავტორიტეტი, საფაშოში მის დაუკითხავად არცერთ მნიშვნელოვან საკითხს აღარ წყვეტდნენ თურმე. „როდესაც ლუთფი ალი-ფაშა ახალციხიდან გაიწვიეს, ახალი ფაშის მოსვლამდე საფაშოს საქმეებს ფაქტობრივად ბაშ-ალა მამედ-ბეგ ვაჩნაძე განაგებდა. იგი ერეოდა ისეთ საკითხებში, როგორცაა ურთიერთობა

სპარსეთთან, რუსეთთან, ურთიერთობა საქართველოს სამთავროებთან და სხვ.“ (ლომსაძე, 2011: 147-151). მამედ ბეგმა ხერთვისში ცხოვრების ყოველგვარი პირობა შეუქმნა სპარსეთიდან ახალციხის საფაშოში გადმოსულ ალექსანდრე ბატონიშვილს და არ გასცა იგი ერმოლოვის მრავალგზის მცდელობის მიუხედავად.

ზემოთ მოგახსენებლით პეტერბურგს გაგზავნილი ელჩობის შესახებ, რომლის შემადგენლობაში ანტონ კათალიკოსისა და ლეონ ერეკლეს ძის გვერდით ხერთვისელი იბრაჰიმ ბეგიც იმყოფებოდა. XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისში ხერთვისის ბეგები **ვანნაძეები** ყოფილან და ეს აფიქრებინებს შ.ლომსაძეს, რომ იბრაჰიმ ბეგიც ვანნაძე იყო. ამას ზურგს უმაგრებს ა.ფრონელის ცნობა, რომ „ხერთვისს შერჩენია ქართული გვარები: ვანნაძე და გეგიძე“, ამასთანავე: „ხერთვისში თავი (მთავარი) გვარი ყოფილა ვანნაძე. ვანნაძიანნი დღესაც არიან და ამ გვარიდან ინიშნებოდა მაჰმადის რჯულის პირველი სამღვდელო კაცი— ყაზი“ (ფრონელი, 1991: 172, 152).. სიგელებიდან ცნობილია, რომ „ხერთვისის ციხის და ქალაქის გამცემი, ერთი იქაური ბეგი, საიდუმლოდ მალვით მოვიდა თავის ნათესავეებთან ციციანოვთან და ფიცით პირობა“ მისცა მეფეს. ცხადია, იგი გამაჰმადიანებულ ქართველ თავადთა წარმომადგენელია, რომელსაც ჯერ კიდევ არ ჰქონია გაწყვეტილი კავშირი ქრისტიან ქართველ (ციციშვილები) თავადებთან, – წერს შ.ლომსაძე (ლომსაძე, 2011: 87). მისი აზრით, ხერთვისელი ბეგის თანამდებობა ცნობილი არ არის, რა თქმა უნდა, იგი უბრალოდ ხერთვისის ციხის კომენდანტი ან ყალბადასი არ უნდა ყოფილიყო, თორემ ერეკლეს ერთდროულად ციხისა და ქალაქის მიცემაზე ფიცით ვერ შეეკვროდა. „მისი ბეგობა ისეთ კონტექსტებშია მოხსენებული – „ბელადი ხერთვისისა“, „გამგებელი ხერთვისისა“, რომ იგი უფრო ხერთვისის სანჯაყის უფროსი, „სანჯაყ ბეგი“ უნდა ყოფილიყო (ლომსაძე, 2011: 88). ამ ამბიდან ორი საუკუნის შემდეგ გ.ბოჭორიძე სიძველეთა დაცვის კომიტეტისათვის მიწერილ მოხსენებით წერილში სიძველეების დაცვისა და საზოგადო სამსახურისათვის ერთდროული დახმარების მიცემას ან მადლობის წიგნის გაგზავნას ითხოვს ხერთვისელი რწმუნებულისათვის, **ხალის ვანნაძისათვის** (ბოჭორიძე, 1992: 253). ეს ის ბოქაული ხალისბეკ ვანნაძე უნდა იყოს, რომელმაც ნაზირა ვანნაძის პაპის— სულეიმან ვანნაძის, ძირძველი ხერთვისელის,— გარდაცვალების შემდეგ მისი შვილების მეურვეობა, როგორც განაყოფმა, თავის თავზე აიღო (ვანნაძე, 2005: 135). ეს არის დადასტურება იმისა, რომ გასული საუკუნის 30-იანი წლებისათვის ვანნაძეები ჯერ ისევ ცხოვრობენ ხერთვისში და წარჩინებულ თანამდებობებზეც არიან.

ზუბალაშვილი/ზუბალოვი – გვარს უკავშირებენ საკუთარ სახელს ზუბა. ამავე ძირისად მიაჩნიათ: ზუბაშვილი, ზუბიაშვილი, ზუბაძე. შდრ. ზუბიტაშვილი, ზუბულაშვილი (მაისურაძე, 1990: 70). „ქართველურ საკუთარ სახელებში“ დასტურდება: ზუბა, ზუბაია, ზუბია, ზუბიტა, ზუბელი, ზუბუა (დლონტი, 1967: 82). „სახელად ზუბა“ მოხსენებულია შალოშეთის თავკაცთა შორის „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში (ჯიქია, 1941: 185). გ.ბოჭორიძესთან საუბარში, ასპინძელ მოხუცს განუცხადებია, ზუბალა არის ჩემი გვარიო (ბოჭორიძე, 1992: 18). ასპინძის მკვიდრთა გვარებში ზუბალაშვილები მითითებული აქვს ს.ხოსიტაშვილს (ბერიძე, 2009-1: 32). XVII საუკუნეში ასპინძის ზუბალაშვილები „შეძლებულნი იყვნენ, ქვეხებად ირიცხებოდნენ და ოსმალთ წინაშე ცნობილნი იყვნენ, ვითარცა მათი ერთგულნი. მაგრამ ნამდვილად კი ასე არ ყოფილა,– გვამცნობს ზ.ჭიჭინაძე, – ზუბალაშვილები დიდი თანამგრძობი ყოფილან მეფე ერეკლესი, რომლისთვისაც მათ იმედები უძლევიათ ომში საიდუმლო დახმარებისათვის“ (ჭიჭინაძე, 2017: 6). მეფე ერეკლეს ერთგულებისათვის ფაშას გაუსამართლებია ისინი და კათოლიკობის მიუხედავად, გაათათრება მოუთხოვია. „თუმცა ძლიერ მორიდებით და სინანულით, მაინც გადაწყვიტეს ზუბალაშვილებმა მუსულმანობასთან დაკავშირება და თავის გადარჩენა, უფრო კი იმ მამულების გულისთვის, რომლებიც ქრისტიანობის დროს მათ ამის წართმევა ელოდათ. ზოგნი წინააღმდეგნი გამხდარან გაათათრებისა, მამულისათვის თავი დაუნებებიათ და სხვაგან გადასახლებულან, მამულები კი მეგვარეებისათვის დაუტოვებიათ. ვინც ასპინძას დარჩენილან, იმათ ცხოვრების საქმე ძალიან გასჭირვებიათ და ფაშისთვის გამოუცხადებიათ გაათათრების ნატვრა“ (ჭიჭინაძე, 2017: 6). ზ.ჭიჭინაძისავე ცნობით, გაათათრების შემდეგ ერთი კომლი ახალშენში დაუსახლებიათ, დანარჩენები კი ასპინძაში დაუტოვებიათ. 1877 წლის ომის შემდეგ ზუბალაშვილების რამდენიმე ოჯახი ოსმალეთში გადასულა. 1903 წლისათვის ასპინძაში უცხოვრია ზუბალაშვილების ერთ კომლს, რომელთაც დავიწყებული ჰქონიათ ქართული და „ნამდვილი თათრის ფანატიკები“ გამხდარან. ზუბალაშვილების სახელს უკავშირდება სავაჭრო საქმიანობა დადიანისა და სოლომონ მეფის კარზე; თბილისში შაქრის ქარხნის გახსნა და „ქართული შაქრის“ რეალიზაცია; ქუთაისში არყის ქარხნის ამუშავება და კათოლიკური ეკლესიის აგება.

თულაევი – 4 კომლს უცხოვრია ტოლოშში, ოდნავ სახეცვლილი ფორმით – თულიევი – დასტურდება ახალქალაქის მაზრის სოფელ დიდ ხოსპიოში (თოფჩიშვილი, 2016: 4). ა.დლონტთან გვხვდება: თული, თულა, თულუდა (დლონტი, 1967: 86). ქართული შესატყვისით, ამავე ძირისაა: თულაშვილი,

თულადე, თულიანი, თულოშივილი. ი.მაისურაძე გვამცნობს, რომ X საუკუნის სამწვერისის ტაძრის წარწერაში მოხსენიებულია მამასახლისი გიორგი თულაისძე (მაისურაძე, 1990: 76).

თულო ჯავახურში: „თივისაგან გაკეთებული სალტეა, ეჭირება ისევ თივას“ (ბერიძე, 1981: 65); „თივისაგან დაგრეხილი თოკი, ბოლოებში ქვამობმული თაიაზე გადასაკიდებლად, ქარს რომ არ აეწეწა, ან არ წაეღო“ (ზედგინიძე, 2014: 151). 1942 წელს თბილისიდან სოფელ ერკოტაში მასწავლებლად მივლინებული ჯულიეტა რუხაძის ეთნოგრაფიული ჩანაწერები გვაუწყებს: „(ბერიკაობისას) ყენი თავზე თულოს იკეთებდა, დაგრეხილ თოკს, თულოში დებდნენ გრძელ ფრთას...“ (რუხაძე, 2002: 234). მაშასადამე, თულო ბალახის გვირგვინია, მაგრამ გვარსახელში ამ მნიშვნელობით მისი გადასვლა სარწმუნოდ არ მიგვაჩნია.

„სამეცნიერო გულანის“ სხდომაზე პროფ. თ.იველაშვილმა განმიმარტა, რომ **თულო** „ფერხულში როკვაა“: **თულოსა ვითამაშოთ**, იტყოდნენ ძველადო. შდრ. „გაზაფხულობით **თულოს თამაში** მიდიოდა“ (იხ. ინფ. ტექსტ.).

თულა თურქულში „სასწორის თანავარსკვლავედია“, თულა რქმევია ჩინგიზ ხანის შვილს (ჯიქია, 2008: 98).

ი.ახუაშვილის ინფორმაციით, **თულა** აზერბაიჯანულ ლექსიკონში „ძაღლის ლექვია“ (ახუაშვილი, 1994: 373). **თულ-ი** მოხეურში, ფშაურსა და თუშურში ყაჩაღს, შემოსეულ მძარცველს, მტერს აღნიშნავს (დლონტი, 1984: 254). გ.ზედგინიძესთან „თულაგი“ თაღლითს, საქმიანობაში: დალატიანზე მიუთითრებს (ზედგინიძე, 2014: 154). ვფიქრობთ, გვარს საფუძვლად მეტსახელი უდევს, რომელიც არასანდო ადამიანს უნდა რქმეოდა.

მაჩაბელი / მაჩაბელოვი – სადაურობის აღმნიშვნელ სახელებში აერთიანებს ამ გვარს ზ.ჭუმბურიძე და გამოყოფს მ-ელ მაწარმოებლებს: მ-აჩაბ-ელ-ი (აჩაბეთ-იდან), ისე, როგორც: მატაბელი (ატაბე-დან), მეტრეველი (ეტრევე-იდან), მარგველაძე/მარგველაშვილი (არგვეთ-იდან) (ჭუმბურიძე, 1992: 73). „გვარად-ქცეული მფლობელობისა და სადაურობის სიტყვა“, – წერს ი.მაისურაძე, – ს.ჯანაშიას მითითებით, მაჩაბელთა ძველი გვარი ანჩაფაძე ყოფილა, ისინი აფხაზეთიდან მოსულან და ღიახვის ხეობაში დამკვიდრებულან. ამავე საფუძველზე წარმოქმნილა ხსენებული სოფლის სახელწოდებაც – ანჩაფეთი > აჩაბეთი (ს.ჯანაშია, შრომები, II, 478), ამავე ძირისაა მაჩაბელიშვილი (მაისურაძე, 1990: 105). ვახუშტი ბატონიშვილი განიხილავს რა მაჩაბელს „აწინდელთა მთავართა“ გვარებში, ამბობს: მაჩაბელი იტყვის ანჩაფისძეობას, აფხაზეთიდან მოსვლას“. სემანტიკური თვალსაზრისით, მაჩაბელი ისეთ გვარსახელებში ერთიანდება, რომელთა ფუძეებში გეოგრაფიული სახელებია ჩაქსოვილი და

სათანადო სუფიქსაციის (მ-ელ) საშუალებით მიუთითებენ საგვარეულო შტოს წარმომავლობის პირვანდელ გეოგრაფიულ პუნქტს (მაისურაძე, 1979: 25). „ძველ საქართველოში ხშირი იყო შემთხვევები იძულებითი განსახლებისა, როდესაც გარეშე მტრების შემოსევის, მუდმივი თარეშისა, ან ამა თუ იმ კუთხის დაპყრობის შედეგად მკვიდრი მოსახლეობა ტოვებდა მშობლიურ ადგილებს და ქვეყნის სხვა ნაწილებში აფარებდა თავს. ლტოლვილნი ახალ სამყოფელში დამკვიდრებისას გვარებს იცვლიდნენ და დატოვებული სამოსახლო პუნქტების, მხარეებისა თუ სხვა მშობლიური ადგილების სახელებს არ კარგავდნენ, იყენებდნენ შეცვლილ გვარებში, რათა შთამომავლობისათვის არ დაეკარგათ მოგონება ადრინდელ საცხოვრისზე“ (მაისურაძე, 1979: 30). თუ ს.ჯანაშიას მოსაზრებას გავიზიარებთ, გვაროვნულმა სახელმა ფონეტიკური სახეცვლილების შედეგად (ნ-ს დაკარგვითა და ფ-ს გამჟღერებით) მისცა დასაბამი გეოგრაფიულ საცხოვრისს: ანჩაფაძე > ანჩაფეთი > აჩაბეთი. რამაც, თავის მხრივ, დასაბამი დაუდო ახალ გვარს.

განსხვავებული მოსაზრება აქვს ჯ.გვასალიას, რომლის თანახმად, მაჩაბლების ადრინდელი გვარი ყოფილა თავხელიძე, რაც დადასტურებულია თირის ღვთისმშობლის ეკლესიის (XIII ს.) წარწერაში: „თავხელიძეთა სიაოშ და რატის და ასათს და ხელას და მაჩაბელსა და მშობელთა მათთა შეუნდვენ ღმერთმან“. წარწერა XIV საუკუნით არის დათარიღებული და მასში ეჭვს გარეშეა ის გარემოება, რომ „მაჩაბელი“ მხოლოდ და მხოლოდ მამაკაცის სახელია. არც ისაა გამორიცხული, რომ თავხელიძეები თუ ნამდვილად ფლობდნენ აჩაბეთს, მათ გვარში პირველად წარმოქმნილიყო სახელი მაჩაბელი და შემდეგ ეს სახელი გვარსახელადაც ქცეულიყო (თოფჩიშვილი, 2011: 213).

1807 წლის რუსეთ-თურქეთის ომის დროს (ახალქალაქისა და ხერთვისის ციხეების აღების მიზნით) წალკაში დაბანაკებულ მთავარმართებელ გუდოვიჩთან გამოცხადებულა ახალციხის საფაშოდან გამოქცეული, ახალქალაქის ციხის ყოფილი კომენდანტი, ქართველ თავადთა გამაჰმადიანებული შთამომავალი ბეგი მაჩაბელი, რომელსაც მფარველობა უთხოვია და თავისი სამსახური შეუთავაზებია მთავარმართებლისათვის. გუდოვიჩს მთელი ომის განმავლობაში თან ჰყოლია ბეგი მაჩაბელი, როგორც გზამკვლევი და ბევრი საიდუმლო საქმის მცოდნე. „მაჩაბელს მშობლები და ძმები ისევ ახალციხის საფაშოში ჰყავდა (სოფელ დანიეთსა და შალოშეთში)“, – ვკითხულობთ შ.ლომსაძის წიგნში (ლომსაძე, 2011: 118).

ორბელიანი – ა.დლონტის საკუთარ სახელებში დადასტურებულია: ორბა და ორბელ (დლონტი, 1967: 112). ზ.ჭუმბურიძის აზრით, ძველ ქართულში ზოგიერთი

პიროვნული სახელი (ბირთველ, ორბელ, გაგელ, ვარძელ, თორელ და სხვა) ნაწარმოებია ადგილის სახელწოდებისაგან. შემდგომში ამ სახელებისაგან გვარებიც წარმოიქმნა: თორელი, ორბელიანი, ბირთველიშვილი, ვარძელაშვილი, ოდიშელიძე... (ჭუმბურიძე, 1992: 71).

სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია, რომ ორბეთის ციხეს XII-XIII სს. ორბელები ფლობდნენ. ორბელთა შთამომავალნი არიან ქაჩიბაძე-ბარათაშვილები, რომელთა შორის სახელი **ორბელი** ტრადიციულია; შემდეგ ამ სახელის გამო უკვე ბარათაშვილების გვარიდან გვიან შუა საუკუნეებში წარმოიქმნა გვარსახელი ორბელიშვილები/ორბელიანები. ორბელიანები თავადთა შორის ჯამბაკურ-ორბელიანის გვარსახელით არიან შეყვანილი. ისინი ქაჩიბაძეების შთამომავალნი არიან. ქაჩიბაძეების გვარიდან ჯერ ბარათაშვილების გვარი გამოვიდა, ბარათაშვილებიდან – ყაფლანიშვილი და ყაფლანიშვილებიდან – ორბელიშვილები (ორბელიანები). ვახუშტი ბაგრატიონი წერს: „ბარათაშვილი იტყვიან ესე ჩამომავლობასა ქაჩიბაძისასა, კუალად ყაფლანიშვილი იტყვის გუარობასა მათსა გინა ორბელიანობასა... ყაფლანიანთაცა მესამესა ძმასა ეწოდა ორბელი და მის მიერ ორბელიანნი იწოდნენ (ვახუშტი, 1973: 33). ორბელიშვილ-ორბელიანთა გვარის ჩამყრელი ორბელ ბარათაშვილი იყო, რომელიც გაეყარა თავის ძმას იოთამს. იოთამმა იოთამიშვილების ფეოდალურ სახლს ჩაუყარა საფუძველი, ორბელმა – ორბელიშვილებს (თოფჩიშვილი, 2011: 265).

ორბელიანთა შესახებ მბერიძის „პირდაპირი რეპორტაჟები წარსულიდან“ გვატყობინებს, რომ სოფელ საროში მცხოვრებ ორბელიანებს მიუღიათ მაჰმადიანობა. იმ დროისათვის ექვსი ოჯახი ყოფილა. „თათართა“ აწიოკებისაგან გულმოსულ თანასოფლელებს შური მათზე უძიებიათ და ამოუხოცავთ. გადარჩენილა ერთი ოჯახი და ისინიც 1944 წელს გაუსახლებიათ: „ჩემ სოფელში, ამოტოლა სოფელში, ერთმა გვარმა მიიღო მაჰმადიანობა, იყვნენ ორბელიანები გვართ და იყვნენ ჩვენთან ექვსი ოჯახი და რო ნახა, რო თათრებმა ჩვენი ხალხი დახოცეს, ჩვენთან ორმა უტვინომ, შავმა, უტვინო ადამიანმა ეს ორბელიანები ამოხოცეს ოჯახი. ამ ორბელიანებმა ეხვეწნენ, ბიჭო, ნუ დაგეხოცანთო, თქვენთან დაზდილი ხალხი ვართო, თქვენ ეკლესიაში ვღებულობთ მონაწილეობას და ცოდონი ვართო, არა ქნეს, დახოცეს... ორმოცდაოთხში რო გაასახლეს, ერთი ოჯახი დარჩა. კენესით წავიდა ის კაცი, ჩემი წინაპრის დამხოცელების ჯავრი გამყვაო. ჩვენ კოლექტივში მუშაონდა, მაგრამ ჩვენთან არ ცხოვრონდა. ქალის მიწასაც პატრონობდა და თავი მიწასაც პატრონობდა აქ“ (ბერიძე, 2005-1: 142-143).

შ.ლომსაძის ცნობით, ორბელიანთა გვარის წარმომადგენლები მესხეთს ბოლომდე შემორჩნენ. სოფლებში: სარო (1919 წ-მდე), ხეოთსა და ხერთვისში (1944 წ-მდე). მესხეთში ორბელიანების კვალი დასტურდება XI საუკუნიდან. ეთაყაიშვილის ვარაუდით, ახალქალაქის ციხის წარწერაში მოხსენიებული რატი უნდა ყოფილიყო რატი III ორბელიანი ლიპარიტის ძე. XVI ს-დან ქვემო ქართლის ორბელიანებს ზემო ჯავახეთ-ჩილდირის მიდამოებში ვრცელი მამულები ჰქონდათ. როგორც ჩანს, ქვემო ქართლელი ორბელიანები საქართველოს ერთიანობის დროიდან ზემო ჯავახეთ-ჩილდირში უკვე ფლობდნენ გარკვეულ ტერიტორიებს, მაგრამ შემდგომ, როცა სამცხე-საათაბაგოს სამთავროსა და ქართლის სამეფოს შორის საზღვარი დაიდო, ორბელიანთა გვარიც ორივე მხარეს განაწილდა. ზემო ჯავახეთ-ჩილდირში დარჩენილ ორბელიანთა საგვარეულო შტო მერე და მერემთელ სამცხე-ჯავახეთ-არტაანში გაიფანტა“ (ლომსაძე, 1996: 177). ორბელიანთა ნაწილმა (ჩილდირ-ზურზუნა, სარო-ხიზაბავრა-ხეოთი-ხერთვისი), დაუკავშირდა რა სუნას სექტას, ადგილობრივ ფეოდალთა (სიფაჰის) კატეგორიაში ჩარიცხვის უფლება მოიპოვა, რისთვისაც ისინი იწოდებოდნენ ბეგებად, ხოლო ახალციხელმა ორბელიანებმა, რომლებიც სასულიერო საქმეთა და სხვა კულტურული ხასიათის საქმიანობას მისდევდნენ და ინარჩუნებდნენ ქრისტიანულ სარწმუნოებას, შეძლეს დიდძალი მამულების შესყიდვა და XIX ს-ის 40-იანი წლებიდან მემამულე აზნაურთა წოდებაში ჩაირიცხნენ (ლომსაძე, 1996: 178).

ფალავანდიშვილი / ფალავანდოვი – გვარის პირველ კომპონენტს, საკუთარ სახელს ფალავანდი, ი.მაისურაძე აიგივებს სპარსულ სიტყვასთან ფალავანი – მოჭიდავე, გმირი, ვაჟკაცი (ქველ) (მაისურაძე, 1990: 162). სამეცნიერო ლიტერატურიდან ჩვენთვის ცნობილია, რომ „ჯავახეთში მარგასტნისა და წუნდის ბაღებში, რომლებიც ადგილობრივ ბეგს – ფალავანდიშვილსა და ბაიბურთელს ეკუთვნოდა, თითქმის სულ ადგილობრივი ვაშლის ჯიშები იყო გაშენებული 4-5 დესეტინაზე. ტოლოში 4 დესეტინა ბაღი ადგილობრივ მემამულეს – ხიდირბეგოს (ხიდირბეგიშვილს) ეკუთვნოდა. ზედა ოშორაში 21 დესეტინაზე დარგული ბაღი იყო ზია ბეგ ავალიშვილისა“ (სუდაძე, 1998: 144). საყურადღებოა, რომ XVIII ს-ის სპილენძის ლანგარი წარწერით: „ფლვანდიშვილი. ფენდი. შვილი“ მგელსუნდაში მცხოვრებ გეგიძეებთან აღმოუჩენია გ.ბოჭორიძეს (ბოჭორიძე, 1992: 226).

ი.ბაგრატიონი (1997: 26-27) ფალავანდიშვილების ისტორიას 1184 წლიდან იწყებს და სამცხიდან გადმოსახლებულად მიიჩნევს: „...შემდგომად ამისა, წელსა 1600, რა დაიპყრეს საათაბაგო თურქთა, მაშინ მათგანი რომელიმე გათათრდნენ

და დარჩნენ ახალციხეს, ხოლო სხვანი გადმოვიდნენ და მეფემან ლუარსაბ უბოძა მამული ძაღინის ხეობასა შინა და დაასახლა მუნ... ამა მეფემან მიიღო მესამისა თავადობისა ხარისხით წელსა ქრისტეს აქეთ 1615-სა შინა და იწოდებიან ფალავანდიანად, ვინაიდგან ამათაგან გვართა პირველ ჟამსავე ფალავანობისა გამო გაუგვარდათ“ (თოფჩიშვილი, 2011: 319).

შალიკაშვილი – მომდინარეობს საკუთარი სახელიდან შალიკა (> შალვა). ვახუშტი ბატონიშვილი შალიკაშვილთა ადრინდელ გვარად ასახელებს როჭიკაშვილს: „როჭიკაშვილი არს შალიკაშვილი, მოვიდა სამცხიდან“ (ვახუშტი, 34). „მესხურ ქრონიკებში“ შალიკაშვილები ოთისა და თმოგვის მეპატრონეებად ჩანან: „ოთარი, სასაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკლესიითა შალიკაშვილთა აქუს“, „თმოგუელნი, სასაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკლესიითა შალიკაშვილთა ელისბაალს და იოთამს აქუს“ (შარაშიძე, 1961: 31). თიველაშვილის ცნობით, შალიკაშვილების ფეოდალური გვარი საკმაოდ დაწინაურებული ყოფილა XVI საუკუნის სამხრეთ საქართველოში. მათი ერთ-ერთი წარმომადგენელი, ცნობილი პიროვნება კოკოლა შალიკაშვილი, მნიშვნელოვან როლს თამაშობდა იმდროინდელი რეგიონის პოლიტიკურ ცხოვრებაში. სხვადასხვა დროს ათაბაგის კარზე მას საპასუხისმგებლო თანამდებობები ეკავა და საკუთარი ციხესიმაგრისა (ურთის ციხე) და ეკლესიის (ჯვართამელლების ეკლესია) პატრონიც იყო (იველაშვილი, 2016: 8). სამცხიდან მიგრირებული შალიკაშვილები მკვიდრობდნენ ქართლში, გურიაში, კახეთსა და იმერეთში. „თავადი შალიკაშვილები არიან საათაბაგოდან მოსული მას შემდეგ, რაც განუდგნენ ათაბეგს, რომლის შორეული ნათესავეებიც იყვნენ. სვიმონ მეფემ 1550 წელს დიდი პატივით მიიღო და ესრეთ უწოდებენ როჭიკაშვილებათ სახელისა გამო ამათ წინაპარსა. ესენი ცხოვრობენ გაღმა მხარეს ქართლისა სკრად წოდებულისა და არიან აწ ორ სახელად: ვილახლას შვილები, ბეცია შვილები, გვართა ამათგანნი, რომელნიმე გადასახლებულ არიან რუსეთსა შინა ადრითვე და რომელნიმე სახლობენ ახალციხესა შინა“ (საანდაზო ლექსები... 22; ახუაშვილი, 1994: 581).

ცნობილია, რომ ასპინძის სანჯაყის ბეგობა **შალიკაშვილების** გამაჰმადიანებულ სახლს ეკუთვნოდა, რომლებიც ჯერ ძველ ციხეში ცხოვრობდნენ, შემდეგ მათ მიერვე აშენებულ ახალ ციხეში. ასპინძის უკანასკნელი სანჯაყ-ბეგი იყო **ახმედ-ბეგ შალიკაშვილი**, რომელიც 1828 წლის ომის დროს თურქეთში გაიქცა და მემკვიდრეობა თავის შვილს, **მუსტაფას**, დაუტოვა. რუსეთის ხელისუფლებას მუსტაფასთვის სანჯაყ-ბეგობა არ დამტკიცებია, მუსტაფაც იძულებული გამხდარა, რომ მამულები გაეყიდა და თურქეთში გადასულიყო

(ლომსაძე, 2011: 268). რამდენიმე წლის შემდეგ, 1831-1834 წლებში, სამცხე-ჯავახეთში მოგზაურობისას დიუბუა დე მონპერე შენიშნავს: „ოდესღაც თურქებით დასახლებული ასპინძა, ერთ-ერთი ბეგის საკუთრება ყოფილა. იმის შემდეგ, რაც რუსების მფლობელობაში გადავიდა, თურქს სოფელზე თავისი უფლებები ერთი სომხისთვის მიუყიდია... ახალ მეპატრონეს გლეხებისაგან მოსავლის მეოთხედი მოუთხოვია, მეთორმეტედის ნაცვლად, რასაც მათგან ბეგი ითხოვდა. როდესაც მე იქ გავიარე, შევესწარი, რომ გლეხები ძალიან შეწუხებულები იყვნენ და ჩიოდნენ ამ უსამართლო მოთხოვნის გამო. სოფლის მცხოვრებნი ყველანი ქართულად ლაპარაკობდნენ, ისინი ოდითგანვე ქრისტიანი ქართველები იყვნენ“ (მაღრაძე, 2002: 97). ცხადია, ფრანგი მოგზაური თურქებად მიიჩნევს გამაჰმადიანებულ ქართველებს, რომლებსაც მშობლიური ენა ისევ შენარჩუნებული აქვთ; ხოლო ბეგი, რომელიც საკუთარ მემკვიდრეობაზე იძულებით ამბობს უარს, მუსტაფა-ბეგია.

ხიდირბეგიშვილი / ხიდირბეგოვი – ალ.ღლონტს დადასტურებული აქვს: ხიდუა (როგორც პირსახელად, ისე მეტსახელად) და ხიდრიბეგ (ღლონტი, 1967: 157). კ.ბარათაშვილი 1863 წლის აღწერების მიხედვით ხერთვისში აფიქსირებს ხიზდირ-ოღლის (ბარათაშვილი, 1997: 43).

გვარსახელში თვალსაჩინოა თურქული ტერმინის – ბეგის არსებობა. მჯიქია აღნიშნავს: „მახლობელი და შუა აღმოსავლეთის ხალხთა ანთროპონიმის თავისებურება ისაა, რომ ბევრი ტიტული ან წოდება, სოციალური მდგომარეობისა თუ თანამდებობის აღმნიშვნელი სიტყვა იქცა საკუთარ სახელად ან თხზული სახელის კომპონენტად. სულთანი და შაჰი, მირზა თუ მელიქი, ალა და ხანი, ბეგი თუ ამირა ანთროპონიმად ქცეული წოდებებია. თურქული ტიტულატურა, სამხედრო-სამოხელეო წოდებები და სოციალური მდგომარეობის აღმნიშვნელი ტერმინები მრავლად გვხვდება ქართველურ ანთროპონიმებსა და პატრონიმთა ფუძეებში (ჯიქია, 1995: 27).

იოანე ბაგრატიონის მიხედვით, ხიდირბეგიშვილები „არიან გვართ ამილახვრისა გვარისანი. ხიდირბეგიშვილობა მიიღეს ამით, რომელ გათათრდა ამათი წინაპარი ახალციხეს დროსა დაპყრობისა თურქთაგან და უწოდეს სახელად ხიდირბეგ და ამის გამო მიიღეს მისთა შთამომავალთა ხიდირბეგიშვილობა. ხოლო ამ ხიდირბეგიშვილნი მოვიდნენ ქართლს შინა სურამის ხეობის ადგილსა ხაშურსა შინა და მუნ მოუბოძა მეფემან ადგილი იგი წელსა 1630-სა და ნათელ იღეს ამათ და იწოდენ გვარად ხიდირბეგისშვილებად და არიან ამათნი გვარნი შთამომავალნი ახალციხეს ხიდირბეგისშვილებად თათრებად და სხვანი ქართლში მამუკასშვილებად და კვალად ხიდირბეგის-

შვილებად“. ხიდირბეგიშვილთა გვარში ტრადიციული სახელი იყო „ხიდირბეგ“. ხიდირბეგ ხიდირბეგიშვილი მოწმედ დასახელებულია 1743 და 1751 წლების დოკუმენტებში (თოფჩიშვილი, 2011: 434). სამეცნიერო ლიტერატურა ხიდირბეგიშვილად მოიხსენიებს ტოლოშის ბეგს, რომლის ხილის ბაღზე ზემოთ უკვე იყო საუბარი (იხ. გვარი ფალავანდიშვილი) სახნავ-სათესსა და მესაქონლეობაზე ინფორმატორი იაკობ მელიქიძე გვამცნობს: „ედავებოდა ბეგი პაპაჩემსა, ხიდი რო გადმოდის, ცეზარას სახლი რო არის, დიდი ყანა ჰქონია მანდა, თესავდა, რამე მოჰყავდა. ჰასან-ბეგი ედავება, ესაც მგონი ვაჩნაძე ყოფილა, ან აბაშიძე, ქართველი იყო, გამუსლიმანებული. ედავება, რო ეს მიწა ჩემიაო. –საიდან არი შენო? პაპაჩემიც განათლებული კაცი ყოფილა, მწერალს ეძახდნენ (ე.წ. მირზა). სადარ იყო (მიწა) და გადასაწყვეტი იყო, ახალციხის მაზრაში ჩავიდნენ, მიდის მსჯელობა. პაპაჩემი ორ სიტყვას დაუწერს და მიაწვდის მოსამართლეს. იქიდან რო წამოვლენ: –აკოფო, მე ერთი ხურჯინი ოქრო დავხარჯეო და შენ ორი ფურცლის ნახევო, მაინც მაჯობეო. მერე პაპაჩემის მოკვლა უნდოდა ამას. ჰასან-ბეგს მიწა ჰქონდა ტაშლი-ყიშლაში, ქვაბისხევს რო ვეძახით, ღელე შედის მანდა. ღელეს ზემოდან იყო ტაშლი-ყიშლისა, ღელეს ქვემოდან – ჰასან-ბეგისა, რომელსაც მალღიდან, ფერდობზე, ცხვარი ჰყავდა და დაქირავებული ჰყავდა ქურთები მწყემსად. ეხლაც ეტყობა, კარგა დიდი ტერიტორიაა. ცხვარიც, ალბათ, ბევრი ჰყავდა.“ ხერთვისის ბეგები იყვნენ აბაშიძეები და ვაჩნაძეები, ეტყობა მათი გვარი ახსოვს ინფორმატორს. ტოლოშელ მაჰმადიანთა ყოფა მხატვრულად ასახა ომაზ ჩხეიძემ წიგნში „გახლეჩილი რწმენა“. ტოლოშის ბეგი აქ სელიმ ჰუსეინ-ოღლი ხიდირბეგიშვილია, რომელიც იძულებულია სხვა თანამემამულეებთან ერთად დატოვოს სამშობლო (ჩხეიძე, 2005: 268).

3.8. გვარები, რომლებიც ასპინძის მუნიციპალიტეტში აღარ გვხვდება

მაჰმადიან მესხთა წარმომავლობის დასადგენად პროფ. მ.ბერიძეს ყველაზე რეალურ გზად თითოეული პიროვნებისა თუ ოჯახის გვარის კვლევა მიაჩნია. მისი აზრით, ეს საშუალებას მოგვცემს აღმოვაჩინოთ ქართული ისტორიული გვარები, ცნობილი გვარები, რომლებიც შეიძლება მესხეთში აღარც კი მოიძებნოს, რადგან ისინი მხოლოდ მუსლიმ ქართველებს ჰქონდათ და ამას თავისი ახსნა აქვს (ბერიძე, 2009: 114).

1976 წელს სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმის მაშინდელი დირექტორის ს.ხოსიტაშვილის შედგენილი დოკუმენტიდან ცნობილია ქართველ მაჰმადიანთა გვარები. კერძოდ, ასპინძაში უცხოვრიათ დიასამიძეებსა და ზუბალაშვილებს, ტოლოშში: თუთაძეებსა და წითლანაძეებს, შალოშეთში: მაჩაბლებსა და

ბერიძეებს, ხერთვისში: აბაშიძეებს, ორბელიანებს, ბალადაშვილებს, შაქარაში-
ლებს, წითურაშვილებს, თოკში: აბაშიძეებს (თოკში აბაშიძეების ცხოვრებას
ადასტურებს ა.ფრონელიც: 1991: 172.), რუსთავში – ღარიბაშვილებს, გელსუნდაში
– ვაჩნაძეებს, ოშორაში – ავალიშვილებს, გონიაშვილებს, ჭეჭოშვილებს (ბერიძე,
2009: 32).

„თბილისის გუბერნიის ახალციხის მაზრის ოჯახების სიებში“ მითითებულია,
რომ აწყვიტაში უცხოვრიათ **ვეფხვაძეებს**, რომელთაც ქართული გვარი
შენარჩუნებული აქვთ, ეროვნებით კი „თათრებად“ მოიხსენებიან (ბარათაშვილი,
1997: 8). კ.ბარათაშვილის შედგენილ გვართა ცხრილებში, მოყვანილია
მაჰმადიანი ქართველების შემდეგი გვარები: სოფელ ასპინძაში– ნადირაძე
(1928წ.), ჯუხარაშვილი (1938 წ.), დათაშვილი (1938 წ.), თურმანიძე, ბახუტაძე,
ვაჩნაძე, ზუბალაშვილი; ხედა ოშორაში– ბაძაძე (1850 წ.), ლეკიშვილი (1886 წ.),
ნანიაშვილი, თეთრაშვილი, ღონიაშვილი, ჩეჩიაშვილი, ჩეჩეშვილი, დრინგოშვილი,
დრიგოშვილი, გოგდარიშვილი, კორობაშვილი, ტოროლაშვილი, ტოროლიშვილი,
ბოდოზაშვილი, მამულიშვილი, პაწაკიშვილი, მელიტიშვილი, ნადინაშვილი,
ზანდარაშვილი, ჩეგონაშვილი, მასოშვილი, ტატაშვილი, ბიდინოშვილი (1886 წ.),
ხუციშვილი, თეთრაძე, ღონიაძე, კუჭიაძე, ტატაძე, ტატიშვილი, თამაზიანი,
ისპირიანი (1932 წ.), მესრიძე, ჩეჩოშვილი; ქვედა ოშორაში– აბაშიძე, არივაძე,
ბახჩაჯიშვილი, გოგდარაშვილი, ჭაჭულაშვილი, ჭუჭულაშვილი, ჭუჭულაძე,
თემოშვილი, თოფალიშვილი, ზოდოშვილი, რახმიაშვილი, ხოკიშვილი,
მაშანაშვილი, ყულოშვილი, ყულიშვილი, ბახუნიაშვილი, ბახუტაშვილი, ბახტაზე,
ლეკიშვილი, მუსტანიანი, მუთიშვილი, მუთიაშვილი, სარაჯიშვილი, ფეზოშვილი,
გაგალოშვილი, გოგოლაძე, დრინგოშვილი, ლამიაშვილი, ლომიაშვილი, ლომიძე,
ოსმანიშვილი, ლეზგიშვილი, მუსაშვილი, მოლაშვილი, თაფლიშვილი,
ჭიკოშვილი, მეტონიძე; ხერთვისში– აბაშიძე, კუჭიაძე, ფალავანდოვი, ქემურაძე,
ვაჩნაძე, მაჩაბელოვი. საინტერესოა ინფორმატორთა ცნობები გამაჰმადიანებული
ქართველების შესახებ. მარინე ბერიძის „პირდაპირი რეპორტაჟები წარსულიდან“
გვატყობინებს, რომ სოფელ სარლში ერთადერთ გვარს მიუღია მაჰმადიანობა,
ორბელიანებს, იმ დროისათვის 6 ოჯახი ყოფილა.

რ.თოფიშვილს სცხსა-ზე დაყრდნობით (ფ.254, ან. 3, საქ.№1851. გვ.107-125),
მოყვანილი აქვს ლეპისის საზოგადოების სოფელ შალოშეთში მცხოვრებ
ქართველთა გვარები: მელიქიძე (12 კომლი) და ნადირაძე (3 კომლი). აქ
უცხოვრიათ ქართველ მაჰმადიანებს, რომელთა საოჯახო ენა თურქული ყოფილა.
მაჰმადიანთა ქართული გვარებიდან დასახელებულია: **მელიქიძე** (არიფე ალი
ოღლი, ალიკო ოღლი მელიქიძე), **ზურაბაძე, თუთაძე, მაშკოძე, ვეფხიძე**

(თოფჩიშვილი, 2013: 22). ამავე დოკუმენტიდან ირკვევა, რომ ქართულ გვარებს ატარებენ იდუმალის სასოფლო საზოგადოების სოფელ ქვემო ოშორის მაჰმადიანი ქართველები (56 კომლი, 580 სული): **ბაჯაჯიშვილი** (3 კომლი), **ზოდოშვილი** (2 კომლი), **ჭუჭულაშვილი** (5 კომლი), **ლეკიშვილი** (3 კომლი), **სარაჯიშვილი** (3 კომლი), **ფენოშვილი** (2 კომლი), **გოგდარაშვილი**, **თემოშვილი**, **თოფალიშვილი**, **ხოკიშვილი**, **მულიშვილი**, **დრინგაშვილი**, **ბახუტაშვილი**, **ლაღიაშვილი**. ანალოგიური ვითარებაა ზემო ოშორის ქართველ მაჰმადიანებშიც (83 კომლი, 743 სული): **ლეკიშვილი** (2 კომლი), **თეთრაშვილი** (3 კომლი), **ჩეროშვილი** (9 კომლი), **ნანიაშვილი** (4 კომლი), **გონიაშვილი** (2 კომლი), **ზანდარაშვილი** (2 კომლი), **ტოროლიშვილი** (2 კომლი), **მამნიაშვილი**, **ნადინაშვილი**... (თოფჩიშვილი, 2013: 27). სოციალური სტატუსი შენარჩუნებული ჰქონიათ (ბეგები ყოფილან): **შალოშეთში – მაჩაბლებს** (სულეიმან ბეკ მუამედ ბეკ ზადე მაჩაბელი, აიდინ ბეკ ვახი ბეკ ზადე მაჩაბელი), **ზემო ოშორაში – ავალოვებს**, **ტოლოშში – თულაეევებს** (4 კომლი), **თოკში – აბაშიძეებს** (7 კომლი), **ხერთვისში – ვაჩნაძეებს** (4 კომლი), **კუჭაიძეებს** (3 კომლი), **კომურაძეებს** (თოფჩიშვილი, 2013: 25).

XX საუკუნის 30-იან წლებში გ.ბოჭორიძე სწავლობს რა მესხეთის მოსახლეობის ეთნიკურ და რელიგიურ მდგომარეობას, უთითებს, რომ სოფელ რუსთავში 4 კომლი ქართველი ცხოვრობს. ინდუსას კი სახლობენ ქართველი მაჰმადიანები (100 კომლი). მისი ცნობით, სოფელში ქართულად მშვენივრად ლაპარაკობენ, თათრულს უფრო კაცები. ყველანი ნახევრად ქართულს, ნახევრად თათრულს ლაპარაკობენ. ინდუსაში მცხოვრებთა გვარებად დასახელებულია: **რასულაშვილი** (10 კომლი), **სათოშვილი** (50 კომლი), **ხალოშვილი** (10 კომლი), **გელაშვილი** (20 კომლი), **რაშოშვილი** (3-4 კომლი), **შარავანდიძე** (6 კომლი), **ქოსაშვილი** (4 კომლი), **ქორობოშვილი** (1 კომლი), **ყონოშვილი** (2 კომლი). ამავე ჩანაწერებით ვიგებთ, რომ ინდუსელი ქემალ შარავანდიძე მასწავლებლობს ზველში. ყამზაშიც ქართველი მაჰმადიანები ყოფილან. ავტორის ინფორმაციით, ისინიც მშვენივრად ლაპარაკობენ ქართულს. აქ ყოფილა გვარები: **გონიაძე**, **მანარაძე** (20 კომლი), **ცულუკიძე** (10 კომლი), **ონიაძე** (რ.თოფჩიშვილის აზრით, უნდა იყოს: გონიაძე. თოფჩიშვილი, 2013: 29), **ჭეჭელიძე**, **ჩაჩოძე** (ბოჭორიძე, 1992: 18). გაივლის ნახევარი საუკუნე და 1886 წლის საოჯახო სიებში თათრებად ჩაწერენ ყამზას მკვიდრთ, რომელთა ქართულ წარმომადლობას მათი გვარები ადასტურებენ: **ჩოჩოშვილი**, **იბოშვილი**, **ჩენელაშვილი**, **ჯაკაშვილი**, **ტოპალიშვილი**, **გონიაშვილი**, **გონიაშვილი**, **კუტმამაშვილი** (სცსს, ფ. 254, ან. 3, საქ. №1843, გვ. 85-102). ინდუსელებისა და ყამზელებისაგან განსხვავებით, იდუმალაში

(40 კომლი), ლაშხევსა (40 კომლი) და ასპინძაში (130 კომლი) მცხოვრებ ქართველ მაჰმადიანებს მშობლიური ენა დავიწყებული ჰქონიათ (ბოჭორიძე, 1992: 18). მგელსუნდაში შაბან ჰამიდ ოღლი და აბდულა გეგიძე ჰყავს დასახლებული გ.ბოჭორიძეს (ბოჭორიძე, 1992: 226).

ზემოაღნიშნულთაგან ასპინძის მუნიციპალიტეტში აღარ ჩანს შემდეგი გვარები (გვარის გასწვრივ მითითებულია დასახლება, სადაც ეს გვარი დასტურდებოდა და წყარო):

ბალადაშვილი (ხერთვისი, ხოსიტ.) – ვფიქრობთ, გვარსახელი ბალადაშვილი მეტათეზისის შედეგად უნდა იყოს მიღებული **ბადალაშვილისაგან** (ბადალაშვილი > ბალადაშვილი). „**ბადალაშვილების წისკილი**“ დასტურდება ერკოტაში (ბერიძე, 2011: 115). შდრ. შტოგვარი **ბადალიენი**.

ბადალ, ბადალი „ტოლფასი“ (არაბ); ბადალი ფეოდალურ საქართველოში სხვის ნაცვლად ბეგარის მომხდელს ნიშნავდა. „ძეგლის დაღება მეფეთა-მეფის გიორგის მიერ“ (XIVს.) ითვალისწინებდა შეუძლოთ მყოფი ხევისბერის მაგიერ ლაშქარში ძმის ან სხვა მახლობლის წასვლას (ქსე, 1977: 133). საყურადღებოა ერთი ფაქტი ა.ყიფშიძისათვის ანდრია ჯვარიძის ნაამბობიდან: „რომელს აღარ მახსოვს (მამაჩემს თუ ბიძაჩემს), მაგრამ იმ წელიწადს დიდის ყოყმანისა და რჩევის შემდეგ ძმათა შორის, ერთი მათგანი ეახლა ყადის, მიაერთა ძმის ოცდათხუთმეტი ყურუში და განაცხადა, ხარაჯიდან მე გამათავისუფლეთ, რადგან მისი გაღება აღარ შემიძლია და მაჰმადიანობას მივიღებო“. ერთ-ერთმა ძმამ ცოტა ხნით მაინც შეინარჩუნა ქრისტიანობა, მაგრამ შემდეგ ხარაჯის უქონლობის გამო ისიც დასვინათდა. „მამაჩემს აღექვის მურადაი დაარქვეს და ბიძა პავლეს ბადალაი, დღესაც ბიძაჩემის ჩამომავლობას ბადალაანთ ეძახიანო“ (ფრონელი, 1991: 63). არ არის გამორიცხული, რომ ძმისთვის ხარაჯის მომხდელს ბადალა უწოდეს.

ბადალა, ი.მაისურაძის აზრით, მიღებულია -ალ მაწარმოებლის დართვით (ბადა+ალ). შდრ. ბადაშვილი, ბადურაშვილი (მაისურაძე, 1990: 27). მაშასადამე, მეცნიერი მასში საკუთარ სახელს მოიაზრებს და არა „შემნაცვლებელს“.

ბაქარაშვილი // **ბაქრაძე** (ხერთვისი, ვაჩნ., ხოსიტ.) – მომდინარეობს საკუთარი სახელიდან ბაქარი/ბაქარა. გამაჰმადიანებული მესხის, ნაზირა ვაჩნაძის, ავტობიოგრაფიული წიგნი გვამცნობს, რომ მამამისის მხრიდან ბებია ბაქრაძე ყოფილა, შეძლებული გლეხის ოჯახიდან, რომლებიც ასპინძის რაიონის სოფელ ხერთვისიდან გადასულან აწყურში (ვაჩნაძე, 2005: 125).

ბაძაძე (ზემო ოშორა, ბარათ., თოფჩ.) – საფუძვლად უდევს პირსახელი **ბაძა**. ა.დლონტთან დაფიქსირებულია: ბაძა, ბაძალა, ბაძია, ბაძო, ბაძუ, ბაძუა

(დლონტი, 1967: 55). ბაძება გურულში „აყოლიებას“ ნიშნავს, ბაძია – „უხეიროდ, ბაძით მოსიარულე უღლის ხარს“, ბაძუძაობა მთიულურში „ზოზინია“ (დლონტი, 1984: 64). შესაძლებელია, ბაძა მეტსახელი ყოფილიყო ამ გვარის წინაპრისათვის.

ბახუნიაშვილი (ქვ.ოშორა, ბარათ.) – ა.დლონტი „ქართველურ სახელებში“ აფიქსირებს: ბახას, ბახალას, ბახიას, ბახუს, ბახუტას (დლონტი, 1984: 55). მოცემული გვარსახელი ორმაგი (-უნ-ია) სუფიქსითაა ნაწარმოები.

ბახუტაშვილი (ქვ.ოშორა, თოფი. // **ბახუტაძე** – ასპინძა, ბარათ. // **ბახტაძე** – ქვ.ოშორა, ბარათ.) – მომდინარეობს საკუთარი სახელიდან **ბახუტა/ ბახტა**. შდრ. ბახუნიაშვილი. ბახუტა სახლთუხუცესად მოხსენიებულია 1666 წ. ჯავახიშვილების ნასყიდობის წიგნში (საქსიძე, II, 90); სახელი ბახუტა მეტად გავრცელებული ყოფილა XVIII-XIX საუკუნეებში (ახუაშვილი, 1994: 256).

ბეჭიროვი (ზ.ოშორა, თოფი.) – საფუძვლად უდევს საკუთარი სახელი **ბეჭირი / ბეჭირა**. ი.მაისურაძის „ქართული გვარსახელები“ იცნობს ბეჭირაძესა და ბეჭირიშს. ამ უკანასკნელში საგვაროვნო დაბოლოებად გამოყენებულია ლაზური გენტივის ნიშანი -იშ (მაისურაძე, 1990: 35).

ბიდინოშვილი (ზ.ოშორა, ბარათ.) – ა.დლონტთან დაფიქსირებულია ბიდა, ბიდარა, ბიდო (დლონტი, 1967: 58).

ბოდოზაშვილი (ზ.ოშორა, ბარათ., თოფი.) – უნდა მომდინარეობდეს საკუთარი სახელიდან **ბოდოსა** (< ბოდოსაშვილი < ბოდოზაშვილი). შდრ. მათარსა, ელისა, მამისა, ქრისტესა, ქრისტესა – „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“. ი.მაისურაძე **ბოძადან** (სავარ.საკ.სახელი) მიღებულად მიიჩნევს ბოძაშვილსა და ბოძიაშვილს (მაისურაძე, 1990: 38). ა.დლონტის ანთროპონიმთა ლექსიკონში გვხვდება **ბოდოძგან** (დლონტი, 1967: 61).

გეგიძე (მგელსუნდა, ხერთვისი, ბოჭორ., ხოსიტი.) – „ქართველურ საკუთარ სახელებში“ წარმოდგენილია: გეგე, გეგედა, გეგელა, გეგენა, გეგეშა, გეგი (დლონტი, 1967: 64). გეგე მეგრ. სიტყვასიტყვით: ყმა (ახუაშვილი, 1994: 288). გეგიძე, ი.მაისურაძის აზრით, საკ.სახ. გეგიდან მომდინარეობს. ამავე ძირისაა: გეგია, გეგიაშვილი, გეგუჩაძე (მაისურაძე, 1990: 44). **გეგილა** ლეჩხუმურში „უვარგისს, უქნარას, დოყლაპიას, გლახას“ გამოხატავს (დლონტი, 1984: 149).

გოგდარიშვილი (ზედა და ქვედა ოშორა, ბარათ., თოფი.) – რთულფუძიანი გვარსახელია, ტრადიციული მაწარმოებლის გარეშე (გოგდარი-შვილი) ორი კომპონენტისგან შედგება: გოგი+დარი. შდრ. გოგბერაშვილი (< გოგი+ბერა). –დარი მონაწილეობს გვარებში: ლონდარიძე, დევდარიანი... **დარი** „მსგავსზე“ მიანიშნებს, **გოგდარი** – გოგის მსგავსია, გოგისნაირი, რომელმაც -შვილი მაწარმოებლის დართვით გვარსახელი მოგვცა. რა შეიძლება იგულისხმებოდეს

პირველ კომპონენტში – გოგი? „ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა“ გოგი/გონგი (ზ.იმერ) განმარტავს, როგორც „მთავარ ბოდს, რომელზედაც სახლის თავია დადგმული“ (დლონტი, 1984: 156). ვფიქრობთ, გოგდარი დედაბოდისმაგვარ, მყარ, დასაყრდენ, საიმედო ადამიანზე მიანიშნებს და სწორედ ამ სემანტიკით გვხვდება გვარსახელის ფუძეშიც.

გონიაშვილი // **გონიაძე** (ყამზა, თოფჩ.; ოშორა, ბერიძე, ხოსიტ.) – წარმომდგარია პირსახელიდან **გონია**. სცსსა-ზე დაყრდნობით (ფ. 254, ან. 3, საქ. №1846, გვ.30-69) რ.თოფჩიშვილი შენიშნავს, რომ ზემო ოშორაში ოჯახის უფროსად დასახელებულია ისმაილ **გონია ოღლი**(თოფჩიშვილი, 2016: 4),ე.ი. გონია(ს)შვილი. ა.დლონტთან დაფიქსირებულია **გონა** (დლონტი, 1967: 68).

გონიაშვილი // **გონიაძე** (ყამზა, ბოჭორ., თოფჩ.) – საფუძვლად უდევს ქართული სახელი **გონა**, რომელიც ზოგი დიალექტის მიხედვით „ბერიკაცს“ ნიშნავს. მისი ბერძნული შესატყვისია გერონტი, სპარსული – ფირან. მოფერებითი ფორმებია: გონია, გონიტა, გონელა, საიდანაც მიღებულია გვარები: გონიაშვილი, გონიტაშვილი, გონელაშვილი, გონელეიშვილი, გონოლაშვილი, გონალეიშვილი (ჭუმბურიძე, 1992: 105).

ვეფხვაძე (აწყვიტა, „ოჯახური სიები“) // **ვეფხიძე** (შალოშეთი, თოფჩ.) – „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“ (XVI სს.) ტოლოშელი ოჯახის უფროსის სახელად დასტურდებოდა **ვეფხიასძე** (იხ. ზემოთ). ამ სახელის დღევანდელობაზე მიუთითებს მომდევნო საუკუნეებში ვეფხვაძისა და ვეფხიძის არსებობა. ვეფხვას, მგელას, ფოცხვერას და ა.შ. სახელდებისას, ვფიქრობთ, ძალასა და შეუპოვრობას „ანათლებდნენ“ ახალდაბადებულს. არ არის გამორიცხული ტოტემი: „ძველი ადამიანების წარმოდგენით, ესა თუ ის გვარი რაიმე ცხოველთან, მცენარესთან ან საგანთანაა დაკავშირებული. ტოტემის ხორცის ჭამა ან ტოტემური მცენარის მოჭრა სასტიკადაა აკრძალული. ერთი ტოტემიდან მომდინარე გვარის წარმომადგენლებს არ შეუძლიათ ერთიმეორეზე დაქორწინება. ტოტემიზმის გადმონაშთები გვხვდება ქართველთა რელიგიურ წარმოდგენებშიც (გაფრინდაშვილი, 1972: 294).

ზანდარაშვილი (ზ.ოშორა, ბარათ., თოფჩ.) – ზ.ჭუმბურიძის მიხედვით, **ზარანდ** სკვითურია და „მოხუცს“ ნიშნავს, აქედანაა გვარი **ზარანდია** (ჭუმბურიძე, 1992: 65). **ზანდარაანი** ერკოტელი ბერიძეების განაყოფთა სახელია (ბერიძე, 2011: 133). „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ მიხედვით, **ზანდარა** (მაცხონასძე) და **ზანდარასძე** (გაგუჩია) დასტურდება დადემსა და აგარაში (ჯიქია, 1941: 145, 177).

ზურაბაძე (შალოშეთი, თოფჩ.) – შდრ. **ზურაბაშვილი** (ხიზაბავრა).

თამაზიანი (ზ.ოშორა, ბარათ.) – შდრ. **თამაზაშვილი** (ხიზაბავრა).

თემოშვილი (ქვ.ოშორა, თოფჩ.) – ეპონიმური გვარსახელი, მომდინარეობს **თემიურაზის** (ირან. „სხეულით ძლიერი“, ჭუმბურიძე, 1992: 116). მოფერებითი ფორმიდან **თემო**.

თუთაძე (ტოლოში, ხერთვისი, შალოშეთი, ინფორმატორთა ტექსტები, თოფჩ., ხოსიტი) – საფუძვლად უდევს სამცხე-ჯავახეთში გავრცელებული პერსონიმი **თუთა**. ა.დლონტის ლექსიკონში მამაკაცთა სახელებად დადასტურებულია: თუთა, თუთაი, თუთაღა, თუთარ, თუთი, ხოლო ქალებში აქტუალური ყოფილა: თუთი, თუთა, თუთაცირა, თუთუ (დლონტი, 1967: 86, 184). ი.მაისურაძის „ქართული გვარსახელები“ იცნობს: თუთაშვილს, თუთარაშვილს თუთარაულს, თუთისანს (მაისურაძე, 1990: 76). ცნობილია, ხერთვისის სასოფლო საბჭოს თავჯდომარე **ხალის თუთაძე**, რომელმაც „გათურქების“ მიუხედავად, ვერ შეძლო სწავლა აზერბაიჯანულ-თურქულად და თბილისში მივლინებულმა მიატოვა კურსები (ბერიძე, 2005-1: 113). ტოლოშში ბავრის უბანში უცხოვრიათ თუთაძეებს. „მახსოვს. რონა გაესახლებინათ, მაშინ გახშიანდა, რო ესენი თუთაძეები არიან, არეგ-დარევის დროს გადიკეთეს გვარი. ეხლა რო იძახიან თურქი მესხებით, აი, ეგენია. მაგ დროს შეიცვალეს მაგათ გვარები“ (ინფ. ტექსტები). ხერთვისში სხვა ქართულ გვარებთან ერთად **თოთაძეს** ასახელებს ვასილ ნათენაძე (ბერიძე, 2005-1: 305), რომელიც ფონეტიკური სახეცვლილება გვეგონია თუთაძისა.

თურმანიძე (ასპინძა, ბარათ.) – თურმანიძეები სოფელია ქედის რაიონში. ამავე ძირისაა: თურმანაული, თურმანიშვილი (მაისურაძე, 1990: 77). ტოლოშის მელიქიძეთა განაყრებს **თურანანთ** ეძახიან, თურანას (< თურმანას) შთამომავლებს. სპარსულად დურმან „წამალი, საშუალება, გადარჩენაა“, მჯიქიას აზრით, ძნელი არ არის თურმანიძეთა გვარის დაკავშირება წამალთან და თურმან-ი შეიძლება ითარგმნოს, როგორც „მეწამლე“ (ჯიქია, 2008: 46). რ.თოფჩიშვილის მიხედვით, ყველაზე ადრინდელი საბუთი, რომელშიც თურმანიძეთა გვარია მოხსენიებული, თარიღდება 1443-1446 წლებით და დასტურდება, რომ ატენის მოურავი ყოფილა საგია თურმანიძე (თოფჩიშვილი, 2011: 152).

იბოშვილი (ყამზა, თოფჩ.) – იახუაშვილის „ქართული გვარ-სახელები“ ადასტურებს **იბაშვილს** და სავარ. საკუთარი სახელიდან – იბა – მომდინარედ მიიხნევს (ახუაშვილი, 1994: 381). **იბო იბრაგიმის** შემოკლებული ფორმა გვეგონია (იბო < იბრო < იბრაგიმ), მით უფრო, რომ დლონტთან დაფიქსირებულია: **იბრა**, **იბრამ** (დლონტი, 1967: 87). 1842 და 1863 წლის აღწერებში დაფიქსირებულია **იბო-ოღლი** (ბარათაშვილი, 1997: 26), რაც მოწმობს, რომ იბო ეპონიმური სახელია.

ისპირიანი (ზ.ოშორა, ბარათ., თოფჩ.) – **ისპირ სპერის** თურქული ვარიანტი უნდა იყოს, სტამბოლი/ისტამბოლის მსგავსად. ქსე სპერს ასე ახასიათებს: „მხარე ისტორიულ სამხრ.-დას. საქართველოში, ქართლის (იბერია) სამეფოს უკიდურესი სამხრეთ-დასავლეთ პროვინცია მდ.ჭოროხის ზემო დინების აუზში (ახლანდ. თურქ. პროვინცია ისპირი)“ (ქსე, 1985: 511). -იან წარმომავლობის სუფიქსის დართვამ მოგვცა ისპირიანი – „სპერიდან მოსული“, რომელიც შესაძლებელია ჯერ შტოგვარის აღმნიშვნელი იყო, მერე გვარად დაფიქსირდა.

კომურაძე (ხერთვისი, თოფჩ.) – გვარსახელი შეიძლება ასე დაიშალოს: კომ-ურ-ა-ძე, სადაც კომ ძირია, ხოლო დანარჩენი (-ურ, -ა, -ძე) – მაწარმოებელი. კომ-ი იგივე „კომლია, მოსახლე“ (დლონტი, 1984: 300). შესაძლებელია თუ არა, რომ **კომის** გვერდით ვივარაუდოთ **კომური** იმავე მნიშვნელობით, როგორც ეს გვაქვს გომი/გომური-ს შემთხვევაში – „ბოსელი, საქონლის საზამთრო ბინა“ (დლონტი, 1984: 157). შდრ. სახლისაშვილი. „კომ“ ძირი ფიქსირდება „ქართველურ საკუთარ სახელებში“ წარმოდგენილ სახელებთან: კომინო, კომიტა (დლონტი, 1967: 94).

ლალიაშვილი (ქვ.ოშორა – თოფჩ.) – პირსახელიდან მომდინარე გვარია. „ლალი წარმოშობით ძველი ინდურია, აღნიშნავდა წითელი ფერის ძვირფას თვალს – ლალს, აქედან კი – საერთოდ წითელ ფერს. ამ სიტყვას უკავშირდება სახელები: ლალი, ლალა, ლალე, ლოლა. ზოგი მათგანი აღმოსავლეთის ხალხებში გვხვდება მამაკაცის სახელადაც (ჭუმბურიძე, 1992: 166). „ქართველურ საკუთარ სახელებში“ დაფიქსირებულია: ლალა, ლალე, ლალო, ლალუა, ლალი, ლალისა, ლალიტა (დლონტი, 1967: 97, 187). ამ სახელის მონაწილეობით დამკვიდრდა ანთროპოტოპონიმი **ლალიაურები** (საძოვარი დადეშში), რომელიც მოწმობს, რომ ამ საძოვარს ოდესღაც ვინმე ლალია ეპატრონებოდა. უნდა აღინიშნოს, რომ **ლალი** ენაბლუს აღმნიშვნელი იყო ჯავახურში. შდრ. ლალი (არაბ. თურქ.) მუნჯი, ბლუ (ბერიძე, 1981: 77).

ლომიაშვილი // **ლომიძე** (ქვ.ოშორა, ბარათ.) – შდრ. ლონდარიძე (< ლომდარიძე). გვარსახელს **ლომიძე**, ი.მაისურაძის აზრით, საფუძვლად უდევს საკ.სახელი ლომი. „მისგან წარმოქმნილია ლომა, ლომინა, ლომინიკა, ლომიტა, ლომნია, ლომსა (< ლომისა) და სხვ. შესაბამისი გვარსახელებია: ლომიაა, ლომაძე, ლომაშვილი, ლომოური, ლომთაძე, ლომუაშვილი, ლომინაძე, ლომინაშვილი... (მაისურაძე, 1990: 98). მე-15 საუკუნის „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“ ასპინძის მუნიციპალიტეტში აფიქსირებს: **ლომას** (ზედა თმოგვი), **ლომას შვილიშვილს** (აღანბია), **ლომასძეს** (კულილეთი) (ჯიქია, 1941:

183, 184, 246). ერკოტის ტოპონიმიაში დასტურდება **ლომიასეული** – ყანები (ბერიძე, 2011:142), რომელიც, აშკარაა ვინმე ლომიას მფლობელობაში ყოფილა.

მამნიაშივილი (ზ.ოშორა, თოფჩ.) – საფუძვლად უდევს საკუთარი სახელი **მამნე**. გვარსახელში წარმოდგენილი პირსახელი კნინობითსუფიქსიანია (მამნ-ია-შივილი). შდრ. ნამნიაურები < ნამნია (ბერიძე, 1992: 51). ა.ღლონტის „ქართველური საკუთარი სახელები“ იცნობს მამნაი-ს (ღლონტი, 1967: 189). მამნე ზ.ჭუმბურიძის მიხედვით, ქართული სახელია, „მამისა“, წარმოების მხრივ შედარებულია ცოტნესთან (ჭუმბურიძე, 1992: 129): ცოტა-ნე > ცოტნე, მამა-ნე > მამნე.

მამულაშივილი (ზ.ოშორა, ბარათ.) – გვარსახელისთვის ამოსავალია მამა (> მამ-ულა). **მამულა** გვხვდება გ.ხორნაულის „შივილთათვის დასარქმევ სახელებში“ (ხორნაული, 2010: 58). **მამულა** ანთროპონიმთა ლექსიკონში როგორც კაცთა, ისე ქაღთა საკუთარი სახელია, ასევე დადასტურებულია მეტსახელად (ღლონტი, 1967: 101, 189). შდრ. მამულია, მამულაიშივილი.

მაშანაშივილი (ქვ.ოშორა, ბარათ.) – ი.მაისურაძეს დასახელებული აქვს **მაშანეიშივილი** < მაშანაისშივილი, რომელიც მომდინარეობს სავარ. საკ. სახელიდან მაშანა (მაისურაძე, 1990: 104). ა.ღლონტთან დაფიქსირებულია: მაშალა, მაშუ, მაშურია – მამაკაცთა სახელებში, ხოლო ქაღთა სახელებთან: მაშო, მაშიკო, მაშუკა, მაშურა (ღლონტი, 1967: 103, 191).

მახარაძე (ყამზა, ბოჭორ.) – მომდინარეობს სურვილის სახელიდან, ზმნური წარმომავლობისაა (მახარა მან მე ის), ამოსავალია „ხარება“ მახარა/მახარე ქართულში ფართოდ გავრცელებული სახელები იყო.

მელიტიშივილი (ზ.ოშორა, ბარათ.) – შესაძლებელია, მომდინარეობდეს საკუთარი სახელიდან **მელიტონი** „(ბერძ.) თაფლით ამოვსებული, თაფლიანი“ (ჭუმბურიძე, 1992: 130). „ქართველური საკუთარი სახელები“ იცნობს მის შეკუმშულ ვარიანტსაც: **მელტონ** (ღლონტი, 1967: 104).

მეტონიძე (ქვ.ოშორა, ბარათ.) – ი.მაისურაძეს ამ გვართან დასახელებული აქვს **მეთონიძე** (მაისურაძე, 1990: 110). შესაძლებელია, წინაპართა საქმიანობას, მოხელეობას, კერძოდ, **მეთონეობას** (შდრ. მეთეფშიშივილი, მეფარიშივილი, მეფარიძე), უკავშირდებოდეს აღნიშნული გვარსახელი, რომლის ფუძემდებელიც გამუდმურდა „თ“.

მეხრიძე (ზ.ოშორა, ბარათ.) – გვარს საფუძვლად უდევს წინაპართა საქმიანობის გამომხატველი ლექსემა. შდრ. მეხრიშივილი. მეხრეს უწოდებდნენ ადამიანს, გუთნის ხარ-კამეჩს რომ აძოვებდა და ხვნის დროს ერეკებოდა (ღლონტი, 1984: 360).

მუთიაშვილი // მუთიშვილი (ქვ.ოშორა, ბარათ.) – მომდინარეობს პირსახელიდან **მუთია**, რომელშიც გამოიყოფა მუთ- ფუძე და -ია სუფიქსი. აღნიშნული ფუძე -ო და -უნ-ია სუფიქსებით გვხვდება ღლონტის საკუთარ სახელებში: მუთო, მუთუნია (ღლონტი, 1967: 107). მუთიაშვილის ფონეტიკური ვარიანტია **მოთიაშვილი**, შდრ. თუთაძე/თოთაძე.

მუსაშვილი (ქვ.ოშორა, ბარათ.) – საფუძვლად უდევს პირსახელი **მუსა**. მუსა, მუსია, მუსაბი, მუსავი, მუსარი, მუსადა, მუსიგი დასტურდება „ქართველურ სახელებში“ (ღლონტი, 1967: 107).

მუსტანიანი (ქვ.ოშორა, ბარათ.) – **მუშტი**, **მუშტილას** (ღლონტი, 1967: 108) არსებობამ ქართველურ საკუთარ სახელებში გვაფიქრებინა მუსტანიანის მომდინარეობა **მუშტანადან** (მუშტ-ან-ა), რომელმაც მოგვცა გვარსახელი წარმომავლობის -იან სუფიქსთან ერთად.

ნადინაშვილი (ზ.ოშორა, ბარათ.) – მომდინარეობს საკუთარი სახელიდან **ნადირა**. შდრ. ნადირაძე. ნადინაშვილში გვაქვს სუბსტიტუციის შემთხვევა **რ - ნ** შენაცვლებით: **ნადირაშვილი > ნადინაშვილი**.

ნანიაშვილი (ზ.ოშორა, ბარათ.) – შდრ. ნანაშვილი, ნანიტაშვილი, ნანუაშვილი. მომდინარეობს საკუთარი სახელიდან **ნანი/ნანია**. ნანიასთან კავშირშია **ნანა**, რომელიც ბერძნულად „პაწაწინას“ ნიშნავს. „არსებობს ვარაუდი, რომ ნანა შესაძლოა უკავშირდებოდეს ძველი ხეთური ღვთაების სახელწოდებას“ (ჭუმბურიძე, 1992: 173).

ონიაძე (ყამზა, ბოჭორ.) – ა.ღლონტს დოკუმენტირებული აქვს **ონანა**, **ონი**, **ონიკა**, **ონო** (ღლონტი, 1967: 112). შდრ. **ონიაშვილი**.

ოსმანიშვილი (ქვ.ოშორა, ბარათ.) – მომდინარეობს საკუთარი სახელიდან **ოსმანი**. **ოშანი** ზ.ჭუმბურიძის მიხედვით, სპარსულია და „ცხოველმყოფელ (მაცოცხლებელ) ბალახს“ ნიშნავს (ჭუმბურიძე, 1992: 135).

რასულაშვილი (ინდუსა, ბოჭორ.) – შესაძლებელია, საფუძვლად უდევს მეტსახელი **რასულა/რასული**, რომელიც იქცა პირსახელად. შდრ. **რაგული/რაგულა** < „კარგი გულის პატრონი, კეთილი“. ქართულისათვის ბუნებრივია: **სულიკო**, **გულიკო**. არაა გამორიცხული, მომდინარეობდეს სახელიდან **რასა**, რომელიც ბერძნულად „მსუბუქს“, ხოლო არაბულად „ქალბატონს“ ნიშნავს (ჭუმბურიძე, 1992: 176). პირსახელი -ულ-ა სუფიქსითაა გაფორმებული და ფუძეში ხმოვნის დაკარგვის შემთხვევას გვიჩვენებს: **რასი-ულ-ა > რასულა**.

რაშოშვილი (ინდუსა, ბოჭორ.) – საფუძვლად უდევს საკუთარი სახელი **რაშო**. ადღონთან დოკუმენტირებულია **რაშა** (ქალთა სახელებში) და **რაშიბ** (მამაკაცთა სახელებში) (დღონტი, 1967: 117, 197).

რახმიაშვილი (ქვ.ოშორა, ბარათ.) – ებრაული სახელებიდან ცნობილია **რახამიმ** „სიბრალული, შებრალება“, მისი მოფერებითი ფორმაა **რამი** (გაგულაშვილი, 1993: 120). შესაძლებელია, ქართულ სინამდვილეში ამ სახელმა ბოლოკიდურა მარცვლის მოკვეცისა და -ია სუფიქსის დართვისას გამოწვეული კუმშვით მოგვცა **რახმია** (< რახამ-ია < რახამიმ). „ქართველური საკუთარი სახელები“ იცნობს **რახე**, **რახო** და **რახული** ფორმებს (დღონტი, 1967: 197). ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ აწყვიტაში დადასტურდა ქალის სახელად **რახიელი** (ბესარიონის ასული ზედგინიძე, გამოთხოვილი სოფ ზველიდან, გარდაიცვალა 2000წ.), რომელსაც ოფიციალურ დოკუმენტებში ეს სახელი ჰქონდა დაფიქსირებული, შინაურობაში კი **რახოს** ეძახდნენ. შდრ. რახილი – ენინოშვილის მოთხრობიდან „ქრისტინე“.

სარაჯიშვილი (ქვ.ოშორა, თოფი.) – გვარსახელთა ერთი ნაწილი წარმოგვიდგენს პროფესიულ საქმიანობას. სარაჯიშვილს საფუძვლად უდევს ხელობის სახელი. **სარაჯი** არაბულად უნაგირისა და ცხენის სხვა საკაზმის მკეთებელი, მეუნაგირეა (ქეგლ, 1986: 394).

ტატაშვილი // **ტატიძე** (ზ.ოშორა, ბარათ., თოფი.) – შდრ. ტატიშვილი, ტატალაშვილი, ტატურაშვილი. საფუძვლად უდევს საკუთარი სახელი **ტატა** (ტატ-ა). ადღონტის საკუთარ სახელებში აღნიშნული ფუძე ფიქსირდება სხვადასხვა სუფიქსით: ტატა, ტატაბა, ტატალო, ტატაში, ტატანი/ტატანი (დღონტი, 1967: 125). ზჭუმბურიძეს -ე სუფიქსდართული **ტატე**, რომელიც ესტატეს შემოკლებულ ფორმად ითვლება, დამოუკიდებელ სახელად მიაჩნია (ჭუმბურიძე, 1992: 143). ინგილოურში **ტატა**-ი „დიდი ტორია“ (დღონტი, 1984: 508). არ არის გამორიცხული, ტატა მეტსახელად დამკვიდრებულიყო დიდხელება ადამიანისა, რომელიც მერე გვარსახელში გადავიდა.

ტორთლაშვილი // **ტორთლიშვილი** (ზ.ოშორა, ბარათ., თოფი.) – ფრინველთა სახელებიდან მომდინარე გვარსახელების მსგავსია, შდრ. გვრიტიშვილი, კაჭკაჭაშვილი/კაჭკაჭიშვილი, ჩხიკვიშვილი. ამჟამად აწყვიტაში ცხოვრობენ **ტორთლოვები**, რომელთა უცხოურ წარმოშობაზე საუბრობენ ინფორმატორები: ასპინძის ომში ტოტლებენს თან ახლდნენ პოლონელი მეომრები, რომლებიც დარჩნენ სამცხე საქართველოში და აქვე დასახლდნენო.

ფეზოშვილი (ქვ.ოშორა, ბარათ.) – იმაისურაძეს დაფიქსირებული აქვს **ფეზუაშვილი** (მაისურაძე, 1990: 165). **ფერუზა** ირანულად „ნათელი, სინათლით

აგსილია“ (იხ. გაფუროვი). ი.ახუაშვილი ადასტურებს გვარსახელს **ფეროზაშვილი//ფერიზაშვილი** (ახუაშვილი, 1994: 547). ვფიქრობთ, **ფერუზა/ფეროზა**მ მეტათეზისით მოგვცა: ფეზორა; ამ სახელის შემოკლებულ ფუძეს ადასტურებს შტოგვარის სახელები: ფეზვიენი, ფეზულიები.

ქემურაძე (ხერთვისი, ბარათ.) – შდრ. ქემურაშვილი, რომელიც ი.ახუაშვილს კომპოზიტიური საკუთარი სახელიდან მომდინარედ მიაჩნია: ქემა+მურა (ახუაშვილი, 1994: 555). **ქემაშვილი** დაფიქსირებულია ი.მაისურაძესთან (მაისურაძე, 1990: 172). **ქემა, ქემე** დასტურდება ღლონტთან (ღლონტი, 1967: 133).

ღარიბაშვილი (რუსთავი, ხოსიტი.) – ერთი შეხედვით, სოციალური მდგომარეობის გამომხატველი მეტსახელიდან მომდინარეა (ღარიბ-ი > ღარიბა > ღარიბაშვილი), მაგრამ სპეციალური ლიტერატურიდან ცნობილია, რომ ასეთ სახელებს არქმევდნენ შვილებს სიცოცხლის შესანარჩუნებლად: „ბავშვის უკუქცევითი შინაარსის სიტყვით სახელდება მიმართული იყო ვითომდა ადამიანის სიცოცხლის გადასარჩენად“ (ახუაშვილი, 2005: 25). XIV საუკუნიდან მოყოლებული ვანის ქვაბთა საბუთებში შემწირველთაგან სამცხე-საათაბაგოს ცნობილ თუ ნაკლებად ცნობილ გვარის წარმომადგენლებს შორის ჩანან **ღარიბასძენი**. **მურვან ღარიბასძეს** ვანის ქვაბთა საღვთო კრებულისთვის მიუძღვნია თავისი ნასყიდი მკვიდრი მამული: „ხარაკია მზღვრითა, მთითა და ბარითა, შესავალ-გამოსავლითა“, ტოლოშს ორი ვენახი, ერთი მამული ორხოფიას როტაშაული, ახალშენი-მადნარას, ორი ყანა სოფელ ფიაში, საკუთარი „ნასყიდი“ მამულების მესამედი სოფლებში: კუნელეთში, დიდკლდეში, ციხეკნელში, კუარბში; ხოლო **ღარიბასძეთა რძლებს** მჭედლისუბნიდან ერთი ყანა შეუწირავთ და ტოლოშიდან ვენახი (ტალახაძე, 1997: 48). „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთრში“ ხუთისაუკუნისწინანდელ ხიზაბავრაში ოჯახის უფროსად მოხსენებულია **ღარიბისძე** (ჯიქია, 1941: 175).

ღონიაშვილი // ღონიაძე (ზ.ოშორა, ბარათ., თოფჩ.) – ეს გვარი მოხსენებული ყოფილა ბერთის ოთხთავის მინაწერებში (მაისურაძე, 1990: 180). მომდინარეობს **ღონა/ღონია**-დან. (იხ.ზემოთ: ისტორიულ გვარსახელებში).

ყულიშვილი // ყულაშვილი (ქვ.ოშორა, ბარათ.) – ვგაბაშვილის ცნობით, ყულები საქართველოში მეფის პირადი მცველები და ზედამდგომლები ყოფილან. გვარსახელის ფუძე დასტურდება „დიდ დავთრისეულ“ თხზულ სახელში **ყულიჯან** – ხიზაბავრა, 1595წ. (ჯიქია, 1941: 176). **ყული** „მონა, ბეჩავი“, შდრ. ბედიყული, იენი ყული – არხენი (ბერიძე, 1981: 144). მ.ჯიქიას გამოკვლევით, ყული განსაკუთრებით პროდუქტიულია კომპოზიტიური წარმოების სახელებში: ყულიბეგ, ყულოდლი, თანდრიყულუ, ყულარადასი, დელიყული... (ჯიქია, 2008: 69).

შარავანდიძე (ინდუსა, ბოჭორ.) – ამოსავალია **შარავანდი**. შდრ. შუქია, ნათელა. შესაძლებელია, გავაერთიანოთ „სურვილის სახელებიდან“ მომდინარე გვარსახელებში.

შარჩელიშვილი (ზ.ოშორა, თოფჩ.) – **შარჩელი** კომპოზიტური ფუძე უნდა იყოს შარ-ჩელი). **შარ** სხვადასხვა საკუთარი სახელის შემადგენლობაშიც გვხვდება: შარვაჟი, შარმაზან, შარტანი (ღლონტი, 1967: 141).

შაქარაშვილი (ხერთვისი, ხოსიტ.) – **შაქარა** და **შაქარასძე** დასტურდება ასპინძის მუნიციპალიტეტში, კერძოდ, საროში „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ მიხედვით (იხ. ზემოთ). **შაქარაშვილს** „მშობლისმიერ სახელებში“ განიხილავს იახუაშვილი (იახუაშვილი, 2005: 24).

ჩოჩოშვილი (ყამზა, თოფჩ.) – **ჩოჩო** ვირი ბავშვის ენაზე (ბერიძე, 1981: 156).

ხალოშვილი (ინდუსა, ბოჭორ.) – აშკარაა, საკუთრივ ანთროპონიმიდან მომდინარე გვარსახელია. „ქართველურ საკუთარ სახელებში“ დოკუმენტირებულია **ხალ-ფუძისეული** რამდენიმე ანთროპონიმი: **ხალიმათ**, **ხალინა**, **ხალინედა**, **ხალიჯანა** (ქალთა სახელებში), **ხალო**, **ხალუა**, **ხალუმბექ** (მამაკაცთა სახელებში) (ღლონტი, 1967: 212).

ჯაკაშვილი (ყამზა თოფჩ.) – საფუძვლად უდევს პირსახელი **ჯაკა**. „ქართველური საკუთარი სახელები“ იცნობს: **ჯაკო**, **ჯაკოია**, **ჯაკუ**, **ჯაკულა** ფორმებს. ეს უკანასკნელი მეტსახელად ჩაუწერიათ გორის რაიონში (ღლონტი, 1967: 160). **ჯაკელი/ჯაკელა** იმერულსა და გურულში მეორე წლის ხბო, დეკეულია (ღლონტი, 1984: 772).

ჯუხარაშვილი (ასპინძა, ბარათ.) – ა.ღლონტი აფიქსირებს: **ჯუხაის** და **ჯუხარას** (ღლონტი, 1967: 164). **ჯუხარაშვილი**, ი.მაისურაძის ინფორმაციით, 1966 წელს ისევ ფიქსირდება ასპინძაში (მაისურაძე, 1990: 248).

3.9. მეტსახელიდან მომდინარე გამაჰმადიანებულთა გვარსახელები

ასპინძის მუნიციპალიტეტში აღარ ჩანს მეტსახელიდან მომდინარე შემდეგი გვარები: **არივაძე**, **ბახჩაჯიშვილი**, **ბაჯაჯიშვილი**, **დრიგოშვილი** // **დრინგოშვილი**, **ზოდოშვილი**, **თაფლაშვილი**, **თეთრაშვილი** // **თეთრაძე**, **თოფალიშვილი**, **კორობაშვილი**, **კუტმამაშვილი**, **კუჭაძე** // **კუჭიაძე**, **ლამიაშვილი**, **ლეზგიშვილი**, **მასოშვილი**, **მაშკოძე**, **მოლაშვილი**, **მულიშვილი**, **პაწაკიძე** // **პაწაკიანი** // **პაწაკიშვილი**, **საბითაშვილი**, **სათოშვილი**, **ტოპალიშვილი**, **ფეროშვილი**, **ქორობოშვილი**, **ქოსაშვილი**, **ყოჩოშვილი**, **ჩაჩოძე**, **ჩეგონაშვილი**, **ჩეჩელაშვილი** // **ჩეჩეშვილი** // **ჩეჩიაშვილი** // **ჩეჩოშვილი**, **ცულუკიძე**, **წითურაშვილი**,

ჭაჭულაშვილი, ჭეჭოშვილი, ჭიკოშვილი, ჭუჭულაშვილი // ჭუჭულაძე, ხოკიშვილი.

არივაძე (ქვ. ოშორა, ბარათ.) – მხოლოდ **არივაძე** დასტურდება ი.მაისურაძესთან. აქვეა მითითებული საკუთარი სახელი **არევა**. შედარებულია სომხურთან: არევ – „მზე“ (მაისურაძე, 1990: 22). ა.ღლონტის ლექსიკონში გვხვდება: არე, არევა, არია (ღლონტი, 1967: 48). მესხურში **არივ-დარია** ნიშნავს „აურ-დაურია, აშალ-დაშალა“. შესაძლებელია, არივაძის ფუძეში (არივა) ნაგულისხმევი იყოს შარიანი კაცის, ამრევ-დამრევის მეტსახელი, მით უფრო, რომ **არია** ა.ღლონტთან მეტსახელის მნიშვნელობითაა ფიქსირებული.

ბახჩაჯიშვილი (ქვ.ოშორა, ბარათ.) – შდრ. **ბახჩო** – მეტსახელი ცხინვალში, სოფ დისევი, 1975 წ. (ჩხეიძე, 2017: 117). მოცემული გვარსახელი თანხმოვანთა სუბსტიტუციისა (ჯ-ჩ) და ბგერის ჩართვის (ხ) შედეგად ბაჯაჯიშვილიდან მომდინარე უნდა იყოს. იხ. ბაჯაჯიშვილი.

ბაჯაჯიშვილი (ქვ.ოშორა, თოფჩ.) – ბაჯაჯგუნა, ბაჯაჯღუნა, ბაჯაჯღანა „უსახური, დაბალი ტანის, სქელი და უშნო ადამიანია; ჯუჯა კაცი“ (ღლონტი, 1984: 66). აშკარაა, რომ გვარსახელს მეტსახელი უდევს საფუძვლად.

დრიგოშვილი // დრინგოშვილი (ზ.ოშორა, ბარათ., თოფჩ.) // **დრინგაშვილი** (ქვ.ოშორა, თოფჩ.) – „ქართველურ საკუთარ სახელებში“ დასტურდება **დინგა** (ღლონტი, 1967: 73). **დინგე** ჯავახურში მეტსახელია ადამიანისა (ბერიძე, 1981: 47), **დინგი** „წისკვილის ზედა ქვა“ (მარტიროსოვი, 1984: 231). ქსე **დინგოს** განმარტავს, როგორც „გაველურებულ შინაურ ძაღლს; ღამისა და ბინდის ცხოველს“ (ქსე, 1978: 557). ვფიქრობთ, ეს უდევს საფუძვლად მეტსახელს ჯავახურში, რომელმაც შემდგომში გვარსახელი მოგვცა. რ აქ ჩართულია: დინგო > დრინგო. შდრ. ტურნელი < ტუნელი (მარტიროსოვი, 1984: 46).

ზოდოშვილი (ქვ.ოშორა, თოფჩ.) – მეტსახელიდან მომდინარეა. (იხ. ზემოთ – მეტსახელები). ა.ღლონტის ანთროპონიმთა ლექსიკონში ქალის სახელად დასტურდება **ზოდო** (ღლონტი, 1967: 181). **ზოდე** ქართლურში არის „დიდი, ტლანქი“ (ღლონტი, 1984: 234).

თაფლაშვილი (ქვ.ოშორა, ბარათ.) – ჯავახურში **თაფლა** ქალის საკუთარ სახელად დასტურდება (ბერიძე, 1981: 62). გვარს მეტსახელი უდევს საფუძვლად, თაფლა თაფლისფერთვალეობას ან შესაბამისი თმის ფერის ადამიანს შეერქმეოდა. შდრ. წაბლა – წაბლისფერი. ვფიქრობთ, სახელებსას აღსანიშნის გარეგნობამ აღძრა მოტივაცია, რომელიც შემდგომში სათანადო მაწარმოებლის დართვით (თაფლა-შვილი) „გაუგვარდათ“. **თაფლო**, როგორც მოფე-

რებითი მეტსახელი, დასტურდება სოფ. ტოლოში. **თაფლა** დაფიქსირებული აქვს რ.ჩხეიძეს ბერძუკში (ჩხეიძე, 2017: 108).

თეთრაშიელი // **თეთრაძე** (ზ.ოშორა, ბარათ., ბოჭორ.) – საფუძვლად უდევს ფერის მიხედვით შერქმეული მეტსახელი: გამორჩეულად თეთრი უნდა ყოფილიყო ამ სახელის მატარებელი. შდრ. შავა, წითელა. -ა სუფიქსს (თეთრ-ა) მანთროპონიმებელი ფუნქცია აქვს, მაგრამ ამ შემთხვევაში გამორჩევითობასაც უსვამს ხაზს. ნიშანდობლივია, რომ ასპინძის მუნიციპალიტეტში თეთრა გვხვდება როგორც საკუთარ სახელად, ისე – მეტსახელად. თეთრადის ფონეტიკური ვარიანტია **თეთვაძე**, რომელიც მიღებულია **რ – ვ** მონაცვლეობით. თეთვაძეები ცხოვრობენ ახალქალაქის რაიონის სოფელ პტენაში.

თოფალიშიელი (ქვ.ოშორა, ბარათ., თოფი.) – **თოფალ-**ი თურქულად კოჭლს ნიშნავს (ჯიქია, 2008: 122). გვარსახელს წინაპრის მეტსახელი დაედო საფუძვლად. შდრ. კოჭლაშიელი (< კოჭლა).

კორობაშიელი (ზ.ოშორა, ბარათ., თოფი.) – ვფიქრობთ, გვარსახელს საფუძვლად უდევს საკუთარი სახელი კორა/კორო. 1842 წლის აღწერის მიხედვით, ასპინძაში დაფიქსირებულია **კორო-ოდლი** (ბარათაშიელი, 1997: 26). „**კორო** მეტსახელად გვხვდება სამცხე-ჯავახეთში. ამ უკანასკნელში გამოიყოფა **კორ-** ფუძე და **-ო** მაწარმოებელი, ეს ფუძე შეიძლება -ა სუფიქსითაც შეგვხვდეს გვარში **კორაშიელი**. კორ- -ია და -ე მაწარმოებლებით დადასტურებული აქვს ა.დლონტს“ (ბერიძე, 2010: 233). მ.ბერიძე განიხილავს რა კორ-ფუძიან ტოპონიმებს, მათ ერთ ნაწილს (კოროსანაი, კორანთიდელე, კორაშენი, კოროს ყანა) უკავშირებს ადამიანის საკუთარ სახელს, რომელიც მოტივირებული უნდა იყოს მცირე სიმაღლითა და სისწრაფით (ბერიძე, 2010: 237).

კუტიმამაშიელი – (ყამზა, თოფი.). აშკარაა, რომ გვარს საფუძვლად უდევს მეტსახელი **კუტიმამა**. **კუტი**, ს.ს.ორბელიანთან განმარტებულია, როგორც საპყარი: „ესე კუტი თათართა ენაა, ჟამთა ვითარებით შემოუღიათ, ქართულად საპყარია“ (ორბელიანი, 1991: 400); რაჭულსა და გურულშიც „დავრდომილის, საპყარის“ აღმნიშვნელია (დლონტი, 1984: 317). ვ.ჩხიკვაძის მოთხრობაში მთავარ პერსონაჟს **კუტი-კატო** „მას შემდეგ შერქმეოდა, ჩვილობაში ტახტიდან რომ გადმოვარდნოდათ და კაიხანს ფეხზე ვერ გაეველო“ (ჩხიკვაძე, 2015: 37). ჯავახურში კუტს „დაბალი“ შეესატყვისება: კუტი ვენახი – დაბალი ვენახი; კუტი ქვაბი – დაბალი, უყურო ქვაბი (ზედგინიძე, 2014: 174). შდრ. კუტიპური.

კუჭაძე // **კუჭიაძე** (ხერთვისი, ბარათ., ვაჩნაძე, თოფიში.) – მეტსახელიდან მომდინარე გვარსახელია, რომელსაც საფუძვლად უდევს: კუჭა, კუჭია. **კუჭია** იმერულში „ღორმუცელას“ ნიშნავს (დლონტი, 1984: 319), აჭარულში **კუჭიტარი**

„სულწრაფის, სულწასულის, ფიცხის, მოუსვენარის, უნებისყოფის“ აღმნიშვნელია (დლონტი, 1984: 319). **კუჭა, კუჭი!** ჯავახურში მოფერებითი მიმართვაა, **კუჭუნ** – მოფერება (იხ. მეტსახელებში). **კუჭვიანი** ზედგინიძეების განაყრები არიან სოფელ ზველში. იახუაშვილი განიხილავს გვარს კუჭაიძე და ფუძეს „კუჭის ოპერაციოგაკეთებული კაცის“ მეტსახელად მიიჩნევს (ახუაშვილი, 1994: 408), რასაც ჩვენ ვერ დავეთანხმებით. ამავე ფუძისად მიიჩნია: კუჭაშვილი, კუჭიაშვილი, კუჭავა, კუჭოშვილი, კუჭუშვილი

ლამიაშვილი (ქვ.ოშორა, ბარათ.) – ლამი ხევსურულში „სილაა“, ლენხუმურში „თქორი, მცირე წვიმა“ (დლონტი, 1984: 321). „**ლამიტობია** მეტსახელია კაცისა, ტალახს რომ ტოპავს“ (დლონტი, 1967: 97). შესაძლებელია, ამ გვარსახელს, ტალახადის მსგავსად, ტალახიანი, უსუფთაო კაცის მეტსახელი ედოს საფუძვლად. შდრ. ტალახაური, ტალახაურები < ტალახა (ბერიძე, 1992: 51).

ლეზგიშვილი (ქვ.ოშორა, ბარათ.) – **ლეზგი** არასასურველის, უხეიროს, ურიგოს აღმნიშვნელია ზ.აჭარულში (დლონტი, 1984: 327); სამცხე-ჯავახეთში ლეზგს ეძახდნენ „ლეკებს“. შდრ ლეკიშვილი. სავარაუდებელია, მეტსახელიდან მომდინარე იყოს ეს გვარი.

მასოშვილი (ზ.ოშორა, ბარათ.) – **მასა-ი** ჯავახურში მეტსახელია მამაკაცისა (ბერიძე, 1981: 82). შდრ. მასიკო, მასი, მასიგა (დლონტი, 1967: 102).

მაშკოძე (შალოშეთი, თოფჩ.) – **მაშა/მაშკა** მარიამის მოფერებითი სახელია რუსულში. შდრ. მაშკადანა (ჩხეიძე, 2017: 120). მაშკა ძაღლის ზოგადი სახელია ჯავახურში (ბერიძე, 1981: 83). ეს განაპირობებს, რომ **მაშკას** მესხეთში ავ ქალს ეძახდნენ, თავმოუსვლელს, ენაწაგდებულს, რომ ვერ გააჩერებ. ამის საფუძველზე მაშკოძე მეტსახელიდან მომდინარე ჩანს.

მოლაშვილი (ქვ.ოშორა, ბარათ.) – **მოლა** მაჰმადიანური სასულიერო წოდების აღმნიშვნელია; გვარსახელს ფუძედ წინაპრის საქმიანობა (შდრ. დეკანოზიშვილი, მღვდლიაშვილი) ან მეტსახელი უდევს. მოლა გავრცელებული მეტსახელია, დაფიქსირებული აქვს რ.ჩხეიძესაც (ჩხეიძე, 2017: 120).

მულიშვილი (ქვ.ოშორა, თოფჩ.) – შესაძლებელია მ ბგერის დაკარგვის შედეგად იყოს მიღებული და მომდინარეობდეს მეტსახელიდან **მუმლი**, რომელიც ტანად მომცრო კაცს აღნიშნავდა. მუმლაძე, მუმლაური და მუმლაშვილი დადასტურებული აქვს ი.მაისურაძეს (მაისურაძე, 1990: 116). **მუმლი** დლონტთან მეტსახელია პატარა კაცისა (დლონტი, 1967: 107).

პაწაკიძე //პაწაკიანი //პაწაკიშვილი – **პაწა** პატარას, მცირეს აღმნიშვნელია ჯავახურში და მეტსახელადაც გამოიყენება (ზედგინიძე, 2014: 235). პაწაკიძე და პაწაკიანი მუსლიმ ქართველებად დასტურდებოდა ზემო ოშორაში, მითითებული

აქვს კ.ბარათაშვილსა (ბარათაშვილი, 1997: 50) და გ.ბოჭორიძეს (ბოჭორიძე, 1992: 29). **პაწაძეები**, ქრისტიანი ქართველები, ძნელბედობის უამს ხიზაბავრიდან გადასახლებულან შიდა ქართლის სოფელ სკრაში. როგორც იმდროისთვის იყო დამახასიათებელი, შეუცვლიათ გვარი და მულაშაშვილად დაწერილან (ქუქჩიშვილი, 1997: 57).

საბითაშვილი (აწყვიტა, ბერიძე) – მაჰმადიანი მესხების გასახლების წინ საშემოდგომო სამზადისი ბევრს საეჭვოდ სულაც არ მოსჩვენებია, მაგრამ საბითაშვილთა მოხუცის გუმანი გამართლდა. „ერთი თათრის კაცი იყო, ჩვენს მეზობლად ცხოვრობდნენ. გამოვიდოდა, ერთი ფიქა ქვა იყო, იმაზე დაჯდებოდა და მხრებს იჩეჩავდა გაკვირვებით და ეჭვით. ხელს ასე შერებოდა (გაკვირვების უესტს აჩვენებს) რა ჭკვიანი იყო! ქართული კარგად იცოდა, საბითაშვილები იყვნენ გვარად, თათრები იყვნენ. რაღაცას ხვდებოდა ის კაცი“ (ბერიძე, 2005-1: 117).

საბითა ქართველურ საკუთარ სახელებში არ დასტურდება, არც ი.ახუაშვილისა და ი.მაისურაძის გვარსახელებში შეგვხვდა. შდრ. ბითაძე. „ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა“ იცნობს **ბითა/ბითაოს**: „კარგი, ლამაზი“ (მოს.); „მთელი, მთლიანი“ (ინგილ.); „კაცი, რომელსაც გვერდის ძვლები და წინმკერდი სულ ერთი ძვლისა აქვს“ (ფშ.) (დლონტი, 1984: 73). როგორც ვხედავთ, **ბითა** რაღაც მთლიანთან, ერთიანობასთან კავშირშია, მაგრამ სათავსართის ფუნქცია გაურკვეველია.

სათოშვილი (ინდუსა, ბოჭორ.) – ეპონიმური გვარსახელია, რომელსაც საფუძვლად უდევს -ო სუფიქსით გაფორმებული საკუთარი სახელი, რომელიც ადრე მეტსახელი უნდა ყოფილიყო მოსაფრთხილებელი, სათუთი ადამიანისა. გ.ბერიძის „ჯავახური ლექსიკონი“ გვამცნობს: **სათუთა**-ი „სახელია ნაზი ადამიანისა ან საქონლისა“ (ბერიძე, 1981: 110). ა.დლონტთან გვხვდება: სათა, სათია, სათო, სათუთ, სათუთა (დლონტი, 1967: 119).

ტოპალიშვილი (ყამზა, თოფჩ.) – ეს გვარსახელი **თოფალიშვილის** ფონეტიკური სახეცვლილება უნდა იყოს, რომელსაც საფუძვლად უდევს თურქული სიტყვა **თოფალ** „კოჭლი“. იხ. ზემოთ: თოფალიშვილი.

ფენოშვილი (ქე.ოშორა, თოფჩ.) – ამოსავალი უნდა იყოს **ფაჩია/ფაჩო**. ჯავახურში ფაჩიას იტყვიან ადამიანზე, „რომელსაც აჩაჩულად აცვია“ (ბერიძე, 1981: 128).

ქორობოშვილი (ინდუსა, ბოჭორ.) – **ქორია**, **ქორაული**, **ქორეხა**, **ქორდია** გვხვდება „ქართველურ სახელებში“ (დლონტი, 1967: 135). **ქორა** დადასტურებული აქვს გ.მატბერაშვილს „ჭაშნიკში“ (მატბერაშვილი, 138). **ქორია** – „ბავშვობიდანვე

ხელშინაური“ (გ.ლეონიძე, „ნატურის ხე“). **ქორ-ი** ჯავახურში განიმარტება, როგორც „ბრმა, უსინათლო; მეტასახელი მამაკაცისა; სიკეთედაუნახავი, ძუნწი ადამიანის ეპითეტი (ბერიძე, 1981: 135). ცნობილია გვარი **ქორიძე**, რომელსაც მეტსახელი უდევს საფუძვლად.

ქოსაშვილი (ინდუსა, ბოჭორ.) – ფიზიკური მახასიათებლის მიხედვით შერქმეული მეტსახელიდან მომდინარე: **ქოსა** – „უთმო“, საპირისპირო მნიშვნელობისაა „ქორა“. შდრ. ქოსალა (ჩხეიძე, 2017: 115).

ყორაშვილი (ინდუსა, ბოჭორ.) – ი.მაისურაძე ასახელებს **ყორიაშვილს** და **ყორიშვილს** (მაისურაძე, 1990: 186). ამოსავალია მეტსახელი **ყორი/ყორ** – მედიდური, თავგამოდებული.

ჩაჩოძე (ყამზა, ბოჭორ.) – გ.ბერიძესთან **ჩაჩო** მეტსახელია ადამიანისა, რომელიც უშნოდ ჩაჩაჩული ტანსაცმლით დადის; **ჩაჩუას** ეძახიან იმას, ვინც უშნოდ ჩაშვებულად ატარებს ტანსაცმელს (ბერიძე, 1981: 153). თვალსაჩინოა, რომ მეტსახელი უდევს საფუძვლად გვარის წარმომავლობას. შდრ. ჩაჩაშვილი < ჩაჩა.

ჩეგონაშვილი (ზ.ოშორა, ბარათ.) – **ჩეგერა** „ობლად დარჩენილი ნადირის ნაშიერია“ (ქეგელ). შესაძლებელია, ეს სახელი იქცა ობლად დარჩენილის მეტსახელად, რომელმაც დასაბამი მისცა გვარს. ზ.ჭუმბურიძეს დაფიქსირებული აქვს **ჩაგუ, ჩაგუნა** (ჭუმბურიძე, 1992: 142).

ჩეჩელაშვილი // ჩეჩეშვილი // ჩეჩიაშვილი // ჩეჩოშვილი (ყამზა, ზ.ოშორა; ბარათ., თოფჩ.) – ი.მაისურაძე ადასტურებს „ჩეჩვაძეს“ და იმოწმებს ა.დლონტის საკუთარ სახელებს: ჩეჩია, ჩეჩვა; ხოლო გვარი ჩეჩელაშვილი, რუსულის გავლენით, **ჭეჭელაშვილიდან** მომდინარედ მიაჩნია (მაისურაძე, 1990: 199, 219). **ჩეჩელა** თუშურში „მჩეჩავთა ნადს“ ნიშნავს (დლონტი, 1984: 653). ერთი შეხედვით, დასახელებულ გვარსახელთა ფუძეში „ჩეჩვას“ გამო სახელდება ხელობას, მოსაქმეობას უკავშირდება (მჩეჩელი), მაგრამ „ჯავახური დიალექტის სალექსიკონო მასალა“ გვარწმუნებს, რომ ჩეჩელაშვილი მეტსახელიდან მომდინარეა და გვარსახელის სათავის დამდები „უხეირო, ბედოვლათი, მოუხერხებელი ადამიანია“ (ბერიძე, 1981: 157).

ცულუკიძე (ყამზა, ბოჭორ.) – **ცუკული** მეტსახელია (დლონტი, 1967: 148). ხომ არ არის მეტათეზისის შემთხვევა ცუკული-ძე > ცულუკიძე? **ცუკა, ცუკო, ცუკუტი** დოკუმენტირებულია „ქართველურ საკუთარ სახელებში“ (დლონტი, 1967: 148). შდრ. წულუკიძე < საკ სახელი წულუკი (წულა+ ბლსრთი -უკ) (მაისურაძე, 1990: 216).

წითურაშვილი (ხერთვისი, ხოსიტ.) – მეტსახელიდან მომდინარეა, რომელსაც საფუძვლად დაედო გარეგნობის მახასიათებელი: მწითური > წითურ-ი > წითურ-ა.

ჭაჭულაშივილი (ქვ.ოშორა, ბარათ.) – შდრ. მეტსახელები: **ჭაჭა** – „მჭახე ხასიათის გამო“ და **ჭაჭო** (< ჭაჭა) – „მსმელი, მოქეიფე“ (იხ. მეტსახელებში). **ჭაჭვა** ჯავახურში „ტირილით დაოსება ან ძლიერი ყვირილი. გადატ. ძალიან გაბრაზება“ (ბერიძე, 1981: 169). აქედან გამომდინარე, **ჭაჭა** გაბრაზებით მოლაპარაკე, მყვირალა, მოჩხუბარი, უხასიათო ადამიანის ზედწოდება იქნება. ა.დლონტის „ქართველური საკუთარი სახელები“ იცნობს: **ჭაჭა, ჭაჭაული, ჭაჭია, ჭაჭუნია** ფორმებს (დლონტი, 1967: 152).

ჭეჭელიძე (ყამზა, ბოჭორ.) – მომდინარეობს მამაკაცის მეტსახელიდან **ჭეჭელა** < ჭრელჭრელა (ბერიძე, 1981: 170). შდრ. **ჭეჭელაშივილი**. „ამ გვართ დასახლებულ სოფელს ატენის ხეობაში **ჭეჭელაანთუბანი** ჰქვია. სავარ. საკ. სახელი **ჭეჭელა**. შდრ. სოფლის სახელი **ჭეჭლა**, ადიგენის რაიონი“ (მაისურაძე, 1990: 219).

ჭეჭოშივილი (ოშორა, ბერიძე) – -ო ფორმანტით ნაწარმოები მეტსახელური გვარი. იხ. **ჭეჭელიძე**.

ჭიკოშივილი (ქვ.ოშორა, ბარათ.) – **ჭიკო** ქართლურში „პატარა ბიჭს“, ხოლო იმერულში „სათუთუნეს“ აღნიშნავს (დლონტი, 1984: 721). ვფიქრობთ, გვარსახელის პირველი კომპონენტი (**ჭიკო**) სმენადაქვეითებულის მნიშვნელობით უნდა გავიგოთ, რადგან ჯავახურში **ჭიკა** – ყრუ ადამიანის მეტსახელია (ზედგინიძე, 2014: 345). -ა/-ო-ს მონაცვლეობა სახელდებისას სამცხურისათვის ბუნებრივია, შდრ. **კუჭა/კუჭო**. პიროვნების ფიზიკური ნაკლი გამხდარა მეტსახელის მოტივაციის საფუძველი, რომელმაც შემდეგ გვარსახელი მოგვცა. ასპინძის მუნიციპალიტეტში ეპითეტთან მეტსახელებში შეგვხვდა: ყრუ ვანო, ბრმა იაგორა... **ჭიკოშივილის** ანალოგიურია **ყრუაშივილი**, რომელიც დასტურდება ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიზაბავრაში.

ჭუჭულაშივილი // **ჭუჭულაძე** (ქვ.ოშორა, ბარათ.) – გვარსახელი ეფუძნება სახელს **ჭუჭულა**. კ.ბარათაშივილი მაჰმადიანი მესხების ქართულ გვარებზე წერს: „მესხებისათვის დამახასიათებელია გვარის ძირის დასახელება, რომელსაც უმატებენ სიტყვა „გილს“, რაც თურქულად „მოდგმას“ ნიშნავს. მაგალითად, სარაჯ-გილი, ხუცი-გილი, დემო-გილი, **ჭუჭულა-გილი** და სხვა. ცხადია, ისინი წარმოქმნილი არიან ქართული გვარებისაგან: სარაჯიშივილი, ხუციშივილი, დემოიძე, **ჭუჭულაძე**“ (ბარათაშივილი, 1997: 20). ეს მოწმობს, რომ გადასახლების შემდეგაც მუსლიმი ქართველები ინარჩუნებდნენ მემკვიდრეობითი სახელის ფუძეს.

ქგოდერძიშივილი გარეგნობის გამომხატველ მეტსახელებში აფიქსირებს **ჭუეულას**, როგორც **ჭუეის** მსგავსს (გოდერძიშივილი, 2012; 241). **ჭუჭია**

მეტსახელია „ჭაშნიკში“ (შატბერაშვილი, 1964: 138). ჭუჭულა დასტურდება ისტორიულ დოკუმენტებში, ჭუჭულია ყაზბეგის რაონის სოფელ გერგეტში ჩაუწერია ა.დლონტს 1964 წელს (დლონტი, 1967: 154). ჭუჭულა რაჭულში ყვავილის აღმნიშვნელი ყოფილა (დლონტი, 1984: 732); შესაძლებელია, სწორედ ამ მნიშვნელობით გადმოვიდა მეტსახელად და შემდეგ გვარსახელში. შდრ. იაშვილი, ყაყაჩოშვილი, ყვავილაშვილი/ყვავილაძე. ჭუჭული ბატის შვილს ჰქვია, არაა გამორიცხული მეტსახელის ამგვარი მოტივაციაც. შდრ. ბატიაშვილი, წიწილაშვილი.

ხოკიშვილი (ქვ.ოშორა, ბარათ., თოფჩ.) – გვარის ფუძე მეტსახელიდან მოდის. **ხოკი** ჯავახურში „ბებერი კამენია“, ქართლურში – „ღვინით გაუმაძღარი“ (დლონტი, 1984: 758). „ქართველურ საკუთარ სახელებში“ მამაკაცის სახელად დაფიქსირებულია **ხოკო** (დლონტი, 1967: 157). ასპინძის მუნიციპალიტეტში ხოკიშვილთა გვარის ჩამოყალიბებაზე საუბრობს ნური ხოსიძე, კ.ბარათაშვილის „ცოცხალი მოწმე“: „ჩვენი ძირითადი გვარია ხოსიძე. პაპა მილიაზი ამბობდა, რომ ადრე ჩვენი გვარი შედგებოდა ხუთი ძმისაგან. შემდეგ ისინი გაიყვნენ და თითოეულმა ახალი გვარი წარმოშვა: ბექირ-გილი, სული-გილი, დრინგო-გილი, **ხოკი-გილი** და ჩენო-გილი. ხოსაძეების მოღვათა გაიზარდა და ვეღარ ეტეოდა სოფელ ზედა ოშორაში, ამიტომ ხოკი-დედე (ხოკი-პაპა) და დრინგო-დედე გადადიან ქვემო ოშორაში. იქ უკვე ახალი გვარებით იწერებიან: **ხოკიშვილი** და დრინგოშვილი. ეს ხდება დაახლოებით 1700 წ.“ (ბარათაშვილი, 1997: 51). ამ ისტორიიდან ვიგებთ, რომ ხოკიშვილთა წინარე გვარი ხოსიძე ყოფილა. ნ.ცეცხლაძის გამოკვლევით, -გილ სუფიქსი ქართული -აანთ, -ეულ ან -იენტ, -იეთ სუფიქსების ფარდია. ეს სუფიქსი დაერთვის ანთროპონიმის ფუძეს და აღნიშნავს კუთვნილება-შთამომავლობას: აბდულგილ = აბდულაანთი, აბდულისეული, აბდულიენთი, აბდულიეთი (ცეცხლაძე, 2002: 16). შესაბამისად, ხოკი-გილი, იგივეა რაც ხოკიანთი, ხოკიენთი.

მეტსახელი რომ გვართა ჩამოყალიბების ერთ-ერთი საშუალებაა, ამის დასტურია ზემოთ განხილული გვარსახელები. ი.მაისურაძის აზრით, „ქართულმა გვარებმა შემოგვინახეს მეტსახელთა საინტერესო ფონდი, რომელიც ხალხის აღლოიანი დაკვირვების, ცხოველი ფანტაზიის, მისი დაღვინება-გაჭირვების, თუ მახვილი იუმორისა და პოეტური ნიჭის გამონაშუქია“ (მაისურაძე, 1979: 27).

კვლევაში დაადასტურა, რომ **სახელდება შერჩევითი პროცესია და არა შემთხვევითი.** სამწუხაროა, რომ გვარები, რომლებმაც ჩვენ თვალწინ გააცოცხლეს მივიწყებული ლექსიკური ერთეულები (დინგე, კორო, ფაჩია, ჭიკა, ხოკი...), დღეს აღარ გვხვდება. ისტორიის ქარიშხალმა მათ დავიწყების ფერფლი

მიყარა. ასპინძის მუნიციპალიტეტში „თურქთა გადასახლების“ მომსწრე მოხუცებიც კი ვეღარ იხსენებენ ერთ დროს მათ მეზობლად მცხოვრები ადამიანების გვარებს, გარდა იმ გვარებისა, რომელიც როგორც ქრისტიან, ისე მუსლიმ ქართველობას საერთო ჰქონდა.

3.10. ქრისტიანთა და მაჰმადიანთა საერთო გვარები

ისტორიულმა ვითარებამ ასპინძის მუნიციპალიტეტში ერთი და იმავე გვარის, მაგრამ სხვადასხვა სარწმუნოების ადამიანთა თანაცხოვრება განაპირობა, იმ განსხვავებით, რომ ქრისტიანები კვლავაც თავიანთი ისტორიული გვარის გამგრძელებლებად რჩებოდნენ, სარწმუნოებაშეცვლილნი კი ოღლებად „ინათლებოდნენ“. თურქული პოლიტიკა არ ითვალისწინებდა დაპყრობილთა მემკვიდრეობითი სახელების ხელშეუხებლობას, თავად ხომ XX საუკუნის 30-იან წლებამდე მხოლოდ სახელები ჰქონდათ. მესხ გამაჰმადიანებულთა ნაწილი თუ გულში იმარხავდა „ვისი გორისა იყო“, ნაწილი ქართულ წარმომავლობაზე უარს აცხადებდა.

სტატისტიკური დავთრებისა და ისტორიკოსთა გამოკვლევების გარდა, ე.წ. „ხალხურმა ისტორიოგრაფიამაც“ შემოგვინახა ინფორმაცია „ყოფილი ქართველების“ შესახებ: „აქედან რო ჩავიდოდით ხერთვისში, ლამაზ-ლამაზი ქალები, დედა, რანაირი ლამაზი ქალები. ჩადრები ჰქონდათ... რო მოვიდოდი და მამაჩემ ვეტყოდი, –აეგენი, შვილო, **სულ ქართველების ჩამომავლები არიანო,– ლამაზი, თამარ-დედოფლებ ჰგანდნენ ის ქალები**“(მაისურაძე ფოფალა); „აქაურ თათრები... ოშორლები ქართულებ ლაპარაკობდნენ, მირაშხანი ქართულ ლაპარაკონდა, იდუმალა თითქმი ქართულ ლაპარაკონდა ადრე, **თათრები, ყოფილი ქართველები**“ (ბერიძე, 2005-1: 294, 311). ნ.ვანნაძის წიგნიდან ვიგებთ, რომ „ხერთვისელები ამტკიცებდნენ: **ყველანი, ქრისტიანიცა და მუსლიმიც, ნათესავეები, ერთი შტოს „განაყოფი“ ვართო**“ (ვაჩნაძე, 2005: 125).

ამ ქვეთავში განვიხილავთ ქრისტიან და მაჰმადიან ქართველთა საერთო გვარებს, რომლებიც ასპინძის მუნიციპალიტეტში დღესაც დასტურდება (გარდა **დევრიშოვებისა**, რომელთაც ამ საუკუნეში გადაიკეთეს გვარი პაპის სახელის მიხედვით და **თევდორაშვილად** „დაეწერნენ“), ესენია: **ბერიძე, გვირჯიშვილი, ზაზაძე, ლეკიშვილი, მელიქიძე, ნადირაძე, წითლანაძე და ჯვარიძე.**

ბერიძე – ამ გვარის მაჰმადიანი წარმომადგენლები XIX-XX სს. ს.ხოსიტაშვილისა და მ.ბერიძის ინფორმაციით, შალოშეთსა და ოშორაში ფიქსირდებიან. „ბერი გათათრებული ქართველი იყო. თოკში აბაშიძეები იყვნენ, ბეგები; ხერთვისში – ვაჩნაძეები, **შალოშეთში – ბერიძეები**, ინდუსაში –

გელაშვილები“ (ბერიძე, 2005-1: 67). „ბერიძე იყო ოშორაში, ბერიძე ყარა, აღმასკომი თავჯდომარე იყო“ (ბერიძე, 2005-1: 311). ვაჟა ბერიძის ცნობით, „(გოგაშნელი) ბერიძეები წარმოშობით ყოფილან რაჭიდან. როცა აუოსხრებია თურქებ, სპარსელებ, წამოსულან და დაფანტილან. ერთი დასახლებულა გრიაში, ერთი ცხეკნელაში, მგონი ერთიც ასპინძაში და ერთიც კოთელიაში. ცხეკნელიდან ბერიძეები არიან ასული საროში, ჩვენი ნაწილი შტო დარჩენილა ჩუნჩხაში“ (ბერიძე, 2005-1: 272).

გვირჯიშვილი – ამოსავალია ეთნონიმი „გურჯი“. ა.დლონტს ქართველურ სახელებში დაფიქსირებული აქვს: გურჯა, გურჯუა (დლონტი, 1967: 70). გურჯი თურქულად ქართველს ნიშნავს. გურჯიშვილი იგივეა, რაც ქართველიშვილი. შდრ. მესხიშვილი, კახიშვილი. ბ.ჯორბენაძე სამცხე-ჯავახურისათვის ნიშანდობლივად მიიჩნევს ო და უ ხმოვნების დაშლას ვე და ვი კომპლექსებად და პარალელურად ადასტურებს ვე > ო, ო > ვე (კვერციხი > კორციხი; მეორე > მევერე) და ვი > უ, უ > ვი (შვილი > შუილი; დააჯდუნა > დააჯდვინა) პროცესებს (ჯორბენაძე, 1989: 381). სწორედ უ > ვი მონაცვლეობის შედეგია გვირჯიშვილი. სოფელ ჭობარეთში „ბოჭკვიენთ უბანს“ ეძახიან გვირჯიშვილების დასახლებას. გადმოცემის მიხედვით, **ბოჭკვიენი** ხეოთელ გვირჯიშვილთა განაყოფები არიან, რომლებიც ძალით გაუმაჰმადიანებიათ. ფარულად მაინც ქრისტიანობდნენო და როგორც კი საშუალება მისცემიათ, ახალდაბადებული „ბოჭკაში“ მოუნათლავთ. თურქებს შეუტყვიათ და დაუწყიათ მათი დევნა-შევიწროება, რის გამოც ხეოთიდან ჭობარეთში გადმოსახლებულან. კასრში მონათლულის ამბის გამო მათთვის „ბოჭკვიენი“ შეურქმევიათ (ივანიძე, 2007: 101).

დევრიშოვი – გადმოცემის თანახმად, ამ გვარში წინაპრები გამუსლიმებული ქართველები ჰყოლიათ. მათი ერთი წარმომადგენელი ზველიდან ჭობარეთში გადმოსულა ხმალაძეების ქალის დასანიშნად, მაგრამ სხვა სარწმუნოების მიზეზით უარი უთქვამთ. მაშინ გიორგის (ასე რქმევიან სასიძოს) რჯული შეუცვლია და გაქრისტიანებულა. ხმალაძეებთან დამოყვრების შემდეგ დევრიშოვად დაწერილა, რაც „მოხეტიალე მლოცველს“ ნიშნავს (ივანიძე, 2007: 100). ცნობილია, რომ **დევრიშოვით** უწოდებდნენ დევრიშოვთა გვარის მუსლიმ წარმომადგენლებს. „**დევრიშოვთა წისქვილებს**“ ეძახდნენ მუსხის მისასვლელთან განთავსებულ ნაწისქვილარს.

ზაზაძე – საკუთარი სახელიდან მომდინარეა (< ზაზა < ზაალ-ზარ). მბერიძის „პირდაპირი რეპორტაჟები წარსულიდან“ გამუსლიმებული ზაზაძეების შესახებ გვიამბობს: „(ხერთვიში) თათრები იყვნენ ზაზაძეები... ეს ომი დრო იყო, დიდი

აკუშკა აქო განიერი, მტკვარში იცქირება და კარები გაკავებულია იმითი... და შიგ არიან ქართველი ტყვიები, ქართველი ტყვიები არიან შიგა. მაღლა, გაღმიდან იქ, კლდეში ისხდნენ თათრები და რო მივიდოდნენ, ნა გიელოთ ეს კარები და ტყვიები გემიეშვათ, იქიდან ისროლეს და შიგ კარებში მოკლეს ეს ასაღგაზრდა ბიჭი, ონისიმი, მაზმიენთი“ (ბერიძე, 2005-1: 53).

ლეკიშვილი – ალ.დლონტის „ქართველურ საკუთარ სახელებში“ მითითებულია: ლეკი, ლეკა, ლეკია, ლეკუა (დლონტი, 1967: 98). ი.მაისურაძეს ამავე ძირისად მიაჩნია ლეკიაშვილი (მაისურაძე, 1990: 96). ხიზაბავრელი ვანო ლეკიშვილის გადმოცემით, უწინ ისინი **ძირტკბილაძეები** ყოფილან. ლეკებს ერთ-ერთი თავდასხმის დროს სოფლიდან პატარა ბიჭიც წაუყვანიათ და გაუზრდიათ. ბიჭს ლეკის გოგო შეჰყვარებია, ქალამნები უკუღმა ჩაუცვამთ და ისე გადმოსულან ამ ბიჭის ნაფუძვარზე. ლეკებში გაზრდილისათვის ლეკიშვილი უწოდებიათ (ყრუაშვილი, 2009: 124). სხვა ინფორმატორის მონათხრობით, შიშინაობის წლებში ლეკიშვილთა ოჯახი მაჰმადიან თანამოძმეს გადაურჩენია: „თოკში ლეკიშვილების ოჯახის ქალები შეიმწყვდიეს თათრებმა, ლამაზი ქალები ჰყავდათ მაგათ, იმათი წართმევა უნდოდათ. ამ შურას და ვაჟას მამამ – ლონგოს ძმამ და მაქსომ – ლეკიშვილები იყვნენ ორივე – სახლის კარები გადააკეტეს, ქალებს უთხრეს, სანამ ცოცხლები ვართ, თქვენს თავს არავის დავანებებთო! თათრები გარედან ესროდნენ და ერდოებს უნგრევდნენ. ვერ გატყეხეს ეს ხალხი. ისევ თათარი მოვიდა, მაგათი მორჯულე, დამე გამოიყვანა ეს ლეკიშვილები, როგორც ძმა, ისე დაესმარა, გადაიყვანა ბაკურიანის მთაზე და გაუშვა“ (ბერიძე, 2005: 67-68).

მელიქიძე – მელიქიძის მომდინარეა. (იხ.ზემოთ: 1.5.). მელიქიძეთა განაყრების შესახებ დაწვრილებით ქვემოთ მოგახსენებთ, იმ შტოგვარების გარდა, რომლებიც დღესაც ცხოვრობენ ტოლოში, ყოფილან სეფოლინი. „მამაჩემი ამბობდა, **სეფოლინი** მელიქიძეები იყვნენო, გამუსლუმანდნენო. ბუჭო, ბუჭოს ამბობდაო, ქართულადო. ამათი შტო მუსხში არიან გადასულები.“ (ინფ. ტექსტები). ეს ადასტურებს, რომ მელიქიძეები საერთო გვარია ქრისტიანი და მუსლიმი ქართველებისა, რომლებიც მკვიდრობდნენ ასპინძის მუნიციპალიტეტში.

ნადირაძე – ერთი შეხედვით, ეს გვარი ფრინველთა და ცხოველთა სახელებისაგან მომდინარე, ტოტემურ გვარსახელს ჰგავს, როგორიცაა, მგელაძე, ირემაძე, ვეფხვაძე, ლომაშვილი და ა.შ. მაგრამ ასე არაა, მისი ფუძე უცხოენოვანია.

ნადირაძეები ცხოვრობენ ფოცხვის ხეობაშიც, ვალის უბეღესი მკვიდრნი არიან. არლის კათოლიკე მოგვარეებისაგან განსხვავებით, ვალელი ნადირაძეები

მართლმადიდებელნი ყოფილან. ლეგენდის თანახმად, მონადირე უნდა ყოფილიყო გვარის სათავის დამდები: მონადირე > ნადირაძე (კობაიძე, 2010: 55).

ზ.ჭუმბურიძის აზრით, გვარები ნადირაძე, ნადირაშვილი მიღებულია აღმოსავლური სახელისაგან ნადირ//ნადირა, რომელიც „რჩეულს“ ნიშნავს (ჭუმბურიძე, 1992: 60). შდრ. რჩეულიშვილი. აღლონტთან გვხვდება: ნადირი, ნადირა, ნადირია, ნადურა (ღლონტი, 1967: 108). გამაჰმადიანებულ ნადირაძეებს, კბარათაშვილის ინფორმაციით, უცხოვრიათ ასპინძაში.

წითლანაძე – ამავე ძირისად მიაჩნიათ: წითელაშვილი, წითელაძე, წითლიძე, წითურიშვილი (მაისურაძე, 1990: 214). აღ.ღლონტის ანთროპონიმთა ლექსიკონი იცნობს მხოლოდ „წითლოსან-ს“ (ღლონტი, 1967: 151). ამოსავალია წითლა//წითელა, რომელიც თმისფერის ან სახისფერის გამო უნდა შერქმეოდა მათ წინაპარს. შდრ. თეთრანა – თევზის სახეობა მესხეთში. მბერიძის აზრით, გვარი „წითლანაძე“ ისევეა ნაწარმოები, როგორც თევზეულთა სახელები. ქართულში ფერის მიხედვით მიღებული გვაქვს სხვა გვარებიც: თეთრაძე, შავაძე და სხვა. თეორიულად შესაძლებელია თეთრანაძე, შავანაძე და სხვა. -ან-ა სუფიქსის ფუნქცია „თევზეულებთან“, ასევე, ალბათ, გვარებთანაც, მხოლოდ მსგავსებით ან კნინობითობის გამოხატვით არ ამოიწურება, სხვა თვისებას (კარჩხანა) და გამორჩევეითობას (ღვანა) აღნიშნავს (ბერიძე, 2005–2: 49).

ჯვარიძე – ეს გვარი გვიანდელია სამცხეში. როგორც ამბობენ, ზველელ მოძღვარს „დაუნათლებია“ მათი წინაპრისათვის თავდადებული სამსახურის ნიშნად. გადმოცემის თანახმად, ჯვარიძეთა თავდაპირველი გვარი მჭედლიძე ყოფილა: „ჯვარიძეებიც აქედან, ზველიდან არიან გადასულები. ჯვარიძე ჩვენმა მღვდელმა მისცა გვარი, სხვაგან ჯვარიძე არსად არი. ერთ შტოს ეძახდნენ **ბადალიენსა**. ჩვენი პავლე მღვდელი უხდიდა მაგათ გადასახადსა, რო არ გათათრებულებიყვნენ. თუ არა ორგორიდან ნა წაელო კირი ახალციხეში და ჩაეტანა ყოველდღე თითო რეისი, თუ არა – გათათრდი!. ერთი ძმა გათათრდა და იმათი ნაშიერი გაუძახეს ყაზახისტანში სულა. აქა, ძველში იყვნენ ეგენი **მჭედლიძეები**, მერე მღვდელმა რო გადაასახლა, ჯვარიძე მისცა“ (იხ. ინფ. ტექსტ.).

გამაჰმადიანების შემდეგ კვლავ ქრისტიანად მოქცეულებს გვარად ჯვარიძე ებოძათ (ეს არის „ბადალიენტ“ შტო). ვინც მაჰმადიანად დარჩენილა, იმათ „მჭედლიენტ“ ეძახდნენო (ივანიძე, 2007: 80). ინფორმატორთა ცნობით, ჯვარიძე მესხეთის მკვიდრი გვარია. ჯვარიძეებს უცხოვრიათ ახაშენში, ზველში და მერე გადმოსულან ჭობარეთში. „საქართველოში თუ ვინმე ჯვარიძეა, ყველას ფეხვი ჭობარეთიდანაა. „დიდებულ მესხეთში“ კარგად არის აღწერილი, როგორ

შენარჩუნეს ქართველობა, ქრისტიანობა. სახუდაბლიდან კირს ზიდავდნენ ზურგით ახალციხეში, რო გადაეხადათ გადასახადი და შეენარჩუნებინათ ქრისტიანობა. ვინც ამას ვერ აკეთებდა, გამუსლუმანდებოდა. ჩვენი ერთი შტო, ამბობენ, რო გაასახლეს, გამუსლუმანებულები წავიდნენ. ყველამ იცის, რო ნახევარზე მეტი მუსლიმი ქართველები იყვნენ ვინც გაასახლეს. იმათში ისე იყო გამჯდარი ის რწმენა, რო ასე არჩიეს“ (ინფ. მედგარ ჯვარიძე). ამჟამად ჭობარელ ჯვარიძეებს სამ შტოგვარად ყოფენ: ბადალიენი, მარკოზიენი და ლილინიენი. პირველი ორის სახელწოდება წინაპართა სახელს უკავშირდება: ბადალას და მარკოზას შთამომავლები არიან; რაც შეეხება ლილინიენტ, ლოცვებს ოსმალებთან დაბეზლების შიშით რომ ვერ კითხულობდნენ, ლილინით ამბობდნენ, წაუსიმღერებდნენ, რათა თურქებს არ შეეცყოთ მათი ფარული ქრისტიანობა და აქედან შეერქვათ ლილინიენი.

IV თავი

გვარის განაყოფთა სახელების წარმოებისათვის ასპინძის მუნიციპალიტეტში

4.1. გვარის განაყოფთა სახელები

გვარის განაყოფთა სახელები საკმაოდ ტრადიციულია სამცხეში. განაყოფთა სახელი გვარსახელისაგან განსხვავებით, ოფიციალურ დოკუმენტებში ფიქსირებული არაა, იგი ხალხის მეხსიერებაში არსებობს (მელიქიძე, 1987: 292).

„აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ საინტერესო ცნობებს გვაწვდის გვარის განშტოებათა შესახებ: ჩოლოყაშვილი და მაყაშვილი „იტყვიან ირუფაქიძობასო“. ამის საფუძველზე ა.დლონტი ფიქრობს, რომ ვახუშტი ბატონიშვილი „გვაუწყებს არამარტო იმუამად ცოცხალ გვართა, არამედ ქვეგვართა ტრადიციასაც“ (დლონტი, 1988: 199). „გვარს დროთა განმავლობაში გასჩენია გამონაყოფი, განტოტება. გვარი ერთია, გამონაყოფი – რამდენიმე. განტოტებანი, უპირველეს ყოვლისა, მრავალრიცხოვან გვარებს შემორჩათ. ტრადიცია საერთო ქართულია. ქართულ გვარებში ეს პროცესი ძველთაგანვე პროდუქტიული ყოფილა, რასაც დიაქრონიულ მონაცემებთან ერთად ენის სინქრონიული მდგომარეობაც ადასტურებს“. ა.დლონტის აზრით, სახინჯრული წარმოშობისაა: გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ დამოწმებული წერტადსნი – „უამსა მამისა გრიგოლის მოწაფისასა ხანძთას ეპიფანეის მამობისასა იყო ვინმე კაცი მდიდარი ანჭკორას და სახელი მისი წერტა. და აწ რომელ წერტადსნი ჰრქვიან“, აგრეთვე „ტბეთის სულთა მატიანის“ გვარები: თევთიეთი, ქავთარეთი, ჩხუტუნეთი, დავითეთი, გვიანეთი, ცხადიეთი, ძნელიეთი (დლონტი, 1988: 199).

შერქმეული გვარი და მეტსახელი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში განსხვავებული სიტყვებით აღინიშნება. მაგალითად, გვარის განაყოფთა სახელები, შტოგვარები, ჯგუფური მეტსახელი, ლაღაბი სახელი, სახინჯარი, გვარზე მეტი, თიკუნი, გასაბრაზებელი სახელი, ოჯახის სახელი, სიგელი, გამოცვლილი გვარი, კილი, საგინებელი გვარი და სხვ. (მელიქიძე, 2005: 91). ზემოთ აღნიშნული ტერმინები ყოველთვის რომ იდენტური არაა, ამაზე ს.მელიქიძე წერს: „გვარის განაყოფთა სახელები“ აღნიშნავს ცალკეულ გვართა წარმომავლობას წინაპართა სახელების მიხედვით; „გვარზე მეტი“ ერთი რომელიმე გვარის ზედწოდება მეტსახელია; „სახინჯარი“ ყოველგვარი მეტსახელის აღმნიშვნელია; „შტოგვარებიც“ უფრო მეტად წინაპართა ნამდვილ ან მეტსახელს უკავშირდება; „ოჯახის სახელი“ რომელიმე კომლისათვის შერქმეული სახელია; „სიგელი“ შერქმეული გვარიცაა და სახელიც და სხვ.

(მელიქიძე, 2005: 91). ზედმეტი სახელი გვარისა შეიძლება სხვადასხვანაირი იყოს თავისი ხასიათითა და ბუნებით, ამიტომ ს.მელიქიძე „მეტგვარში“ (რომელიც ქართლში გამოიყენება) აერთიანებს გვარის, საგვარეულოს, შტო-კომლის, ოჯახების, ნათესაობის, სხვადასხვა გვარების, გვარის განაყოფთა სახელებს. მეცნიერის აზრით, შტოგვარი ვიწრო ცნებაა, რადგან მასში იგულისხმება რომელიმე გვარის ერთი განაყოფის შერქმეული სახელი. ასევე ოჯახის შერქმეული სახელი არ არის შტოგვარი (მელიქიძე, 2005: 91).

„ქართულ სინამდვილეში მხოლოდ გვარსახელი არ არის მემკვიდრეობითი სახელი. მემკვიდრეობითი სახელია გვარის დანაყოფის სახელიც, რომელიც საქართველოს უმეტეს მხარეებში დიდი მდგრადობით გამოირჩეოდა“ (თოფჩიშვილი, 2010: 254). მეორე მემკვიდრეობით სახელის (გვარის დანაყოფის) აღსანიშნავად ზემოჩამოთვლილ ტერმინებს ემატება: **მამანი, მამიშვილობა, მამის სახლი, კომობა, ბაბუიშვილობა, ბუნე, თოხუმი, ქექილი, ნარყი, სამხუბი, გვარზე მეტი, განაყრობა, თური, დინო, გამნარყი, მოკლე გვარი**. რ.თოფჩიშვილს სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებული **შტო-გვარი, ქვე-გვარი და მეტგვარი** გვარის დანაყოფის შესაფერის ტერმინებად არ მიაჩნია და მიზანშეწონილად თვლის, დამკვიდრდესერთი ტერმინი, რომელსაც ქართველი ხალხი იყენებს ცოცხალ სასაუბრო მეტყველებაში, ასეთია „მამიშვილობა“ (ან „განაყრობა“) (თოფჩიშვილი, 2010: 255-260).

ბ.ჯორბენაძე აღნიშნავს, რომ გვარის განაყოფთა მრავალფეროვან ტერმინთაგან ზოგი პარალელური ხმარებისაა, ზოგიც იერარქიული პრინციპით უკავშირდება ერთმანეთს. მაგალითად, პირველი საფეხურია **მამაშვილობა**, მეორე – **ძმობა**, მესამე – **ბიძაშვილობა**, მეოთხე – **გარე ბიძაშვილობა**... ყველაფერ ამას კი აერთიანებს **მოდგმა // ნეგრო // ნატამალი**... (ჯორბენაძე, 1993: 40).

„ონომასტიკის შესავალში“ მეტგვარის დეფინიცია ასეთია: „მეტგვარი, იგივე შერქმეული გვარი, არის მთელი გვარის მეტსახელი, რომელიც ერქმევა ამა თუ იმ რეგიონში ან სოფელში დამკვიდრებულ მთელ გვარს მისი ძირითადი მოსაქმეობის, განსაკუთრებული ნიშან-თვისების ან სხვა გარემოებათა მიხედვით. მეტგვარი არაოფიციალური გვარია, რომელსაც ქართლურ დიალექტში უწოდებენ გვარზე მეტს, ხოლო იმერულში – მირქმეულ სახელს (სხვა დიალექტებში – გამოცვლილ გვარს, საგინებელ გვარს და სხვ.“ (ცხადაია, 2005: 161).

ქართული ენის ქიზიყურ დიალექტზე დაყრდნობით, ა.დლონტს მიაჩნია, რომ **გამონაყოფი, ქვეგვარი, რასაც საუბნოგვარი ეწოდება** და რომლის შესატყვისიც ქართლური დიალექტის კილოკავებში გავრცელებული **სახინჯარია**, აღმო-

ცნებებია გვარიდან; ამასთანავე, ზოგი სახინჯარი ძველთაძველია, ზოგი ახალი წარმოქმნილი, სახინჯართა შექმნის პროცესი არ დამთავრებულა, ახლაც გრძელდება (დლონტი, 1988: 200-201).

გვარიდან ქვეგვართა მომდინარეობას უარყოფს გ.ხორნაული, რომლის დაკვირვებით, **მამიშვილობის სახელს**, მთის დიალექტებში, კერძოდ, ფშაურსა და ხევსურულში იმაზე მეტი დატვირთვა აქვს, ვიდრე გვარს. „ის, რაც გვარის შტოდ, გვარიდან გამოყოფილად მიიჩნიათ, გვარის წინაპირობა და გვარის ფესვია“ (ხორნაული, 2007: 257). „გვარის ფორმირებამდე, რაც გვიანდელ მოვლენაა, სწორედ „მამიშვილობა“ უნდა ყოფილიყო ქართველი ხალხის გამწესრიგებელი ადათი. ნათესავთა გარჩევა ამ ადათის მიხედვით ხდებოდა და ხდება დღესაც ხევსურეთში“,- წერს გ.ხორნაული (ხორნაული, 2007: 253).

ამ ქვეთავში ცალ-ცალკე განვიხილავთ საოჯახო მეტსახელებსა და შტოგვარებს (იგივე განაყოფთა სახელებს, განაყრების სახელებს).

განაყოფი გურულში „სისხლით ნათესავი, გვარის კაცია“ (დლონტი, 1984: 131). „ჯავახურ ლექსიკონში“ გარე ბიძაშვილი და კიდევ უფრო შორი ბიძაშვილები **განაყოფები**ა ერთმანეთისათვის (ზედგინიძე, 2014: 66).

განაყრები სამცხე-ჯავახეთში ერთი ძირი ოჯახიდან ახალ მოსახლედ გამოყოფილნი, ე.ი. ერთი ფუძეოჯახის განშტოებანია. „ჩვენი განაყოფია, განაყრები ვართ“ – ასე იხსენიებენ გვარში ყველაზე ახლო ნათესაური ურთიერთობის ადამიანები ერთმანეთს. ვფიქრობთ, „გვარის განაყოფთა სახელები“ „შტოგვარის“ იდენტურია, ამიტომ ნაშრომში მათ თანაბარი მნიშვნელობით ვხმარობთ. გარდა ამისა, ასპინძის მუნიციპალიტეტში პროდუქტიულია „**ძმათაშვილობა**“- ღვიძლი ბიძაშვილობა, გვარის განაყოფთა უფრო მჭიდრო სანათესაო რგოლი.

როგორც მოგეხსენებათ, ასპინძის მუნიციპალიტეტში მკვიდრი მოსახლეობის გვერდით ცხოვრობენ 1944 წელს გადმოსახლებული იმერლები, მთიულები და აჭარლები. მეორე მემკვიდრეობითი სახელი არც მათთვის ყოფილა უცხო. აჭარლები განაყოფთა სახელებს „**გამრიგოს**“ უწოდებენ („ეს ჩვენი გამრიგოა“). მათთვის შტოგვარი „**საბიძაშვილო სახელია**“ („განსაკუთრებული სახელები არ გააჩნია მაგას, საბიძაშვილოს ვეძახით“), რომელიც, მათივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „თათრებისდროინდელი სახელია“ (იხ. ინფ. ტექსტები). ასეთია, მაგალითად, ნუკიოღლები, არიფოღლები, იმლაჰოროღლები, სეფეროღლები, ჯუმაოღლები... იმერლებისათვის განაყოფები „**მონაგარნი**“ არიან: (მ)ტრედას მონაგარი და ა.შ.

გადმოსახლებული მთიულებისთვის **კომლის სახელი** და **ჯიში** სინონიმებია: „ათალიანია კომლის სახელი“, „პაპანგენიო დეკანოზი იყო, ძან ცუდი ენა

ჰქონდაო, რო მოწამლავდა კაცსაო, დაარქვეს ღორძლაო და ღორძლაანთ ჯიში ვართო“//„საკომლო სახელს ღორძლაანთ გვეძახიან“, „წყაროაშილები ვართ, კომლის სახელსა ჭორტლაანთ გვეძახიან“; **განაყოფების სახელი** კომლის სახელში არ ერევათ: „ჩუგრიანთ გვეძახოდნენ ჩვენ განაყოფებსა, ისე დიმიტრიენთივართ. ბევრიანი არიან, ლაზარიანი არიან, შიოლიანი არიან. ეს ჩვენ გვეკუთვნის ჩუგრიანთებს“.

როგორც აჭარლებს, ისე მთიულებს კომლთა სახელებისა და განაყოფთა სახელების გარდა ახსოვთ წინარე გვარიც: „ჩვენი გვარი ხაშურში ყოფილა შართალაშილები, როცა ჩამოვედით, სოფელი იყო პაქსაძეები და გვარიც პაქსაძედ გადაუკეთებიათ“, „წიკლაურები ვართო ხარხელაურები“, „ბიბილაშვილები ადრე ბექაურები ვიყავით“ (ინფ. ტექსტები).

„შტოგვარების სისტემა ტრადიციულია საქართველოს ყველა რეგიონისათვის. იგი აუცილებელიცაა, როცა გვარი გამრავლდება, მიადწევს რამდენიმე ათეულ ოჯახს ერთ სოფელში ან ერთ უბანში, ამ შემთხვევაში მხოლოდ ოფიციალური გვარის დასახელება არ არის საკმარისი გენეალოგიური საზის მისანიშნებლად“ (ცხადია, 2005: 163). ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფლებში მოსახელე პიროვნებათა ერთმანეთისაგან გასარჩევად მეტსახელთა მსგავსად შტოგვარის სახელიც გამოიყენება: შამიენტ შურა – ბირჩიენტ შურა, ბადალიენტ კაკო – პატრაქალიენტ კაკო, ქარიძაანთ მიშა – თურანაანთ მიშა, მათიენტ ალიოშა – კიკოლიენტ ალიოშა, თემიენტ ვანო – დიმიტრიენტ ვანო...

ქგოდერძიშვილი „საოჯახო მეტსახელებში“ ორ ტიპს გამოყოფს, როცა ოჯახს ერქმევა მეტსახელი და როცა ერთი მეტსახელით იხსენიებენ ოჯახის თითოეულ წევრს (უფრო მამაკაცებს) (გოდერძიშვილი, 2012: 259). ასპინძის მუნიციპალიტეტში დადასტურებული მხოლოდ ერთი ოჯახისთვის განკუთვნილი ანუ საოჯახო მეტსახელებია: **მაჩვიენი** (ხიზაბავრა), **ბრინჯაულები**, **ჯორები** (ტოლოში), **პატრაქალიენი**, **ცხრანაწნავიანები**, **უჭმელაანი** (აწყვიტა), **მემარჯვენეები**, **ეგნატიჩები**, **ძარღვიანები** (ზველი), **პეტროვიჩები** (რუსთავი), **ღვდლიენი** („ღვდლიენტ ეძახდნენ მაგ ოჯახსა, ინასარიძეები იყვნენ; ქრისტესაი ბევრს ერქვა, რომელი ქრისტესაიო და ღვდლიანთ ქრისტესაიო“ (ჭობარეთი).

გვარის განაყოფთა სახელები ძირითადად მომდინარეობს ეპონიმებზე (საკუთრივ ანთროპონიმებსა და მეტსახელებზე) სხვადასხვა ფორმანტის დართვით. შტოგვარის სახელი მეტსახელის მსგავსად გარკვეულ ინფორმაციას გვაწვდის: ევრემიანი, ბერვეენი, ტეტეენი, მანძულაანი, კახმიხაანი, მოსიენი, ტოფოანი, თემუაანი, შამიენი, ნადირიენი, ჯღუნაანი, კონაანი... ნათლად

მიგვანიშნებენ, რომ ამ ოჯახებს ჰყავდათ წინაპარი: ეფრემა, ბერო, ტეტი, მანძულა, კახიძე, მოსე, ტოფო, თემუა, შამილა, ნადირა, ჯღუნა, კონა და სხვ.

მეტსახელიდან ნაწარმოები განაყოფ სახელთა უმრავლესობა გამჭვირვალე სემანტიკისაა. ასეთია, მაგალითად, დოყენი, ბურდუნაანი, ხატიპარიენი, ღონიენი, მეკოკიენი, ასკილონიენი, გლავეიენი, გორალიენი, ჭორტლაანი, ჭუტაანი და ა.შ.

ქართულ ანთროპონიმიაში თურქიზმები გვხვდება როგორც პირის სახელად, ასევე პატრონიმის ფუძეში (ჯიქია, 2008: 102), ანალოგიურად აიახება შტოგვარის სახელწოდებებშიც. გვაქვს შემთხვევა, როცა ერთმანეთის გვერდით დასტურდება როგორც საკუთრივ ქართული, ისე თურქულენოვანი სახელი, ე.ი. ორენოვნება ფაქტია ასპინძის მუნიციპალიტეტის შტოგვარებში. მაგალითისათვის, მაისურაძეების ერთ შტოს კოჭლიენტ ეძახიან, ცნობილი არიან აგრეთვე როგორც თოფალიანი (თურქ. თოფალ „კოჭლი“ – ჯიქია, 2008: 122); ოთანაძეების ბალაანთ შტოს სხვა სახელიც აქვს – ყარაგვეზაანი (თურქ. ყარაგოზ „შავთვალა“ – ჯიქია, 2008: 126), მეღიქიძეთა თევდორენტ შტოს – ქარიმაანი („ერთა, დედისერთა“). შდრ. ქვემო ქართლში ორენოვანმა მოსახლეობამ განაპირობა ანთროპოტოპონიმებში ქართულთან ერთად თურქულენოვანი შესატყვისის არსებობა: დათას მიწები // დათანინ იერლერი, არტემას მიწები // არტემინ იერლერი, წვერიან ვანას მიწები // საჰკალი ვანანინ იერლერი (კემულარია, 2007: 79).

ასპინძის მუნიციპალიტეტში გვარის განაყოფების განაყოფიც დასტურდება: ზაზაძეების „ადუანთ“ განაყოფს „ყარაჯაანთ“ იცნობენ (თურქ. ყარაჯ „შავგრემანი“ – ჯიქია, 2008: 127): ზაზაძე > ადუანი: ყარაჯაანი; ტოლოშელ მეღიქიძეთა „კონაანთ“ მოდგმას განაყოფი ჰყავს: თევდორენტ, ოსენთ და ლაზონთ სახით (მეღიქიძე > კონაანი: ქარიმაანი, ოსენი, ლაზონი); ოთანაძეების ბალაანთ განაყოფია: პატარაბალაანი და ქორამუაანი; მაისურაძეების ბიძიკაანთ შტოს განაყოფებია: კურდღელაანი და კუჭუაანი; ზაზაძეების კაკულაანთ განაყოფიდან მოდიან: მურადაანი, გაბენი და ეფრემაანი.

პ.ცხადაია აღნიშნავს, რომ მეტგვარი, როგორც ოფიციალური გვარის არაოფიციალური, სასაუბრო ვარიანტი, შეიძლება იმავე ფუძისგან იყოს ნაწარმოები, რომლისგანაც მომდინარეობს ოფიციალური გვარსახელი (ცხადაია, 2005: 162). ასპინძის მუნიციპალიტეტში ამგვარი წარმოებისაა როგორც ადგილობრივთა, ისე გადმოსახლებულთა შტოგვარების ერთი ნაწილი: მჭედლიენი (მჭედლიშვილები), ნადირიენი (ნადირაძეები), იველაანი (იველაშვილები),

აბულაანთი (აბულაძეები), თედვიენი (თედორაძეები), ფირფირათები (ფირფირაშვილი), კეკიენთი (კეკიშვილები), კედელათი (კედელაშვილი), სუართი (სუარიძეები), არგანათი (არგანაშვილები), სურმანოდლები (სურმანიძეები), ჯობინოდლები (ჯობინაძეები), გორგაძოდლი (გორგაძეები), კახაძოდლები (კახაძეები)...; მ.ქუქჩიშვილს წარმოდგენილი აქვს სოფელ ხიზაბაგრაში „გვარებისაგან წარმოქმნილი მეტგვართა ნუსხა“: **ლეკვიენი** (ლეკიშვილები), **გორელიენი** (გორელიშვილები), **თამაზიენი** (თამაზაშვილები), **ზურაბიენი** (ზურაბაშვილები), **შემაზიენი** (შემაზაშვილები), **ბალიენი** (ბალიაშვილები), **ვენჯალიენი** (ვენჯანაშვილები), **კელვიენი** (კელოშვილები), **დათიენი** (დათაშვილები), **მაზიენი** (მაზმიშვილები), **მურადიენი** (მურადაშვილები), **ტატურიენი** (ტატურაშვილები), **ფილიენი** (ფილიშვილები), **ხუციენი** (ხუციშვილები), **ხაზალიენი** (ხაზალაშვილები) და ა. შ. (ქუქჩიშვილი, 2007: 175-177).

სოფელ აწყვიტაში ღიასამიძეთა შტოგვარები არიან: **მამულიენი**, **ბექირიენი**, **ბადალიენი** და **ასკილონიენი**. „წყალი მოვარდნილა, ნაფოტი ჩამოუროვინებია, უფიქრიათ, რო ჩვენს ზემოთ ვინდაც ცხოვრობსო. ასკილონიენტანაც (ასკილეთი ოთასთან არის) ყოფილან და როგორც ერთი გვარისანი, დასახლებულან შუაგულ დადემში. ოქრო პაპაი, მეოთხე თაობისა, დადემის ნიკოლოზშია დამარხული. 1936 წელს მამულიენტან სოფლიდან გავიდნენ და ხაშურში დასახლდნენ: იაგორ ბიძაი, კოტე ბიძაი, დევანოზ ბიძაი(ჯარში დაიკარგა) და კახეთშიც მუხრანაი“(ინფ. ფოფალა ღიასამიძე, ჩაწერილია 1998წ.). ზველის ღიასამიძეებს **პეტრიენტ** ეძახიან, პეტრიენტია ტოლოშში დასახლებული ღიასამიძეთა ერთი ოჯახიც.

ივანიძეები სახლობენ აწყვიტაში, ზველში, ტოლოშსა და ჭობარეთში. აწყვიტის ივანიძეთა განაყრები არიან: **შამიენი**, **გორალიენი**, **კაკიენი**, **ლუკიენი**, **ყარყარიენი**, **იბიენი** და **ფეზვიენი**. „შამიენი იგივე შოშტიენი არიან. შამილა თათრული სახელია. პურის მთხოვნელი მოსულა, გამოუტანიათ ამათა, მიუციათ ამ ქალისტუნ, მაწოვარი ქალი ყოფილა, ოჯახის ბავშვისთვის მოუწოვებია, ესეც ჩემი შამილას ძმა იქნებაო, შამილა, შამოი ჰქვიაო“ (ინფ. მარგალიტა ივანიძე). ზველის ივანიძეებს **ქუმელიენტ** უხმობენ, უყვარდათ ქუმელი და აქედან მოდის მაგათი სახელრქმევა. „ჭობარეთის ივანიძეები **თედვიენი** და **ტეტვიენი** არიან, დადემიდან წამოსულან, თვითონ და თავისი ძმიშვილი, ტეტვი ერქვა, ესლა ტეტვიენტ ეძახიან, ჩვენ – თედვიენი.ორიენი ერთად დასახლებულან“ (იხ.ინფ.ტექსტები).

სოფელ ნაქალაქეში „კაველიძეების გვარი მომდინარეობს კავადისგან (ვფიქრობთ, უფრო დამაჯერებელი იქნება: სოფ. კავ-ი >კავ-ელ-ი). უნდა

წამოსულიყვნენ ხარაგაულის რაიონიდან, უცხოვრიათ დანკალში. სამი ძმანი ყოფილან: ბექუა, თევდორე და მესამეს სახელი უცნობია. ორნი დასახლებულან ზედათმოგვში, მესამე (სახელი რომ არ ვიცით) არდაგანის ოლქში, სოფელ ყალამში. კაველიძეებს **დეშუანთ** ეძახიან. ბექუას შთამომავლები არიან: **მოლიკიენი, ჩიტუანი, კიკოონი**. თევდორეს განაყრებს ეძახიან: **შარიფიანი** და **მატიანი**. თურქული სახელები თურქებთან ცხოვრების შემდეგ აქვთ მიღებული აქაურ მცხოვრებლებს“ (ინფ. ნუგზარ კაველიძე). რუსუდან კაველიძის გადმოცემით, ჩიტუა თურქულად „თავსუბუქს“ ნიშნავს (მდრ. ჩიტო+ა > ჩიტუა). ეს სახელი ქართველებს შეურქმევიათ ჩიტუანთი წინაპრისათვის იმის გამო, რომ ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე, თათრების პირველსავე ბრძანებაზე მიუღია მაჰმადიანობა. მარტია მარტოკაცი, ეულად მცხოვრები ყოფილა; მისი შთამომავლები გამრავლდნენ, მაგრამ ამის მიუხედავად, წინაპრის პატივსაცემად შტოგვარის სახელად მარტიაანი დაიტოვეს.

„ნაქალაქეში ზედათმოგვიდან 1945 წელს ჩამოსახლეს ბერიძეები, ზიმნაძეები, ოთანაძეები, მაისურაძეები, კაველიძეები და მელიქიძეები. ზედათმოგვის ადგილობრივი მკვიდრი ამ გვარებიდან მხოლოდ მაისურაძეა, რომელიც გადმოცემით თმოგვის ციხიდან ასულა, დანარჩენი გვარის წინაპრები არიან: ბერიძეების ერთი ნაწილი ხოსპიოდან (ადრე მაცუკატოვეები იყვნენ), მეორე ნაწილი ახალციხის რაიონის სოფელ ლაშისხევიდან; მალრაძეები – კახეთის სოფელ ნიჩბისიდან; ოთანაძეები – ახალქალაქის რაიონის სოფელ ღართიდან; კაველიძეები – სოფელ დანკლიდან; ზიმნაძეები – სოფელ ხანდოდან, მელიქიძეები – ახალციხის რაიონის სოფელ წყრუთიდან“ (ინფ. რუსუდან კაველიძე). ქალბატონი რუსუდანის გადმოცემით, თათრების ბატონობის დროს ზედათმოგვში ზედამხედველად დანიშნეს მუსლიმანი მოლა ალია. ალიას კეთილი ხასიათისა და უბოროტო ბუნების გამო მადლიერი მოსახლეობა დააქორწინებს ადგილობრივი მკვიდრის მაისურაძის ქალზე (ქეანთ შტოგვარს მიეკუთვნებოდა). შესძენიათ ოთხი შვილი: მელი, სოფო, გვეზელა და დოშხუნა. გვეზელა (თურქ. „ძალიან ლამაზი“) მიუთხოვებიათ სოფელ იდუმალიდან ზედათმოგვში გადმოცხოვრებული მაჰმადასთვის, რომელსაც ცოლის მზითვად მამულიც აკუთვნეს. მაჰმადა **ბერიძედ** დაწერილა. ალიას სიკვდილის შემდეგ მის ქვრივზე, სარაზე, დაქორწინდა სოფელ ხოსპიოდან მოსული იშიდა (სხვა ინფორმატორის, ნუგზარ კაველიძის ცნობით, იშიდას ქართული სახელი გიორგი ყოფილა; ილო ბერიძის ინფორმაციით კი – მიხეილი). თათრებმა მას „ჰაზირა“ შეარქვეს, რაც მზამზარეულზე მოსვლას ნიშნავს. სარას იშიდასთანაც შეეძინა შვილები. ალიას (პირველი ქმრის) შთამომავლებს დოშხუანი დაერქვათ, რადგან

დომსუა ალიას ერთადერთი ვაჟი იყო, ხოლო იშიდას შთამომავლებს იშიდაანი უწოდეს, მეორენაირად ჰაზირაანი“. ამრიგად, ნაქალაქევის ბერიძეთა შტოგვარებია **იშიდაანი**, იგივე **ჰაზირაანი//აზრანი**, **დომსუაანი** და **მაჰმადაანი**.

ასპინძაში მცხოვრები ბერიძეები ერკოტიდან გადმოსული არიან. ამ გვარის განაყოფებს **სოსანიენი**, **ზანდარიენი**, **გიგოლიენი**, **კორკოტიენი**, **ალაჯიენი**, **ყრათლიენი** ჰქვიათ. ოთაში მცხოვრებ ბერიძეების შტოს **ჭიტვლიენტ** ეძახიან. მ.ბერიძის „ნასოფლარი ერკოტა“ მნიშვნელოვან ცნობებს გვაწოდის ერკოტაში ბერიძეების განაყოფებით დასახლებულ უბნებზე: **ჰალაჯიენტ** უბანი, ყრათლიენტ უბანი, **ყაყონთ** უბანი, გიგოლაანთ უბანი, სოსანაანთ უბანი, **ალიკონთ** უბანი, კორკოტაანთ უბანი, **ჰუშუტიენტ** უბანი (ბერიძე, 2013: 20). ყაყვიენტ, იგივე ყაყონთ განაყოფების სათავის დამდები უნდა ყოფილიყო ვინმე ყაყო, რომელიც ხშირად ფიგურირებს ერკოტის ანთროპოტოპონიმებში: ყაყვიენტ ყანა, ყაყონთ ბაღები... (ბერიძე, 2011: 159). ცნობილია ერკოტელ ბერიძეთა საოჯახო სახელიც **კოპლიენი** < კოპლიას შთამომავალი. „ბერიძეები ბევრი ვართ საქართველოში, ერთი წარმომავლობა არ არის“, – გვითხრა ნიჯგორში მცხოვრებმა ბანგინოზ ბერიძემ. მათი წინაპარი წამოსულა გორის რაიონის სოფელ ხიდისთავიდან, დაახლოებით 1800 წელს. **მეკოკიენტ** ეძახდნენ, რაკი კოკის გამკეთებელი იყვნენ. მის პაპას იოსები ერქვა, „თათრებმა შეუცვალეს სახელი და უსუფაი დაარქვეს“, ახლა ჩვენ **ოსეფაანთ** გვეძახიან“ (იხ. ინფ.ტექსტები).

ოთანადე ნაქალაქევის გარდა სხვა სოფლებში არ დასტურდება, ამჟამად ცხოვრობენასპინძაშიც. წამოსული არიან სოფელ ღართადან (ოლოდის მახლობლად, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, ზეგანზე). ერთი კაცის შთამომავლები არიან. წინაპარი ჰყოლიათ ბაღა. ოთანადეების ოჯახი გამორჩეული ყოფილა მთელ სოფელში, საოჯახო დროშაც კი ჰქონიათ, ეძახდნენ „ყონახ სააბი“- ქართ. ადგილის მოყვარე. **ბაღაანთ** **კაჭაჭაანთ** უძახდნენ. ბაღაანთგან წამოსულან **პატარაბაღაანი** და **ქორამუაანი**. შესანიშნავი პიროვნება ჰყოლიათ, იროდიონ ოთანადე, „ცოცხალი ენციკლოპედია“ (ინფ. ილო ბერიძე).

მაისურადეები სოფელ ნაქალაქევის ძირძველი მოსახლენი არიან, პირველი მონაშენები ზედათმოგვში. შემორჩენილია „შაპაანთ დარბაზი“, სადაც უწინ ცხოვრობდნენ. მაისურადეთა შტოგვარებია: **ქეაანი/ქიაანი**, **ბიბიკაანი**, **შაპაანი**, **სელუანი**, **კუჭუანი**, **ბადაღაანი**. ძმებს: გიორგისა (ქეა) და ბიბიკას არცთუ დაღხინებული ცხოვრება ჰქონიათ. ბიბიკა, ტანპატარა, საწყალი და საბრალო, რომელსაც ქართველები ბიბინას ეძახდნენ, მოჯამაგირედ ყოფილა გოგაშნის ბეგთან. გულქვა და შეუბრალებელ ბეგს გამოქცევია და ძმისთვის დახმარება უთხოვია. გიორგის უცემია გოგაშნელი ბეგი, ამიტომ „ქევარა“ შეურქმევიათ

(შდრ. მეტსახელი ქელ). მისი შთამომავლები ქეაანად იწოდებიან, ბიძიკას შთამომავლები – ბიძიკაანად. მაისურაძეთა ბიძიკაანთი შტოს განაყოფიან: კუჭუაანი და კურდღელაანი. კუჭუაანთ წინაპარი დაბალი, პატარა კაცი ყოფილა, მოფერებით „კუჭოს“ ეძახდნენ. მაისურაძეთა შტოა სელუაანიც. მათ წინაპარს თურქული სახელი სელიმა რქმევია. სელუმაანი შემდეგ სელუაანად გადაკეთებულა და დღესაც ასე მოიხსენიებენ. შაჰაანიც მაისურაძეების განაყოფიან. გათათრების მიზნით თათრებს აღუღებულ წყალში ჩაუყენებიათ, მაგრამ რომ ვერ დაუყოლიებიათ, თათრის ჩაუშებს მისთვის „შაჰპაზანი“ უწოდებიათ (შაჰის დაუმორჩილებელი). ასე შემორჩათ მის შთამომავლებს შაჰაანი (< შაჰპაანი). რაც შეეხება ბადალაანთ შტოს, მათ წინაპარს, კარგ ვაჟკაცს, სახელად ბადალა, თურქეთში წასულს და უკან დაბრუნებულს ოქრო ჩამოუტანია. ღამე ბიძაშვილებთან გათენება განუზრახავს. ბიძაშვილებს ბადალასთვის ოქრო გადაუმაღლავთ და სახლიდან გაუსტუმრებიათ. ვინმე მაისურაძეს შეუფარებია ეს ბიჭი, დაუსახლებია. მოსარჩლის საპატივსაცემოდ ბადალა მაისურაძედ დაწერილა. ბადალას ბიძაშვილები სირცხვილით იქ ვეღარ გაჩერებულან და ჯავახეთში გადასულან.

შოთა ოთანაძის, „უსტა პაპას“, ნაამბობით, თმოგვის ციხისთავის მოღალატე ცოლის ცხენის კუდზე გამობმის შემდეგ ნაწამებ ქალს უთხოვია: „დამკალით, ნულარ მაწამებთო!“ აქედან მოდის დამკალის/ დანკალის სახელიც (ტოპონიმი). სწორედ იმ ხანებში თმოგვის ციხიდან ახალგაზრდა ცოლ-ქმარი ზედათმოგვში დასახლებულა, სადაც ტყე ყოფილა გაშენებული. თურქთა მორიგი თარეშის დროს თათრებს ტყის შუაგულში ცეცხლი შეუნიშნავთ, მისულან და უნახავთ ახალგაზრდა ცოლ-ქალი. ქმარი მაშინვე მოუკლავთ, ქალის სილამაზით მოხიბლულ რაზმის უფროსს იგი თურქეთში წაუყვანია და ცოლად დაუსვამს. ზედათმოგვიდან წაყვანილი ქალი ორსულად ყოფილა, მისი შვილისთვის მანსულა დაურქმევიათ. ამ ქალის სხვა შვილებისაგან განსხვავებით, მანსულას თურმე გიაურ-ოდლის ეძახდნენ. მანსულას ერთხელ დედისთვის შეუჩივლია, რა არის მიზეზი, რომ გიაურს მეძახიანო. დედას არ დაუმაღლავს, რომ ის მამითაც ქართველი იყო. მანსულა საქართველოში გამოპარულა, მაგრამ მამინაცვალს ისე ჰყვარებია, მღვეარი გამოუდევნებია: რატომ გაიქეციო? შინ მობრუნებულ მანსულას გულისნადები გაუმხელია მისთვის. მაშინ მამინაცვალს ოქრო გამოუტანებია და გამოუგზავნია აფნიაში თავის ნაცნობთან. აფნიიდან მანსულა ზედათმოგვში გადმოსულა, მაისურაძეებს შეჰხიზნია, რომელთაც მისი ოქრო უყაირათოდ დაუხარჯავთ, **ოქრუანიც** ამიტომ დაარქვეს. მანსულა აქვე დაქორწინებულა მაისურაძეების ქალზე.

მადრადეების შტოგვარები არიან: **გიოაანი, თემუანი, ბოდარაანი**. გიოაანი ნინოსიდან მოსულები არიან ზედათმოგვში, როგორც სახელიდან ჩანს, გიოს(გიორგის) შთამომავლები არიან. თემუანთ წინაპარი სოფელ მარელისიდან ყოფილა. ძველი ჩვეულებისამებრ, პატარძალი ქორწილის დამეს ბატონთან უნდა წაეყვანათ. თავმოყვარე და ამაყი კაცი ყოფილა თემუა, არ გაუმხელია თავისი დაქორწინების ამბავი მეზობელი სოფლის გოგოზე. ბატონს გვიან შეუტყვია, უკვე შვილიც რომ ჰყოლია, გაბრაზებულა და დასჯა განუზრახავს. ბატონი მოუკლავს თემუას, გამოქცეულა ცოლ-შვილით ახალციხისკენ, შესვედრია იქ გიუანთ კაცი, წამოუყვანია ზედამოგვში და მადრადედ დაუწერია. თემუას ძმა,ლაშქარა, ბაღანთაში დასახლებულა. დღეისათვის მისი შთამომავლები ბაღანთაში, ოკამსა და ბორჯომში ცხოვრობენ. მადრადეთა მესამე შტო **ბოდარაანია**. თემუანთი კაცი დაქვრივების მერე დაქორწინებულა მურჯახნელ ქალზე, მურჯიკნელზე, რომელსაც მოჰყოლია შვილი პირველი ქმრისგან, გვარად წინწკალაძე. მამობილს გერიც მადრადედ უღიარებია. ამ შტოს, ვინც წინწკალაძეების შთამომავალია, ბოდარაანთ (ბოდრიაანი) ეძახიან.

ზიმნადეების წინაპარი ხანდოდან მოსულა. თათრებს იაგორა დაურქმევიათ. დაქორწინებულა მელიქიძეების ქალზე, დასახლებულა სოფელშივე. მის შთამომავლებს **იაგორაანთ** ეძახიან. იაგორას შვილები იყვნენ: იასონა და მარკოზა (იგივე კოზა). იასონას შვილს გურამა ერქვა (ინფ. შალიკო მაისურაძე).

სოფელ თმოგვში ნიკოლოზ ზაზაძემ (დაბ. 1928 წ.) გვიამბო, რომ ზაზაძეები აგარიდან წამოსულან 1945 წელს, ხუთი ძმის ნაშიერნი ყოფილან. მათი შტოგვარებია: **იოლჩიანნი, ელაზაანი** (აქედან არიან: **ლუკაანი**), **ადუანი** (მათი განაყოფებია **ყარაჯაანი** „შავგრემანი“), **მათიანი, კაკულაანი** (რომელთაგანაც გაიყარნენ: **მურადაანი, გაბენი და ეფრემიანი**), **ჰოკუაანი, ჩახალაანი, მამუაანი**. სოფელ ხერთვისში ჩახალაანთი განაყრების ოჯახი ცხოვრობსო, – დააყოლა. ანა ბუჩუკურის (დაბ. 1930წ.) სიტყვით, „ჩახალაანი მეკომურია, ისე ზაზაძეები არიან“. გალა (გალაკტიონ) ზაზაძის ინფორმაციით, გომარეთიდან ბატონის მოკვლის მერე გამოქცეულები შაბამბეში მოსულან. იქიდან გავეთში გადასულან (ნასახლარი ახლაც არისო), აგარლებს შეუნიშნავთ და თავისთან წაუყვანიათ, სწორედ აგარიდან წამოსულან თმოგვშიც (გომარეთი > გავეთი > აგარა > თმოგვი).

ვაჭარიძეები, როგორც ება (ელიზბარ) ვაჭარიძემ გვამცნო (მაშინ 82 წლის იყო, ჩაწერილია 2000 წელს) სოფელ სავანეთიდან მოვედითო. ძირძველი გვარია ვაჭარიძე. აქაურ ვაჭარიძეებს **ოტიანთ** გვეძახიანო, პაპაჩემის სახელის მიხედვითო, სავანეთში დარჩენილებს კი – იაგორაანი ჰქვიათო.

ასპანიძეები საროსა დანიჯგორში მკვიდრობენ. ინფორმატორთა ცნობით, მათი გვარი შავშეთიდან იღებს სათავეს, XII საუკუნისათვის საქართველოში მცხოვრები ასპანიძეები, ასპანაძეები, ასპანაშვილები, სელმანაშვილები მანძულა პაპას შთამომავლები არიან. „მანძულა პაპა იყო ჩვენი გვარის, მოდგმის ბოლო ფეოდალი, რომელიც მოღვაწეობდა ფანასკერტში. **მანძულაანი** ვართ ჩვენ ყველანი, ჩვენი წინაპრის საპატივსაცემოდ ასე გვქვია, ერთი სისხლი, ხორცი ვართ. საროში არის ჩვენი საგვარეულო დარბაზი, მერცხლისბუდური დარბაზი“ (იხ. ინფ. ტექსტები).

გიორგაძეები საროს მკვიდრნი არიან, ცხოვრობენ ნიჯგორსა და ასპინძაში, ტოლოში ერთი კომლი სახლობს. მათი შტოგვარებია: **კაკაბესაანი, გორანაანი, ჭუჭულიენი, ღვინაანი.**

გურგენიძეები ნიჯგორში სახლობენ, ადგილობრივები არიან. ამ გვარის განაყრებს **კახმიხაანთ** და **მოსიენტ** ეძახიან.

დავლაშერიძეები როკეთიდან არიან გადმოსული ტოლოში, მათ განაყრებს ჰქვიათ **ტრინკვიენი** და **ლევანიენი**. ვარგავში დასახლებულ დავლაშერიძეებს კი – **როკეთლიენი**.

თედორაძეები კახეთიდან გამოჰქცევიან ბატონსა და ხიზაბავრაში დასახლებულან. განაყოფთა სახელია **თედვიენი**. ხიზაბავრაში ახლა მხოლოდ ორი ოჯახი ცხოვრობს თედორაძეებისა, დანარჩენები ასპინძასა და ახალციხეში გადავიდნენ.

ინასარიძეები ცხოვრობენ ზველში, ჭობარეთსა და ასპინძაში. ზველის ინასარიძეების განაყოფთა სახელი **ადანიკიენია**, ჭობარეთის ინასარიძეებს **მაზმიენტ** და **იესიენტ** უხმობენ. ანდრეაწმინდიდან ერკოტაში დასიძევებული ინასარიძეების განაყრების სახელია **ჭიჭორიენი**, სწორედ ისინი სახლობენ ამჟამად ასპინძაში.

ლონდარიძეები „ძირძველი მესხები არიან. ეკლესიასთან არის ყველაზე ძველი დასახლება ჩვენი გვარისა, რაც იმაზეც მეტყველებს, რომ ეკლესიასთან, ციხესიმაგრეებთან ძირძველი მოსახლეობა იყო. დანარჩენი გვარები ზემოთ ყოფილან დასახლებული. ჩვენ ჯიშის, მოდგმის მიხედვით **ტატაანთ** გვეძახიან. ეს სახელი მოდის ტატესაგან, ესტატესაგან. მე-5-მე-6 თაობა ვართ. ტატეს ძმები იყვნენ კოტე, ზაქარია... ყველაზე მრავალრიცხოვანი გვარია. აქედან წასული ლონდარიძეები არიან მანგლისში, თეთრიწყაროში, ქვემო ქართლში. XIX-XX საუკუნეებში წასული არიან დიღომში“ (ინფ. ტექსტები). ლონდარიძეთა დანარჩენ განაყრებს **კოტეენი, ჩუჩუნაანი, ქიტესაანი, მარტიენი, ჭიჭიკაანი, ზაქარაანი** ჰქვიათ.

მადრადეებს უცხოვრიათ ხიზაბავრაში, მერე გადმოსულან საროში. მადრადეების საყდარს „ღარიბთა საყდარს“ ეძახიან. ამჟამად ნიჯგორში სამი კომლია, **ბერვიენს** ეძახიან („ბერო ყოფილა და იმის შთამომავლები ვართ“).

მელიქიძეები ტოლოშის მკვიდრნი არიან. ჯავახეთში, კერძოდ, პტენაში, კოთელიაში, ბალანთაში, ვარევანში მცხოვრები მელიქიძეებიც აქედან არიან წასული. „ხუთი მოდგმა ვართ: **კონაანი, კიკოლაანი, თურანაანი, თემურაანი, მამუღაანი**. ეს შტოები ერთმანეთის ნათესავეები არ არიან. არტემ პაპამ კი თქვა: ყველაზე ახლო არიან კონაანი და თურანაანი. მუსხელი მელიქიძეებიც ტოლოშელები არიან, თემურაანთი. ჩვენ ჯიშში **კონას** ეძახდნენ კაცსა, პატარა კაცი იყო, ღამაზი, კოხტა და კონა პაპას ეძახდნენ, ისე იოსებია ერქვა. გაუჩნდა სამი შვილი: ღაზო, ოსე და თევდორე. ამ თევდორეს თათრებმა **ქარიმაი** დაარქვეს (დედის გარდაცვალების შემდეგ, დედისერთააო). სამ ძმიდან არიან: **ოსენი, ღაზონი და თევდორენი, იგივე ქარიმაანი**. ოსენი არიან: ხოსრონი, სარიდანაანი, ლევანაი, ფერიშანაი, გურგენაანი. ღაზონი არიან: ვატაანი, კოტენი, მიტუშაანი. თევდორენი არიან მიშა ძიაანი. სამ შვილიდან დაინიშნენ, თითო ძმას ხუთი შვილი ჰყავდა. კონასგან ამ სამი ძმის ნაშიერნი ვართ კონაანი“ (ინფ. რობიზონ მელიქიძე).

ტივაძეები ერკოტიდან გადმოვიდნენ ასპინძაში. როგორც ინფორმატორები ყვებიან, იმერელი მეტივე ჰაბიბო დასიძევდა მანანაძეების ქალზე. თავიდან ერთად ცხოვრობდნენ, მაგრამ რომ გაიყარნენ, კაცმა თქვა: ტივით გამოვედი მტკვარში, ტივაძე ვარო. ამ ჰაბიბოს ჰყავდა ორი შვილი: პეტრე და პავლე. ამ ორი შვილიდან მოვიდვართ ჩვენ. ტივაძეები ყველა **ქუჭიენი** ვართ, პეტრესა და პავლეს შვილები, ყველა. მახარაძეში, ბორჯომში, გამარჯვებაში ცხოვრობენ ჩვენები. ხატძეები ჩვენი მონათესავენი არიან, ტივაძეებისა, მანანაძეებიდან მოდიან, როგორც ჩვენი გვარი (ინფ. ქიტესა ტივაძე).

ასპინძის მუნიციპალიტეტში ჩამოსახლებულ მთიულთა განაყოფის/კომლის სახელებია:

აბულაძეების – **აბულაანთი, დათაანთი;**

არგანაშვილების – **არგანათი;**

ბედლოძეების – **აბრამიანი, დავითიანი, თამაზიანი, მჭედლიანი, ნადირაანი, შიოლაანი;**

ბექაურების – **შარვანიანი**, (გუდამაყარში არიან: შიუკიანი, ობლიანი, თურქიანი);

ბიბილაშვილების – **ღორძლაანი;**

ზაქაიძეების – **კაციენი, ვაჩაღდიანი, კატყვიენი** (ახლა ნორიოში ცხოვრობენ);

კედელაშვილების – კედელათი;
 კეკიშვილების – კეკიენი;
 კობაძეების – გიორგაანი, ლაბიანი, ლაზარიანი, შალიკიანები;
 ნაზლაძეების – ტარაზიანი;
 ნარიმანიძეების – ათალიანი, ბეჟანიანი, აბდულიანი (სონჩოდან
 გადმოსულები), უოჟონიდან გადმოსულები – ბერუანი; არიან კიდევ: ბატარიანი,
 მიკოლიანი, ბურთულიანი, ჯეჯიანი, თათარიანი, აღამიანი, ოსიანი,
 გოგოთურიანი;
 სეთურიძეების – ჩუგრიანი, ბევრიანი, ლაზარიანი, შიოლიანი, კარზიანი,
 ნიკოლკიანი, ისაკაანი;
 სუარიძეების – სუართი;
 წამალაძეების – მარტიაანი, მახარობლიანი;
 წიკლაურების – ბაწაწუნიანი, ბარდღუნაანი, ჯაბანიენი, ხუტაანი, ჭუტაანი,
 ბოლონაათი (< ნაბოლარა);
 წყარუაშვილების – გიგოლიანი, ტოკაანი, ჭორტლაანი;
 ჯაღმაძეების – გიგოლიანი (მთიულეთში დარჩნენ: მახარობლიანი, მოთიანი,
 ლევანიანი, ივანიანი, გარბაკიანი, ნანიანი);
 ჯიქურების – ბერიანთი, თადილაანი;

ჩამოსახლებულ აჭარელთა გამრიგო სახელებია:

აბაშიძეების – ესედოღლები, ნუკოღლები, არიფოღლები;
 აბულაძეების – ყადიენთები;
 გელაძეების – იმლაჰოროღლები, მედიოღლები, კორიძოღლები;
 გორგაძეების – გორგაძოღლები;
 იაკობაძეების – უსტამემდოღლები, ყარამემდოღლები;
 კახაძეების – კახაძოღლები, სანთიოღლები (იგივე თურქიოღლები);
 კოჩალიძეები – გულაჰმედოღლები, გულიანთები, შაჰბაზიანთები,
 ჩახალოღლები;
 მიქელაძეების – კოკაანთები (იგივე კოკანოღლები);
 პაპიძეების – მუსაანთი, სეუფაანთი;
 პაქსაძეების – სეფეროღლები, ყასუმოღლები, კოშოღლები;
 სურმანიძეების – სურმანოღლები (სუნანოღლები);
 ქამადაძეების – ნენიოღლები (< „ნენიდან წასული იყო“), ხოზისანები;
 შავაძეების – ჰაჯიენთები, ყოჩიენთები;
 შანთაძეების – სოითაროღლები;

სოზრევანიძეების – ჰამზათები (ჯუმაოღლები), შირინოღლები.

4.2. გვარის განაყოფთა სახელების წარმოება

ქართული ენის დიალექტებში შტოგვარის სახელების -ურ სუფიქსიანი წარმოება დადასტურებულია (ჯორბენაძე, 1993: 39). სამცხურში შტოგვარის სახელთა წარმოებისას აღნიშნულ ფორმანტთან ერთად გვაქვს -იან სუფიქსიც, რომელიც დისმილაციით გვაძლევს -იენ-ს: ტოლოშულიენი (< ტოლოშულ-იან-ი: მუსხში „ტოლოშიდან გადასული“ მელიქიძე), დადეშულიენი (< დადეშულ-იან-ი: ჭობარეთში „დადეშიდან გადასული“ ივანიძე), როკეთლიენი (< როკეთულ-იან-ი ვარგავეში „როკეთიდან გადმოსული“ დავლაშერიძე).

გრ.ბერიძე, ითვალისწინებდა რა ა.შანიძის მოსაზრებას, რომ თუ -იან-ი დაერთვის -ა-ზე გათავებულ ფუძეუკვეცველ სიტყვას, მაშინ მისი პირველი ხმოვანი დასუსტდება და სულ დაიკარგება (შანიძე, 1980: 123), ჯავახურში გვარის განაყოფთა სახელების წარმოებისას -ა მაკნინებელ სუფიქსზე -იან-ის დართვით, ი-ს დასუსტებისა და შემდგომ დაკარგვის გზით ვარაუდობდა -ა+ან ფორმანტის მიღებას (ბერიძე, 1988: 144). არ.მარტიროსოვის აზრითაც, -ან ჩამომავლობისა და გვარის განაყოფთა სახელების საწარმოებლად -იან-ისაგან ი ხმოვნის დაკარგვის შედეგად მიიღება (მარტიროსოვი, 1984:93). -იან სუფიქსით მეტგვართა წარმოება ბორჯომის რაიონში დადასტურებული აქვს ს.მელიქიძეს: ოქუზა-იან-ი > ოქუზაანი (დვენოსაძეები, სოფ. ჩითახევი), გვიტაანი (სოფ.საკირე), ლაშქარაანი, ლუკაანი (სოფელი ტბა), (მელიქიძე, 2005: 94). ეს უკანასკნელი ფონეტიკური სახეცვლილებით გვხვდება ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ ხეოთის კოჟორიძეთა განაყოფის სახელად: ლაშქარაანი.

ს.ჯანაშია -იან სუფიქსის -ან ელემენტს ცალკე გამოყოფს და მის პირვანდელ ფუნქციად კრებითობას ასახელებს, რაც ნათლადაა წარმოდგენილი ქართველურ გვარსახელებში. ეს დაბოლოება თავდაპირველად გავრცელებული უნდა ყოფილიყო ყველა ქართველ ტომში, ამჟამად შემონახულია სვანურში: მარგველან, ფირცხელან... (ჯანაშია, 1937: 35).

სამცხურ-ჯავახურში გვარის განაყოფთა სახელებისას განსაკუთრებით პროდუქტიულია -(ი)ან სუფიქსი. ასპინძის მუნიციპალიტეტის გვარის განაყოფთა სახელებში -ან მაწარმოებლის ეპონიმებზე დართვით მიღებულია: ადუაანი (< ადუა-იან-ი), ბადალაანი, ბიძიკაანი, ბოღარაანი, ბგიოაანი, გორანაანი, ელაზაანი, ზაქარაანი, თემუაანი, თემურაანი, თურანაანი, იოლჩიანი, იშიდაანი, კაკაბესაანი, კაკულაანი, კაჭაჭაანი, კახმიხაანი, კიკოლაანი, კონაანი, კუჭუაანი, ლუკაანი, მათიაანი, მანძულაანი, მამუდაანი, მამულაანი, მურადაანი, ოსეფაანი, ოქრუაანი,

სელუაანი, ქარიმაანი, ქეაანი, ღვანაანი, ღვინაანი, ყარაგვეზაანი, ყარაჯაანი, შაპაანი, ჩახალაანი, ჩუჩუნაანი, ჭიჭიკაანი, ჰოკუზაანი.

საკვლევი მასალიდან ჩანს, რომ განაყოფთა სახელების ერთი ნაწილი -ენი და -ონი დაბოლოებას გვაძლევს (მათენი, ლაზონი...), რაც გრ.ბერიძის აზრით, -ე და -ო ხმოვნებზე გათავებულ სახელებთან -იან სუფიქსისეული -ი ხმოვნის დასუსტებისა და ფუძისეული ხმოვნისაგან სუფიქსისეულის დამსგავსების საფუძველზე ხდება (ბერიძე, 1988: 144): ჭრელონი < ჭრელო-ანი < ჭრელო-იანი, კიკონი < კიკონი, ყაყონი < ყაყონი, ალიკონი < ალიკონი; ტატენი < ტატე-ანი < ტატე-იანი, კოტენი < კოტანი, ქიტენი < ქიტანი, გაბენი < გაბანი, დოყენი < დოყანი, ოსენი < ოსანი, თევდორენი < თევდორენი... მაგრამ შტოგვართა წარმოების პროცესი აქ არ შეჩერებულა: -ე ხმოვანზე დაბოლოებულმა სახელებმა შემდგომში დისიმილაციის შედეგად მოგვცა -იენი ფორმა: ორდანიენი < იორდანიენი < იორდანიე-ანი < იორდანიე-იანი, მოსიენი < მოსენი < მოსანი, ლაზარიენი < ლაზარენი < ლაზარენი, იესიენი < იესენი < იესანი, ტროფინიენი < ტროფინენი < ტროფინენი.

ასპინძის მუნიციპალიტეტში ადგილობრივ მცხოვრებთა შტოგვარის სახელები: ასკილონიენი, ბექირიენი, გლახიენი, ცაცალიენი, კოჭიენი, ყაჭიენი, ბაქმაზიენი, კაკლიენი, პეტრიენი, ბადალიენი, კიკოლიენი, ადანიკიენი, მაზმიენი, ნადირიენი, შამიენი, ქუჭიენი, ყარყარიენი, გორალიენი, ღიღინიენი, კაკიენი, ლუკიენი, გლავიენი, ურუმიენი, ჭუჭულიენი, ქოქორიენი, ქოჩიენი, ყარათლიენი, სოსანიენი, კორკოტიენი, ბექირიენი, გიგოლიენი, ობლიენი, კოჭლიენი... ადასტურებს -იენ სუფიქსის არსებობას, რომელიც მიღებულია -იან სუფიქსისაგან ი-ს მიერ -ა-ს დამსგავსებით. გრ.ბერიძის აზრით, -იან და -იერ ისეთივე ვარიანტებია, როგორც ქონების აღმნიშვნელი ბოლოსართები -იერ და -იარ (ბერიძე, 1988: 144).

ო-ზე ფუძეგათავებული სახელები ხშირია შტოგვარის შემადგენლობაში, რომელიც -ან მაწარმოებელთან ერთად გვაძლევს:

ა) -ო-ენ-ს: ალოენი (< ალოანი), ბაღდოენი (< ბაღდოანი), ყრუაკოენი (< ყრუაკოანი), ივანოენი (< ივანოანი). უნდა აღინიშნოს, რომ ინფორმატორები მათ პარალელურ ფორმებსაც ხმარობენ: ალვიენი, ბაღდვიენი...

ბ) პროცესი უფრო შორსაც წასულა, -ვიე კომპლექსამდე: -ო-ან > -ო-ენ > -უ-ენ > -ვიენ. ტრინკოს დაუღია სათავე (შდრ. ტინკონები – „ნაყაფსახელი“ საინგილოში. ასრათოვ-ომარაშვილი, 2007: 8) – ტრინკვიენთათვის (ტრინკვიენი < ტრინკოენი < ტრინკოანი; ბეროს – ბერვიენთათვის (ბერვიენი < ბეროენი < ბეროანი); ღიტოს – ღიტვიენთათვის (ღიტვიენი < ღიტოენი < ღიტოანი);

ანალოგიურად გვხვდება: ადვიენი, ბესვიენი, ბიჭკვიენი, ბაღღვიენი, ალექსვიენი, ლელვიენი, კელვიენი (< კელო), კოჩვიენი, მოშვიენი, ნიკვიენი, ლეკვიენი (< ლეკო), პოსვიენი, ქოტვიენი, წიკვიენი, ყარანდვრიენი (რომელიც მეტათეზისის შედეგია: ყარანდრვიენი < ყარანდრო-ან-ი), ფეზვიენი (< ფეზოენი < ფეზოანი); შდრ. ფეზულიები. ფეროზ – კაცის სახელი (დლონტი, 1967: 131), ფეროზა – ქალის სახელი (დლონტი, 1967: 202), ფერუზა ირან. „ნათელი, სინათლით აგსილი“ (გაფუროვი, 1971: 58). ფერუზასაგან ფეზურას მიღება მეტათეზისით (ფერუზა > ფეზურა) და შემდგომ სუბსტიტუცია გვაძლევს ფეზულას (ფეზურა > ფეზულა).

ასპინძის მუნიციპალიტეტის ანთროპონიმთა სისტემაში გვაქვს ერთსა და იმავე სახელებზე სხვადასხვა ფორმანტით ნაწარმოები განსხვავებული შტოგვარები:

- ბადალაანი – მაისურაძეები ნაქალაქევში,
- ბადალიენი – დიასამიძეები აწყვიტაში;
- ბალაანი – ოთანაძეები ნაქალაქევში,
- ბალიენი – ბალიაშვილები ხიზაბავრაში;
- თელიენი – ივანიძეები აწყვიტაში;
- თელიენი – თედორაძეები ხიზაბავრაში;
- თემურაანი – მელიქიძეები ტოლოშში;
- თემუანი – მაღრაძეები ნაქალაქევში;
- კიკოლაანი – მელიქიძეები ტოლოშში,
- კიკოლიენი – ზედგიძეები ზველში;
- კუჭუანი – მაისურაძეები ნაქალაქევში,
- კუჭვიენი – ზედგინიძეები ზველში;
- ლუკაანი – ზაზაძეები თმოგვში,
- ლუკიენი – ივანიძეები აწყვიტაში;
- ჩახალაანი – ზაზაძეები ხერთვისსა და თმოგვში;
- ჩახალიენი – აწყვიტაში. შდრ. ჩახალათები (ჩახალაანთები) ვალეში.

ეს მოწმობს, რომ გვქონდა საკუთარ სახელთა პარალელური ფორმები: კიკოლა//კიკოლი, კუჭა//კუჭო, ბალა//ბალი, ლუკა//ლუკი, ბადალა//ბადალი, მამულა//მამული. აქედან გამომდინარე:

-ა-ზე ფუძეგათავებულმა სახელებმა განაყოფთა სახელისდაბოლოებად მოგვცა -აან-ი: კიკოლა+ან =კიკოლაანი; ლუკა > ლუკაანი, ბალა > ბალაანი, ჩახალა > ჩახალაანი.

-ო სუფიქსიანებმა: 1) **-ვიენ-ი**: კუჭო+ან-ი = კუჭოენი > კუჭვიენი; თედვიენი < თედოენი < თედოანი; 2) **-უან-ი**: კუჭო-ან-ი > კუჭუანი, თემო-ან-ი > თემუანი.

ხოლო თანხმოვანფუძიანებმა – **-იენ** სუფიქსიანი შტოგვარები: ბადალიენი < ბადალ(ი)-იენ-ი, ლუკიენი < ლუკ-იენ-ი, ბალიენი < ბალ-იენ-ი.

როგორც ასპინძის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის გვარის განაყოფთა სახელების კვლევამ დაადასტურა, შტოგვარის ფუძეზე -იან სუფიქსის დართვა გვაძლევს რამდენიმე სახეობას: **-აან-ი, -იენ-ი, -ეენ-ი, -ოონ-ი, -ვიენ-ი, -უან-ი.**

როდესაც სურთ მიგვანიშნონ შტოგვარის წარმომადგენელზე, განაყოფთა სახელს „თანს“ უმატებენ, მაშასადამე, გვაქვს **-აანთ/-იენტ/-ეენტ/-ოონთ/-ვიენტ/-უანთ** რთული სუფიქსები. ამბობენ: **მათიენთი, კუჭვიენთი, თურანაანთი, გორანაანთი, ტატეენტთი, შამიენთი, კიკოლიენთი** და ა.შ. როცა შტოგვარის სახელს პირსახელიც ემატება, მაშინ გვაქვს: **მათიენთ შოთა, კუჭვიენთ ანა, თურანაანთ ნოდარი, გორანაანთ თედო, ტატეენტთ ოთარი, შამიენთ მამუკა, კიკოლიენთ ანდრია...**

„ხიზაბავრაში როცა სურთ საგვარეულოდან ვინმე დაასახელონ, გვარსახელის ფუძეს დაურთავენ უშუალოდ ირიბი ბრუნვების მრავლობითობის ბოლოსართს - თანს (დათათ სინოი, პაპათ მანაი, ლეკოთ პეტრეი). როცა ერთზე მეტი სურთ თქვან საგვარეულოდან, ურთავენ მრავლობითობის **ნარს**: ლეკოთნი (ლეკიშვილები), დათათნი (დათაშვილები), თენოთნი (თენოშვილები) და სხვ.“ (ბერიძე, 1988: 144). ამჟამად ხიზაბავრაში გვარის განაყართა სახელებად გვერდიგვერდ დაფიქსირებული **ჯეჯიმათი, ქაჩლიენთი, დომინეთი, კანკროთი, კალაიჯიენთი, თათრიენთი, კელოთი, თაქუნათი...** მიგვანიშნებს, რომ „-ო სუფიქსიანი მეტგვარები“ (ქუჩიშვილი, 2007: 181) ზემოდასახელებულ რთულ სუფიქსთა (-აანთ/-იენტ...) გამარტივებული სახეა: -ათ < აანთ, -ეთ < -ეენტ, -ოთ < -ოონთ. **-ანთ** მაწარმოებლიანი შტოგვარები დაგვიდასტურეს ასპინძის მუნიციპალიტეტის აჭარლებმაც: **სეუფაანთი, მუსაანთი.**

ჩამოსახლებულ მთიულთა განაყოფობის სახელებში გვაქვს მთიულურ-გუდამაყრულისთვის დამახასიათებელი **-იან-ი**: **აბდულიანი, ადამიანი, ათალიანი, ბატარიანი, ბაწაწუნანი, ბევრიანი, ბურთულიანი, ბეუანიანი, გიგოლიანი, გოგოთურიანი, დავითიანი, ვაჩაღდიანი, თათარიანი, თამაზიანი, ლაზარიანი, ლევანიანი, მიკოლიანი, მახარობლიანი, ტარაზიანი, შიოლიანი, შარვანიანი...** უშუალოდ გვარსახელის ფუძისაგან შტოგვარის სახელი იწარმოება **-ანთ/-ათ/-ოთ** სუფიქსებით: **აბდულაანთი, კედელათი, სუართი, არგანათი...** ამდაგვარივე წინაპრის მეტსახელიდან მომდინარე **ბოლონაანთი**. **-ან** სუფიქსით ფორმდება **-ა-**ზე ფუძეგათავებულ სახელთაგან მომდინარე განაყოფობის სახელები:

თადილანნი, ბურდღუნანნი, მარტიანნი, გიორგანნი, ნადირანნი, ბოლონანნი, შიოლანნი, ისაკანნი, ტოკანნი, ჭორტლანნი... -იენ მაწარმოებლიანია: ჯაბანიენი, კეკიენი (< კეკი), კაციენი.

-ებ სუფიქსიანი წარმოება ადგილობრივთა შტოგვარებში არ გვაქვს, სამაგიეროდ, აჭარელთაგამრიგო სახელად ცნობილია: ჰამზათები, ნუკიოდლები, ესედოდლები, სურმანოდლები, სეფეროდლები, კორიოდლები, ყადიენტები, გულიანთები, შაჰბაზიანთები, ყოჩიენტები, ხოზისანები... როგორც ვხედავთ, რიგ შემთხვევაში გამრიგო სახელებში სამმაგი სუფიქსაცია დასტურდება: ყად-იენ-თ-ებ-ი. აჭარლები ერთმანეთის პარალელურად ასახელებენ კოკანოდლებს და კოკაანთებს.

-ებ დამახასიათებელია გადამოსახლებულ იმერელთა განაყოფთა სახელებში: ჭაპნები, შაპრაკები, ჟვერები, ბაბალები...

4.3. ასპინძის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ზედგინიძეთა შტოგვარები

გუჯართა თანახმად, „გუარი ზედგინიძე არს პატივცემული მეფეთაგან მთავრობით“ (ვახუშტი, 1973: 34). ზედგინიძეთა შესახებ ქართული საბჭოთა ენციკლოპედია გვამცნობს: „ფეოდალური საგვარეულო აღმოსავლეთ საქართველოში. ზედგინიძეები XIV ს-ის I ნახევარში დამკვიდრდნენ მდინარეების რეხისა და მეჯუდის სანაპირო ტერიტორიაზე. XIV ს-ის 80-90-იან წლებში სამეფო კარის ერთგულებისათვის საგვარეულო საძვალედ მიიღეს შიომღვიმე; ალექსანდრე I-მა ზედგინიძეებს დაუმტკიცა გორის მოურაობა, ამილახორობა და სოფლები – კასპი, გომი, ნადარბაზევი ყმა-მამულებით. პირველი ზედგინიძე იყო თაყა ჯანიბეგის ძე ზედგინიძე და აქედან მომდინარეობს ზედგინიძეთა გვარი, შემდეგში – სათავადო-საამილახორო (ქსე, 1979: 198). ისტორიული წყაროებიდან ცნობილია, რომ იოთამ ზედგინიძის თავდადების სანაცვლოდ მეფეს მისი შთამომავლებისათვის უბოძებია „ციხენი და მამულნი და სპასპეტობა ქართლისა, მოურაობა გორისა და სასაფლაო სამთავისი და კარისა თვისისა ამილახორობა“ (ვახუშტი, 1973: 288). ალექსანდრე მეფის მიერ ზედგინიძეთადმი ნაბოძებ სიგელში ვკითხულობთ: რადგან ღვთის წყალობით სამეფოს გვირგვინოსანნი ვიქმენით, „ჩვენგანცა ესე სათანადო იყო და ვინებეთ ჩუენთა დიდად და თავდადებით ერდგულთა კაცთა სათნოებიანთა, განსაგებთა სახელმწიფოთა ძნიად მიმთხრობთა, რომელ ჩუენისა გაზედაებისა და მორჭმისა და აღმატებისა მიმდემად მეცდე-დამჭირნენი არიან ზევდგინისძენი, ეზოს ჩუხჩარეხი და გორის მოურავი ავთანდილ და ჩუენთანა შეზრდილ-გაზრდილნი მოლარეთუხუცესი თაყა და ზევდგინ... [კ]უეზედავენეს და მივეციოთ და მიუბოძეთ სასისხლოდ კასპი

და [იგოეთი] სრულიად მისითა მზღვრითა და შესავლითა და ამას აქათ ნადარბაზევი სრულიად მისითა შესავლითა ესრეთ სამკუიდროდ, სამამულოდ“ და ვინც ჩვენს შემდგომად იქნებით მეფე-დედოფალნი, ერისთავნი, ვაზირნი, მოურავნი, გადასახადის ამკრეფნი და ა. შ. „ნუცა ვინ რას დააკლებთ, ნუ დიდსა და ნუ მცირესა, თუნიერ თანა-დადგომისა და შემატებისაგან კიდე“ (საქ. სიძგ. 1926: 11). ზევდგინიძე-ამილახორთა საჩივრის წიგნში აღწერილია ჩიხორის ბრძოლის დროს განსაცდელში მყოფი მეფე გიორგის გამოყვანა სამშვიდობოს ზევდგინიძის მიერ, რომელსაც „ოცდა ოთხი [შუბი] და ისარი და ხმალი“ ესო. მეორეგან საუბარია, რომ „ჩემი გუარის (ზედგინიძე – ნ.მ.) კაცი ოცდა ცხრა [მოკლეს] და ერთი ხელთ დაირჩუნეს“ (ჯავახიშვილი, 1967: 85). რ.გოგოლაურის გამოკვლევით, ზედგინიძე-ამილახორთა ფუძე-გვარი **სუნდულისძენი** ჩანს, რომლებიც ქართლის აბულეთიძეთა საერისთავო საგვარეულოს დამცრობის შედეგად მათ მამულებს იკავებენ და თავის მხრივ საფუძველს უყრიან ზედგინიძეთა საგვარეულო დინასტიას (გოგოლაური, 2014: 170). მბერიძე იმოწმებს რა იოანე ბაგრატიონს – „დაეშენნენ რომელნიმე ამათ ხალხთაგანი ქართლსა შინა და რომელნიმე ახალციხეს მესხეთსა შინა და ესენი მიიღო სუმბატ მეფემან აზნაურობისა ხარისხითა და უბოძა გვარად ზედგინიძეობა“ – ზედგინიძეთა ერთი შტოს წარმომავლობას მესხეთს უკავშირებს: გადმოცემით შეიძლება ეს ახლობლობა და ნათესაობა დავინახოთ ქართლელ და მესხ ზედგინიძეებს შორის, როდესაც ლაპარაკია მათი დობიეთში მოსვლაზე (ბერიძე, 2012: 19).

ზედგინიძეები ასპინძის მუნიციპალიტეტში სოფელ ზველში, ჭობარეთსა და ასპინძაში ცხოვრობენ. როგორც ინფორმატორები გვიამბობენ, მათი გვარი უძველესი დროიდან მოდის. „ჩვენი წინაპრები ხიდისთავიდან არიან. ბატონს შეუყვარებია ზედგინიძეების პატარძალი, სდომებია ურთიერთობა. მაშინ იცოდნენ გასვლა (ოჯახის კაცებმა) ახლო-მახლო სამუშაოდ, მიდიოდნენ ორი თვით, სამი თვით, ნახევარი წლით და ზოგჯერ გვიან ბრუნდებოდნენ. მეუღლე აქ არ იყო და რძალმა გაუმხილა მამამთილს, რომ ბატონს უნდა ჩემთან კავშირიო, სულ არ მასვენებსო. უთხრა: შენაო, ადექიო, ბაღშიო გაშალე ტახტიო, ლოგინი დააგე და მე მოუუვლი მაგასაო. როგორც დადამდა, ლოგინში მოათავსა გოდო, ზევიდან გადააფარა საბანი და რძალს უთხრა: მიდიო და შეატყობინეო, ამაღამ მამამთილი გარეთ არიო, მაგას მოკლავ, შენი ვიქნები ყოველთვისო“ (ინფ. ალიოშა ზედგინიძე). ქალის ნდომით დაბრმავებულმა ბატონმა დაიჯერა მისი ნათქვამი, დამით მიეპარა საბანგადაფარებულ გოდოს და ხანჯალი დაუშინა. ბატონს ცოცხალს ვინღა დატოვებდა... „იქ უკვე აღარ

დაედგომებოდათ, ურმები შეაბეს, უძრავ-მოძრავი ქონება, რაც კი შეეძლოთ, წამოედლოთ, ყველაფერი წამოიღეს და ჩამოვიდნენ ტყემლანაში. იქ ერთი ძმა დატოვა ოჯახით, ცოლ-შვილითა და თვითონ წა(მო)ვიდა, ჩამოვიდა ღობიეთში. მაშინ ღობიეთს ფლობდნენ ასლან-ბეგები, ძველი ქართველები, სარწმუნოება-შეცვლილი. სამი ძმანი იყვნენ ასლან-ბეგები (სხვადასხვა გადმოცემით, ასლან-ყაფლანები, დიასამიძეები), დედა სახლში იყო და ისინი სანადიროდ იყვნენ გასული. მივიდა და უთხრა ჩვენმა წინაპარმა: მე შვილიო და შენ დედაო, აესეთი ამბავი დაგვემართაო და უნდა შემინახო, გადამარჩინო. კარგო, შვილები მოვლენ და მათაც დავეკითხებით. საღამოს მოვიდნენ ასლან-ბეგები: რახან შვილად მიიღე, ჩვენც ძმად მივიღებთო. მისცეს ღობიეთში ბაღი. ეხლა „ტროფინიენტ ბაღს“ ეძახიან, მაშინ „ღვდლის ბაღი“ იყო. ბაღში წყალი არ იყო და მღვდელმა სასწაულზე წყალი აღმოაჩინა. მისცეს ცხენისათვის და ცხოველებისათვის ჭაღაც.“ ამის შემდეგ მღვდელი, როგორც მონადირე, ადის ზვევლზე, ათვალიერებს ტყეს, ეკლესიასა და წყაროს, უკან მობრუნებული სთხოვს ასლან-ბეგებს, ნება დართონ იქ საცხოვრებლად და გადადის ზვევლში.

წიგნში „ზველი და მისი შემოგარენი“ მ.ბერიძე წერს: „სოფელს აქვს დაარსებასთან დაკავშირებული გამორჩეული ლეგენდა. ამ გადმოცემა-ლეგენდის ყველა ვარიანტში უმთავრესი პერსონაჟები არიან მღვდელი, გვარად ზედგინიძე, და მისი რძალი, ზოგი ვარიანტით, შვილის ცოლი და ზოგით – ძმის ცოლი. ეს ქალი გამოყვანილია უმანკო, პატიოსან, ლამაზ ქალად, რომელსაც გადაეკიდება თათარი (შუბაში), ზოგი გადმოცემით – მოურავი, ყველაზე ხშირად – ბატონი. რატომღაც მღვდელთან მიდის რძალი თავის პატიოსნების დასაცავად და არა ქმართან. ეს ულოგიკოა რომ თავიდან აიცილონ ინფორმატორებმა, რძალს ხან ქვრივად გვიხატავენ, ხან თითქოს მისი ქმარი ომშია წასული სამშობლოს დასაცავად. ძირითადად კი, ქმარი, გლეხია თუ მებაღური, ცოცხალია და იქვე ცხოვრობს. მღვდელი რძლის პატიოსნებას დაიცავს, მოკლავს მოძალადეს და ოჯახთან ერთად გამოიქცევა. მღვდელი და მისი ხიზანი ჯერ ტყემლანაში მოვლენ. ტყემლანა, ეტყობა, შემთხვევით არ აირჩიეს ხიზნებმა. ერთი ვარიანტით, რძალი ტყემლანელია, ამიტომ პირველ რიგში მათ მოყვრებს მიაშურეს, მაგრამ იქ დიდხანს არ გაჩერდებიან, ვაითუ მოგვაგნონო. გადმოცემის ერთ-ერთი ვარიანტით, რძალი და ქმარი ტყემლანაში რჩებიან. საერთოდ არ ჩანს არც ერთ ვარიანტში ამის შემდეგ ქალი და ერთადერთი პერსონაჟი რჩება მღვდლის სახით. მღვდელი და დანარჩენი ოჯახი შეუყვება მტკვარს და მივლენ ღობიეთში, სადაც ღობიეთის პატრონები „ასლან-ყაფლანები“ (ბეგებს ეძახდნენ იმიტომ, რომ კარებზე ებათ ღომიო), უფრო კონკრეტულად – ასლან-ბეგ დიასამიძე (ასლან

დიასამიძე), გამუსლიმებული ქართველი, დახვდება. მღვდელი მოუყვება თავის ამბავს და სთხოვს დიასამიძეს თავშესაფარს. ღობიეთის პატრონი მოუწონებს საქციელს მღვდელს (მაშინ ოჯახის პატიოსნების დაცვა ვაჟკაცობად ითვლებოდა და ამისთვის მკვლელობაც არ ისჯებოდა), მისცემს ბაღს, ყანას და დაასახლებს“ (ბერიძე, 2012: 35-36). ხალხის მესხიერება რომ ინახავს ფაქტებს და ღობიეთში მოსულ მღვდელს დიასამიძე აძლევს თავის მამულებიდან წილს და საცხოვრისს, ამას განამტკიცებს მე-16 საუკუნის მეორე ნახევრის მცხეთის საკათალიკოსო მამულების ნუსხაში დასახელებული ღობიარი, რომელიც „დიასამისძეთა აქუს“ (შარაშიძე, 1961: 34). ინფორმატორთა ცნობით, ხიდის-თავიდან წამოსული ძმებიდან ერთი ტყემლანაში რჩება, მეორე ზველში მკვიდრდება, ორი ძმაც კოთელიასა და ბარალეთში მიდის. რუსუდან კაველიძის ნაამბობით, ნაქალაქევის ზედგინიძეები ბარალეთიდან არიან, მათი წინაპარი აქაურ ქალზე დაქორწინებულა, გვარად მაისურაძეზე და აქვე დარჩენილა საცხოვრებლად.

ი.ახუაშვილი ზედგინიძეს/ზევდგინიძეს ეპონიმურ გვარებში აერთიანებს, რომელმაც დღეს ხმარებიდან გასული ანთროპონიმი (ზედგინი) შემოგვინახა (ახუაშვილი, 1994: 32). პირთა ანოტირებულ ლექსიკონში დასახელებული არიან: ზევდგინ, თაყა, იოთამ, ამილახორ... ზევდგინიძეები (პალ, 1993: 230-236). მ.ბერიძე ამ გვარში გამოყოფს საკუთარ სახელსა და ქართული გვარის ერთ-ერთ მაწარმოებელს (-ძე): ზედგინი-ძე, ხოლო საკუთარი სახელს **ზედგინ//ზევდგინ** ორ ნაწილად ყოფს: **ზე//ზევ** (< ზევით) ზმნიზედა და **დგინება** საწყისი, რომელიც ძველ ქართულში „აღმართვას“ ნიშნავდა. მეცნიერი ანგარიშგასაწევად თვლის იმ ფაქტს, რომ ზედგინიძის პარალელურად გვაქვს გვარი **ზედგენიძე**, რომელსაც **დგენა** (მასდარი) აქვს გამოყენებული საკუთარი სახელის საწარმოებლად. მისი აზრით, ზედგინი//ზედგენი იყო საკუთარი სახელი და შეერქმეოდა მაღალ კაცს, ნიშნავდა **ზეადმართულს** (ბერიძე, 2012: 21).

ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ზველში მცხოვრებ ზედგინიძეებში გამოიყოფა შემდეგი შტოგვარები: **გლავეინი, მათიენი, კიკოლიენი, ღიტვიენი, იორდანიენი, გაბრელიენი (გაბრიელიენი), მაყვლიენი, ქუმელიენი, ქიტესიენი, ტროფინიენი, ყარანდვრიენი, კუჭვიენი, დიაკნიენი**. მ.ბერიძის ცნობით, „გლავეინთგან წარმოიშვა განშტოებები: **პაპიენი, გულიენი, ბესვიენი (ბესოონი), ლაზარიენი**“ (ბერიძე, 2012: 22). კიკოლიენთგან არიან **როსტომიენი** და **სამსონიენი**. სამსონიენი ზველში აღარ ცხოვრობენ. „სამსონიენტ ბიჭებს“ ეძახიან ასპინძაში მცხოვრებ სამ ძმას – სამსონიენის შთამომავლებს. ჭობარელ ზედგინიძეებს „გალავარების“ და „თომიენის“ სახელით მოიხსენიებენ.

ამ შტოგვარებში რამდენიმეს სიახლოვეზე ამახვილებენ ყურადღებას ინფორმატორები, მათი თქმით, საგანაყოფო როდინი ჰქონიათ, რომელსაც მათიენი და კუჭვიენი ფლობდნენ. „კუჭვიენი ნადი განაყრები იყვნენ ზედგინიძეებისა, ემხროდა მათიენტ, მისვლა-მოსვლა გვექონდა.“ რაც შეეხება გაბრიელიენტ, ისინი უკვე „მათიენტ განაყრებია, მათიენტ შთამომავალნი.“ მათიენი ამაყობენ იმით, რომ მათმა წინაპარმა, მღვდელმა **ქრისტესია ზედგინიძემ**, ხვილიშაში აკურთხა ერეკლე მეფის ჯარი ასპინძის ბრძოლის წინ. მიუთითებენ, რომ ქრისტესია მღვდლის შვილიშვილი ცოლთან ერთად ზველის წმინდა გიორგის ეკლესიაში არის დასაფლავებული. შტოგვარმა **მათიენი** სახელწოდება მიიღო საკუთარი სახელისაგან მათე, რომელიც ძველ ებრაულად ღვთის კაცს, ღვთის ნაჩუქარს ნიშნავს (ჭუმბურიძე, 1992: 128). პირსახელზე მიკუთვნებულობის -იან სუფიქსის დართვით მივიღეთ შტოგვარის სახელი მათიენი (< მათეენი < მათე-ან-ი> მათე-იან-ი).

ყველაზე დიდი შტოგვარი ზედგინიძეებში **გლავეინია**, იგივე „მთავრიენი“, რომელსაც თავის მხრივ ახალი განშტოებებისთვის მიუცია დასაბამი. სწორედ გლავეინთგან მომდინარეობს: პაპიენი, გულიენი, ბესვიენი და ლაზარიენი. მათი სათავის დამდეგი –

გლავა – სოფლის თავი უნდა ყოფილიყო (იხ. ივანიძეები, 2007: 84). შდრ. глава, главы– მეთაური, უფროსი (კანკავა, 1977: 100). გლავეინთ წინაპარს გიორგი რქმევია (ბერიძე, 2012: 22). სავარაუდებელია, რომ გლავეინთ განაყრებს პაპიმ, გულომ, ბესომ და ლაზარემ „დაუტოვეს“ სახელები.

პაპიენი: პაპი პაპისას, პაპუნას შემოკლებული ფორმაა, ნათესაური ურთიერთობის გამომხატველი. ჯერ კიდევ მე-16 საუკუნეში „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ მიხედვით, ზველში დოკუმენტირებულია ხუთი პაპუნა: აღდგომელას შვილთაშვილი, იასასძე, გულასძე, ბიძინას ძმა და მამისახელის გარეშე მოხსენებული პაპუნა (ჯიქია, 1941: 132).გასაკვირი არაა, რომ მომდევნო საუკუნეებშიც სახელი პაპუნა (პაპი) ზველის მცხოვრებლებში აქტუალური ყოფილიყო.

გულიენი: ინფორმატორთა გადმოცემით, გულიენტ წარმომადგენელი იყო გულო არჩილაი. **გულ** კომპონენტი სპარსულად „ვარდის“ აღმნიშვნელია; ქართულში გაგრძელებული ყოფილა სპარსულიდან მომდინარე გულბაათ, გულდამ, გულდა, გულანდამ, გულანდარ სახით (ჭუმბურიძე, 1992: 106, 156). შემდგომში ქართულმა ანთროპონიმიკონმა გაითავისა სახელები: გულია, გულიკო, გულისა, გულისვარდი, გულსუნდა. აღლონტს დადასტურებული აქვს: გულა, გულაბერ, გულადი, გულბაათ, გულბადი... (დლონტი, 1967: 69).

ბესვიენი (< ბესოენი < ბესოანი): სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებულია, რომ *ო > ვე* საკმაოდ ხშირად იჩენს თავს ქართული ენის დიალექტებში (ჯორბენაძე, 1998: 165). მესხურისათვის ბუნებრივია გოგვიები (< გოგოები), მევერე (< მეორე). ანალოგიურ პროცესთან გვაქვს საქმე ბესვიენის (< ბესოენი) შემთხვევაში. ბესო ბესარიონის შემოკლებული ფორმაა, ბერძნულიდან მომდინარე სახელია და „ტყიან ადგილს, ტყისას“ აღნიშნავს. ზ.ჭუმბურიძეს ბესარიონის კინობით ფორმებად მითითებული აქვს: ბესა, ბესო, ბესიკი, ბესიკო (ჭუმბურიძე, 1992: 101).

ლაზარიენი (< ლაზარეენი < ლაზარე-ან-ი < ლაზარე-იან-ი): **ლაზარე** ელიაზარის სახეცვლილი ფორმაა. ზ. ჭუმბურიძე შენიშნავს, რომ ელიაზარ ძველ ებრაულად „ღვთის წყალობას, ღვთის შემწეობას“ ნიშნავს და ამ ფორმით ქართულში ნაკლებად გვხვდება (ჭუმბურიძე, 1992: 109). სახელი ელიაზარი დასტურდება ოჯახის უფროსად ხუთისაუკუნისწინანდელ ზველში; „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“ მითითებულია მისი ძე – ოქრო (ჯიქია, 1941: 132).

გაბრიელიენი (< გაბრიელი-იან-ი): გაბრიელი ძველებრაულიდან მოდის და სიტყვა-სიტყვით ნიშნავს: „ჩემი ძალა ღმერთია“. მისი შემოკლებული და მოფერებითი ფორმებია: გაბრო, გაბო, გაბილა. ამათგან წარმოქმნილი გვარებია: გაბრიელაშვილი, გაბრუაშვილი, გაბრაშვილი, გაბრიაძე, გაბოძე, გაბოშვილი, გაბიაშვილი, გაბიანი, გაბლიანი, გაბლიშვილი, გაბილაია, გაბელაია, გაბელია (ჭუმბურიძე, 1992: 103). გაბრიელიძეები და გაბუაძეები ამჟამად ასპინძის მუნიციპალიტეტში არ არიან, მაგრამ გაბრიელი, გაბრო და გაბო პირსახელებად დასტურდება. ტოპონიმებში კი შემორჩენილია: გაბოს სათიბი, გაბობიანგები (მ.ბერიძე, 2011: 197).

ძველებრაული სახელი უდევს საფუძვლად **იორდანიენტ** შტოგვარს, რაც „მდინარეს, მდინარებას“ აღნიშნავს. აქედანაა ნაწარმოები ქართული გვარები: იორდანიშვილი, ჟორდანია (< იორდანია) (ჭუმბურიძე, 1992: 120).

ზედგინიძეთა ერთი შტოს სახელი – **დიაკნიენი** მიგვანიშნებს, რომ მათი წინაპარი ეკლესიის მსახურიუნდა ყოფილიყო. აღნიშნული თანამდებობის სახელი 1595 წლის მონაცემებით პირსახელად გვევლინება ხერთვისსა და ჩუნჩხელში: **დიაკონ** მოსესძე (ჯიქია, 1941: 171) და **დიაკონა** ძმა მისი (იქვე, გვ.177).

კუჭვიენი: მეტსახელიდან მოდის, რომელსაც საფუძვლად უდევს **კუჭა/კუჭია**. კუჭია იმერულში „ღორმუცელაა“, კუჭიტარი აჭარულში – „სულსწრაფი, სულწასული, ფიცხი, მოუსვენარი“ (დლონტი, 1984: 319). ჯავახურში „კუჭი! კუჭო! – მიაღერსებით, მოფერებით მიმართვა ვინმესადმი, უმეტესად

ბავშვისადმი“(ზედგინიძე, 2014: 174); გეკუჭუნე „გენაცვალეს“ აღნიშნავს მესხურში. შდრ. „შენი კუჭისა!“ (იჭავჭავაძის „კაცია ადამიანი“).

„ჩვენ გვაქვს საშუალება, განაყოფთა ზოგიერთი მეთაური დავაფიქსიროთ ისტორიულად,— წერს მ.ბერიძე,— 1886 წლის აღწერის მიხედვით, ოჯახის უფროსები არიან: ტროფიძე (ტროფიძენი), გაბრიელი (გაბრიელიენი) და ორი გიორგი. ერთ-ერთი განაყოფის მეთაურია „გლავა“, ამ ორი გიორგიდან გლავიენტ განაყოფის უფროსი. ამავე აღწერაში არა ოჯახის უფროსად, მაგრამ უფროს თაობაში დასახელებული არიან მათე (მათიენტ საგანაყოფოს სათავის დამდები) და ანდრო (ეტიყობა ეს იყო ყარა ანდრო)“ (ბერიძე, 2012: 22).

ამრიგად, შტოგვარი სათანადო იურიდიული დოკუმენტით გაფორმებული არაა, მაგრამ ხალხის მეხსიერება შთამომავლობას გადასცემს გვარის შიგნით უფრო მჭიდრო ნათესაური ურთიერთობის დამდების სახელს, რომელიც შესაძლებელია მომდინარეობდეს მეტსახელისგან. როგორც ვხედავთ, ზედგინიძეთა შტოგვარებშიმეტსახელის კვალი ატყვია: გლავიენს, ყარანდვრიენს, მაყვლიენს და კუჭვიენს, დანარჩენებს პირსახელები უდევს საფუძვლად.

ზველის ზედგინიძეთა შთამომავლები დღეს ცხოვრობენ ასპინძაში, ახალციხეში, გარდაბანში (სოფ. გამარჯვება), აბასთუმანში, გორში, რუსთავსა და თბილისში. ყოველი წლის 12 ნოემბერს იოთამ ზედგინიძის სახელობის ტაძარსა და შიომღვიმის მონასტერში ღოცვას აღავლენენ წმინდა იოთამის სულის მოსახსენებლად და ზედგინიძეთა დღეგრძელობისათვის ამ გვარის მატარებელნი.

საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში ადგილების ნომინაცია გვარისა და გვარის განაყოფთა სახელების მიხედვით ჩვეულებრივი ფაქტია. ზველის ტოპონიმიაშიც აისახა ზედგინიძეთა გვარის განაყოფთა სახელები. ასეთია, მაგალითად, იორდანიენტ მხარე (იორდანიენტ უბანი), კიკოლიენტ წყარო, გლავიენტ ყანა, თომიენტ ბაღები, ყარანდვრიენტ ავაზნები, ტროფინიენტ ბაღები, მათიენტ კალო და ა.შ.

ძირითადი დასკვნები

1. ასპინძის მუნიციპალიტეტის ანთროპონიმულმა კვლევამ ცხადყო, რომ ადამიანთა საკუთარი სახელები მსოფლიოში ყველაზე „თავისუფლად მოგზაური“ ლექსიკური ერთეულებია, რომლებიც იმკვიდრებენ ან ვერ იმკვიდრებენ ადგილს ახალ ენობრივ გარემოში, ეთვისებიან ადგილობრივ ანთროპონიმკონს ან იცვლიან სახეს.

2. დროის ცვალებადობა ადამიანთა სახელდებასაც კვალს ამჩნევს, იცვლება ადამიანთა გემოვნება და დამოკიდებულება ანთროპონიმებისადმი. ასპინძის მუნიციპალიტეტში შეიმჩნევა ტენდენცია ქრისტიანული სახელების დარქმევისა. მომრავლდნენ: ილია, ლუკა, იოანე, ალექსანდრე, თომა, მათე, საბა, დემეტრე, მარიამი, ანა, თეკლა, ელენე, ბარბარე, ნიკოლოზი... შეინიშნება სახელთა სრული ფორმით დამკვიდრება (გიორგი და არა: გიო, ანასტასია და არა: ანა, დემეტრე და არა: დიტო/დიმა, ელენე და არა: ლენა, ანდრია და არა: ანდრო...); დავიწყებას მიეცა კომუნისტური სახელები (მელორი, მარლენი, დაზმირი...), გაქრა მესხურისათვის დამახასიათებელი: თუთა, ფოფალა, თეთრა, ერმონე, მაგდანა, საბედა, ქიტესა, იავორა.

3. ასპინძის მუნიციპალიტეტში ცნობილი იყო შვილის ე.წ. ყიდვა-გაყიდვის რიტუალი. ინფორმატორთა ცნობით, ოჯახში, სადაც ბავშვი ვერ ცოცხლობდა, ახალდაბადებულს დროებით მიაბარებდნენ ახლობელს, ან მეზობელს, მერე „გამოსასყიდს“ უბოძებდნენ და ისე მიჰყავდათ საკუთარ კერაზე. ანალოგიური შინაარსისაა სხვის (მეზობლის, ნათესავის...) სახვევებში ჩვილის გამოსხვევა და გაზრდა. ამ რიტუალმა სახელდებაშიც პოვა გამოსხმაურება: ნასყიდა შეერქმეოდა პატარას, რომელიც მეზობლისგან, ან ახლობლისგან იყო „გამოსყიდული“.

4. საქართველოს მთიანი რეგიონების, ასევე სამეგრელოსა და აფხაზეთის მსგავსად, მესხეთშიც იყო გავრცელებული **სახელთა ტაბუ** (რძალი ოჯახის უფროსების სახელს არ ახსენებდა; მუღს „ქალოს“ ან „ჩემო მუღოს“ ეძახდა, მაზღს „ჩემო მაზლოთი“ მიმართავდა. ხანდაზმული ცოლი ქმარს გარდაცვალების შემდეგაც სახელით არ მოიხსენიებდა – „ჩემი მოხუცი“). სამცხეში გავრცელებული სახელთა ტაბუ ოჯახის წევრების მიმართ **კვაზიონიმებია**, რომელსაც დეპენდენტი საკუთრივ ანთროპონიმის ნაცვლად იყენებს.

5. XVI საუკუნის სამხრეთ საქართველოში ფიქსირებული გვარებიდან: (ამილახორიშვილი, ამატაკისშვილი, ასპანიძე, ბედანისშვილი, ბოსტოდანიშვილი, გოგორიშვილი, დიასამიძე, დოღენჯიშვილი, გოგობასშვილი, ვარაზიშვილი, იოთამიშვილი, რჩეულაშვილი, სავანლიშვილი, უსტაჯალუანი, ხურსისძე,

შალიკაშვილი, ქუელისძე, ლასურისძე, სლესარი, კავკასისძე, კოპასძე, ფანასკერტელი; ბერისძე, გიორგაძე, გურგენიძე...) ხუთი საუკუნის შემდეგ ზოგი გვარსახელი დღესაც დასტურდება ასპინძის მუნიციპალიტეტში (ასპანიძე, დიასამიძე, გიორგაძე, ბერიძე, გურგენიძე), ზოგიც ტოპონიმში ცოცხლობს (გოგორიშვილის ჭალა - მ.ბერიძე).

6. სამცხე-ჯავახეთის ისტორიულ დოკუმენტებში გამოიკვეთა, რომ მიუხედავად კალენდარული სახელების, ბერძნული, ებრაული, სომხური, სპარსული, თურქული, არაბული, სკვითური წარმოშობის სახელების დამკვიდრებისა, **საკუთრივ ქართული წარმოშობის ანთროპონიმები** (აღდგომელა, ბერი, ბიძისა, გალობელა, გელიტა, გულია, გულისა, თვალშეენიერი, თაყა, ირემა, კაკალა, ლონდარა, მხეჭაბუკი, მხეიქალი, ლომგული, ლომიზგული, მამისა, მამუკა, სულია, ნათენა...) **დავიწყებას არ მისცემია.**

7. „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“ ასპინძის მოსახლეობის დოკუმენტირებულმა ზოგიერთმა პირსახელმა გვარსახელსა და მეტგვარში გადმონაცვლა. ამის საფუძველზე გვაქვს: ლონდარიძე < ლონდარა/ლომდარა, დათაშვილი/დათათი < დათა, მაზაშვილი/მაზათი < მაზა, მამუკაშვილი < მამუკა, ბალიაშვილი < ბალია, ველიჯანაშვილი/ ვენჯალიენი < ველიჯან, მურადაშვილი /მურადიენი < მურადი.

8. სამხრეთ საქართველოს ისტორიულ წყაროებში დადასტურდა ანთროპონიმთა 24 მაწარმოებელი (-ა, -ია, -აღ/-აღ-ა, -ათა, -აბ-ა, -აცა, -ეკ-ა, -ელ/-ელ-ა, -ენ-ა, -ეც-ა, -იკ/-კ-ა, -ინ-ა, -ის-ა, -იტ-ა, -იხ/-იხ-ა, -ო, -უ, -უა, -უკ-ა, -ულ-ა, -უნ-ა, -ურ-ა, -უტ-ა, -უჩ-ა), რომელთა დიდი ნაწილი დღესაც აქტუალურია.

9. ისტორიულმა მასალებმა ნათელყო სამხრეთ საქართველოში გავრცელებული **-შიღლ-ი, -ძე, -იან-ი, -არ-ი, -ელ-ი** სუფიქსებით გაფორმებული მემკვიდრეობითი სახელები (თაქთირისძე, ამატაკიანი, ავალიშვილი, ანძაველი, სლესარი...). ამჟამად გვარსახელთა მხოლოდ -შიღლ-ი და -ძე მაწარმოებელია აქტუალური ასპინძის მუნიციპალიტეტში, -ელ და -იან სუფიქსები XIX-XX საუკუნეშიც დასტურდება გამაჰმადიანებული ქართველების მემკვიდრეობით სახელებში (მაჩაბელი, თამაზიანი, ისპირიანი, პაწაკიანი, ორბელიანი), -არ გვარ-წოდების სუფიქსი (ხერთვისარი, ღობიარი) კი დიდი ხანია ისტორიას ჩაბარდა.

10. საქართველოში მრავალსახელიანობა ფაქტია. ოსმალთა მოხელეების აღწერილ სოფლებში ორსახელიანობა დასტურდება სოფელ ხიზაბაგრაში (პაპუნა-ირაკლი), „მესხურ ქრონიკებში“ ორსახელიანობის მაგალითებია: ბეჟაი-პაველე, საბა-იანქო, „თოფქაფის სასახლის არქივში“ დაფიქსირდა ყვარყვარე-ყანდურადი. ბოლო წლებში საქართველოში მომრავლებული **ანთროპონიმული**

მოდელები (ანა-მარია...) ფორმით ორსახელიანობის გამოსატყულებაა, როგორც ტოლადშერწყმული სახელები, მაგრამ ფუნქციური დატვირთვა განსხვავებული აქვთ: ერთიანად მიემართება დენოტატს, თანადროულია, არ განარჩევს ძირითადსა და დამატებით სახელს.

11. მეტსახელების მაწარმოებელთაგან განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს -ე (გიჟ-ე, დოღ-ე, დოჟ-ე, ზოდ-ე, თავ-ე, ნარ-ე, ნაფ-ე, პაც-ე, ტატლ-ე, ტრუს-ე, ყყყ-ე, ყყჯ-ე, ჭიკ-ე...), რომელიც ქართული ენის სხვა დიალექტებისაგან განსხვავებით, სამცხურში ისტორიულად არ ჩანს პირსახელების, ტოპონიმებისა და საზოგადო სახელების სუფიქსად, ამიტომ შემდეგდროინდელი პროდუქტია.

12. საყურადღებოა ასპინძის მუნიციპალიტეტში დამკვიდრებული სადაურობის მიმანიშნებელი -ულა/-ურა მაწარმოებლით გაფორმებული მეტსახელები, რომლებიც გათხოვილ ქალთა მშობლიური სოფლის ან მუნიციპალიტეტის სახელიდან მომდინარეობს: ტობულა („ტობადან გამოთხოვილი“), როკეთულა, ჩუნჩული, ქუნცულა. ამის შესახებ მბერიძე წერს: „ადამიანის წარმომავლობას აღნიშნავს -ურ მესხურ-ჯავახურში, ოღონდ -ურ-ს ჩვეულებრივ -ა-ც ერთვის და გახაზავს მხოლოდ ქალის სადაურობას, გამოთხოვილის მამულის მოხსენიებისას. ასეთი წარმოება თანდათან უფრო იშვიათად გვხვდება. მას მთლიანად ცვლის: ერკოტ-ელ-ი, ვარგაე-ელ-ი...“. როგორც ვხედავთ, -ურა/-ულა აფიქსი ასპინძის მუნიციპალიტეტში სიცოცხლისუნარიანია: ასპინძულა, ჭობარულა, მეგრულა, ზველულა, ქუნცულა, ერკოტულა... სხვა დიალექტებისაგან განსხვავებით, აღნიშნული სუფიქსი მესხურში გვარებსა და შტოგვარებს არ დაერთვის და ჩვენს ხელთ არსებულ მასალაში არ გვაქვს ნადირაული, გიორგაული, ბერიული, ივანაური და ა.შ.

13. მეტსახელი რომ გვართა ჩამოყალიბების ერთ-ერთი საშუალებაა, ამას ნაშრომში განხილული მაჰმადიანთა გვარსახელებიც მოწმობს (არივაძე, ბახჩაჯიშვილი, ბაჯაჯიშვილი, დრიგოშვილი // დრინგოშვილი, ზოდოშვილი, თაფლაშვილი, თეთრაშვილი // თეთრაძე, თოფალიშვილი, კორობაშვილი, კუტმამაშვილი...). მაჰმადიანი მოსახლეობის გასახლებასთან ერთად ასპინძის მუნიციპალიტეტში 100-ზე მეტი გვარი გაქრა, მათ შორისაა მეტსახელიდან მომდინარე გვარები (35 გვარსახელი). სამწუხაროა, რომ მემკვიდრეობითი სახელები, რომლებმაც ჩვენ თვალწინ გააცოცხლეს მივიწყებული ლექსიკური ერთეულები (კორო, ხოკი, ჭეჭელა, ჩეგერა, ბითა, მასო, ზოდე...) დღეს აღარ გვხვდება. ისტორიის ქარიშხალმა მათ დავიწყების ფერფლი მიაყარა.

14. მაჰმადიანი მოსახლეობის გვარსახელებში ერთმანეთის პარალელურად გვხვდება-შვილი, -ელ და -ოვ სუფიქსები (დევრიშოვი, პაწაკიძე / პაწაკიშვილი,

ბეკიროვი, ზუბალაშვილი / ზუბალოვი, მაჩაბელი / მაჩაბელოვი, ფალავანდი-
შვილი / ფალავანდოვი, ხიდირბეგიშვილი / ხიდირბეგოვი). -**ოვ** სუფიქსი რუსული
მმართველობის ზეგავლენის შედეგია, როცა ხელოვნურად ამახინჯებდნენ
ქართულ გვარებს.

15. „გვარის განაყოფთა სახელები საკმაოდ ტრადიციულია სამცხეში“
(ს.მელიქიძე). შტოგვართა სახელები ძირითადად მომდინარეობს ეპონიმებზე
(საკუთრივ ანთროპონიმებსა და მეტსახელებზე) სხვადასხვა ფორმანტის დართ-
ვით. გვარის განაყოფთა სახელი მეტსახელის მსგავსად გარკვეულ ინფორმაციას
გვაწვდის და მიგვანიშნებს, ვინ ჰყავდათ ამ ოჯახებს წინაპარი. ასპინძის
მუნიციპალიტეტში **გვარის განაყრების განაყრებიც** დასტურდება.

16. ქართულ ანთროპონიმიაში თურქიზმები გვხვდება როგორც პირის
სახელად, ასევე პატრონიმის ფუძეში (მ.ჯიქია), ანალოგიურად აიახება
შტოგვარის სახელწოდებებშიც. ზოგჯერ ერთმანეთის გვერდით დასტურდება
როგორც საკუთრივ ქართული, ისე თურქულენოვანი სახელი. მაშასადამე,
ორენოვნება ფაქტია ასპინძის მუნიციპალიტეტის შტოგვარებში.

17. ასპინძის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის გვარის განაყოფთა სახელების
კვლევამ დაადასტურა, რომ შტოგვარის ფუძეზე -იან სუფიქსის დართვა
გვაძლევს რამდენიმე სახეობას: -**აან-ი, -იენ-ი, -ეენ-ი, -ოონ-ი, -ვიენ-ი, -უან-ი.**
როდესაც სურთ მიგვანიშნონ შტოგვარის წარმომადგენელზე, განაყოფთა
სახელს „თანს“ უმატებენ, მაშასადამე, გვაქვს -**აანთ, -იენტ,- ეენტ, -ოონთ, -
ვიენტ, -უანთ** რთული სუფიქსები.

ამჟამად ხიზაბავრაში გვარის განაყართა სახელებად გვერდიგვერდ
დაფიქსირებული **ჯეჯიმათი, ქაჩლიენთი, დომინეთი, კანკროთი, კალაიჯიენთი,
თათრიენთი, კელთი, თაქუნათი...** მიგვანიშნებს, რომ „-თ სუფიქსიანი
მეტგვარები“ (მ.ქუჩიშვილი) ზემოდასახელებულ რთულ სუფიქსთა (-აანთ/-იენტ...)
გამარტივებული სახეა: -ათ < აანთ, -ეთ < -ეენტ, -ოთ < -ოონთ.

18. საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში ადგილების ნომინაცია გვარისა
და გვარის განაყოფთა სახელების მიხედვით ჩვეულებრივი ფაქტია. ასპინძის
ტოპონიმიაშიც აისახა შტოგვარის სახელები და გვარსახელები, რომლებიც
ადასტურებენ, რომ ამ ადგილებში გარკვეული გვარისა და შტოგვარის
მატარებელნი ცხოვრობდნენ ან საქმიანობდნენ (დევრიშოვთა წისქვილები,
აბაშიძეების ციხე, თომიენტ ბაღები, მათიენტ კალო, შაპაანთ დარბაზი...).

კვლევამ დაადასტურა, რომ **სახელდება შერჩევითი პროცესია და არა
შემთხვევითი.** ადამიანთა საკუთარი სახელების შესწავლა ისტორიაში
მოგზაურობას ჰგავს, სახელის შემოქმედთა და ამ სახელის მატარებელთა

გვერდით ფუსფუსს; ხედები – როგორ ცხოვრობდნენ, რა ამოქრავებდათ, რით სუნთქავდნენ, რას ითვალისწინებდნენ, როგორ აზროვნებდნენ.

დამოწმებული ლიტერატურა

აბულაძე, 1983 – ც.აბულაძე, თურქული წყაროები XVIIს. I მეოთხედის სამცხე-საათაბაგოს ისტორიისათვის, თურქული დოკუმენტები ქართული თარგმანით, გამოკვლევებითა და შენიშვნებით, თბილისი, 1983.

ანდრონიკაშვილი, 1966 – მ.ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობებიდან, თბილისი, 1966.

ა.რ.ა. ფონდი №215, საქმე 1-80 – ახალციხის რაიონული არქივი.

ასრათოვ-ომარაშვილი, 2007 – ა.ასრათოვ-ომარაშვილი, საინგილოს გვარსახელთა ზოგი საკითხი, კრებული „ქართველური ონომასტიკა“, III, თბილისი, 2007.

ახუაშვილი, 1994 – ი.ახუაშვილი, ქართული გვარ-სახელები, მასალები ქართული გვარების ისტორიისათვის, I, თბილისი, 1994.

ბაგრატიონი, 1997 – ი.ბაგრატიონი, შემოკლებითი აღწერა საქართველოს შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა: მასალა ისტორიისათვის. თბილისი, 1997.

ბარათაშვილი – კ.ბარათაშვილი, მაჰმადიანი მესხების ქართული გვარები, თბილისი, 1997.

ბერიძე, 1981 – გ.ბერიძე, ჯავახური დიალექტის სალექსიკონო მასალა, თბილისი, 1981.

ბერიძე, 1992 – მ.ბერიძე, ჯავახეთი (ტოპონიმიკური ანალიზი), თბილისი, 1992.

ბერიძე, 2005-1 – ბერიძე მარინე, პირდაპირი რეპორტაჟები წარსულიდან (მესხეთი და მესხები, 1918-1944 წწ.), თბილისი, 2005.

ბერიძე, 2005-2 – ბერიძე მერაბ, მებადურობა, თევზები, სახელები, ახალციხე, 2005.

ბერიძე, 2008 – მ.ბერიძე, მესხეთის ტოპონიმთა სტრუქტურისა და სემანტიკისათვის, თბილისი, 2008.

ბერიძე, 2009-1– მ. ბერიძე, მაჰმადიანი მესხების ფესვები და დღევანდლობა, 2009.

ბერიძე, 2009-2 –მ.ბერიძე, ზოგი საკუთარი სახელის შესახებ „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“, კუპრა, კრებული „გულანი“, 4(8), ახალციხე, 2009.

ბერიძე, 2010 – მ.ბერიძე, ტაძრები და სახელები, თბილისი, 2010.

ბერიძე, 2011 – მ.ბერიძე, სოფლები და ნასოფლარები მოგვიტოვებენ, თბილისი, 2011.

ბერიძე, 2012 – მ.ბერიძე, ზველი და მისი შემოგარენი, ერთი სოფლის ტოპონიმია(1), ახალციხე, 2012.

ბერიძე, 2013 – მ.ბერიძე, ნასოფლარი ერკოტა, ერთი სოფლის ტოპონიმია (2), ახალციხე, 2013.

ბერიძე, 2015 – მ.ბერიძე, ახალი ლექსიკონი ჯავახურ დიალექტზე, რეცენზია, „ლიტერატურული მესხეთი“, №3(195), 2015.

ბერძენიშვილი, 1985 – დ.ბერძენიშვილი, ჯავახეთის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, V, თბილისი, 1985.

ბერძენიშვილი, 1990 – ნ.ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტბილისი, 1990.

ბლუაშვილი, 2013 – უ.ბლუაშვილი, სამხრეთ საქართველოდან მაჰმადიანი მოსახლეობის გასახლების მოტივაციის საკითხისათვის, კრებული „დეპორტირებული მესხები – წარსული და დღევანდელი“, საერთაშორისო სამეცნიერო-თემატურ კონფერენციაზე წაკითხული მოხსენებები, 17-18 მაისი, 2013 წელი.

ბოჭორიძე, 1992 – გ.ბოჭორიძე, მოგზაურობა სამცხე-ჯავახეთში, თბილისი, 1992.

გაგულაშვილი, 1993 – ი.გაგულაშვილი, ქართული გვარები, ძირითადი ლექსიკური ფონდი; საკუთარი სახელები, ებრაულ საკუთარ სახელთა მცირე ლექსიკონი, ქუთაისი, 1993.

გამსახურდია, 1991 – ზ.გამსახურდია, სახისმეტყველება ვეფხისტყაოსანში, თბილისი, 1991.

გაფრინდაშვილი, 1964 – გ.გაფრინდაშვილი, ისტორიული ჯავახეთის გამოქვაბულები, კრ.: ძეგლის მეგობარი, 3, თბილისი, 1964.

გაფუროვი, 1971 – Гафуров А., Лев и Кипарис, О в о с т о ч н ы х и м е н а х , М о с к в а , 1971.

გაჩეჩილაძე, 1972 – რ.გაჩეჩილაძე, კრებული „მომომხილვევი“, ქართული მოსახლეობა თანამედროვე თურქეთში, 6-9, თბილისი, 1972.

გელაშვილი, 2015 – ხ.გელაშვილი, ზოგი რამ 1944 წელს სამცხე-ჯავახეთიდან დეპორტირებულ მაჰმადიან მესხთა შესახებ; გაზეთი „ლიტერატურული მესხეთი“, №9 (201), 2015.

გოგოლაური, 2007 – რ.გოგოლაური, სამცხე-ჯავახეთი XVIII საუკუნის უკანასკნელ მესამედში, ახალციხე, 2007.

გოგოლაური, 2014 – რ.გოგოლაური, ზედგინიძეთა გვარის ისტორიდან, კრებული „გულანი“ (14), ახალციხე, 2014.

გოდერძიშვილი, 1990 – ქ.გოდერძიშვილი, პირის საკუთარი სახელი ქართულ მხატვრულ თხზულებებში (V ს-დან XX ს-ის 30-იან წლებამდე), დისერტაცია, 1990.

გოდერძიშვილი, 2004 – ქ.გოდერძიშვილი, ტერმინ „გვარსახელის“ დაზუსტებისათვის, კებული „ქართველური ონომასტიკა“, II, 2004.

გოდერძიშვილი, 2012 – ქ.გოდერძიშვილი, ქართველური ანთროპონიმიკის ძირითადი საკითხები, თბილისი, 2012.

გურგენიძე, ჯიქია, 1994 – ნ.გურგენიძე, მ.ჯიქია, თურქული წარმომავლობის ანთროპონიმები ქართულში, თბილისი, 1994.

დემურხანაშვილი, 1968 – ს. დემურხანაშვილი, წერილები ჩემი სოფლიდან, თბილისი, 1968.

ვარსკნელიძე, 2000 – ი.ვარსკნელიძე, ჩვენი ფესვები მესხეთის მიწაში..., თბილისი, 2000.

ვაჟა-ფშაველა, 1990 – ვაჟა-ფშაველა, პოემები, თბილისი, 1990.

ვანზაძე, 2005 – დეპორტირებული მესხი ქალის ნაზირას წიგნი, თბილისი, 2005.

ვახუშტი, 1973 – ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსი, ქართლის ცხოვრება, IV, ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს.ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი, 1973.

ზაზაძე, 2015 – ე.ზაზაძე, ზოგი რამ სოფელ იდუმალის შესახებ, გაზეთი „ლიტერატურული მესხეთი“, №9, 2015.

ზედგინიძე, 2014 – გ.ზედგინიძე, ჯავახური ლექსიკონი, თბილისი, 2014.

ზედგინიძე, 2017 – ნ.ზედგინიძე, საერთაშორისო და ეროვნული ონიმური ტერმინოლოგია, სამაგისტრო ნაშრომი, ახალციხე, 2017.

თოფჩიშვილი, 1997 – რ.თოფჩიშვილი, როდის წარმოიქმნა ქართული გვარსახელები, თბილისი, 1997.

თოფჩიშვილი 2005 – ქართული გვარსახელები, ეთნოისტორიული ეტიუდები, I, თბილისი, 2005.

თოფჩიშვილი, 2010 – რ. თოფჩიშვილი, სახელების ეთნოლოგია და ისტორია, მსოფლიოს ხალხთა ანთროპონიმული სისტემები, თბილისი, 2010.

თოფჩიშვილი, 2011 – რ.თოფჩიშვილი, საქართველოს თავად-აზნაურთა გვარების ისტორია, თბილისი, 2011.

თოფჩიშვილი, 2013 – რ.თოფჩიშვილი, სამცხე-ჯავახეთის ეთნიკური ისტორიიდან, თბილისი, 2013.

ივანიძე... 2007 – გ.ივანიძე, მ.ივანიძე, ურავლის ხეობა (ისტორიულ-ეთნოგრაფიული მიმოხილვა), თბილისი, 2007.

ივანიძე... 2008 – გ.ივანიძე, მ.ივანიძე, ბრძოლა მესხეთისათვის (1917-1921), თბილისი, 2008.

იველაშვილი, 2004 – თ.იველაშვილი, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის ეთნო-სოციალური დახასიათება „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ მიხედვით, ანალები, 2004, №1.

იველაშვილი, 2015 – ეთნიკური უმცირესობები სამცხე-ჯავახეთში, სსიპ შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდი, თბილისი, 2015.

იველაშვილი, 2016 – თ.იველაშვილი, შალიკაშვილების ჯვართამაღლების ეკლესია ქალაქ ახალციხეში; გაზეთი „ლიტერატურული მესხეთი“, №4 (208), 2016.

ინანიშვილი, 1986 – რ. ინანიშვილი, ალერსი შიშიანობის დროს, მოთხრობები, თბილისი, 1986.

კანკავა, 1977 – რუსულ-ქართული ლექსიკონი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისათვის, შემდგენელი მ.კანკავა, თბილისი, 1977.

კაჭკაჭიშვილი-ბერიძე, 2016 – მ.კაჭკაჭიშვილი-ბერიძე, მონატრებული კონტაქტები, გაზეთი „ლიტერატურული მესხეთი“, №8 (213), 2016.

კემულარია, 2007 – მ.კემულარია, სინონიმურ ტოპონიმთა მოტივაციის საკითხისათვის, კრებული „ქართველური ონომასტიკა“, III, თბილისი, 2007.

კეკუა, 2017 – ს.კეკუა, ოდიშ-აფხაზეთის ონომასტიკა ისტორიული საეკლესიო საბუთების მიხედვით, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, 2017.

კირვალიძე, 1989 – გ.კირვალიძე, საბჭოთა სამართალი, №7, 1989.

კობაიძე, 2010 – ლ.კობაიძე, ვალეში ნადირაძეთა გვარისათვის, უნივერსიტეტის 20 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია, პროგრამა და მასალები, ახალციხე, 2010.

კობაიძე, 2015-1 – ლ.კობაიძე, ვალის გვარსახელები, ახალციხე, 2015.

კობაიძე, 2015-2 – ლ.კობაიძე, მთიულთა გვარები მესხეთში, კრებული „გულანი“ (16), ახალციხე, 2015.

კოშორიძე, 2004 – ე.კოშორიძე, მეტსახელთა მოტივაციისა და წარმოების შესახებ გარეკახურში, კრებული „ქართველური ონომასტიკა“, II, 2004.

კოჟორიძე, 1987 – დ.კოჟორიძე, სამცხე-ჯავახეთი, წარსული და დღევანდელი, თბილისი, 1987.

- ლეონიძე, 1985** – გ.ლეონიძე, კრებული „პოეტის ატასი სტრიქონი“, თბილისი, 1985.
- ლომსაძე, 1995** – შ.ლომსაძე, მესხები, ახალციხური ქრონიკები, II, 1995.
- ლომსაძე, 2011** – შ.ლომსაძე, სამცხე-ჯავახეთი (XVIII საუკუნის შუაწლებიდან XIX საუკუნის შუაწლებამდე), ახალციხე, 2011.
- მაისურაძე, 1979** – ი.მაისურაძე, ქართული გვარსახელები (სემანტიკა, სტრუქტურა, ეტიმოლოგია), თბილისი, 1979.
- მაისურაძე, 1990** – ი.მაისურაძე, ქართული გვარსახელები, სალექსიკონო, ბიბლიოგრაფიული მასალები, თბილისი, 1990.
- მაკალათია, 1935** – ს.მაკალათია, ხევსურეთი, თბილისი, 1935.
- მაკალათია, 1938** – ს.მაკალათია, მესხეთ-ჯავახეთი, თბილისი, 1938.
- მარტიროსოვი, 1971** – არ. მარტიროსოვი, ქართული დიალექტოლოგიის ისტორიისათვის, თბილისი, 1972.
- მარტიროსოვი, 1984** – არ.მარტიროსოვი, ქართული ენის ჯავახური დიალექტი, გამოკვლევა და ტექსტები ლექსიკონითურთ, თბილისი, 1984.
- მაღრაძე, 2002** – ლ.მაღრაძე, ფრედერიკ დიუბუა დე მონპერეს ცნობები სამცხე-ჯავახეთის შესახებ; კრებული „ჯავახეთი, ისტორია და თანამედროვეობა“, I, ახალციხე, 2002.
- მაჰომეტოვი, 1999** – ა.მაჰომეტოვი, ცოლისა და ქმრის ერთმანეთისადმი მიმართვა ხინალუღურში, არნოლდ ჩიქობავას საკითხავები, X, მასალები, თბილისი, 1999.
- მელიქიძე, 1999** – ნ.მელიქიძე, პერსონიმი მიხეილ ჯავახიშვილის მოთხრობებში, რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენციის მასალები, V, ახალციხე, 1999.
- მელიქიძე, 2000** – ნ.მელიქიძე, ხიზაბავრის ანთროპონიმიიდან (მეტსახელები), თსუ ახალციხის ფილიალის „შრომების კრებული“, II, 2000.
- მელიქიძე, 2003** – ნ.მელიქიძე, აწყვიტის ტოპონიმიიდან, თსუ მესხეთის ფილიალი, ახალგაზრდა მეცნიერ-თანამშრომელთა შრომების კრებული, I, ახალციხე, 2003.
- მელიქიძე, 2005** – ს.მელიქიძე, ონომასტიკური ძიებანი, I, თბილისი, 2005.
- მელიქიძე, 2009** – ს.მელიქიძე, ონომასტიკური ძიებანი, II, თბილისი, 2009.
- მუსავეი..., 1987** – მოკლე აზერბაიჯანულ-ქართული ლექსიკონი საშუალო სკოლებისათვის, შემდგენლები: ა. მუსავეი, გ.თუშმალიშვილი, თბილისი, 1987.

ორბელიანი, 1991 – ს.ს. ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, I, ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკის საძიებელი დაურთო ილია აბულაძემ, თბილისი, 1991.

ორბელიანი, 1993 – ს.ს. ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, II, ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკის საძიებელი დაურთო ილია აბულაძემ, თბილისი, 1993.

პალ, 1991 – პირთა ანოტირებული ლექსიკონი, I, გამოსაცემად მოამზადეს: დ.კლდიაშვილმა, მ.სურგულაძემ, ე.ცაგარეიშვილმა, გ.ჯანდიერმა, ტომის რედაქტორი: მ.სურგულაძე, ჯ.ოდიშელი, თბილისი, 1991.

პალ, 1993 – პირთა ანოტირებული ლექსიკონი, II, გამოსაცემად მოამზადეს: დ.კლდიაშვილმა, მ.სურგულაძემ, ტომის რედაქტორი ე.ცაგარეიშვილი, თბილისი, 1993.

პალ, 2004 – პირთა ანოტირებული ლექსიკონი, III, XI-XVII სს. ქართული ისტორიული საბუთების მიხედვით, მასალები შეკრიბეს და გამოსაც. მოამზადეს: ა.ნაქრაძემ, ლ.რატვიანიმა, გ.ოთხმეზურმა, ტომი შეადგინს: დ.კლდიაშვილმა და მ.სურგულაძემ, ტომის რედაქტორი ზ.ალექსიძე, თბილისი, 2004.

პალ, 2007 – პირთა ანოტირებული ლექსიკონი, IV, XI-XVII სს. ქართული ისტორიული საბუთების მიხედვით, მასალები შეკრიბეს და გამოსაც. მოამზადეს: გ.ოთხმეზურმა, გ.მჭედლიძემ, მ.სურგულაძემ და სხვ. ტომი შეადგინეს და რედ.გაუკეთეს: მ.სურგულაძემ და დ.კლდიაშვილმა, თბილისი, 2007.

ჟორდანია, 1967 – თ.ჟორდანია, ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისათვის, III, თბილისი, 1967.

ჟორდანია, 1892 – თ.ჟორდანია, ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისათვის, I, თბილისი, 1892.

ჟორდანია, 1889 – თ.ჟორდანია, ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისათვის, II, თბილისი, 1889.

ჟღენტი, 1936 – ს.ჟღენტი, გურული კილო, თბილისი, 1936.

საითიძე, 2016 – გ.საითიძე, ღირსეული მამულიშვილი მამულიშვილთა შორის, გაზეთი „ლიტერატურული მესხეთი“, №6 (210), 2016.

საქ.სიძე, 1926 – საქართველოს სიძველენი, III, დამატება, ტფილისი, 1926.

სახლთხუციშვილი, 1997 – უ.სახლთხუციშვილი, ადგილის დედა ანუ რას მოგვითხრობენ ტოპონიმები, თბილისი, 1997.

სახლთხუციშვილი, 2004 – უ.სახლთხუციშვილი, ქალთა მეტსახელების წარმოებისათვის გარეკახურში, კრებული „ქართველური ონომასტიკა, II, თბილისი, 2004.

სვანიძე, 1971 – მ.სვანიძე, საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან XVI-XVII სს., თბილისი, 1971.

სილოგავა, 1994 – ვ.სილოგავა, კუმურდო, ტაძრის ეპიგრაფიკა, თბილისი, 1994.

სილოგავა 1997 – ვ.სილოგავა, ხეოთის ახალაღმოჩენილი წარწერები, კრებული „მესხეთი“, I, 1997.

სიმიწა, 1969 – Г.Я.Симина, Фамилия и прозвище, Ономастика, Москва, 1969.

სიხარულიძე, 1980 – ი.სიხარულიძე, მასალები სამცხის ისტორიული გეოგრაფიისათვის, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, II, 1980.

სუდაძე, 1998 – ნ.სუდაძე, სოციალური ვითარება და საგანმანათლებლო საკითხები XIX საუკუნის სამცხე-ჯავახეთში, თბილისი, 1998.

ს.ჯ.ი.მ.ფ. ხელნაწერი №100.

ს.ჯ.ი.მ.ფ. ხელნაწერი №1451.

ს.ჯ.ი.მ.ფ. ხელნაწერი №1082.

ტალახაძე, 1997 – ი.ტალახაძე, ვანის ქვაბთა მონასტრის მეურნეობა, კრებული „მესხეთი“, I, ახალციხე, 1997.

უშაკოვი, 1981 – Н.Н. Ушаков, В.Д. Васильева, Н.П. Ключева, О грамматических особенностях прозвищных имен, Ономастика и грамматика. изд. „Наука“, 1981.

ფირცხალავა, 2013-1 – ე.ფირცხალავა, მუსლიმი მესხები – ინტეგრაცია თუ სეპარაცია? ჟურნალი „თსუ მეცნიერება“, №4, 2013.

ფირცხალავა, 2013-2 – ე.ფირცხალავა, მუსლიმი მესხები – ინტეგრაცია თუ სეპარაცია; კრებული „დეპორტირებული მესხები – წარსული და დღევანდელი“, საერთაშორისო სამეცნიერო-თემატურ კონფერენციაზე წაკითხული მოხსენებები, 17-18 მაისი, 2013.

ფრონელი, 1991 – ა.ფრონელი, დიდებული მესხეთი, თბილისი, 1991.

ფუტკარაძე, 2013 – ტ.ფუტკარაძე, საქართველოს სახელმწიფოს პრობლემები თანამედროვე გეოპოლიტიკურ კონტექსტში და 1944 წელს მესხეთიდან დეპორტირებული მოსახლეობის შთამომავალთა რეპატრაციის საკითხი; კრებული „დეპორტირებული მესხები- წარსული და დღევანდელი“, საერთაშორისო სამეცნიერო-თემატურ კონფერენციაზე წაკითხული მოხსენებები, 17-18 მაისი, 2013.

ქამადაძე, 2007 – მ.ქამადაძე, აჭარაში გავრცელებული ზოგიერთი გვარსახელის წარმომავლობა-ეტიმოლოგიისათვის, კრებული „ქართველური ონომასტიკა“, III, თბილისი, 2007.

ქეგლ, 1986 – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული, თბილისი, 1986.

ქეგლ, 1950 – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, თბილისი, 1950.

ქეგლ, 1955 – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, IV, თბილისი, 1955.

ქსე, 1975 – ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, I, თბილისი, 1975.

ქსე, 1993 – ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, VI, თბილისი, 1993.

ქუქჩიშვილი, 1997 – ზ.ქუქჩიშვილი, ჯავახეთის სოფელ ხიზაბავრის ისტორიულ-ეთნოლოგიური საკითხები, კრებული: მესხეთი (საისტორიო კრებული), I, ახალციხე, 1997).

ქუქჩიშვილი, 2007 – მ.ქუქჩიშვილი, მეტეგართა წარმოებისათვის მესხურში (სოფელ ხიზაბავრის მაგალითზე), კრებული „ქართველური ონომასტიკა“, III, თბილისი, 2007.

ქუქჩიშვილი, 2016 – მ.ქუქჩიშვილი, მეტსახელისა და მეტეგარის სტრუქტურული და სემანტიკური თავისებურებანი სამცხურ-ჯავახურში (ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფ.ხიზაბავრის მაგალითზე), ქუთაისი, 2016.

ქც, II, 1959: – ქართლის ცხოვრება, II, თბილისი, 1959.

ქპ, 2011 – ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლები, ორიგინალური ტექსტები და თარგმანები ახალქართულად, მეორე გამოცემა, თბილისი, 2011.

ღლონტი, 1964 – ა.ღლონტი, ქართული ლექსიკოლოგია, თბილისი, 1964.

ღლონტი, 1967 - ა.ღლონტი, ქართველური საკუთარი სახელები, ანთროპონიმთა ლექსიკონი, თბილისი, 1967.

ღლონტი, 1971 – ა.ღლონტი, ტოპონიმიკური ძიებანი, თბილისი, 1971.

ღლონტი, 1984 – ა.ღლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, თბილისი, 1984.

ღლონტი, 1988 – ა.ღლონტი, ქართული ლექსიკოლოგიის საფუძვლები, თბილისი, 1988.

ღუტიძე, 2016 – ი.ღუტიძე, ქართველები თურქეთში, ენობრივი ვითარება, თბილისი, 2016.

ყავრელიშვილი, 2002 – 1918-1921 წლების საქართველოს ისტორიის თურქული ისტორიოგრაფია., სადისერტაციო მაცნე, 2002.

ყრუაშვილი, 2009 – ნ.ყრუაშვილი, სოფელი ხიზაბავრა, თბილისი, 2009.

ყრუაშვილი, 2013 – ნ.ყრუაშვილი, 1918-1919 წლების ეთნიკური კონფლიქტები სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის მოგონებებში; კრებული „დეპორტირებული მესხები – წარსული და დღევანდელი“, საერთაშორისო სამეცნიერო-თემატურ კონფერენციაზე წაკითხული მოხსენებები, 17-18 მაისი, 2013.

შამელაშვილი-ზექალაშვილი, 2007 – რ.შამელაშვილი-ზექალაშვილი, მეტსახელთა ნომინაციის საკითხისათვის ახალგაზრდულ მეტყველებაში, კრებული „ქართველური ონომასტიკა“, III, თბილისი 2007.

შანიძე, 1981 – ა.შანიძე, თხზულებანი თორმეტ ტომად, II, ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები, თბილისი, 1981.

შანიძე, 1980 – ა.შანიძე, თხზულებანი, III, თბილისი, 1980.

შარაშიძე, 1961 – ქრ.შარაშიძე, სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XV-XVI სს.), თბილისი, 1961.

შატბერაშვილი, 1901 – გ.შატბერაშვილი, სოფელი ტოლოში, „ივერია, 1901, №80.

შატბერაშვილი, 1964 – გ.შატბერაშვილი, ჭაშნიკი, 1964.

შოშიაშვილი, 1966 – ნ.შოშიაშვილი, თორელთა ფეოდალური სახლის ისტორია და შოთა რუსთაველი, კრ.შოთა რუსთაველი, თბილისი, 1966.

ჩიქობავა, 1938 – არნ.ჩიქობავა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბილისი, 1938.

ჩლაიძე, 2001 – თურქულ-ქართული ლექსიკონი, შემდგენელი ლ.ჩლაიძე, სტამბოლი, 2001.

ჩუბინაშვილი, 1974 – ნ.ჩუბინაშვილი, ჯავახეთის ადრე შუასაუკუნეების კამაროვანიარქიტექტურის ძეგლები, ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის XXV სამეცნიერო სესია, თბილისი, 1974.

ჩხეიძე, 2005 – ო.ჩხეიძე, გახლეჩილი რწმენა, თბილისი, 2005.

ჩხეიძე, 2007 – ო.ჩხეიძე, ჩვენი მესხები, კავკასიური სახლი, თბილისი, 2007.

ჩხეიძე, 2017 – რ.ჩხეიძე, ჟარგონი და მეტსახელი, და კიდევ ტოპონიმოკა და ხეთური სამყარო (ლინგვისტური რომანი), თბილისი, 2017.

ჩხიკვაძე, 2015 – ვ.ჩხიკვაძე, კუტი, ჟურნალი „ცისკარი“, 4, 2015.

ცისკარიშვილი, 1969 – ვ.ცისკარიშვილი, ჯავახეთის ეპიგრაფიკა, როგორც საისტორო წყარო, თბილისი, 1969.

ცხადაია, 2000 – პ.ცხადაია, გვარები და გვართა დასახლებანი სამეგრელოში, თბილისი, 2000.

ცხადაია, 2005 – პ.ცხადაია, ონომასტიკის შესავალი, თბილისი, 2005.

ცეცხლაძე, 2002 – ნ.ცეცხლაძე, შავშეთ-იმერხევის ტოპონიმია ენათა კონტაქტების ფონზე, ავტორეფერატი, თბილისი, 2002.

ძნელაძე, 2005 – რევაზ ძნელაძე, გურული დიალექტის ტოპონიმური სისტემა, თბილისი, 2005.

ჭავჭავაძე, 1987 – ი.ჭავჭავაძე, ოსმალის საქართველო, პუბლიცისტური წერილები, ტ.IV, თბილისი, 1987.

ჭილაშვილი, 1970 – ლ.ჭილაშვილი, ქალაქები ფეოდალურ საქართველოში, II, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, ს.ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, თბილისი, 1970.

ჭიჭინაძე, 1913 – ზ.ჭიჭინაძე, მუსულმან ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში, აღწერილი ზ.ჭიჭინაძისაგან, ტფილისი, 1913.

ჭოხონელიძე, 2007 – ნ.ჭოხონელიძე, მამაკაცთა საკუთრივ ქართული ანთროპონიმების სემანტიკური ჯგუფები XII-XVIII საუკუნეების ისტორიული მასალის მიხედვით, ქართველური ონომასტიკა, III, თბილისი, 2007.

ჭუმბურიძე, 1992 – ზ.ჭუმბურიძე, რა გქვია შენ? თბილისი, 1992.

ხორნაული, 2003 – გ.ხორნაული, ქართული ონომასტიკა, თბილისი, 2003.

ხორნაული, 2007 – გ.ხორნაული, შტოგვარი თუ გვარის ფესვი? კრ.ქართველური ონომასტიკა, III, 2007.

ხორნაული, 2010 – გ.ხორნაული, შვილთათვის დასარქმევი სახელები, თბილისი, 2010.

ხოსიტაშვილი, 1996 – ს.ხოსიტაშვილი, ხოსიტაშვილების გვარის ისტორიიდან, თბილისი, 1996.

ხუციშვილი, 1998 – მ.ხუციშვილი, ძველი აღთქმისეული ნაკადი „გიორგი მთაწმინდელის ცხოვრებაში“, თსუ ახალციხის ფილიალის შრომები, I, ახალციხე, 1998.

ჯავახიშვილი, 1965 – ი.ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, თბილისი, 1965.

ჯავახიშვილი, 1945 – ი.ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თბილისი, 1945.

ჯანიაშვილი, 2013 – ლ.ჯანიაშვილი, საქართველოში თურქთა ინფილტრაციის ისტორია და მესხეთიდან დეპორტირებულთა იდენტობის საკითხი სამეცნიერო ლიტერატურაში; კრებული „დეპორტირებული მესხები – წარსული და დღევანდელი“, საერთაშორისო სამეცნიერო-თემატურ კონფერენციაზე წაკითხული მოხსენებები, 17-18 მაისი, 2013.

ჯიქია, 1941 – ს.ჯიქია, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, წიგნი II, თარგმანი, თბილისი, 1941.

ჯიქია, 1958 – ს.ჯიქია, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, III, თბილისი, 1958.

ჯიქია, 2004 – მ.ჯიქია, ქართული ანთროპონიმები „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“, კრებული „ქართველური ონომასტიკა“, II, 2004.

ჯიქია, 2007 – მ.ჯიქია, სოციალური და წოდება-თანამდებობის თურქული წარმომავლობის ტერმინები ქართველურ ანთროპონიმიაში, კრებული „ქართველური ონომასტიკა“, III, 2007.

ჯიქია, 2008 – მ.ჯიქია, თურქიზმები ქართველურ ანთროპონიმიაში, თბილისი, 2008.

ჯორბენაძე... 1988 – ბ.ჯორბენაძე, მ.კობაიძე, მ.ბერიძე, ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონი, მასალები ქართული ენის სისტემური კურსისათვის, თბილისი, 1988.

ჯორბენაძე, 1989 – ბ.ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, თბილისი, 1989.

ჯორბენაძე, 1998 – ბ.ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, II, თბილისი, 1998.

ჯორბენაძე, 1993 – ბ.ჯორბენაძე, ონომასტიკური გულანი, თბილისი, 1993.

ჯორბენაძე, 1995 – ბ.ჯორბენაძე, ქართველურ ენათა დიალექტები, თბილისი 1995.

ჯორბენაძე, 1997 – ბ.ჯორბენაძე, ენა და კულტურა, თბილისი, 1997.

ჯოხაძე, 2013 – ა.ჯოხაძე, დეპორტირებული მესხების იდენტობა; კრებული „დეპორტირებული მესხები – წარსული და დღევანდელი“, საერთაშორისო სამეცნიერო-თემატურ კონფერენციაზე წაკითხული მოხსენებები, 17-18 მაისი, 2013.

ინფორმატორთა ტექსტები

შენიშვნა: ინფორმატორებს გვარ-სახელისა და მამისახელის შემდეგ მითითებული აქვთ დაბადების წელი და ინფორმაციის ჩაწერის ადგილი.

ქენია ივანიძე-მჭედლიშვილი, დაბ.1935 წ. სოფ. ნიჯგორი:

მაჰმადიანი მესხებიც დადიოდნენ ქუეციან ქრისტიან ქართველებთან ერთად ქართულ სკოლაში: ნუსიანი, კუკლაი, ხანუმაი, ნანიანი, გულხანუმაი, ესმაი, შვეირათაი. ისეთი კარგი მეზობლობა გვქონდა, მარა გლახა მეზობლობაც გვქონდა. ერთი მეცხვარე კაცი იყო, ხაიალაი, ღამე მოვიდა, ერდოდან დედანემ დაუძახა: საბედ-ბაჯიჯან, საბედ-ძალოჯან, პური არ გვიდევს და გამოგვიცხონა. ადგა დედანემი, წავიდა, მოუხილა ცომი. არ ვიცოდით, ვინა გაესახლებინათ. ისე დაუძახეს ქართველობა. ჩემი მამიდა გორში იყო გათხოვილი, იქიდან კაპიტანი იყო ერთი, ბეჟანაი ერქვა, ორი თვე თათრებს არავის უშვებდნენ სოფლიდან, არავინა წასულიყო სოფლიდან, როგორც კარანტინი იყო, არსად არნა წასულიყო სოფელი კაცი. იმ ღამეს, რა ღამესაც თათრებინა გაესახლებინათ, ისეთი შემოერტყა გარს სოფელს სამხედრო, რო ბუზი ვერ ჩაფრინდებოდა, იმ სოფლებ, რომლებიდანაც თათრებინა გაესახლებინათ. თათარო რო გადასახლდა, ჩვენთანაც, ქუეციან დაღეშიდან გადმოასახლეს, ბლენიდანაც გადმოასახლეს. ორი დღე და ღამე გამორეკეს სახლებიდან, საათი დაუთქვეს, რო რამდენ წუთში რას მოასწრებდნენ და რაც მოასწრეს, გამოიტანეს სახლებიდან, მერე მივიდოდნენ ეს რუსები და ზრიზით გადაზრეხილს დაულურსმამდნენ. კალოები იყო ქუეციანში, ჯვარს რო ვუძახით, იქ გამოასახლეს და ორი ღამე იქ ჰყანდათ, იქ გააჩერეს ეს ხალხი ღია ცის ქვეშ. ვისაც საქონელი ჰყავდა, ქვაბებით ყაურმები გააკეთეს. აღარც იმ თათარს გამოუშვენდნენ, დიდი მანქანებით შეყარეს ეს ხალხი. მარტო მამაკაცები დაუძახეს, ქართველები, კრება მოიწვიეს: ყველა ფეხზე იყვნეთ, რო სოფლიდან არ გასულიყო არავინ. ავადყოფი ბიჭი იყო, ზოირაი ერქვა იმის დედასა, დედანემ ეხვეწებოდა: საბედ-აბლაჯან აქ შემინახეთ, იქამდე ვერ ჩავალწევ. რაგორნა შეგინახოთ, ვინ შემინახინებს შენ თავს? მშივრები იყვნენ ძალიან,

ერთი თვე მატარა, რო მიკერენდა კუკლას, ვიპარანდი პურ სახლიდან და ვუზიდენდი იმა, რომ მეჭმია. ერთი წიწილბოს უძახდნენ სახელად, ისეთი ღვთისნიერი კაცი იყო, მამაჩემი რო ომში იყო, რო მივიდოდით, რო ვითომნა შრატინა წამოგველო, ხან ყველ ჩაგვიგდენდა ამ შრატში, ხან კარაქ, წაიღეთ შვილო.

ჯაბარ ჯაბაროვი ერქვა, ჰეიდარ ჯაბაროღლი, ე.ი. ჯაბარას შვილი, თუ მამამის ჯაბარაი ერქვა, გვარი არ აქვთ. ერთი თათრის და მოიტაცა ისევ თათარმა, ვომარაი ერქვა, 10-15 კაცში, ახალი დაქორწინებული კაცი ისე მოკლა ამან, ამოიღო ხანჯალი, ბოდიში და შენობაზე დაარტყა, მანამ სახლში აიყვანეს ეს კაცი, სისხლიდან დაიცალა და მოკვდა, ალექსაი ერქვა. მამაჩემი გაიქცა. ერთი ეგ დამრჩა მოსაკლავიო, ვითომ მამაჩემმა შეუწყო ხელი, ქართველებმა შეუწყეს ხელიო. მერე ჩვენ ოჩამჩირეში გადავსახლდით. ეს კაცი, რომელმაც მოკლა, გადაიკარგა. რომ გაიგო, რო ასპინძის რაიონიდანაც არიან ჩამოსახლებულნი, მამაჩემი, გაიგო ვალიკოი, იკითხა, რო სად არი? პურის გამყიდველად მუშაობდა მამაჩემი. ბოძებზე იდგა სახლები, ცემენტის ბოძებზე, ქათამი-რამე შედიოდა. მზა სახლები მოგვცეს. ჩვენი ბიძაშვილობა საროდანაც იყო გადასახლებული, ქუნციდანაც, შვიდი კვამლი გადავსახლდით. თათრების მერე რამდენიმე წელში გადავსახლდით. ოჩამჩირეში მოგვებნა და მოვიდა ღამე მოსაკლავად. ჯერ ერთ კარებიდან მოვიდა. იყვირა დედაჩემმა. ერთი სარველი კაცი, იოკიმას ეძახდნენ, გამოსულია და გაიგო, რო მომეშველეთო, ამ კაცმაც იყვირა, გამოადვიდა მთელი ბიძაშვილობა. ჩვენ სახლის უკან გვიმრი იყო, მაღალი ღელები, ალბათ იქ დაიმაღლნენ, მერე რო ესინი წავიდნენ, ოკაიც მივიდა თავის სახლში, აივანზე ეწევა სივარეტს და ატყდა ყვირილი. მერე სამივე კარიდან ამოცვივდნენ და ამტვრევდნენ კარებს. დილამდე აღარ წასულან იოკაი და მეზობლები დილას გავიგეთ, რო ასეთი და ასეთი კაცი, ყაბალახიანი, შენ გკითხულობდაო. ვომარაი რო იყო, მიხვდნენ ჩვენები. მერე ისევ ავდექით და ისევ წამოვედით.

ჩემი დედამთილი ოცდათხუთმეტი კილო ყოფილა რო მოუყვანიათ. თვითონ ვერ წასულან. განაყოფ, ვანო პაპას, ცხენზე შემოუყდვენია და მოუყვანია მამამთილისთვის მუსხიდან, ეგრე ზველ-ჭობარეთზე გადმოუყვანია. დანიშნული ქალი ყოფილა. რო ვერ წასულა მაყარი, ეს წინ დაუყდვენია (ცხენზე) და მოუყვანია. გაიგო თათარმა, რო აქ რძალი მოიყვანეს, ამ ოჯახში რძალი მოიყვანეს. ხიზაბავრაში განთქმული კაცი იყო, პაპაი ერქვა, ჩამოუყვანიათ თათრებ, რო დაუკრანა და პატარძალთან პირველი ჩვენნა ვიცეკვოთ. დედამთილი მიუყვანიათ და ოდა-ბოსლები იყო, ცხენის ბაგაში ჩაუწვენიათ და

კურტანი დაუმხიათ ზეიდან. ჩქარა, – იძახიან,– მოიყვანეთ რძალი, ვიცით, რო მოიყვანეთ! რამხელა დატანჯული იყო ეს ქართველობა, რო ამხელა სოფელში ოთხი თათარი ყოფილა და ან ვერ ცემეს ან ვერ გარეკეს, რო ხმას ვერ გაიღენდნენ. ვანო პაპას ქვეიდან ზუბინი ჩაუცვია, გაუხდიათ და უცემიათ, რო ჩქარა რძალი მოიყვანეთ. სახლი დაუქოთაგებიათ, ყველგან, ძირი-კუთხე, ვერსად ვერ უშოვიათ. ესენი ეფიცებიან, რო არ მოგვიყვანია. მთელი დღე დილიდან საღამომდე ეს ჩემი დედამთილი წოლილა ცხენის ბაგაში უხმოდ. გებულონდა ისიც, რო ამ მამამთილს სცემდნენ და ხმა ვერ გასცა ვერავინ. რო ვერ ნახეს და დარწმუნდნენ, რო დაღამებულა, წასულან. ვერცერთ ქართველ ხმა ვერ გაუცია, რო ვინ ხართ თქვენ, რო პატარძალი ისა ქნა. ესეთი ამბავიც იყო. ცხონებული ლაზარ პაპაი ბევრ რამეს მოჰყვებოდა.

ჩვენ ივანიძეები ვართ, განაყოფობას ფეზვიენტ ეძახიან, მეორე შტოს იბიენტ. სიზმარივით მახსოვს, რო შემოესეოდლო თათარი, რა იყო წინათ აბა კაცო, ერთი კაცი იყო, ჰეიდარაი ერქვა, ეს ჰეიდარაი, თელ ქართველობას თავის სახლში შეიყვანდა და იარაღით ხელში ჩადგებოდა: აბა ვინ მოხვალთ, ჩემ ქართველობას იმასიზანთ. ისე კარგათ ვიყავითეს ქართველობა და თათრები. ჩვენ წინაპარ ორი შვილი ჰყოლია, იბოი და ფეიზულია დაურქმევიათ ბავშვებისთვის, რო არ დახოცონ თათრებმაო. ყველაზე ძირძველი მაცხოვრებლები მჭედლიენი არიან ნიჯგორში, ასპანიძეებიც. მჭედლიენი ცოტანი ვიყავით და სხვა შტო არ იყო მჭედლიშიელებისა. თათრებ ჰქონდათ იმედი, რო დაბრუნდებოდნენ.

მეზობლობა კარგი იცოდნენ. (გასახლებისას – ნ.მ.) არაფერი ჰქონდათ, რო ჩაელაგებინათ, ჭურჭელი, რამე და დედაჩემმა გადაუტანა, რა ჰქვია? ტომარა, რო პური, რამე ჩაელაგებინათ. ტომარაში ჩაულაგა და წაუკერა პირი. იქიდან გამოვიგზავნით, დაოჯან, რო ჩავალთ, სადაც წავიყვანებენ... აესე აწიოკებულები იყვნენ. უიმე, წიოკობა, ტირილი, სულ ზეცაში ადიოდა. ზოგმაც რა გააკეთა, აი, რო დარჩათ მარცვალი, რაც ჩაყარეს მემოკებში, ვაშლები... ისეთი ბაღები ჰქონდათ... საციო სახლები სავსე, მიიტანეს და სუ თურმე ნავთი გადაასხეს, სულ გადაასხეს მარცვალს. დარჩა ისე ვერანათ. საცოდაობა იდგა, წივილი, კივილი... თათრებ ისეთი წესი ჰქონდათ, რო ქალი რო გათხოვდებოდა და დანიშნავდნენ, რაუდენაიც იყო იმის ნიშნობაზე, ქალი სახლიდან გარეთ არ გამოდიოდა. იმისი ტირილი დღესაც... რაუდენას შემოეხვია და დაიწყო ტირილი: რო თუკი იცოდი, მზე და მთვარე რაზედამიბნელე, კარზე მაინც გამოვიდოდი და შევიდოდიო, თუ იცოდი, რო ჩვენი თავინა გაესახლებინათ, გეთქვა თავიდანვეო. ი ქმარი სხვა სოფლელი იყო. მაშინათვე წავყვებოდი, ქმართან ვიქნებოდიო. ქმარი ცალკე გაასახლეს. მერე თუ მონახამდნენ. ეს პალიაი ცალკე, ის –

ცალკე... აესეთი ამბავი... ისეთი საცოდობა იდგა... უნდოდათ, რო სახლში რაღაცა დარჩათ და გამოეტანათ, რუსი არ შეუშვენდა. იმ წუთში, როგორც საათი დაუთქვეს, მაშინათვე დაულუქეს კარები, რო შიგ ადარ შემოვიდნენო. ამ სტალინმა იმიტო გაასახლა ესენი, რო... ეს თათრების ასეთი შემოსევები რო იყო, ომი, ამ ქართველებს სულ აიკლენდნენ ესენი. სუ მოაცილა მთელიან, უფრო მეტი თათარი იყო, ვიდრე ქართველი.

ერთი თოკელი თათარი იყო, ქართული გვარი ჰქონდა, თბილისში ცხოვრობდა. ფერმაში ისეთი მოგვიტანეს რო, მთაში, თოღერთაში, ღიაი არ იყო გათხოვილი. ფერმა ხო ორ ქულას უწერენდა, ფერმაში ვინც მუშაობდა. ამის სამაგიეროდ ფერმაში მე წავედი. მერე მოვიდა ეს თათარი, გასახლებიდან მერე, ცხრა წლისა რო ვიყავი გაასახლეს და ღიაი (შვილი) უკვე გასათხოვარი იყო, გამზადებდი პროფესორებთან. იქ მოვიდნენ თოკელი თათარი, ქართველი გვარი ჰქონდა, აბაშიძე იყო, იმის ერთად მოვიდა კაპიტანი, რაზმირი ერქვა, ზღაროვი, მაღალი, კარგი კაცი იყო. თელ ფერმის მუშაკებ მოგვიტანეს ბროწეულები, ფორთოხლები. მე რო თათრულე ველაპარაკე იმ თათარს, გაეხარდა, რო ცაში აფრინდა. აქაო ისეთი გზები გაკეთდებო, ისეთი სახლ-კარი გაშენდებო, გზები დაიგებო, ჩვენ იქ არ გავჩერდებით, მაინც აქ მომსვლელები ვაართო. ისევე აქეთ უტიროდა. კარგი ცხოვრებაც გვაქ, კარგი სახლ-კარიც, მარაო... ისევე ამითუნ ტიროდა. ჩვენი მიწა-წყალი გვინდა ისევეაო. რო დაინახა, რო თავის მამა-პაპის საფლავი, აღარც ქვა ჩანდა, აღარც ისა, ამხელა კაცი სუ ცხარე ცრემლით ტიროდა. აღარც საფლავი ჩანდა, აღარც აღარაფერი.

თუთას ვხარშენდი, ტყლაპი უნდა გამეკეთებინა და... ჩვენ ლაზარეს ყველა იცნობდა. ბეზგვინაი ერქვა თათარ, ჩემ ნინოში ორ კილო ოქროს მაძლევდა, ნინოი რძლად მომეციო, ხუთი მანქანა მიყენია კარებზეო. ცხონებულ ლაზარემ უთხრა ხუმრობით: ერთი კილოც დაამატეო. ჩემმა ნინომ ბავშვობიდანვე კარგი რუსული იცოდა. ამას იქიდან ქალებიც ჰყანდა ჩამოყვანილი: ცოლი და და. ლაზარემ, ცხონებულმა, დამიძახა: ქუნცულ, ჩამოდი, ერთი თათრულე ველაპარაკე ამათო. რო ჩავედი და თათრულე ველაპარაკე, ჩამიხუტეს გულში. პასილკებ უგზავნიდნენ ამ ლაზარეს და ესეც იმ დასაო, ჩემთვისაც საკაბე გამოეგზავნათ, თათრულად რო გველაპარაკაო. აი, რამხელა დაინტერესებული იყო. ტენილი ყველი, ჩეჩილი ყველი, იმათი გამხმარი იყო; ჩემთვისაც ჩაედოთ, საკაბე და ტენილი ყველი ი თათრი ქალებს და ბეზგვინაი დაინტერესდა, მოგიტანთ ოქროსაო და გოგოს მერე წავიყვანთო. ბიჭსაც ჩამოვიყვანთო, ბიჭი ინჟინერი მყაანსო...

იაკობ ჰაგელეს ძე მეღიქიძე, დაბ.1965 წ. სოფ.ტოლოში:

პაპახემი მწერალი იყო, მდივან-ბეგი, ერთ კაც უთქვია, ოღონდ ეს საქმე გაკეთდეს და ყოჩ ჩამოგიყვანთო. ბებიაჩემ გახარებია, საახალწლოდ არაფერი გეყანს დასაკლავი და ჩამოიყვანეო. რას ამბობო, გლექსკაცსაო რაღაცა გასჭირვებიაო და... ვინც არ უნდა დაგედაოს, მოდი მერე ჩემთანაო, ესაო (დაწერილი) წაიღეო და წადიო. ამის იქით ვანის რაიონი იყო, ბუზმარეთის რაიონი იყო და იქ რო ვერ მიაღწია კანონსა, მოვიდა ამ კაცთან, პაპახემთან, ამას სახელი ჰქონდა. ქალის სიტყვაზე არ გაიარა პაპახემმა, რას ამბობო, შენ უბატონოდ ხმას ვერავინ გაგცემსო.

ელაგებოდა ბეგი პაპახემსა, ხიდი რო გადმოდის, ცეზარას სახლი რო არის, დიდი ყანა ჰქონია მანდა, თესავდა, რამე მოჰყავდა. ჰასან-ბეგი ელაგება, ესაც მგონი ვაჩნაძე ყოფილა, ან აბაშიძე, ქართველი იყო, გამუსლიმანებული. ელაგება, რო ეს მიწა ჩემიაო. -საიდან არი შენით?- პაპახემიც განათლებული კაცი ყოფილა. სადაო იყო და გადასაწყვეტი იყო, ახალციხის მაზრაში ჩავიდნენ, მიდის მსჯელობა. პაპახემი ორ სიტყვას დაუწერს და მიაწვდის მოსამართლეს. იქიდან რო წამოვლენ: აკოფო, მე ერთი ხურჯინი ოქრო დავხარჯეო (ბეგმა) და შენ ორი ფურცლის ნახევო. მერე პაპახემის მოკვლა უნდოდა ამას. ჰასან-ბეგს მიწა ჰქონდა ტაშლი-ყიშლაში. ქვაბისხევს რო ვეძახით, დელე შედის მანდა. დელეს ზემოდან იყო ტაშლი-ყიშლისა, დელეს ქვემოდან – ჰასან-ბეგისა, რომელსაც მადლიდან, ფერდობზე, ცხვარი ჰყავდა და დაქირავებული ჰყავდა ქურთები მწყემსად. ესეც ეტყობა, კარდა დიდი ტერიტორიაა. ცხვარიც, ალბათ, ბევრი ჰყავდა. ჰოდა, არხის ზევიდან როგორც ახვალ, ჩანს, ბაღახია უღვევი, ზამთარ-ზაფხულ, თოვლი არ ჩერდება. შუაღამეა და მოსულა ერთი, ფანჯარაზე უკაკუნებს: აბა, აკოფო, გამოდი ერთიო, ძალიან გთხოვო. პაპახემი ნიალას მუშაობდა, არა, ბუზმარეთში, ახლა აქვს ხიზაბავრას, მწერლებს რაღაცა პოსტი ჰქონდათ. ცხენით, თურმე, ასე სამოკლეოა, აქედან შალოშეთზე შორია და ასე ამ დელეზე შეივლიდა, ავიდოდა ქვაბისხევზე. –ძალიან გთხოვ, დილაზე ასე არ წამოხვიდეო, აგერ კარაბინაო, ბეგმა მომცაო, აკოფაი რო ამოივლის, ესროლეო და მოკალიო. გენადას რო აქ, კლუბის იქიდან სახლი ჰქონდა ვეტუბნისა, კიბე ჩადიოდა წყლაამდე, წისქვილი ჰქონდა ბეგსა, გათლილი ქვით ჰქონია კიბეები, ესეც ომარას კაკალია. ვისაც წისქვილი ჰქონდა იმ დროს, კარგი ცხოვრება ჰქონდა, ყველას მეწისქვილესთან მიჰქონდა თავისი ნობათი. ყველა სოფელში წონა ჰქონდა პაპახემსა და ეს ქურთის ამიტო მოვიდა, ძალიან გთხოვ, შალოშეთზე წადიო. ესეც შალოშეთზე წავიდა. ბეგი ელოდება რო სროლის ხმანა მოვიდეს. დელეში არ ცხოვრობს? პირდაპირ იქით აქ ყურები დაცქვეტილი.

აჰა, ორმოცდათერთმეტი წლისა დაიღუპა, უცბად ავად გამხდარა, ძალიან ნერვიულობდა თურმე, რო ბევრი ცვლილება მოხდა, ქვეყანა ვერ დალაგდა. ჩვენ მოწყვეტილი ვიყავით ჩვენს ქვეყანას, ეს კუთხე. ერთი ოთახი ხიშტიანი, კაჟიანი თოფები ჰქონია ჩაბარებული. მამაი იტყოდა, ერდოზე კამეჩი შემოდგაო და ჩამოვარდა დარბაზშიო. იმ ყიშლაში როგორ ააშენა პაპაჩემმა სახლი, დარბაზიც. ბოსელი იყო იმოდენა, რვა უღელა დაიბმებოდაო, თექვსმეტი სული რა. ან როგორ ინახდნენ ამდენ საქონელსა, მაშინ რო თოვლი მოდიოდა, არ ვიცი რა... ცენტრალური გზა ეს იყო, ასე დადიოდნენ და რო გაჩერდებოდნენ მაღაზიასთან, ხარით რო მოდიოდნენ, ახალციხიდან რო იქირავებდნენ ხარსა, ურემსა და ამოვიდოდნენ, ამის იქითაც ხონა გაეგრძელებინათ. იმხელა თოვლი მოდიოდა, ხარის რქაზეო მტკაველა თოვლი იდოო, ცოცხალი არსების, ხარის რქაზე. იმხელა თოვლი მოდიოდა. აესე რა...

ბებიჩემი განათლებული ადამიანი იყო. შვიდი დანი ვიყავითო. შვიდი ძმა ბიძაშვილები გვეყავდნენო. მათი მეხრეები იყვნენ. შვიდი ძმის შვიდი და იყო მეხრე. ასე იყო. მიწას არ ტოვებდნენ, მტკაველ მიწას არ ტოვებდნენ, სადაც თუ რამე დარჩებოდა, იმასაც ხნავდნენ, ასწორებდნენ. ტარიელაი იტყვის, რო რუსულში და მათემატიკაში ძლიერი იყოო, „ვეფხისტყაოსანი“ ძალიან უყვარდაო. მაგრამ სახლიდან გარეთ არ უნდოდა გასვლა, არც ბაზარზე წავიდოდა, არც არსად. აესეთი ჩაკეტილი ადამიანი იყო, მაგრამ – განათლებული, ჯინჭველაძეები განათლებული ხალხი არიან, ძველი მესხები არიან, მუსხიდან. პაპაშენმა დაიწყო გასვლა-გამოსვლა მერე, ვაჭრობა. პაპაჩემის სახელი ისევ იყო, თოღურთაში ისევ ჰყავდა ქირვები, ნათლიები, შალოშეთშიც, კულტურული ხალხი იყო, გამუსლიმანებული. გაქცევაზე ვინც იქით ვერ წავიდნენ 1917-1918 წლებში, პაპაჩემი წავიდა წალკის რაიონ სოფელ რეხაში მთელი ოჯახით, პაპაჩემი, თავისი ძმა ცოლთან, დები ჰყავდა გასათხოვარი, პაპაჩემს ცოლ-შვილი ჰყავდა. იქიდან რო დაბრუნდნენ, რაღა დახვდათ სახში? სიცარიელე! ქვებიც აღარ იყო, რა უნდა გაეკეთებინა შეჭამანდი, ცარიელი სახლი... წალკაში პაპას ნათლულები ჰყავდა, საბაძეები, სულთან ბაბოს ბიძის ოჯახი. იმათმა კარგად მიხედეს. ორი თუ სამი თვე იყვნენ. ალბათ, ძლიერი ოჯახი იყო. ის ზამთარი გადაიტანეს და მეორედ, აპრილის თვეში ისევ წამოვიდა მტერი. მტკვარი გადაკვეთეს აქედან, გავიდნენ მილახევეზე, სარო-ხიზაბავრა გადაიარეს და გავიდნენ საკირის ტყეში. გაჭირვებამ გააჩინა ტიფი. იქ დატოვა პაპაჩემმა ძმა ცოლთან ერთად, დები, ცოლ-შვილი და ერთი სამი წლის ბიჭი წამოიყვანა, ვანო ბიძაი. აღარ წამოვიდა ტოლოშში. იცოდა, რო რა ჰქონდა, ერთ წასვლა-მოსვლაზე რა დახვდა, რო.. ჩავიდა ცოლულებთან

აწყურში. აწყური მაშინ დიდი სოფელი იყო, ნახევარი თათარი ცხოვრობდა, ქართველებიც ცხოვრობდნენ. (მოყვრები) გასიტაშვილები იყვნენ. ცოლეულებში ჩავიდა და იქ მსახურობდა. მერე ამ ხალხმა თვითონ დააქორწინეს ბებიანემზე. ბებიანემსაც ორი შვილი ჰყავდა, თავის დროზე ვაჟკაცი კაცი ჰყოლია ქმარი და თათრებმა მოუკლეს მუსხში. იქიდან (აწყურიდან) წამოვიდა, ყველაფერს ვყიდულობდით ამ გაჭირვებულ ცხოვრებაში. წამოვიდნენ და მოვიდნენ ტოლოში, დასახლდნენ, მიხედეს თავიანთ მიწა-წყალსა და... რამდენიმე თვე იცოცხლა პაპაჩემმა, შეეძინათ მამაჩემი და რვა თვეში დაიღუპა. ეგრე გაჭირვებით ცხოვრობდნენ. რა სიძლიერე ჰქონდათ, რომ იმ ყიშლაში ააშენა სახლი. ახლა ლადიკოი ამბობს, რო ერთი მამაშენს არ უთქვია არაფერი, აქ რო დავიწყე სახლის აშენებაო, ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროს, ააშენე, გააკეთე და კარგად იცხოვრეო. სხვა ვინ არ დამედავაო. თურანაანთ საცხოვრებელი იყო. ვაჟას ბოსელი რო აქ, მანდ ცხოვრობდნენ პაპაჩემი და გულქანას პაპა. გულქანას პაპა მღვდელი იყო. ფოფოღია ლამაზი ქალი ყოფილა. (პაპას) უთქვია: აქ მაინც ჩვენები ცხოვრობენ, თურანაანი არიან, შენ აქ დარჩი და მე ზემოთ გადავალო. წყალი არა, არაფერი არა. ცხოვრობდნენ რა! კულუღეთში ჰქონდა სახნავი ყანა, თორულებს ეძახიან, მანდ გექონია, ნათოჯან, ყანები.

მამაჩემი ამბობდა, სეფოღონი მეღიქიძეები იყვნენო, გამუსლუმანდნენო. ბუჭო, ბუჭოს ამბობდაო, ქართულადო. ამათი შტო მუსხში არიან გადასულებითო.

ჰასან ბეგსა, ეხლა კლუბი რო დგას, მანდ ბოსელი ჰქონია. 17-18 წლებში მთელი ქართველობა შეურეკია, რო ცეცხლინა მისცეს და დაწვასნა ეს ხალხი. შალოშეთშიც გამუსლიმანებული ქართველები იყვნენ, ბეგები, შვიდი ბეგი იყო იქა. ერთი ბეგი რო მოდის, რო ამოიარა, დაღლილი კაცი და, ჰასან-ბეგს უნდა შეუაროს, დაისვენოს და რო დაინახა ესა, ბავშვი-ქალი ტირის, – რა გაგიკეთებია ესაო? – აბა, გიაურეი უნდა დავწვაო! – ასეთი გადმოცემა არის, რო აწყურშიაო ქართული ჯარი მოსული, შენაო რას აკეთებო? შენ ვინ შეგარჩენსო? შალოშეთის ბეგ გადაურჩენია დამწყვდეულები. ყველგან არის ღირსეულობა, ადამიანობა.

ეკლესიის ეზოს რო ვადღეგნდით, ისე იყო რო ვერ გაიგენდი, ვინ როგორ არი დამარხული. საძვალე იყო, ერთი-ერთმანეთზე იყო დამარხული ხალხი., ამ ოთახის სიმაღლე და კიდევ დაბლაც. თურმე გამუსლუმანებული ქართველი რო კვდებოდა, მიჰყანდათ და ტაძრი ეზოში მარხანდნენ, რო ეს ტაძარი უპატრონებდა მის სულსა და შვებას მოჰგვრიდა. პატივს სცემდნენ მაინც ტაძარს. ეს ერთი სალოცავი იყო სოფელში. სულით მაინც ქართველები იყვნენ. უბედური ისტორიაა ჩვენი. ფოფოღია და ღვდელიც მანდ არიან

დასაფლავებული, ჯვარი აქ, ჯვრიანი ქვა აქ დასმული. ესაო, მამაჩემის ბიძაშვილიაო, – იტყოდა მამაი.

ნადირაძეებ ჰყანდათ ერთი კაი კაცი, იაკობაი, ჩემი მოსახელე, უბრწყინვალესი ადამიანი, რასაც ჰქვია, ისეთი კაცი ყოფილა. დავლაშერიძეებ რაც აქო, მანდ ყანები ჰქონია, ცოლ არ ამუშავენდა, დათესავდა, აიღებდა, მოიტანდა, კარებზე დაულაგენდა, მიანიავენდა-მოანიავენდა და შეალაგებდა. დადებითი კაცი იყო, დარდიმანდი, ჰქონდა შექლებაც. უკანტოლოშობა არი, სასაფლაოდან გადავიდნენ ჩვენი წინაპრები, ასე იყო, ასე მოდის და... მე-19 საუკუნის ბოლოს, ასეთი პერიოდია, მოდიოდნენ მაშინ, ჩარჩებს ეძახდნენ რა, ვაჭრებსა, ტბილეული, ეს ყველაფერი, ბაზრობა იმართებოდა, ხორციც იყიდებოდა, სუყველაფერი მოჰქონდათ, ახალციხიდან მოდიოდნენ. კასრით ღვინო მოიტანა ვიღაცამ ახალციხიდან. იაკობამ უთხრა, ნადირაძე: რა ღირსო შენი კასრი მთლიანადო? უთხრა გარკვეული თანხა. ამოიღო ჯიბიდან, მიუთვალა, მისცა ეს ფული და ეხლა ეს კასრი გააგორეო და აბა, ტოლოშელეო, წავიდა ქეიფიო! ასეთი გემრიელი კაცი ყოფილა ნადირაძეებში. ცხონებული მამაჩემი იტყოდა, რო იყო კიდე ნადირაძეებში ოთანაძე-ნადირაძეო, ამათი პაპა მოვიდა ქალის ოჯახზე და დაეწერა ნადირაძეთო. იყო სანდრე პაპაი და დიმიტრო პაპაი, ძმები იყვნენ, ორი ბიჭი ჰყანდა, იუმორის გრძნობაც ჰქონდათ ადამიანობაც და ზრდილობაც. ძმები წავიდნენ, მაშინ ბორჯომამდე მოდიოდა რკინიგზა, 50-იანი წლები იყო, ნავთი უნდა მოეტანათ. იქიდან რო მოდიოდნენ, ერთი ძმა რო დაიღლებოდა, მეორე ძმა ძლიერი იყო, მართლაც არნახული ძალის პატრონი, თავის ძმასა ამ ნავთის ბიტონთან ერთად შეისვანდა ზურგზე და ისე მოჰყანდაო. ჩვენი დიდი პაპა მიხაი არი რაიკავშირის თავჯდომარე, მოიტანა ფქვილი ტოლოშის ფურნეში, გაჭირვების პერიოდია, მაშინ იყო ერთი მეშოკი 70 კილოიანი. ჰოდა, ხალხი ზის, თანასოფლელები, ფურნის ტერიტორიაზე. ეს ფქვილი იცლება. ამ მიხამ უთხრა, ცხონებულმა, მე ბიძად მეკუთვნოდა თაობით, ამ ადამიან უთხრა: სანდრეო, რამდენ მეშოკ ასწევო, სახლში რო წაიღო? – სამ მეშოკს წავიდებო! – თუ წაიღებ, ჰალალი იყოსო, შენი იყოსო. უნდა შეიაროს აქედან ეკლესიის ეზოზე რო მიდიხარ, ფურნიდან ზევით. ოღონდაც ერთი ამიწითო. თოკი მოიტანეს, შეკრეს და მთელი სოფელია, ზამთრის პერიოდია... ერთად შეკრა ეს სამი მეშოკი და ხელი რო გაუყარა: წამომიწიეთო. წამოუწიეს და ერთხელ უნდა დაესვენა ტუკას კარებზე. სახლი არ ვიცი, მანდ ჩვენების მალლა, ეკლესიის იქიდან ცხოვრონდნენ. სამი მეშოკი დიდი თანხა იყო მაშინ... როგორ, რანაირად და... რო წაიღო, ტუკას სახლანდე აიტანა ერთი დასვენება და იქ რო გაჩერდა... – არა, სანდრეჯანო, ამხელა თანხასო... არავის

ჰქონდა ჯიბეზე რო გადაეხადა. ესეე უკან ჩამოიტანა ამ კაცმა, დატოვა და ორი ბუხანკა პური მისცა, ოთხი კილო გამომცხვარი პური მისცა, წაიდუო, ხიზან წაუდუო, ბავშვებ წაუდუო. დაჯდა და იქვე შეჭამა. გაჭირვების პერიოდი იყო და იქვე შეჭამა. რო მიტრიალდ-მოტრიალდა მიხაი, დახედა, რო ეს კაცი ისეე ზის. –რა ქენი, წაიდუო სახლში პურიო? –რა პურიო, მე მეყოლო რო?! ერთი ბუხანკა კიდევ გამოუტანა: ესაო წაუდუო ბავშვებ სახშიო. გაატანა. ამაზე ჰალალი ყოფილაო! მამაი იტყოდა: შვილოო, ვიდაცა რო დაიდუებოდა სოფელშიო, რო გაიგენდა მიცვალებულიაო, კირკას და ლაფატკას გამოიტანდა, მარტო სჭრიდა სამარესაო. თვითონ ქვა არ ადევს. ასეთ ადამიანს რატო არ უნდა ამშვენებდეს ქვა. თავისი ძმაც ასეთი ყოფილა, დიმიტრო პაპაი. სოფლის ყარაული ყოფილა, მაღაზიების ყარაული, ტოლოშში მაღაზიები იყო მაშინ, ფოსტა იყო, ბანკი იყო მაშინ, რაიონი იყო, მილიცია აქ იყო... ბიძაჩემი ყოფილა მაღაზიის გამგედ, ოცი წლისა. შერეული მაღაზია არის, კონიაკი, არაყი, სასმელ-საჭმელი, ყველაფერი არი, იმიტომ რო ეს ცენტრია, ამის იქით ერთი საქართველო კიდევ იყო. ხალხი მიდის-მოდის, ვინ ნისიად იღებს, ვინ რას... სადამო პირიაო, მიდის ქეიფიო. ამოსულა დიმიტრო პაპაი სახლში, უთქვია რო, ერმონო, შენი ბიჭიო დაითვრაო, იქვე წევსო, ვერაფერი ვერ გავაგებინეო და ჩამოდი, რა იქნება, წამოიყვანეო. მამაი იტყოდა, ათი წლით იყო ჩემზე უფროსიო, გაღიზიანებული ბავშვობა ჰქონდაო. მაღაზია დავეკეტეთო და წავიყვანეთო. იმდენად ჰალალი კაცი იყო (დიმიტრო პაპაი), რო ოჯახში ხუთი შვილი ჰყანდა, სამი ბიჭი და ორი გოგო, არაფერზე ხელი არ მიუკიდია. გაჭირვება, შიმშილი და მაღაზია სავსეა, არაფერზე! ალალ-მართალი, პატიოსანი კაცი იყო. ჰოდა, საიდან მოდიოდა ეს დამოკიდებულება: დემეტრო პაპასთვის უთქვია მამაჩემსა, მღვდლის სახლი ყოფილა მანდა და კომუნისტები რო შემოვიდნენ, აწამებდნენ, ათასნაირ სისამაგლეს უკეთებდნენ ამ მღვდლებსა, ეს მღვდელიც წასულა, გაქცეულა რასაც ჰქვია. ეს სახლი დარჩენილა უპატრონოდ. მისულა პაპაჩემი და უთქვია, დემეტრო პაპას არ ჰქონია სახლი, ეს სახლი შენიაო, დიმიტროო. –მერე ვინმე რო დამედაოსო? –ვინმე რო დაგედაოს, მე გავცემ პასუხსაო. რაღაც თანამდებობა ჰქონია პაპაჩემსაც, მდივანს ეძახდნენ, მწერალსა, განათლებული ადამიანი იყო. იაშა ძიაი იტყოდა, რო პაპაშენის ნაჩუქარი ყოფილა ეგ სახლიო. აქედან ის დამსახურება ჰქონდა იმ ოჯახს, რო ავიდა და შეატყობინა. მერე მოვიდნენ შემოწმებაზე, მაღაზიიდან დაჰკლებია, ახალგაზრდა ბიჭი, არ სცოდნია, გარკვეული თანხა დაჰკლებია... რა ვქნათო? ახლობლებმა ვისესხეთ, აქეთ-იქითო, თანხა გავასწორეთო, ძმა დავისხენითო. ახლო ატყდაო, გინდა თუ არა, მე წავალ, ვიმუშავებო. მაშინ იყო კერძო საწარმოები, მთავრობის

საწარმოებიც იყო. წავალო, ვიმუშავებო, ვალები დაეფაროთო. წავიდა და აღარაფერი ხმა არ ისმისო, თბილისშიო წავიდაო. აქედანო ჩემოდანი გაგატანეთო, ტანსაცმელი, რაღაც-რაღაცეებიო. მე წერილს წერილზე ვაგზავნიო, არტერში ვმუშაობდიო, ვისწავლეო, დავდიოდი, ვკერამდიო, ამ კუთხე-კუნჭულ უჭირდა და ყველზე, ერბოზე ვმუშაონდი და ვალები დაეფარეო. ყოველდღე წერილ ვაგზავნიდი, ძმაო, ჩამოდიო, ამდენი რაღაცაო, სამ ადგილზე მიწა გვაქ და მიხედვა უნდაო. შუათანა ძმა უმაღლესში წასულიო. მაშინ იყო ბუნება ჯანსაღი და მოდიოდა ხილი, აურაცხელი. დარბაზი ჰქონდათ, ბოსელი ჰქონდათ რამე, ავსემდნენ რა, რაც რჩებოდა, ბაღებში ჰკრიფამდნენ, ჯერ მთავრობას უნდა წავლო, დეფექტი არ უნდა ჰქონოდა ხილსა, არაფერს. მერე რაც დარჩებოდა, გლეხს უნდა შეეტანა სახლში. გვიან, თოვლიც მოდიოდა ზედა. ასე ააშენა ქვეყანა. ბუმბულსაც კი აბარებინებდა, ტყავსაო, ძვალსაო... უგზავნიო, რო ჩამოდი ძმაო, ჩამოდიო. ერთ მშვენიერ დღესაცო იქიდან მოდის წერილიო: რით ჩამოვიდე, არც ჩასაცმელი მაქ, არც გარეთ გამოსასვლელი, არც ფული მაქო, ბათუმში ვარო. მანამდე ვიღაც ქალი გამოუგზავნია, რუსი, რო თუ მოგეწონებათ, ცოლად მოვიყვანო. ამასაც გაუგზავნია: ჩვენ რანა ვთქვათ, შენი თუ მოსაწონია, ჩვენიც მოსაწონია, ჩვენ რანა ვთქვათო, ჩამოდი, იცხოვრეო. – გარეთ ვეღარ გამოვსულვარო, შარვალი აღარ მაქო, ფული გამომიგზავნეო. – ძალიან გთხოვო, ეს ფული რო მოვა, ჩაიცვი, ჩამოდიო. საშარვლევ გავუგზავნეო, მატერიაო. მოვიდაო, მოვიდაო, მაგრამო კლავის გადამწევი რო არავინ ჰყანდაო, არც ქართველი და არც თათარიო, გამხდარაო სანთელიო. ათასნაირი შინაურობაო, თუ მკურნალობა რამე შეიძლებოდაო, თაფლი რამე, სანთელიო, ცოტა ხანი, რამდენიმე თვე და ატყდა ომიო ამას ჯარი გამოვლილი ჰქონდაო. ეგრევე პირდაპირ (ომში). ის ძმაც ახალი ჩამოსული იყო, ფინგანი იყოო, ორივე ძმები ეგრევე წაიყვანესო. ისევე დავრჩი მარტოო. საბიძაშვილოს დახმარებით მეც „რაბოჩი ბატალიონში“ გამიშვეს და დარჩა დედაჩემი მარტოო. ეგრეთი უბედურება!

საერთო კრება იყო კოლმეურნეობისა. ჩუნჩხელი დედა ჰყანდა უსოს (ნადირაძეს) და რო მისულა სახლში, –რაო, ვასოჯანო, რა თქვესო? –დედაო, ჯერ მოჰყვა-მოჰყვაო და ისეთი ხალხი ჩამოთვალაო, რო ესაო თუთის დამრხვეადაო, ესაო კოლექტივის თავჯდომარეთო და ასე... ისეთი ხალხი, საქმის ხაბარში რო არ არი და შენაო დაგასახელესო ბუღალტრადო, კოლმეურნეობის ბუღალტერი უნდა იყოო. – რას ამონ, შვილოო, მე მაგ ძაღლ-ღორში როგორ გავიტან თავსაო!... თვლა არ იცოდა თურმე, წიწილებს წყვილად შეითვლიდა,

ხუთი წყვილიც რო ვინმეს წაეყვანა, ვერც მიხვდებოდა და შვილის ნათქვამი დაიჯერა, საწყალი...

გრიშა მიხას ძე არგანაშვილი, დაბ. 1932 წ. სოფ.ორგორა:

ფშავლები იყვნენ, ბიჭი და გოგო, შაირობდნენ. ბიჭმა უთხრა: „ქალავ, მანუქე, მანუქე, ახატულ-ჩამოხატული.“ გოგომ უპასუხა: „ჩვენმა მურიამ განუქოს კუდის ძირ გამოხატული“. ახლა მეორე ბიჭმა უთხრა: „ნეტავი, ქალაუ, ძროხად გაქცივა, საზიაროდ დაგიბამდიო“. ქალმა: „მეც კარგა მოგიწველოდი, როცა ვედრას დამიდგამდიო“.

– კაფიაობა იცოდი, პაპა? უკრავდი ფანდურზე ახალგაზრდობაში?

– მე მარტო ბებერთან (ცოლზე მიგვითითა) ვუკრავდი. მანუქეს ვუმღეროდი, მაგრამ არ მანუქა (გაიცინა).

ნაღვარევი ვავიზარდე, მთიულეთში. რათ წამომიყვანეს? დასანიშნად (იცინის). იქ კარგიაო. რო ჩამოვედი, ვთქვი, რო ქართველები არ გამამყვებიან, ავდექ და სომეხი მოვიყვანე. მირაშხანში ვნახე. ახნიაში ვიყავ ცხვარში. ეგ გაღმა იყო. იმაზე მამეწონა, რო ძან ტბილი იყო. მარილი მათყარეს და გავლოკე (იცინის). შავატყვე იმაზე, რო უნდოდა თუ არა. მერე დედაჩემმა ჩამოვიდა, აქ იყო დედაჩემი და ჩემი და, ჰოდა, წავედით ბეის მისატანად. რა მიუტანე? საყურეები მიუტანე და რაც უნდოდა, რაც ესიამოვნებოდა. წავედი მერე, დავსხედით. ეგენი კარგად ცხოვრობდნენ მაშინ, ღორი დაკლეს, კარგი პურმარილი, სასმელი, საჭმელი. ერთი აფნიელი იყო, ფერმი გამგე, ცხვარი ჩამორეკეს მტკვარში საბანაოდ. ხოდა, დაუძახეს იმასაცა. დაუძახეს. წავიდა სმა-ჭამა. დედიძმა ჩემი იყო, ამხანაგი ჩემი იყო, სამი-ოთხი ვიყავით. დაიწყო სმა. დაგვსვენს ერთად. ცოტა რაღაცა ბრძოლა დაიწყო, ესიამოვნა გვერდი რო გაუთბა. დავსხედით, პურმარილი რამე და... ეხლა ჩემ დასა ფანდური ჰქონდა. ხოდა, დადგა, თამაშობა უნდოდა, უკრავდა. (აფნიელი) ეუბნება ჩემ დასა, რო ბაღდადური დაუკარიო. არც გაგვეგო ბაღდადური. აფნიელი გაბრაზდა: მე იმის დედა, ვინც შენ ამ ქალ გაგატანსო. მეც გაგებრაზდი და დავარტყი. ერთი აურ-ზაური... იმას მერე ჩემ ამხანაგმა ბოთლა დაარტყა და გაუხდა ესე. დაურეკა ფანაქეთში, მოვიდნენ და წაგვიყვანეს ასპინძაში. მთელი ღამე ვიარეთ ახნიდან, ქალები იქ დარჩნენ. მეორე დღეს დაგვიძახეს დაკითხვაზე. მითხრეს, რო შენ ნიალაში გრანიცაზე მწყემსი ხარ, ხო არავინ აპირებს გადასვლას, 40 მანეთ მოგცემთ ყარაულობაში, რო რამე მეთქვა, ტყუილად რომ მეთქვა. მე ეგ არ ვიკადრე. მერე სამი-ოთხი თვე ვიყავ და ჩემიდან ვერაფერი გაიგეს და აღარაფერი მამცეს. ქორწილი რა იყო, არაფერიც არ იყო, გვირგვინებია თუ რას

ეძახიან, პატარა პურმარილი გვექონდა, 10 ლიტრა რაღაც ჩამაიტანეს, ყველი, ცხვარი დაგვკალით. ეგ იყო ჩვენი ქორწილი. 1949-1950 წლები იყო. ძმა ცხოვრობდა აქ ჩემი და მშობლები. ძმა დაკარგული იყო, ფინეთის ომში იყო, არაფერი არ ვიცოდით, უფროსი იყო ჩემზე, მერე დაინიშნა. მერე აქაც არაფერი საშუალება არ გვექონდა, მეც წამიყვანეს ჯარში, 4 წელი ვიყავ, მოვედი იქიდან სახლში. არაფერი საშუალება იყო, არც ძროხა, არც ცხვარი, არც არაფერი. წავვედით ნიალაში, მთაში, ფერმაში. იქ არც ლოგინი, არც კრაოტი. ქოხები იყო, წვიმა ჩამოდოდა. ვიწვალეთ, ვიწვალეთ რაღაც და სახლი გავაკეთეთ აქა. რო ჩამოვედით (მთიულეთიდან), იმათ სახლებში (გასახლებული მაჰმადიანების) შეგვასახლეს. სურვილით იყო, ვისაც უნდოდა. დახმარება იქნებოდა...

ბეი გავცვალეთ. როგორც იქნა გამოთენდა, დაგვაწვინეს ერთად. ღრუბლიანი იყო, მერე მოიწმინდა. ესლა შარვალი მეცვა და საცვალი არ მქონდა. მეუბნება, რო გაიხადეო. რა გავიხადო, სუ ტიტველა ვრჩები! მერე ისე დავწექ შარვლიანი. მერე მითხრეს, რო აზმანას ეძახიან, იქ უნდა წავსულიყავი, ხელი უნდა მოგვეწერა. ეგ კარგად ჩაცმულია, მე რეზინის ქაღმები მაცვია. ისინი გამხადეს და სომხური ქაღმები ჩამაცვეს. დავსხედით ერთ ქვაზე. დადგა მტლაშა-მტლუში...

ვარდო სიმონის ასლი ქეროფიანი-არგანაშვილი, დაბ. 1928 წ. სოფ ორგორა:

– აი, შენმა მზემ! (გაუჯავრდა ვარდო ბაბო, მეუღლე) რასაც ეგ არ იტყვის!
– იტყუება?

– ტყუის, აბა რა! ესლა ვკოცნი, მაშინ არ მიკოცნია.

– მაშინ სირცხვილი იყო?

– სირცხვილი იყო, აბა რა! როცა მარტოები ვიქნებოდით სახლში და ხიზანი გავიდოდა, მე და ეს ვიქნებოდით, მეგონა, რო სუყველა ჩემზე იცინის, გზას ვეღარ ვნახავდი, რო გავსულიყავ. სირცხვილი იყო, შვილო, სირცხვილი, განა ესლანდელი დრო იყო?! ბაღლი რომ მომკვდარიყო აკვანში ტირილით, ახლოს ვერ მივდიოდი, რო მამაჩემი იქ იჯდა. დედაჩემი ეუბნებოდა: გადი გარეთო, ბავშვი ბჟირდება ტირილითაო, გადი, ახლოს არ მიდის აკვანთანაო. სირცხვილი იყო. მამაჩემთან მივსულიყავ და ბავშვი მომეწოვებინა? ესლანდელმა ბავშვებმა ყველაფერი იციან. ვიცოდით რამე? ვიძახი, ესლა ძველი ხალხი იყოს ცოცხალი და ესლანდელ ამბებს უყურონ. ჩემ მამა-პაპას ეყურნა ესლა!... რო გარეცხავდნენ ქაღმები ტანსაცმელს არა, ბოდიში, ჩემი შვილები ხართ, საცვლებს არ იცოდნენ, სად დაეფინათ, რო კაცებს არ დაენახათ, ისეთ ადგილებზე დებდნენ.

– რაში რეცხავდით?

– გობები იყო, ფიცრის გობები. ბანაობაც იმაში იყო. კიდევ ჯამები იყო ხისა, თიხისაც. დედაჩემი ქოთნებს გააკეთებდა მწნილებისთვის. მოჰქონდათ ურმით თიხა, ზელდნენ და მერე გააკეთებდნენ. დედაჩემმა იცოდა. ქოთნებს, ჯამებს, ჭურებსა... ბავრაში ვარ დაბადებული. თათრები რო წავიდნენ, ეს მამაჩემი წავიდა, იქ ყარაულათ დაუძახეს, ჩვენც გაზაფხულზე წავგასხა იქა. იქიდან გადმოვედით. ცოტა ხანს ვსწავლობდი სომხურ სკოლაში. იქიდანაც კარწახი გადმასახლეს, დიდი სოფელი იყო, არ ეტეოდა იქა და გაანაწილეს. ეგენი რო მოვიდნენ იქა, მერე ჩვენ ოკამში ამოვედით. დავრჩით ოკამში. მამაჩემს ძმა მოუკლეს და იმის გულისთვის ხელი აიღო სოფლიდან, ბავრა აღარ ინდომა. ბავრა და ახალქალაქი ახლოა, ერთია, ხო იცი. ერთი ხუთი კვერცხი რო წავგელო, პურს მაიტანდი და ოჯახს აკმაყოფილებდი. იქვე, ერთი წყალი ყოფს შუაზე.

– ქართული სად ისწავლე, ბაბო?

– ცოტ-ცოტა ვიცოდი სკოლიდან, აქ მოველ და აქაც, ზოგი აქეთ, ზოგი – იქითა, მთიულურად ვლაპარაკობ. ნიალაში ბევრი ვიყავით მწყემსები. ოჯახებითაც იყვნენ. საერთო ბინა იყო. გოგვიებიც იყვნენ, გასათხოვარი გოგვიები. იქ სწველავენ, მუშაობდნენ მინდორში, ფერმაში. ყველს ვაკეთებდით, ერბოს, ვუგზავნიდით სახლში, ჰყიდიდნენ. საქონლის გადასახადი იყო, მოვიდოდნენ საბჭოდან და... მერე ეს ახალი მთავრობა რო მოვიდა, პერესტროიკა დაუძახეს და იმის შემდეგ გაუქმდა საქონლის გადასახადი. ზამთარშიც იქ ვიყავი (მთაში), ზაფხულშიც. ჩემი შვილები ბებიასთან იყო, ბიძასთან იყო, მერე მამაჩემის სახლში იყო, ოკამში. მაყვალაი რო მოვიყვანეთ (რძალი), ლამზირაი მერე წავიდა სკოლაში, ჰოდა აქ სწავლობდა. სულ პატარა იყო, შავხვევდი ნაჭრებში და მივაგდებდი თივის ძირსა. გაჭირვებით გავზარდე, გზათა შუა. აკვანში ვაწვევდით. ჩემი და-ძმები რო იზრდებოდნენ, ხელაუხლებელ მიწას აიღებდნენ, დედაჩემი აკეთებდა, ხამ მიწას, გაახურებდნენ, შეინახავდნენ, ბავშვი ძირ დააყრიდნენ, რო ბავშვი თბილად შენახულიყო. თანაც ნაჭრით დაფენავდნენ. აფსამდა, ბავშვი მშრალად რჩებოდა. დედაჩემისგან ეგ მახსოვს.

ახალი პატარძალი ვარ, ჩემო გოგო, წავედით მე და ჩემი კაცი ყანაში. ეს თიბავს, მე ვხვეტავ. დაჯდა ერთ ადგილას და ზის! –რა არის, ბიჭო, რატომ არ მუშაობ, ადე, გათიბე! ცელი არა სჭრისო. წადიო იმ კაცთანაო, უთხარი, სალესავი მათხოვე კომბლე ძიაო. ვანო ჰქვია მაგ კაცს თურმე, დასცინიან კომბლეს, გაიგე? ჰოდა, წადიო და უთხარიო. ეხლა მივდივარ და მე ეს კომბლე არ გამიგონია სახელი და მაგან არ იცოდეს მეთქი. კომბლე, კომბლე,– ვიძახი

და მივდივარ. იცინის, იცინის, კვდება სიცილით. ვეუბნები, –რატომ იცინი? – რა ვითხრა, როგორ უთხარიო? – ვუთხარ, სალესავი. – კომბლე ძია არ უთხარო? – დამავიწყდა-მეთქი. – იტყოდო და დედიშენისა იქნებოდაო! – ბრალი დედიშენისა, იტყოდა, ვინ გასწავლაო?

ერთი ჯერაც, ჩემი დედამთილმა მითხრა, მეზობელთან გამგზავნა, წადიო, უთხარიო, ფიჩვი მათხოვოსო. მე რა ვიცი, რა არის ფიჩვი. არ ვიცოდი ქართული, არც ვიცი რისთვის სჭირდება. მივდივარ, ვიძახი: ფიჩვი, ფიჩვი. წავედი, ბებერი შიგან ბოსელში იყო. – დედა, დედა! - დავუძახე. სანამ გარეთ გამოვიდა, მე ფიჩუხაი დამავიწყდა. მოვიდა. – რა გინდა, შვილო? – ფიჩუხა მინდა. – რა გინდა? – ფიჩუხაი. – ქალო, რა არი ფიჩუხაი? – აბა, რა ვიცი, მითხრა, რო ფიჩუხაიო. ჰოდა, მეუბნება, მოდიო, რა არის ფიჩუხაი, აიღე და წაიღეო. მე რა ვიცი, რასაც მომცემენ, იმას წავიღებ. გამოვიდა გარეთა და კარი-კარში ვიყავით. ესეც დიდი ქვაზე იჯდა კარებზე. – ბიჭო, ეს შენი პატარძალი ხაჩიკასა მთხოვს, მე საიდან მიუყვანო ხაჩიკაიო.

ერთი ჯერაც კიდევ ასე ვწევართ, ახალმოსული ვარ. ჭოტი კიოდა გარეთ. მღვიძია, ამას სძინია. კარები სულ ღია გვაქვს ღამე, რო ჰაერი შემოვიდეს, მიწური სახლები და ძალიან ცხელა. ზაფხული იყო. რაღაცა კივის. რა არის ნეტაი? ვეუბნები: გრიშა, აბა, გაიღვიძე! – რა არის? – აი, გარეთ, რაღაცა კივის და რა არის ეგა? დადგა, დადგა და – ეგაო მაციაო. – რა არის მაცი-მეთქი? – მგლების ბიძაშვილიაო. – შენ კიდევ რასმე მატყუილებ-მეთქი. – წადიო და აგე, ჰკითხე ბაბოსთანაო... დედამთილსაც გაუკეთებია ქადები, თავადა სჭამეს და ჩემთვის შეუნახიათ, არ მიჭამია. ვუთხარი: თუ მამატყუე, ისე გცემ, რო ნუღარ იტყვი, თუ არადა, აი, ამ ქადას შენ მოგცემ, შენ შეჭამე. აქეთ გვიდგას კუშმეტკა, აქეთ გვიდგას ტახტი. კარგი. წავედი იქა. დასანიშნავი ბიჭი ჰყავდა სახლში, ვალიკო და თვითონ იყო ეგ ბებერი. ოდნავ თენდება, გამაგლო ლოგინიდან: წადი, ჰკითხეო! წავედი, კარებს ვაკაკუნებ, ვწვალობ. გამოვიდა შემინებული: რა არის, შვილი? – რა არი მეთქი და გრიშამ გამომგზავნა, აი, ესე-ესე მითხრა, რომ მგლების ბიძაშვილიაო მაციო. დედააა! სიცილით ვალიკო გადმოვარდა ლოგინიდან. მოველი და ავიღე ჯოხი, შენ არ გინდა და ვის უნდა! იქიდან გადმოფრინდება ტახტზე, ტახტიდან – კუშმეტკაზე. გვიდგას ერთი კომედია... ე ქადაც შეეჭამა, მე გამაგლო მშრალადა და კიდევცა დამცინა. იმდენს რასმე მამატყუებდა რო... სახნისის სალესავიო და დიდ ქვებს მაზიდინებდა.

– თქვენებთან რომ აგყავდა, სამაგიეროს არ უხდიდნენ, იცოდა პაპამ სომხური?

– თავისებურად მაინც არ აკლდებოდა კომედიობას, აცინებდა.

ვართავდით, ვქსოვდით, ჩეჩვაც ვიცოდით, დართვაც ვიცოდით, მოქსოვაც, დაქარგვაც, არშიების მოქსოვაც ვიცოდით. არშიებსა ვქსოვდი და ვქარგავდი. ფარდაები გეკონდა ორი ცალი, ერთი რობიკოს მივეცი, ერთიც – მზიას. მე ფარდაის მოქსოვა არ ვიცოდით, რაც მართალი, მართალი, მაგრამ მოვაქსოვინე, დავართე, დავძახე. სულ მატყლით იყო. სულ ამ ხელებით დავჩეჩე, დავართე, დავძახე და დავადებინე ახალქალაქში. საღები იყო ახალქალაქში და ღებავდნენ, რა ფერიც გინდოდა. მერე საქსოვი ვინც იცოდა, იმას გადაუწახადე ფასი და მოვაქსოვინე. მეტრობრივი იყო, მეტს გააკეთებინებდი, იმის მიხედვით გადაიხდიდი, ფულს ვაძლევდით, თუ უნდოდათ, მატყლს მისცემდი. მე ორივე ფულზე მოვაქსოვინე. ვინც მდიდარი იყო, კუშეტკებს აკეთებდნენ ხისა, კუშეტკები ჰქონდა დადგმული აქეთ-იქითა. ჩემი ბავშვობა მახსოვს, ტახტები იყო ესე, თავიდან თავამდე, ოდა-სახლები იყო, მიწური სახლები. ტახტები იყო ჯერ ერთი პირი, ვისაც შეძლება ჰქონდა, მეორე სართულიც. დაბლა დაწოლილი იყო ჭილობები, ნაბდებიც იცოდნენ. ბალახებსა დაფენდნენ. ჭილს იძახდნენ, ნაქსოვს აკეთებდნენ, საფენს, მაგაზე ნაბდებს დაქელავდნენ, დაყრიდნენ თივას, ბალიშებს გააკეთებდნენ თივით, მიაყუდებდნენ იესე დაბლა. მოვიდოდნენ მოხუცები, წამოწვებოდნენ. ქალები მეორე სართულზე ადიოდნენ, თავისთუნ ართავდნენ, ჩეჩავდნენ. აქ ბუხარია, ბუხარის წინ მაგიდა იყო, იქ იყო ერთი სამავარი, ჭიქები და შაქარი. შაქარ ჭრიდნენ ნაჭერ-ნაჭერ. პატარ-პატარა ნაჭერს აიღებდნენ, თითო ჭიქას დაღვევდნენ. ერთი აშილი მოვიდოდა, ხალხი აქეთ-იქით დასხდებოდა. ეს აშილი მიდიოდა-მოდიოდა სიმღერით, ზღაპარი, რაღაცა... ეს ქალები ისმენდნენ, თან ართავდნენ, კაცები – თასკები ხელში, ათამაშებდნენ, უსმენდნენ. ღამე გადიოდა ისე, რომ ვერ ამთავრებდნენ მაგ ზღაპარს. ვინც იცოდა სიმღერა, ვინც იცოდა კარგი ზღაპრები, მოიწვევდნენ.

ხარაგაულში ვიყავით, ეს ჩემი რძლის ქვეყანაში. ამასაცა ჰყავდა ჩვენი სწორი ბები-პაპა. ჰოო! ამათ თქვეს რო, ხატობა იყო, ჩვენც წავედით ხატობაში. პურმარილი, აქეთ-იქეთ... ესლა ეს ბებრები ჯვარი უნდა დავწეროთო, გაიგე? ამათი პაპისა და ბებიისა. ახლა ჩვენც გადაგვეკიდნენ, თქვენც უნდა დაიწეროთ ჯვარიო. ჰოდა, მოვემზადენით, უნდა წავიდეთ ორი მანქანით. წავედით. ეს პატარძალი აქ არის, მეფე არ არის! ეს სოფელში დარჩა. ჩვენ რაიონში წავედით, ჯვარი უნდა დავწეროთ. ხოდა, ეძებენ, სად არის გრიშა პაპი? არ არის! ვის დავწეროთ ჯვარი? მამაომ რა უნდა თქვას? დედოფალი არის, მეფე არ არის! რა ვქნათ, ვის დავუწეროთ ჯვარი? წავიდა ეს კაცი (მასპინძელი), ხელმეორეთ დაბრუნდა, ეძება, ნახა და მაიყვანა. მე რათ გინდოდითო, აჰა, ორივენი ბერიკაცისთვის დაეწერათ ჯვარი და მერე გავინაწილებდითო...

გრიშა პაპა ჩაერთო: ღვინო არის ჭიქაში. (მღვდელმა) მამიტანა, რო ორი წვეთი, სამი წვეთიო. მე სულ გადავსანსლე! – რა მაგრა გწყურებიაო! (მღვდელმა). – ორი წვეთი რაგორ უნდა დამელივა? გავცალე და მივაწოდე. ტკბილი კი იყო... რა ხანია ნაზიარები ვიყავ!

რობიზონ არსენის ძე მელიქიძე, დაბ. 1947 წ. სოფ.ტოლოში:

პირველი გაქცევისას ერთი ასეთი შემთხვევა მომხდარა. ბებიჩემისგან, დედას დედისგან, მოყოლილი. ბებიჩემის მახლობლად ცხოვრობდა თათარი, ერქვა გვილიაი, ქართველი მაჰმადიანი, მაგაზე ამბობდნენ, რო იმიტო არისო ქართველი მაჰმადიანო, ბაღები ყველა მოდგმას ხო ჰქონდაო, მაგათ ბაღები ჰქონდათ ყოველ მუდამ ქართველებთანო. ქართულ უბანში ცხოვრობდა ი კაცი, მაგრამ იყო მაჰმადიანი. ამონდნენო, რო ეგენი ქართველები იყვნენ და მერე გაათარღნენო. რო შემოვიდა ეს თათარი თურქეთისა და ადგილობრივებიც დიდ დახმარებას უწევდნენ და ჟღერდნენ ამ ქართველებსა, ამ ოჯახმა შეიფარა. იმ დროისათვის პაპაჩემი უკვე ცოცხალი აღარ ყოფილა. დედას ბევრი რამე არ აქ მამაამისზე მოყოლილი, ალბათ, აღარც ახსომს. ჰოდა, ეს ქალი სამი ბავშვით, ერთი ბიჭით და, სულ უფროსი იყო ნინაი, მერე იყო დედაჩემი თამარაი, მერე იყო სარიდან ძიაი. ასე რო გაუჭირდათ ამ ხალხს, ქართველებს, ზოგი გაიქცა, ზოგი აქეთ ბაკურიანისკენ წავიდა, ზოგი – წალკისკენ, რეხაში. ეხლა წალკაში არის უპატრონოთა სასაფლაო, ჩვენი ხალხი, ძირითადად, გაქცეულები: ტოლოშიდან, აწყვიტიდან, ჯავახეთიდან, მესხეთ-ჯავახეთიდან, ბებიჩემიც, მამაჩემის დედაც იქ არის დამარხული. ამ ოჯახმა ადგა და ბებიჩემი შეიფარა, მაგრა გარე ხალხი არ ასვენებს: გამოიყვანეთ, ჩვენნა დავხოცოთო!. დედაჩემი ცოტა მოზრდილი გოგოა, დედაჩემიც პატარაი, სარიდანაც პატარაი... ისე ხდება, რომ თუ გვილიაი სახლშია, თათარი ვერ მოდის, რო დახოცონ, თუ სახლში არ არის – ძალადობენ! გვილიას მოხუცი მამა ჰყანდა. ხელი უკრიათ და კარაპანში ჩაუჩეხიათ: გამოიყვანეთ, რო ჩვენნა დავხოცოთო. ამ კაც არ შეუშვია ესენი. მოსულა გვილიაი, ახალგაზრდა კაცი რა, ვაჟკაცი კაცი. ის მოხუცი მამა არი. უთქვია: შვილო, ესენი ან შენ დახოცე, ან წაიყვა სადმე, უპატრონეო, ასე არ იზანსო, გვიწიოკებენ ოჯახსაო. განთიადისა ადგა, გაადვიდა ბებიჩემი, ეს დედაჩემი და (დედაჩემ სძინანს), სარიდანაი – რადგან ბიჭია, აიყვანა და წაიყვანა, ანაღურის ხევზენა აიყვანოს, სოფელ თოღერთაში. თათრები ცხოვრობენ პოლნოსტი, ქართველები არ ცხოვრობენდა ამ კაც მიჰყანს თავისი იმედით. იქ მე ბიძა მყანს, ახვალთ ბიძაჩემთან და ბიძაჩემი თუ არ მიგიღნთ, დანარჩენი მე ვიციო, ჩემი გავზაენილები ხართ.ხოდა, წავიდნენ. ეს დედაჩემ რო

გამოედგინა, აბლაო (ბიცოლა), რა იქნენ ჩვენებიო, სად არიანო? ამ ოჯადის ქალსაც უნდა მოიცვილოს ეს ბავშვი. თქვენები ანაღურაზე წავიდნენ და ეს ფეხშიშველა ბავშვი, ფეხშიშველა ფეხით და პერანგით გამოეკიდა. იქით რო თუმოონთ აქვთ ადგილი, იქ დასწვდომია. ეს დედაი გამოეკიდა და ბოლო-ბოლო დასწვდა. გვილიას მიჰყანს ესენი, წინ მიდის, თოვლ ტეხს, ეს ქალი ბავშვით ხელში, უკანაც გოგოები მისდევენ და რო ავიდნენამ სოფლის პირას, პიტნის წყაროს რო უძახიან, ძველი თოლერითიდან რო ავიდნენ ყანობაში, დაინახეს, რო ვიდაცა მოდის. ეხლა გვილიაი ეტყვის ბებიაჩემ: აგერ სოფელი, ადით იქო, მე თოფ გავისვრი სამჯერ და თქვენ არ შეგეშინდეთო. ბებიაჩემ შეშინებია და მაშინ იყო წითელი სამთუმნიანები, არ ვიცი, ვისი მოჭრილი იყო ეგ ფული, ამოუღია და სამი ცალი წითელი თუმნიანები მიუცია. – არა, ქალო, რათ მინდაო, როგორ ავიდნო, ჩაიდეო, ბავშვები პატრონიო. ეს რო თოფ გაისვრის, ბებიაჩემი ეტყვის ბავშვებ, რო როგორც კი ხმას გაიგენტ, დაწექითო. იმა ჰგონია, რო ტყვიასნა მოასწროს დაწოლა. გვილიას აქედან ძალი წაჰყოლია და წკმუტუნნი დაუწვია. კაცმა ხანჯალი გამოჰკრა, დაკლა, სისხლიანი აქნა (ტოლოშში) ჩამოიტანის, რო აჩვენოს. ესენი წავიდნენ. სოფელ რო მიუახლოვდა, სოფელი ისეთია, რო დაბლიდან მიდისხარ და უნდა გადმოდგე. ხალხმა რო დაინახა, სოფელი მოიგლიჯა და უყურანს, ზამთრი დღეში, ამ სიცივეში ვინ არი, ვინ მოდის? ამასობაში ქართველები რო გაქცეულები არიან, ზედათმოგვია გაქცეული, შალოშეთის ხუჯანი (ხუჯან ეძახდნენ ახალგაზრდა ვაჟკაც ხალხ) თურმე ცხენებზე ზიან და ამ სოფლის ზეიდან მოდიან, თალანინა დასცხონო. თალანი – ესე იგი გაცარცვა. გამოიტანონნა, თუ რამე დარჩა. იქიდან ცხენოსნები დაუყვირავენ თოლერთის ხალხ: მანდაო, ვინ არიან რო მოდიანო, გიაურები თუ არიან, გვითხარით, ჩვენ ჩავალთ, ჩვენ დავხოცანთო. აქედან გამოსული შუახანგადაცილებული კაცი: თქვენაო თქვენ გზაზე მიდისხართო, თქვენ იქ წადითო, თუ არა, ჩვენ შევჯდებით ცხენებზე და შალოშეთ დავცხენთო. თქვენ ვინ გეკითხებათ, რო ჩვენ მიწაზე ვინ მოდის, ვინ არ მოდისო! ამ ლაპარაკში, ბებიაჩემ ესმის ეს ლაპარაკი. როგორც კი მივედით, პირველ სახლში შევარდნილა. ოჯადში ბუხარი ანთია, ნაბადი გაუშლიათ, ამ ნაბადზე დაუყენებიათ ეს ბავშვები, ბებიაჩემიც და ეს წყალი გაყინული მოდის, დნება. ეხლა რა ხდება, ამ ბებიაჩემ რო ეუბნებიან, ვინა ხარ, ვისგან ხარ, საიდან ხარ, ბებიაჩემი შიშით ვერ ამონს, მალანს, რო მე ამამავალის რძალი ვაარო. ამამავალი კონას შვილიშვილის ცოლია. კონა იყო ერთი მოდგმა მელიქიძეებისა. სულ მელიქიძეები ხუთი მოდგმა ვართ: კონაანი, კიკოლაანი, თურანაანი, თემუაანი, მამუდაანი. ეს შტოები ერთმანეთის ნათესავეები არ არიან. არტემ პაპამ

კი თქვა: ყველაზე ახლო არიან კონანი და თურანანო. ბებიჩემი მამამთილის მამა იყო კონანი, კონას პირველი ცოლი ჰყოლია თოლერთელი. ეს ქალი მოკვდა, რა ვითარებაში არავინ იცის, იმას დარჩა ერთი შვილი, რო ამბობენ ახლა ქარიშხანი, ქარიმ ერთს ნიშნავს თათრულად, დედისერთა. ჰოდა, ბებიჩემმა ხო არ იცის, ეს ქალი რა ვითარებაში მოკვდა, ნათესაობა არავინ არ იყვეს და უფრო არ ამიძულონ. ბოლობოლო რო დააჩერდნენ... ამ ქალმა კი უთხრა, ვინ ამოიყვანა. გვილიამ ვინც უთხრა, ის კაცი დაეპატრონა ამ ქალ და ბავშვებ. ამან რო თქვა, რო ვისი ხარ? ტოლოშიდან! იცნომდნენ ერთი მეორეს, კონას რძალი ვარო, შვილიშვილის ცოლიო, გამოსულა ამ ხალხში ერთი კაცი: უი, შვილო, შენ ჩვენი ყოფილხარ, აქ რა გინდაო, შენ ჩვენთანა წამოხვიდეო. მეორე მოხუცმა უთხრა: ეს გვილიას გამოგზავნილია და მე გვილიას ამათ გულიზე თავ არ მოვაკვლევიანამო, უნდა იყვეს ჩემთანაო. საერთოდ, თოლერთელებზე ამბობენ, რო ქართველები არიანო, თორელები არიანო, ძირძველი მესხები არიან, გათათრებული, ბოლოს და ბოლოს სამი საუკუნე, სამასი წელი სამი დღე ხო არ არი! ბებიჩემი ხან ერთის ოჯახშია, ხან მეორესი, უყურადღებოდ არ არი. მოვიდა გაზაფხული. გაზაფხული მოვიდა და ეხლა მაგის (თოლერთის) მოპირდაპირედ ჩვენ რო გვაქ კულილეთი, ჩვენი ყანობა, ბებიჩემმა ხო იცოდა, რომელია მისი ყანა. ამ ხალხმა (თოლერთელებმა), ეს ყანები დახნა, ხორბალი დაუთესეს. ეს ბიჭები მერე ჩანმოვიდნენ, ეს სახლები ნახეს, რო დაუნგრევიათ ადგილობრივ თათრებ. შეამოწმეს – ჩავიდეს თუ არა სოფელში. არაფერი, აფსოლიტურად, დაგვილია! ჩამოვიდნენ, ძელები დადეს, მიწა შეყარეს, მიწა დააყარეს, წამოიდეს ორი-სამი მეშოკისორბალი. აქ ტოლოშიში წისქვილი იყო, ტოლოშიში ბრუნამდა თორმეტი თვალი წისქვილი. თორმეტი წისქვილი იყო და ორიც დინგი იყო. დინგი არი კორკოტ რო ნაყამს, იესე დარბის. წისქვილი ქვა ბრუნამს, ის შორიდან დარბის, ქვაში არის ამოჭრილი ღარი, შიგ ყრია ხორბალი, ხეა შიგ და ნაყამს. აქ წისქვილი ქართველებსაც ჰქონდათ და თათრებსაც ჰქონდათ. კიკოლაანთ შურაანთ ბალი რო არი, აემანდ იყო წისქვილი, იქ ჰქონდათ. მამაჩემი მუშაონდა იმ წისქვილში. რახან მოდგმისა იყო, ერთი კვირა ერთი ოჯახი მუშაონდა, მეორე კვირას– მეორე ოჯახი. ვერ იტყვოდა მამაჩემი, რო ეს არი ჩემი. აქ შურაანთიც იყო, ჩვენიც იყო, გოგილ ძიასიც იყო, მირიანასიც იყო – სუყველასი იყო. ვის რა ნობათი მოუვიდოდა, ეგ იყო. (თოლერთელმა) ბიჭებმადაუფქვეს ხორბალი, ისინიც ჩამოიტანეს, ბებიჩემი ჩამოიყვანეს თავთავსამსარი რო მოხდა, რო დაწყნარდა. დაიწყეს ისევ ცხოვრება. ბებიჩემი იყო ბებიჩქალი, პაპაშენიც ბებიჩემის აყვანილი ყოფილა, ბოლო ყოფილა ჩვენი ჟორაი. ამ სასაფლაოზეა დაკრძალული.

სოფელში რო ორი სასაფლაოა, ქართველების სასაფლაო ყოფილა ეკლესიის გალავანში, წმინდა თევდორეს სახელობის ეკლესიის გალავანში და ეკლესიის ზევიდან, ხმალაძე სერგოს რო აქვს სახლი, იქ იყო სასაფლაო. ეკლესიის გალავანში იმ ხალხ მარხავდნენ, ვინც იყო გამოჩენილი, მოსამსახურე, მღვდლები... ქარიმას რო ვამბობ, ერთ-ერთი წარჩინებული კაცი ყოფილა, ვაჭარი, მაგას შემოჰქონდა ჭურჭელი, ქარხანაში დამზადებული. თვითონ სოფელი ისეთი იყო რო, მე ასე გამიგია, სწავლა ტოლოში დაწყებულია 1914 წელს. აქიდან ტოლოში გახსნილა ერთი კლასი, პირველი კლასი კი არა, ერთი კლასი, რომელშიც სწავლობდნენ პატარებიც, ღიღებიც, მოხუცებიც. ეს სასაფლაო იქ ზევითაც შეივსო, კლდეს მიუახლოვდა, აღარ ითხრება და ადგილი აღარ არის. ეს თათრების სასაფლაოც იყო მაღაზიის უკან, როინას სახლი რო არი. ისიც შეივსო. სასაფლაოები რო შეივსო, გამოვიდნენ მოხუცი ხალხი, ქართველებიც და თათრებიც, თქვეს, რო ავარჩიოთ ორი სასაფლაო. სად დავმარხოთ? ერთად არ შეიძლება თათრების და ქართველების დამარხვა. ჩვენი სასაფლაოების დიდ ქვის ქვიდან აუღიათ ერთი. მეორეც – ყვენის გვერდზე. დედაშენის საფლავთან რო დადგები, გაიცქირები გაღმა და ფერდზე ჩანს, ემჩნევა, ერთი დიდი ლარია. ჩვენი სასაფლაო გენდემში მიდგომილიანი ადგილია, ვაკე, გზასთან ახლო. არის ერთი თათარი გაჭირვებული (გადადებული) და ერთიც ქართველი, იაშა მასწავლებლის პაპა. მოლაპარაკება ასე იყო: მოკვდება კაცი და იმ სასაფლაოზე უნდა გაიყვანონ, თათარი იქნება თუ ქართველი, რომელიც აწყობთ. ეს კაცი მოკვდა, ქართველი, დამე. ადგნენ და მეორე დღეს დამარხეს. ფაქტიურად, ქართველები სამი დღე ინახდნენ მიცვალებულ, ეკლესიაში, სახლში კი არა. ადგნენ და მეორე დღესვე გაიყვანეს, დამარხეს. თათრები ეკითხებიან, რო თქვენ როგორ, ეკლესიაში არ მიგყანთ? – არა, კაცო, ამ კაც ანდერძი აქ დატოვილი რო ეკლესიაში არ შემიყვანოთო. ეს ხდება მოსწრობინის გულიზე. მოსწრობინაზე არიან. მეხუთე დღეს მომკვდარა, ჩემი პაპა კიკოლაი, ისიც მანდ არის დასაფლავებული. თათრებმა კი გაჩერება არ იცოდნენ, დილით მოკვდებოდა, სადამოთი მარხანდნენ, სადამოს მოკვდებოდა–დილით მარხანდნენ. ქართველებმა დამარხეს და წამოვიდნენ, სამ ჭიქა შენდობას ეუბნებოდნენ, ახლა ხო არ არი, რო სპიჩკა გაუსროლია. მოდიან გასვენებიდან რო სოფელში ამბავი დახვდათ, რო ის თათარიც მომკვდარა. ეს ჩვენი სასაფლაო არის დაკავებული.

უკან ტოლოში ყოფილა ძველი სოფელი, ისეთი ჯიანჭველები ყოფილა, რო ბავშვსაო სუნთქანდაო აკვანშიო და ხალხი ვერ მრავლდებოდა. მერე გადმოვიდნენ აქა და დაერქვა უკან ტოლოში. იქ ხო ეკლესია არი, მანდ არ ყოფილა სოფელი, ქვის ქარხანა რო არი, კლდე ხო ჩანს რო უმტვრევიათ,

აემანდ რო დაჰკვირდუ, ქეები იესეა დალაგებული, კედელია, სილოსის ორმო რო არი, სოფელი მანდ ყოფილა.

ოცდაერთ წელში რო გასაბჭოვდა, რუსეთმა რო აიღო საქართველო და გასაბჭოვდა, მერე ჩამოვარდა მშვიდობა და დაიწყეს რაიონებად დაყოფა, მანამდე იყო გუბერნია. ერთ-ერთი რაიონი იყო ტოლოშის რაიონი. ეხლა, რომელ წლიდან არ ვიცი, ოცდათორმეტ წლამდე იყო, შედიოდა 72 სოფელი, თათარი, ქართველი, მთელი ეს ნიალის ზონა, ვანის ზონა და ეს ხეობა, ზველ-ჭობარეთი და ეს ხეობა. კი, მერე გაასახლეს თათრები და დარჩა 19 სოფელი, მაშინ თორელთაც სოფელი იყო, შალოშეთიც სოფელი იყო. ეხლა უკვე ეგენი გასახლებული იყო. რაიონის მშენებლობა რო დაიწყეს, გაშენდა საავადმყოფო, მილიცია, გააშენეს და მომჯობინდა ქვეყანა, დახედეს რო ეს სოფელი რაიონს არ ეყოფა, იმიტო გადაიტანეს ასპინძაში, თორე ასპინძა რა სოფელი იყო, 20 კვამლი ციხესთან იყო, ისიც სულ თათარი. რო გასახლება მოხდა, მანდ ერთი რამდენიმე ოჯადი ხიზაბავრელები იყვნენ, რამდენიმე ოჯადი ერკოტელები, ტოლოშიდან კუნთო ძიას იყო ჩასული და რამდენიმე ოჯადი. თათრები რო გაასახლეს, რამდენიმე ოჯადი დარჩა. მერეც ერკოტა ჩამოასახლეს, ხალხი მივიდა, იმერლებიც ჩამოასახლეს, მთიელები ჩამოასახლეს და გახადეს რაიონი. იქამდე ტოლოშში იყო. გორიდან მოყოლებული ამ მხარეს, ქართლიდან მოყოლებული, ტეხნიკუმი აღარსად იყო და ტოლოშში იყო ტეხნიკუმი, პედაგოგიური, იყო ორი სექტორი: ქართული და თათრული. რო ადრე გაიხსნა, ამოდონა თათარსაც, მაშინ საბჭოთა კავშირი იყო, იმათაც ხო უნდოდათ, მაშინ კუდ ვერავინ ანძრევდა. დღევანდელი მასწავლებელი, ტოლოშში მოწყობილი, ოღონდ ახალქალაქ დამთავრებული იყო ვახოს ცოლი, რუსოი, ანეტაიც, ანეტ მასწაი.. ტოლოშის ტეხნიკუმი გადაიტანეს ასპინძაში, ასპინძიდან მერე ახალქალაქში, ახალქალაქიდან – ახალციხეში და გაუქმდა. რაც ტოლოშში იარსება, იმდენი ამ მოძრაობაში არ უარსებია. ეხლა ომიკო მასწავლებელ ტეხნიკუმი აქ დამთავრებული, ჩემ დას ტეხნიკუმი ჰქონდა დამთავრებული, უოჟოს, ავთანდილ ძიას, გივიას მამას, გოგილას. იმ მომენტში რაიონი რათ ჩამოყალიბდა ჩვენ სოფელში, ცოტა კულტურული ცხოვრება იყო აქა, დუქანი იყო, სასადილო, ცენტრი ადგილი იყო. ტოლოშში შედიოდა ორი ზონა: ნიალის ზონა და ვანის ზონა. ვანის შემოგარენში ქვეყანა სოფლებია, ნიალის შემოგარენში ქვეყანა სოფლებია. რაიონის საავადმყოფო ტოლოშში რო იყო, მე მახსონს, იმიტო რო ყველაზე გვიან საავადმყოფო გადავიდა, მანამ იქ შენობა გააკეთეს, 1957წელში გადავიდა. ტოლოშში იყო რაიკომიც და აღმასკომიც. საავადმყოფო გადაჭედილი იყო. 1938 წლიდან დედაი იყო პარტიის წევრი,

ძალიან ინგალიდი ქალი იყო ორივე მენჯიდან, უენადელად მუშაობდა, სოფელ-სოფელ დადიოდა, თათრი ქალები ჩადრიდან გამოჰყანდა, ჭკუა-გონება ისეთი ჰქონდა, რო ნულარ იტყვი, კაი ნასწავლი. დაჟე რაიონმა გაგზავნა თბილისში, რო წადი ისწავლეო, მოდის თაობები უმაღლესი განათლებით და... დედაი იტყოდა, რო ერთი ტელეფონი რაიკომის მდივან ჰქონდა, ერთი— მეო, ერთი ცხენი რაიკომის მდივან ჰყანდა, ერთი— მეო. დედაი დადიოდა სოფლებში, რო ხალხი ჩადრებიდან გამოეყვანა. ტოლოშის ხიდი რო გაკეთდა, ქალები ჩამოვიყვანეო ხიდის გახსნაზეო.

ადრე, თათარი რო შემოდოდა, ჩვენი ხალხი გარბოდა, ვერ უძლენდა. ეს ქრისტიანობა რო დარჩნენ, დიდი გადასახადი ჰქონდათ, მაგრამ გაუძლეს ამ ხალხმა და ი რომელი თათარიც, რო ვამონთ გვილიაი, მაგალითად, ვერ გაუძლეს და გათათრდნენ, რადგან მაგათ გადასახადი არ ჰქონდათ. ეებნოდნენ: გათათრდები — არ გადაიხდი, არადა — უნდა გადაიხადო! ურთიერთობა მაშინ დამყარდა კარგი, როცა მოხდა გასაბჭოება, რუსის ჯარი რო შემოვიდა და საზღვრები ჩაიკეტა. დედაი ამონდა: რაიკომი მდივანი ქართველი იყო, აღმასკომი თათარი იყო. გადასახლებაზე აღმასკომის თავჯდომარემ არ იცოდა, რონა გაესახლებინათ. ერთ ღამეში შემოვიდა და ერთ სუტკაში სულ გაასახლეს. ეს გასახლება როგორ მოხდა: დაგეგმა მოსკოვმა. ამ გასახლების ამბავი იცოდა მოლოტოვმა, ბერიამ და სტალინმა. ესლა რაც მოხდა, ეს ხალხი კი არ ეჯავრებოდათ, არა, ომი რო იყო 1944-ში, ლეინაკანში, პაპაშენი ლეინაკანში მუშაონდა, სტალინმა ლეინაკნიდან ვერ მოხსნა დივიზიები, რო გადაესროლათ ფრონტზე, თურქეთისა ეშინოდათ, თურქეთ ხელ უწყონდა ადგილობრივი მუსლუმანები, ამაგითი ხდებოდა დიდი პროვოკაციები, ხალხი გადადიოდა-გადმოდიოდა (საზღვარზე). ესადგილობრივ ხალხმა ისე შებოჭეს ამ დროისათვის მთავრობა, რო აქედან კაცი ვერ მოხსნა. დიდი ნაწილ ლეინაკანში იდგა, დიდი ნაწილი — ბათუმში. ვერ ენდობოდა მაგ ხალხს და მაგის გულიზე. მკველელობები ხდებოდა. როცა უკვე გაიპარპაშენდნენ, ხალხ ხოცანდნენ. ჰო, ესლა კი დღესაც მოდიან მაგათი შთამომავლები აქედან გასახლებულებისა, ჩვენაო მესხები ვართო, აქედან გასახლებულები ვართო, კი მაგრამისეთი რამეები აქთ მაგათ წინაპრებ გაკეთებული ჩვენ წინაპრებთან, ისეთი რამეები, იმათი მოსვლა აქ არ შეიძლება. ძველში 19 ახალგაზრდა დააყენეს და ნახოთო ბერდენკის ტყვია, კარაბინის, რამდენ გაუვლისო. აქედან ესროლეს, რამდენ კაცშინა გაეარა. იმისი გამკეთებლის ნაშიერი რაგორნა მოვიდეს აქა. ეს ხო ხალხ ახსონს, ისტორია ხო ვიცით, როგორც მე, ისე სხვამ. ტოლოშის ჰასან ბეგზე ერთი ეს ვიცი, რო საკუთარი წისქვილები ჰქონდა, საკუთარი მამულები

ჰქონდა. ჰასან ბეგმა ხალხი შეყარა, იეხლა ჩვენი კლუბი რო არი, მანდ იყო საცხვარე, კარგად მახსონს, გვითამაშია კიდევ. მანდ შეუყვრია ხალხი, მოსახლეობანა დაეწვა, ცეცხლინა მიეცა ბოსელში. ამასობაში ჰასან ბეგის სიძე ახალციხიდან მოდის და აწყურში ქართული ჯარია შემოსული, ჟორდანიას ჯარი. რო მოვიდა აქა, დაინახა ეს ხალხი. ჰასანო,— დაუძახა ამ კაც. —რა არიო? —ბიჭო, რას აკეთამო, ეს რა ხალხი შეგიყვრია აქა, ადექიო, მამალზე აჰკიდე შენი ვეშიო, მამალზეო...მამალზე რა ვეშინა დაეტიოს! ქართული ჯარი აწყურშიაო მოსული, უკვე ახალციხეშია შემოსული, გაიქეციო. მერე ამდგარა ჰასან ბეგი, ამ ხალხისათვის პური დაურიგებია, ობლებისათვის-ოხრებისათვის, ერთი-მეორე... მერე, ბოლოს, როგორც ამბობენ, გაქცეულა აქედან, ახალციხეში ყოფილა, ეთო პაპაი — ხოსროს მამა, მაგას უნახია და მოუკლიაო. რამდენად მართალი, მე არ ვიცი. აქაურ ხალხის ხოცვაში მაგას ჰქონდა მონაწილეობა მიღებული, ისინი უმაგისოდ ვერ გაინძრეოდნენ; თავის ხალხიც ჰყანდა აქა. ჩვენი საძოვარი რო არი, ჰასან ბეგისა ყოფილა, აიქ, ზევით, ქვაბისხევში ხარ ნამყოფი? ბაღის ზევიდან, იქ არის საცხვარეები, ჰასან ბეგის საცხვარე ყოფილა. ვეტუბანში ცხოვრობდა, მერე რო გაიქცნენ, ჰასან ბეგის სახლი გადაეცა მილიციას, მილიცია იყო მანდა. ბოსელი-რამე ჰქონდათ ციხედ, პატიმარი მანდ ჰყავდათ. მერე რაიონი რო გადავიდა, ეგ შენობა ვეტუბნად გადააკეთეს. ვეტუბანი იყო მანდა. ვეტექიმობა რო გაუქმდა, გენადის გადააბარეს. ეხლა გენად ბეგია (იციან).

ეს ჩვენი ხალხი რო გარბოდა, სვანეთისკენაც, იქ დაიწყეს ცხოვრება და სოფლის საპატივსაცემოდ გვარი გადაიკეთეს, დღევანდელი ტოროშელიძეები არიან აემ სოფლიდან, აქედან წასულები არიან. მუსხელი მელიქიძეებიც ტოლოშელები არიან, რეზოს ბიძაშვილები არიან, თემურაანთი არიან. ყველა მელიქიძე, რაც კი საქართველოში არის, ტოლოშიდან არიან წასულები: პტენაში, კოთელიაში, ბალანთაში, ვარევანში, საცა არიან, ყველანი არიან ტოლოშიდან.

ტოლოში უცხოვრიათ თუთაძეებსაც. დღევანდლამდის ის ამბავი მოსულა, რო ნადირაძეებ და მელიქიძეებ უცხოვრიათ ტოლოში. (მაჰმადიანების) გადასახლების შემდეგ ჩვენ სოფელში ჩამოსახლეს დავლაშერიძეები როკეთიდან. მანამდეც აქ მოსული არიან ზელათმოგვიდან ოთანაძეები, კაცი, რომელიც ნადირაძის ქალზე შემოსულა ზეციზედ. იმდროინდელი კანონის თანახმად, თუ კაცი ზეციზედ შემოვიდოდაო, უნდა დაწერილიყო ქალის გვარზე, რო ის მამული, რაც ჰქონდა, დაჰკანონებოდა ოჯახს. ჰოდა, ეს ოთანაძე, შემოსული, დაეწერა ნადირაძედ და ახლა მისი ნათესავები არის ნადირაძედ. ასე არის კიდევ და კიდევ ზეციზეები, მაგრამ ზოგ გვარმა არ დაწერა ზეციზე

თავის გვარზე. არიან აქა ივანიძეები, მოსული მეღიქიძეებზე... რაიონის მუშაობის პერიოდში მოდიოდნენ მასწავლებლები, სპეციალისტები, სხვადასხვა სამსახურის ხალხი და აქ რჩებოდნენ, ზოგი ქალი აქ გათხოვდა, ზოგი კაცი დაინიშნა და აქ დარჩა, სოფელი გამრავლდა, მაგ გვართ. ახლა არის სადღაც 23-25 გვარი.

ტოლოშის ტერიტორიაზე ბევრი ადგილი ირწყობოდა, სოფელი მთლიანად, ცენტრალური არხი გვაქ. ნარმანი ირწყობა ანაღურის წყლით, მარა მილახევი, მეღიხევი – გადმოცემით ასე არის, რო ურწყავი იყო. ტოლოშის წყალი, რომელიც ჩამოედინება და ჰქვია ხევაი, ამ ხევას გაყვანას კლდე უშლიდა, ისეთნაირად არის, რო ამ კლდიდან ვერ ატრიალებენ წყალს, ამისათვის საჭირო არის რო კლდე გაეხვრიტათ. ამას უნდოდა დიდძალი თანხა, ოქრო. მილახევი ყოფილა ქართველების ადგილი, ამ სოფლის მოსახლეობისა, თათრებ იქ ადგილი არ ჰქონიათ. დაუწყიათ ფულის აკრეფა, რო ხელოსნებმა მისცენ. ხელოსნები ყოფილან ბერძნები, გიგო პაპას ცოლის მამა და ძმები, თამარ ძალოს, ბერძენი ქალისა, ოთარ ძიას დედის სანათესაო, პაპა დაბიძები. გაუხვრეტიათ გვირაბი, რო შიგ კაცი ეტევა, შეძვრები-გაძვრები. ამით არხი გავიდა და ირწყევა მთელი ტერიტორია. ვიღაც ქართველებ ფული არ ჰქონიათ და ეს ტერიტორია გაუყდიათ, უყდია თათარ და დაუდია ფული. მაგედან ეგ არხი, თქვენ რო გაქო სახლი, ეგრე კრუგ არტყანდა, გადიოდა ქვაცხელიებში, ადგილი ირწყობოდა ქვედა მხარეს, უჭმელაანთ სახლი რო არი. აეგ არი მაგ ბაღების ისტორია.

ხერთვისის ციხისთავს ერქვათ მეღიქები. ერთ-ერთი გამოსულა, ტოლოშის ტერიტორია უნახია, ვენახი გასაშენებლად მოსწონებია ეს ადგილი, გაუშენებია ვენახი და თითონაც ბინად დასახლებულა, შესაძლებელია გვარიც იქიდან წამოვიდა. მეღიქი იყო თანამდებობა, ციხის პატრონი. წამოვიდა მეღიქ შვილებზე ძედ.

ამ სკოლი აშენებისას დონღუზაშვილი იყო პრარაბი, მეორე ძმა – სამშენებლო სამმართველოს უფროსი. იაშა მასწას პერიოდში გაშენდა ეს სკოლა. ეუბნეოდა: კარგი სკოლა გამიშენეო! –მეო, ჩემს სოფელში გლახა სკოლას გაგაშენამო? შენ თუ შენ თავ ტოლოშელად თვლიო, მეც ვარ ტოლოშელიო, ჩვენ აქედან ვართ წასულებიო, სარიშვილები ვყოფილვართო. მერე დონღუზაშვილები გადაუკეთებიათო. შემოსეგების დროს, ციხეში რო ჩაკეტილან, მტერი ვერ იღენს ამ ციხეს და ღორისთავი გადმოუგდიათ ციხიდან. დონღუზ, დონღუზ და დონღუზაშვილები დარქმევიათ. ეგ კაცი რო არ

ყოფილიყო სამმართველოს უფროსი, ეს სკოლა არ დამთავრდებოდა, მაშინ აირია ქვეყანა, თუ სადმე რამე მასალაჰქონდა, ყველაფერი აქ მოაყარა.

ხოსრო ძიას მამა ეთოი და ბიძა არტემი წავიდნენ გიმნაზიაში, მოეწყვნენ, დაიწყეს სწავლა, მაგრამ იმდროინდელ რეჟიმს ვერ გაუძლო ეთომ და გამოიქცა. არტემ პაპი დარჩა, დაამთავრა, მოვიდა აქა, მუშაობდა პედაგოგად, რუსულის გრამატიკა და რუსული იცოდა არაჩვეულებრივად, ჟოჟო ძიას ამბობდა, რო სიტყვას დაგიხატავდაო, გინდა თუ არა, უნდა გესწავლო. სპეციალისტი იყო. ეთოი კიდე გამოიქცა. მოხდა რევოლუცია. ეთოი აქეთ-იქით ჩაება და რომელიღაც რუს რევოლუციონერ დაუმეგობრდა და ქალაქ თბილისის კომენდანტი გახდა, მარა განათლება არ აქ, რაზე აწერს ხელ, თვითონაც არ იცის! ჩავიდა არტემი, რონა წამოიყვანოს თავისი ძმა. რო მისულა, უკითხია, კომენდანტურა სად არი, მიუუგნია. ეთოსთან არ უშვებენ, ხიშტიანი სალდათები დგანან. წადი, უთხარ რო არტემი მოვიდა, კარებზე გელოდება, მნახოს, მიმიღოსო. ასულან, მოუხსენებიათ: ესე-ესე... ერთი ამოვიდეს დროზეო. არტემი რო შესულა, ამ მომენტში მდივან ქალს შემოუტანია რაღაც საბუთები, რო ეთომ ხელინა მოაწეროს. ამანაც ხელი მოაწერა. არტემას უთქვია: რაზე მოაწერე, ეთო, ხელი, ექვთიმეო? – მე რა ვიციო, რაზე ვაწერ, არ ვიციო... –ადე, დაწერე განცხადება, სტოლზე დატოვე და წამომყევ, წამოდიო... გამოქცეულან. წამოვიდა აქა და დაიწყო პრარაბად მუშაობა. ასპინძაში აშენებდა მილიციას, დააკლდა ლურსმანი და თავი გაშენებულ კამერაში ეთოი შეაგდეს პირველი. სამამულო ომის დროს საქართველოში გაასწორეს 17 ტონა ლურსმანი და ფრონტზე გააგზავნეს. ჩავიდა. აპა, ესლა შენ გაასწორე დაგაგზავნე, თბილისამდე 17 ცალი არ ჩავა, დაიპარებენ. მაშინ ფრონტზე გაიგზავნა. მარშალ-გენერალი მშენებლობებს აკეთებდა... დედას ბიძა იყო ეთოი. დედაი იტყოდა, ისეთი იყო, ტიტველა ცხენზე რო ავიდოდა, ლეკურ რო ცეკვანდა, იტყოდიო, როგორაო, კისერზე გადიოდაო, კუდიდან კისერზე გადიოდა-გამოდიოდაო. მე რაც მახსოვს ეთოი, იყო კოჭლი, დამბლადაცემული, ფეხ ასე მიათრევდა, წნევას დაურტყია და ხელი და ფეხი გაუჩერებია. საკირელი ცოლი ჰყანდა, ბავშვები ჰყანდა: სამი ბიჭი და ერთი გოგო. ჰალა, სურათები ნახე! ვაჟკაცი კაცი ყოფილა, უღვაშები აქ დაგრეხილი, აქანდე გამოტანილი კოხტად.

ანიკა (ვენერა) გიორგის ასული მელიქიძე, დაბ. 1935წ. სოფ.ტოლოში:

კიკოლაანთი ვართ. კიკოლას ჰყანდა ორი შვილი: სერგოი და ლადოი. ესენი დაქორწინდნენ. ახლა მაგათ ეყოლათ შვილები. სამი ეყოლა პაპაჩემსა: სამი ბიჭი და ერთი გოგო. მეორე ამ ნოეს მამა იყო. მაგათაც ეყოლათ ერთი გოგო და სამი

ბიჭი. ერთი მამიდა გვეყანდა, რისო მამიდაი, გათხოვდა ექიმ კაცზე, აქ ექიმი ყოფილა. ეს კაცი ბოლოს ადგა და წავიდა. ეს ქალი დარჩა გაუთხოვარი, ორი შვილით. ამ ბავშვებ ეფერება, ეფერება, როგორ სუფთად ინახამს, უვლის, თვითონ შეუკერა იელაგები, იესეთი, როგორც იესლა. ადგა მერე და... ეს კაცი, შაქრო ძიანი არი ანდრეაწმინდელი, იყო ციხეში. დაჭერილი ყოფილა ე კაცი ციხეში და სოფელში აღარ შეუშვეს, რო მაგან ქალი მოკლა. რათ მოკლა ახლა ქალი? გოგომ პირობა მისცა, რო მოდი და წამოგყვებით. რო გაუდგნენ გზასა და – არა, მე არ მითქვია, ძალაზე მიგყანს ჩემი თავი. ამას (შაქროს) გული მოუვიდა და მოკლა ეს ქალი. ე კაციც დაიჭირეს. კაცის მკვლელიაო და იქ აღარ დაბრუნდა, მოვიდა ამასთან. რისო მამიდაი ხანში შესული იყო, შვილი უკვე აღარ ეყოლა. მერე აიყვანა ეს ნათელაი, სამი წლის ბავშვი და მაგან გაზარდა. პატარაი იყო, სამი წლის ბავშვი რა იქნება. მაზლისა არი. ამ ქალმა გაზარდა ეს ბავშვი, დააოჯახა, დააწვრილშვილა. შოთაიც მოვიდა ზეციზედ. ორი ძმანი იყვნენ თუ სამი ძმანი, არ ვიცი, მოვიდა და აგერ დარჩა აქა. ოჯახი ააგეს, ოჯალი შეიქმნა. ესლა ოჯალები აღარ იქმნება. ახლანდელეები? ჩემ მტრი კარზე! ვერც ოჯალ შექმნიან, ვერც ცოლ-ქმარი იქნებიან. დღეს გაყვება, ხვალ უკვე გარბის სახში. აესეთი ხალხია. შვილს არ აჩენენ. შევიარე ციურასთან, წავედი სოფლი თავიდან ბოლოში დაასე რო მივედიოდი, ესე იგი მაღაზიი კარზე ავივლიდი, ერიკაცები: ჭინოი, ჩინოი, ეფრემაი, მეფრემაი, სავსე! ადგილიც არ იყო, რო დამჯდარიყავი. ავიდოდი იაშაანთ კარებზე, იქაც ვატაი და იაშია. –გვიზიმოდლი (ბიძაშვილო), სად მიდიხარ?– ოთარას ეტყოდნენ. ახლა იქით ავიდოდიოთ, კიმოთეენტან, გამოსული არიან: ახალგაზრდა, ბებური... ავიდოდი ფორიას კარებზე, იქით ფორიაი, იქით ჟოჟაი, იქით ლომის პაპაი. გოგოჯან, აქედან ციურაანთან ავედი და კაციშვილი არა! ოთარას ვითხარი: აქედან სოფლი ბოლოში ავედი და ერთი კაცი აღარ იყო, ოთარ! ისე გული დამეწვა... სადღაა სოფელი, გაქრა! ნატამალი აღარ არი. ერიც მოისპო, თითქმის მოისპო. არავინ თქვას, რო თბილისი თბილისობს. ძველი ხალხი წავიდა, ახლებიც აღარ არიან. გადარიბდა ქვეყანა, სულიერად გადარიბდა. სახლიც კარგია, კარიც კარგია, განათებაც, შუქიც, მარა ადამიანი აღარ არი, მორჩა!... ნაზიკოი ხო გახსომს, ჩვენი. ანეტას ანეტ მამიდას ეძახდა. მულსაც, შილსაც, დედამთილსაც: ჩემო მულო! ქალბატონო! ქართული წესია ასე, შვილო. იმ უბანში მოხუცებულებს დიდდედას უძახოდნენ. ახლა... ქართველებმა აგრე უნდა ჩაიცვან, აგრე უნდაიცეკვონ? ოხრად დარჩეს! ი წიგნებში აგრე ეწერა, რო კითხულობდნენ. სად ეწერა, რო... საავადმყოფოში ვიყავი და: თქვენ თათრები ხართო! ვუთხარი: თქვენ წიგნი იცით? ისტორია ისწავლეთ? ჩვენ ვართ თათრები?

ჩვენ სუფთა ქართველები ვართ, მესხეთის შუაგულიდან ვართ. ლიტერატურა ჩვენ ენაზეა დაწერილი. ვინ არი თათარი?!... მარტო ტუჩებ გაიპომადენდნენ, ლოგინსაც ისევე გადააფარამდნენ, კი არ ააღაგამდნენ, ჩავიდოდნენ, მთელი დღე ქუჩაში ეყარნენ. მოუტანეს ახალი ქოშები (ერთ-ერთ პაციენტს), დედამთილმა თუ ვიდაცამ მოუტანა და ჯორივით ჩაჩქვლიტეს ახალი, და ისე წავიდნენ ქუჩაში. გოგო, სირცხვილია, მარტო შენი ოჯახისა შეგრცხვეს, მეტი არაფერი. ეგრე როგორ შეიძლება? უმძრახობას მოვესწარი. დედამთილსაც ეუმძრახებოდნენ, მაზლის ცოლსაც, განსაკუთრებით დედამთილ-მამამთილს. ახლა რო უმძრახად იარო, იტყვიან დებილიაო. ახლა ვერ ეღირსებიან მაგისტანა ტკბილ ცხოვრებას. ტელევიზორმა და ტელეფონმა გააფუჭა ყველა, იქიდან გადააქვთ ყველაფერი. გული მამდის, თუ იქიდან ყველაფერი გადაიღე ევროპისა, შენსას რატო კარგავ? შენი სიმღერა იმდერე, შენი ქართული იმდერე. რანაირიკაი სიმღერები იყო უწინა! ყველა იცოდა ოთარამა, რაც გამოვიდოდა ახალი, ყველა სიმღერა იცოდა.

– რას გიმღეროდა?

– საერთოდ ყველაფერი კარგი იცოდა, კაის მღეროდა. ეხლა მე ვუმღერე ჩვენს კოლასა. ფოშტაში ვზივართ: მე, ოთარაი, ოქროიც არი რაღაცა... ეს კოლაი წერამს, წერამს...შუადღეა. სამუშაო ბევრი აღარ არი. კოლას ვუმღერე: „უამი დადგა აღსასრულის,ტკბილი სული ამოგივა...მაგ შენს თვალებს მიწა შეჭამს,წამწამებიც ჩამოგცვივა!“

მეხი შენ დაგეცაო, – კოლას ლამის ტირილი მოერია – საიდან მოიგონე, საიდან გაგახსენდა? – კოლა, აპა რა არი, სულ ვმუშაონთ, ჩვენ კარგი არ გვინახია... რამხელა ვიცინეთ მერე, რამხელა ვიცინეთ... ჩვიდმეტი წელი ვიმუშავე ფოსტაში, ერთი-ორი წელი, სკოლის ბუფეტი გახსნეს, ვიმუშავე... ერთი-ორი წელიც გესში ვიმუშავე, მორიგედ ვიყავი, ბიჭებთან ერთად, წყალს დილით ვუკლემდით, საღამოთი ვუმატენდით. წყალი რო გადადიოდა, ოთახისხელა ბასეინი იყო, ავიდოდი, წყალს რო მოვკეტამდი, გამოვუშვენდი არხისკენ, იქა პატარა ლიფსიტები, აემხელა ლიფსიტები დარბოდნენ. წავიდენდი, ერთი ორჯამიანი მიმქონდა სახში, მოვხარშანდით, ვჭანდით. ერთი დღეც გავიხედე, რო ეს კლუნი რო დავტოვე იქა, მოვუშვი, მოვუშვი, გამოვუშვი არხისკენა, იქ წყალმა დაიკლო, თევზები ფართხალებენ. მანანაიც პატარა მყანს, წავიდენდი, ბასეინის თავზე დავაგდენდი ტელეგრეიკასა, დავაგორამდი ბავშვსა, ეს აიმ ტელეგრეიკაზე გორაომდა. თან მეშინოდა, რო ცოტა პატარაი იყო. ეს ბასეინიდან ეს კლუნი არ მამპარეს, გოგო! დედაა, ახლა რაღა ვქნა, რო ჩავიდე, მეჩხუბონნა, მეჩხუბოს, რო რა უყავი კლუნი, კლუნი დაკარგე შენა! ჩამოვედი,

ოთარას ვუთხარი, რო ვილაცამ კლუნი ამაცალა. არავინ არა, ვასოი აგაცლიდაო. რო მამქონდა თევზი, ვერ აიტანა ამ კაცმა, შეშურდა. არ დამიბრუნა. ახალქალაქის მხარეს რო ფანჯრებია, იქ დიემალა. ვითომ არ იცოდა. ღამის მორიგეც ვიყავი ბიჭებთან ერთად, კაი ხალხი იყო, ხალხი კარგი იყო მაშინა, ძალიან კარგი, პატიოსნები, გამტანები. მოვისხამდი ღამე ტელეგრეიკას, თავშალ-რამესა, შევიფუთამდი, რო ამხელა ზალა არი, ცივა. არ გვანთებინებდა პლეტასა, ციოდა, ფეხი არ შეიძლებოდა. ცივ მაგიდაზე ვიჯექით ზამთარში, როგორი იყო... წავიღენდი ხელის საქმესა, ფანჯრებ ვკერამდი, ძველი პალტოები რო იყო, ნაბადს დავეღენდი ძირზე, რო რბილი, თბილი ყოფილიყო, ვქსოვდი... ნაზიკოს მამამთილ ვუქსოვდი წინდებსა, ჭინო პალუშია, შენ არ იცი. ხოდა, გავიხედე, გოგო, რო წამძინებოდა... გავიხედე, რო წინდა აღარ მაქ. ვასოი გვამოწმენდა ღამე. ნახო, რო გამოაღენდა კარებ, შემოისუსებოდა, ხო არ სძინამთო. მერე რო გამოვიდა სამსახურიდან, ვუთხარი, არ იყავი კაი კაცი, სულ ჩხუბომდი-მეთქი. რა მექნა, მეც უპატრონო ვიყავი და ამხელა ორგანიზაცია მეზარა და მეც მეშინოდაო; იმიტო ვიყავი გლახაო. საქსოვი მამპარა და ფანჯარაზე შეეტოვა. გამექცა თვალი, რო იმ ფანჯარაზე დაუტოვია. არც თქვა, რო ჩამოვედი, გეძინა, მოგპარე, დავმაღე, არა! მივხვდი. მერე ვეღარ ვიძინამდი, მეშინოდა, რო არ ჩამოსულიყო და გიელანძა. თეთრად ვათენემდი, გავდიოდი ამხელა ზალაში, გამოვდიოდი, გავდიოდ-გამოვდიოდი. იმხელა პოლს მოვწმენდამდი ცივი წყლითა. ცემენტის პოლი იყო. იმასაც მამოწმენდა, რო ღამე მორიგედრონა ჩავსულიყავი, წინდაწინ ვიძინამდით ჩვენა. თურმე შევედი, დავიძინე. ოთარას დიშვილი იყო ჩამოსული ჩვენსა და... კიბეებზე ჩაიარა ვასომაო. ვერ დაინახეო? აქ შემოვიდაო. თურმე რო შემოვიდა, დაინახა, რო მე მძინამს, გაიარა და წავიდა... მორიგე რო ვიყავი, რო გამეძლო და არ დამძინებოდა, იმასაც გვიმოწმებდა. სტროგობა იყო მაშინა. მერე გვქონდა ლაპარაკი, ოთარას ნათესავი იყო და... რა მექნაო, მეც მეშინოდაო. ყოველ ღამე ჩამოდიოდა, განა მარტო ჩემ მორიგეობაზე? ყველას, სამი სმენა იყო, სამივეზე ჩამოდიოდა.გასახარი? თევზ რო ვიჭერდი, მარტო ეგ იყო მანდა. მერე გადმოვედი აქა, აქაც სმენა იყო (ფოსტაში). დილით აღრიანად გავიპარებოდი, რო ძროხებინა მამეწველა, მანამ ხალხი აშლილიყო და ტელეფონი დასჭირვებოდათ. ხანდისხან ჩავიდოდი, რო გოგიაი ამდგარა და წველამს, დაუმთავრებია. ბავშვობიდანვე, ფეხი რო მოტეხილი მქონდა, ლენას და მზიას ვუძახდით, ერთი დღე, ორი დღე და... ამ ბავშვმა იფიქრა, რამდენ ხანს უნდა ვუძახოთ სხვები, იქიდან იცის, ახლა გოგიათ ყველაფერიც იცის. ახლა რო პენსიაში გავდივართ, სონაი მეუბნება, რო გიხარია? –ვაიმე, როგორ არ მიხარია, სონა, მაინც

დავისვენამთ, მაინციმედი აღარ მექნება, რო სამსახურშინა გავიქცე, სამსახურში მექარება! – ეეე, ჩვენ აღარაფრად ჩავგოვლიან, ბლატები აღარ გვექნებაო. – კარგი!... ერთი დღეც მოვიდა მაღაზიაში ზეთი და ფქვილი, ნაწილდება. ჩახოს ჯული ეხმარება ნადიას, ლეილაიც ეხმარება. მე და სონაი ასე ვდგავართ, ფანჯარაზე მიყუდებული, რო ნახო ჩვენ როდის მოგვიწევს. ვინ არი ჩვენი დამძახი, მამკითხი, რო მოდით, თქვენც აიდეთ. სანამ ყველა არ მორჩა, ჩვენ არავინ დაგვიძახა.

დედაჩემი და მამაჩემი გააგზავნეს გულსუნდაში, რო ბინებს უყარაულეთ. თათრები რო გაასახლეს, ბავშვი ვიყავი, ასე 11-12 წლისა. ესენი აღგნენ და მიდიან. მე დამტოვეს სახში. კარგით, თქვენ ნახოთ და მე არნა წამიყვანოთ, არა?... გავახვიე ხოჭიჭი, მივდივართ და თან ვეუბნევი, რო უკან არ დამინახონ. ცოტა რო წავლენ, მიყვები, წავლენ – მიყვები, ასე ნაწყვეტ-ნაწყვეტად ვიარე. ერთიც რო მივიდნენ კარებზე, მეც მივედი, ბავშვით ხელში მივედი. უიმენ, დედაა, შენ ჩვენ მოგვდევდიო. თქვენ მოგვდევდით! თათრები რო წავიდნენ მაშინ. ის თათრები დღევანდელ ქართველებს ბევრად ჯობდნენ. ერთი კაცი იყო სოფელში, რო კაცის მკვლელიაო და გლახა თვალით უყურამდნენ. სახელები? თათრებისა? გვილიაი – ერთი, ფეზულა ბეგი – ორი, ჯამალ ბეგი – სამი, ხაილისაი – ოთხი... ჩვენთან კავშირი ვისაც ჰქონდა. მაღაზიის ზემოდან, ეკლესიის ზემოდან სულ თათარი იყო, აემ კუთხეში, აქაც ქართველები იყვნენ, 40-50 კვამლი ან ვიყავით, ან – არა. ჩვენ მაშინ ბავშვებ არ გვიშვემდნენ, ამხელა გასაქან არ გვაძლევდნენ, დაგვეკრა ფეხი და იმ თავში ავსულიყავით, ან ისინი ჩამოსულიყვნენ. სკოლაში თათრები ცალკე სწავლობდნენ, ცალკე სკოლაჰქონდათ. თათრები მოდიოდნენ, მამაჩემის ამხანაგები იყვნენ, ღამე შეიყრებოდნენ, ზღაპრებ ჰყვებოდნენ, საზზეც მღეროდნენ, როგორც ძმა, ისე უყურამდნენ მამაჩემს. ბაბუაჩემი წავიდოდა მთაში, ღამაზად ბაბუაჩემს მიიღებდნენ, ადგილ დაუთმობდნენ, რო ლოგინი დაეგო და დაეძინა. მეც უკან დავდევდი სულა. მთა ჰქონდათ შალოშეთში, ვანში, ბუზმარეთში. სოფლები იყვნენ მანდა. გაასახლეს ვანიდანაც, ბუზმარეთიდანაც, ყონდარიდანაცა. ბაბუაჩემი ვანში და ყონდარაში იყო, იქ მიდიოდა, ამხანაგები იქ ჰყანდა. დიდრონ ჭალები იყვნენ და ბაბუაჩემი იტყოდა, წადიო, ის ხბორები ამორეკეო, აის ყვავილიც მოკრიფე, შვილოო, კაი ყვავილია, ხველების წამალიაო. რაც თვითონ იცოდა, თვითონ მოჰკრიფენდა, ბალახ-ბულახ წაიდენდა-ხოლმე. სახში ჰქონდა სულ წამლები, ხველებისა იყო, მუცლი ტკივილისა იყო. იცოდნენ მაშინდელმა ხალხმა, ჰქონდათ თავიანთი მედიცინა, თავიანთი სოფლური მედიცინა ჰქონდათ. წყალი მედგა აქ მუცელზე მე. ტყირპიაო, – ბაბუაჩემი ტყირპ

ეძახდა. რო შემოვიდოდა და საქონელ დასწველიდა, ბუხარში მეძინებოდა, შემოვიდოდა, გამადვიძენდა, ბუმბულის ლეიბი ჰქონდა, დააგენდა, გადააბრუნ-გადმოაბრუნებდა, დიდი ბალიშიც ჰქონდა, გააფუენდა, აიღენდა სქელ ნაჭრებსა, თავშალი იყო თუ ძველი ტელეგრეიკა, იესე დააფენდა, გუგუმს დაადგამდა, შეფუთნიდა ლამაზად, რო არ გადააბრუნებულყო, აესე, აესე ამ ქალმა ეს ტყირპი დამიშრო, აგრე მიმკურნალა. ახლა დასასვენებლად ვიყავი პიცუნდაში, ხოდა გავხდი ერთი ღამე ცუდად და თეთრად გავათიეთ მე და ექთანმა. ჩავიდა ექთანმა, მოახსენა, რო წუხელისო ქალი ცუდად იყო, მთელი ღამე გაათენაო. მეორე დღითაც სოჭაში მივდივართ ექსკურსიაზე. მე ვთქვი, რო იესლა ამათნა დამსვანნა და მე ამათ ვუყურო? არა, მენა წავიდე, რო მე სოჭას ვილა მანახამს. ავდექი, დავაჭირე, წავედი. იქიდან მოვედი, რო მეორე დღით დამიძახა ექიმმა, რატო იყავი შენ ცუდათაო. რა ვიცი, მუცელში გამიქვავდა, ჭყრიალი გაუდის მუცელს და მტკივა იესე. რო მტკივა გლერკას დავიტოვამ და მივლის, ცხელ აგურს დავიტოვამ და მივლის-მეთქი. ამას ვაკეთემდი-მეთქი. ამ რუსის ქალსა (ექიმს) ექთანს ჰყავს ქართველი. მითხრა, ბავშვობაშიო მუცელი ხო არ გტკიოდაო. კი, მტკიოდა-მეთქი. წყალი ხო არ გქონდა შენაო. მქონდა და ბაბუაჩემი იესე-იესე მიშვრებოდა მეთქი. ამ რუსის ქალმა გამიგო, მე რა მქონია ბავშვობაში. აი, ექიმი-მეთქი. როგორ გამიგო! ხო არაფერი მონაცემები იმას არ ჰქონია, არც ანალიზები, არც არაფერი, პროსტო რო მომაცოლა... პალატის ექიმი იყო სომეხი კაცი. იმანაც აფხოდზე ჩამოიარა: არაფერიო, ეგაო, სადინარები დაკეტაო, ველარ გადავიდაო და ნუ გეშინიაო. რა ვიცი,- მე ვუთხარი,- ოთხ-ოთხიბავშვი მყანს, წამოვედი, რო ვიმკურნალო და კარგად ვიყვებ, თუ აქ ცუდადნა გავხდე... ნუ გეშინიაო, ეგ მაგი ბრალი იყო, წყლისა.

თათრები გასახლება როგორი იყო... აკეთემდნენ გზებს. დიდრონი მანქანები შემოვიდა, ზილები ერქვა თუ რაღაცა. ჰოდა, რაღაცაშია საქმე. ჩვენ გვიკეთებენ გზასა, რო კეთილმოწყობილი იყვეს თუ... მამაჩემმა თქვა: აქ რაღაცაშია საქმე. კარგიო, მაგრამაო, ვერ გაგვივია ვერავისგან, რო რა ხდება, სოფელში რანა მოხდეს. ხოდა, რო დაიწყეს გასახლება, შუქები ჩავაქრეთ სახში, ჩვენ ფეხზე ვართ, ფანჯრებზე ჩამოვაფარეთ. თურმე თათრები არნა გაასახლონ? რა დაგვაძინამს, მანქანების გრიალი, მეღიცი, პოლიცია, სამხედროები... გვეშინია, არ გაიგონ, რო ჩვენ გვძინამს. რაღაც ამბავია... ერთი მოხუცებული იყო, ვატას მამა, ადგა ამ კაცმაც და მელოს იქიდან ვცხოვრომდით, მიტუშაანთა, ადგა და ჩამოიარა და სუყველას გადაგვიკეტაგარედან კარები. ადგნენ, მიადგნენ კარებ, რო კარები გადაკეტილია გარედან. ეს მამაჩემი სადღაც იყო, ალბათ გაგზავნილი იყო სადმე. ესენი ჩამოლაგდნენ, იესლა კოტეს და დათიკოს

სახლები როა, მანდ თათრები ბადი იყო, დატვირთეს მანქანა. ყველას უფლება მისცეს, რო ერთი მანქანა რაც გინდათ, ის წამოიღეთ. რაც შეიტყვა, წამოიღეთ ეგა. დატვირთეს, გაემზადნენ. დილით აბა, გაუშვანნა ეს ხალხი. მერე გაგვიღო ამ გიორგი პაპამ კარები და გამოვედით. გამოვედი რო, იქ რო დაუყრიათ ეს ვეში, გაუთენებიათ, იქ ყოფილან დაბანაკებული... სანამ ამათ გაასახლამდნენ, ერთ ქალმა დედაჩემს მიუტანა ოქროები და აკვანი: ბევრი ბავშვები გყანს შენაო და იეს აკვანი დაგჭირდებაო და იეს ოქროებიც შემინახეო, ვაითუ, სად წავიდეთ, სად დავიხოცეთ, სად რამეო და თუ მოვედით, ხო მომცემო, თუ არადა – შენზე ალალი იყვესო. ამ დედაჩემს ეთქვა, რო აკვანს დავიტოვებ და ესენიო (ოქრო) წაიღეთ თქვენაო. ვერ წავიდეთო. ადგა დედაჩემმა, ამსიგრძე ზომა აუღო, მაშინ რო ამერიკები იყო და ეს შეუკერა, ესენი შიგ ჩატოვა, მიაკერა, დაამაგრა, ორმაგი გაუკეთა და შემოაკრა წელზე ეს ოქროები, გაატანა. არ იღებდა თურმე, ვაითუ სადმე რამეო, იქნებ მოვიდეთ ისევო და შენ მაინც გქონდესო. თუთაძეები იყვნენ ეგენი, მახსოვს. რონა გაესახლებინათ, მაშინ გახშიანდა, რო ესენი თუთაძეები არიან, არევ-დარევის დროს გადიკეთეს გვარი. ეხლა რო იძახიან თურქი მესხებიო, აი, ეგენია. მაგ დროს შეიცვალეს მაგათ გვარები. სად ცხოვრობდნენ, იცი? დგება ოთარაანი რო ცხოვრობენ, მანდ ცხოვრობდნენ ეგ ხუთი კვამლი. დანარჩენები ლამარაანი რო ცხოვრობენ, ბაგრატ ძიანანი რო ცხოვრობენ, ლოლაანი, მანდ ცხოვრობდნენ, მაგი ზემოდან. ეკლესიის ზემოთ და ბაგრის მხარეს სულ თათარი იყო. რა გვინდოდა, არ გვიშვამდნენ, ჩვენი სათამაშო იყო წითელ ბურთებ გაგვიკეთამდნენ ნაჭრით. ზოგიც დააჭრელამდა, რო ლამაზი ბურთი მე მათქ. ვთამაშონდით. ორმო გვქონდა გაკეთებული, გააგორამდა, ვინ ჩააგდენდა მასში. კაკლობანას ვთამაშობდით, დაჭერობანას ვთამაშობდით. ჩვენი ბავშვობა ეგ იყო, ჩვენი თამაშობანი ეგ იყო. დედამ მითხრა, რო ჩემზე წინ და ჩემს მერეც ბიჭი გასჩენია და ორივე მოჰკვდომია. ქორწილი ყოფილა, ონისიმ ძიასი, მისა ძიანი ხო იცი, მაგისი უმფროსი ძმისა, მამაჩემი ყოფილა ნათლია, ჯვრის ნათლია მაგათი. ეს დედაჩემიც წაუყვანია, ახალი პატარძალი ყოფილა, სამი ბავშვი რო ეყოლება, ახალი პატარძალი. ეს ბავშვი მოკვდომია, ერთიც მოკვდომია, მეორეც. მამაშენმაო ისეთი კუკლა მოგიტანაო, ძალიან დიდიო. ისე ჯავრობდიო. კუკლა იმიტო, რო შენ დაგვიწყებოდა ბავშვები და იმაზე ერთობოდიო. ცხრა შვილი ეყოლა დედაჩემ, აქედან ორი დაეღუპა, შვიდი დარჩა. მაშინ აჩენდნენ, შვილო, აჩენდნენ. იეხლა ცხრა შვილსა ცხრა ოჯალი ვერ აჩენს. ამიტომ გავდარიბდით. იტალიელ გაჰყვა, ინგლისელ გაჰყვა, რუს გაჰყვა... მაშინ ხო ფრანგები იყვნენ ხიზაბავრაში, ქალსა არ მიათხოვებდნენ ფრანგებსა, სირცხვილი იყო. მაგრამ ორი ქალი იყო მანდა ტოლოშიდან. ერთი

მოსე პაპა იყო, ბაბაღეს ქმარი, კუწიას რო სახლები აქ, მანდ ცხოვრომდნენ ბებერ-ბერიკაცი. მოსე პაპაი იყო მისას ნათლია. მერე ამ ონისიმემა, სამი ბავშვი ჰყანდა, საქმე დაიჭირა ერთ მეგრულ ქალთან. ტოვებს ამ ბავშვებსა, ეყრება ამ ქალსა. ეს ქალიც ჭობარელი იყო, ცოტა კოჭლი იყო, მარა კაი ხაზიკა ქალი. ეს კაცი ტოვებს. ამ ქალმა მოხვია ამ ბავშვებს ხელი, სამივე ბავშვსა, ჩაიყვანა რაიკომის მდივანთან და უთხრა: სამ-სამ ბავშვ მიტოვებსო, ვერაფერი გაგაგებინეთო, არ ვეცოდებით, არაფერი შესდის ტვინში და თქვენ თუ რამეს დაგვეხმარებით, რო დაუბრუნდეს თავის ცოლ-შვილსაო. ამ კაცმა არაფრით არ ქნა. ეს ამბავი ამ ქალმა თვითონ მამიყვა. არ ქნაო. მერე მე ვთქვიო: შენ ხო ასე გამამწარეო, სამ შვილ ქუჩაში მიტოვებო და ვიღაცასთან მიდიხარო, ავდგებიო და თავის ძმას უნდა წავეყვე ცოლადაო. ამ ქალმა იფიქრა, სირცხვილია, მაზღს როგორნა წავეყვეო და ავდგებიო და ნათლიას წავეყვები ცოლადაო, მაგან რო მე გამამწარაო, მეც ასე გავამწარამო. ამ მეგრულ ქალსა ჰყავდა გერი, ქმარდატოვებული იყო და გერი მოჰყვა. ბაბაღესაც, პირველ ცოლსაც, სამი შვილი. ერთი შვილი ამ მეგრულმა წაიყვანა, ონისიმეს შვილი და თავის ძმას წაუყვანა სამეგრელოში, უშვილო იყო. ის შვილი გახადა საჯაია, თავის საკუთარი შვილი კი გახადა მელიქიძე. გაცვალეს ესე იგი. ამას (ბაბაღეს) ერთი მოუკვდა, ერთიც რუსთავში ცხოვრობდა. ამ ნათლიას რო დაატოვებინა, ამასაც ოთხი შვილი ჰყანდა. დიდი არევ-დარევა მოხდა მაგ ოჯარში, დიდი უბედურება მოხდა. მთელი სოფელი, მთელი ხალხი ფეხზე იყო. შეუწნდა ეშმაკი, სამიშვილი დატოვა ქუჩაში. მოპარა ჭკუა. მოსეი და ბაბაღეი, გაიოზას შვილი რო ცხოვრომს, მანდ ცხოვრომდნენ, ოჯახი მაგათ მანდ ჰქონდათ. მერე ეს ქალი რო შეირთო, კოკოლია შურამ რო სახლი გააკეთა, მანდ ფერმა იყო, ცოლ-ქმარი იყვნენ და მუშაომდნენ, სარგებლობდნენ, ადგნენ და აქ გააკეთეს ორი ოთახი. მანდაც იყო თათრების ფაგები, მერე კოლმეურნეობის საწყობი გახადეს, შიგ ღვინოც დაწურეს, თაფლიც შეიტანეს, თაფლი გაანაწილეს ხალხზე, ხორბალიც გაანაწილეს. ეგ ფაგები დარჩა მაგ მოსეს, მაგან სახლ-კარი ააგო, მისცა შოთას ბიჭსა.

საქონელი გვეყანდა მაშინა. ერთი კამეჩი, ერთი ძროხა, ცხენი აუცილებელი იყო. ღორსა? ღორი არა, თათრები ცხოვრომდნენ მაშინა და ვერ ვინახამდით. მაგათ შიშითა. ხათრი გვექონდა, ეგენი ღორის ხორც არ ჭამდნენ. ეგენი რო გაასახლეს, ღორი მერე შევიძინეთ ჩვენა, მერე ვჭამეთ. ვკლანდით და მერე ვჭანდით. მანამდე ჰკლანდნენ ძროხასა, დეკეულსა. ფასტურმა! ფასტურმასაც რაზე ჰკიდემდნენ, იცი? თუთის ხეზე აიტანდნენ, ჩამოჰკიდამდნენ, რო შემარილამდნენ რამე. მაღალი ის ჰქონდათ, კარებები, რო ჩამოჰკიდამდნენ

ფარდულ-მარდულები. გაახმოებდნენ ხორცსა და ფასტურმა იყო. ღორს ვერ ვინახამდით. ჯერ ვერ შევინახამდით და გარეთაც ვერ გამოვუშვემდით. ნადონი ხო იცი? მაგის დედა თათარი ქალი იყო, ოლადიდან, მაგი ქმარი ოლადაში მუშაობდა, ბაგრატას ძმა, ბუღალტრად. ეს ქალი მოეწონა, მაგრამ ბავშვი ჰყანდა. წამოიყვანა ეს ქალი და ბიჭიც. აქაც ხუთი შვილი ეყოლა, მაგრამ თავის ადათ-წეს არ თმობდა. პატარა ქალი იყო, მაგრამ ლამაზი, მოვარდისფრო სახე ჰქონდა. მე და ლილიაი ვამხანაგობდით, ერთ მერხზე ვიჯექით, ერთად ვსწავლობდით. ქოხი ჰქონდათ და ქოხში ვართ. ეს აზამათაი მოვიდა სადღაცოდან და იძახის: ჭურჭელი სულ გაუბინძურებიათო. პეტრე ძიას ღორის ხორცი მოეტანა და... მივდიოდი-მოვდიოდი (მაგათთან), ზემოთ ჰქონდათოდა. ლადიკოს სახლებში ცხოვრობდნენ. მანდ ცხოვრობდა ბაგრატ ძიანი, სიროს მამა სანდრეი, ლადო პაპი, იაშას მამა. ახლა აქეთ ცხოვრობდა ოლიჩკ მამიდაი, კიდე იოსებაი, ვატას მამა. იმის იქითაც, ზედ კლდეზე, ბაგრატ ძიას ჰქონდა ერთი ოთახი. თათრები რო გაასახლეს, მერე მელორეობაც იყო, ნახირი დადიოდა ღორებისა. მწყემსები შალაშეთში წაიყვანდნენ, სადამოთი მოსთოფლამდნენ, წამოიყვანდნენ. მიწა? ოცდახუთი მეასედი მიწა იყო გლეხისა, თხუთმეტი მეასედიც – მოსამსახურისა. ესეც როგორი მიწა შეგხვდებოდა: კლდიანი იყო, ღრიანი იყო, ბალი იყო, ირწყევებოდა, არ ირწყევებოდა... დედაჩემი წაიყვანდა ცხენსა, ხარნებში გაუტენამდნენ ბზესა. აქ გვქონდა საბძელი, საბძელში ჰქონდათ ცოტა თივა, რო ერთი ძროხა რო ჰყანდათ, რო მოიგებდა, ამისთვის ეჭმიათ. ფოთელს ვაგვიდით მე და ბაბუაჩემი, ჩავყრიდით, ჩავყრიდით. ი საბძელი გავამსეთ, რო ზამთრისთვის სარჩო იყო. დედაჩემიც წავიდოდა, რო ხარანს ჩამოიტანდა. წინათ ქსოვდნენ ხარანს. ბაბუაჩემი ჩამაგდენდა, რო ჩავქელანდი. გააღენდა საბძელი კარსა, ავურევდით-ჩავურევდით თივასა და ბზასა და საქონელ შემოვუტანდით.

ჩემი დედაშვილების მამა ომში დაიკარგა და ჩემი დედაშვილები აქ სწავლობდნენ. ოთხი დები და ოთხი ძმები იყვნენ დედაჩემის სამშობლო. ძლიერი გვარი ჰქონიათ. იაშაანთ სახლები რო გააკეთეს და კაკლები ურგიათ, მაგათი მამა-პაპის ჩაყრილი ყოფილა. როცა გაქცევებზე წავიდნენ, მერე იქ, სადღაც, კახეთში, აქ დასახლდნენ, იქ დასახლდნენ, ესძმები დაიქსაქსნენ, ზოგი თბილისში, ზოგი-ბორჯომში, ზოგი- ხაშურში. აქამდე ვეღარ მოაღწიეს. დებიც: ერთი ზველში გათხოვდა, ერთი- ჭობარეთში, ერთი- ტოლოშში და ერთიც- სოფელში, ვარევანში. ვარევანში რომელიც იყო, ქმარი აღარ ჩამოუვიდა, რა ექნა, ერთი საწყალი დედამთილი ჰყანდა და ორ ცხვარს სწვევლამდა, იმით ყველს აკეთებდნენ და იმით რჩენულობდა. ეს დიდი ბიჭი, რომელიც ახლა

ესტონეთშია, ბებოს გაზრდილია. დეიდაჩემი რო მუშაონდა, ბავშვ დაუტოვემდა, უფროსი შვილი იყო და ეს ბავშვი ბებიამისი ზრდიდა. რა მისწერა, იცი, თავის დასა? მე რო მოგვედებო, აქაო სწვამენო და მეო ჩემ შვილიშვილ დაეუბარებო, ჩემი ნეშთი გამოგზავნოს და ბებიანჩემთან დამმარხეთო. აი, როგორ უყვარდა. აკურატული ბიჭი იყო, მომწონი, ვოვაი ერქვა. ისეთი პოჩერკი ჰქონდა, რო ხატამდა. მაშინ ხო ლოზუნგები გამოდიოდა, სუ მაგის ხელით უნდა ყოფილიყო. აქ რო სკოლაში მოწაფე იყო, მაგის ხელით კეთდებოდა ლოზუნგები. დაამთავრა თუ არ დაამთავრა საბუღალტრო, რაიკავშირში ბუღალტრად მუშაობდა. მერე ცოლად შეირთო იაშას მამიდაშვილი. ცოტა კაპრიზნი იყო და იოლად ვერ წავიდნენ. ამ კაცსა უჩივლეს და წავიდა ციხეში. ციხეში როგორც ბატონი, ისე იყო, კაი ბუღალტერი იყო და... ამ ქალსა აქ შვილი დარჩა, ეს შვილიც მოუკვდა, ავარიში მოჰყვა ეს ბავშვი, ეს ქალიც მოკვდა. ესტონეთში დარჩა ვოვაი, ცოლი შეირთო, ორი ბიჭიც ეყოლა. ჩამოიყვანა აქა, აიყვანა სკოლაში, ამ თავის ცოლ-შვილ ანახა, ეს სკოლა მაქ დამთავრებულიო, ძველი სკოლა იყო მაშინა. სახლშიც იყო აქა, როგორ მოეწონათ აქაურობა. წყლისთვის გიჟდებიან. ჩამოვალთო ზაფხულშიო. ჩამოდით-მეთქი. დღესაცნა ჩამოვიდნენ. კომპიუტერში ვნახე, ცილინდრი ეხურა, დაბერებულა, ისე მოხუცებულა...

ახალციხე სავსე იყო დედამთილის ნათესაგებით: ექიმები, ბუღალტრები, ინჟინრები, ძალიან ძლიერი ხალხი. კარგი წრე ჰყანდა დედამთილსა, კარგი. ცხრა შვილი გაზარდა დედამთილის მამამ. მილახევის ტუნელი მაგ კაცის გაკეთებულია, აეს ეკლესია, თათრებისაგან დანგრეული ყოფილა, ოთარას პაპამ აღადგინა, როკეთის ეკლესიაც ამ პაპას გაკეთებულია. როკეთში რო მიდიოდა, დევბა ოთარაანცა რჩებოდა, ეთერ ძალოს ძმა იყო, უშვილო სანდრესთან. სურათმა გაგვიარა ხელში საიდანღაც. ეს სურათი ჩავიგდეთ ხელში. მამამთილის სურათთან გვაქვს დაკიდებული. ალბომში ვეძებე-ვეძებე, არ არი. რო შევინახე და ვეფერებოდი, ვიცი, გადაგდებული რო არ არი, ვიცი, ამდენი რამის ამშენებელი კაცი. წვრიშვილმა შეხედოს, რო აი, ამ პაპას გაკეთებულია ეს ყველაფერი, სასიხარულოა. თუ ვნახე ეგ სურათი, ჩემი სურვილი არის, რო იტყვიან, ერთი დღის ვახშამიც რო არ მქონდეს, გავადიდებინოთ და ჩვენ ეკლესიაში გავადიდოთ, რო მომავალმა თაობამ იცოდეს. ძველის დავიწყება არ შეიძლება.

მისა ძიაი იცი, ფოსტაში რო მუშაობდა? შალიკოი? მაგათი პაპა და ბაბო დამარხილი არის ტოლოშში. ორმო ჰქონდათ კარტოფილისა და იქვე დიდი ქვა იყო. ბაბოაჩემი აღდგომაზე გავიდოდა, სანთელ აუნთენდა. შვილო, მიხას დედ-მამააო და აქ მარხიაო. ახლა ჩემთვის დიდი სიმდიდრეა, რო მე წინაპრების

საფლავეები ვიცოდე. მაგის ფასი რა არი, რო წინაპარ პატივი სცე, შენი წინაპარი ვინ არი, აეგ იცოდე, სხვა ხო არაფერი გავალია? ტოლოში რო იყენენ თათრები, მაგათ დახოცეს. პიჟოი იყო ერთი, მაგან დახოცა. ღამე დახოცეს და ორმოში ჩაყარეს. ძაღლი იყო, სისხლის მსმელი კაცი, ისე ვერ მოკლეს და გასახლებაში მაინც გაასახლეს. სანდრეს უთხრეს, რო, გაიოზას მამას, ჩადი და ამოიყვანეო (ორმოდან მიცვალებულები). რო ჩავიდა, ცუდად გამხდარიყო, გახრწნილიყო. იქვე დააყარეს ორმოში მიწა და მანდ მარხია. ბევრი დახოცეს, ძალიან ბევრი, ბიძაჩემიც. წალკაში რო გაიქცნენ, გაზაფხული მოვიდა და წავალ, ვნახამო. ფეხები მოეყინა და კოჭლომდა. ვიღაცამ უთხრა, რო წადი, თორემ მოგკლავენო. მამაჩემიც ხუთი ძმანი იყვნენ. რო გაიქცა, გაიქცა, ჩაურმაში ესროლეს და იქ მარხია.

ბაბოი ყვებოდა, კეკე ბაბოი, პატარები რო ვიყავითო, თქვეს, რო თათრებმა ამაღამ ქართველებინა დახოცონო. ტოლოშის თათრებმა ისევა. ამ ქალმა მოვიდაო, გვითხრაო, რო ამაღამნა დახოცონო და გვენანებითო.. ეს ძმები გავიდნენ. ესენი წაიყვანა, ბაბოაჩემი თავის ბავშვებით და სალოგინის უკან დამალა. განთიადიაო, კარების ხმა ისმისო. ადგა ეს ქალიო, კარები გაუღოო. –გიაურები ხო არ არიან აქაო, მაგათი სუნიაო... – არა, შვილო, არაო. წავიდა, ჩაინიკით წყალი წაიღოო, შეიყვანა ბოსელშიო მოთუთხნული კაცი, ხოცა მთელი ღამე ქართველები თურმე, დააბანინა ხელ-მკლავი, რამე. დაწვაო. გამოვიდა და გვითხრაო, რო წადით ახლაო. ერთმა ქართველები ხოცა, პიჟოი ერქვაო, ხოლო მეორე ძმამ ჩვენ შეგვინახაო. რა აქვთ გამოვლილი, იცი? შეგვრეკესო, ახლა რო კლუბი გააკეთეს, საცხვარე იყო, რო ბენზინინა გადაასხანო, დაგვწვანო. ერთიც შალოშეთიდან ამბავი მოვიდაო, რო ახალციხეშია შემოსული ჯარიო და გამოგვიშვეს ისევაო. თათრებმა დაჭრესო, დედაჩემი გვიყვებოდა, ვარევანშიო, თათარი დაჭრესო. ადგა ეს კაცი და მოვიდა პაპაჩემთანო. თან ეშინია, რო შენ თათარ მალან. ეს კაცი ასეა დაჭრილი, კლავი თუ რაღაც. რა ქნან ახლა, როგორ უშველონ, გარეთ ვერ გამოდიან. დაკლეს ცხვარი თურმე, ეს კაცი შეიყვანეს საცხვარეში, დედაჩემიო ერთიც დაასხამს საჭმელ, წაიღენს, დაასხამს, წაიღენს, სად მიაქ, რა ვიციო... ბავშვებ ვინ ეტყოდა. ეს კაცი იქ შეინახეს თვენახევარი, ეს ჭრილობა მოურჩინა ბებიაჩემმა. გაიგეს, რო ამასთან თათარი იყო. რატო შეინახეო?

რო გაიქცნენ, ასე აწყვიტისკენ გაიქცნენ, რო გამოეკიდნენ ქართველებსა, ფიშტას დედას ღალი მამიდაი პატარა ჰყოლია, ხოჭიჭი და ერთიც ფეხადგმული, რომელი იყო მაგათში (დედმამიშვილებში), არ ვიცი. ესენი რო წავიდნენ, ადგა ეს ხოჭიჭი ბავშვი ქვის ქვეშ შეაგდო. რო მოტრიალდნენ, ნახეს, რო ბავშვი

ცოცხალია და უკან წამოიყვანეს. ბევრი ტანჯვა აქო ნანახი ქართველებსა. ეს იმერლები რო ჩამოასახლეს: თათრები ხართ, ასეთები ხართ,— იძახდნენ. იყო პერიოდი, ვერაფერ ჭამდა ხალხი, დამე ძილი არ ჰქონდათ, შეზღუდული იყვნენ; გაიქცეოდნენ, მოვიდოდნენ. ისე დაკარგეს მშობლები, შვილები, რო არ იცოდნენ, ვინ სად დაიმარხა. რეხაშია ყველაზე მეტი დაღუპული და ბაკურიანისკენ რო მიდიხარ. ოთარას ერთი ბიძა, გიგო პაპას ძმა, რეხაშია დამარხული. ისეთი ღამაზი ვაჟკაცი იყო, რო თვალს მოგტაცებდაო. ყოფილა მაშინ ღამაზი ხალხი, ზდაროვი ხალხი...

ერთი და ჰყოლია პაპაჩემსა, შვიდ წლამდე უცოცხლია. ეს რო ხოცვა-ჟლეტა არი, წავლენ და აღარ მოვიდნენ. კაცები, ქალები ჰკითხულობდნენ. ხოსროს დედა ავიდა და ეკითხება. უთხრა, ოღდაი სად არიო და გვიმკითხაოსო, რო ჩვენი ვაჟები წავიდნენ და არ მოსულანო. ამ ბავშვმაც ასე დაიჭირა თითი და ღაპარაკომს: უიო, სულ ქვა-ღორღი აყრიო, ქვებს აყრიანო, უიო, ხრამში ყრიანო. —მეხი შენც დაგეცა და შენ მკითხობასაცაო, მეც მეგონა, რო იტყოდო, ამა და ამ ადგილზე არიან, ჩამამავალ ადგილზე არიანო. ამ ბავშვმა თურმე იწყინა, მერე აღარ ხედავდა (მკითხაობდა). მერე ეს მოსული აზრები ჩაუბრუნდა და დაიღუპა. დაღუპის წინა მოითხოვა ხორცი. ხორცი მოინდომაო. მამაჩემი იტყოდაო, რო თათრების შიშითაო ვერ გავედით გარეთაო, რო ამ ბავშვისთვის ერთი ნაჭერი ხორცი მოგვეტანა და შეიჭამაო. ნაღდად კითხულობდაო:უიო, უიო, უყურეო... რა ვქნათო, ვერსად გავსულვართო, ხორცი რო მოგვეტანაო, არადა ეს ბავშვი ხორც თხოულმსო. ვერა და ვერევე მოკვდაო, ხორცი არ დაუდია პირზეო.

ერთი ღამაზი მული ჰყოლია თეკე ბაბოსა, პაპაჩემის და. მოსწონდათ თათრებსა. მოიტაცონნა, წაიყვანონ... ქართველ ქალისთვის გიჟდებოდნენ მაშინა. ეს გოგო არ მისდევდა. თმები ჰქონდა იმ სიგრძე, რო საქვზე რო ავიდოდა, თმები იკეცებოდაო, ხანდახან ტაბურეტკასაც უუღვამდით, რო თმები არ მოჰკეცოდაო.თათრები ემუქრებიან. ერთი ძმა კარებში დგას, მეორე ძმა— ბუხარში, რო თათარი არ ჩამოვიდეს. ერთი თვე პაპაჩემმა და ნოეს მამამ უყარაულეს. ეს გოგო თათარს არ მისდევს. არ გვასვენებენ, არ გვაძინებენ. გავიდნენ ხერთვისში, თათარ უთხრეს, რო იემ დღეში ვართ, დამე ძილი არ გვაქ. გავვაპარებინეთ ეს ქალი ჯავახეთისკენ სადმეო. ეს ხერთვისელი კაცი მიეხმარება. ამას გააპარებენ და წაიყვანენ ქილდაში. ადგნენ და მიათხოვეს ერთ კაცსა, ქართველი იყვეს და თუნდაც კუზიანი იყვესო, ოღონდ თათრებმა არ წაიყვანონო. ერთ ხეიბარს მისცეს ეს ღამაზი გოგო. ეს ქალი ერთ თვეში მოკვდა, იჯავრა. ასეთი კარგი ქალი, არც შვილი ეყოლა, არც ძირი. ეს თმები

შეუჭრიათ და გაუკეთებიათ კაგები. მოგხვდი ოკამში. მამაჩემმა მითხრა, რო, შვილო, მაგ ოჯალში მიხვალ, როგორც სიძე, ისე უყურამდნენ მაგასა. მაშინ ფასი ჰქონდა სიძესაც და პატარძალსაც. მივედი ამ ოჯალში. წავიდა, კიდობანი ახსნა იმ კაცმა და ასე ორი ცალი წვრილად ლოკნები გამოიტანა: აიო, ესაო თქვენი მამიდას თმებიაო; რაც ქილდაში ქალები იყო, ამ თმებით მოვიდაო. აეგრე გადაარჩინეს ეს ქალი თათრებსა და იქ დარდმა შეჭამა. იმ გოგოს და იყო, მხედავი რო იყო, უკან რო ჩაუბრუნდა ორგანიზმში.

ოთარ გიგოს ძე მეღიქიძე, დაბ.1933 წ. სოფ.ტოლოში:

პაპაჩემმა, ქეშეშევემა, ეს ეკლესია ააგო, მერე მილახევი ურწყავი იყო, ჩამოვიდა, ჩამოიყვანა ბერძნები, გათხარა ტუნელი, კლდე გამოჭრა და გაუშვა წყალი. ახლა მთელი მილახევი ირწყვის. გვირაბიძირებ რო ეძახიან, აი ეგ კლდე გახვრიტა. მიქელწმინდელები იყვნენ, ბერძნები, ახალციხის რაიონია. ექვსი შვილი ჰყანდა, არა, ცხრა: ექვსი ბიჭი და სამი გოგო. სხვათა შორის, ძალიან ძლიერი ოჯახი. პაპაჩემი ერთხელ ახალციხეში ყოფილა, უნახია პატარა ბავშვი უპატრონოდ. წაიყვანა და ეს ბავშვი გაზარდა, დაარქვა ეთიმე, ობოლი და რო წამოვიდა რაბათში საცხოვრებლად, ეს მზა სახლები, ყველაფერი დაუტოვა ამ ობოლსა. გაზარდა ეს. ეხლაც იქ ცხოვრომს, დატოვა თავის კერაზე, როგორც შვილი. რაბათში შინსახკომში მუშაობდნენ. შეაწუხეს აწყურის ხალხმა, რო ყაჩაღები მოდიან, გვესხმიან თავსაო და გვანადგურებენო. ეს ორ ძმას უთხრეს, თქვენაო ძლიერები ხართო, ხოდა, ამ ყაჩაღებსნა მოუაროთო, სხვა თქვენი არაფერი გვინდაო. კაიო. ხიდის ქვეშ ჩასულან და უთენებიათ. ერთი დღე არა, ორი დღე არა... დახოცეს ეს ყაჩაღები, გადაარჩინეს სოფელი, მარა ადგნენ ვიდაცამ და 25-25 წელი მიუსაჯეს და ციმბირში გადაასახლეს. ციმბირშიც რევოლუციაში მონაწილეობა მიიღო ბიძაჩემმა, ერთმა. ძალიან ძლიერი იყო. ლოგინში ესროლეს და მოკლეს. უმტრეს. ეხლა სასაფლაოზე, ქვაზე არის იმისი გმირობის ამბავი. დარჩა ბიძაჩემს სამი შვილი ციმბირში, მეორე (ძმა) ისევ ციხეშია. ამ რუსის ქალმა როგორ მოახერხა, რანაირად მოახერხა და აქ დაელაპარაკა თავის ქმრის ძმებსა, ბავშვებინა გამოვვზავნო და უპატრონეთო. ადგა და გამოგზავნა. ადგნენ წავიდნენ აქ დარჩენილები თბილისში, მატარებლი სადგურში. შეამჩნიეს რო სამი ბავშვი ობოლივით არიან ერთ ადგილზე მიყუჩებული. აესენი არიან ჩვენებით. მივიდნენ, ეტყვიან: საიდან ხართ? –ციმბირიდან. –ჩვენ ბიძათქვენი ვართ. წამოიყვანეს აქა. ერთი ბულალტერი გახდა, ნატაშია, ზედმიწევნით ღამაზი იყო, ქსელებში მუშაონდა, ქმარიც ბულალტერი იყო, აქ გაიცნო, რაიონი რო იყო და შეერთო. მეორეს ქმარი

სამხედრო პიროვნება იყო და წაიყვანეს კრასნოდარში. ძმა შოფერი გახდა. მეორე ბიძა 25 წელი გავიდა და ჩემოვიდა. ოღონდ რაც კი ბერძნები იყვნენ, სუყველას ქართველი ქალები ჰყავდათ. ერთს ჰყავდა მარტო ბერძენი. ძლიერი მაცხოვრებლები იყვნენ. ბაბოაჩემი მესხიძე იყო, ლავრენტას ცოლი. რო ჩავიდოდი, უკვე მოხუცი რო იყო, ვეღარ მცნობულობდა. ვინა ხარ? ვეტყოდი: თამარა, აი პართენა... – ო, პართენასი ხარ?– მაშინ მიხვდებოდა. ბერძნულს ლაპარაკობდნენ. დედაი ლაპარაკობდა სუფთა ბერძნულს. დედამ ხუთი ენა იცოდა: თათრული, რუსული, ბერძნული, ქართული და სომხური. ფინგანში მუშაობდა დედაჩემი, აქ რო რაიონი იყო. დედაი ძალიან განათლებული ქალი იყო. ეხლა ეს დედაჩემიც როგორ შეირთო მამაჩემმა. მამაჩემი ახალციხეში მუშაობდა. აქ რა უნდოდა, წამოვიდა, ისე ვერ დატოვა მამამისის კერა, თორე ახალციხეში მუშაობდა. მეფრინველეობის ფერმა ჰქონდათ, იქ უმფროსი იყო და ამას აწარმოებდა იმ დროისათვის. შემოსავალიც დიდი ჰქონდათ, ყვალაფერი. ამათ ძმას, ექვს ძმაში რომელიც ყვალაზე პატარაი იყო, თედორაი ერქვა. თედორასთან ძმაკაცობდა მამაჩემი. ერთი ნათესავი იყო ჩვენი, დგვარშია გათხოვილი. ამ ქალმა: შენაო, თედორასთან რო კარგადა ხარო, მაგას კაი და ჰყანსო. შენ ნუ გეშინია, ექვსი ძმანი არიან, მაგრამ რახან თედორას კაი მეგობარი ხარ, არაფერს არ გეტყვიანო. შენ მიაკითხე, მიდიო. თან შეაშინა, თან გაამხნევა მამაჩემი. მეც წამოგყვები, თუ გინდაო. მამამ: მე მარტო მივალ და მერეო. თურმე ესენი ქეიფობენ ექვსი ძმა და მამა. ცხოვრება ჰქონდათ, რამე, ქეიფობდნენ, პრარაბი იყო. როკეთის ეკლესიაც მაგის ნაშენია. მივიდა მამაჩემი, კარი დააკაკუნა, ქალი გამოვიდა, უფროსი და ელენეი, ციხიჯვარში იყო გათხოვილი, ელენკო. შევიდა, უთხრა: ვიდაცა უცხო ბიჭიაო. მამამის უთხრა. მაშინ კანონი იყო მშობელი. მიდი, უთხარიო, რო შემოვიდესო. შევიდა, რო პაპაჩემი სუფრი თავში ზის. დაჯექიო!– ბრძანებით. დაჯდა და რო ილაპარაკეს აქეთ-იქით... რისთვის შემოხვედიო, სცნობ ჩემს ოჯახსაო, რა არის მიზეზიო? რა არიო და შენი გოგო მინდა, რო ცოლად წავიყვანოო. პირდაპირ ეთქვა მამაჩემსა. გაუბედა, თედორას გვერძე ჯდას. თედორამაც: ხო, მამაო... –შენ გაჩერდიო! ბრძანება ბრძანება იყო. დაბრძანდიო, პური მიირთვიო. თედორამ გამოაცილა. ეგაო უკვე თანხმობის ნიშანიაო. ვინმე ხო გყაანსო და ერთხელაც მამაჩემთან მოდიო, სპეციალურადაო; მე დაგხვდები, როდის მოხვალო, რიცხვი მითხარო და მე დაგხვდებიო. სიბერეში სულ აქ იყო თედორ ბიძაი, თავის დასთან, მე ვპატრონობდი. ოლიკო წაიყვანა მამამ და წავიდა. მივიდა, ეს ლავრენტაი სახშია და უფროსი ძმა ივანეი. რო შევიდა, იცნო პაპაჩემმა. ეს ქალი ვინ არიო და –ჩემი დეიდაშვილიაო. კეთილიო, ეხლა მოკლედ მითხარი, რა გინდა შენაო? ხო

გითხარი რაზეც მოვედიო. ეს ქალიც ჩაერთო:მშვენიერი ვაჟკაციაო, ახალციხეში ცხოვრომსო, ცოტას შენ დაეხმარები, ცოტას ეს იმუშავებსო და შეიქმნება ოჯახიო. –დახმარების ამბავზე შენ არ გეკითხება, როგორ დაგეხმარებო, რაც საჭიროა, ის ილაპარაკეო. ოლიგომ თქვაო, რო: ოო, მე აქ არაფერი გამომივაო! დათანხმდა. ნახე ქალიო, თუ მოგიწონებსო და მოგეწონებაო, თანახმა ვარო. შეიძლება, ქალს არ უნდისხარო, შეიძლება არ მოეწონეო, მე წინააღმდეგი არა ვარო. მოიწონა დედანქმმა ალბათ. ამ სამ დას ცალ-ცალკე ოთახები ჰქონდათ, ბიჭებს სუყველას – ცალკე, ძალიან მდიდარი ხალხი, ძლიერი ხალხი. ძმები იყვნენ მგლები, ვეფხვები იყვნენ, ისეთი ძლიერი შვილები ჰყავდა. ერთხელ თურმე ახალი წელიწადი გათენდეს, ახალციხეში ჩამოვიდა, რო იყიდოს ახალწლისთვის რაღაცა. იქ რო ახვალ მიქელწმინდისკენ, ერთი დიდი ქვა არი, დასასვენებელ ქვას ეძახიან, ბრტყელი დიდი ქვა არი. კი არ დაჯდა ამაზე, ისევე წამოწვა ქვის ძირში, ეს ხურჯინი მოიხსნა. რო აღგა, წავიდა, ხურჯინი დაავიწყდა, სავსე ხურჯინი, ღამე, კაცო. რო შევიდა (სახლში), ნახა, რო ხურჯინი აღარ არი. დაუძახავასილას. შემოვიდა: რა არი, მამაო? –ამა და ამ ქვის ძირზე ხურჯინი დამრჩა, უნდა წახვიდეო. ახლავე, მამაო. ჯერ ბოსელში შედი, თუ ცხენ ასწევო, წახვალო, თუ არადა, სხვას წავიყვანო. კარგიო, შენც შემოდი, თუ გინდაო და ისე ავწევო. მერე, ცხენიც არ მინდაო, ისე ფეხით წავალო. ახლოა, შვიდი კილომეტრია. მივიდა, რო ეს ხურჯინი მიყუდებულია, სავსე ხურჯინი ყველაფრით. ეხლა ახალციხეში არავინ გყვანს. ერთია, ექიმი, ბავშვთა ექიმი, ქეთინო, დედას ძმიშვილიშვილია, დედამისი რძალია ჩვენი. ერთი ეგ დაგვრჩა, დანარჩენი სუყველა წავიდ-წამოვიდა. ეხლა რო ავით ვიყავი, ვიწეკი, მოვიდა სავადმყოფოში და რო გამსინჯეს: ამათ ისეთი გენი აქვთო, ესენი ძლიერი ხალხიაო, ამათი მოდგმა შენ არ იციო...

სარიდანანათ სახლთან იესე, ახლა გზა რო ადის, მაშინ პატარა გზა მიდიოდა, გვილიაი ცხოვრონდა. დრო მოვიდა, რო გვილიას უთხრეს, რო ეგენი ნა დახოცო, სარიდანანანი. ეს გვილიაიც ძველი ქართველი და გათათრებულია, სხვათა შორის, იშიდაანი და ეგენი ქართველებთან ცხოვრობდნენ. ეკლესიის ქვემოთ ქართველები იყვნენ, ზემოთ– თათრები. ეგ ორი კვამლი ჩვენთან იყო, ბაღები ჩვენთან ჰქონდათ. ბირჩაზე გივიაი როა, ეგ იშიდაანთ ბაღებია და ქვემოთ, ეგოი რო ცხოვრონს, ეგეც. ამ გვილიას უთხრეს. როგორნა დაგხოცოო, როგორც დები, ძმები, შვილები, ერთმანეთში ისე ვართო. როგორ ქნას კაცმა? მივიდა, სარიდანას დედას, მაიკოს, უთხრა, იმის აყვანილები ვიყავით: ჩემო დაო, მე დამავადეს, რონა დაგხოცოთ. როგორ მოვიქცეთ? თუ არა, ჩემი ოჯახინა ააწიოკონ. სხვა გზა არ არი, ბავშვებ რამე თუ გაქ, ჩააცვი, ჩქარანა წავიდეო.

აღანძიაში რო აგიყვანთ, სამჯერ-ოთხჯერ გავისვრიო და ძაღლ ვესვრიო, ვითომ თქვენ დაგხოცეთო. თამარაი არ წაიყვანეს, გამოიხედა, რო მიდიან და კოჭლობით წახყვა. რო ავიდნენ, აღანძიას რო დაუახლოვდნენ, გვილიამ უთხრა: თოღერთაში რო ახვალთ, ამაღამ კაც იკითხამთ, ეგ შეგინახამთო. კარგიო. ეშინიათ, აქ ამოგვიყვანა და აქნა დაგხოცოსო. ერთი ოთხჯერ-ხუთჯერ გაისროლა ეს იარაღი. წამოვიდა. რა ქენიო? დავხოცეო. სახლი ნახეს, რო არავინ არ არი. დაანგრიეს (მაჰმადიანებმა). ესენი რო ავიდნენ თოღერთაში, ვიღაცეები ცხენით მოდიან. ვინ არიან, რო ბავშვი-მავშვით თოვლზე მოდიან? ეშინიათ, არ დაგხოცონო. ჰაიდუო,—ერთმა უთხრა,—მაგის დრო არ არიო. რო ავიდნენ სოფელშიო, ვის ვუთხრათ, რა ვქნათო?... ერთი კაცი გარეთ ყოფილა, მისულან. ვინ ხართო? ტოლოშელები ვართო, თქვენთან მოვდივართო, რო გვილიას ნათესავეები ვართო, ქარიშხანთ ხალხი ვართო. კონას შვილსა მაგათი ქალი ჰყანდა. გვილიამ ვიზეც ვითხრათ, იმ კაცსაც დაუუძახებო. ქალს დაუძახაო: სველები გახადე, ბავშვებ აჭამეო. გვილიას ნათქვამი კაცი რო მოვიდა, ესენიჩვენნი ნათესავეები არიანო, გვილიასი და შენი მადლობელი ვარო, მაგრამ ვერ წაიყვანო, ჩემთან დარჩებიანო. შეიფარა. გაზაფხულანდე დარჩა. გვარი არ მახსონს, პატარა ვიყავი, რო გაასახლეს. გაზაფხული რო მოვიდა, ერთი ვაჟკაცი ყოფილა (თოღერთელი), წამოსულა და ეს სახლი-კარი (სარიდანანათი) სულ დანგრეული დახვედრია. ეს რო ასულა, მამამისისთვის უთქვია, რო მამა, არც სახლი აქთ, არც კარი აქთ, მარტო კედლებია, დაუწვიათ, დაუნგრევიათ. ეს კაცი შეჯღება ცხენზე, ჩამოვა, რო სახლი სულ დანგრეულია. აბრუნდება უკან, შეკრიბანს ბიჭებს, ჩამოიყვანს, დამწვარ-მამწვარ დაასუფთავამს, გადაუსურამს ამ სახლ-კარს, ეს თოღერთელი კაცი, ეს ქარიშხანთ მოყვარე. ეს კაცი იმდენ უზამს, რო ამ სახლ-კარ აუგემს, რო შეაფარამს.

ოღლა ძაღლი იცი, ვეროს დედა? მაგათ სახში რო შევიდნენ, თათარმა პატარა ბავშვ ხიშტი ჩაარჭო და გარეთ რო გამოდიოდა, ბავშვი რო გაფართხალდა, სისხლიანი ხელი კარებ მოარტყა და კარგა ხანს ეტყობოდა. გამოიყვანდნენ ქალებსა, გაატიტვლამდნენ, ხიშტს დაუსვამდნენ...

შემოდგომით დაუნგრევდნენ, შემოესეოდნენ, დაუნგრევდნენ ყველაფერს. გაიქცეოდა ზოგი ბორჯომისკენ, ზოგი ბაკურიანში, ზოგი წალკაში. ერთი ბიძაც რეხაში მარხია ჩემი. ერთი მამიდაც ხო წალკაშია გათხოვილი, ამიყვანდა, რო ეს ლადოს საფლაგიაო. შემოდგომით დაუნგრევდნენ, გაზაფხულით მოვიდოდნენ საწყლები, ააწყობდნენ, საქონელს შეიძენდნენ, თუ ვიღაცას ერთი ხარი ჰყანდა, მეორესაც ჰყანდა, დააწყვილენდნენ, რო მოეხნათ; ცოტა პატარა რამეს

შეიძენდნენ, კიიდე, კიიდე... ასე გაწამაწამაში ჰყანდათ საწყალი ხალხი. როგორ გაუძლო ამსოფელმა, როგორ გადავრჩით ქართველები, მუჭა-მუჭა, აქეთ, იქით...

მელიქიძე ილიკო იყო, მაქსიმეს ძმა, ძალიან ძლიერი კაცი. ეგ და მამაი ყოფილან ძლიერები. ჯერ ძლიერები დახოცა (ურჯულომ). დამე შეისივნენ ეს თათრები, ურჯულოები, ეს ილიკო შეკრეს, გამოიყვანეს გარეთ, დაერივნენ და სახლში ხოცეს, ვინც გინდა. ნოდარას მამა აკვანში წევს თურმე და ეს აკვანი რო გადაბრუნდება, ამ ხანჯალ გაურჭობენ ხან აქედან, ხან – იქიდან, ხო არავინ არიო და ეს ბავშვი დარჩება ცოცხალი აკვანში. იღბალი არ გინდა? წაიყვანენ ამ ილიკოს და ეხლა ხიზაბავრის საცხვარეები როა, გომები როა, მანდ ბოსელი იყო, შეიყვანენ და შენ რო გიყვარდა ლამაზი ცეკვა, იცეკვეო. გახადეს, ტიტველა აწამეს და მერე მოკლეს. მერეც ბოსელი დაანგრიეს ზედა. თურმე ამას უყურებს ერთი ხიზაბავრელი. მამაჩემი ხო მაშინ საბჭოს თავჯდომარედ მუშაობდა ხიზაბავრაში. ერთმა უთხრა: გიგოო, ტოლოშელი კაცი თათრებმარო ამა და ამ ადგილზე მოკლესო და ზედ ბოსელი დაანგრიესო. წაიყვანა და აქ მარხიარო – ის ადგილი აჩვენა. მეორე დილით დედამჩემს უთხრა, ერთი-ორი წყვილიწინდა მომეცი, უნდა წავიდე ერთ ადგილზეო. თურმე წავა გიორგ პაპასთან, უბრალო ფიცრებით სასახლეს შეჰკრანს, რო წაიღოს. მაშინ ფურგუნები დადიოდა, კაცო, ერთი ჩამოიარა, გააჩერა, წაიყვანა. მივიდა მამაჩემი, ხიზაბავრელები დახვდნენ, ცხვარი ჩამოერეკათ. სუნი რო ჰქონოდა (მიცვალებულს), ისინი გაქცეოდნენ. ეთხარა, ეთხარა, ემელო ეს კაცი, ჩაესვენებინა ამ ფიცრებში, სასახლეში. გამოიყვანეს გზაზე. ელოდება და არ არი, ფურგუნი აღარ მოდის, რო წამოიყვანოს. ნახოთ რო დაგვიანებით ერთი მოდის, აუწია ხელი და არა! გადმოიღო თოფი: გესვრიო, მოგკლამ სულ ერთიარო. რო გააჩერა, ჩამოვიდა: რაშია საქმე ძმარო, რაზე მკლავო? რაზეო და ეს მიცვალებული ტოლოშში ავიყვანოთო. დადგეს და ამოიტანეს აქა და თავის ბაღში მარხია ილიკოი. ახლა ხოსროი როა, ეგ ადგილები რამე ბიძამისის ბაღებია, ილიკოს ბაღებია. სახლი იყო, ძველი სახლი, დაანგრია, ახალი ააშენეს. ეთომ არ შეუშვა, სუნი ააქო, აქეთ-იქით და მამამ მანდვე გაათხრევეინა ბიჭებს (საფლავეი), პური აჭამა და მანდვე დაასაფლავა. დარჩა ეს პატარა ბიჭი ობლად. იზრდება ნელა-ნელა. გოგას მამას და ეთოს უნა მოილაპარაკონ, რო ეს მამული ვის დარჩეს, ილიკოს მამული. თუ არა ბავშვია, ბავშვ უნდა დააწერონ. რო დაჯდნენ სალაპარაკოდ, უთქვიათ, რო მარტო ჩვენ არა, გიგოს დავუძახოთო, ნახო რას იტყვისო. რო შევა მამაი, მოხვედი გიგოო? –მოვედიო. რას ლაპარაკობთო, რანა გაყიდოთო, ვის მამულ ყიდითო?! შენარო გაზრდი ამ ბავშვსარო, როგორც საჭიროარო? რო გაიზრდესო, ამა მამული არ უნდაო,

დედული არ უნდაო, ობოლ ბავშვსაო, როგორ ფიქრობო, რო გაიზრდება, ცოლი არ უნდაო, შვილი არ უნდაო, საკუთარი მამული არ უნდაო. რას აკეთამთ ამასაო? დაუწყეს მამას ჩხუბი, ხანჯლით უნდა მოეკლათ თურმე. ამასობაში კუნწულ ბიძაი საიდანდაც მოვა, დედას ეტყვის, რო ძალოო, გიგოი სად არიო. იესე-იესე, გოგამ და ეთომ დაუძახესო. ჩაიხედა ოდოდან, რო მამაზე იწვევენ. ავიდა და სად არი თოფი, მომეციო. – გიგომ წაიღოო. – არა აქ იქ თოფიო და ძალით გამოატანინა დედაჩემ თოფი. რო ჩაყო ოდიდან, ახლავე გამოუშვით კაცი, თორემ ორივეს ამოგწყვიტამთო, გააღეთ კარიო. მაშინ ქიშპობა იყო მამულზე. რო გააღეს კარი, შეუვარდა. აღარ ვიზამთო. იესე ობლად როგორც იყო გაიზარდა. წავიდა გერმანიაში საომრად, საბჭოთა კავშირის ომში, ჩავარდა პლენში. სახრჩობელაა გაკეთებული წყლის პირზე და ლიფტით მიჰყანთ ეს ჯანდაქი ხალხი, რო დაიხრჩობა წყალში. კლდე ყოფილა, მაღალი კლდე და ცვივიან წყალში. ამასაც რო შეაგდებენ ლიფტში, ეს ლიფტი გადმოაგდენს. იმდენი შეძლო, რო იფრინა და გადახტა წყალში. გაჰყვნენ ერთ კილომეტრამდი. ჩაყვინთამს, ამოვა, ჩაყვინთამს... გავიდა, კაცო, გადარჩა ცოცხალი. ჯარიდან რო ჩამოვიდა, ეთოს, იმათ უთხრა, ჩემი მამული სად არიო. ამათ უარი უთხრეს, თათარმა იყიდაო, მერე თათარი გაასახლეს და ჩვენ დავიბრუნეთო, აქეთ-იქით... ასპინძაში დაინიშნა ერთ ქალზე, სახლი ჰქონდა, კარი. შვილი რო ეყოლა, მამაჩემმაც ერთი ძროხა აჩუქა: აგერ, რძეს მოწველამ, რძეს აჭმევო. იქ ეყოლა ნოდარაიც, გურამაიც, ერთი გოგოც. აესე დამთავრდა. ორჯერ სიკვდილს გადაურჩა: აქ თათრების ხანჯალ გადაურჩა, იქგერმანელების თავის ჩამოხრობას. ამდენი იწვალა და მერე სიმსივნე შეხვდა. მაინც არ გაუმართლა...

ჩვენ ჯიშში კონას ეძახდნენ კაცსა, პატარა კაცი იყო, ლამაზი კონტა კაცი და კონა პაპას ეძახდნენ, ისე იოსებაი ერქვა. გაუჩნდა სამი შვილი: ლაზო, ოსე და თევდორე. ამ თევდორეს თათრებმა ქარიმაი დაარქვეს. სამ ძმიდან არიან: ოსენი, ლაზონი და თევდორენი, იგივე ქარიმანაანი. ოსენი არიან: ხოსრონი, სარიდანაანი, ლევანი, ფერიშანი, გურგენაანი. ლაზონი არიან: ვატაანი, კოტენი, მიტუშაანი. თევდორენი არიან მიშა ძიაანი. სამ შვილიდან დაინიშნენ, თითო ძმას ხუთი შვილი ჰყანდა. კონასგან ამ სამი ძმის ნაშიერნი ვართ კონაანი. შვილები და შვილიშვილები კონას ვეფხვებივით ჰყამდნენ. გურგენას გულის ფიცარზე კაკლებ ამტვრევდნენ თურმე, აესე რო გაიხდიდა, იტყოდი, ეს რა არიო!... ხუთ ძმიდან ზათი გურგენაი სამამულო ომში დაიკარგა, კუნწულია აქ მოკვდა, მამაიც აქ მოკვდა. ორი ძმა დაიმარხა თავის სოფელში: კუნწულია და გიგოი. დანარჩენები გაქცევისას დახოცეს, ერთი ჩაურმაში, მეორე – რეხაში. ეს მამიდაჩემი ძალიან ლამაზი ქალი იყო, სულ ჩემთან

მოდით. ეს თათრები აისნენ, აისნენ, გაქცევებიც არი. ზოგი რეხაში წავიდა თავის ძმებით. ესეც მივიდა რეხაში, არვანოში. არავინ არა! უპატრონო ხალხი მიაწვდა ამ სოფელს. აისა ერთი კაცი, ცოლშვილიანი კაცი, ქალ-ვაჟი ჰყავდა, მოიყვანა ცოლად მამიდაჩემი ამ კაცმა, გორელთა სპირიდონი, ბერძენი. მამიდაჩემს იმის მერე ეყოლა ექვსი შვილი: ხუთი გოგო და ერთი ბიჭი. მე რო წალკაში მივდიოდი, ხშირად მივდიოდი მამიდაჩემთან, ვპატრონობდით, ხშირად მოდიოდა აქაც. მერე გახდა მამიდაჩემი ცუდად. თბილისში დააწვინეს. მომივიდა დეპეშა. ავდექი, წავედი. ბიჭი და გოგო ადგნენ თავზე: კატუშაი და ლადოი. სულ ჩვენი სახელები დაარქვა გოგოებსაც, ბიჭებსაც: ჯემალაი, ოთარაი, ლადოი, სულ თავის ძმებისა და ბიძაშვილებისა. ჩავედი, აბა სად არი? ონკოლოგიურ საავადმყოფოში. ფული რამე წავიდე, წავედი. რო შევედი პალატაში: ოთარჯან, წამიყვანე აქედან, მოხველ, ოთარჯან, წამიყვანე! შევედი პროფესორთან, მოხუც კაცთან: ამა და ამ ავადმყოფის პატრონი ვარ, თუ შეიძლება ოპერაცია? ეხლა რო არ ვაწვალთ და არ მოგვიკვდესო, შეგიძლიათ გაიყვანოთო. თუ გინდათ ოპერაცია, დაწერეთო (ხელწერილი) და გავაკეთებთო, ისე აზრი არ აქვსო, მოდებუღიაო. ტყუილად რაზეო, რასაც იცოცხლამს, იცოცხლამსო. როგორ სწრაფად ჩაიცვა, ქრისტიანო! მაღალი კიბეები იყო, ისე ჩამოირბინა, თითქოს თექვსმეტი წლის გოგო იყო... ეხლა რა ჰქონდა ანდერძი! რო მოგვედებო, ამდენი წელი აქაო პატიმრად ვიყავით და რო მოგვედებო, ტოლოში წამიყვანეო, ჩემ ძმასთან და მამარხო. შვილებმაც იცოდნენ, არცერთი წინააღმდეგი არ იყო. როგორც კი საავადმყოფოდან გამოვიყვანე, მე და თავის ბიჭი ვართ, უნდა წამომეყვანა. შემოდგომის თვეა, არ ვიცი, სექტემბერია, ოქტომბერია, რო დაბლა ჩამოვიყვანეთ, ერთი ქალი მოვიდა, გადაეხვია მამიდაჩემსა. ეს ჩვენი დეიდაშვილიაო. –წამო, მამიდ, წამო, რო ვაგვიანებთ-მეთქი. –ამაღამ წავიყვან, ვაბანავებო და ხვალ წაიყვანეთო, – ამ ქალმა. –ლადო, შენ ამ ქალის სახლი იცი, კარი იცი? ვიციო! ორთაჭალაში არიან. მე ვთქვი, რო ამაღამ დავრჩები, მამიდაი აბანავს, ხვალ დილით წავიყვან და წავალ. დილით ჯემალას ვუთხარი (ბიძაშვილს): მანქანა დაქოქე, მამიდაჩემი ვეძებოთ. ამ კორპუსში მივედით – არ არი! იმ კორპუსში – არ არი! დავკარგეთ მამიდა. ახლაც ვერ მომინელებია. ლადომ მითხრა, მე ვიციო და სადაც მიგვიყვანა, არ იყო. ვეღარ ვნახე. თუ არა, სამსახურიდანაც ნებართვა მაქ ალებული და რაღაზე დავაგვიანო. ამ ჩვენ ცხონებულ ჯემალასაც ვუთხარი, როგორც კი გამოჩნდება, გამოგზავნე და ავტობუსზე დავხვდები, არ დამაღალატო, თუ კაცი ხარ. ჩამოვედი, ველოდები, რო ახლა გამოგზავნიან, ახლა დარეკავენ, არა და არა! მოუყვანია იმ ქალს, დაუსვია ავტობუსზე და გაუგზავნია წალკაში. ერთიც სანამ წავედი, დეპეშა

მომივიდა, რო მამიდაშენი გარდაიცვალა, დაკრძალვა ამა და ამ რიცხვში. თოვლიც აესვა (წელამდე). უკვე ზამთარი ჩამოვიდა. ციხიჯვარშიც დეიდანქმია გარდაცვლილი. დეიდანქმი იქ წავიყვანე, მერე ჩავედი თბილისში, რო წალკაშინა ჩავიდე. დეიდას სიკვდილი და მამიდას სიკვდილი ერთდროულად მოხდა, დაემთხვა. თოვლია ისე, რო გარეთ ვერ გახვალ. ციხისჯვარში დეიდანქმის ქმარ ვუთხარი, რო იანგი ძია, ძალიან დიდი ბოდიში, აგერ ცოლისდა მოგიყვანე, მე წალკაში მივდივარ, მამიდანქმი მომკვდარა, გასვენებაა, არ გაგჩერდები, არ გეწყინოთ, აი, და მოვუყვანე. დეიდანქმი და სიდედრი დავტოვე და წავედი თბილისში. ჩავედი ავტობუსების სადგურში, ერთი ავტობუსია, თუ გავიდა, გავიდა, თუ არა, ხვალ დილამდე უნდა დაველოდო. დისპეჩერ ვუთხარი. 15 წუთში გავაო, ამა და ამ ადგილზე დგასო. გავიქეცი და მივასწარი. ავედი წალკაში, რაიონში. აქედან იქ არი ბიჭობა, თორე იქიდან ჯანდაბას. დავურეკე ჩვენებსა. ჩვენი სიძეკაცი დირექტორი იყო სკოლისა, განათლებული კაცი, მამიდას გოგოს ქმარი, უფროსი გოგოსი, მარუსასი. ოთარაი ვარ, წალკაში ამოვედი, რამეს გამომიგზავნით თუ ფეხით წამოვიდე? მგელ ხო არნა შეაჭამო შენი თავიო, რა ფეხითო. ესლა მივალ ერთ ტრაქტორისტთანაო და რას მეტყვისო, დაგირეკამთო, იყავი ტელეფონთანო. აქ რო ვდგავარ, ტელეფონისტკამ მითხრა, ვინ ხარ და რას ეძებო, რო აქ დარეკე, იქ დარეკეო. არვანოში მივდივარ, მამიდანქმია გარდაცვლილი. –ვინ არი? –ესა და ეს. ახლა იმის სიძე უნდა წავიდეს არვანოშიო. მარუსას გოგოც წალკაშია გათხოვილი, ვარვარე, იმისი ქმარი. მანამ ასე მითხრა, გადავრეკე წალკაში და ტრაქტორი წამოსულიაო, იყავი და ამოგიყვანთო. მივედი, ესენი გარეთ გამოდიან. რო დამინახა: ოთარო! ქმარმა თქვა: უკან შევედითო! გახსნა კონიაკი, პურმარილი გაიშალა, ერთი-მეორე, ორი საათი ვიჯექით. მერე დავჯექით მანქანაში. ერთიც ტრაქტორი ბუს-ბუს, მოდის. მერე ტრაქტორი შევაბრუნეთ და უკან გავყევით; ტრაქტორი მიდის წინ, ჩვენ– უკან. გზა გაგვიკვალა. რო გადავედით და, ხუთი გოგო ჰყავდა, ხო გითხარით, ჩვენი გიყი მოვაო, არ გაჩერდებო. მამიდას ანდერძი გულში დამრჩა.

ცხენი დავკარგე. აწყვიტაში არიო. გორები რო გადავედი, დავუახლოვდი, ცხენმა დაიხიხინა. ვთქვი: ცხენი აქ არი, გავუვლი გოგიას, მე და გოგიაი ავალოთ, თუ დავიჭერეთ, იქ დავიჭირეთ, თუ არა, გოგიას ცხენით წავალ და ცხენ წამოჰყვება. გოგიამ რო დამინახა, თავისებურად სიცილი დაიწყო: კიდე რა დაკარგე, ოთარ? –რაღა დამრჩა-მეთქი! თქვენაო პურმარილი გაამზადეთო, მე წავალო და ჩემი ცხენით ჩამოვიყვანო. ხორცი ჰქონდა გოგიას, ჩავიტანეთ სარიდანანაცა და გავამზადეთ. ამან ხელად ჩამოიყვანა ცხენი. დავსხედით,

დავიწყეთ სმა. –მე უნდა წავიდე, გოგი. –შენ არ გეშლება! მოკლედ, დავიწყეთ სმა და უშანგაიც მოვიდა, ესეც შემოგვიერთდა. დადამდა. მერე უშანგაი არ მომეშვა, არ გამომიშვა, ჩვენთანაც შემოდიო. კარგი ქალი ჰყავს, სუფთა. რო შედიხარ, ჯერ ოჯახსნა შეხედო, ყველასთან პური არ იჭმევა. მთელი ცხოვრება გარეთ გაგატარე და არ მეშლება.

ასპანიძე კახაბერ ნუგზარის ძე, დაბ. 1980წ. სოფ სარო:

ასპანიძეები ვართ ძირძველი მესხი ხალხი. ჩვენი გვარის წარმოშობა სათავეს იღებს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოდან, შავშეთიდან. შავშეთში არის ღადოს მთა, კლარჯეთს და შავშეთს რომ ყოფს, საიდანაც ჩვენი გვარი მოდის. პირველად ჩვენი გვარის წარმომადგენელი ფიქსირდება 1191 წლიდან. იყო ასეთი ადამიანი, ჩვენი გვარის დიდი წინაპარი ზაქარია ასპანიძე, რომელმაც თავი გამოიჩინა სამშობლოს ერთგულებით. მაშინ იყო შავშეთის აზნაური, შემდეგ ხდება შავშეთ-თაო-კლარჯეთის ერთპიროვნული მმართველი, ფეოდალი. როდესაც თამარ მეფეს აუჯანყდა საქართველოს თავადაზნაურობა და მიემხრნენ გიორგი რუსს, ჩემი წინაპარი იდგა თამარ მეფის გვერდით, დედა ეკლესიის გვერდით, უერთგულა მეფეს. ამ დროს ჯაყელების ერთ-ერთი შტო, ციხისჯვარელი ჯაყელები, აუჯანყდა თამარ მეფეს და გადავიდა გიორგი რუსის მხარეს. თამარ მეფემ ზოგს სიცოცხლე შეუნარჩუნა. ერთადერთი დაუნდობელი მოღალატე გამოდგა გუზან აბულასანის ძე ტაოსკარელი, ფეოდალი, ვისი მამაც თამარის მიერ იყო ხელდასმული. მემამულეებმა გვეუბნება, რო როცა გუზანი შემოჰყვა ოსმალეთის ჯარს ტაო-კლარჯეთის ასაოხრებლად, მართლმადიდებელი ხალხის დასახოცად, თამარ მეფეს არ ეცალა და მცირერიცხოვანი ჯარი გაგზავნა ტაოელის წინააღმდეგ. გაიმართა ძმათა შორის სისხლისღვრა. ისინიც ქართველები, ჩვენც ქართველები, ოღონდ ისინი მოღალატე ქართველები. გუზანის და ოსმალეთის ჯარმა დაამარცხა თამარ მეფე. ამ დროს თამარს ეახლა მისი მონაპირე ერისთავი, შავშეთის აზნაური ზაქარია ასპანიძე და მეფეს სთხოვა, მიეცა უფლება, თავისივე ჯარით გაეღალატე ზემდგომი ფეოდალის ჯარის წინააღმდეგ. მეფემ დართო ნება, გზა დაულოცა და გაიმართა ისევ ძმათაშორის სისხლისღვრა. ზაქარიას ზურგს უმაგრებდნენ კაკასიძეები, კალმახელიძეები, მაგრამ ხელმძღვანელობა ზაქარიამ იტვირთა. ამ დროს შეიპყრეს გუზან ტაოელი, დაამარცხეს ოსმალეთის ჯარი და მოღალატე ქართველები, წამოიყვანეს გუზანი მეფესთან. თამარ მეფეს იმ დროისათვის შეიწყალა მოღალატეები, სიკვდილით არ დასაჯა, მაგრამ ტიტულები ჩამოართვა. წინდახედულად მოიქცა ზაქარია და გუზანი დავით სოსლანს გადასცა, იცოდა,

რომ თამარ მეფე იმასაც შეიწყალებდა. დავით სოსლანმა ორი გახურებული შამფურით დადალა თვალები, მოკლა. ფანასკერთელობა უბოძა თამარ მეფემ ზაქარიას და დღემდე მოდის იქიდან. ფანასკერტელი წოდება მხოლოდ და მხოლოდ ასპანიძეებს აქვთ დედამიწის ზურგზე. ეს იმას ნიშნავდა, რომ შავშეთიდან სპერამდე, სპერთან უკვე მთავრდება, იქ არის ქართლის ყელი, გურჯი ბოდას ეძახიან დღეს თურქები, საქართველოს საზღვარი სადაც მთავრდება, იქამდე ვრცელდებოდა მისი იურისდიქცია. ამის შემდეგ მოვდივართ ჩვენ ფანასკერტელებად და ის ტერიტორიები, რაც გუზან ტაოელს ეკუთვნოდა, გადმოგვეცა და იქამდე, ვიდრე ოსმალეთი არ დაიპყრობდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს. ჩვენი განაყარი არის ციციშვილები. ისინიც ძირძველი ასპანიძეები არიან, წამოსული არიან შავშეთიდან. ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილი ხომ არის, კარაბადინი რო დაწერა, წამოსული არის 1465 წლებში, მე-15 საუკუნეში, დასახლდა ქართლში და თავადაზნაურობა შეინარჩუნეს. 1770-იან წლებში ჩვენი წინაპარი გადმოვიდა, მანამდე ვცხოვრობდით შავშეთ-ტაო-კლარჯეთში, კონკრეტულად ფანასკერტში, მდებარეობს ამიერ-ტაოში. ჩვენი წინაპრების საფლავებია ფანასკერტში, უფრო ადრე – შავშეთში. ჩემი გვარისა იყვნენ გრიგოლ ფანასკერტელი, ამირლამბარი, ჯარაზუნ, თაყა, იობი... თაყა ფანასკერტელ-ასპანიძეს ცოლად ჰყავდა დემეტრე II-ის ასული რუსუდანი, დამოყვრებული იყო მეფის ოჯახთან. სხვა თაყა ფანასკერტელის ასული სითი-ხათინი ჰყავდა ვახტანგ მეფეს ცოლად, რომელიც ბანას ეკლესიაშია დაკრძალული. ჩვენი ერთ-ერთი წინაპრის, მანძულას ეძახდნენ, მანძულა პაპას შთამომავლები ვართ საქართველოში მცხოვრები ასპანიძეები, ასპანაძეები, ასპანაშვილები, სელმანაშვილები. სელმანაშვილების წინაპარს სელმანა ერქვა და ზოგი სელმანაშვილად დაიწერა, ზოგი ისევ ასპანიძედ. ასპანაძეები ქართლში არიან, ასპანაშვილები – კახეთში. განაყრევი არიან ჩვენი. მანძულა პაპა იყო ჩვენი გვარის, მოდგმის ბოლო ფეოდალი, რომელიც მოღვაწეობდა ფანასკერტში, სულიერად იყო ძალიან ძლიერი. როცა ჯაყელებმა ზურგი აქციეს სამეფო ოჯახს, მანძულა ფანასკერტელმა არ უარყო ქრისტიანობა, ადათ-წესი, სარწმუნოება, დარჩა ერთგული ქვეყნისა, მართლმადიდებლობისა, დატოვა თავისი მიწა-წყალი და ყველაფერი. მანძულა პაპას უჩიოდა გამაჰმადიანებული ქართველი ბეგი, სულთანთან დაახლოებული: ჩვენ დავთმეთ ქრისტიანობა, მანძულა არ თმობს და ფეოდალობას მაინც ინარჩუნებსო. გარკვეულმა დაპირისპირებამ იქამდე მიაღწია, რომ ჩვენი წინაპრის ოჯახის წევრებმა გამაჰმადიანებული ბეგი მოკლეს. შესაძლოა ჯაყელები ან ბენაშვილები იყვნენ. რადგან ბენაშვილები ეპატრონებიან ჩვენს მიწა-წყალს, შესაძლოა ინტერესიც

მათ ექნებოდათ. ბენაშვილები არიან უკვე გამაჰმადიანებულები და რასაკვირველია, ოსმალები ქრისტიან კაცს არ მისცემდნენ სადავეებს, რაც ჩემს წინაპრებს ჰქონდათ. ხალხს მანძულა პაპასთვის უთქვამს, თქვენაო სულთანს ისეთი ერთგული კაცი მოუკალითო, რომ თქვენი შესაძლებლობით წინააღმდეგობას ვერ გაუწევთ ოსმალების რაზმს და ოჯახიანად ამოგწყვეტენო, თავი უნდა შეაფაროთ, სადაც თბილისის იურისდიქცია ვრცელდებაო. მანძულა პაპა გამოდგა წინდახედული, ბრძენი, იქაურობა დატოვა და სანამ დატოვებდა, თავის განაყრებს უთხრა, ძალიან ბევრი ასპანიძეები არიან, ჩემი წინაპრების საფლავებს გიტოვებთ თქვენო, მე ქრისტიანობას არ დავთმობო, ქრისტეს რჯულს არ ვუარყოფო, უნდა გავეცალო აქაურობას, თავი უნდა შევაფარო თბილისსო; როცა საქართველოს ჯარი შემოვა, ჩემი ოჯახით შემოვდივარო. წამოსულა გორის რაიონში, ხიდისთავში მოსულან, დაახლოებით ორი ზამთარი, ორი წელი უცხოვრიათ იქ, იქიდან წამოსულა მანძულა პაპა. იმის შვილს ერქვა ისიდორე. ისიდორე პაპას ჰყავდა ბევრი შვილი. პავლე და ივანე აქ დარჩნენ, დანარჩენი შვილები ქვემო ქართლში, კლდეისია სოფელი, იქ გადაცხოვრდნენ. რო ჩამოსულან ხიდისთავიდან სამცხეში, აგარაში, მონასტერი რომ არი, წმინდა გიორგის ეკლესია, მაგის დაბლა დეღე არის გადასასვლელი, მანდ ყოფილა სოფელი, ჩვენებს კაკლები ჰქონიათ დარგული. მერე პაპაჩემი არსენა ასპანიძე, შაოს ეძახდნენ, შავი ბიჭი, შავიო და შაო დაარქვეს შავგერემანობის გამო, იტყოდა ოთელებზე: გოდრით ჩამოყვანილებმა პაპას დარგული კაკლები მომიჭრესო. აგარაში რო მოვსულვართ, მანძულ პაპას შვილიშვილები ჰყოლია, ახალგაზრდა ბიჭები დასაქორწინებელი. დაუქორწინებია და კარგა ხანი გვიცხოვრია ოთის აგარაში, მე-18 საუკუნის მიწურულამდე. ერთი შვილიშვილის ცოლი მოწონებია ოთის აგარის ბეგს. როცა ეს ქალი წასულა კოკით წყლის მოსატანად, გადასდგომია და ქალისთვის ნამუსის ახდა უთხოვია. დვთის წყალობით, ჩვენი დიდი ბაბო პატიოსანი გამომდგარა და ოჯახის წევრებისათვის უთქვამს, ბატონი ნამუსის ახდას მიპირებსო. ვის გაუბედაო და იარაღი აუღიათ. რო გამოდიოდნენ: ანყოლის იქით ფეხი არ გადასდგათო!— მანძულა პაპას უთქვამს თავისი შვილიშვილებისათვის. ეხლა რო მოვკლათ ბეგიო, ვერსად გავიქცევითო, დღე არისო, მთვარიანი ღამე შევარჩითო, ბადრი მთვარეო, ურემი, ხარ-კამეჩი გავირეკოთ და გავეცალოთო. მაშინ უჯერებდნენ მოხუცებსა. ბეგს მანძულა პაპასთვის შემოუთვლია, თქვენი რძალი უნდა დამითმო, მე ხომ ჩემი ადგილი მიწა-წყალი დავითმეო, დავასახლეო. მანძულა პაპასაც უთქვამს: მაცალე, დრო მომეცი, რო მოვიფიქრო და ისე იქნება, როგორც თქვენ გნებავთო. ამ დროს მთვარიან ღამეს ელოდებიან, რო უნდა მოკლან და

გაიქცნენ, რო არ შეიტყონ, საით წავლენ. დადგა ეს მთვარიანი ღამეც. მანძულა პაპამ შეუთვალა ბეგს: მობრძანდიო, ნადიმი გავმართეთ, გითმობთ ერთი ღამით ჩვენს ქალსაო, თქვენს მიწაზე რახან დაგვასახლეთო. ესეც მისულა, რო შესულა სახლში, კარები ჩაუკეტიათ, ბატონი მოუკლავთ, დაუფაშრიათ. დაუყრიათ ურემზე რაც რამე ჰქონდათ, გაეცალნენ იქიდან და წამოსულან ჯავახეთში, სოფელ ხანდოში. მოხუცების გადმოცემით, მკაცრი კლიმატის გამო ორი-სამი ზამთრის მეტი ვერ გაუძლიათ და წამოსულან უკან ნიჯგორის მიმართულებით. ურემს გასტეხია ღერძი, ერთი ძმის ურემს და გაჩერებულან. ურემის თვალის ხე რო გამოეთალათ, ნახეს რო სოფელი აღარ არი, დაცლილია, გაქცეულია. დარჩენილან აქა. მანძულ პაპას უთქვია შვილიშვილებისთვის, ჩემს კერასო ხანდოშიო უპატრონოდ ნუ დატოვებთო და ადით და ჩამოიტანეთო ბუხრის ქვა. ასულა პავლე პაპა, ისიდორე პაპას შვილი, ფიზიკურად ძლიერი, წაუღია ღვედი, ტყავისგან საკოჭავი და მხარზე მოკიდებული ჩამოიტანა. არის ნიჯგორში და დღეს ის ქვა ჩვენი გვარის რელიქვიად არის, შემდეგ ერთ-ერთ შთამომავალს წილისყრაში შეხვდა ის ადგილი, ისიდორეს შვილთაშვილს, ისიდორეს, ზაურა ასპანიძე თუ იცი? დათიკო იყო მისი მამა, მაგის პაპას შეხვდა. პავლე პაპას ჰყავდა ხუთი შვილი: ბასილი, გიორგი, დავითი, ლონგინოზი და ზაქარა. გიორგის შეხვდა წილისყრაში ეს ბუხრის ქვა, 100-150 კილომდე იქნება, მთლიანი, მორკალული ქვაა. მერე ამოდიან ჩვენები საროში. აქ არის ჩვენი საგვარეულო დარბაზი, მერცხლისბუდური დარბაზი. ასე მოდის ჩვენი გვარი. ციციშვილებს რაც შეეხება, ზაზა ფანასკერტელი-ციციშვილის მამას ერქვა ციცი, აქედან მოდის გვარიც ციციშვილი, ციცისშვილი. ზაზას ძმა ჰყოლია, იმასაც ციცი რქმევია. საეკლესიო ხელშეკრულებიდან შემონახულია, რომ იმისი შტოდან არიან ქართლში დასახლებული ციციშვილები, რომელთაც შექმნეს საციციანო-სათავადაზნაურო. მანძულაანი ვართ ჩვენ ყველანი, ჩვენი წინაპრის საპატივსაცემოდ ასე გვქვია, ერთი სისხლი, ხორცი ვართ.

ოთარ დიმიტრის ძე ლონდარიძე, დაბ.1972 წ., სოფ.სარო:

ჩვენი გვარი არის ადგილობრივი, ძირძველი მესხები არიან. საროდან ჩადიოდნენ ნიჯგორში, ნიჯგორიდან ამოდიოდნენ საროში. ნიჯგორში არის ნამოსახლარი, კოტორაშვილის ფილმია მანდ გადაღებული. ნიჯგორი ცხელი ადგილი იყო და ამოდიოდნენ აქ (საროში) საცხოვრებლად. ეკლესიასთან არის ყველაზე ძველი დასახლება ჩვენი გვარისა, ლონდარიძეებისა. დანარჩენი გვარები ზემოთ ყოფილან დასახლებული. ეს დასახლება იმაზეც მეტყველებს, რომ ეკლესიასთან, ციხე-სიმაგრეებთან ძირძველი მოსახლეობა იყო. ჩვენ ჯიშის,

მოდგმის მიხედვით ტატაანთ გვეძახიან. ეს სახელი მოდის ტატესაგან. მე-5-მე-6 თაობა ვართ. ტატეს ძმები იყვნენ კოტე, ზაქარია... ყველაზე მრავალრიცხოვანი გვარია. აქედან წასული ღონდარიძეები არიან მანგლისში, თეთრიწყაროში, ქვემო ქართლში. XIX-XX საუკუნეებში წასული არიან დიღომში. დედა ხოსიტაშვილი მყავს, ხოსიტაშვილები არიან გოგაშნიდან წასულები. შარშანწინ გვქონდა გვარის შეკრება. ღონდარიძე-ღომდარიძე მონაცვლეობს, ღომიდან მოვდივართო და „მ“ არჩიეს.

ბანგიოზ ბერიძე, დაბ.1931 წ. სოფ.ნიჯგორი:

ჩვენი წინაპარი წამოსული არის გორის რაიონის სოფელ ხიდისთავიდან, დაახლოებით 1800 წელში. იმ პერიოდში აქ გამორბოდნენ, თავი რომ დაეცვათ. ირანში გაყიდეს, გაიგეს, ურმით მიდიოდნენ, მეკოკიენტ ეძახდნენ, ბერიძეები იყვნენ, შეაბეს ურემი და გადმოვიდნენ აქა. ეს თურქეთის ხელში იყო 1828 წლამდე. ჯერ იცხოვრეს აქა, ნიჯგორში, მერე საროში ავიდნენ, მერე ისევ აქ ჩამოვიდნენ. მეკოკიენტ ეძახდნენ, რაკი კოკის გამკეთებელნი იყვნენ. ბერიძეები ბევრი ვართ საქართველოში, ერთი წარმომავლობა არ არის. ჩემ წინაპარმა იცოცხლა 100 წელი. მისვლა-მოსვლა ჰქონდა იქა. ჩემს პაპას იოსები ერქვა, თათრებმა შეუცვალეს სახელი და უსუფაი დაარქვეს. ჩვენ ოსეფაანთ გვეძახიან. ჩემი მოდგმა სუყველა მათმატიკოსები არიან, მე შეყვარებული ვარ მათემატიკაზე. ბიძაჩემი იყო ყარსში მილიციის უფროსად, მერე პაგრანატრიადის უფროსი იყო, მისი შთამომავლები თბილისში ცხოვრობენ. ბერიძეები ერკოტაშიც არიან. სიტყვა „ბერი“ ნიშნავს „მამას“, ხევისბერი – ხევის მამა. მე 60 წელი მასწავლებლად ვიმუშავე, 15 წელი დირექტორად, 10 წელიც – მიწათმომწეობად.

1944 წელს, ნოემბერში ჩუნჩხაში ვიყავი, მაშინდელი შიმშილობის პერიოდი იყო. მამა ფრონტზე დამელუპა. არაყს ვყიდამდი და ხილი მომქონდა ცხენით. რო ჩამოვედი ხერთვისში, ჭიჭინაძე იყო გასახლებაზე იქიდან მოსული. დამიჭირეს: საიდან ხარ, რა ხარ? ცხენი გამოვუშვი საროში, ჩამოვედი. ჭიჭინაძე ჩაერია. ზოგს ვეხმარებოდი. საათი ჰქონდათ დათქმული, შემორტყმული იყო (სამხედროებით სოფელი). გაიგეს, რო ბერიძე ვიყავი, საროდან ვიყავი. დავეხმარე, ვისაც ვიცნობდი. პატარა ვიყავი, 13 წლისა. მანქანას ვტვირთამდით. ძალიან სიმკაცრე იყო, ისე გაასახლეს. ზოგი ტიროდა, ზოგი ნერვიულობდა, ზოგი გვაგინებდა. ერთიც ამბობდა, მივდივარო გადასახლებაშიო და ქიტეს დარდი მიმდევსო, ვერ დავსაჯეო...

მოსკოვში ვართ, ერთ მაგიდაზე ვჭანთ პურსა. მე ის რუსი მგონია. დავიწყეთ საუბარი, აქეთ-იქით და რა გვარი ხარ? –ბაქრაძე. ქართველი ყოფილა... –საიდან

ხარ, ბიჭო? – ხერთვისიდან ვარო. თურმე ამხანაგები ვყოფილვართ ბაგშეობისა. მგონი 1984 წელი იყო. იმდენად დაგუახლოვდი, რო პაკრიშკები იყიდა მანქანისა, ფული ვასესხე და მერე რო წავიდა, ფული იქიდან გამომიგზავნა. სხვათა შორის, თვითონაც მათემატიკოსი იყო. გამაჰმადიანებული ქართველი იყო, მაგრამ აღარ ქართველობდნენ. 28000 ვიყავით ასპინძაში, სამი პოლიციელი პატრონობდა, გაასახლეს და დავრჩით 8000. მერე 5000 ჩამოასახლეს, ზოგი მთიულეთიდან, ზოგი იმერეთიდან და გავხდით 13000. ვაჩნადე შემხვდა მილორდში. კომკავშირი იყო და დავდიოდი, დირექტორი ვიყავი და ჩემი მოსწავლეები სუყველგან მოვატარე. დავიწყე ბაქო, სოხუმი, ნალჩიკი... კანონით მეკუთვნოდა და დავდიოდი. 25 დღე ვიყავი, დასასვენებელი ადგილია. ამ ვაჩნადემ: მე ისეთ რამეს მოვიტან საჭმელათაო, რო თქვენ თვალთ არ გენახოთო. მოიტანა და დადო მაგიდაზე გამხმარი მაწონი. უი, ყურუთი-მეთქი. გაგიჟდა: შენ რა იციო? იმან არ იცოდა, რო მე ქართველი ვიყავი. დაიწყო სიცილი. ერთიმეორესთან ვმეგობრობდით. იმ ბაქრადემ მითხრა: ოთხი ძმანი ვართო, მამასაც ვიცნობდი, აიდენაი ერქვა, ჩვენ არ გვინდა წამოსვლაო, ძალიან კარგად ვართო, მამას უნდა ჩამოსვლაო. ასე ამონდაო, ხერთვისის სამყურა ბალახსაო ერბოდ ვაქცევო და ვიცხოვრებო.

ომის პერიოდში შეიქმნა ე.წ. „ისტრიბიტელნი ბატალიონი“, რომელიც ჯარისკაცებისგან შედგებოდა. ზედამხედველობას უწევდნენ ასპინძის რაიონს, რო თურქეთი არ გადმოსულიყო იქიდან. ომინა დაეწყო. ისტრიბიტელი ბატალიონში ერთი იყო ჩვენებური, ლევანი ერქვა. ყოველ ღამეო, საღამოთიო მკვდარი გაჰქონდათ ნიალაშიო. ჩვენ, ქართველები, კუბოს ვატანთ, იმათ – არა! დააინტერესა: რაშია საქმე? მივედი და ვუთხარიო, ყოველ ღამე როგორ კვდებო (თათარიო), ვერ გამიგიაო. შევამოწმეო, რო დიდი გვირაბი არიო, თურმე იქ ამზადებენ ტყვია-წამალს. ამარაგებენ. ჯარების უფროსს ვუთხარიო, რო ასეთი ამბავი არიო, ზარბაზანიც არიო. სასაფლაო გვერდზე მაღავდნენ. ამით, თურქეთი რო შემოსულიყო, უნდა დახმარებოდნენ. ჯერ გასახლება არ არი. ვუთხარიო, არ გამყიდლო, ოჯადს ამომიწყვეტენო. შეამოწმესო. სტალინმაც გაიგო. კაი ტყვია-წამლითაა მომარაგებული. გაასახლეს და ეს კაცი, ლევანი, არჯვანში დააყენეს. აქაურ თათრებს ჰქონდათ თურქეთთან კავშირი. მაგასაც (თურქეთსაც) რო ომი დაეწყო, ჩვენ აღარ ვიყავით.

რო გაასახლეს, მივედი და ვაშლი ამოვიტანე. პირველად ველოსიპედი მაშინ დავინახე. ერთ ჩვენებურმა წამოიღო, არ იცოდა, რა იყო, ამოიტანა – ველოსიპედი! ხერთვისში ერთი ბეგი იყო, აბაშიძე, მოლა იყო დიასამიძე. ნიჯგორში გააშენეს მეჩეთი, რონა გაეთათრებინათ ქართველები. მოვიდა,

ჩაატარა ბეგმა კრება, რო მოლა რასაც გააკეთამს და გეტყვით, დაემორჩილეთო. შეიკრიბა ხალხი. ცოტა თარსი ხალხია ჩვენებურები, არავის ემორჩილებიან, არც კათოლიკობა მიიღეს, არც— მაჰმადიანობა, არცერთი! არ უნდათ მაჰმადიანობა. მოვიდა მოლა და დაიწყო. ერთი ცოტა თავხედი ბიჭი იყო და უკნიდან ჯოხი დასცხო. მოლამაც გაიხადა ქალამანი და დასცხო. ყველამ გაიხადა ქალამანი და დაიწყეს მოლის ცემა. ერთი ამბავი ატყეს. ხო გვითხარიო, რასაც მოლა გააკეთამსო, ის გააკეთეთო. იმან ცემა, ჩვენც ვცემეთო. აქ ვერ გავიტანთ ჩვენსასაო და თავი გაანებეს.

ხერთვისის ციხის ამბავი გითხრა? ციხეს რო აგებდნენ, ხელოსანი იყო ერთი, ოსტატი, ერთიც შევირდი. რო დაამთავრეს, მოსწავლემ აჯობა, გამოაცალა კიბე. ხელეჩო გაირჭო ფერდში. გადმოხტა, გაირჭო და მოკვდა. უძახიან ყურბან დუზი, სანხოს ვაკე, ახალქალაქისაკენ რო გაუხვევ და წახვალ. ასეთი ამბავი იყო.

ასპანიძეებისერთი შტო ხანდოდან არიან წამოსული, მეორენი – აგარიდან. მადრადეების საყდარს ეძახიან ღარიბთა საყდარს. ხიზაბაფრაში ვართ და ღარიბთ საყდარში ვჭამოთ პურიო. ხარაგაულიდან არი, იშვილა ვიდაცამ ბავში და მადრადედ დაეწერა, მერე საროში ჩამოვიდა, საროს ქალი ითხოვა და დაუმოყვრდა სარველებს, მადრადე იქიდან წარმოსდგა. გიორგადეები კახეთიდან არიან მოსულები. ღონდარიძეები ყველაზე დიდი გვარისანი არიან. პირველი მსოფლიო ომის დროს მეფემ რუსეთისა ჯარისკაცებს უთხრა, თუ ვინმეს გინდათო, ქართველი ქალები შეირთეთ, დაგტოვთო და დაგეხმარებითო. მაგალითად, გოროხოვი, ტოროლოვი, ისტორიიდან ვიცით, რო ასეა. წითლანადე ელდარას პაპა და ელიზბარაი ძმები იყვნენ. ასპინძის აბანო ამით პაპამ გააკეთა, გიორგაი ერქვა.

დედაჩემის და ამბობს, რო რევოლუცია რო მოხდა, თურქეთი რო შემოვიდა, ჩვენები გასახლდნენ ბაკურიანში. ურმით წაიღეს სასმელ-საჭმელი. თალან დაეცნენ ხერთვისელებ. გაგვანადგურეს. ჩვენები ურმით გარბოდნენ. ურმით გაიქცეოდნენ?...ქემალ ფაშას ნაბრძანები ჰქონდა, რო არცერთი ქრისტიანი არ მოკლათო. ერთი მოკლეს თურმე, გაიგო და ხალხის წინაშე დახვრიტა. ბატონი რო იყო, გვარად აბაშიძე, სამი ძმანი იყვნენ, ამან არ მიიღო, ორმა ძმამ მიიღო მაჰმადიანობა. ერთი ძმა გაგზავნეს შალაშეთში ბეგად, მეორე – თოკში, 60 ცხენი აჩუქა მეფეს ამისმა ნაშიერმა, ეს დარჩა საროში. საროში არის სამი ციხე, ორი ციხე გაშენებულია თლილი ქვით, მესამე კირითაა. ქვაზე წარწერა იყო, გაჭრეს და მუზეუმში ჩაიტანეს, ლეონ აბაშიძე ეწერა. წყალი რო გამოდიოდა, სამკარი ერქვა, რადგან სამივე ციხეში შედიოდა სასმელი წყალი. ეს ციხეები ტონიანი ქვებია ატანილი.

საროს ბატონი არ ჰყავდა, სარო იყო უბატონო. ანდერძი დაუტოვა სარველებს, ჩემს შემდეგ ბატონი აღარ იქნებოდა. ყველაფერი დაუტოვა. ბეგიბაღჩას ვეძახით ტოლოშისაკენ როა, ეგ აჩუქა შალოშეთელს, აქეთაც ყანა იყო, ეგ აჩუქა თოკის ბეგსა, დანარჩენი – საროს მოსახლეობას. საროში არსებობს ხეობა, სადაც ერთი მხარე არის გამოქვაბულები. მტერი რო შემიესეოდა, ხალხი ამ გამოქვაბულში იმალებოდა და თავს ირჩენდა. ამ გამოქვაბულიდან გამოდმამდე იყო ხიდი, ასაწევ ხიდს ეძახდნენ. ხალხი რო გალაგდა, ამ ხიდს არ კეტავდნენ. თემურ ლენგის შემოსევის დროს, როცა ხალხი შელაგდა, მაღლიდან თოკით დაჰკიდეს ჯარისკაცები და ხალხი ამოხოცეს, მთელი მოდგმა ამოხოცეს, სოფელში არავინ დარჩა

თენგიზ ივანეს ძე მაღრაძე, დაბ.1959 წ. სოფ.ნიჯგორი:

მაღრაძეებს გვიცხოვრია ხიზაბავრაში, მერე ჩამოვსულვართ საროში. ამჟამად ნიჯგორში ვცხოვრობთ მე, ბიძაჩემი და ჩემი ბიძაშვილი. ბერვეენს გვეძახიან, ბერო ყოფილა და იმის შთამომავლები ვართ.

ლუბა ილიას ასული მიქელაძე-გურგენიძე, დაბ.1934წ., სოფ ნიჯგორი:

გურგენიძეები ძირითადად არიან ადგილობრივი, გვეძახიან კახმიხაანთ, ჩემ მამამთილის მამას ერქვა კახმიხაი. კიდე მოსიენტ ეძახიან, მოსეი რქმევია პაპამის, ისინი სხვა განაყრები არიან.

– 50 წელია აქა ვარ და მამამთილი არ მინახია, მამამთილ არ მოვსწრებივარ.

– დმერთმა კიდეუ 50 წელი ნუ განახოს!

– ადრე სახელი როგორ უნდა მეთქვა დედამთილ-მამამთილისთვის. რო მოვედი, თავის ქნევით ველაპარაკებოდი, ფეხშველას ვერ გაივლიდი, თავლია ვერ გაივლიდი. მოკლე კაბას ვერ ჩაიცმევდი. თუ დედამთილს არ შეეკითხებოდი, ვერსად წახვიდოდი. ასეთი კანონი და წესი იყო. უნძრახობა იყო, რამდენი წელი არ ველაპარაკებოდი, მარტო თავის ქნევით ველაპარაკებოდი.ეგრე იყო. ეხლა ბედნიერებაა, არც მანქანა იყო, არც არაფერი. კუზაოიანი მანქანით მომიყვანეს სოფელში. ლონდარიძეებ ჰყანდათ ერთი მანქანა. კაბინკაში პატარძალი და ჩემი მუღი დაგვაჟღვინეს, მეფე და ნათლია კუზაოზე იყვნენ, მაყრონიც კუზაოზე. მაშინ ქორწილში ორი მეტრა ჩითი, სუფრის დაძახა იცოდნენ. სინი იყო ასეთი (ხელებით მაჩვენებს), სინზე დალაგებული გამომცხვარი ქადა, თევზი, ხილეული რამე. მოუტანია და მოურთმევია... ბავშვებკალთაში გვისვენდნენ. შვიდი ბავშვი დამიჯღვინეს კალთაში. იმ ბავშვებისთვის ზოგი ფართუკი, ზოგიც – წინდა. უნა აჩუქო, ხმა არ უნდა ამოიღო. მზითვში ქვაბები იყო, დღემდის მქონდა, თასები

ემალისა, ოქროს ბეჭედი ერთი. ნათლია რო ნათლია იყო, ოქროს ბეჭედი არ გაუკეთებია ჩემთვის. საკაბე მაჩუქა და ეგ იყო. თავსაფარი მისდღემში არ მომიხდია. თმები გვქონდა... თმიანი ქალი უყვარდათ, არ უნდა მოგეჭრა. ქილდელი მიქელაძე ვარ, ოკამში ვართ გადასახლებული, თათრები რო გაასახლეს, ჩვენც ოკამში გადაგვიყვანეს, ძირითადი ვართ. ეხლა დაინგრა, რა ქნა, აღარაფერი ვიცით. იქ ღაღანანთ გვიძახდნენ მიქელაძეებ. შვიდი ძმანი იყვნენდა ერთი და ჰყანდათ. მამიდაშვილი გყვანს აქა, ჩემი ბიძაშვილიც აქ იყო გათხოვილი, ვანიჩკაი გეცოდინება, მაგას ჰყანდა.

ეთერ ნარიშანიძე-წიკლაური, სოფ. რუსთავი:

ღუშეთიდან რო გადმოგვასახლეს, მამაჩემი ომის მონაწილე იყო. დედამაჩემმა გაგვზავნა წყაროზე. შორათ გვქონდა წყალი. წადითო, შვილო, წყალი მოიტანეთო. დოქი თიხისა როა, ეს გაგვატანა. დავინახეთ, რო კაცი ვიღაც მოდის. შეგვეშინდა და გამოვიქეცით უკან. რა ქენითო, წყალი მომიტანეთო? არამეთქი, ქალო, ვიღაც კაცი მოდიოდა, შეგვეშინდა და გამოვიქეცით. იარა ამ კაცმა, იარა და მოვიდა ჩვენთან. მამაჩემი თურმე გვეფერება. არცერთი არ ვეკარებით. არ გვახსომდა, შვილო, რა ვიცოდით, რო მამაჩემი იყო. ამხელა პარკი, ყინვარშაქარს ეძახდნენ, ნატეხი შაქარი, რა კარგი იყო, ეს პარკი რო ამოიღო, თურმე ჩაისთვის ხო აძლევენ, ინახავს, აგროვებს ჩვენთვის და ამხელა პარკი რო ამოიღო, დაგვირიგა. მერე სიხარული გვაქ და ერთმანეთს ვეჩხუბებით, არა, მე დავჯდები მამაის მუხლებზე, არა მე! ერთი აქედან ვუზივართ, მეორე იქიდან, მესამე – შუაში. ისე კარგა მახსომს... მერე გახდა ცუდათ. ბარკლები ტყვიებითა ჰქონდა სავსე. ერთი თვე იწვა ზუსტად, მერე გამოუპირნა, თავისთვის გამოუცვივდა ნამსხვრევები, მერე დაიბარეს ფასანაურში, უთხრეს, რო უნდა გადაგასახლოთ ასპინძაში.. მოვიდა ეს კაცი გახარებული და გვეუბნევა: შვილო, ისეთ ადგილზე უნდა წავიდეთ, რო ცუდით უნდა ვჩეხოთო კარტოფილი. რა ცუდით, გოგოებო, სადაც ჩვენ ვდგავართ, წარწერები ჰქონდა ამ სახლებ, ჩვენ წინ ეზო იყო, ხილიც, თურმე პამიდვრის ფოჩია, დადგა მამაჩემი და თხრის, კარტოფილი ეგონა. ისე კარგა მახსომს, როგორც დღევანდელი დღე, მამაჩემის მოსვლა, როგორ გამოგვასახლეს აქ. მატარებლით წამოვედით, ღამე ვიარეთ. იდუმალაში ჩამოგვასახლეს. მერე ბევრი წავიდა. ვერ შეეჩვივნენ, მარა ეს მხარე სჯობია. იქა თივას რო მოსთიბავდნენ, ზაფხულში ვერ მოიტანდი. ტელევიზორში თუ დავინახია, გაბმული თივები... აესეთი. თუ თოვლი მოვიდოდა, წაიღებდნენ, მარხილზე დააწყობდნენ ამ ბუნულებს, ზოგს გადაუვლიდა, ზოგი შეახტებოდა ამ ბუნულებს. ცუდი ადგილი გვქონდა ჩვენ. აქა სჯობია, ამისთანა ვაკე

ადგილია. ესენი ბაწაწუნნიანი არიან, წიკლაურები, იმათ ხუტანთ ეძახიან. პაპამისი თუ ბაწაწუნა იყო და ამიტო. ესენი არიან საქორედან. წიკლაურები ვართო ხარხელაურები. ლელაი ისეთი მაგნე ყოფილიყო თავისი ბავშვობა, ცელქი. კედელთან ბიჭები იყვნენ და მითხრესო, აიმას ქვას ვერ გაართყამო. ხოდა, ავიდე, რო გაგტყორცნე, შიგ შუბლში მოხვდა, გადმოედინა სისხლიო და გამოვიქეც, დავიმაღლეო. ამის დედამთილი და მე ახლო ბიძაშვილები ვართ, ერთი სოფლიდან ვართ, დუშეთიდან, დაშიკოი ერქვა, სუ ერთად ვიზრდებოდით, არც ჩხუბი, არც არაფერი. ჯალმაიძე მაროია ქვევით, ამის დედამთილის და, ამის ქმარი იქ (იღუმალაში) მოდიოდა. ჩვენს გვერძე ცხოვრობდნენ ამის ცოლეულები. ესენი იყვნენ და ამათ გამირიგეს. მაინც პატრონი იყო.

დედაჩემი ხდიდა არაყს, შენ არვი, მოგიყევი თუ არა, ბაღლობიდან ლოთი ვარ (ილიმება), ესლა მეჯავრება. თუთის არაყს ხდიდა. ახლა რო წისქვილებია იღუმალაში, მაგის ზემოთ ხევი მოდის და წყალი რო არა გვქონდა, იქ ჩაგვქონდა ქვაბი, საარაყე, ჩაასხამდა და იქა ხდიდა. კატუშაი, მე, მაგდანაი – ჩემი და და ეს ტყუპები, კატუშაის ძმები, იქა ვართ. დედამ გაავსო სამლიტრიანი ბანკები, კაი არაყი გამოდიოდა, ის გათლილი ჭიქები რო არი არყისა, ნახევარზე დააყენა და მე და კატუშას დაგვაღვინა. ისევ ისე გაავსო, დადგა და მითხრა, რო ჩამოვალ, ისევ ისე დამხვდესო. მოდი-მეთქი, კატო, დავლიოთ – დედაი რო წამოვიდა. ეს ხო დავლიეთ, მერე კიდევ ერთი ჭიქა დავლიეთ, ისიც გავავსეთ და დავდგით. –კატო, ახლა თუთა მინდა. ავედ თუთაზე. არ ვიყავ მაშინ მთვრალი. კატუშამ მითხრა, შენ რო სჭამო, ჩვენც დაგვირხიეო და რო დავარხიე, ეტყობა მომეკიდა... ხელები რო მიკიდა ტოტზე, მომტეხია, ფეხით რო ვდგავარ, ესეც ბარტყანი გამხდომია ძირზე. არაფერი მახსოვს. მერე ამოვეყვანე სახში. ერთი ხნიერი ქალი იყო, ექთანის, ნატო ერქვივნა და რო გამოფეხიზლდი, ლოგინში ვწევარ, ვიძახი, რატო ვწევარ. არაფერი არ მახსოვს. ამ კატუშამ მითხრა, რო ესლათ ჩამოდიო, ეთერ, თორე პატრონი ჩამოვაო. ჩამოვე ძირში, ისევ ავსულვარ მაღლა, ეს ტოტები მომიტყდა და ბარტყანი გავადინე ძირზე. რო გამომფეხიზლდა, ვიძახი, რატო ვწევარ ლოგინში. დედამ სარკე მომიტანა: შვილო, აბა, გაიხედე სარკეშიო. გავიხედე და ეს მხარე სულ დაღურჯებული მაქ. ეს იყო ჩემი ბავშვობის მაგნეობა. მერე ფერმაში წავველ, სკოლაში აღარ ვისწავლე, გვიჭირდა, დედაჩემი ცუდად იყო. ხუთი შვილი ჰყავდა, ორი თავად, შვიდი და წავველ ფერმაში, ჩემი ძმა – ცხვრის ფერმაში. ექვსი წელი ვიყავ. მერე გამირიგეს და გავთხოვდი. ოცდასამი წლისა ვიყავ, ლამაზო, რო გავთხოვდი. ფერმაში ისე კარგი ვიყავ, ესლა ჩონჩხი ვარ, რაში მიდგას სული... შენ გენაცვალე. სიხარულო, კარგო გოგო. გუშინ სასაფლაოზე ხო ვიყავ და ჩაველ, დაღმაიძე

შალიკოს დაეუნთე სანთელი, იქ ისხდნენ ეს ლუბაი, მაიაი, ირაკლი, მაროი, თორღვაი, თორნიკე. გიაი გადავკოცნე, მიველ, ახლა ამათ. გიაი იძახის: ისეთი კარგი კოცნა იცისო, ისე გემრიელი კოცნა იცისო... მერე ირაკლი დაგკოცნე და კარგა გაკოცე-მეთქი? არ ვარ უჟმური ქალი, შემოსულიყავით სახლში...

ჩვენა, ნარიმანიძეებს, ისე კარგი ბიძაშვილები გვეყოლიყო. ჩემ ბიძაშვილმა, დარჩნენ იქა, მერე გაათხოვა გოგო, დაგვპატიჟა ქორწილში. ოთარამ დამირეკა და მერე თვითონ არ წამოვიდა. აქედან წავყე ვეშაგურებსა. რო მივედი, ი ჩვენი კარგი სოფელია, გზა გადის შუაზე, იქით მხარეზე ვცხოვრობდით ჩვენ. ახლა აქეთ გაუკეთებიათ სახლები. მივდივართ და ვალიკო ბედლიძე მოდიოდა, დედამისი მიჰყავდა ფასანაურში. შემეკითხა: ეთერო, იციო შენი სოფელიო? – არა-მეთქი, პირველად მოვდივარ, ქალი დაგბერდი და არა ვყოფილვარ. – აეს არიო შენი სოფელიო. გააჩერა, ჩამოვედით, კითხვა-კითხვით მივედით. თურმე ჩემი ბიძაშვილია, ვახტანგი. ისე მიყვარდა ვახტანგი სახელი და ჩემ კაცსაც რო ერქვა, ამიტო შემიყვარდა. ამათ კარებზე მიველ და პატარა ქალაი დავინახე. – შვილო, აბა, დედაშენი დაუძახე. გამოვიდა ქალი და ვკითხე: ნარიმანიძეების სახლი სად არი? რაუდენაი ჰქვია ამ ჩემ ბიძაშვილ. კიდე ავედით, კიდე ვიკითხეთ. თურმე ჩემი ბიძაშვილის კარებზე მივდივარ და არ ვიცი. რო მივედი და ეს ჩემი ბიძაშვილი კარებზე იყო, გამაიქცა და მკოცნის: აქედან არ წახველი? წვინტლიანი იყავ! – განა ისევ წვინტლიანი ვარ, გავიზარდე!

დარეჯან ვლადიმერის ასული ინასარიძე-წიკლაური, დაბ.1937 წ. სოფ. რუსთავი:

ინასარიძეების განაყოფები არიან მაზმიენი და იესიენი, ანდრეაწმინდიდან არიან გადმოსული ჭობარეთში. ათი და-ძმანი ვიყავით და ფერმაში ვმუშაობდი. მამაჩემმა არ გამიშვასასწავლებლად, მერვე კლასიდან გამოვედი. მოვიხედე და ვთხოვე, ინდუსიდან დადიოდნენ გოგოები სამკერვალოზე სურამში, ვთხოვე, რო, მამაო, მეც წავალ. არაო, შენ გოდრი აწევა შეგიძლიაო. შენი ძმა ჩამოვაო სამხედროდანო და ის თუ გაგიშვებსო. ჩამოვიდა და ახლა იმანაც უარი მითხრა. ავდექი და გავედი ფერმაში. ვმუშაობდი, ყველაზე პირველი, 35 ძროხას ვწველიდი, გეგმას ვასრულებდი, მოწინავე ვიყავი. დაფაზე პირველი ჩემი სურათი იყო. ფერმაში რო გავედი და კარგა ვმუშაობდი, ჯიშიც კარგი მქონდა, იქაც მომეტანნენ ასპინძაში, იურიდიული დამთავრებული ჰქონდა, მუშაობდა და მე პარტიულ კრებაზე დავდიოდი, მე-9 ოლქის პარტიული (მუშაკი) ვიყავი. ფერმაში რო ვმუშაობდი, თურმე ამ ჩემ ქმარ ვუყვარდი, მე არ ვიცოდი, ჩემად ვუყვარდი ორი წელი. გამომიტყდა იმ დროს, როცა სამხედროში მიდიოდა.

ამისხნა სიყვარული და აგუხსენი. მე ვუთხარი, არასდიდებით არაფერი გაბედო. წავიდა სამხედროში და ვერ გახდლო, რო დიემთავრებინა ორი წელი. მოიავადა თავი და მოვიდა. მოვიდა და კაცი კაცზე გზავნა მამაჩემთან. არასდიდებით თურმე, ეს ბერიძე ტარიელაი მივიდოდა ბაჩუკასი, აქსისინებდა. ერთხელაც არი უკვე გადაწყვიტა, რო უნა გავყვე, მივეცი პასპორტი და სადნა წავიდეთ, არ ვიცი. დამირტყა ხელი მამაჩემმა: ესე-ესე გავიგე და ვერ გაჰყვებიო. –გავყვები-მეთქი! –ვერ გაჰყვებიო! –აბა, თუ ვერ გაჰყვები-მეთქი, დაინახე. ჩამიწვინა უფროსი ძმა კარებში. მოვიხედე, ფანჯრიდან გავაღე და გადმოვედი. გადმოვიპარე ბაღში, შევხვდი და წავედი მადლა კლდეებში. მამაი არ მელაპარაკებოდა, ძმამ წამიყვანა სახლში, რო შეურიგდო და არასდიდებით არ შემირიგდა. მერე რამდენიმე ხანი დავრჩი იქა და რო წამოვედი აქა (რუსთავში), დადიოდა მწყემსად ცხვარში, აქ ველი იყო, კარგი ადგილები იყო და აძოვებდა ცხვარსა. მე იქიდან გადმოვდგებოდი და ვტიროდი, ესეც აქედან მღეროდა თათრულად. მეო მიყვარდა ქალი, მაგრამ მშობლებმა არ მამაყვანინესო და ესლა შენაც ეგრე... მართალიაო გიყვარსო, მაგრამ არ წაჰყვებიო. მეტისმეტად დაბეჩავებული იყვნენ ესენი (ქმრის მხარე) ცხოვრებით. მართლაც მერე მოვიცხე თავში, მაგრამ რაღა დროს. არა მაქვს სანანებელი, ოთხი შვილი ვშობე, ბიჭები. ერთი აღარა მყავს. წიკლაურებს ჯაბანიენტ გვეძახიან, არიან ხუტაანი (პაპას ერქვა ხუტა და...), ბარდღუნაანი.

ზურაბ შახზადის ძე პაქსაძე, დაბ.1954 წ. სოფ რუსთავი:

ჩვენი წინაპარი იყო საშურიდან, მერე იქიდან გადმოსახლებულან აჭარაში, ჩვენი გვარი საშურში ყოფილა შართალაშიელები, წინაპრის გვარი იყო შართალაშიელი. როცა ჩამოვედით, სოფელი იყო პაქსაძეები და გვარიც პაქსაძედ გადაუკეთებიათ, დაწერილან პაქსაძეებად. საბიძაშიელო სახელი თათრებისდროინდელი სახელი იყო. ჩვენს განაყოფს ერქვა ყასუმა, ყასუმ-ოდლი დაერქვა შვილებს, მერე იყო კოში, დაარქვეს კოშ-ოდლი, ჩვენი განაყოფი არიან ეგენიცა, ჩვენი საგვარეულო, პაქსაძეები არიან, პაქსაძეების შთამომავლები არიან, ჩვენი განაყოფები არიან. სეფერა ერქვა და სეფერ-ოდლად გადაეწერა. ჩვენები ჯერ იყვნენ შართალაშიელები, მერე სეფერ-ოდლები, მერე პაქსაძეებად გადაეწერნენ. 1982 წელსგადმოსულნი ვართ შავაძეები, კახაძეები, ბერიძეები, ხმალაძეები. ჩამოვედი სამხედროდან და დაქორწინება რამე-რუმე დავიწყე. მამიდა მყავდა ხულოს რაიონში, ღორჯომი იყო და იქა მყავდა, ვესტუმრე. კარგი გოგოაო და დაუკვირდიო. მე პაქსაძეებში ვცხოვრობდი, მამიდას რო ვესტუმრე,

მითხრა, ერთი გოგოა აქ ახლოს და მოდი, გაგაცნობო. დავინიშნე, მოვიყვანე ქორწილით.

ფატი მუხამედის ასული ჯორბენაძე- ძირკვაძე დაბ. 1929წ. სოფ რუსთავი:

ჯორბენაძე გვარი არის წამოსული სამტრედიიდან, იქიდან ვართ გამრავლებული. დიდი გვარი გვაქ და დიდი ჩამომავლობა. ჩვენ ვცხოვრობდით ხულოში, მერე მოგვიწია აქ ცხოვრება. ბებია მყავდა, ბაბუა მყავდა, დიდი ცხოვრებელი ვიყავით, ბებო. მაგრამ ბედმა აგვშალა, დაგვშალა, დაგცოტავლით, ღმერთმა კარგად გამყოფნოთ, ბებო. დედ-მამ აღარ გეყავდა, ორი ძმა გეყავდა, სამი და ცოცხალი ვართ. ეს წასული დრო ახლანდელს აფერში აღარ ედრება, ბებო. წარსული დრო რაცხანაირად, ჩემს აზრში, უფრო სერიოზული ცხოვრება იყო, უფრო წინდახედული ცხოვრება იყო, ეს დიდ-პატარაობა იყო, სიყვარული იყო. ახლანდელი ეგუები-არ ეგუები, ცოცხალი ხარ, უნდა შეეგუო, მაგრამ მაინც ვერ ვეგუები. მეტყვიან, რო ჩხუბი გიყვარსო. ჩხუბი არ მიყვარს, მაგრამ ყველაფერს ვერ ვიტან და ეგ არის საქმე. ხალხი მიყვარს, ღმერთმა კარგად გამყოფნოთ ყველა, დიდ-პატარა მიყვარს. ჩემს შვილიშვილებსაც ვუყვარვარ. ყველაფერს ვფიცავარ, ახლა რო მია, თეთრიწყაროში ცხოვრობს და რო მია, ამწია და დამრეკა და ეს მხარი, არ ვიცი, მომტყდა, ამომვარდა? მტკივა. ოცდაორი შვილიშვილის ბებო ვარ, ჩვიდმეტი იმათი პატარები მყავს და მეოთხე თავრობა ერთი მყავს. თქვენთან მშვიდობა და დედამისს ოპერაცია გაუკეთეს და ოპერაციიდან ამოიყვანეს ეს მეოთხე. ობოლი დარჩა... სისხლიდან დაიცალა დედა. ახლა 89-ე წელში ვარ. შვილები ღმერთმა კარგად მიმყოფოს, ხუთი შვილი მყავს, ყველა კარგი შვილები, ყველა ბედნიერი. სამი გოგო მყავს, ორი-ბიჭი. ერთი კორტოხშია, ერთი ქალაქშია, თბილისში, ერთი რუსთავშია, ერთიც თხილნარში ცხოვრობს, ვაჟია აქ არი ზათი. დანახვედრი გოგო-ბიჭი მყავდა. ბიჭი მწერალი იყო, ნოდარ ძირკვაძე, არი მაგის წიგნი, გოგო არის, ცოცხალია. მე არ მიგრძენია, რო ესენი სხვა დედის შვილები არიან, არც მათ, ყველაფერს ვფიცავარ, ცოცხალი არ გამითენდეს, თუ ვტყუოდე. ის დიდი ბიჭი ასე პერანგს გამომიწვედა და მეტყოდა, რო შევძვრებიო პერანგში და მომათბილეო. **ადრე ქამადაძეებში ვიყავი (გათხოვილი), ესენი ძირკვაძეები არიან, ნენიდან წასული დიდგვარის შვილები იყვნენ, თითონაც კარგი ხალხი იყვნენ, ძალიან კარგი ხალხი, მაგრამ რა ვიცი ბედის საქმე. წავიდა ერთ სკოლაში, გავგზავნეთ, ცხაკაიაში, ავარიში მოხდა და ჩემი ბედი ჩემ მოწყალე ღმერთმა აქეთ გადმოადინა, მარა ძალიან კმაყოფილი ვიყავ. კაი ქმარი მყავდა ძალიან, კაი**

შვილები მყავს. დიდ ღმერთს დიდი მადლობა. ყველა კაის კაი მომავალი მისცესღმერთმა და თქვენაც ჯანმრთელობა. ჩემსავით ბედნიერი მომავალი მოგცეთ ღმერთმა. ადრინდელი ოფლობა იყო, ბებო. დაგუშვათ, ქამადაძე იყო, მაგრამ ნენიე-ოფლი იყო, ნენიდან წასული იყო. ახლა ჩვენ ჯორბენაძეები ვართ, ადრე ჯობინოფლები ვყოფილვართ. მერე რა ვიცი, ჩვენ სოფელ კურცხალი ჰქვია, ხულოს რაიონია, აღარავინ აღარ არიან. ჩვენ სახლი გვექონდა, ბებო, ოთხი სართული. მამაჩემს დიდი ცხოვრება ჰქონდა, დიდი ოჯახი ჰქონდა. ღმერთმა კარგა გამყოფონ, დეიდივნენ ძმები, დედ-მამა, სახლიც გაქრა. ჩემ სოფელში ვიყავ, კურცხალში და იქიდან გავიციანი ჩემი ქმარი, ჩემზე ხნიერი იყო, მაგრამ ძვირფასი კაცი იყო. ოჯახისთვის, შვილებისთვის არნახული კაცი იყო. სამი რძალი მყავს, არცერთიდან მომღურავი არ ვარ. ხან მამბრაზებენ, ხან ვამბრაზებ, ხო იცი, ცხოვრების საქმეა. დედა-შვილი ხარ და ყოველთვის ერთმანეთთან არ ხარ. პირველში რო გათხოვილი ვიყავ, იქიდან ერთი შვილი მყავ, არის ახლა ადვოკატი, 60 წლისა გახდა, იმას სამი ბიჭი ჰყავს, გოგო არ ჰყავს. ერთი ბაღანაი გითხარ, დამხვედრი იყო, შვილებზე კარგი იყო. აქაც ერთი ბიჭი მყავს, ამასაც სამი ბიჭი ჰყავს, გოგო არ გვეყავს. ლამზირას აღზრდილებია ჩვენი ბაღნები (საბავშვო ბაღში), ეს იქ იყო ბავშვთა ბაგაში. ჩემი გულოი იქ ცხოვრობდა და ერთად აღზრდილები არიან, კაი მეგობრობა გვაქ და კაი მეზობლობა. ამ ცხოვრებამ ეს მისვლა-მოსვლა დააშორავა. იქ, ხულოში, საერთოდ ჩემი აღარავინ ცხოვრობს, ჩემი ძმები დაიბადნენ მახარაძეში, გურიაში. ახლა რაცხა ვეღარ წავდივარ, არც ვარ ისე დავრდენილი, მაგრამ... ვერ ვბედავ, თუარ, ბაღნებს ორ-ორი მანქანები ჰყავან. შორ არი და მეშინია. ბებო, ჩვენ რო ვცხოვრობდით, ვენახის ნორმა გვექონდა, თამბაქო გვექონდა და 20 წელი სკოლის ბუფეტი იყო და ვმუშაობდი. 400 მოსწავლე გვეყავდა, 32 მასწავლებელი. მე ვაკეთებდი, სადილი იყო, თუ დილა იყო, თუ საღამო იყო, ვიყავ იქ. მე 20 წელი, ვერ დაგვიცავ, მაგრამ თითო ღამე საათი ნაძინები არ ვარ, ხან კარტოფილი გინდოდა, ხან ხორცი გინდოდა... დიოკნისში ოცი წელი პროდუქტს ვზიდავდი ხულოდან დიოკნისში ტაქსით. ვინ იყო, რა იყო, ჩემთვის სულერთი იყო, ოღონდ ტვირთი ამომეტანა. მაშინ პროდუქტი ბევრი იყო, ნორმალური იყო, ნატურა იყო, ხორცი იყო, თაფლი იყო, ათასი რამე იყო. მაშინდელი თაფლი ნახევარკილოიან ბანკაში შემორჩენილი მაქ; არც გათეთრებულა, არც გაყინულა, ყველაფერს ვფიცავარ. ახლა თაფლს ვყიდულობ, სულ რაცხაგაყინულია. არც გემო აქ, არ არი იმფერი, რო ორგანიზმს გარგოს, განსაკუთრებით გეგრძნა, რო გემკურნალა. არა, არ არი! ახლა თაფლი ვიყიდე, ორ დღეს ჭიქაში მაქ და რო ვურევ, დანალექი აქ კიდო, არ დნება. თითქმის თაფლი სულ მაქ, მარა აიფერია,

უვარგისია. ადრე გვყავდა ჩვენ, ვინახევდით, ხან ფიჭიანს ვინახევდით, ხან მაშინაში წურავდა მამაჩვენი. გვქონდა და გვქონდა. ბევრნი ვიყავით, ძალიან ძლიერი ოჯახიც გვქონდა. თანდათან როგორც კოლექტივი გაქრა, ისე გაქრა ცხოვრებაც. ახლა, ბებო, გული შემტკივა ბევრ რამეზე, ბევრი კარგი გზა მაქვს გავლილი, დუშინარი, დუხსვენარი, მაგრამ ქონება გვქონდა. ომიანობა იყო, ხალხი შიერი იხოცებოდა, მამაჩემი დაფქვავდნენ ჭად-პურსა, მეზობლებში გვარონიებდა კასრებით და ისე დავარიგებდით. საქონელი ბევრი გვყავდა, პური ბევრი გვქონდა. ბევრი ოჯახისე გვყავს გაზრდილი და გადარჩენილი. მერე ყველაფერი დიეცა. ახლა ცხოვრება გაძვირდა, მაგრამ არ მაქვს სურვილი, რო ასე გაგრძელდეს. ძველი ცხოვრება ძლიერი იყო, ნატურა იყო ყველაფერი. ახლა ბავშვი დაიბადება – წამალი! მე, ჰალბათ, ის ჯამრთელობა მომყვა. დედაჩემი 100 წლისა მოკვდა. აქ მყავდა, ქვიშნა ბლები მქონდა. ერთი დღე დაგვარგე. ახლა ვეძებ, ვერ ვნახე. ასე მითხრა: რას ცუქცუქობო და ნუ წუნწკურობო, აგერ ვარ ბალზეო. ოთხი ვედრო ბალი მიეკრიფა, ქვიშნა ბალი; რაც გინდა ნევის ყოფილიყო, ააგებდა. იმფერი სიარული იცოდა, ვიტყოდი, ცხენი რო წავიდეს, ვერ დაეწევა-მეთქი. ასე მეტყოდა: რას გაფხარ, გო, ხელები დადრეკილი გაქ, მოკურძული იარებიო, თვალები აგტკენიაო. ფედიე ერქვა. მე ფატი ვწერივარ, ისე ჩემი სახელია ფატყონი, ჩემ მშობლებ ასე დაურქმევიათ. მამა მყავდა იმფერი შეხედვის კაცი, იტყოდი, რო სტალინიაო. დედა უფრო ჩხირა ქალი იყო, მაგრამ ცხენი ვერ გაჰყვებოდა, ისე ლამაზი იყო, სუსტი ქალი იყო, ჯანმრთელი. კაცები ხელ ვერ გადულუნებდნენ. ბოლო წუთამდე... მახარაძეში იყო, დეგვირეკეს, ცუდად არისო. ვუთხარ, არ მოკვდება და დღეს ნუ წავალთ-მეთქი. ამათ იცოდნენ, რო ძალიან ცუდად არიო და ამაღამ, გინდა თუ არ გინდა, უნდა წვეიდეთო. წავედით, ჩავედით. იმ დღეს ადგა, წვეიდა. ბოდიში და, შარდხენა გავიდეთო. გაქცა, გვეიდა და სტოლბაზე შამოეხვია. იკივლა: მიშველეთო, მიშველეთო! –რა არი? –გზა ვეღარ ვნახეო. ჩემმა ძმისშვილმა მოხსნა ამ სტოლბიდან და შამეიყვანა. დავაწვინეთ და ერთი ნახევარი საათი... ამათ ეხვეწა, არ წახვიდეთო, მეო მალე მოგკვდებიო. მაგისტოვის ვინმე ლოგინი არ გაუსწორებია, ბალიში არ გაუსწორებია. იმ ჩემ დედის ძალ-ღონე ღმერთმა თქვენც მოგცეთ. კარგი და-ძმები მყავდა. ბლაცვი კაცი მისას აქებდაო, არ ვაქებ, მარა ჩემი იყვნენ და კარგი მეჩვენებოდნენ. დედ-მამა რო კარგი მყავდა, მაგას ნამდვილად დაგიკვები. ახლა დავჩაჩანაკდი, ჩემ დროში მე ქალი მერქვა და ახლა ღმერთ მადლობა, რო ჭკუა მაქვს, ენა მაქვს, ჩემ ხელ-ფეხ მიმაქ-მომაქ, არავის ამარა არ ვარ, დიდ ღმერთს დიდი მადლობა.

ალიოშა (ალექსანდრე) პავლეს ძე ზედგინიძე (1941-2018), სოფ ზველი:

ჩვენი გვარი უძველეს დროიდან მოდის. ჩვენი წინაპრები ხიდისთავიდან არიან. ბატონს შეუყვარებია ზედგინიძეების პატარძალი, სდომებია ურთიერთობა. მაშინ იცოდნენ გასვლა ახლო-მახლო რაიონებში, სოფლებში სამუშაოდ, მიდიოდნენ ორი თვით, სამი თვით, ნახევარი წლით და ზოგჯერ გვიან ბრუნდებოდნენ. მეუღლე აქ არ იყო და რძალმა გაუმხილა მამამთილს, რომ ბატონს უნდა ჩემთან კავშირიო, სულ არ მასვენებსო. უთხრა: შენაო, ადექიო, ბაღშიო გაშალე ტახტიო, ლიგინი დააგე და მე მოვუვლი მაგასაო. როგორც დაღამდა, ლოგინში მოათავსა გოძო, ზევიდან გადააფარა საბანი და რძალს უთხრა: მიდიო და შეატყობინეო. ამდამ მამამთილი გარეთ არიო, მაგას მოკლავ, შენი ვიქნები ყოველთვისო. მართლაც ისე მოხდა, რო ადგა და ხანჯლები დაუშინა მწოლიარე გოძოს. ამასობაში ჩვენი დიდი წინაპარი მივიდა და თავში კეტი დაარტყა ბატონსა, ასო-ასო დაჭრა, ჩააწყო ჯვლებში, გაუკერა პირი და მტკვარში გადაყარა. იქ უკვე აღარ დაედგომებოდათ, ხიდისთავში ხდება ეს ამბავი, გორის რაიონში, ძმებმა ურმები შეაბეს და უძრავ-მოძრავი ქონება, რაც კი შეეძლოთ, წამოედოთ, ყველაფერი წამოიღეს და ჩამოვიდნენ აწყურის რაიონის სოფელ ტყემლანაში. იქ ერთი ძმა დატოვა ოჯადით, ცოლ-შვილითა და თვითონ წავიდა, ჩამოვიდა ღობიეთში. მაშინ ხიდი არ იყო და დიდი ხეები გადაბრუნებული, მტკვარზე გადიოდ-გამოდიოდნენ. როგორც იქნა გადავიდნენ, ურემიც გადაიტანეს და მაშინ ღობიეთს ფლობდნენ ასლან-ბეგები, ძველი ქართველები, სარწმუნოებაშეცვლილი. სამი ძმანი იყვნენ ასლან-ბეგები, დედა სახლში იყო და ისინი სანადიროდ იყვნენ გასული. მივიდა და უთხრა ჩვენმა წინაპარმა: მე შვილიო და შენ დედაო, აესეთი ამბავი დაგვემართაო და უნდა შემინახო, გადამარჩინო. კარგიო, შვილები მოვლენ და მათაც დავეკითხებითო, მარტო ვერ გადავწყვეტ მაგ საკითხსაო. საღამოს მოვიდნენ ასლან-ბეგები. ნახე, – ვინ არი, დედა? – ესეც თქვენი მეოთხე ძმა არი. – როგორ, საიდან? რანაირად? – შვილო, აესეთი-აესეთი ამბავი შეემთხვათ, თავი შეგვაფარეს ჩვენთან თავის ოჯახიანად, თავის წვრილშვილიანად. – კარგიო, რახან შვილად მიიღე, ჩვენც ძმად მივიღებთო. მისცეს ღობიეთში ბაღი. ეხლა ტროფინიენტ ბაღს ეძახიან, მაშინ ღვედლის ბაღი იყო. ბაღში წყალი არ იყო და მღვედელმა თხარა-თხარა, კარგი წყალი გამოთხარა. სასწაულზე წყალი აღმოაჩინა. მისცეს ცხენისათვის და ცხოველებისათვის ჭალაც. ეხლა მღვედლის ბაღს ეძახიან. მღვედელმა ჭალა ბაღებად აქცია, იქაურობა, დარგო ხეხილი. ცხონებულმა მამაჩემი ამბობდა, რო პატარა ვიყავიო, რო მღვედელმა მოატავინა მუხის სტოლები, ძირები ჩამოჰქერქესო, მოწვესო, რო ბევრ ხანს გაეძლოო. შემორაგეს ჭალა და დარგეს

ხეილი, სადაც იხლა ბაღები არი. კაი სასწაული ბაღი იყო. ეს ჩვენი წინაპარი, მღვდელი, კაი მონადირე კაცი იყო და რო შემოიარა მაღლა, რო ამოვიდა, ნახა წყარო, მაშინ ასეთი მოწყობილი არ იყო, გუმბათით და ასე. **მაშინ ზემოველი ერქვა ამ ნაწილსა, ზემოთ ველი.** ამოვიდა, წყარო ნახა, უნა დაემხო, სამხობელა, ე.ი. უნა დაემხო და ისე დალიო. ეს გაუხარდა, რო წყარო არის. გაიარ-გამოიარა, რო ეკლესია არი. გაუხარდა. უკაცრიელი იყო, კარებიც გამოსული იყო მწყობრიდან. ჩავიდა და უთხრა: ძმებო, მე მაღლა ვნახე, ეკლესიაც არი იქა. მე თუ ნებას დამრთავთ, იქ გადავალ, რაც დამსახურეთ, იმაზე მაღლობელი ვარ. კარგო, ესენიც წამოჰყვნენ, ადგილზე დასჭრეს ხეები, გადახურეს სახლები და აესლა რო **რაბათს ვეძახით** დასახლებას, გათხრები მიმდინარეობს, მანდ რაბათში დასახლდნენ. **რაბათი საერთოდ ქალაქის ტიპის დასახლებას ჰქვია, სადაც მცირე მეწარმეობა მიდიოდა, ქოთნების, ქილების მოკალვა და რაღაც-რაღაცეები.** ერთ დროსაქა სოფელი კი არა, ქალაქი ყოფილა. **სახჩობელებიც კი ყოფილა, ციხეები იყო.** ერთი იმ მხარეს, ყულას ვეძახით, მეორე აქეთ, ჩვენ მხარეზე. სახჩობელაზე კაცი ჩამოკიდული იყო ერთი სუტკა, კაცი-შვილი ვერ მიეკარებოდა. მერე კომუნისტებმა ეს სახჩობელა სულ დაანგრეს, 4-5 მეტრი კედელი იყო და უკნიდან ამოსასვლელი ჰქონდა. იქით იყო **კოშკებს ვეძახით,** სამარხები იყო. გათხარეს-გამოთხარეს, ძვლები ამოიღეს, სამკაულები იყო, ამოიღეს. ამ დასახლებას ტყვეთა ბანაკი თქვეს. აუარებელი ტყვე დაუჭერიათ ჩვენ წინაპრებს. აქ არის მოედანი, გავასწორებინე ფიზკულტურის მასწავლებლად ხო ვმუშაობდი, ამ ადგილებს სასაფლაოებს ეძახდნენ, მე არ მეჯერა, რო აქ როგორ იქნება სასაფლაო. ყოველწლიურად ითესება პური, მარცვალი, ყველაფერი. არ მეჯერა, სოფელს უნდოდა სტადიონი, ბავშვების რაოდენობა ბევრი იყო, მოედანი არ გვქონდა. დიდი ტრაქტორი მოვიყვანეთ და ყოველ მეტრა-ნახევარში ამოვიდა საფლავი. სიმაღლეზე იყვნენ დამარხული და ზევიდან ბრტყელი ქვა ჰქონდათ დადებული. ასე ჩამჯდარი, ოღონდ აღმოსავლეთით პირი ჰქონდათ. სამასი საფლავი ამოვიდა. მერე დავრწმუნდით, რო ეს სასაფლაოს ყანები არი. მაშინ თავის დროზე ზეველად გადაკეთდა. ვიდრე კომუნისტები მოვიდოდნენ, **ზეველი ერქვა (სოფელს), მერე შეუცვალეს სახელი და ძველი დაარქვეს.** წიგნებში, საბუთებში, გაზეთებში – ყველგან სოფელი ძველი ეწერა, მერე ჩვენებმა ისევ ძველი სახელი დაუბრუნეს – **ზეველი.** ზემოველი რომ ყოფილიყო, უფრო უკეთესი იქნებოდა. ეს ძველი წინაპრები ხო აქ მოვიდნენ, ხიდისთავიდან ორ ძმანი წასულან კოთელიაში და ბარალეთში. ცალკე შტო არი ზედგინიძეებისა, მაგრამ ძალზე ცოტა არიან, თითზე ჩამოსათვლელი. ჩემმა ბიძაშვილებმა გამაცნეს ბორჯომში მაღალ-მაღალი,

ტანაყრილი ზედგინიძე, ვოვას მამა. მისვლა-მოსვლა გეკონდა, ჩემს ძმებსაცა. ხოლმე რო ცუდად ვარ, ვეტყვი: ვოვა, შენ ხარ მექოთნე, შენ უნა მიშველო, გინდა აქედან მიაბი ქოთანს ყური, გინდა იქიდან მოაბი. ზედგინიძეების გვართან ერთად მოსულან ვიღაც თათრები, იშიდიენტ ეძახდნენ, მერე შემოსულან ინასარიძეები. ზედგინიძეებს ჰყავდათ ინასარიძე მოჯამაგირედ. ეხმარებოდა ოჯახსა მწყემსობაში, ნადირის მოვლაში. რო ახედ-დახედეს და კარგი ახალგაზრდა იყო. თქვეს, მოდი, ნინო შეერთოთ ცოლად, პაპაჩემის ბიძაშვილი გამოდის. მაშინ გვარზე რო მოდიოდნენ, მიწაც უნდა მიეცათ, რო თავისი მიწა ჰქონოდა, სახლი ჰქონოდა. აქ ბევრნი არიან გვარზე შემოსული, მერე ზედგინიძედ დაეწერნენ. სოფელში რო მოვიდა ზეციზედ, იმას გვარი უნდა შესცვლოდა. ინასარიძეები დარჩნენ თავის გვარზე. ივანიძეებიც მოვიდნენ და დარჩნენ თავის გვარზე. დიასამიძეები იყვნენ კიდევ. ბერიძეების ოჯახი იყო, პაპაშვილი იყო. ბევრი წავიდა, ქალაქში გადასახლდა. აქ მიტოვებული აქვთ სახლები, მარტო მოდიან, მიწას დაამუშავებენ, მოსავალ მიიღებენ, გაჰკრავენ, წავლენ და სახლები თითქმის ინგრევა. ზედგინიძეების გვარი დავადგინეთ, რო წინაპარი ყოფილა იტალიელი. პომპეუსის ლაშქრობის დროს საქართველოში ვინცა ზევდგენი ყოფილა, იტალიელი, ჯარის უფროსი. მოსწონებია თბილისი, მცხეთა, საგურამო და ეს ტერიტორიები მისი ყოფილა. ზევდგენის ძე, შვილები რომ შესძენია; მერე ზაალიშილებად გასულა ცალკე გვარი, აქედან გასულა გურამიშილები. ზედგინიძეების განაყრები არიან, ამილახვრები. ლახვარი რომ ააცილა მეფეს, უშველა, თვითონ შესწირა თავი და მეფე გადაარჩინა. იოთამ ზედგინიძე როცა მოკლესმუხანათურად, მეფემ შეჭფიცა: შენ შვილებსა და შვილიშილებს არაფერს არ მოვაკლებთო და ახალციხეს სამოცოჯახიანი სოფელი დაუსაჩუქრა. ასევე მცხეთა, საგურამო, თელავი... დაუსაჩუქრა. მეფის დაცვაში მუშაობდნენ. ამილახვრობა ეს იყო მეფის დაცვა, მერე გვარად მიიღეს ამილახვარი. ზედგინიძეების თავშეყრის დრო არის 12 ნოემბერი და ყოველ წელს აღვნიშნავთ. შიო მღვიმში მოვილოცავთ., მერე მივდივართ სამებაში, მერეც ჩაგუსხდებით და წინაპრებს ვიგონებთ. 18 გვარია გასული ჩვენი გვარიდან: ქუმსიაშვილები, ქუმსიშვილები... ჩემი ძმა ჰყვებოდა, რო ისე ამოუწყვეტიათო ეს სოფელი ქუმსიაშვილებსო, რო არავინ გადარჩენილას ზედგინიძეები, შუღლი ჰქონიათ ერთიმეორეშიო. ერთი ქალი დარჩენილა ფეხმძიმედ, ვაჟი შესძენია, გასჩენია და ქუმსიაშვილი გვარი მიუცია, მერე გაუმხელია, შენა ზედგინიძეების შთამომავალი ხარო. ჩემი ძმა, შალვა ზედგინიძე, პირველი მერცხალი იყო სამცხე-ჯავახეთიდან, ისტორიკოსი იყო. ხაშურს აქვთ უმაღლესი განათლებით არავინ იყო, მარტო ჩემი ძმა იყო. წითელ

დიპლომზე ჰქონდა დამთავრებული უნივერსიტეტი და რაიკომშიც ნამუშევარი იყო. მაშინ მითხრა ჩემმა ძმამ, რო ერეკლე მეფის ჯარით ბრძოლის ველზე რო გადიოდაო, ჩვენმა წინაპარმაო მღვდელმა ქრისტესია ზედგინიქმ ხელიშაში აკურთხა ჯარი. ურიცხვი მტერი მოიყვანეს ურჯულოებმა და ოსკერიაში, ახლა ივერიას რო ეძახიან, მაგედან შემოვიდა აურაცხელი თათარი. ჩვენებმა ხიდი რო ჩახერხეს, იმდენზე დატოვეს, რო არ ჩამტყდარიყო. შემოიტყუეს. ვაჟკაცი მებრძოლები გაუშვეს. ხიდმა ვეღარ გაუძლო და ჩაუტყდა. თბილისში რო სარულები ჩაიტანა მტკვარმა, ჩალმები, მაშინ თქვეს, რო ქართველმა ჯარმა გაიმარჯვაო. ქრისტესია მღვდლის შვილიშვილი ეკლესიის ბოძთან არის დასაფლავებული ცოლთან ერთად წმინდა გიორგის ეკლესიაში. ეკლესიის ეზოში შემოკრულია რკინით ტიმოთე მღვდელი, სიმონ მღვდელი და რძალი მაგათი. დედაჩემმა თქვაო, რო პატარები რო ვიყავითო, თბილისიდანაო შვიდი ბაირადითო ფურგუნით მოაბრძანეს და დამარხესო, დადგეს სვეტი და დააწერეს. ურჯულოები ეცდებოდნენ, გადაეწვათ ეკლესია, ხატები. თუ ვინმე შეინახავდა ხატებს, ხო კარგი, ოჯახებში ინახავდნენ ღვთისმშობლისა და წმინდა გიორგისა. ეფრემ ბიძასთან იყო და ამოიტანეს. მეორე კლასში ვიყავი მაგ დროს, ჩემმა კლასელმა ეკლესიის გვერძე სადღაც მოშარდა ქვებთანა, მეორე დღეს სკოლაში რო მოვიდა, ფეხები აესე ჰქონდა შემობრუნებული. რამდენი ილოცეს, რამდენი სანთლები ჩამოქნეს, ორ-სამ თვეში ძლივსდა გაუსწორდა. აქ, ძველის ტერიტორიაზე, დაახლოებით 5-6 ეკლესია უნდა იყოს გაგეთის ჩათვლით, ქორეთში... ურჯულოებმა იცი რა გააკეთეს? დაანგრეს, მისხალ-მისხალ ცხენებზე აჰკიდეს და მტკვარში ისროლეს, რო დაშლილიც არ ყოფილიყო. რო შევდიოდით საბანაოდ, შიოს მორვეს ვეძახდით, ასეთი ბრტყელ-ბრტყელი ქვებია ჩაყრილი. თითო-ოროლა ქვა თუა დარჩენილი, დიდი ქვიები ადგილზე. ქორეთში მაღლობ ადგილზე ნანგრევი ემჩნევა, ფუნდამენტიცა. ღობიეთში არის კლდის ძირში ნაეკლესიარი, ქვები და კედლებია, ემჩნევა. ნიში არი კიდე დაბლობ ადგილზე, უნდა აეშენებინათ და ეტყობა, ვერ მოასწრეს, ხელდასმულია ადგილი. მანდვე არის მონასტერი, ტრაპეზის ქვებიც არის. მონასტრი კედლები ჩანგრეულია, მარიამობას აღენიშნავთ იქა, მარიამობის სასწაულია. გარშემო ლიტონიას ვუვლით, ვანთობთ სანთლებსა. გაგეთში არი თლილი ქვით გადახურული ეკლესია. ადრე კომუნისტებმა ეს ქვები ჩამოაყრევინეს, გადაყარეს, გადმოყარეს, ურჯულოებმაც არ დააკლეს. მერე ქვები როგორც იყო, გადაბმულობა-რამე, ისევე გააკეთეს. შიგნიდან კიბე იყო ასასვლელი, ბუხარი იყო, ბუხარში ქვები იყო გამოწეული, ავდიოდით შიგა. კაი ორსართულიანი სახლის სიმაღლეა. მაგის მსგავსი ეკლესიაა თურქეთში, ხავეთში. იმ

ურჯულოებმა ტრაქტორით მოანგრიეს. გარდა მაგისა, სოფლის ტერიტორიაზე არის წითელი საყდრები. ბრძოლები რო მიდიოდა, წითლად შეიღება, სისხლით შეიღება მონასტრის ადგილი და დაარქვეს წითელი საყდრები. მანდედან ორას მეტრაში არის წყარო ანკარა, დასალევი წყარო, დიდრონი ქვებით ნაშენი ემჩნება. ჭურაშიც ყოფილა ეკლესია, ველარ მიგვიგნია. ადრე მანდ ზველის ტერიტორია არის, ქვევრებიც ყოფილა გარკვეული დროის შენახული. ესლა არქეოლოგები რო მოდიან, გასთხრიან თუ არა, არავინ იცის. ცხონებულმა მამაჩემმა თქვა, მანდ ვენახის ის იყო, არ გვინდოდა მოგლეჯაო. ვინ მოგლიჯა, არავინ იცის. ხევის პირზე, ზევით არის სოფელი ჭურა. ჰალბათ 50-100 ოჯალიქნებოდა. ნახევარმა სოფელმა იქიდან ჩამოხიდული ქვებით გააშენეს სოფელი. აქეთ ფერდში არის 8-10 გექტარი ტერასებად გაკეთებული ადგილი. სითბო იყო, ვენახიც ხარობდა და მოსავალიც ჰქონდათ. ე.ი. თითქმის ზღვის დონიდან 2000 მ-მდე ვენახი ხარობდა. **ჟანგირაზე** ყანები გვქონდა, მამაპაპური ყანები. მამაჩემი ამბობს, რო მეხრედ მყავდა წყევანილი ჩემი ძმაო, სამუდელა ხარი შებმული. როგორც მოთიბას მორჩებოდნენყანისას, დიდრონ ბუნულ დააყრიდნენ, მოსავალს გამოიტანდნენ. ჩემი ძმა გავგზავნეო ფიქლურში, ფიქლური მთა იყო, ყველა სახლი დაფიქლული იყო. ფიქალი ისე იყო დაწყებული, წყალი ველარ ჩადიოდა. მეწველი კამეჩები ჰყავდათ. გაუშვებდნენ ღამე ტყეში, გათენებამდე ძოვდნენ, გათენებისასამოვიდნენ, თითო ვედრა რძე მოჰქონდათ, ნოყიერი ბალახი იყო, ვერცერთი ნადირი ვერ უდგება. მანდვე ფიქლურთან არის **ამაღლების ეკლესია**, ნანგრევები. ჩემი ძმაო რო გავგზავნეო ფიქლურში, მეცაო ბუნულთან წამოწოლილი ვაარო და მოპირდაპირე ბუნული ფეხზე წამოდგაო, მაღლა აიწიაო. გავხედე, ვამონო, რო დათვი არისო თუ... ზოგჯერ დათვი ჩასაფრდებოდაო. ხანჯალი კი მაქო, თოფი არა მაქო. სარია ძაღლ დაეუძახეო. მაღე ამოვარდაო.. სულ რძით კვებავდნენ, ნადირი ვერაფერს უშვრებოდა. ეს ვილაც თათარი წამოდგა და რას ყვირიხარო, შპიონი ხო არა ხარო, რა ყვირილი შექმენიო? –ბიჭო, დათვი მეგონეო! მიველი ახლოო. –შენც კაცი ხარ, მეც კაცი ვარო. თოფი გულზე დამადო: შპიონი ხარო. პატრონა რო ჩადო, მარცხენა ხელით ავუკარი და ტყვია გავარდა ყურის ძირშიო. ახლა კი დედას გიტირებო და ვჭიდაობთო. ამასობაში ხუთი თათარი კიდევ მოვიდაო. მოვიდნენო, გინება დაუწყესო: შე მამაძაღლოო, ესაო ბიხილ ბაბას შვილიაო, ღობიეთში რო წითელ ვაშლებ გვაჭმევსო, შენ როგორ კლავო?– გალანძღესო, წიხლიც ამოარტყესო. წამოიყვანესო, გრძელ ჭალაში ბუნაგი ჰქონდათო, მთებში დაუკლიათ ძროხა თუ ხარიო, მეუბნებიან – ჭამეო, პავლეო. ვჭამო, მაგრამ როგორც ძაღლის ხორციო, შეშინებული ვარო. ერთი მოვტრიალდები, რო ვკრა

ამას ხანჯალიო, ვიცი, მომკლავენო. გამომაცილესო: უთხარიო კოლმეურნეობის თავჯდომარესაო, ჩვენაო აქა გვაქ ბუნაგიო, ამოვიდნენო, გენახონო. გამოიწვიეს რა! იქიდან ჩამოვიდა და მთელი ერთი თვე ლოგინში იწვა. მკლავი გაუსივდა, რაღაც ქნა. დაჰკრეს რაშტრი, სისხლმა იდინა. მერე მომჯობინდა და გამოდგაო.

აქ, მესხეთში, მოხდა დიდი ტრაგედია. 1918 წელში ურჯულოებმა 16 ახალგაზრდა, თოკით გადაბმული, ტყვიებით დახოცეს. ჩვენ სოფელში ამაყი ხალხი ცხოვრობდა, მკლავითაც, მუხლითაც. ჩვენ სოფლელები მოდიან, წინ ვიღაც თათარი მოდის, ვირზე აუკიდია საფქვაავი, მოდის და რო დასცხო ვიღაც ოხერმა ხმალი, თავი აესე გაგორდა. ვინ მოკლა, ვინ მოკლა? აპა, ზველელმა მოკლა. ავიდნენ და გოკიოდან ჩამორეკეს თათარი შურის საძიებლად. ვიღაცამ ჩაუშვა, რო ეგენი არიან თავი ხალხი, ეგენინა ამოსწყვიტოთო. მამაჩემის ბიძაშვილი იყო გიგლა ზედგინიძე, ას კაცში რო შეგეშვა... ჯემალას დიდი პაპა, **მათიენთი**. მათე არის მამას პაპა, პავლეს პაპა. მათეს ძმა იყო იოსებია ტროფინიენთი, მეორე ძმა იყო ალექსას მამა, გიგლას მამის პაპა. ნათესაობა, მისვლა-მოსვლა გვქონდა. ამოდიოდნენ, ჩვენც მივდიოდით. **გაბრიელიენი მაგათთან არის შერწყმული, ჩვენი ბიძაშვილები არიან**. გოკიოდან რო ჩამოვიდნენ, ბებიაჩემი ამბობდა, 103 წლისა გარდაიცვალა, იქიდან რო ჯარი შემოვიდა, ოთხი რიადი მოდიოდაო. ტყეში რო არ დამთავრდა, სოფელში შემოდიოდა და შემოდიოდაო. გიგაიც ჩამოსული იყო. რუსეთის პოლკოვნიკი იყო, იარაღით იყო ჩამოსული. ნათლია ჰყანდა თათარი. უთხრა, რო მოდიო, გიგა, დაგმაღავ საბძელშიო, ქამარ-ხანჯალი ჩაგვაბარეო. ეს ხმალი-რამე ჩააბარა. დამალა საბძელში და ოცდაათი კაცი დაახვიეს თავს. ხელებიც გაუკრეს, ფეხებიც გაუკრეს. ეუბნება, რო ან ფეხები გამიხსენით, ან ხელები გამიხსენით, სად გავიქცევიო. არ გაუხსნეს. ფეხის ბორკილები დაამტვრია, გაიქცა და ეკლესიასთან ახლო, მანდ სადღაც ტყვია ესროლეს და მოკლეს. მაღალი იყო, ზდაროვი, ვაჟკაცი. ეგ ხო მოკლეს, დედაჩემის მამაც, ტანმაღალი, შავთვალწარბა, შუბლზე მირონცხებული, რძე ამოსდიოდა პირიდან, ტკბილი, რვა შვილი ჰყავდა, სერგინა ერქვა, ცალქალამანიძეები იყვნენ და ჩვენ გვარზე რო მოვიდნენ, ზედგინიძედ დასწერეს. გაიყვანეს, გადააბეს თოკზე და ზურაბაანი რო არიან, მანდა ესროლეს ტყვია. თანაც შტიკით ამოწმებდნენ, ცოცხალი ხო არ დარჩაო. ნინო ივანიძეც იყო, რომელიც თათარს უნდა მოეტაცა, **ჯაბო ერქვა, დევრიშოვი იყო**, ჩვენს მეზობლად ცხოვრობდნენ. მამას ძმა გამოდის: პაპაჩემს უცხოვრიათათარ ქალთან, შიეძინათ ვაჟი. ყველამ იცოდა, რო მაგათ შვილი არ ჰყამდათ და დაარქვეს **ბინალიაი**. ჩამოვიდა აქ, ჩემთანა, გაიხსენა ყველაფერი, ნანახი ადგილები ნახა. ქართულს ჩვენზე უკეთ ლაპარაკობდა. ვარიანტი არ იყო,

რო მე მახარობელი არ ვყოფილიყავი ქორწილშიო. ლექსებიც კარგი იცოდა. ბევრი ქართველი გადაარჩინეს. დევრიშოვები იყვნენ. უნდოდა გვარი შეეცვალა, ნათლობაც უნდა გიეკეთებინა, მაგრამ ვეღარ მოასწრო. ბიძაჩემი ბინალიაი შუაში დავაჯდვინეთ და მამაჩემი. ვერ გაარჩევდი, ისე გავდნენ მამაჩემსა. ასე, მხარბეჭიანი. ადრე აქ თავჯდომარედ მუშაობდა და უსამართლობას ვერ იტანდა. ქართველი იყო, თათარი იყო –ყველას თანაბრად ეპყრობოდა. ერთ თათარსა მოაპარინეს ქართველებმა ვერძი და გაიგო. მოხარშეს-რამე. უთხრა, მიმიყვანეთ შილონცაო. წავიდნენ. საქვზე ზიან, მიხვდნენ, რო გაყიდულები არიან, მოხარშულია (ხორცი), ქვაბი საქვი ქვეშ. ვუთხარიო, რო შიო, რო მაღანთო, გამოიდეთო. მაგ მამაძაღლსაო რო მოაპარინეო, სამაგიეროსო შენ ცხვარ გადაუხდიო. ვინც მოიპარაო, იმასაცო ორი წიხლი ამოარტყაო: ადუ, მოუსვი აქედანაო, გადაშენდი, წადიო. თუ ვუნმე მივიდოდა და სთხოვდა, რო ბინალ ბიძა, პური გვინდა, ეტყოდა, წახვალთ, ნარიას ეტყვიო, ნარია ცოლს ერქვა, რო პური გვინდა. ერთი ჯვალი გაავსეთ და გაატანეთ. გამომცხვარ პურს ატანდა. რო ჩამოვიდა, ორი კვირა იყო ჩემთან. ფერგანაში იყო გასახლებული. ჯერ ადრე რო ჩამოვიდა, ბორჯომში ჩამოვიდა დასასვენებლად, შვილიშვილი ჰყავდა. ამოვიდა აქა, იკითხა, საბჭოს თავჯდომარე სად არიო. მე ვიყავი. მოვიდა. –ვინა ხარ? საიდან ხარ? –აბა, მე ბინალიას შვილიშვილი ვარ, მემტერებიან. –არავინ არ გემტერება, იყავი ჩემთან სახში. მივდივარ თბილისში, ხუთდღიანი კურსები მქონდა. იქნები ჩემთან. აქ ქორწილშიც წაიყვანეს, კარგი დრო გაატარებინეს. ჩავიდა, უთხრა პაპამის, რო შენ ახლობლებთან აესე-აესე ვიყავი. მერე ჩამოვიდა თვითონაც. მამაჩემზე 2-3 წლით პატარა იყო. ჭობარეთში ქორწილშიც წაიყვანე. დაზვერვამ იმუშავა და უშიშროებაში მიკრეს თავი. ჯარების უფროსი მკითხავს. რუსული მეხერხებოდა. ვინ არი შენი და რა არი შენი? ვუთხარი, რო ბიძაჩემია და ამიტო მოვიდა. ახლო კარის მეზობლები იყვნენ. მოდით, სურათებით შეადარეთ, ნახეთ-მეთქი. ერთი კვირა ყოველდღე გამოძახებაზე ვიყავი. –შეგაწუხეს, შვილო? –რა ვქნა, ბინალ ბიძა, სული ყელში ამომიყვანეს... მეორეთაც ჩამოვიდა. ჩვენ შაქროს გაეგზავნა ცნობა. სოფელი მისცვივდა, მთელი ამბავი აუტყხეს, ჩვენ უნდა მოვკლათ! ვუთხარი: თქვენ რაზე აჭრით თავს, მაგის ბიძამ, ასკარაი ერქვა, ქართველები შეინახა, ოცი ქართველი მოკვლას გადაარჩინა. თავის კარებში მოკლეს ასკარაი და ქართველები არ გაყიდა, არ გასცა. ესენი არიან ქართველის შვილები. რა ვუყოთ, რო რწმენა აქთ მიღებული. მერე რო არ გაჩერდნენ, გამოვუძახე მილიცია: აქ რაღაც მოხდება და ეს კაცი გააცილეთ.–როგორ მოვიქცეთ, შვილო?– შემეკითხა. –შენ იეხლა რო აქ დაგტოვო, მოგკლავენ და მეც ციხეში მიკრავენ თავს. ჩავაჯდვინეთ მანქანაში და

გავუშეით. მერეც ფერგანაში დაპირისპირება მოხდა, დედა შვილს არ აიყვანდა, მთელ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე მოედგნენ.

გაქცევაზე ვინც კი მოზარდი იყო, ქალი, კაცი, ტყეში იყო გახიზნული. დარჩენილი იყვნენ მოხუცები. დედაჩემის ბიძაშვილი მიყვება, მაიკო დეიდაი, თმოგვში იყო გათხოვილი, გამოვედითო ექვსი ქალიო და ერთი მოხუცი კაციო. ამ კაცმაო შეაბაო ორი მარხილიო. ამ მარხილზე დავაწყეთო, ზოგის ხელია მოჭრილიო, ზოგის ფეხია მოჭრილიო, ზოგის ყურია მოჭრილიო, დასახიჩრებული ადამიანები, თვალები დაუთხრიათო, რას ვუყურეთ, ასეთი რამეო, ძილი აღარ მომდიოდაო, შტიკით რო დაუგლეჯიათო, ამ სიდუხჭირეს ვუყურეო, მივიტანეთ და საძმო სასაფლაო გავთხარეთო თოვლში, რაც შევკელით და მიწა დავაყარეთო. მერე ბიძაჩემმა, დედაჩემის ძმამ, იცნო თავის მამა და გადაასვენა ცალკე. იქ საძმო საფლავეში კი ათნი არიან დამარხულნი. უდანაშაულო ხალხი ხოცეს იმიტო, რო ამ სახედარმა წისკვილში მიმავალი თათარი მოკლა. გარდა ამისა, ერთ დღეს ეკლესიასთან მთელი სოფელი სკოლაში შეყარესო, ვინც კი ხელში მოხვდათ, დიდ-პატარა. გარედან დაკეტესო. ნავთი ყაბები დააწყესო გარშემო, დაყარეს შეშა, თივა, რო უნა მოუკიდონ ცეცხლი და დაგვწვანო. ზველში იყო ერთი ყარაჩოდელი კაცი, არსენაი ერქვა, ახალგაზრდა კაცი. ჩავიდა ურაველში, მივიდა ფაშასთან და უთხრა, აესეთი ამბავია, სოფელინა ამოწყვიტონ. ფაშა იყო ძველი ქართველი, გამოგზავნა კაცი: თქვენაო აკეთებთ გლახა საქმესაო, ხვალ ქართველი შემოვა და თქვენი უღუდ-ბულუდი აღარ დარჩებაო, თქვენი ღრუბელიც აღარ დარჩებაო. არაფრისდიდებით არ ჩახოცოთ ეგ ხალხიო, მაგათმა რამდენი შეგინახათო, ქართველი შემოდოდა და მაგათ ეფარებოდითო. გაანებეთ თავიო. ზველის ხალხსა ღობიეთის ხალხთან, ღობიეთის თათართან კარგი მეგობრობა ჰქონდათ. რო შემოვიდოდნენ (თაღანზე), მთლიანად სახლებში მარტო ბოძებიდა რჩებოდა და ჭილობები არ მიჰქონდათო. ხალიჩები, ფიჩვებიო, ფარდაგებიო, რაც რა იყო, ძროხა, საქონელი სულ გატანილი ჰქონდათ და ცარიელა ბოძები რჩებოდაო. ამოვიდოდითო, ფქვილი უნდა დიეფქვა ჩემ მეუღლესაო, სერგინ პაპასაო, ეს ფქვილი რო დავფქვითო, იქვე ღობიეთში გამოვაცხეთ პურიო, იქვე დავურიგეთო. ვის ეტყვიო, არ ჭამოთო. ისე გამოვიდაო, რო გაზაფხულითაო მათხოვრობა დავიწყეთ სოფლებშიო. ბალახი რო ამოვიდოდა, ბალახ ვჭამდითო, ფამფარას და რადაცასაო. ამ ურჯულოებისგან ფაშამ გადაგვარჩინაო. ჩვენები რო შემოდოდნენ, ნაკლებ არ აკეთებდნენ, მილიციონერები. ერთხელ შეყარეს იორდანიენტ სახში, კარებები ჩაკეთეს. ზვეიდან მიწა აყრია, მიწური სახლია. მთელი ახალგაზრდობა შეყარეს ქართველები, ისევ ქართველებმა,

მილიციელებმა. მამაჩემი მოვიდა, ბევრი თოფები ჰქონდა, ხირიმის თოფები. პაპაჩემი ეუბნება: შვილო, სუყველა შეყარეს იორდანიენტ სახში, უნდა დახოცონო. –დაიცა, დავახოცინანო მე მაგათაო. გამოიტანა ცხრილით პატრონები, ჩაუსაფრდა, ივანიძიენტ სახლი იყო, ბუხართან ჩაუსაფრდა. ერთიცდავაყარე ტყვიაო. ზოგი მოსეს სახში შეძვრა, ზოგი – აქეთ, ზოგი – იქით... რა ჯანდაბა დავალება ჰქონდათ, ხალხინა დაეშინებინათ.

დევრიშოვები, ვიცი, რო ათი ოჯახი იყო ზველში, ხუთი ოჯახიც ჭობარეთში, სუფთა ქართველები იყვნენ. პატარა ბავშვი ვიყავი, წამიყვანდნენ, ხინკალს მაჭმევდნენ, მეფერებოდნენ. აუგი არ მინახია, როგორც ალალი ბიძაშვილები, მისვლა-მოსვლა გვქონდა, საციქველზე მისვლა. რო გადიოდნენ, გასახლება რო დაიწყო, წინა დღეს მანქანები მოვიდა. მანქანები მანამდე არ გვენახა. შემოვიდნენ და ორ ოჯახს უნდა დაედო თითო მანქანაზე ტვირთი: ყველი, ერბო, პური, ლოგინ-მოგინი. თვითონაც ზედნა დამჯდარიყვნენ. სადამოს, რო მოლამდა, აბა, დაიძინეთ, დაიძინეთ, ჩვენ პატარები ვიყავით... იმ დღეს, თურმე, სუყველა გამოიყვანეს სახლებიდან, თათარი, დევრიშოვი თუ ვინ იყო. **ბარინჯიები ერქვა იემანდ ტერიტორიას**, ვაკე ადგილი იყო და მთელი ჯარი მანდ მოათავსეს. ყველა სახში დააყენეს ჩასავი. დალუქეს, ზრიზა-რამე. დამე შესვლის უფლება არ მისცეს. დრიანცელი იყო. გათენდა თუ არა, დაატვირთინეს რაც დასატვირთი იყო, კვნესით, დარდიანი სიმღერით მიდიოდნენ. მემანქანე ყვებოდა, რო ერთი თავიო რო რაბათში იდგა, მეორე წნისშიო, იმხელა ეშელონი იყოო. ეს ხალხი რაგორც ჩაიტვირთაო, გაჩერების უფლება არ გვქონდაო. წინ გვხვდებოდა ნახირი, კამეჩები. მანქანის გოგრები თავს აყრევილებო, ვერ გაჩერებდითო. იხოცებოდა ქვეყნის საქონელიო. ბერიას ნაბრძანები იყო, კასპის ზღვაშია შესული ლიანდაგებიო, უნდა შეეყარათ. სტალინმა რო გაიგო, უთხრა, ველურად მოპყრობა არ შეიძლებაო. გაგვიშვესო, –ახლა ესენი ყვებოდნენ, ბინალია, –ჩვენაო, გზაში იმდენი დაგვეხოცაო, აუარებელი ხალხიო; გულმა, შიმშილმა ჩახოცაო. ტრიალ მინდორზე რო გაგვიშვეს, სახლებიც ხო ყველას არ დაგვხვდაო. ზოგი მოხვდა გაშენებულ სახლში, ზოგი ვერ მოხვდაო. ჩვენაო აქ ჩამოვდივართ მარტო იმიტო, რო წყალი არ ვარგა იქაო. თქვენაო რო ცხოვრობთო, ეს რა ცხოვრება არიო. იქაო ჩვენაო ყველაფერი გვაქო, ორ-ორი, სამ-სამი მანქანა გვიდგაო. შვილიც ჰყავდა ჩამოყვანილი, ზაურაი ერქვა. აქა ერთ ქალს ეტანებოდა. კინაღამ გაგიჟდა ის ქალი, ძალაზე ჩამოაგდეს მანქანიდან. ბინალი ბიძას შვილი ერთი აქ არი, მამამის ჰგავს. მიწერ-მოწერა ჰქონდათ სონა ძალოს და ბინალას, ძაან დიდი სიყვარული ჰქონდათ. აქ რო სიმღერას შემოსძახებდა სონაზე – ღირდა! შავ-შავი ბიჭი იყო ის ზაურაი, რო ჩამოიყვანა.

ეს პატარაი შავშავთმიანი იყო, შემაზე რამე მეხმარებოდა, ქვანახშირ წინასწარ რამე ხონა წაუძმღვარო, რო მოეკიდოს. ქვანახშირ ორ ვაგონს ავიღებდი, ორ სოფელს ყოფნიდა. ეს ამხელა ტყეები იმან შეინახა, 8-10 წელი ქვანახშირმა შეინახა. თვითონვე ინაწილებდნენ (მოსახლეობა) ვედროებით. კარგი პირობები იყო. უკრაინიდან ქვანახშირი შემოდოდა, რამდენიც გინდა.

ჩვენი (ზედგინიძეების) განაყრები მოდიან ასე: მათიენი, გლაგიენი, ტროფინიენი, მაყვლიენი, კუჭუენი, გაბრიელიენი, იორდანიენი. გლაგიენი იმიტო, რო „სოფლის თავს“ ეძახდნენ. ჭობარეთში არიან **გალავარები**, ჩვენი განაყოფები მარდის უბანში. მათე ბიძაშვილი გამოდის გლავასი. ზაქარია ერქვა ჩვენ დიდ წინაპარსა. ზაქარიას ძმა იყო გლავა. გლავას ძმა იყო იორდანა, იორდანას ძმა იყო მაყვლო. თედიენი იყვნენ ჭობარეთში და ერთიც იყო მღვდელი, გიორგი. **კუჭუენი მათიენტ ემხროდა. გაბრიელიენი მათიენტ განაყრებია, მათიენტ შთამომავალნი.** გენუშია, გიგლაი გაბრიელიენთია. მღვდლის ბალები ჩვენ ბალებთან შერწყმული არის. როგორც კი წავიდნენღვდლის ნაშიერნი (შთამომავლები) და თბილისში გადასახლდნენ, კომუნისტებს, კოლმეურნეობის მესვეურებს უთხრეს: თითო ყუთი მსხალი, გაშლი გამოგვიგზავნეთო. –კიო, გამოგიგზავნითო. კაციშვილმა არაფერი გაუგზავნა და მერე ეს ბალები დარჩა კოლმეურნეობას. მერე შეითვისეს, ზოგმა იქ აიღო, ზომა– აქ. მათიენი იყვნენ პორფილე, გიგოლა, კოსტანა, მათე და პავლე. პავლეს ჰყავდა შაქრო და შოთა. გიგოლას ერთი შვილი დარჩა, იმასაც ერთი ჰყავდა. კოსტანას ორი: ლაზოს მამა და ოთარას მამა. მოსე პაპას, ზედგინიძეს, ექვსი თუ ხუთი ცოლი ჰყავდა, ქვეყნის შვილები, შვილიშვილები. მაგათი სახლი იყო მერცხლის ბუდურა, დახურული. მანდ აღარავინ აღარ არი. ახალციხეშიც, ასპინძაშიც არიან, გამარჯვებაშიც, მრავალი ოჯახი. რო შეხვიდოდი, წინ ხო ბუხარი იყო მოპირკეთებული, იქით დახურული, სუყველგან განათება მიდიოდა. **ზევლის რაბათში გვქონდა საგანაყოფო როდინი. კუჭუენი ნაღდი განაყრები იყვნენ ზედგინიძეებისა, ემხროდა მათიენტ, მისვლა-მოსვლა გვქონდა. კუჭოს ქალიო,– იტყოდნენგათხოვილ ქალზე.** კუჭუენთი შოთაია აქა, ენიფაშია, სომხი გოგიაი. **გაზაფხულობით თულოს თამაში მიდიოდა, ქამრი გამოტანა.** იაშაანთ კალოზე, კუჭუენი რო ცხოვრობენ, ძველი ოდა აქო, მიწური, მაგათგან გვირაბიც მიდის გასასვლელი, რო ვინიცობაა, თათარი რო შემოდოდა, დარანი მტკვრამდე ჩადიოდა. ერთ დღეს ახალგაზრდებმა მოიწადინეს, რო ენახათ, რა არის, რა არ არის. მაღარიების დათვალიერება იცოდნენ, ჩადიოდნენ თოკებით, ამოდოდნენ. მამას ბიძაშვილის სახლში იყო ფურნე. ფურნის წინ დიდი ქვა დევს და ნაპირზე კენჭი ჩავარდა წკრიალ-წკრიალით. მეორე კენჭი ჩავაგდეთო და მოდი, აქ რაღაც

არის... ამოაგდეს ეს ქვა დაჩვეულებრივ სამალავი მიდის ქვეშ. წავედით, 16 კაცი ჩავედითო. წავიდეთო კოჭის ძაფებიო, რეზინებიო, კვარებიო, ფარნებიო, ღამპებიო— გასანათებელი საშუალება. ზვიგვირდ-მიგვირდი კი არ წავიყვანეთო, ფალაფოშა-რამე, გულიანი ბიჭებიო. ზოგსაც ეშინიაო. ჩავედითო ახლათ და ერთი გზა მიდის ქორეთისკენ, მეორე— ღობიეთისკენათ. რვა კაცი აქეთ წავიდა, რვა— მეორე გზისკენ. გზადაგზა ოთახები იყო, 2-3 მეტრიანი, რვა-ათი კაცი რო გაჩერებულებო. ძველი შტიკი დაგვხვდაო, ეგ წამოვიდეთო. ქვევით რო ვიარეთო, ზოგი ისეთი ადგილი არისო, რო უნა გახოსდე და გახვიდეო, დაბალი; მერე ცოტა გაივლიო, გაიმართები, კარგად გაივლიო. რო ჩავედითო დაბლა, მტკვრის შხუილი გვესმის, მაგრამ ჩამონგრეულია მიწათ. ვამონთო, რო გავაგრძელოთო გზათ, შეიძლება ჩამოწვესო. ვეღარ გავრისკეთ წასვლათ, მოვტრიალდითო, წამოვედითო. ეს მანძილი გავლა-გამოვლაში ორსაათ-ნახევარი მოეუნდითო. რო ამოვედითო, მთელი სოფელი იდგა და ტიროდაო: ქვესკნელში წავიდნენ და აღარ არიანო. თან უბრალო ხალხი კი არა, ჯან-ღონით სავსე ახალგაზრდობა. ესლაც შედის სახლიდან გვირაბი, მიჰყვები და წამოჰყვები ქვევით. ფურნესთან ქვა რო ამოაგდეს, ის ცალკე ჩადიოდა, ესენი ერთიმეორესთან ერთდებოდნენ. ერთი გვირაბი ჩადიოდა მაღაროებში, მეორე— ქორეთში, მესამე— ღობიეთში. აბა, ამოდენა სოფელი როგორ გადარჩა? ჩვეულებრივი სამალავი. ყველა რო გაიხიზნებოდა, მოაცურებდნენ ქვას, დაადებდნენ ზეიდან, შეუმჩნეველი რო ყოფილიყო. ასე გადარჩა ჩვენი ერი. მერე მაღაროებში რა ძნელი ჩასასვლელია, თოკებითა ჩახვიდე. აქეთ, გოხიან მაღაროში ოქროც ამოიდეს. ეტყობა, რო ვიდაცას შენახული ჰქონდა. ღობიეთიდან არის გაზიდული ოქრო. სოფლის მაღლა ტერიტორიებზე სუყველა გახსნილი სამარხი არის, კოშკებთან არის 8-10 სამარხი გახსნილი. აქეთ გოხებს ვეძახით, მანდაც 8-10. ადრეც, მერეც გახსნეს. ჩვენი ეკლესიის ჩრდილო-დასავლეთი მხარე დიდ ფიქალზე დგას. შეკეთება რო დავიწყეთ, დაგუკავშირდით ჩვენს მეუფესა. ამოვიდა, ნახა: ეს ქვები გაასწორეთო. ვუთხარი: ამის გასწორება იცით რა არის, ორტონიანი, სამტონიანი ქვებია, ამას როგორ ამოვაგდებთ. მაშინ ვგრევე დატოვეთო, შუალედებში ჩაასხითო. როცა მრეველი მოდის, მუხლს იყრიან.

ყველაზე ნოყიერი ნიადაგი არის მორევაში. რომელი წელიც არ უნდა დათესო,, მოსავლის გარეშე არ დარჩება. ამას ეწოდა იმიტო, რო ქარი რო შემოუბერავს, შიგადაშიგ არის მორევივით. გარდა ამისა, მეორე ვერსიით, სისხლის მორევი დადგა. ურჯულოებმა დააყენეს სისხლის მორევი. კაი ხანს იქ ადამიანებს გავლა უჭირდათ, ჩვენი წინაპრების სისხლზე ფეხი როგორ დავადგათო. მანდ ჩაიხოცა 16 ახალგაზრდა, უღამაზესი ვაჟკაცები. ერთი

ახალგაზრდაც აბანოში მოკლეს, ჩავარდა თათრის ქალების აბანოში. ერთმა თათარმა უთხრა მეორეს: ეგ ბრუდე რკინა რად გინდაო? ესროლეს და მოკლეს. ივანიძე ნინომ კი თავის ძმის ფისტოლეტით თავი მოიკლა, არ წაყვები თათარს ცოლადაო. მე პაპაჩემი არ მახსოვს, არც დედის მხრიდან, არც მამის მხრიდან. კლავის სისხო თითები ჰქონია პაპაჩემსა, მამას მამას. დედის მხარეც მაღალტანიანი ვაჟკაცები იყვნენ, საროს ტანისანი, ძაან კარგი მთქმელები, კარგი აშუღები. ბიძაჩემს ერთი საზი რო დაუფუტურავდა, მეორე საზი აიღო. ეთოი რო მოვიდოდა (ტოლოშელი აშუღი), ილიკო რო მოვიდოდა: მოსეჯან, შენ აქ ოღონდაც არ შემარცხვინო... რო შემოჰკრენდა საზსა, სუყველა ჩერდებოდა, ხმას ვერ იღენდა. კარგი ქვის ოსტატი იყო, საფლაავების ქვებსაც თლიდა, სახლის ქვებსა, ხის ოსტატიც. ჯვლებს ქსოვდა. ყოველ კვირაში თითო ჯვალს ქსოვდა. რო გარდაიცვალა, ცალი მხარე გაჩერებული ჰქონდა; შეატყობინეს ნოდარაი, მისი შვილი, ყაზახისტანში იყო და კუხნა აუფეთქდა. აქ ხერხზე მუშაობდა ბიძაჩემი, შუადღისით ამ გახურებულ რკინაზე რო დაწვებოდა, სიამოვნებდა. თურმე ცოტა წასთვლიმა და შურამ თქვა, რო არ იცისო, რო თავისი შვილი კუხნაში დაიწვაო. თურმე ესმის ესა, წამოდგა და ვედარ წამოდგა, მარცხენა მხარე გაუჩერდა. ასე იცოცხლა დაახლოებით 20 წელი, მერე ჩემ ხელში დალია სული. მეორე დღეს ამოვიდა თავისი ცოლისძმა: მაგან იმდენი სიკეთე გააკეთაო, რო მუსსში სუყველა მაგის მადლობელიაო, ვის სახლის კარ გაუკეთა, ვის კიდე რაო. ჩემ ქორწილში მაყარიც ეგ იყო, მაყარბაშიც ეგ იყო; ეს ზურნა და დუდუკიგაჩერებული იყო და ყველას გადაუჯოკრაო. ბოლოსაო, ხალხოო, ერთ სიმღერას მათქმევინებთო? რატომაც არაო! ბანზე რო ეს ახოვანი კაცი დგას და სიმღერა გადასძახა, ნახევარი საათი შეაჩერა ხალხიო: მოსეჯან, ესეც თქვი, ისიც თქვიო... რაზე აღარ მუშაობდა. რო დაზამთრდებოდა, შევიდოდა მაგათსა, ხან ჯვალს ქსოვდა, თან ზღაპარს ყვებოდა. ხან „ქოროლლი“, ხან „აივაზი“, ხან სხვა.. ამ ზღაპრებში თათრულეებ სიმღერას ამბობდა ღამის 2-3 საათამდე. ჩვენ არც კლუბი გაგვანდა, არც კინო-თეატრი და ასე გვართობდა. ტრაქტორზეც მუშაობდა. რუსის ქალმა შემოიყვანა პირველი ტრაქტორი, ორსულად იყო, ვედარ შეძლო მუშაობა და ბიძაჩემ დამთავრებული ჰქონდა და დააჯდვინეს. გიორგი ერქვა, მოსეს ძმა, დედაჩემის ძმა იყო. ბარინჯიებზე გამოიყვანდა ყოველ დღესასწაულის დღეებზე ამ ტრაქტორს, რულს დაატრიალებდა, ხეს გაუკეთებდა, გამოუწვევდა გაზსა და თავისით რო დადიოდა ტრაქტორი, გაგიჟებული იყო ხალხი. თან ვარდებით, ყვავილებით მორთული... თელი 3-4 სოფელი მოდიოდა, ყურობდნენ ამ ზეიმსა. ყანებს ხნავდა. მაშინ ისე კი არ იყო, რო ხარვეზი გაეკეთებინათ, სახნისები ისეთი იყო, სუფთა

რკინა. ერთხელ დეიდაჩემი ყვება, რო ანდრეაწმინდაში ქორწილში ვართ დაბარებულებიო, ნა წავიდეთო, ნათლია არის ბიძაჩემი, არ წავიდეს, არ იქნება. ერთი პამოშნიკი ჰყავდა, მამედაი. მამედამ უთხრაო, რო გიორგიჯანო, ეს ტრაქტორი გამიკეთეო და მე ვიმუშავანო. ის თათარიც ძმასავით უყურებდა. უკრაინაში იყო, მანქანაზე დააჯდინეს და მერე არსად აღარაფერი ისმოდა, ვერაფერი გავიგეთ, იმის ულუდ-ბულუდი სად იყო, სად გაუკეთა მარილის აკვანი მაღალმა ღმერთმა. შეიძლება მანქანაც აუფეთქეს. იმისი ასავალ-დასავალი ვეღარ გავიგეთ. ნაბრძანები ჰქონდა, რო პოდუქტინა მიეტანა. ზევიდან თვითმფრინავი ისევე ბომბავდა. ღმერთმა ნათელი დაუყენოს. საძმო სასაფლაოებზე ვერსად მივაკვლიეთ. კოლმეურნეობაში რო შედიოდა ხალხი, მაშინ პური არ ჰქონდათ, მოსავალი არ ჰქონდა კოლმეურნეობას. ამბრებში უნდა ჩასულიყვნენ, ამოეღოთ პური და კოლმეურნეობის ყანები უნდა დაეთესათ. შენ, რაც ერთი კოდის ყანა იყო, იმას დასთესამდი, მეტი არა!. კოლმეურნეობის თავჯდომარე იყო, ბალშევიკს ეძახდნენ, წესიერი სახელი პავლეი ერქვა და რახან კოლმეურნეობის თავჯდომარედ მუშაობდა, ბალშევიკი დაარქვეს. ის ჩადიოდა ამბრებში, დაუტოვებდა საჭმელსა და დანარჩენი ამოჰქონდა. ასე რომ, სტალინის პრიკაზი პრიკაზობდა. ჩვენ პატარები ვიყავით, ბიძაჩემთან სახლში მივდიოდით, ჯაბონთ კარზე იყო კანტორა, ეგეც დევრიშოვი იყო. მანდ რადიო გადმოსცემდა. ელემენტებზე ამუშავებდნენ და სტალინის ხმა მანდ მოვისმინე. ერთიმეორეს აჩერებდნენ, რო გავიგონოთო. რო დაიღუპა, ყველა ტიროდა. ახალციხიდან სამგლოვიარო საღუტის ხმა ამოდიოდა, მატარებელი ჩართული იყო. როგორც ახლა კორეაში, პრეზიდენტი რო გარდაიცვალა.

ზველის ინასარიძეებიარიან მუსხიდან, აღანიკიენტ ეძახიან. აღანიკა ერქვა და იქიდან მოდის. **ივანიძეებს ქუმელიენტ** ეძახიან. შავი მოცხარი, თუთისხმელი, პანტა შეერთდებოდა, დაიფქვებოდა ელიმეორეში, აურევდი წყალსა და მოზელავდი; გემრიელი გამოდიოდა. **უყვარდათ ქუმელი და დაერქვათ ქუმელიენი.** მაშინ ოჯალი რო გაიყრებოდა, ერთი გლოვა იყო. ჭობარეთში ვინც რო თათრის სახლში ცხოვრობდა, მეტსახელად იმისი სახელი დაარქვეს: იასირაი, შადიმანაი, ოსმანაი.. ჭობარეთში პირველად ზედგინიძეები იყვნენ, ვერანას ეკლესიის ახლოს, ზიარეთის (მზიანეთის) ქვევიდან ყოფილა სოფელი, მერე რო გავერანდა, გაანადგურეს ურჯულოებმა, მერე დარნები გააკეთეს. ახლა გვირაბებია, წყაროებია. **ზედგინიძეების მერე მოვიდნენ გურჯიეები, იგივე გვირჯიშვილები, მერე ივანიძეები. ჯვარიძეებიც აქედან, ზველიდან არიან გადასულები. ჯვარიძე ჩვენმა მღვდელმა მისცა გვარი, სხვაგან ჯვარიძე არსად არი. ერთ შტოს ეძახდნენ ბადალიენსა.** ჩვენი პავლე მღვდელი უხდიდა მაგათ გადასახადსა, რო

არ გათათრებულებიყვნენ. თუ არა ორგორიდანა წაელო კირი ახალციხეში და ჩაეტანა ყოველდღე თითო რეისი, თუ არა – გათათრდი!. ერთი ძმა გათათრდა და იმათი ნაშიერი გაუძახეს ყაზახისტანში სულა. აქა, ძველში იყვნენ ეგენი მჭედლიძეები, მერე მღვდელმა რო გადაასახლა, ჯვარიძე მისცა.

ლამარა ვანოს ასული სეთურიძე, დაბ.1937 წ. სოფ. ორგორა:

სეთურიძე ვარ, ვანოს ასული, ენაზე გასული (ეცინება). ახლა გავხდი 80 წლისა, 7 მარტს გავხდი. ჩვენი განაყოფები არიან სულ სეთურიძეები. აი, მაგალითად, დედაჩემი იყო ლუთხუდებია, დუშეთის რაიონში, საბჭო ფასანაურია, გუდამაყარს ეძახოდნენ, წიკლაურია გვარადა, ბოლონათი ვართო, ნაბოლარა იყო. ჩემი მამა კიდენა ჩუგრიანთ გვეძახოდნენ ჩვენ განაყოფებსა, ისე დიმიტრიენტ გვეძახიან. პაპაჩემს ერქვივნა დიმიტრა და რო ვინმე შეეკითხებოდა, სეთურიძე ვანო სად ცხოვრობსო? რომელიო, თემიენთი თუ დიმიტრიენტითო? ბევრიანი არიან, ლაზარიანი არიან, შიოლიანი არიან. ეს ჩვენ გვეკუთვნის ჩუგრიანთებს. კარზიანთი არიან, ნიკოლეკიანი არიან, ისაკაანი არიან. საერთოდ ჩუგრიანი რქვივნებია ჩვენი პაპის პაპას და დაუძახეს მერე ჩუგრაანი. ამ სოფელში არიან ჯაღმაიძეები, ზაქაიძეები, ბურდულები, კედელაშვილები, ოგბაიძეები, სუარიძეები, წამალაიძეები, ჩოხელები, ნაზლაიძეები, კეკიშვილები. კეკიშვილებს კეკიენტ ეძახიან; ნაზლაიძეებს ტარაზიანთ ეძახიან: მამამთილის მამის სახელი იყო და... კედელაშვილებს კედელათ ვეძახით. ზაქაიძეებსა – ვაჩაღდიანთ. ვაჩაღაი ჰყოლიათ ადრე, მთიულეთში და აქ რო გადმოვედით, გადმაჰყვა. ვაჩაღდიანთ ვეძახით. წამალაიძეები არიან და მარტიაანი იყვნენ. ზაქაიძეები რო იყვნენ კიდევ სხვები, ეხლა კი ნორიოში ცხოვრობენ, კატყვიენთი ერქვივნა, კვამლის სახელი კატყვიენი ერქვა. ზაქაიძეებს კიდენა აიქ რო ცხოვრობენ, კაციენტ ეძახიან, კაცინა ვიღაცა ჰქვივნებია და კაციენტ ეძახიან. სუარიძიანთ სუართ ეძახიან სუყველას. მაგათაც სუართ ეძახიან, იქითაც იმის ბიძა ცხოვრობდა, იმათაც სუართ ეძახიან. აი, არგანაშვილებს არგანათ ეძახიან, ნაღვარევიდან არიან ჩამოსული. ჩვენთან იქ, ხევსურეთში ცხოვრობდნენ ოსები, ექვსი ისეთი კვამლი იყო, ჩიტრაკიენტ ეძახდნენ. 44-ში რო გადმოგვასახლეს, 7 წლის ვხდებოდი, ვახტანგი ერქვივნა, წამოზრდილი იყო. ბებრებიდა იყვნენ. –ეგაო, ვინ არიო? – ჩიტრაკიენტ ვახტანგია-მეთქი. 7წლის ჩამოვედ აქა, პატარა ვიყავ. ვაიმე, რა ტირილი იყო და რა ქოთვა იყო. ეხლა იქ ჩვეულებრივი სახლები გვქონდა, ფანჯრიანი, ბანიანი კი იყო, მარა ფანჯრიანი, შუქიანი. აქ რო ჩამოვედით და ერდოები დავინახეთ, კინაღამ გაგიჟდა ხალხი. აღარ გადმოდოდნენ მანქანიდან. მთელი სოფელი 110 კომლი იყო, სუ გაიპარა იმ

ზამთარში, უკან დაბრუნდა ხალხი. ჰო, ეგეთი უბედურება იდგა. გერმანია შემოვიდა დარიალის ხეობაში, ორჯონიკიძეს გამოსცდნენ, დარიალის ხეობაში რო შემოვიდნენ, აბა, თქვეს, რო ხალხ უნდა ვუშველოთ და ამ სათათრეთში არ გადმოგვასახლეს. აქედანა 4 დღის უწინ ეცებ დამე გაასახლეს თათრები და ჩამოგვიყვანეს 3 დღის შემდეგ ჩვენ.

–ახლა ნახეთ, როგორი კარგი დასახლებაა, ჰაერიანი.

– ჩვენი ადგილი განახვა შენა და ეს რაღა ადგილია.

– არ ჯობია იმ ადგილებს?

– უიმე, არა, ქალო, არა! მათეუეს ხალხსა, რო აესეც იქნება, ისიც იქნება, შიმშილით იხოცებოდა ხალხი. ეს გერმანია მოწოლილი იყო, თვითმფრინავები რო დადიოდა არა, ამბობდნენ, ფასანაურის დაბლამდე ჩამოდიოდა, აესე ხედებოდნენ ერთი მეორეს. იმათ თვითმფრინავებს სხვანაირი ნიშანი ჰქონდათ, სხვანაირი ჩვენებსა. აი, გერმანელები, გერმანელები!– და თან კაცურად ვაგინებ. რატო მოდიან-მეთქი. –ქალო, გაიწყვიტე ხმაო!– ჩემი და მეუბნება, უფროსი, 5 წლით ჩემზე დიდი იყო, –გაიწყვიტე ხმაო, ბომბ ჩამააგდებენო. ორი ბომბი ჩამააგდეს, ხიდი უნდა ჩაეგდოთ მლეთას. ერთი კლდეს მოხვდა და ერთი არაგვში ჩავარდა. აქედან რო მიაწვა მთელი ჯარი, ამ დასავლეთიდან მოუარეს, რო ეს გერმანია უკან მიებრუნებინათ. ესენი კიდევ ჩამაჰყრიდნენ წერილებსა, გერმანელები: ხალხო, ნუგეშინიათ, ხალხო, ნუ გეშინიათ, აესეც გაცხოვრებთ, ისეც გაცხოვრებთ, ოღონდ საბჭოთა კავშირი ნულარ იქნება და იყოსო გერმანია. ვკრებდით, დავრბოდით ბაღლები ამ წერილებსა. აბა, მე კითხვა არ ვიცოდი და ჩემნაირებმა და ვინც კითხვა იცოდნენ, ისინი კითხულობდნენ და ხევდნენ მემრე წერილებსა და გადაჰყრიდნენ. არ უჯერამდნენ. აეგეთი ამბავი იყო. აქ ჩამოსულებმა ძალიან განვიცადეთ. 110 კვამლი ჩამოვედით და ბოლოს დავრჩით ცოტა, 30 კვამლიდა ვართ. სუ უკან წავიდნენ. სკოლა მაშინვე იყო. იმ წელს აღარ მივსულვარ, 8 წლის მივედ სკოლაში. ოქტომბრი ბოლოს ჩამოგვიყვანეს. მემრე მეორე წელს მივე სკოლაშია, მეოთხე კლასში ვიყავ, რო ფერმაში წავედ. ჩემი და არ დადიოდა სკოლაში, იქ სულ ხუთებზე სწავლობდა, აქა სუ შერეული ხალხი რო იყო და უცხო იყო, სულ სხვადასხვა სოფლებიდან იყვნენ, მთიულეთიდან ჩამოსულები, ზოგი ველურსა გავდა და გაანება თავი. ავდექ მემრე და ფერმაში მე წავედ ჩემი დის გამო. დედაჩემი ცუდად იყო და მე ვერ მოვუვლი-მეთქი დედას და... წავედ და ჯერ ბოჩოლები ჩამაბარეს 12 ცალი, ახლა სამნი ვიყავით ერთ პატარა სარაიაში. ცოცხს მამცემდნენ, ცოცხზე დავეყუდებოდი, ბარს მამცემდნენ, ბარზე დავეყუდებოდი, არ ვიცოდი, რა უნდა გამეკეთებინა, მართლა გეუბნები. ვალიკო იყო მარტიანთი, ის მაღალი იყო,

თითქოს ჩემზე პატარა იყო, მაგრამ მაღალი იყო: ლამარა, გაგადებინებ შენ თავს ფერმიდან! – არა, დედაი ავად არი და მე ვერ მოვუვლი. მაინც წავიდა ბრიგადირთანა, ჯაჯიანთ კოლასთანა და უთხრა, ლამარაიო არ მუშაობსო. – ეე, შვილო ვალიკო, პატარაია, ხო ხედავო, ან ცოცხი როგორ უჭერია, ან ბარიო, უნდა ვასწავლოთო. მაშა, ეგრე იყო! მემრე როცა წამოვიზარდე, 7 ძროხა ჩამაბარეს, 7-დან წავედ, წავედ და რაიონში პირველი ადგილი მეკავა. გამშვია კე. მანქანით ჩამამიყვანდნენ კრებაზე, ღმერთს გეფიცებით, სიტყვაშიაც ბევრჯერ გამოვსულვარ, ძლივ მილაპარაკნია. მრცხვენოდის კე. მშობლების კერაზედა ვარ. დღესაც რო ლაპარაკი ჩამოვარდება არა, ისევე იმ ადგილს ვნატრულობთ. მივდივარ, ფეხქვეშა მაქ თელი რუსეთი, სტავროპოლამდე გავდივარ, ჩემი და იქა ცხოვრობდა და... მამა მამიკვდა ჯერა და თქვა იმან ანდერძადა: აქაო, არ მინდა თათრების ადგილში დამარხვო, მე ჩემ ადგილში მინდაო. თანაც იმას იძახოდა, ნეტაო, მანამდე არავინ მოკვდესო, წასვლას ვაპირებდით ჩვენა. ამასობაში ჩავარდა, ჩავარდა და რო მოკვდა, გადავწვიტე, ვუთხარ სიძეებს, დიშიელებს. ამომიდგნენ მხარში, წავიღეთ მერე, გადავასვენეთ. ახლა დედა მოკვდა და ჩემი მზახალი ეუბნება, გრიშაი, აქ იყო: მარო, სად დაგმარხოთო? არაყი მოუტანეო, – დედამ მითხრა. დედაჩემი ჩალოგინებული იყო, ძან სტუმართმოყვარე იყო დედა. – შვილოო, რატო დაჯდები კი ეგრეო, აემ კაცსაო პატივისცემა არ უნდა? ორი ჭიქა არაყი ვეღარ მოგიტანიაო? – ასე მითხრა პირდაპირ. როცა დალივა ერთი-ორი ჭიქა გრიშამა და სად დაგმარხო... – ამას კითხვავა უნდაო? ჩემ პატრონთან დამმარხავო, სად უნდა დამმარხოთ სხვაგანაო. ისაც იქ გადავასვენეთ. ეხლა ჩემი ოჩერედია. ვეუბნები, რო არსად არა, აქ გავიზარდე, აქ დავბერდი, ჩვენს სასაფლაოებზე-მეთქი, ორგორაში.

დიდი ხნის წინათ მაღლა ადიოდნენ ლომისობას, ქალი მიჰყვანდა მხოლოდ სუფთა. დამსხდარან ქალი-კაცი, გაშლილა პურმარილი, აქეთ-იქით და მემრე ერთ გასათხოვარ გოგოს აუღია ქვა, ჩიქილა მოუხდია, დაუხურებია და აემ ბავშვის ნორმაც მამეცითო, – გასათხოვარ გოგოს. ხოდა, მართალია, ტყუილია, იმას ვერ გეტყვი, მხოლოდ ამბობდიან კია, რო მართალიაო, ამდგარან და მიუციათ ხატის წვენს ეძახდნენ თითო ნაჭერ ხორცს და თითო ჯამ წვენსა. წვენს არ გადაღვრიდნენ საღვთოსას. აემ ბავშვსაცაო წილს ნუ დააკლებოთ და ეს ბავშვად ქცეულა. როცა ამოვიდნენ და მისცეს ეს ნაწილი, ამ ქალმა თვითონ შეჭამა და როცა წამოვიდნენ დაეს ქვა უნდა გადაადგოს, ჩხავილი დაიწყო რაღაცამა, თქვე, რო აი, ბავშვი, ბავშვი... გაშტერებული იყო თურმე მთელი ქვეყანა. იქ თურმე კიდე რა იციან, იცი? ჯაჭვია, ისეთი დიდი ჯაჭვია დაწნული, ასე ხელის სიმსხოა, ლომისას ჯაჭვი ჰქვია, თუ არის დამიზეზებული, ხო

აიღებს, თუ არა, ვინცგინდა მივიდეს, ვერ ასწევს. ის იმხელა ძალას აძლევს, რო ასწევს, გადაიხვევს ყელზე და შამოუვლის სამჯერ ეკლესიას. აქედან წაველ, თურმე ფილტვების ანთება მაქ, გადაბიჯების თავი არ მაქ, მაყვალამ წამიყვანა: წამო, ქალო, გელოდებიანო. ამ ბაღლებს უნდა ჩემი წაყვანა, რო ყველაფერი უნდა ვუთხრა. ახ, ლამარ ბაბო, სადა ხარ ერთიო, ნეტა აქ იყო... მთელი ღამე იმდენი ხალხი იყო, ვერსად ვერ გაჩერდითო, – გელამა. დაბლა არაგვეთს გამოსულიყვნენ. მემრე ბებერი ვინმე ყოფილა, შემოდობილი ჰქონდა ორსართულიანი სახლები. ბაბო, –გელას დაუძახნია,– შეიძლებაო, რო ზევით ადგილი ვერ ვიშოვნეთაო და აქაო დავსხდეთო? –სად ხართ მოსულები, შვილოო, ლომისაშიო? –ხო, ლომისაშიო. –შეგეწით დიდი ლომისას მადლიო,– ამ დედაკაცს დაულოცნია,– გადმოდითო, ეს ჩემი ყანა არიო, გინდა სულ გათელეთო, ეგაო ამაღამაო რო სულ გათელეთო, ხვალო დიდი ლომისა ფეხზე დააყენებსო. წადით აგე იქა ადითო, ხმელი შეშა არიო, მოზიდეთო, ამაღამ ცეცხლი არ ჩააქროთო, ცეცხლი გენტოთ სულაო, დაძინება გინდათო, აი, ჩემი სახლიო, ზეთო ოთხი ოთახი მაქო, კრაოტებით არი საკსეო, რომელშიც გინდათ, იქ დაიძინეთო. მემრეო ამდგარან, რო გაუშლიათ პურმარილი, სუ ყველა ნაწილი შაუტანიათ იმ ქალისათვის. ჯერ არ ღებულობდაო, მაგდენა ხიზანი ხართო, არაო, შვილოო. იმდენი გვაქ, ბაბოო, ერთი კვირა მოვუნდებითო მაგის ჭამასაო.

მარიამ წყაროაშვილი-ზაქაიძე სანდროს ასული, დაბ.1941წ. სოფ ორგორა:

წყაროაშვილები ვართ, სახუდაბლელი ქალი ვარ, კომლის სახელსა ჭორტლანთ გვეძახიან. პაპაჩემსა ჭორტი (ჭვარტლი) ბუნრიდან უხვეტია, წაუღია და უყიღია, დაუძახიათ მერე ჭორტლაი. გაღმა განაყოფები იყვნენ ტოკანი. თურმე ის კაცი დაიჭირეს, წიხლებს ისროდა, რას იტოკებო და ტოკაი დაუძახეს. ჩემი ქმარი ზაქაიძეა, ვაჩაღდიანთ ეძახიან. 4 წლისა ვიყავ, აქ რო გადმოვედით, მერე ვიყავ იქა წასული, მერე კიდევ ვიყავ, ლომისობას კი არა ვყოფილვარ. საღვთობა სცოდნიათ ჩვენებსა მადლა ქედზედა და მადალ სახლს თუ გააშენებდნენ, საღვთოს გაუსწორდითო. ეს ერთი რძალი ყოფილა წასული მამის სახლში, ორსული ქალი ყოფილა. სახლი რო დაცემულა, დაუნოცნია ისენი. წამოსულა ეს ქალი, წყაროა დაბლასა, იქ გასჩენია შვილი და წყაროა დაურქმევია. სტუმარი უყვართ ჩვენ ხალხსა. ქურდებ წასულიყვნენ ლომისაზე, რო ფული-რამე არიო, თასებო... არ მიეშვა ხატსა იქა, ვერ მიეკარნენ.

მარო შიოს ასული ნარიმანიძე, დაბ.1938 წ. სოფ სახუდაბელი:

სოფელ სონხოდან ვარ, დუშეთის რაიონია, ათალიანია კომლის სახელი. ჩვენს სოფელში ცხოვრობდნენ აბდულიანი, ბეჟანიანი, ადამიანი... აქ გადმოსული ვართ ათალიანი, ბეჟანიანი და აბდულიანი. ასპინძის ნარიმანიძეები ჟოჟონიდან არიან, სხვა სოფლიდან. წამალაიძეებში ვარ გათხოვილი, კომლის სახელი იყო მახარობლიანი. იქა ვინ იყვნენ დანარჩენები, არ ვიცი, იქ, მთიულეთში არა ვყოფილვარ გათხოვილი, აქ გათხოვიდი. როგორ გამაყვევ? მითხოვა და გამაყვევ. ჩემმა მულმა გამირიგა. მიცნობდა, ფერმაში ვიყავ მე და ჩემი მული იყო აღმრიცხველი, თან სკოლაშიც ერთად დავდიოდით მე და ჩემი მეუღლე, ერთ კლასში ვიყავით. დედაჩემი იყო მარტო და სამი გოგო ჰყვანდა. მამაჩემი ომში დაიღუპა. რის ჭირით გადმოვიარეთ, როგორ არ მახსოვს, საქონლის ვაგონებში ვიყავით მთელი ხალხი, წამოგვიყვანეს დუშეთიდან, ისე მიკვირს, როგორ გამოიტანეს იქიდან ლოგინი, ნაბდები, ცხვარ-ძროხა. აქა თათრების სახლი, ისეთი მიწური, ფანჯრები კი არა ჰქონდა, აი მალლა იყო ერდუები. უნდა შესულიყავი ჯერ ესე, მერე გომურში შეხვიდოდი, მერე მობრუნდებოდი— ოთახი იყო. მაშინ დიდი თოვლი მოდიოდა, იმხელა თოვლი მოდიოდა... ლომისობას დავდიოდი, სანამ ქმარი ცოცხალი მყავდა და დედა მყვანდა ცოცხალი, დავდიოდი 2-3 წელში ერთხელ, ყოველთვის დავდიოდით, მიგყვანდა საკლავი, იქ ვკლავდით. დაბლა, მღეთაში, ხო იყო ეკლესია, მთავარი ეკლესია იყო მალლა, იქ ავდიოდით ფეხით. ქალებს უშვებდნენ, თუ კარგად იყო, როგორ არა, მაშა! თუ ვერ იყო კარგადა, ხევ ჩამოდის, იმ წყლის იქით უნდა დამჯდარიყო ის ქალი. დეკანოზები იყვნენ ლომისაში, ილოცებოდნენ. დაილოცოს მისი მადლი! აგე იქ არი ჩვენი სალოცავი, დადგეს ისე და იძახიან, უნდა წავიდნენ და ჩამოიტანონ რაღაც, რო ნიში კი არი, მაინც იქ ავდივართ. ისეც სანხოსთს თუ დავაყენებთ, აგვყავს და ვკლავთ. მთიულეთში კარგი იყო ჩვენისალოცავები, კარგი ჰაერია, მაგრამ ფინთი გზა იყო. ერთხელ წაველ, ლეილა მყავდა, უფროსი გოგო, პატარაი. წაველ და ჩემ მულთან დავრჩი ნაღვარევიში. ვუთხარი, წავალ მე ჩონჩოს ავალ, ბიძაჩემი იქა ცხოვრობდა, იქ იყო. ეს გოგო პატარაი მყავდა. არაგვზე რო გავიარე, ხიდი იყო, ხეები იყო გადებული, გაველ და რო არ წამოველ იქიდანა, წამამყვა ჩემი ბიძაშვილი, ჩამოვედ და სადღაა ხიდი. არაგვს წაუღია. რო დავბრუნდი იმ დღესვე, ბიძაჩემი ვნახე, ძალოაჩემი, მივედ და სადღაა. რაღა ვქნა, არსენ, პატარა ბავშვი მყავ დატოვებული. არსენა დამიდგა ზემოთკე, გამიყარა ხელი ხელში: შენ ნელა მამყევ, შენ მამყევო. ხე-ქვა მოჰქონდა. გამამიყვანა. ეგ არი ფინთი. ბედოთ ხიდია იქა, უნდა გახვიდე. ეხლა იქაური ყველაფერი მახსოვს, ახლა რო გავაკეთო, არაფერი მახსოვს. ვკენჭაობდით, ქვებსა ვკრეფდით ხუთსა, ვკლასაობდით. ქედ იყო ერთი, წინა

ქედს ვესროდით, დაგყუდებდით ხესა, შემოვაწრეწირებდით, გავსროდით, რომელიც წრეში ჩააგდებდა, ის გამარჯვებული იყო. კუკლებს ხელითა ვკერავდით. რო ვუქურებდით დედაჩემსა, ბებიაჩემს, ქსოვდნენ, ართავდნენ, შალებსა ქსოვდნენ, ვჩეხდით. აქაცა ვქსოვდით. ეს 3-4 წელია აღარ მამიქსოვია, ნაქსოვი წინდა ჩამოვიტანე მთიდან დაისევ ისინია. აქა საქონელი, საქონელი! შენ მოგიკვდი, საქონელმა ჩამამკვდარა. იქაცა, მთიულეთშიც ვგრე ვიყავით, სხვა რაითლა უნდა გვეცხოვრა. კუკლებ დაემარხით კე, ვითომ... ღმერთო, ჯვარი დაგვწერე, ვტიროდით. აი, რა არი ბაღლობა! ისე მაშინებდა მკვდარი რო, მამამთილი რო დაიდუპა, სიზაბავრელმა მითხრა: მიდი, შვილოო, ხელი დაადე ეხლაო, მერე აღარ შეგეშინდებაო. მართლა ისე ვქენ და იეხლა აღარ მეშინია. ძალიან მეშინოდა, ისე მოვეფაროდე, რო არ დამენახა (მიცვალებული). გოგოთურიანები ერქვა ჩვენ სოფელს, გოგოთურიანთ ხატი იყო. ხატის სახელი არ ვიცოდით ადამიანებზე. აი, თუ ვინმე დაუძახებდა ღვთისოს...

– უმძრახობა იცოდით?

– ეგ ვიცოდით. ოჯალში არა, აისე მეზობლობაში რო ჩხუბი გახდებოდა, ერთიმეორეს შამასწერებოდნენ, შააგინებდნენ. დაადგებოდნენ ცოტა ხან უმძრახადა, მერე შერიგდებოდნენ. ოჯალთან არა, ეგ არ იყო ჩვენთან.

ნინა ალექსის ასული ნარიმანიძე-ზაქაიძე, დაბ.1927წ. სოფ სახუდაბელი:

ბერუანთ გვეძახოდნენ ნარიმანიძეებს. იყვნენ ჩვენთან თეთრაძეებიც, მამულაიძეებიც, თუშარიძეებიც, მარა ნარიმანიძეები ვიყავით რამდენიმე კომლი. კომლის სახელია ბერუანი. ბერუანთ ნინუას მეძახოდნენ მე. ნარიმანიძეები არიან კიდე ბატარიანი, მიკოლიანი, თათარიანი, აბღულიანი, ოსიანი, ჯეჯიანი, ადამიანი, გოგოთურიანი, ბეჟანიანი, ათალიანი. ჩემი ქმარი ზაქაიძეა. დიდი სოფელია, წკერას ეძახიან მთიულეთში, ყველას გვარი აქ ზაქაიძე, მარა ამათ ეძახიან კომლის სახელს კაცაანი. გიორგი პაპა უხუცესი კაცი იყო და კაცაანთ გიორგაიო. საწყალ მამაჩემს ეუბნეოდა: წკერასაო მე ვარ კაცაანთ გიორგაიო, კაი კაცი, დაფასებულიო, ჟოჟონშიო ბერუანთ ალექსიო. მამაჩემზე ამბობდა. ქმარი სად გავიცან და... აბა, რა ვიცი, რა თვალზე დამინახა. მოდიოდა ჩვენთან. ეს ჩემი ძმა შოფერი იყო, ისიც – შოფერი. ორგორაში ის მუშაობდა, სახუდაბელში – ესა. ორგორას მოუტანდა მთიდან ჩამოსული რძის პროდუქტებსა, კაცაანთ კარზე მივიდოდა, მოვიდოდა მერე ბერუანთ კარებზე. კარგი კაცო, რატო, რის გულისთვის?... თურმე ფიქრობს რაღაცას. მერე ილო, იზაის ქმარი, ჭორტლაანთი, წყაროაშვილი, მე ბუღალტრად ვმუშაობდი კოლმეურნეობაში და ეგა აღმრიცხველად. ერთხელ მოვიდა ამბავი, აბაო,

ხერთვისის იქით, თათრების გამოგზავნილ ხალხსაო 10 სული მეწველი საქონელი მოუპარიაო და გადაუყვანია იქითაო. ყოველ დამე და ყოველ დღე უნდა დასთვალათ საქონელიო. დაგვაჯინეს მანქანაზე მე და ეგ ილო და წავედით. ვასუას მანქანაზე, ჩემი ქმრისა. ეხლაო,—ამ ილომ დაიწყო აქეთ-იქით,—ვასოაო ვერ გიბედავსო, მოსწონხარო. გაჩუმიდით-მეთქი, მაგას ნუ ლაპარაკობთ, ეგ უთხარით მამას და დედას, მე პასუხს ვერ გაგცემთ. ჩამოვიდნენ მერე. მე სახში მომიყვანეს. უყიდია ერთი ლიტრა არაყი, მამასთან მოვიდნენ, მამას გაუმხილეს, რო ესე-ესე. იმის მერე გავიგეთ, რო ეს ბაღლი თურმე რატო დადის... მერე მამა გამოვიდა მაჭანკლად: ძია ლექსო, ორივენი დაფასებული ხალხი ვართ, მოდიო დაემძახლდეთო. სამხედრო მახდევინე შვილსაო და მერე დაემძახლდეთო. ჩემი შვილი 18 წლისა დავნიშნეო, შვილი შეეძინაო, მოვიხედე და ომში წაიყვანესო. ჩემი უმფროსი ძმა. ხოდა, რძალიო დაღონებული სახლში დამრჩაო შვილით ხელშიო. არ მინდა ეგრეო. მახდევინე სამხედროო, გამოგატანო. შეუთანხმდა. ჩავიდა ეს კაცი კომისარიატში, წაიყვანეთო ჩემი შვილიო სამხედროშიო. წავიდა ორი წელი, მოვიდა და... ჩვეულებრივი ქორწილი გადიხადეს, მაშინდებული, დიდი იყო თუ პატარა იყო, კაი ქორწილი იყო, ნათლია გყავდა.

მღეთის სკოლაში ვსწავლობდით. ჩვენთან გვიან გაიხსნა სკოლები ჟოჟონში.. ყველა უცოდინარი იყო წერა-კითხვისა. მე 17 წლისა ვიყავ და მეოთხე კლასში მიველ აქა, ორგორაში დავდიოდი. ჭორი იყო გადმოსული ორჯონიკიძიდან, რო ჯარიმოდის, ყველა გზაზე რაც შეხვდება, უნდა მოსპოს. მღეთის სკოლიდან თუ ბავშვები არიან, გამოიყვანეთ. ვითომ უნდა დაენგრია რამე, დეებომბა, ბავშვები არ დახოცონო, გაგვანებებინეს სწავლას თავი, წაგვიყვანეს ზოგი სად, ზოგი —სად. ათი დედმამიშვილი ვიყავით, ათიდან ერთი და-ძმა გვაკლდა და რვა გავიზარდებით: ექვსი და და ორი ძმა.

იქ მთიულეთში გექონდა რავი რამდენი გექტარი მიწა, ჟოჟონში. მამამ იცოდა მუშა. სოფელს მოუვლიდა, რო შაბათს მუშა მყავს. საკლავს დაკლავდა და მუშას ამუშავებდა. რო გაიგებდნენ ვიდაცეები, რო დღეს შაბათია და ბერუანთ ალექსას მუშა ჰყავ, ყველა მოდიოდა იქა. საწყალი დედაი დილიდან საღამომდე: აი ფურნე, აი ხაჭაპური, აი ხინკალი, აი ქადა! აცხოვდნენ და იყვნენ. გათენდებოდა შაბათი დილა, გავიდოდნენ ყანებში. ჩვენ, ბავშვებს გვიხაროდა. გავხედავდით, რო ვიდაცა მამაის ქვისლი, ცოლისდის ქმარი, აშლიდა ნაკვეთს. მოგროვდებოდა ხალხი, საიდან არა. დილიდან დაღამებამდე გადაჰპარსავდნენ იმხელა ყანებსა. თან მომკიდნენ, შეჰკონავდნენ, ააგებდნენ. ახლა სხვა ყანაში გადავიდოდნენ და დამთავრდებოდა. სიმღერას იძახოდნენ... უშარიძე სიმონას

ეპახოდნენ და ჭორტლა, წყაროაშვილი იოსება. იოსება დაიწყებს კე ჩვენ ყანაში: „ყანასა ბარძალიანსა არ უნდა დახედულობაო“. აქეთ სიმონაი სოლის ნაპირზე იყო, გაიგებდა და: „გავლა უნდა და გამოვლა, ნაპირში გახედულობაო“. ოჰკი-ოჰკა, ოჰკი-ოჰკა და ყანა თავრდებოდა. დედა, რამხელა მკა იყო და რამხელა ყანა იყო. მერე აქ რო უნდა გადმოსახლებინათ ხალხი, მამაი მდიდრად ცხოვრობდა, მამულები ჰქონდა და მუშაც ესე ეხმარებოდა, არ მოდიოდა მამაჩემი გადმოსახლებაში, არ მინდაო, აქა სჯობიაო. საქონელი ქვეყნისა ჰყავდა, ხიზანი ფეხზე ვიდექით, ბავშვები წამოვესწრენით, საქონელსაც ვუვლიდით, ბოსტანსაც. მამა მდიდრად ცხოვრობდა. არაო, არ მინდა წასვლაო. ბერუანთ ალექსაო,— მილიცია მოვიდა,— ამაგ პურიან გოდრებსაო, სახლში რო გიდვა, ხევში გადავეყრიოთ. დავუძახამთ სოფელს წინა, სუყველა იმას იძახის, ბერუანთ ალექსა თუ წავა, ჩვენც წავალთო, თუ არადა, არავინ არ წავალთო. პატარა სოფელიც ვიყავით, უოჟონი პატარა იყო. დააძალეს. საწყალ მამამა თქვა, წავალო, აბა, რა ვქნაო, სადაცა ის ხალხი, მეც იქაო. აქა მალე მიეჩვივნენ. იქ იყო საჯაფაო ადგილი: კლდე, ღრე, არ შეგეძლო საქონელი გაგეყვანა და ბალახი მოგეძობინა, ტყეში უნდა შეგეყვანა ან კლდეზე უნდა გაგებრუნებინა. აქა, კაცო, გაშლილი სოფლები, საქონელი ადგილზე ძდება, რძე ქვეყნისა! 18 საწველი ძროხა ჩამაიყვანა მთიულეთიდან. ხო შემოსავალია? ეს ძროხები თავისით იკვებებოდნენ. დედა, რა ქვეყანა ყოფილაო ესაო,— უხაროდა. მარა არ იცოცხლა დიდი ხანი, მალე წავიდა. ჩემი ძმა დიდ სამამულო ომში იყო, რო ჩამოვიდა, ჩვენ გადმოსახლებული დავხვდით, აქ დავხვდით. ჩემმა ძმამ გაიჭირვა თავი, მე ამდენი ხანი იმიტო ვიომეო, ტყვიის წინ იმიტო ვიდექ, სადაც მინდა, იქ ვიცხოვრებო. ჩავიდა რაიონში, ასპინძაში, უთხრა, მე აქ არ ვიცხოვრებ, ჩავალ, უოჟონში ვიცხოვრებო. წაიყვანა თავისი ცოლ-შვილი, ჩემი მომდევნო და და დაიწყეს იქა ცხოვრება. საწყალი დედაი სანახავად მიდიოდა იმასთან. ფეხი გასცურებიყო, გადავარდნილიყო სახლიდან კედელზე, დაგვეღუპა. დედა აქ არ დაასაფლავა, ჩამოვიდა და იქ წაიყვანა. მამაც იქ გაჰყვა. ამ გზა-მგზავრობაზე მამაც გაცივდა და გახდა ცუდად. ორმოცი დღე არც მამამ იცოცხლა და ისიც იქ დაასაფლავა. უოჟონში არიან მშობლები დასაფლავებული.

მაგდანა პავლეს ასული ჯადმაიძე-წყაროაშვილი, დაბ. 1937წ. სოფ სახუდაბელი:

ჩვენ ვართ ჯადმაიძეები, გიგოლიანები და ესენიცა რო გიგოლიანები ყოფილან, კვამლის სახელი, ალბათ ამათაცა გიგოლაი ვინმე ჰყავდათ. დეემთხვა. ჯადმაიძეები სხვები მთიულეთშიც არიან. მახარობლიანიც ჯადმაიძეები არიან,

ნანიანი, მოთიანიც, ლევანიანი, ივანიანი, გარბაკიანი. ბაღლი წამოველ მე, 6 წლისა. ისე წამოგვიყვანეს, რო მოვიდა საბარგო მატარებელი და წამოგვიყვანეს მღეთის გზიდან. მამაჩემი არ იყო, შირაქში იყო. ძალათ წამოგვიყვანეს, საქონელს რო დაავლებ ხელსა და გამაჰყრი. ჩამოგვიყვანეს, ძალიან ბეჩავადა, ძალიან ღარიბადა ვიყავით. იქიდან ბევრი რამე არ წამოგვადებინეს. ერთი დედაი იყო ჩენი ბატონ-პატრონი, მერე მამაი ჩამოვიდა. ოლია და ნინაი იქა ჰყავდა მამასა, მე და ჩემი ძმა აქ ვიყავით დედანჩემთან, მერე მივედით, ერთ ოჯახად შევიქმენით, დავიზარდენით, დავთხოვდით და... სამხედროში იყო რო ესენი დადიოდნენ. დამანებეთ თავი! წელიწად-ნახევარი იარეს და არცა ვინმეს აძლევდნენ საშუალებას რო აი, ჩვენ გვინდა, აი, ჩვენ გვინდა და დავრჩი ამ წყაროანთასა. ნეტამაც ეცოცხლა ჩემ პატრონსაცა. იმანაც არ დამანება თავი: სადაცა ჯანგს დაინახავ, იქ დაგხვდებიო, იმის ძირ მიგულებო და მეშინოდა, ბაღლი ვიყავ... შევშინდი, სიმართლე გითხრა. არ წავაგე. ისეთი იყო, ჩემ თავსაცა ვფიცავ და ჩემი ქმარ-შვილის სულსაცა, არ მეგონა, რო მე იმნაირი კაცი შემხვდებოდა. თუ ქვეყანაზე ეგეთი ვინმე იქნებოდა, ერთი უწმაწურ სიტყვას არ იტყოდა, ვერ გაიგონებდი. სხვა რო ვინმე შეიგინებოდა, ის უკვირდა იმ კაცსა. იქაური ამბები? 6 წლისა ვიყავ, მარა იმდენი რამე გადამხდა თავსა, რო, მამაჩემი და ჩემი დები რო შირაქში იყვნენ წასული, წითელწყაროში, მე და ჩემი ძმა ვიყავით დედასთან. სუყველას უჭირდა, მარტო ჩვენ კი არა. ჩემს ანაბარას ტოვებდა დედა ჩემს ძმასა. ბევრი გაჭირვებადა მახსოვს. ვენაცვალე მამაჩემის სულსა, დეკანოზი კაცი იყო, ეკლესია გვერდით გვექონდა და იმის იმედად ვიყავით. თითქოს იმას ვიყავ შეკედლებული, ბაღლი ვიყავ, მაგრამ იმის იმედი მქონდა, ღმერთისა და ხატის იმედი. აი, როგორც მამაჩემს ეპყრობოდა ხალხი, ერობაში რო დასხდებიან, მომდინარეყო საიდანმეო მამაშენიო, ფეხზე წამოდგენო. ისეთი სახელით იყო მამაჩემი. ჩვენ რო მივედით აქედან, მიზეზიო, დედას ამოუვიდა მამაჩემის მიზეზი და რო წავედით ჯაღმითას, თურმე რო გამააბრძანებენ ხატსა, მერე ისევ შეაბრძანებენ, ჯერაო, რაც დიაკონი დაიდუპაო, ხატი აღარ გამობრძანებულაო. ვის გადავაბაროთო? ჩვენ ვუთხარით, რო ჩვენ ნათლიას გადააბარეთო. ახლა აღარ ვიცი ვინაა და როგორ არი. ერთხელ ვიყავი, აქედან ცხვარი წავიყვანეთ. ეს ცხვარი წავიდა, შემოუარა ეკლესიას და დაწვა იმის წინ. დიდი ძალა აქ ხატსა და ღმერთს. გავუშვით და თუ უნდა შეიწიროსო ღმერთმაო, თვითონ იცისო, რას გააკეთებსო. ძალიან აღმართია, დამეწერულია, რომელ ადგილზეც ჩვენ ვცხოვრობთ. კანისტრებით მიმაქვს და დაგორდა. ჩემი ბიძაშვილებიც იყვნენ იქა. ვკვი: ვაიმე, კოლა, კოლა, მიშველე, არიქა! აესე მეწყერის პირზე მივიდა და ფეხზე დადგა ის კანისტრი.

მართლა სასწაული რაღაცა იყო. ვენაცვალე იმის ძალას. ჭედილა ისე მაიქცა, კანისტრი კიდევ ისე. დედა ვერ დადიოდა ფეხზე და ფეხზე დადგა, აქ სამი წელი მყავდა, ბედლოძე იყო. ახლა პროხა მენ აღარა მყავს, ცხვარი მენ აღარა მყავს, ღორი მენ აღარა მყავს. მინამ ფეხზედა ვდგავარ, ხიზანს ჭირი არ გავუხდე. მერე დამაწერინეს განცხადება და აუცილებლად დაგინიშნავთო დახმარებას, თვე-ნახევარია ველოდები და აქა ეგენი არ მინახია, აქ არ მოსულან (სოცმუშაკები). კიდევ უნდა ჩავიდე, ჩავაკითხო. სახში როგორ ვიჯდე, ქალო, ჩავალ ჩემ დასთან, ამოვალ, ეგ არი ჩემი გასვლა სახლიდან, რა ვქნა.

მედგარ თომას ძე ჯვარიძე, დაბ. 1957წ. სოფ ჭობარეთი:

გადმოცემით ვიცით, რომ მკვიდრები ვართ, აქაურები. ტაო-კლარჯეთიდან გადმოსულა პირველი შტო. ახაშენში უცხოვრიათ, ძველში უცხოვრიათ და გადმოსულან მერე ჭობარეთში. **ჯვარიძეები მთელ საქართველოში მარტო აქ ვართ, აქედან არიან წასულები**, ხეოთშიც არიან. „დიდებულ მესხეთში“ კარგად არის აღწერილი, როგორ შეინარჩუნეს ქართველობა, ქრისტიანობა. სახუდაბლიდან კირს ზიდავდნენ ზურგით ახალციხეშიო, რო გადაეხადათ გადასახადი და შეენარჩუნებინათ ქრისტიანობა. ვინც ამას ვერ აკეთებდა, გამუსლუმანდებოდა.ჩვენ ერთი შტო, ამბობენ, რო გაასახლეს, გამუსლუმანებულები წავიდნენ. ყველამ იცის, რო ნახევარზე მეტიქართველები იყვნენ გამუსლუმანებული, ვინც გაასახლეს. იმათში ისე იყო გამჯდარი ის რწმენა, რო არჩიეს.ჩვენ **ბადალიენტს** გვეძახიან. არიან **ღაღანიენთი**, **ღიღინებდნენ ლოცვებს**, რო მოეჩვენებინათ, ვითომ არ ლოცულობდნენ, იმათ რო არ გაეგოთ. **მარკოზიანთ** ეძახიან **ღიღინიენტ** განაყრებს, **ფუძე-შტო** ერთია, **პაპას** **სახელს** ეძახოდნენ.

ნინო ნიკოლოზის ასული ინასარიძე-ივანიძე, დაბ.1929წ. სოფ ჭობარეთი:

ივანიძეებს, ვისთანაც გათხოვილი ვარ, თედიენტ ეძახიან. **ესენი წამოსულან დადეშიდან**. წამოსულან აქა თვითონ და თავისი ძმიშვილი, ტეტეი ერქვა, თათრები ყოფილან აქა. ეხლა ესენი, **ტეტეენტ** ეძახიან, ჩვენ თედიენი, ორივენი ერთად დასახლებულან. თათარი დახვედრიათ და თათარს უთქვია, სად მიდიხართო? –მუსხში მივდივართო,— თედე პაპას უთქვია. –მოდ, ჩვენთან დასახლდით, მეზობელი გვინდაო, მოგცემ, დაგიტმენ ერთ სახლსაო, მანამდე შენ გააკეთებდე სახლსაო, დროებით. მერე აქ რო უცხოვრიათ, ამ თათრის სახლში, რო მოდიოდა ჩვენი ნათესავი, თედეს შვილს უთქვია, ესენი მოდიან, ოჯადს ლოცავენ, აშენდეს ოჯადი, აშენდეს ოჯადიო, მე არ მლოცავენ, მე ხო ოჯადი

მინდაო. არ ვიცი, რამდენი დრო გავიდა, დაუწყია აშენება. – შვილო, რას აკეთებ აქაო? – მამა, ოქრო ვნახე სიზმარში და უნდა ამოვიღო. თურმე ოჯახის საძირკველს თხრის. გათხარა ეს საძირკველი და იქმანდ რო ჩამოსვალ და ჩამონგრეულია, ეგ არის თედო პაპას საძირკველი. მანდ აუშენებიათ, მერე მანდ გაჰყოლიან და ასე დასახლებულან. მამამთილს ონისიმე ერქვა, ოთხი ძმა იყვნენ: იობ პაპაი, ბასილ პაპაი, გიგოლ პაპაი... პალე პაპაი მაგათი ბიძაშვილი იყო. აქ რო რძლად მოვედი, სახლების კარაპნები გამოდიოდა აესე, მერე რო დაიზარდნენ, გაიყარნენ. ერდოიანი სახლები იყო, სად იყო მაშინ ფანჯრიანი, ორი ოთახი ამათ ჰქონდათ. მე ინასარიძეების გოგო ვარ.

– სად გაიცანი გრიშა პაპა?

– სულ ერთად არ ვიყავით (იცინის), სად ნა გამეცნო. კომკავშირი კრება იყო, სკეჩებ დგამდნენ, ღონისძიებები იყო, მე ვიყავი ამათი სუფლიორი, კომკავშირის კრებებზე ვიყავი მდივანი. ამათ გამოჭირვეს, კაცო, ამირჩევდნენ, ოქმს დავწერდი, გადავათეთრებდი. აღარ დავწერ-მეთქი. მერე კომკავშირის მდივანმა დაწერა, გააფორმა და წაიღო. იწერებოდა მაშინ: კრებები ჩატარდა, პარტიელები ვინ ესწრებოდნენ, ვინ არა, ყველანი უნდა აგენიშნა.

– მაჭანკალი გყავდათ?

– მაშინ არაფერი არ იყო (ჩვენ შორის). გრიშა არ ყოფილა კომკავშირის კრებებზე. იქ სწავლობდა, ახალციხეში, სასოფლო ტექნიკუმი იყო. იმას მოვეწონე, მე არ ვიცოდი. აქ იყო ბიბლიოთეკა, კოლექტივი ბიბლიოთეკა. ჩემი კლასელი იყო, დარეი, ჯვარიძე. ამათ მოილაპარაკეს, დარეი შემოძვრა აქა. მე გაზეთები უნდა წამელო სახში, წავიღო-მეთქი, გავაკრა. გრიშაი მოვიდა, თურმე ფიქრში აქ. დაჯდა. ხო არ გამოვიქცევი, ეს ხო სისულელეა. ერთ მხრიდან ის დაჯდა, აქეთ მხრიდან მე დავჯექი. ეხლა არაფერს გეტყვიო, როგორც ჩემი და ასე გელაპარაკებო, მეო მიყვარხარო. ვუთხარი: მამაჩემის გარეშე ერთ ნაბიჯს არ გადავდგამ! ეგრე იყო, თუ არა იმდენი გარბოდა. მამაჩემის გარეშე ფეს გადავდგამდი? თუ მიმცემდა, მიმცემდა. ნიჭიერიც იყო, ჭკვიანიც, სიტყვაპასუხიანიც იყო. მერე მომიგზავნა ამათი გოგო, ელეი, ჩემი ნათლიას შვილი: აბა, უყვარხარ! ვუთხარი, ადექი და შენ წაჰყევი. ისე მეჯავრებოდა სოფელი, მეჯავრებოდა ჭირივით, სხვა სოფელი იყვეს, რაგორიც გინდა იყვეს, არ მინდა (ამ) სოფელში გათხოვება. ბრმა იღბალი რო მოგადგება, ეს არი. დედაჩემი ქვას ისროდა, თავს უშვერდა: მე სოფელში ქალს არ გავათხოვებო. მერე მოვიდნენ ჩვენი ნათლიები, მერე მოვიდნენ მაგდან ბაბო და მაკრინ ბაბო, გამოეგზავნა გრიშასა, ელჩობა გასწიეთო. დაჯდნენ, ილაპარაკეს აქეთური-იქითური. დედაი ამბობდა: მე სოფელში ქალს არ გავათხოვებო, რკინის ბაგააო.

სულ უარზე იყო. მერე უფროსი ნათლიაი მოვიდა და დაუჯდა ამათ. დიდი დარბაზი გექონდა. ილაპარაკეს, ილაპარაკეს. მამამ უთხრა, ბიჭი ჯარშია, მე უიმისოდ არ მივცემ. რავი რაგორი იღბალი იყო. აჰა, მისცა პირობა. კარებში რო გამოვიდნენ, მერე მამახეში ეკითხება, გოგოს არ ვეკითხებითო? რო ეთქვა მამას, მტკვარში ნა გადაგაგდო, გადაგვარდებოდი. მამას კოლას ეძახდნენ, ნიკოლოზაი ერქვა. ეგრე იყო და დათქვეს ნიშნობა. ბეი და ნიშანი ერთად მომიტანეს. მოვიდნენ, დაგვლოცეს, ტანსაცმელიც შესაკერად მოიტანეს. ჩვენც ხალხი დაუეძახეთ, ახლო-მახლო ვინც გვეყავდა, ახლობლები, ნათესავები. მერე დათქვეს ქორწილის დღე. გაგხდი ივანიძეების პატარძალი. მომიყვანეს მანქანით, შენი დილიმი, რაც გეკუთვნის მზითვეი: ერთი ხელი ლოგინი, ერთი ფიჩვი, ჭურჭელი-რამე, ტაფა... ზოგიც მეზობლებმა დაგვაძახეს. დაძახება იცოდნენ მაშინა, ფული-რამე არ იყო, ორი მეტრა ნაჭერი, საჩუქრები, ზოგი რას გამოგვატანდა, ზოგი – რას. ეხლა ხო არ არი, უი, ასეც ვაჩუქოთ, უი, ისიც ვაჩუქოთ. 24 წლის გაუთხოვდი. ოთხი ძმები იყვნენ ესენი: მიშია, გრიშია, ტარიელაი და ვალიკოი, ერთიც და – ლეილაი. ხუთი შვილი ჰყავდა დედამთილს. მამამთლი ჯარში დაიკარგა. ბაბოი და პაპაი ჰყავდათ ამათ, დედამთილის დედამთილი და მამამთილი. დედამთილს დედას ვეძახდი, რო მოვედი. პაპაი აღარ იყო, აღარც ბაბოი იყო. დედამთილიო ჩავარდა ლოგინადო, – დედამთილის მონაყოლი ვიცი, – რა ვიცი, მოხუცის საქმე. გამოვიყვანდიო ზაფხულშიო დერეფანშიო, კუშმეტკა იყო, დავაჯდვენდიო, მე სამუშაოდ დავდიოდი ბავშვებითაო. არ ემუშავა, ვისდა მიეტანა? მოვილოდი, ისევე ავიკიდენდი, შევიყვანდი სახშიო. ბერიკაციც 80 წლისა იყო, რო გარდაიცვალაო. შეექლოთ თუ არა, სამუშაოდ მიდიოდნენ 9-10 წლის ბავშვები, ზოგი მეხრედ, ზოგი... კოლექტივის პერიოდი იყო. მე რომ მოვედი, ყველა საქმეს ვაკეთებდი. ვქსოვდი ფიჩვებს, სხვებისთვის, შეკვეთით. ზოგი მოვქსოვე ერთობაში, ზოგიც რო გავიყარენით, მერე მოვქსოვე. არაფერი არ ჰქონდათ. ორი თხა და ცხვარი ჩვენ მოგვცეს, სულზე გაყვეს, რო გავიყარენით. ძროხა ერთი გვეყავდა, ხო არ გაგჭრიდით. ვუთხარი, თხა აიყვანე-მეთქი, რო მაინც რძეს მოვწვევლით-მეთქი. საიდან რა ნა გვექნა, იმწუთში სახლ დაიდგამ? მერე ვიმუშავეთ. კოლექტივში ნაწილდებოდა ერბოც, ყველიც, ხორბალიც ნამუშავარზე, ვისაც რა ნამუშავარი გექონდა. ზოგი ტონობით ღებულობდა. სპეციალურად მიდიოდნენ ფერმაში, რო აღრე გადიოდნენ პენსიაში. ფერმაში ბევრი შრომადღე გამოდიოდა და ისინი ბევრ იღებდნენ. მე 28 მანეთში გავედი. ჩემზე მეტი მემინდვრეობაში არავის უმუშავია. რახან გრიშია ბრიგადელი იყო, მონაგარიშეც იყო, აგრონომიც იყო, მერე ბრიგადირად 30 წელი იმუშავა. დავდევი მეც ყველგან უკან. პირველი მე

ვიყავი. აღგებოდა, დაუძახებდა ხალხს, მე მივდივარ უკვე და ქალები წამოიყვანეო. გოგო, წამოდით, გოგო, წამოდით! ჩემ საქმეს ზოგჯერ ვტოვებდი და ისე მივდიოდი. დაგაგროვენდი ქალებს, მოზარდებს და წავიდოდით მემინდვრეობაში. ხვნა-თესვა იყო. გლახა დროს შევხვდით ჩვენა, არც დიდები ვიყავით, არც პატარები, რო არ გვემუშავა.

თათრები რო ნა გაესახლებინათ, ჯერ შემოვიდა ჯარი. აქ ჯარი იყო ერთი თვე. ხალხს ეგონა, რო ალბათ თურქეთიდან უნდა დაიწყოს ომი და ჯარი იმიტო გაჩერდა. აკოფები ამოჭრეს ტყეში, ერთი არმია იყო. თურმე თათრები რო ნა გაესახლებინათ, მაგისტვის მოსულან. შეისწავლეს თუ რა იყო, თათრები ვინ იყო. ვინ რა იცოდა! მერე მოიწვიეს კრება, ქართველები გააფრთხილეს. რო გათენდა, თათრები გაიყვანეს გაღმა, სკოლის გვერდზე გააჩერეს. მაშინ თქვეს, რო ვაი, ჩვენ თავზე რაღაც ამბავია, ქართველები კრებაზე იყვნენ და ჩვენ არ დაგვიძახეს. ალბათ რო არ გაფრთხილდნენ, არ გაიქცნენ. შემოერთყა ჯარი გარშემო. მერე ეს ჯავახეთის თათრები ასე რო ჩაიარა, გაიყვანეს, მანქანები არ იყო, რო ესენიც იმდღესვე გაეყვანათ, მთელი ღამე ღია ცის ქვეშ იყვნენ, დილით მოვიდნენ მანქანები, ჩასხეს და წაიყვანეს შუა აზიაში. იემანდ ჩაყოლებზე ცხოვრობდნენ, ჩვენ რო თელინთ გვეძახიან, მაგათ **იაღმურიენტ** ეძახდნენ, იაღმურაი ჰყანდათ ალბათ. ხევეაღმა იყვნენ იქითა **ჭადიენტ** ეძახდნენ. **ჭუკიენტ** ეძახდნენ, ზევით იყვნენ კიდევ. ბოზოი, აზიმანაი, სეიფიაი იყო თათრი კაცის სახელები. ქალები? გულხანუმაი, იაზგინაი. სკოლაში თათრი ბიჭები დადიოდნენ, გოგოები – არა. ქართული კარგად იცოდნენ. ქართველებში იზრდები, გვერდიგვერდ სწავლობ, ცხოვრობ და უნდა იცოდე იმათ ქართული, შენ – თათრული. იცოდნენ, სამუშაოზე ერთად დავდიოდით კოლექტივში. თათრი კაცი იყო ბრიგადირი, ბოზოი ერქვა. კოლექტივის კალო იყო, ყველანი ვმუშაონდით. ჩვენ, ბავშვები, კვერზე ვუჯექით. ურემზე მეც ვყოფილვარ ბავშვობის დროს. კოსტა პაპაი ურემზე იყო, ჩვენც ორი გოგო დაყვებოდით. მინდორში ვდგავდით ზვინებსა. ამ კალოებზე ვზიდენდით. ბავშვებიც ნელ-ნელა ვმუშაობდით. კალო რო შეიგებოდა, მაშინ გაგვათავისუფლებდნენ. შუადღეზე გამოუშვებდნენ ხარებსა, რო წყალი დალიოს. წყალზე ბავშვები წაყვებოდით, ავაზნებზე აგვიდიოდა. „კალოს ქცევას“ უძახდნენ. უქცევდნენ, გადმოაბრუნებდნენ. დიდი კალო იყო, რო ხარი ბრუნდებოდა. ბჯას ყრიდნენ კალოზე. პაშლიდნენ მაგ ბჯას კალოს პირამდე, კვერზე დაგვაყენებდნენ. კალოობა ეგრე იყო, გაღეწვაც, განიავებაც. მერე საღამოს მოაგროვებდნენ საწყობში, ეკლესია იყო საწყობი. ეს ეკლესია **მაზმიენტ აშენებულია, ჩემ სამშობლოს მხრიდან, ინასარიძეებისა**. მღვდელი მახსოვს, როგორც სიზმარი.

მღვდლის დედა კარგად მახსოვს, მასლაპრობი რო იყო, მაგ სახში ცხოვრობდნენ, ღვდლიენთ ეძახდნენ მაგ ოჯახსა, ინასარიძეები იყვნენ. ქრისტესაი ბევრს ერქვა. რომელი ქრისტესაიო და ღვდლიანთ ქრისტესაიო! ღვდელს რა ერქვა, არ ვიცი. თევა ღამეს რო ვუთიეთ, ღამისთევაზე რო ვიყავით, ცეცხლი გვენთო და ჩაგვიქრა, შეშა აღარ გვქონდა, საიდან ნა მოგვეტანა? გვითხრეს, რო წადით, ვისმესმე მოიტანეთ ღვთის სახელზე რო ავანთებთ, ქურდობაში არ ჩაგეთვლებათო. მერე მოვიტანეთ აქეთ-იქით, გვენთო ცეცხლი, ლიტონიას შემოგუვლიდით, ეკლესიას შემოვატარებდით და ზათი წავიდოდით სახლებში, დავიფანტებოდით.

გრიშას ივანეი ერქვა წიგნის სახელი, მეტრიკაში. გრიშა, გრიშა, სულ გრიშა! – ბავშვობაში. ერთი ბერიკაცი იყო ივანეი, არ იყო კარგი კაცი და (სახელი) შეეუცვალეთო, – დედამთილმა. ივანეი დაურქმევიათ მონათვლისას. უფრო გრიშად არი ცნობილი სოფელში. მე არ ვიცოდი და სხვა ვის ეცოდინებოდა.

თამარ არჩილის ასული ჯვარიძე, დაბ. 1916წ. სოფ. ჭობარეთი:

ჯავახეთიდან აქ ვარ გათხოვილი. ჩემი ბაბოი ზველელი იყო. დედაჩემი ივანიძეა. 100 წლისა დაბადების დღე გადამიხადეს. მე ასალქალაქის რაიონიდან ვარ, სოფელ აფნიიდან, გამოთხოვილი ჭობარეთში. **ბადალიენი** ვართ. მე რომ მოვედი, 20 სული ხიზანი ვიყავით. რა დღეები გამამივლია. ჩემ მტერს აშოროს. შიშველ-ტიტველი, შიმშილი! 4 წელი მყანდა ჩემი ქმარი, მერე ომში დაიღუპა, ჯერ წავიდა მოხალისედ, მერე აღარ მოსულა. ხუთი თვისა მყანდა ჩემი ელიკო და 60 წლისა დამეღუპა. ხუთი თვისაც მე დავრჩენოდი დედაჩემსა. ობოლო ვარ. ჭობარელ ბაბომ გამზარდა. დედობილი მამიყვანა მამაჩემმა, მერე დედობილთან წამიყვანა აფნიაში. პაპაჩემმა და ბებიაჩემმა აქ გამომათხოვეს, ჩვენ ვიქნებით შენი პატრონიო. ბაბოიც წავიდა, პაპაც, ბიძებიც... ახლა არი ერთი გურამაი, ისინი მხედებენ-ხოლმე. დედის მხარე ეგენია. ამისი და და ამისი სიძე მგდებულობენ ყურსა: ბაბო, რა გინდა, ბაბო რა გინდა? ძალიან პატივს მცემენ. დიდი ობლობა გავიარე, დიდი ტანჯვა. მამაჩემის მხარეს კევრზე ვიყავით, შეახვავენდა, გაანიავენდა. მოვიდოდა მამასახლისი, წავგართმევდა და დავრჩებოდით მშიერი. წინათ ქერის პური იყო, გენაცვალე, იმდენი იყო, რო გამოვმტკიცენდით, რო ქადა გამოგვეცხო, ბაზლამას ვაცხონდით, წივას შეგურთენდით, თუჯის ფენი იყო და მაგაზე ვაცხენდით ბაზლამას. პატარ-პატარა თონიები გვქონდა. ერთი-ორი ფურნე იყო მეზობლებში. აქაც მოვედი, კოლხოზი იყო. სანამ ცალკე გავედით, ისე საცოდაობა გამოვიარეთ, შიმშილობა გვქონდა. ერთი 100 წლის მოხუცი ეწვინათ ლოგინში. 20 სული ხიზანი ერთმანეთს ჭამდნენ

და პურ მე მაზელინებდნენ. მერე ავდექი და ცალკე გავედი. ერთი ბავშვი მყანდა და ყველას მოსამსახურე ვიყავი. არ შეიძლებოდა ხმის გაცემა, არც დედამთილისთვის, არც მამამთილისთვის. სამ-სამი მული მყანდა. ერთს თამარაი ერქვა, ერთს – ტასოი, ერთს – მაროი. სკოლაში დადიოდნენ, მე რო მოვედი. კაი მულები მყანდა, კაი მაზლიშვილები მყანს. საკერებელი არ გვქონდა, რო გამოგვეკერებინა. ბიცოლაჩემი იყო ივანიძეებისა, ის ძაან ყურადღებას გვაქცევდა. იმათი ნაშიერი არიან ასპინძას, მიცნობენ, მაგრამ ვერ მოდიან. რო ვითხრა, როგორ გავძელით, მშიერები დავრჩით. მამასახლისი პურ რო გვართმევდა, პური აღარ გვრჩებოდა. მამიდაჩემი იყო მეჯვრისხევში, შვილი ჰყავდა და მოუკვდა. მამაჩემმა ადგა და წაგვიყვანა იქა. ერთ ბებერ-ბერიკაცთან მიმბარეს, ბათიევი ერქვათ. შვილო, გიშვილანთო, იყავით ჩვენთანაო, – მოხუცი ბებერ-ბერიკაცი. ერთი ზამთარი მიგდეს ყური, ძალიან პატივ მცემდნენ. მამაჩემი ჩამოვიდა. ვუთხარი, ესენი მუშაობენ და მე მარტო ვარ ტყვესავით, წამიყვანე, მამა. წამიყვანა. ცოლი მოუკვდა, დედობილი მოკვდა და დარჩა კიდე ორი ბავშვი ობლები. ბიჭი მერე დაიღუპა გულით, გოგოც დაიღუპა, მაგრამ შვილებით გახარებულია. დედაჩემიც მეორედ გათხოვილი იყო, ის შვილებიც გაძლიერებული არიან. სუ ვტირივარ. ბავშვები ყოველდღე შემოდინან. ბესიკოი და ცოლი წავიდნენ ქორწილში და მეონია ჩემ სახლიდან წავიდნენ. დიდ ყურადღებას მაქცევენ, ისარონ ქვეყანაზე. ძალიან დიდი დარდი გამამივლია და როგორ ვიცოცხლე, რომელ ერთი დარდი გელაპარაკო... ჩემ შვილმა გულის ოპერაცია არ გაიკეთა, იცოდა თავის ამბავი და ვერ გაიკეთა. მე რათ მინდა თავი ცოცხალი... ერთი კაცი იყო აქა, კვერცხი ამოჰქონდა, კვევებ ხდიდნენ არყისა და ცვლიდნენ. თითო კვერცხზე ვუყიდდი. დედამთილისათვის ეთქვა, რო იქაო ობოლი გოგოაო, ნიკოლ პაპაი და ეთერ ბაბოი არიანო, უთხარი და გაგირიგამსო. არც ბიჭ ვიცნობდი, არც რამე, ამოვიდა ნიკოლ პაპაი, ეგრე გამირიგეს. აქ გვქონდა ნიშნობა, იქ ერთი ნათლია იყო, ნეფე და მეჯვარე. წინათ ჩირაღდანი იყო შეკმაზული, ნათლიას ეჭირა და მოჰქონდა. ზველში იყო ღვედელი, ზველში ვიწერდით ჯვარსა. მაყარში ჩემი დის მაზლი იყო. დედაჩემი რო გათხოვდა, მამაჩემ რო წამოჰყვა, ერთი გოგო იქ დარჩენია. დედაჩემ არ ანახებდნენ იმ გოგოსა, რო მამულს გაგვიყოფსო. ახლა აჭარლებმა ისეირონ მაგათ მამულში! მერე დედაჩემი რო აღარ იყო, გოგოც გაიზარდა, ერთმანეთთან კარგად ვიყავით. ესლაც მოდიან დიშილები. მზითევში ერთი ბუმბული იყო, დიდი. მე ბატებ ვაძვიენდი. დედამთილმა უთხრა, ოღონდაც ეგ გოგო გაგვაყოლეთ, ეგ გოგო მოგვეცითო, ყველაფერ მე გავუწყობო. ასე იცოდნენ: „მე ვარ მახარობელი, სახლის გამხარებელი, ქალი მომყავს ლამაზი, დამიცალეთ

დარბაზი“. ახალ წელსაც იცოდნენ, რო ერთი კვერცხი, ერთი ქადა, მეკველე იყო, კამფეტებ შეუყრიდნენ. ასე იცოდა, რო მოვიდოდა: „შემოვდგი ფეხი, გწყალობდეთ ღმერთი! ჩემი ფეხი – კვალი ანგელოზისა“. თონე გეჭონდა, პატარა თონეები, შეშის ხსენება არ იყო, არ გვაძლევდნენ შეშასა. ახლა რამდენიც გინდა. კოჯას (გირჩი) არ გვაძლევდნენ, იმას ბილა არ გვაკრეფინებდნენ. იქ (ჯავახეთში) ზათი არ იყო ტყე, სუ წივა, წივა. ეგ ბიჭი მე არ მინახია, ვისი ხარ? გენდასი? ხო, გენაცვალოს შენა ბაბოი, შეშას ხო არ მიპობდით თქვენა? ეხლა გიცანი, გენაცვალოს ბაბო. რამდენი წელია მე ბალკონ გარეთ არ გავსულვარ, შვილო, კიდე კარგი ჭკუა მაქ, ამდენი რო ვიცოცხლე.

პატრები რო ვიყავით, არაფერი გეჭონდა, საცოდაობა იყო, გაგვგზავნიდნენ ბატებში, ეგ იყო. კენჭობა ვიცოდით, ვკენჭაობდით. წინათ არ იყო, ახლა რო არი მისვლა-მოსვლა, აღარ ირჩევა, არც გვარი, არც ოჯახი. კოლმეურნეობაში ვაფოცხენდით, ორთით ბუნულებს ვაკეთენდით, ზვინებს ვდგენდით. გაღმა კალოები იყო, იქ ლეწავდნენ. ორი ბრიგადა იყო, საღამიენდი კვერზე ვშეშდებოდით და წყალი არ იყო, რო დაგველია. ოჩერედი იყო. იქ, ჯავახეთში, საკიდებით მოგეჭონდა, აქ ვედროებით მოგეჭონდა. ჩემი ბიძაშვილი იყო ლადოი, მასწავლებელი, ვეტყოდით, რო მიდი, შენ უოჩერედოთ მოგცემენო. სტუმარს პატივს სცემდნენ. ცოლმა წაიყვანა, ასპინძას სახლები ჰქონდათ და იმერეთში წაიყვანა, მერე იქ მოკვდა. რა წესი ჰქონდათ, გენაცვალე, შემოდიოდნენ, მიცვალებულ შემოუვლიდნენ, გავიდოდნენ, პურს შეჭამდნენ, მიცვალებული არ მიჰყანდათ, მარტო ნათესავებ მიჰყანდათ. ეგ რა წესი ჰქონდათ იმერლებ, გამიკვირდა. ხალხი ბლომად მოდიოდა, შემოუვლიდნენ, გამართული ჰქონდათ იქა სუფრა, შენდობას მისცემდნენ, წავიდოდნენ. ჩემი დედობილი ერთ სომინით გაასვენეს, არაფერი არ იყო, ეხლა უყურამ, რო ხალხი, ხალხი... მეოთხე კლასი დავამთავრე. მიწური სახლები იყო, აქაც მიწური სახლები იყო. მერე გაშენდა სკოლა, მერე უფრო დიდი სკოლა გაშენდა. მაზლიშვილები დედას მეძახიან. მე ჩემ მაზლს „ჩემ მაზლს“ ვეძახდი, დედამთილს – დედას, მამამთილს – მამას. წინათ ეგრე იყო. მამამთილს უნდა დაეუმძრახო. ის წელი წავიდეს და ნუღარ მოვა. ვაი, ვაი!

აქ ბევრი თათარი იყო, რო მოვედი, კარგა ვიყავით თათრებთან, ცუდები არ იყვნენ. ნახევარი თათარი ცხოვრობდა აქა, ნახევარი – ქართველი. ერთს ყარანდადას უძახოდნენ, ერთს ჰამზას, გოგვიები იყვნენ ასიმანაი და თუნთულია. მეუბნებოდნენ: აბლაჯან, ძალოჯან. სულ ქართულად ვუკერემდით, ისე კარგი გოგოები იყვნენ. თათრული აქ ვისწავლე. ერთ ბიჭ თვალი ეჭირა ერთ გოგოზე. არ წაჰყვა. არ წამამყვებო და უთხრა თათრულად: ფიშმან გახდებო, მერე

ჩემნაირ იგვითსაო ვერსად იშოვიო. მერე კარგი გოგო მოიყვანა და ესეც უმღერა: მე ისეთი საყვარელი მყანს, თვალებ ძილი არ უნდაო. ჩემი დედამთილი იტყოდა, თათრები მოვიდნენო და გვეძებდნენო. ორმოში ჩაგვსვესო. შემოვიდნენ, თქვესო: აქაო ქართველის სუნი დგასო!. ვუთხარიო, არავინ არი აქ ქართველიო. გაიხარონო, ვილაც ხეოთელმა კაცმაო ორმოდან ამოყვიყვანაო, თათარმაო. შვილი მყანდაო და ვისროლეო. მითხრაო: შე, ურჯულოო, რას შვრებიო, რათ ისვრი შვილსაო?! –რა ვქნა, გამიჭირდაო. აიყვანა და წამოგვიყვანაო. ზოგი თათრები გვხოცემდნენ ქართველებს, სუ გვხოცემდნენ. რო გაასახლეს, აქვიყავი. ვაიმე, დედა! ისე საცოდაობა იდგა... ჩადგა მილიცია. ეგონათ, რო ჩვენნა გაგვასახლონ. თათრები გვეუბნოდნენ, ნუ გეშინიათ, ყურ გიგდენტ, ნუ გეშინიათო. მერე რო ეს თათრები გარეკეს სკოლი ეზოში, ერთი ტირილი იდგა. ერთმა გადმოგვძახა: ჰალბათ, თქვენი დროც მოვა და ნახოთ, რა დღეში გაგიყვანთო. მერე მეორემ უთხრა, ეგენი რას გერჩიან, მაგათი ბრალი ხო არ არიო. ჩემი მაზლიშვილი ჩამოდიოდა და ისე ცხოვრობენო, რო დუდან და გადმოდიანო, სუ ხალიჩები უგიათო. ცოტ-ცოტა რაღაცეები წაიდეს, მერე სულ თავრობამ წაიღო, საქონელი-რამე. მერე ჩამოვიდნენ და მეზობელთან იყვნენ. მეზობელი ამონდა, რაღაცეები ჩამომიტანა და ისე მაღლობელი არიანო, კარგად ვცხოვრობთო.

წინათ მასხრობა იყო. ჩემი ქმარი რო ჩამოვიდა შვებულებიდან, გიჟი გოგო იყო ნიგერაი, ამას გახადეს ტანთ, სხვა ჩააცვეს. ხო დარდის პატრონი არ ნა გახადოთო,– ბრიგადირი დედაჩემის ძმიშვილი იყო. ცოტა ახლოს რო მივედი, იცინიან. გუგუმის წყალი მქონდა. რას იცინით, გუგუმ თავზე დაგასხამთ. იცინეს, იცინეს...

თამარ სტეფანეს ასული თედორაძე, და. 1972წ. ასპინძა:

თედორაძეები წამოსული ვართ როგორც წინაპრებიდან ვიცი, კახეთიდან. ერთი ძმა გამოექცა კახეთის ბატონსა, მოკლა ბატონის მოურავი, წამოსულა და დასახლებულა ხიზაბავრაში. ხიზაბავრიდან ვართ ჩამოსული ასპინძაში. ხიზაბავრაშიც არი ორი ოჯახი, ასევე ჩვენი განაყრები, თედოენი. ერთ-ერთი არის კოსტანა, კონსტანტინე. ჩვენს დიდ პაპად ითვლება ბასილ თედორაძე, რომელიც ჩამოსულა კახეთიდან. დანარჩენები ყვარლის რაიონში არიან, სოფელ მთისძირში. თოკშიც არის ერთი შტო თედორაძეებისა, მაგრამ ისინი წამოსული არიან ახალციხის რომელიღაცა სოფლიდან. ჩვენში უხუცესი, თედორაძეებში, კოსტანაა, კოტე პაპა. დედა, ელენე, კონანთი იყო. თბილისში ერთი შტოა წასული მეღიქიძეებისა, კონანნი არიან, გურამი, ივიკო... ჩვენი ბიძაშვილები,

ჩვენი განაყრები. დედაჩემის მამა, ალექსანდრე მელიქიძე თედორეს ძე, ტოლოშიდან იყო. 1944 წელს, როცა მოხდა თათრები გასახლება, სტალინის დროს, ყაზახეთში რომ გადაასახლეს, პაპაჩემი ხელმძღვანელობდა გასახლებას მესხეთ-ჯავახეთში. მოხდა ისე, რომ ერთი ქალი, თურქი-მესხი, გადახტა ქარაფიდან, არ უნდოდა გასახლება და მოიკლა თავი. გაააცემბირეს, პასუხი აგებინეს პაპაჩემსა. ბებია ყვებოდა ამ ამბავს. მერე რეაბიტირება გაუკეთეს 1995-96 წლებში, დედაჩემი ათი წელი იღებდა რეაბიტირებულ პენსიას. დედაჩემის მამა სოფლის თავჯდომარე იყო, რომელიც მერე შვილს გადაეცა მემკვიდრეობით, სერგო მელიქიძეს, სირო ძიას. ბებია იყო როკეთიდან, როკეთელი ქალი იყო, დავლაშერიძეებისა. ბებოს ერთი და, ირინა, ღრელში ნებაძეებში იყო გათხოვილი.

გენადი (ჯემალი) ღურსუნის ძე აბაშიძე, და. 1964წ. სოფ ივერია:

როგორც გადმოცემით ვიცით, ჩვენი წარმომავლობა, წარმოშობა ყოფილა ხიდისთავიდან, დასავლეთ საქართველოდან. იქიდან წამოსული არიან სოფელ ღუაძეებში, ხულოს რაიონი. სამი ძმა არიან წამოსული. ერთი ძმა ავიდა სოფელ ძირკვაძეებში, ორი ძმა ღუაძეებში დარჩნენ და დღესაც არიან შთამომავლები. აბაშიძეები არიან ხაძირის მხარეს, სოფელი კალთა არის, მაგ ხეობაშიც არიან, კიდევ რამდენიმე სოფლებში. ისინი ჩვენ სანათესაოს არ ეხება. ძველი გვარები რომ იყო, ადრე ესედ-ოღლები ვიყავით, მერე შეიცვალა და ვიწოდეთ აბაშიძედ. ჩვენ 30-32 წელია აქ ვცხოვრობთ, სოფელ ივერიაში, ასპინძის რაიონში. რომ იყო გეგმიური ჩამოსახლება, კომუნისტების დროზე, მაშინ. იქ მცირემიწიანობა იყო, მეწყერული ადგილები იყო, რომ გავფართოებულიყავით, არ იყო ამისი საშუალება, წამოვედით აქეთ, იმის შემდეგ აქეთ ვცხოვრობთ, 1981 წლიდან აქ ვართ წამოსულები. ოთხი ოჯახი ჩვენ ვართ და ოთხიც დაბლა არიან აბაშიძეები, რვა კომლი ვართ ივერიაში, წედან რო ვახსენეთ განაყოფები, იმათიდან არიან. იქაც ადგილობრივად ცხოვრობენ, ზოგი გადავიდა ბათუმში საცხოვრებლად, ზოგი კახეთში წავიდა. ძირითადად იმერულიაო, ლანჩხუთიდან არიანო, უფრო ჩოხატაურის რაიონიდან აბაშიძეები. სამ საუკუნეს ითვლის. აქ დასახლებულნი ღუაძეების და ძირკვაძეების სოფლებიდან ვართ ჩამოსახლებული.

რუსლან ომარის ძე კოჩალიძე, დაბ.1982 წ. სოფ ივერია:

წარმოშობით აჭარიდან ვარ, ხულოდან, სოფელი დიდი რიყეთია, კონკრეტულად ფაცორაულიდან. დიდი ბაბუის ნაამბობიდან ვიცი, რომ გურიიდან

არიან ჩვენი გვარი. სამეგრელოდან გადმოვიდნენ გურიაში, გურიიდან – ზემო აჭარაში, ანუ ხულოში დასახლდნენ. კონ არის კაცი მეგრულად, კუნ – თხა. იქ არსებული ბეგი, ხიმშიაშვილი, გადათურქებული ქართველი, შემოაკვდა ერთ ძმას და ზემო აჭარაში გაიხიზნა. იქიდან წამოვიდა მათი განშტოება, **გულიანთებს გვეძახიან**, გულიანი ადამიანი იყო, ვერ იგუა, ქართველი ადამიანი რომ თურქულ ყაიდას ატარებდა, შეებრძოლა და მოკლა. მას შემდეგ გაიყო ოჯახი. დიდი რიყეთი დასახლებულია კონალიძეებით, შანთაძეებით და შავაძეებით, რომლებმაც სიმართლე ვერ გაიტანეს და ამოვიდნენ მაღალ მთაში. შემდეგ დაოსტატდნენ ხელობაში, სახლების მშენებლობაში. მიწის პრობლემა რომ შეიქმნა, შევარდნაძის ვიზიტის დროს, შესთავაზა აჭარლებს, რო გადმოსახლებულიყვნენ აქ. 1982 წელს პირადად შევარდნაძემ საძირკველი ჩაუყარა და ნათლიაც გაუხდა. პირველი დაიბადა ივერი აკობაძე, შევარდნაძე იყო მისი ნათლია. იმის შემდეგ აქ გადმოსახლდნენ. ჯერ ორი ოჯახი იყო, მერე გაეხდით ექვსი ოჯახი კონალიძეები. ეს სახლი პირადად მე შევიძინე გურამ გელაძისგან, რომელიც ბათუმში წავიდა და ბიზნესმენობს. სოფელში 190-მდე ადამიანი იღებს არჩევნებში მონაწილეობას. ჩვენი განაყოფებიდან, რომლებიც ადგილზე დარჩა, **ჩახალ-ოღლებად** არიან ცნობილი, მეორენი **გულიანთები** და მესამე შაჰბაზი ყოფილა და **შაჰბაზიანთებს** ეძახიან. **გულაჰმედოღლებსაც** ეძახიან ამათ, ყველას. კომუნისტების დროს, როცა აღწერა მიდიოდა, რუსი ოფიცერი გაუბრაზებია კონალიძეს და **ტაკიძედ ჩაუწერია**. ახლა ერთი მერის მოადგილეა, ჩვენი ბიძაშვილია. რამოდენიმე ახალგაზრდამ დაიბრუნეს ძველი გვარი. მამაჩემი ხელოსანია და უსტა შეარქვეს, უსტა ომერის ეძახიან, ხელობიდან გამომდინარე. აბულაძეები არიან, აჭარიდან წამოსულები და ძველ ჯავახებს უწოდებენ თავიანთ თავებს. აბულის მთა არის და... აქ ახლა ღორჯომელაძეებიც არიან, სურმანიძეები, შავაძე, საგინაძე, გელაძეები, აბაშიძეები, ჯორბენაძეები...

ეთერ ხასანის ასული კონალიძე-გელაძე, დაბ.1944წ. სოფ ივერია:

რიყეთიდან ვარ დანისპარაულში გათხოვილი. დანისპარაულიდან გადმოვედით აქ. 20 წელი იქ ვიყავით. გელაძეები მარტო ჩვენ ვართ, მაზლიშვილიც იყო ჩემი და წალკაში წავიდა. მამამთილიდან მაქ გაგონილი, რო ჩვენ გურიიდან ვართ წასული. ოთხი ძმა ყოფილან და გაფანტულან, აჭარაში წასულან, ბორჯომში... სულ ადრე, სანამ თურქები შემოვიდოდნენ. მერე გამუსლუმანება მოხდა ჩვენი. ეს ქრისტიანები ქრისტიანებად დარჩნენ, აქეთ ვინც იყვნენ და ჩვენ გაემუსლუმანდით. ძალიან ცუდი დრო იყო. ჩვენთან სოფელში რო შემოსულა

განათლება, აუცილებელი იყო თურქული ლაპარაკი, – დედამთილი იტყოდა. სახლი ჩვენ დიდი გვექონია, ჩვენთან ყოფილა სკოლა. გურიიდან მოსული მასწავლებლები ჩვენთან იყვნენ 4კლასი ჰქონდათ დამთავრებული, იმდენი რო წერა-კითხვა სცოდნოდათ. მამაჩემი ყოფილა მოლა, სანამ კულტურა და განათლება შემოსულა. ვიდრე გაამუსლუმანეს, ჩვენს გვარს ჰქონიათ წიგნები, შოთა რუსთაველის წიგნები და ღორები ჰყოლიათ. ყრუ ღელეა, მდინარის პირზე ვცხოვრობდითო. ღორები და წიგნები ღელეში წაუღიათ. ღორები დახოცილან და წიგნებიო მერე, რაფერ ჰქონდათ დამალული, მოუტანიათ. რო შემოსულა სწავლა-განათლება, ჩემი ბაბუაი აღარ ყოფილა, ბებიასთვის მამაჩემს უთქვამს, მეო ვისწავლეო, გავხდი მოლა, ახლა ახალი დროშა მოდის და თუ ნებას მომცემ, თუ ნებას დამრთავ და არ დამწყევლიო, მეო წავალ და ვისწავლიო. მე ბიძები მყავდა, ერთ ბიძას ფურგუნი ჰქონდა, საზღვარზე გადადიოდ-გადმოდიოდა და მეორე ბიძაი სახში იყო. მამაჩემი პატარა იყო. –რა გითხრაო, ეს ლოცვაო არ იზამსო, რო არ ვილოცოთო. დღეში არ შეიძლებოდა, რო შეიდი სიტყვა არ გეთქვა თურქულად, აძალებდნენ. –კიო, ვიციო, არ დავთმენო, წავალო. წვევიდა, ისწავლა. სწავლობდა ქუთაისში, ჯერ პედსასწავლებელში იყო ბათუმში, მერე იქიდან წვედა ქუთაისში. ბებიჩემს ეშინოდა, რო არ გაქრისტიანდესო. ახლაც ბევრი არიან ახალგაზრდები, რო ჩვენ ქართველები არა ვართო. ეროვნება და სარწმუნოება ერევათ. ბებიას ეშინოდა, რომ არ გაქრისტიანდესო. ამან წვედა, ისწავლა ისტორიულზე, მერე წამოვიდა დაწყებითებზე, დაამთავრა და იყო დამსახურებული მასწავლებელი. მერე სიმსივნე გაუჩნდა, ხასანი ერქვა. მამაჩემის მამას ეზიზი ერქვა. დედაჩემი ობოლი ქალი იყო და აინტერესებდა, რო ლოცვა სცოდნოდა. მამაჩემის უჩუმად ამან დააწერინა დეიდაშვილს სალოცავები, მამაჩემის ჩუმად კითხულობდა და მამამ მუუსწრო. აართვა: რას კითხულობო? –აფერსო, – შეეშინდა, რო არ მეჩხუბოსო. უთხრა მერე მამაჩემმა, აუხსნა, რო კიო, გწამსო, კაიაო, იწამეო, მაგრამ ეს არცერთი სწორი სიტყვა არ არისო და შენ ამით უფრო აშავებო. იცოდა იმან, ის ბებიასთან არ ამბობდა, თორემ იცოდა ყველაფერი. შენ თუ გინდაო კაი იყო, ეცადე, მაგრამ ამას ნუ კითხულობ, უფრო ცოდვა არიო. ვერ თარგმნიო, არ არი ნათარგმნი სწორადო და (წა)აგებო. იქ ეწერა არაბული სიტყვები ქართულად. არ წეიკითხოო და იმის შქემდეგ დედაჩემსაც არ წაუკითხავს. მერე გვეზარდეთ ჩვენ. მაშინ წესი ისეთი იყო, მეშვიდე კლასში ვიყავ, რო დამნიშნეს. მამაჩემმა ისე იძულებული გახდა. უნდა მესწავლა, მამამთილმა შეპირდა, განათლებას მივცემო, მაგრამ რომ დავამთავრე საშუალო, მამას ყელის სიმსივნე გაუჩნდა და ვილა მასწავლიდა. ძმებმა კი დაამთავრეს. ორი ძმები და ერთი ვიყავ მე. ერთი დაწყებითის

მასწავლებელი იყო, მეორემ ორი დაამთავრა წითელ დიპლომზე. მერე მე რომ მოვედი გელაძეებში, ჩემმა ქმარმა ისწავლა, გეოგრაფიის მასწავლებელი იყო. ჩვენ სახლში დიდი გავლენა მოახდინა მასწავლებლებმა, გურიიდან რო იყო. ჩემამდე ჩვენ სახში რომ ყოფილა სკოლა, ომამდე, დედამთილი ხომ არ ისწავლიდა დამისით ისწავლა. დედამთილმა უფრო ახალი მოსწონდა და მეზობლები ცოტა ისე უყურებდნენ, გაქართველდაო. მე რომ მომიყვანეს, ლეჩაქს ვეძახდით— თავსაფარი, არ შეიძლებოდა, სახე დახურული უნდა გქონოდა. მე არ მესურა, არც დამახურა ჩემმა დედამთილმა. დედამთილს რომ უთხრეს მეზობლებმა, რა ქენიო, გააქართველო? ჯერ ერთი, ნასწავლი სახლიდან მეიყვანეო და ასე რატომ ატარებო? —მისი ქმარი სწავლობსო,- მაშინ სტუდენტი იყო ჩემი ქმარი,— ესეც იმ პირობით მყავს მოყვენილი, რო უნდა ვასწავლოო. თუ ვერ ვასწავლო და არ იქნა, ამას ძველებურად მაინც არ ვატარებო. ვინმე რამეს ვეღარ ამბობდა, რო მიცავდა, მიტომ. მერე უკვე წამოვედიო აქა. ექვსი შვილიშვილი მყავს. დიდ ბიჭთან ვარ მე, პატარა კაპიტანია, ბათუმში ცხოვრობს. შუათანა დანისპარაულშია, ცოლი პედაგოგი ჰყავს. აქ რომ რძალი მყავს, ისიც მასწავლებელია.

ჩვენ ეზოში იყო დიდი შავი სახლი, ძველი. ამ სახლზე ბებიჩემი იტყოდა, რო ესააო ტაიანთი სახლი, დედის ძმის სახლი. არ ვიცი, ძველი გვარიო რა ჰქონდნენო და ამათ ჰქონდნენო თათრული გვარი **სადით-ოდლები**. მერე რო წასვლა რო იქნაო, წვეიდნენ, გადიპარნენ თურქეთშიო. ამ სახლში სხვა ჩასახლდა. მერე ის სახლი დაშალეს, ახალი რო უნდა აეშენებინათ და ქვეშ, მაშინ ისეთი სახლები იყო, ძროხები იყვნენ და მეორე სართულზე თვითონ ცხოვრობდნენ ბებიჩემის ტაიანთი. ეს სახლი რო დეიშალა, ამ ქვეშ ნახეს, რო ჭურები იყო თანდათანობით, კომპლექტი. ბებიჩემმა რო დეინახა, იტირა: ვინ იცისო, რამდენი წლის წინ იმათიო, ეს გამუსლუმანება რო მოხდა, ხედაო, რა უქნიათო, აქ დაუშალიათო. **ჩემს გვარს ჩახალ-ოდლები ერქვა. ბაბუჩემის მამა ყოფილა ჭრელთვალებიანი და ჯიშში, ჩვენ გვარში მე ვიყავ ჭრელთვალებიანი მარტო, ბიძაშვილი ჩემი და მე.** რო გამუსლუმანებულან, დიერქვათ ჩახალოდლები. ბებიჩემი ამბობდა: ხედაო, სადინოდლები და ჩახალოდლები ერთად იპარებიანო, ჩვენებს ხო წიგნები ჰქონდენ დამალული, აქაც ჭურები და რომ ამეიდეს ეს ჭურები, ერთშიო ნახევარზე ქვეშ ჩაშავებულთ რაცხა იყოო. რომ გავთხოვდი, ჩვენ ეზოში ნერგები მეიტანა მამამთილმა, რგავდა და ამეილო მიწა, ამოვარდა ქვევრის ნატეხი. კიდევ მოთხარა, მოთხარა და იყო ქვევრი, დაშლილი. ალბათ იქ ჩვენთანა ჰქონდენ ყურძენი. რიყეთში გვქონდა ყურძენი და დანისპარაულში არ მოდის. ალბათ იყო ადრე, რომ იქ ქვევრი იყო.

შუშანა იუსუფის ასული იაკობაძე, დაბ. 1945 წ. სოფ.ივერია:

ხულოს რაიონიდან ვარ. პირველი მე ჩამოველ აქა, ივერის დედა ვარ. შევარდნაძე ნათლიად დაუდგა. უთქვია, პირველი დაიბადება აქა, ნათლია მე ვარო. მიხდი? დოდო ექიმი იყო იქა, რო გადავრჩი, წვეიდა და გააცხადა, რომა... ტელევიზორშიც ვყოფილვართ. ჩამოველ აქა, ფერმაში წაველ, ერკოტას ეძახიან. ერკოტიდან ბუზმარეთ გადავდიოდი, ოც წელიწად ვიყავ, ბაღნები იქ გაეზარდე, ჭვინტი ბაღნები. ორი შვილი დედა ვარ. 35 წლის გივეთხოვე, დედიკო, გვიან გივეთხოვე. ჩემი და ერთიგიეთხოვა, მემრე პატარა დაც უმაღლესში უნდოდა მოწყობა, მაშინ სტაჟინა მეგეგროვებინა, რო ჩეგებარებინა. ხუთებზე დაამთავრა რვა კლასიც და საშუალოც. მემრე ჩემი ძმა სამტრედიაში წვეიდა მეშვიდე კლასიდან, იქ ბაღნებმა სახუმრად აიღეს და თქვა ამან, რო წავალო, იქ ვისწავლიო და თან ამას ვასწავლიო. მეორე წელიწადს წავიდა სამტრედიაში. მერე ჩამოვიდა ხულოში, სისხლებს-რამე ამოწმებდა. მემრე მეც ფაბრიკაში ვმუშაობდი ორ სმენაზე ხულოში. მემრე ჩემი შემცვლელი იყო, ვინცხა იყო, მაშინ კოლექტივი იყო, დედიკო, თამბაქო გექონდა, რაცხა გექონდა, კარტოფილი იყო, სიმინდი იყო... მამაჩემი უფროსი კაცი იყო, გარეთ გასული, დედაჩემი ფერმაში იყო. საქონელი გეყავდა, არ იცი და რაფერნა გავთხოვილიყავ? ძმებიც წვრიტები მყავდა, მემრე იმათმა გეიზარდნენ. ისინი დაავასახლე, რძლებიც მოუყუვანე და 35 წლისა გავხდი. მეშვიდე კლასი მოსწავლე ვიყავ, ჩემი მასწავლებლები სულ იარებიდნენ, რო არონიე საშუალო სკოლაში. კარგია, მაგრამ სახლსიც რო საქმე იყო. რაფერნა ქნა, ხო ვერ დახურავ სახლ-კარქონებას, ხონა იცხოვრო, დედიკო? გვიან გივეთხოვე. ჩემზე პატარა და გავათხოვე. ამხანაგები ჰყავ ასპინძიდან. თემური ჰქვია, რა გვარია, არ ვიცი, ვეტქვიმია. ერთი ახლა ამბობს ჩამოსვლას, რო ჩამოვალ, უნა ვნახო. აქ შარშან მოვიდნენ, რო გულმა გიმიარა: თქვენ-მეთქი, რომელიცხა ეს-ეს ხო არ ხართ. ასე-ასე ჩემი და იქ სწავლობდა და ამბობდა, ამხანაგები მყავსო. ერთმა თქვა, რო მე ვარო. ძალიანო კარგი იყო. კაი კაცი, იმფერი, რო... რო ჩამოვა, მესტუმროსო, დემირეკევიტო. არ ჩამოსულა. ახლაც კაცი ცუდად ყავს, ვერსად ვერ მიდის. ჩემი გვარი გელაძეა. ჩემი დიდი ბაბუაი იმლაჰორი არი. თურქეთში ბეჭედის დამრტყმელი ყოფილა. დუურქმევიან იმლაჰოროდლი – ბეჭედის დამრტყმელი. იაკობაძეებს ერთი მემია ყოფილა, შავი მემიაი, უსტა მემია. ჯერ სოფლის გაკეთებამდინ ხელოსანი იყო, კაი კაცი ყოფილა. იტყოდნენ, რო ამას ჰყოლია ძმა, ვინცხასთან წვეიდა და მოსამსახურედ დაუდგა. ჰადა, რა ვიცი, იმდენი ხო არ ვიცი, იქ დაუდგა. ერთ წელიწად, ორ წელიწად მსახურობდა და

ერთი ძმაც სახში იყო. ემსახურა, ემსახურა და ფული არ მისცეს ამათმა. მეოდა სახში. უთხრა მისმა ძმამ, იმდენი ხანი იმსახურე, სახლ-კარი გევიკეთოთ, იმა ვქნათო. არ მომცესო და ამან გახელდა, ადგა და ჩავიდა იქა, ეჩხუბა: ჩქარა, ფული მომეცითო. ზოგი მისცეს, ზოგი არა. დეინახა, რო ერთი კარგი გოგოჰყავდათ სახში, ეს გოგო ააყენა და ძალით წამეიყვანა. მემრე სოფელი იაკობაძეებს ეძახიან, ყველა იაკობაძე არიან, ეს მისი ძმა იქ დასტვია და ეს ქალი რო მეიპარა და წამეიყვანა, ააყენა და თურქეთში წვედა. იქიდან ფულ უგზავნიდა. იაკობაძეების მენახევრე ყოფილა, იმას გუუკეთებია სოფელი, **ყარამემედოღლებს** ეძახიან. მამახეემსაც დიდი ოჯახი ჰქონდა. გოგოებსაც აძლევდნენ მიწებს, რო გაათხოებდა, აძლევდნენ მიწებს. იქ არიან გელაძეები, ჩვენ გვარის არიან, მედიოღლებს ეძახიან, კორიძოღლებს უძახიან. იმათ რო გუთხოებია გოგოები, მიწაც მიუცია. უწინ ასე იყო. ახლა რო ვართ, იმდენი ხო არ იყვნენ, აძლევდნენ, ქვეყანა ამფერია. ახალათ რო ჩამოვედით აქა, ქოხი რო გავაკეთეთ, ვთქვი, რო აქ რაფერნა ვიცხოვროთ, აქ რანა ვქნათ? სულ ვტიროდით. ხე არ იყო, აფერი არ იყო. დედაჯან, ქათმები ააფჩენდნენ პირს და დარბოდნენ. ცხელოდა, ცხელოდა... სიცხეები იყო. პური აღებული იყო იშტა, რო ჩამოვედით აქა. ტუკები იყო ყანებში გაფენილი, იმ დროებში ჩამოვედით. წყალი არ არი, თორე სუ ყველაფერი მოდის. საზამთროც მევიყვანე, ნესვიც მევიყვანე. ხაბეიშივილი ჩამევიდა აქა და საზამთრო მქონდა, მივართვიოთ. ხელში დეიკავეს ბავშვებმა, გედვიდეს. მოდის მოსვლით, მარა წყალი რო არ არის, წყალი... წყალია მთავარი. ეს ერკოტის წყალიც არ არი სუფთა. მე ხომ ერკოტაში ვიყავ, დედიკო, ერკოტელებიც ჩვენი არიან, ერკოტის ხალხ უფრო ვიცნობ, ოც წელიწად იქ ვიყავ. ჩემი ივერი: მეო ასპინძელი ვარ, ერკოტელი ვარ, იქ გევიზარდუო. მე არ ვიქებ ჩემ ბაღნებს, ყველას ანდობდნენ: ამათითო წადითო, წიგიყვანს, მოგიყვანებენო. ყველაფერ გევიცები. თან იმსახურიებდნენ იმფერ, რო ვისი რა ხბოა, იცოდნენ, მუუყვანდნენ, ეხმარებოდნენ, ჰამაც არ იყვნენ იმფერი. ვაშლს, სხალს არ ჭამდნენ და ჩემ ბაღნებს აჭმევდნენ. ყველა კარგად ამყოფნოთ. ვინც მკვდარია, მათი რჯულით ის ქვეყანა მისცეთ და მეორეთ (ცოცხლებს) ღმერთმა სიჯანმრთელე მისცეთ. ყველა კაი იყვნენ, გლახას ვერ ვიტყვი.

ავთანდილ ჯემალის ძე აბაშიძე, დაბ. 1953წ., სოფ. ივერია:

წამოსული ვართ ხულოს რაიონი სოფელი ოქროაშივილებიდან. ისტორიული გადმოცემებით ვიცით, რომ ჩვენი წინაპრები იმერეთიდან არიან. დავა მოსვლიათ და ერთი წასულა აჭარაში. გაუმრავლებულვართ იქედან. შევარდნეძის დროს

გადმოგვასახლეს აქ, ივერიაში, 1980 წელს. იმის მერე დავსახლდით აქ და ვცხოვრობთ ამ ტერიტორიაზე. შევეგუეთ. თავიდანვე განშორება ჩვენ სოფელთან ცუდი იყო, მაგრამ აქ იმდენად შევეჩვიეთ, რომ უკან გაბრუნებას ვერ გავრისკავთ, ცოტა ნაკლები პირობებია ცხოვრებისა. ბავშვების მიწა-წყლის შოვნა აქ უფრო ადვილია, ვიდრე ჩვენთან. იქ არ არის მიწა საკმარისი. საქართველოს ყველა კუთხეში აჭარიდან გამოსული და დასახლებულია. ივერიაში 75 კომლია აჭარლები, ჩვენი გვარის 17-18 კომლია. აქ ვართ ერთი შტო წამოსულები, ნუკოდლებს გვეძახიან. ნუკი პატარას ნიშნავს. არსებობს ვარაუდი, რომ ნუკი პატარა კაცი იყო და იმიტომ შეარქვეს. ნუკი, ესეოდელი და არიფოდელი ყოფილან ძმები და მათი განაყოფები ვცხოვრობთ ნაწილი აქ, ნაწილი იქ, ადგილზე. აბაშიძეები ვართ წამოსული ორი სოფლიდან: ძირკვაძეებიდან და ოქროაშვილებიდან. ძირითადადში ოქროაშვილებში იყო ბუდე აბაშიძეებისა. ესლა წასულ-წამოსულები ვინც არიან მეზობელ სოფლებში ანდა სხვაგან, ჩვენი სოფლიდანაა წასული. პირველი ფეხი ჩვენ სოფელში დაუდგამს იმ კაცს, ვინც წამოსულა აჭარაში.

გურამ ახმედის ძე შანთაძე, დაბ.1933წ. სოფ ივერია:

ხულოს რაიონიდან, სოფელ ძირკვაძეებიდან ვართ. ოფლები იყო თავიდან. ჩვენ სოთაროფლებს გვეძახოდნენ, მამის სახელი ყოფილა, მერე გვარი გადაურქმევიან. აქ არიან შანთაძეები დიოკნისიდანაც. ქართველი ვყოფილვართ, წამოსული. ჩვენიწინაპრები რო ვყოფილვართ თურქეთის იმაში (მფარველობის ქვეშ), თათრებს გვიძახოდნენ. დღესაც გვიძახიან, მაინც ქართველი ვართ. ჩვენ თათრული არ ვიცით, ძველებმა იცოდნენ. ყოფილან, ჩვენიდან წასულან, რო გაყოფილა საზღვარი, გაქცეულან ჩვენი მეზობლები, გადასულან თურქეთში, ზოგი იქ ცხოვრობენ. ახლა რო გზები გაიხსნა, გადმოვიდნენ-გადავიდნენიქით-აქეთ და იმათმა ქართულა იციან, როგორც ჩვეულებრივად ჩვენა. შეინარჩუნეს ჩვენაც და იმათაც. ახლა ამბობენ, რატო გადავირქვით თათრები, მაგრამ წავკდითო და... დედაჩემი თაფლაზე იყო, სხვა სოფლიდან იყო მოსული. რძლები ერთი ქობულეთიდან არი, ერთი ჩონ სოფლიდან არი, მელაძე. აქ არ არიან მელაძეები. ერთი ბავში ჩემი ბათუმში ცხოვრობს, მურმანსკში ჯარში წავიდა, დარჩა იქ, მიაწერა ხელი, დარჩა იქ. ახლა ბათუმში ჩამოვიდა, სახლი იყიდა, ააშენა სამი სართული. გაქირავებული! ცოლი მურმანსკშია, ბაღნებიც იქ არიან, მარტო თვითონ არი, ჩამოსვლა უნდა მარა, ვერ მოდის, მოქალაქეობა არ აქაური. ბრძოლობს, წამოვიდეს. მურმანსკში არავინ არ ყავს ნათესაობა, მეზობლობა, მეგობრობა. აქ ყავს, მაგრამ ერთი თვით, ორი თვით ჩამოვა,

გეიარს-გამოივლის, მოგესალმება, გაიარს, წავა. სამსახური აქვს და მუშაობს იქ. ჩამოსვლა უნდა, მაგრამ.. მეორე ახლა აქ მუშაობს, ახალციხეში, მშენებლობაზე. მე – პენსიონერი, აღარ შემიძლია. ადრე ვმუშაობდი, მეურნეობაში მუშაობაში გავატარე, 1953-ში დავიწყე, 1985-ში დავამთავრე, ბუღალტერი ვიყავი. ვცხოვრობდით მაშინ. მაშინდელი ფული სხვა იყო, ეხლანდელი სხვაა. ბათუმში რო წავიდოდი, მანეთით წავიდოდი, იმიტომ რომ ბენზინი გადასაყრელი იყო. შოფერს პუტიოვკას გამოვუწერდით, ბენზინი სავსე ჰქონდა ბაკში, კიდე ითხოვდა, მომეციო, იმიტომ რომ გაეყიდა. ჰკაპეკი ღირდა ბენზინი, ხელზე-5. ახლა როგორია? ახლა 100 მანეთი რომ ქონდეს, ძლივ ბათუმში ჩავალ და ჩამოვალ. საცხა წახვიდოდი, ერთ კილომეტრ გახვიდოდი, სადილ-საჭმელი იყო, ყველაფერი იყო. ახლაც არი, მაგრამ რად გინდა, სისხლის ფასი აქ. მანქანა როგორ გაგიყოლებს ახლა, მაშინ გაგიყოლებდა. რა ქნას მაგან (მძღოლმა), ძალიან ძნელია. ძველები ვეზიდებოდით მესაქონლეობას, მემინდვრეობას, ვცხოვრობდით მაშინ. ეხლა მინდორი ამას აღარ უნდა, კოფეს დაღვევენ, იმას შეინარჩუნებენ. ვაწარმოებდით რძეს, ხორცს, სიმინდს, პურს, სად იყო მაშინ ყიდვა-გაყიდვა? არ იყო ბაზარი, ძალიან ნაკლებად იყო. ტრანსპორტი არ იყო, რო მივსულიყავით-მოვსულიყავით. ახლა ტრანსპორტი ყველას ყავს, ეხლა ბაღანას ორი ტრანსპორტი ყავს, ერთი სახშია, მეორე – საცხა. წასულა, მუშაობს. ტრანსპორტი იყო, ცხენი, ხარი. ბათუმში რო ფეხით ჩახვალ და ამოხვალ, რას ამოიტან? მარილი, ნავთი ქალაქში იყო. ჩვენ ვაწარმოებდით მაკარონი, ვერმიშელი. პურიც არ იყო, კუპონებზე გამოდიოდა პური. რაიონში ვმსახურობდით 5-6 კაცი, ის თუ რაღაცას მოიტანდა. პური გვენატრებოდა, არ იყო. სიმინდს ადგილზე ვაწარმოებდით. ახლა, მაგალითად, დუშუბათ, ქალაქი უსოფლოდ ვერ იზამს, სოფელი კი იზამს, იმიტომ რომ აწარმოებს. შეინარჩუნებ, შეინახავ. წამალი აიღე. სად იყო წამლობა და რაღაც. ახლა ვენახი რო არ შევწამლო, დაიმსობა მაგი. ხეხილიცნა შეწამლო, რო ჭია არ გაუჩნდება. ბალი არ მოსულა, მაისის ბალს რო ვეძახით, ჯერ არაა მოსული, თუ არ შეწამლე, არ გამოდის. ჰაერიც მოწამლილი. თვითმფრინავი რო მიდის და კვამლს აყენებს, ის კვამლიც მოქმედობს. მცენარეს ავნებს. მანქანები დადის, კვამლია. ქალაქში ვერ გეიარი, სულს ვერ მოითქვამ, კაცო! რა მინდა ქალაქში, ასე ვერ დაჯდები, რაღაც შიგნითნა დაჯდე, რო მტვერი არ იყოს. სოფლის ცხოვრება სხვა არი, ქალაქისა – სხვა.სოფელი მაინც სოფელია. ძალიან გასაჭირში ვიყავ, მამა ადრე მომიკვდა, მესამე კლასში ვიყავ. სამი დედმამიშვილი ვიყავით. 16 წლისა ვეყოლე დედაჩემს, უფროსი მე ვიყავ, იმის მერე წამოვედი, პატარა ძმები მყავდა, დედას მე ვემსახურებოდი. ხო იცი, წვალეებაა. პატარამ რა ვიცოდი. ვიდაცას რო

შეექლო, იმასთან მივიდოდი, დამეხმარე-რაღაცა. გასწავლიდა ჭკუას: ასე გააკეთე, პაპა, ისე გააკეთე. პატარა ბაღანა რას იზამდა? მერე როგორც წამოვიზარდე, რაღაცა ჩემით გავნაგე. დედა 1985 წელში დამაკლდა, მანამდე ჩემთან ცხოვრობდა, უქმროდ. ჩვენ, შვილებს, დაგვაბერდა. აქაც ჩამოვედი, აქ მყავდა პატარა ხანი, იქაც მყავდა, სახლი იქაც არი (ძირკვაძეებში), სახლი გაკეთებული მაქ. ხანდისხან ჩავდივარ, გადავხედავ. ბიძაშვილები იქ მყავ, იმათზე მაქ სახლი დანდობილი. თოვლი რო მოდის, ყურადღება რო მიაქციოს. გავყიდი, არ გამიყიდია, რას მიშლია, რა იცი, რას მოგიტანს ცხოვრება, დღეს აქ ხარ, ხვალ იქ ხარ! უნდა ნა გქონდეს, ჩემი ნაშრომია, იყოს. წავალ ახლა გადავხედავ-გადმოვხედავ. ახლა ბათუმში რო ჩამოვიდა ბაღანა, მე რა მინდა ბემუმში ავიდეთ დასასვენებლად, ბათუმიდან ავალ სახლში, დავისვენებ ერთი-ორი თვე, მერე ჩავალ. წყალი არი უკეთესი. ყველაზე უკეთესი წყალი არი ხულოში. ხულოში წყალი ყველას ჯობია. ბაღანა რომ ვიყავ, ჩასაცემელი მენატრებოდა, ფეხსაცემელი არ იყო. ვიღაცა აწარმოებდა ტყავს, იმას თუ გამოვართმევდით ფულით. ახლა ვერ გაგვივლია, მაშინ ფეხტიტველა დავდიოდით. წაბლს რო გუძახით, ფეხშიშველა დავდიოდით, იმას ვკრეფდით და ვყიდდით. მოვხარშავდით წაბლს, გალს გავაკეთებდით, რო რაღაცა გვეყიდა, შაქარი გვეყიდა. ბუღალტრობა რო დავიწყე, საწარმოო გეგმას უძახიდნენ მაშინ, ხუთწლიანი გეგმა იყო, კოლექტივისათვის რანა ჩეგებარებია, იმას ვწერდით, იმას ვადგენდით. რაიცნა შემოგვეტანა, კარაქი, რძე, ყველი... რა ფაშიცნა მიგვეყიდა. ხორცი მაშინდელი მანეთ-ნახევარი იყო. შეხორცება მიდიოდა. ვაბარემდით კერძო ხალხი. ქატო მოგვექონდა, ისეთი იყო, ერთ კილოგრამს რო ჩადებდი, თორმეტკილოანი ვედრო გაივსებოდა, გაიგულებოდა, აჭმევდი და პირუტყვი გაძლიერდებოდა. ეხლა, კაცო, მეშოკი რო ჩაყარო, იგივეა, ჩაინთქემს წყალი, იგივეა, წყალი ზევიდან არი. ქატო ხომ არ არი ის, რას მოგცემს? ახლა არ არი ნოყიერი, არი და ჰად არი, ვინ მოგიტანა? ჩვენ სიმიდს დავფუჭავდით, გვექონდა ოჯადში, იმას ვჭამდით. ახლა ვინ მოგცემს, პური ძლივს მოგიტანია და გიჭამია. საიდან შემოდის ეს პური? საქართველოში რო პური იჭმევა, სადმე არ იჭმევა მასეთი. პურს ასეთი გასავალი აქ. ქართველი სხვა არი: პურმარილიანი კაცი, სიტყვა და პასუხი აქ, პურმარილიც აქვს. სხვაგან რომ მიხვიდე, პურს ვერ გაჭმევს. ახლა აღარ არი შემოსავალი. ქარხანა-ფაბრიკა დაიხურა, აღარ არი. ტრანსპორტი აღარ არი, რო მემინდვრობა აწარმოო. რო ჩამოვედით, ხორბალი გვექონდა, კოლექტივი აწარმოებდა და ვიღაცას რო გაუჭირდებოდა, მივცემდით, დავეხმარებოდით. ეხლა არ არი, სითნა მოიტანო? დახნული იყო, დათესილი იყო ყველაფერი, ახლა მივარდნილია. ვიღაცამ რო დათესო, ეს კაცი იცინის შენზე:

რათ უნდა, რას წვალობს? მაგრამ ოჯახი ხო გინდა, ოჯახში ხო გინდა. იმისი სასუქიანი ფქვილი რო არ ვიყიდო, ჩემსას ნატურალურს შევჭამ. ასეა ცხოვრება, რას იზამ?... ახლა ცოტა მწყინს, ხალხს ვერ ხედავენ მიხედვა უნდა ქვეყანას. დახმარება ჰქონდა კაცს, მოუხსნეს, ცოდვას, პენსია არ ჰყოფნის, ოჯახში არ ჰყოფნის, შემყურება ვიღაცა სხვაზე. უნდა დაათვალიერო გლეხობა, შენ იმისთვის ხარ, რო პირველ რიგში გლეხს უნდა მიხედო და მერე მოგხედავს ის კაცი, დაგეხმარება, ხელს გამოგიწვდის. შენ თუ არ დაეხმარე, ვერ დაგეხმარება. წყალსაქაჩები გვქონდა, მოდიოდა ყველაფერი. ხეხილი იმით გაიზარდა, ირწყევებოდა, ხარობდა. უფასო იყო შუქი. მთელი დღე ამოდიოდა აქამდე მტკვარი და ისევ მტკვარში ჩადიოდა, კაცი რო აღარ ხმარობდა. ვეუბნებოდი, კაცო, ნუ ხარჯავ ამ დენს, იხმარე წყალი მაინც. ეხლა ვეხვეწებით, ტრუბები არი და ჯერ წყალი არ მოსულა, გახმა მცენარე. 1982 წელში ჩამოველ მე აქა და 1985-ში ეს ხეხილი დავრგე. ჩიტი ვერ დაჯდებოდა, აფერი არ იყო. ან გუგული დამჯდარიყო და ეგუგულა, არ იყო. გეიგე? მარტო მიდამო იყო. სანერგეები იყო, უფასოდ გვირიგებდნენ ახალ ჩამოსახლებულებს. ესენი მაშინდელი გაშენებულია. წყალი იყო და მცენარემ ხუთი წლის განმავლობაში მოგვცა მოსავალი, გაიხარა. ეხლა ხმება უკვე, მორწყვა უნდა ყველაფერს. არჩვენებამდე მოვა: ამირჩიე, დაგეხმარები. რო აირჩევ მერე, ყუთთან რო მიხვიდოდი, ჩააგდებდი და მერე წვედილოდა – ეძებდი. ვერ ნახავ!

გურამ პაპიძე, სოფ ივერია:

ხულოს რაიონიდან ვართ, დანისპარაულიდან. პაპიძეები პაპისეული გვარია, წინაპრებიდან შემორჩენილი. გვარიც ხომ ამბობს, რომ პაპის საპატივსაცემოდ არის. საბიძაშვილო აქეთ არაა, იქით არიან დარჩენილი სუყველა. განსაკუთრებული სახელები არ გააჩნია მაგას, საბიძაშვილოს ვეძახით. აქ ოთხნი ვართ: სამი ძმა ვართ და ერთი ბიძაშვილი გვყავს. ძველი გვარი კი არის, შთამომავლობითი. ჩვენი გვარი არის მუსაანთი გვარი, მუსა ყოფილა ვიღაცა, კიდე სეუფანთი. ძირითადი ეგ არის. განაყარი ვინც არი – გადასული ან გაქცეული. ეს გვარი არი მარტო აჭარის რაიონში, დანისპარაულში, არ არსებობს სხვაგან. მარტო ქალაქში არის დანისპარაულიდან გადასული. ვნახე ჭიათურიდან პაპიძე ჟურნალისტი, მაიკო ჰქვია, საბიძაშვილო ერთი განაყრები ყოფილან დანისპარაულში. ხალხი არის გადასული აქეთ-იქით. ჭირიც რომ იყო გავრცელებული, მაგ პერიოდშიც ხალხი არის გასული სხვა რეგიონში. იმის შემდეგ დაფუძნდა და მიდის ცხოვრება, იქაც არიან, აქეთაც. ახლა აქეთ მოდის ხალხი, ადრე იქით გარბოდა. ცხოვრებისეული ამბავი მოგეხსენებათ... ზემო

აჭარა მეწყერი ადგილი არის და თოვლი რო მოდიოდა, 6-7 მეტრა, რა გასკლებდა, გაუსადლისი ხდებოდა, მაგიტომ გადმოვიდა ხალხი აქეთ.

ნოდარ მუხთიალის ძე სურმანიძე, დაბ.1939წ. სოფ. ივერია:

ეს თავად სურმანიძეების საგვარეულო ღერბია (მაჩვენებს). ჩვენ ვიყავით წარსულში თავადები. ნათავადარი ვარ. ჩვენი წარმომავლობა ძველი ქართულია. სურმენე გეოგრაფიული ადგილია, დღეს მიტაცებულია, თურქეთის ტერიტორიაზეა, დაახლოებით ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილია თურქეთისა. დღესაც არის შემორჩენილი ეგ სოფელი. რომ ვერ ინარჩუნებენ გვარს, ცხადია. სურმანიძეთა გვარი ჩნდება მე-13 საუკუნეში. ადრეული გვარია. თამარის მეფობის დროს ერთ-ერთი წარმატებული გვარი იყო საქართველოს სახელმწიფოებრიობის შენარჩუნების, გაძლიერების, ჩამოყალიბების პროცესში. მას შემდეგ გავრცელდა ეს გვარი და მე-16-მე-17 საუკუნიდან, როცა თურქეთმა დაიპყრო საქართველოს ეს ნაწილი, სურმენე, ჩვენი წინაპრების ერთი ნაწილი იძულებული გახდა წამოსულიყო აქეთ. დასახლდნენ ქედის რაიონის სოფელ ძელწმანაში, რომელიც დღესაც არსებობს და თითქმის მთლიანად სურმანიძეთა გვართაა დასახლებული. დაახლოებით ორასი წლის წინ ძელწმანიდან წამოსულა სამი ძმა მიწების საძებნად. დასახლებულან ზემო აჭარაში. იქ გაფართოება ვეღარ მოხდა. ერთი ძმა ავიდა შუახევის რაიონის სოფელ ჭალაში, მისი ნამრავლი არის იქა. მწერალი აკადემიკოსი რამაზ სურმანიძე ბათუმში მოღვაწეობს და ამ შტოს წარმომადგენელია. ორი ძმა ამოვიდა ხულოს რაიონში და შეიძინეს მიწები, ერთიც სოფელ ფუშრუკაულში, რომლის წარმომადგენელიც მე გახლავარ. აჭარა გამუსლიმანებული იყო და მუსტაფა-ბეგი ერქვა ჩემს წინაპარს, ვინც ამოვიდა და ფუშრუკაულში შეიძინა ეს მიწები. ეს სხალთა-ხინაძირის ხეობაა. მთლიანად სოფელი ეკოლოგიური მდგომარეობის გამო გეგმიური გასახლებით გასახლდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში. დღესაც არის 20-30 კომლი ამ სოფელში ძირი ამ გვარისა. მესამე ძმამ შეიძინა მიწები ხულოს რაიონის სოფელ დიაკონიძეებში და არიან კომპაქტურად დასახლებულნი დღესაც იქა. თუ სადმე: კახეთში, იმერეთში, გურიაში, სამეგრელოსა და მესხეთში სურმანიძე შეგხვდათ, ქედის რაიონის ზემო აჭარის წარმომადგენლები არიან.

არის მეორე ზეპირი ვერსიაც სურმანიძეთა გვარის წარმოშობის შესახებ: თითქოს ბატონყმობის დროს იმერეთში ცხოვრობდნენ სულამანიძეები, მოუხდათ ბატონის მოკვლა, გაიქცნენ აჭარაში [ეს ის დროა, როცა აჭარას პატრონობს

მეზობელი სახელმწიფო, დაცულად იგრძნეს თავი, გვარი რომ არ დაეკარგათ, სულამანიძე აქციეს სურმანიძედ.

ზოგი მესამე ვერსიაზე ლაპარაკობს, რომ ჩვენ წარმოშობილნი ვართ სურამის ტერიტორიიდან. ამ ყველაფერს კვლევა სჭირდება. ერთ რამეს გავიხსენებ. ახალციხეში მუშაობის პერიოდში ხელი მიმიწვდებოდა რაბათის ციხის ბიბლიოთეკასთან, არქივთან და ერთ-ერთი დოკუმენტაციით, როცა ახალციხის საფაშოს წყალი ჰქონდა შემდგარი, თურქებმა აჭარიდან გადმოიყვანეს სურმანიძე და დასვეს ფაშად რამდენიმე დღით. რატომღაც ცნობილი არ არის. ეს იყო მოკლე პერიოდი, გააანალიზა სიტუაცია, გაიქცა, დატოვა და წავიდა.

იმ დროს, როცა აჭარა თურქეთის ზეგავლენის ქვეშ იყო, აჭარელი გურულს, იმერელს, მეგრელს, კახელს და სხვას ძმას ეძახდა, ეს თქმა იყო, რომ არ დაეკარგა, რომ არ გადაგვარებულყო. ბევრი რამ ხდებოდა გურიასა და სამეგრელოში, შეფარება, წასვლა, გადასვლა, ერთმანეთის შენახვა. ბევრი გადმოდოდა და ვინახავდით. თურქეთის მიერ შეწუხებული ჩვენი წინაპარი გადადიოდა გურიაში და თავს აფარებდა, რადგან გურია უშუალო მეზობელია ჩვენი. აქ (მესხეთში) ჩამოვსახლდით 80-იანი წლების დასაწყისში, 1982 წლიდან. სოფელ ივერიაში ხულოს რაიონის რამდენიმე სოფლიდან შევიკრიბეთ და ჩამოვედით, რამდენიმე გვარის წარმომადგენლები არიან: შავაძეები, ბოლქვაძეები, კახაძეები, აბულაძეები, პაპიძეები, შამანაძეები, გორგაძეები და ა.შ. მოხდა ადაპტირება, ახლა მიდის ადგილობრივ მოსახლეობასთან თანაცხოვრება. დაახლოებით 10-15 წლის წინ ჩვენს რეგიონში აჭარიდან ჩამოსახლებული იყო 1500-მდე ოჯახი, მათ შორის ასპინძაში 320 ოჯახი.

ტივაძე ქრისტესი პავლეს ძე, დაბ. 1933 წ. ასპინძა:

ვინმე ჰაბიბო, იმერელი, მოვიდა აქ და დასიძევდა. ეს ქალი იყო მანანაძე. მანანაძეები და ტივაძეები ერთად ვიყავით, რომ გაიყარნენ, გაიყვნენ, კაცმა თქვა - ტივით გამოვედი მტკვარშიო, ტივაძე ვარო. ამ ჰაბიბოს ჰყავდა ორი შვილი: პეტრე და პავლე. ამ ორი შვილიდან მოვდივართ ჩვენ. პეტრეს შტო იყო პროფესორი გიორგი ტივაძე, ომარი ტივაძე, დირექტორი იყო ტელევიზიაში, იმის მამა. პავლეს ჰყავდა ხუთი შვილი, ერთ-ერთი იყო თომა, თომას შვილი იყო პაპაჩემი. თომა, მაქსო, სოლო, ვანო და მარტია ძმები იყვნენ. პაპაჩემს ჰყავდა ორი ბიჭი და ორი გოგო. მამაჩემი, პავლე, ათი შვილის მამა იყო, უთი ბიჭი და ხუთი გოგო. ჩემი უფროსი და დამალაში სკოლის დირექტორი იყო, ნათელა. ქმარი, პადვავან ივითიანი, ინსპექტორი იყო რაიკომში, მერე - განათლების

განყოფილებაში. ორივენი გარდაიცვალნენ, წასულები არიან. ჩემი მომდევნო და, დარეჯანი, კახეთშია გათხოვილი, მანავში. ერთი და დვირში იყო, ახლახან გარდაიცვალა. ერთიც გორში ცხოვრობდა. მე ოთხი ქალიშვილი მყავს, 14 შვილიშვილი და 12 შვილთაშვილი. 85-ში ვარ ასაკით. 20 წელი მილიციის უფროსი ვიყავი, ბიბლიოთეკის გამგე, ტურბაზის დირექტორის მოადგილე, სკოლის მასწავლებელი, რუსული ენისა, კურორტ „აბანოს“ კულტ-მუშაკი, რაიკომის ინსპექტორი. დავამთავრე ბიბლიოთეკათმცოდნეობის ფაკულტეტი, მერე პარტიული სკოლა ბაქოში, მერე – იურიდიული თბილისში. ქალი გარდამეცვალა, დიდებული ადამიანი იყო, ცხონებული. ანა ბაბოი მაგის მამიდა იყო.

ტივაძეები ყველა ქუჩიენი ვართ, პეტრესა და პავლეს შვილები, ყველა. მანარაძეში, ბორჯომში, გამარჯვებაში ცხოვრობენ ჩვენები. ხატიძეები ჩვენი მონათესავენი არიან, ტივაძეებისა, მანანაძეებიდან მოდიან, როგორც ჩვენი გვარი. ერკოტის ბერიძეები იყვნენ: კორკოტიენი, ალაჯიენი, ყარათლიენი, გიგოლიენი, სოსანიენი, ზანდარიენი. ორი-სამი ოჯახი ერკოტაში ცალქალამანიძეები იყვნენ. ერთი ოჯახი იყო ინასარიძეები.

ერკოტაში თათრებიც ცხოვრობდნენ შვიდი კომლი 1944 წლამდე. ერთს მამუდა ერქვა, ერთს – კოტე, ერთს – შალიკო, ერთს – სეიდალა, ერთიც ჯარში დაიდუპა, საწყალი, აიღინა ერქვა; ერთსა – ყადიმა, გვარი არ მახსოვს. მამუდა ყველაზე უფროსი იყო. ძალიან მორჩილი ხალხი იყო. ზეიდალა, მიზაფილა ჩამოვიდნენ გასახლების მერე, ჩვენ ოჯახში მოვიდნენ, დიდი საზამთროები მოჰქონდათ. მამაჩემს „ლომა“ ერქვა შინაურული სახელი, ისე – პავლე. რო გაიგეს, ლომას ბიჭი მილიციის უფროსი არის, მოვიდნენ და მოვიდნენ. მე ვიცი თათრული სიმღერები ბევრი. რომ ვიმღერე, გაგიჟდნენ: „ქიტეჯან, მაგ ენაში გენაცვალეო“. ნიალაში მამაჩემი ფურნეში მუშაობდა, იმათ ბევრს ვიცნობდი, მე თათრული იქიდან ვიცი. ესენი უზბეკეთში იყვნენ გადასახლებული, ქართული იცოდნენ, ქართულად ლაპარაკობდნენ. პირველი მე ჩამოვედი აქა (ასპინძაში) ერკოტიდან. ჩემზე ადრე ჩამოვიდა 2-3 კომლი. მთლიანი სოფელი რო წამოვედით, 1963-ში სახლი მე ავაშენე. ტივაძეები აქ დავასახლე ერთად.

ინასარიძე გიორგი იპოლიტეს ძე, დაბ. 1943წ. ასპინძა:

მამაჩემი დასიძვედა ერკოტაში დედაჩემზე. დედა იყო ცალქალამანიძე. გაქცევის დროს მამა-პაპა, დიდ-პატარა გაიქცნენ და გზაში დაიხოცნენ, დაბრუნდნენ ორნი, დები. ის დაც გარდაიცვალა და დედაჩემი გაზარდეს ბიძაშვილებმა ადრე დააქორწინეს მამაჩემზე, მამიდაჩემიც გამოაყოლეს

მამას.თურმე პატარა იყო და მამაჩემთან არ აწვევდნენ და მამიდასთან ეძინა. ბოლო-ბოლო, საბედსთვის მოიყვანეთ სიდონიაი, თუ ჩემთვისაო,- უთქვია მამას. პაპაჩემს არუჩანას ეძახდნენ, ცხოვრობდნენ ეკლესია რო არი, მანდ გვერდზე. თათრები რო შემოვიდნენ და ააწიოკეს, ყოფილა უშიშარი კაცი, ტყვია-წამალს უყრიდა - მესროლეთო!. დაუცხრილიათ და არ მოხვდა ტყვიაო. მამაჩემს ოთხი ძმა ჰყავდა. ერთს მოსეი ერქვა, მილიციაში მუშაობდა და მოკლეს. ტყვეები რო დაუჭერიათ, მაშინ მოუკლიათ.ორი შვილი ჰყავდა, ვეძებუ, ვერ ვნახე. ერთი ძმა ანდრეაწმინდაშია, გამარჯვებაშიც ბიძაშვილია. **განაყრების სახელია ჭიჭორიენი.გადმოცემით ვიცი, რომ ინასარიძეები რაჭიდან არიან გადმოსულები აქეთ. შვიდი ძმა ყოფილან. ინასარიძეები არიან ძველში, ჭობარეთში, ასპინძაში.**

ბექაური მოსე გიორგის ძე (1933-2018), სოფ. იღუმალა:

ბიძაჩემი მეტყოდა, დიდი ძალა აქვს ხალხსაო, კოლექტივი ეგეთი ძლიერი არ არიო. შენაო ხელმძღვანელი ხარ ხალხისაო, ვინცაო საქმეს აკეთებსო, ვინც შრომობსო, ჯერ იმ ხალხს მიხედუო, მშრომელებსაო, იმათი მფარველი იყავიო. ერთი კაპიკი რო დააკლოო, ის ერთი კაპიკი, ათასი კაპიკის საქმეს წაგიხდენსო. კაცსაო თუ გული გაუფუჭდა საქმეზეო, ის საქმეს ვერ გააკეთებსო. ამიტო ყველას უნდა უთხრაო, ვინც ხელმძღვანელიაო, ფერმის გამგეს, ბრიგადირსაო, არავის დააკლოთ არაფერიო.

ეს არის ცხოვრება! არ მახსოვს განგებ ვიღაც დამეჩაგროს. ბევრი დამიჯარიმებია, საქმე რო გაუცდენია, გაუფუჭებია, გამიჯავრებია, ერთი რამ – ქალისთვის პირში არ მიგინებია. 26 წელი თავჯდომარე ვიყავ მარტო ორ სოფელში, აქედან 22 წელი – ხერთვისში.

1933 წელში ვარ დაბადებული, ამაღლება დღეს. მამაჩემი იყო კოლმეურნეობის თავჯდომარე ჩვენ სოფელში, გუდამაყარში სოფელი გამსია. მე რო დავბადებულვარ, იმი მეორე წელს ჩამოყალიბებულა ჩვენ სოფელში კოლექტივი და მამაჩემი ყოფილა ისეთი კაცი, რო დაუყენებიათ თავჯდომარედ. სოფელში იყო დაწყებითი სკოლა. დავიწყე იქ სწავლა. მერე იყო კიტორში რვაწლიანი სკოლა, იქ გავაგრძელე სწავლა. 1941წელში, ომი რო დაიწყო, კაცები სუყველა, ჩემი ძმაც ომში წაიყვანეს. ბერიკაცებისა და ქალების იმედად დარჩა ცხვარი და საქონელი. მამაჩემი დაჯავშნილი იყო. დაჯავშნეს იმიტო, რო, პატრონი რო არა ჰყავდა ცხვარსა და საქონელს. შემოდგომით საქონელი მიდიოდა ხოლმე ყიზლარში, დაღესტანში. იქ მიდიოდა საკვების დასამზადებლად ზამთრისათვის. იქა ყოფილა მამაჩემი წასული. სამი თავჯდომარე ყოფილა. ეს ის დროა, მოზდოკში რო შემოვიდა გერმანია. მანდ რო დაუმზადებიათ საკვები,

წამოსულან და სადღაც შესულან სასადილოში. ვიღაცა დივერსანტებმა თურმე იცოდნენ, რო ესენი თავჯდომარეები არიან, ადევნებიან უკან და საწამლავი შეუპარებიან საჭმელში. რო ჩამოვიდნენ გუდამაყარში, ავად გახდნენ. მამაჩემი მარხილით წაიყვანეს გამსიდან ფასანაურამდე საავადმყოფოში. სამი თავჯდომარიდან მამაჩემი დაიღუპა 1942 წელში. დავრჩით სამნი ძმანი. დედაჩემი თითქმის სულ ავადმყოფობდა. უფროსი ძმა ფრონტზე იყო წასული. გაგვიჭირდა, საჭმელი არ იყო, პური არ იყო. მოხვევებში მიდიოდნენ და ერთ ჭედელაში, ერთ ცხვარში ერთი მეშოკი სიმინდი გადმოჰქონდათ. მე და ჩემი ძმა, აწყურში რო გვყავს, პეტრე, წავედით მოჯამაგირედ ხევსურეთში, რო პური გვეჭამა. ერთ ლიტრას ეძახოდნენ ოთხ კილო ერბოს ხევსურები. ორ-სამ ლიტრა ყველი-ერბოს გამო ერთი თვე უნდა გვემუშავა. 44 წელში თათრები რო გაასახლეს აქა. იქ ჩენები გაასახლეს, ქისტები გაასახლეს, ნაწილი აქ წამოვიდა ჩვენი ხალხი, ნაწილი იქ, გროზნოში, ახალი რაიონი ჩამოყალიბდა, ახალხევის რაიონი. დუშეთის რაიონს ეკუთვნოდა, მარა გროზნოზე უნდა წასულიყავ, გროზნოზე მოგველო. შატილზე ცხენით გადადიოდი, მოკლე გზა იყო. იქ ჩავასახლეს, იქ ვიყავით. ქისტები რო გაასახლეს, ახალგაზრდობა იყო გასული ყაჩაღად, არ დაემორჩილნენ, შეფარებული იყვნენ და ეცემოდნენ ხოლმე სოფლებს, წაიღებდნენ საჭმელ-სასმელს. ატრიადები (რაზმები) იყო ყველა სოფელში ახალგაზრდებისა. ჩემი ძმა იყო ხელმძღვანელი. აქ მოხდა ისე, რო გვითხრეს (დუშეთს უჭირდა და) რუსეთს უნდა შეგაერთოთო. კრება ჩაატარეს. ხალხი გამოვიდა წინააღმდეგი: არა, რუსეთს არა, წავგიყვანეთ ჩვენს სამშობლოში. ჩაატარეს კრება იქა და თქვეს: ასპინძა! ახალციხე! ვისაც უნდა – ასპინძა, ვისაც უნდა – ახალციხე, ვისაც უნდა – გუდამაყარი. ციალას ბიძა იყო, ჩვენი სოფლის თავკაცს რო ეძახიან, ჭკვიანი კაცი, ბექაური. იმანა თქვა, რო ჩავგწერეთ ახალციხეშიო. ჩაეწერნენ და წამოვიდნენ ესენი. ჩვენ რო ხევსურეთს ვიყავით, მე და პეტრია, გავიგეთ, რო ჩვენები გადასახლდნენ ქისტეთში. მერე მოხდა ისე, რო იმიტრამ წავგიყვანა. გადმოსული იყვნენ აქა. ოჯახები იყო დარჩენილი, ზოგისა – შვილი, ზოგისა – დედა. სახელმწიფომ ოთხი მანქანა გამოყო ამ ხალხის გადმოსაყვანად. დაგვიბარეს, რო გადმოდით, დედათქვენთან წავიყვანთ. გადმოვედით მე და პეტრია, ხვიტორის წვერი გადმოვიარეთ. ნოემბერში ჩამოგვასახლეს ახალციხეში, ხეოთში. მერე ხეოთის რვაწლიანი სკოლა დავამთავრე, მერე 1951 წელში სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის საბუღალტრო და იმავე წელს ჭობარეთში დამნიშნეს ბუღალტრად. იქ თავჯდომარე იყო მიქელაძე შალიკო. იმან უთხრა სამმართველოში: ნუ ეძებთ ბუღალტერს, ეს ბიჭი ისეთი ყოჩაღია, შეძლებსო, იმუშავებსო. არა მქონდა ჯერ სახელმწიფო

გამოცდები ჩაბარებული, არა მქონდა დიპლომი. დამაყენეს ბუღალტრად. 1954 წელში ვიქორწინე. შაქრო იყო აქაც თავჯდომარედა. ეგ მიცნობდა, ჩვენს ოჯახს იცნობდა, ბიძაჩემთან ძალიან ახლოს იყო. ვანუშა ჰყოლიყო ბუღალტრად აქა, ჯარში წაეყვანათ და ახალციხეში შემხვდა, მითხრა, რო წამოდი ჩვენთანაო ბუღალტრად. არ მინდოდა. მერე ბიძაჩემი ენახა, ალექსი, ეთქვა, რო გამოუშვი ჩემთანაო. წამოვედ, დავიწყე ბუღალტრობა. 1954 წლის იანვარში, კარგა მახსოვს, დიასამიძე იყო ერთი, იმან მითხრა: არ დაუწყო მაგასაო (თავჯდომარესაო) ეს ასეა, ეს – ისეო, ეს კანონით არ შეიძლებაო, რასაც გეტყვის, გააკეთეო. ეგაო, თვე რო დამთავრდება, მოლარეც ეგ არიო, საწყობის გამგეც და ყველაფერიცო; ეგ რასაც იტყვისო, კანონიაო, რაიკომშიაცო და ისეთი კაცია, ნუ დაუწყებო: ეს არ შეიძლებაო!... დამარიგა. რო გაჰყიდიდნენ რაღაცას, ფულს თავად აიღებდა, მოლარეც თვითონ იყო, თვის ბოლოს დაჯდებოდა, დააწერინებდა აქტებს. აქტებზე კი ვაწერინებდი რეზოლუციას.

ჩვენთან იქა, ხეობაზე ერთი სოფელი იყო მთლიანად ბექაური, თურქიანთ ვეძახოდით. გვერდზე ორი-სამი კომლი ცხოვრობდა, იქვე, 200-300 მეტრში, დანარჩენი ბექაურები. ჩვენ შარვანიანი ვიყავით. ჩვენი პაპა, ჩვენი წინაპარი ყოფილა ზურაბ ერისთავი რომ არ შემოუშვა გუდამაყარში. რამდენიც წავიდა, იმდენი დაიჭირეს, მოკლეს. მერე ეს ხატები რო აანგრიეს და დაანგრიეს, ესლა არი ხევსურეთში, უკენახოს, ხომ გაგიგონია ლომისობა რო არის, უკენახოს ეკლესია ლომისობის მემრეა, იქ ვიყავი მოჯამაგირედა, ჩემი ძმა მადლა იყო, ფანდურაანთ ეძახოდნენ. ეს ხატიც იქ არის, მიქა ყოფილა შარვანეული. „ფშავ-ხევსურეთის პოეზიაში“ არის ლექსი შემორჩენილი: „მიქასო, შარვანეულსა, ვერვინ ჩაუვლის კარადა, ბევრი აქვს ტყვია-წამალი, ჯორი ვერ ზიდავს ცალადა, კარგი ჰყავს ბიძა-ძმისწულნი, ვერ შეუხვდებით ფარადა“. გამოჩენილა ერთი აფციაური, იმას გაუთქვია. „გაგყვიდა ზურაბის ხმალმა, აფციაურის ენამა, წოწკოლაურის , მთებიდან ჩამოდენამა“. ჰოდა დაიჭირა ზურაბ ერისთავმა ეს მიქა. შეკრული მიუყვანეს. გაასამართლეს. აბა, რას მითხვოვ! – ცეცხლში უნდა დაწვან. რას ითხოვო, უკანასკნელი სიტყვა. ფანდური მამიტანეთო. მოუტანეს ფანდური: „ზურაბ შე ერისთავისშვილო, რა თავი გედიდებისა, გიხოცე აზნაურები, ყორნები ეზიდებისა, ნეტა არავინ გაჩნდესა, ყმა შურის მაძებარია, გაჩნდეს და ვერ გაიზარდოს, თუ არ იძია შურია“. დაწვეს ეს კაცი. დღესაც არის ხევსურეთში ლუდს დააყენებენ. წესის მიხედვით, შარვანიანთ კოდის დადგმა იცოდნენ. ეკლესია არი, სხვა არავინაა შემსვლელი, არავის უფლება არ აქ, მარტო გოგო თუ არი გათხოვილი და იმის შვილი თუ არი. ეკლესიის წინ დიდი მუხა დგას. კოდის დადგმა იქ იცოდნენ. ამ კოდს გამაიტანდნენ, ლუდით

სავსე კოდსა. შარვანეულნი იდგნენ ყარაულადა. მუხა მალლა იყო, აქ მოედანი ხალხისა, რო არ გადაედვართ, ძალით წაერთმიათ, გაეცურებინათ. თუ გადააცურებდნენ, გადააცილებდნენ ამას, იმათი იყო. თემური იყო, მაგას გააშვებინეს ხელი, მაგრამ არ გაატანეს. ესლაც ჩემი ბიძაშვილი და ჩემი გუგუაი აკეთებენ, მიაქვთ ლუდი. ადრე ქერის მასალებს გაატანდნენ, ხევსურები იყვნენ იქა და იმათ ადულებინებდნენ. ესლა იქ აღარავინ აღარ არი და აქედან მიაქ ლუდი. ჩემ გუგუამ მიქაი დაუძახა (დაარქვა) ერთ ბიჭსა, თავის შვილსა, მიქა შარვანეული დაუძახა. ასე მგონია, რო მთელი შარვანეულები გაცოცხლდნენ. ესლა იქ, სადაც ბექაურები, შარვანეულები არიან, ექვსი კვამლია, ერთიც თეთრიწყაროშია, ერთიც გორში. გუდამაყარში რო იკითხო, გეტყვიან, ვინ არიან.

იდუმალა და მლაშხევი ორი სოფელია, ოსოროლა ჩამოუდის შუაზე. გაღმა მლაშხევია, გამოღმა – იდუმალა. მე რომ ბუღალტრობა დავიწყე, 72 კვამლი იყო, მერე წავიდნენ, გაიქცნენ-გამაიქცნენ. აქ მთიულები გუდამაყრიდანა ვართ. ჟინვალის ქვემოთ ბარს ვეძახოდით, ჟინვალის ზემოთ: მთიულეთი, გუდამაყარი, ფშავი, ხევსურეთი – ხეობებია.

ბექა და წიქა ყოფილანერეკლე მეფის დროს, ჩანაწერებში არიან ნახსენები, ბექაურები და წიკლაურები ყოფილან. მოსვლიათ ცხუბი, ვერ წასულან იოლადა. არ შეიძლებოდა ერთმანეთში დანიშვნა, დაქორწინება. გადმოცემით, ჩხუბი მოსვლიათ და მაგით დაშორდნენ. არიან ობლიანნი, თურქიანი – თურქებთან ბრძოლა რო იყო, ერთი თურქი ბიჭი წამოუყვანიათ, ჩვენს წინაპრებს გაუზრდიათ, დაუქორწინებიათ და დაუსახლებიათ; შიუკიანი.ჭუტაანთ ვეძახოდით წიკლაურებს. არაგვის პირზე ცხოვრობდნენ: თედოლაანი, ბაჩომიანი, მამუკიანი, ბაიანები. ჩვენ შარვანიანთ გვეძახიან, ადამიანთსაო, ადამიანთ გვეძახოდნენ, ადამის გამო, ჩვენ წინაპარში იყო. თითქმის ყველა ოჯახს თავისი სახელი ჰქონდა. ივანე ერქვივნა ჩემ ძმასა, ჩალხა ერქვივნა ზედმეტი სახელი, ყოჩალი კაცი იყო, მაგარი სახელი ჰქონდა. შარვანიანთ ივანეი რო გეკითხა, არავინ იცოდა, ჩალხაი ყველამ იცოდა. ძმები რო იყვნენ, გაიყარნენ ხო, თუ ბაჩომიანი იყვნენ, ერთ-ერთ ძმას რო ეძახდნენ, რა სახელსაც დაიმსახურებდა, იმის სახელს დაუძახებდნენ იმის შტოს. ქალებს რო გაათხოვებდნენ, აი, ბაიათ ქალია (<ბაიანები); აი, შარვანიანთ ქალია...

დანიშვნა ისე კი არ იყო, გზაში შეხვდებიან, ქალი რო ჩაუჯდება, გაჰყვება და აი, მომიტაცესო. იქ იყო მოტაცება. ჩვენი მეზობლის ქალი, კაცია რო ცხოვრობს, იმის და მაიტაცეს ბექჩოვლებმა, შეკონეს მაგისი მამა. ბექჩოვლების ქალი იყო ჩვენთან გათხოვილი, თურმე მაგ ქალმა ჩაუწყო საქმე. გაგვაგებინე,

რო კაციაი სახლში არ იქნება! – ჩააწყევს საქმე. მამისა, ხნიერი კაცი იყო, არ ეხატებოდით, ეს ბიჭი მაგარი იყო. შეატყობინა მაგანა, პირიმზეში ცხვარში ყოფილიყო. წასულან ცხენებით, მოსულან, მისულან ღამე კარებზე. ერთი ცხენი გამზადებული ჰყავთ, რო ქალი დასვან. მისულან და დაუძახნიათ: კაციაო, გაგვიღე კარები, შემოგვადამდაო, გაგვათენებინეო. გაუღეს კარები, შეცვიოდნენ, შევარდნენ, იცოდნენ სად იწვა ეს კაცი, ექანნენ და თოკით დააკრეს საწოლზე. ეს გოგო, ელისო, თავის ლოგინიანად შეკონეს თოკით, გამაიყვანეს, დააკრეს ცხენზე, გადაკეტეს კარები და წამოვიდნენ. გახმაურდა მაინც, ერთი ამბავი... ავიდნენ კაცასთან ღამე, შეატყობინეს. ამანაც ბიჭები შეკრიბა, გამოეკიდა. გუდამაყარში ფასანაურიდან რომ წახვალ, გაღმა-გამოღმა მიდის გზა, გაღმა ტყე და ტყე მიდის ბილიკი, ჩამახვალ ლუთხების ხევში. წამოსულან ესენი, გაუგიათ რა გზით წავიდნენ, დახვედრიან წინ ტყეში. ხეზე ასულა კაციაი და გადახედა. მოჰყავთ ეს ქალი. ცოტა ახლოში რო მოსულან, დაუძახნია: ელისო, დაწექო! რო გაუგია ამ ქალსა ხმა, წაქცეულა. უსროლნია კაციას და იმ ბიჭს მოხვედრია, დაუჭრია. შეშინებულებს დაუგდიათ ეს ქალი და გაქცეულან. იქიდანვე სიძესაც შეატყობინეს, სადაც იყო დანიშნული ეს ქალი და იქიდანვე წაიყვანეს.

გუდამაყარში მივდივარ ორკარიანი ვილისითა, მოსახვევი რო არი ოსპიტელში, ქალი მიდის, შევატყვევ რო მგზავრია. გავაჩერე. სად მიდიხარო? გუდამაყარში მივდივარ, დაბრძანდი. ელისო იყო, მომიყვა ყველაფერი. ეხლაცაო მოტაცებულს მეძახიან, მსაყვედურობენო, მაგრამაო მეუღლე კარგი მყავსო, კარგი შვილებიო.

- საძრახისი იყო მოტაცებული ქალი?
- საძრახისი იყო, აბა!

მე ვერ ვიცან, ელისო მიხვდა. მზექალაიც მიხვდა. ხევსურეთში ჩემი ხაზინის ძმიშვილი იყო. ერთმანეთი გვიყვარდა, ბაღღური სიყვარული რო არი, ისე. ტოლები ვიყავით. მაგრა მიყვარდა. ისე მაგრა ვუყვარდი. წამოვედისკე, აბა, მე ხო ცხვარში, ძროხებში დავდიოდი, როცა ოჩერედი მოდიოდა, ეს გოგო წამოედისკე, გამოეპარისკე თავიანთებს, წამაედისკე ან ხინკალს თუ მოხარშავდნენ, ან ხორცსა, გამამიტანისკე მინდორში. თოვლი იყო მაშინ მოსული ისეთი, რო, ბუღლოზერებით გზა გაეწმინდათ. ცხენებით მოდიან, შევატყვე, რო ხევსურები არიან. დაღმართი იყო, უნდა შევაჩერო (მანქანა), რო გამცდნენ ეს ხევსურები. ცოტა დავაწექ ტორმუხსა, შემიტრიალდა მანქანა აესე გაეხიდა გარდიგარდმო. მოიდნენ ახლოში. ჩამოვხე. დავუძახე: ბიჭებო, მოდით, ცოტა დამეხმარეთ. დააყენეს ცხენები. ორი ქალი იყო, სამი კაცი. ბიჭები წამოვიდნენ, ცხენები მისცეს ქალებსა. მე დავქოქავ და მიაწექით-მეთქი.

გაცურდა. გაგაჩერე და თუთის არაყი მქონდა. ეხლა ვთქვი, რომ პატივი ვცე, ისე ხო არ გაფუშვებდი. ეს მანქანა ჩაცურდა, ვაკეზე დადგა. ისინიც მოდგნენ. ეს არაყი გადმოვიღე, დაიწყეს დალევა და გუდამაყარში ვისთან მიდიხარო. გამსის ჩაღხასთან მივდივარ-მეთქი. რო გამახსენდება, ცრემლი მადგება. ესაო, ჩაღხასი ძმა იქნებო, — ქალმა დაიძახა. გავიგონე, ვუთხარი: იცნობთ-მეთქი ჩაღხას? როგორ არა, ვიცნობო, შენაო იმის ძმა ხო არა ხარო? მოსე ხო არა ხარო? მიცნო. მეც მივხვდი. თურმე ის ქმარი იყო. გამახსენდა ბაღლობა. ეხლა რო შემახვედრა და მანახა, როგორ პატივს ვცემ.

აქ მოტაცება არ იყო. აქ მაჭანკლობა იცოდნენ.

—ვის უმაჭანკლე, მოსე პაპა, რას ეუბნებოდი იმ კარგ გოგოებსა?

—მაიცა, მაიხედე, ამის მაჭანკალი ვიყავ (გვერდით მჯდომზე მითითებს). ხერთვისიდან პავლე რო იყო დავლაშერიძე, იმის გოგო ჰყავ, ლიდა. მიშა ერქვინა შენ ცოლის ძმას?(ეკითხება). სანამ ხიდზე გახვალ, იქავე, ზაზაძე ცხოვრობდა, მაგის მეზობლადა. გეტყვი, რაც ვუთხარ. ამის სიმამრი, მალაზია რო იყო ზევითა, იმის ყარაული იყო. ავედით იქა. ახლა უკვე დამსახურებული, გამოცდილი მაჭანკალი ვიყავ, მე რო წავიდოდი, გადაწყვეტილი იყო, რო გარიგდებოდა საქმე. ამის სიმამრი გვიყვება, თათრები რო შემოვიდნენო, მოედგნენო ხიზაბავრას და ზეითო, ჩვენაო წავედითო, გაღმა ჩასაფრებული ვიყავით, ერთიქვიდან რო მეორეზე გადავდიოდით, ერთი საღახანა ტყვია მომხვდაო. ძია პავლე, რა არის საღახანა? — ვკითხე. აი, ტყვია, რო არ იცის სად მიდისო! ეგრე არ იყო? მერე ვიგონებდით. ახლა მე დავუხასიათე (სასიძო). იცნობდნენ. ბევრი არ გვივლია, არა შაქრო? გამოვიდა ეგ საქმე. ზოგან ორ-სამჯერაც მივდიოდით, ზოგან უფრო ბევრჯერ, მარტო ერთი საქმე ვერ გაგაკეთე. ამ სოფელში არ არი ოჯახი, რო მე არ მიმეღოს მონაწილეობა ან ჭირში, ან ლხინში. ჯერ ბუღალტრად ვმუშაობდი, სანამ ვანუშა ჩამოვიდოდა (ჯარიდან), მერე ფერმის გამგედ გამგზავნეს. გუდამაყარში უნდა წავსულიყავ, თავჯდომარედ ვინც იყო, მაგან ბიძაჩემს უთხრა. ჩემმა რძალმა, ძმის ცოლმა, გამოაგზავნა ქალაღდი, ჩამოდიო, ალექსი ბექაურიო, რაიკომის მდივანი, პატარა სტალინს ეძახდნენ, მაგისი ძმა ხნიერი კაცი იყო, გაგა, კოლმეურნეობის ბუღალტერი, დაბრმავდა და ამ ალექსის ეთქვა ჩემი ძმი ცოლისთვის, მოსესაო შეატყობინეო, ჩამოვიდესო, გუდამაყარში გავგზავნი ბუღალტრადაო, შენც მოგხედავსო და ჩვენებსაც მოგხედავთო. ჩამოვიდა ქალაღდი. წავედი. აბა, დამხვდნენ ერთი ამბით, გაუხარდათ თურმე, მოსე მოდის. მეც რაღა დაგიმალო და გამზიდა გუღმა, შენი ხაღხი და... მითხრეს, რო შენაო უნდა ჩაიბარო. ვერ ჩავიბარებ-მეთქი, უნდა ჩავიდე, ჩემ ძმებსა და ბიძებს უნდა შევუთანხმდე, ჩავალ-

მეთქი და ისევ ჩამოვალ. შეიძლება არ გამოგიშვანო, აქტი ჩაიბარე მიღება-ჩაბარებისა და ისე წადიო. არ ვქენ. ჩამოვედი. ბიძაჩემს ვუთხარ. კარგია, შვილო, კარგია იქაო, ჩვენ სახლ-კარსაო მიხედავო, გაგასაც მიხედაო, ერთ ეზოში არიან, გადაბმული სახლებია, იქნები იქაო. გაუხარდა ბიძაჩემსა. ლაპარაკი ჩამოვარდა, მაგასაო, იქაო (გუდამაყარში) ელოდებიანო, მაგასაო რო სახლსა პირდებიო, - ნიკომ უთხრა - თუ გინდა მართლა არ გაუშვავო, ეგ სახლი მიეციო, ეგ ბაღი მიეციო და არ წავაო, თუ არადა, დაბრუნდებავო. გაქცეულა ბიძაჩემთან შაქრო, ნუ გაუშვებო. ბიძაჩემს ეთქვა, ალექსის ხო არ ვაწყენინებო, იმან დამირეკაო, ოჯახიც უპატრონოდ არიო. შაქრომ: მიწასაც მივცემ, სამსახურსაცაო, ეხლაო ფერმის გამგედ გავგზავნიო. კარგი ურთიერთობა ჰქონდათ და დაიყოლია. დამიბარა ბიძაჩემმა: შვილო, გითხარიო წადიო, კარგი იყო, მაგრამ აი, მე რა მინდა აქაო, მე თბილისში უნდა ვიყო. მართლა, ისე უყვარდა მინისტრს, ლომიტაშვილს, თბილისში სამინისტროს მთავარ ინჟინრად უნდა გადაეყვანა, მაგრამ თქვენს გამო, თქვენ რო აქ იყავითო, იქ რო წავსულიყავ, ვისთან წავსულიყავ? არ წავვედიო.

აქეთ არის გუდამაყარი, იქით ფშავლის ხეობა. გაღმა ფშავლებისაა, გამოღმა – ჩვენი. წაასხა მთიულმა ბიჭმა, გაშალა ცხვარი. ცხვარში მწყემსად არი. იქით კიდე ფშავლის გოგოა, ძროხები ყავს ამოყვანილი. რო ამოვიდნენ გორაზე, ფშავლის გოგომ ბინა გაიკეთა საგრილობელში, გაშალა, გადაუშვა საქონელი ფერდზე. იქიდან იმ მწყემსმა ბიჭმა შააბრუნა ცხვარი, ნაბადით საჩრდილობელი გაიკეთა. გაცქერიან ერთმანეთს. ამბობენ: ეს ტიალი გამააფრინა აქა! ერთმანეთს ეტრფიან. ხო იცი, სიყვარული ღმერთის გამოგონილია და მუდამ ხელს უწყობს. ეშმაკს უნდა ბოროტებაზე წაიყვანოს, ღმერთს კიდე – სიკეთეზე. ერთიც მაიღრუბლა ეს მოწმენდილი ცა, დაცხო სეტყვამ და ქარმა. ეს ცხვარი, საქონელი სულ ხევში ჩაყარა, უღრან ტყეში. ბიჭს ნაბადი აქ. რო დასველდა გოგო, სულ გაშიშვლებულსა გავს. წამოვიდნენ, ხო უნდა ნახონ, საქონელს უნდა მიხედონ. ბიჭს ნაბადი მკლავზე აქ გადააკიდებული. გაიხედა ბიჭმა: „საიდან მოხველ, ქალაო, უცხო და უმეცარიო?“ ყველა ფშაველი მოლექსეა, კაციც და ქალიც. „ვერ უყურებდა, ვაუაო, რო ჭექდა ავი დარია!“ „ნაბადი მაქო, ქალაო, არ გავარდება ნამია“. „მენაც იმიტო მოვედი, მინდა გადავრჩე მშრალია.“ როგორც წესი იყო, თუ ბიჭი და გოგო ფიცს დადებდნენ, როგორც საკუთარი და-ძმა, ისე იქნებოდნენ, ჭირში, ლხინში, ერთად იქნებოდნენ, არ ეღალატებოდა მაგას. „როგორ ენდობი მთიულსა, განა ფიც-ვერცხლი ვჭამია?“ „ლამაზ ბიჭებთან წოლასა აღარც მენა ვარ ხამია“. „ეტყობა შენსა ძუძუებს, თოვლივით ჩამომდნარია“ და მოხვია ნაბადი...

რო ამბობენო, ასეთი კაცია, ისეთი კაცია, ბიჭო, აქებენ, ადიდებენ, ყველაფერი დადებითი აქ და ერთი ნაკლი აქ მარტო. რა ნაკლიო? რაო და ქალები უყვარსაო. მე ვუთხარ: ის კაცი, ვისაც ქალები არ უყვარს, უნდა დააბრუნო იქ, საიდანაც მოვიდა-მეთქი; კაცს თუ ქალი არ უყვარს, ვინ ეშმაკი უნდა შეუყვარდეს, ის რა კაცია! ქალი რო დაგიდგება გვერდში, ქალი მეტს შრომობს, სიკეთეს აკეთებს, ქალისად მიგდის გული, ქალის გარეშე... რო დამთავრდა ყველაფერი, რანაირი კაცი ხარ, როგორ კარგად მოახერხეო. აბა, შენ რო თამადა არ ყოფილიყავ, ეგ ქორწილი იქნებოდაო? სიყვარულს გაუმარჯოს (გველოცავს), თქვენს გულებში რა სიყვარულიც არსებობს, იმ სიყვარულს დაგილოცავთ, იმ სიყვარულით ჩემი ხნისა და კიდე მეტი მოიყარებით:

„შენ სიყვარულის მამგონევე, მადლი გწყალობდეს ღვთისაო;
ძალა გაქვს ამირანისა, სიმაგრე სალის კლდისაო.
შენ უღამაზებ სიცოცხლეს ამქვეყნად კაციშვილსაო,
უშენოდ ფასი არა აქვს წუთებსა სიცოცხლისაო.
უშენოდ ვერ გაუნათებს სხივი მნათობი ცისაო,
უშენოდ გულს ვერ გაუთბობს ცეცხლი გამხმარის ხისაო.
ვინც სიყვარული არ იცის, ნადირი არის ტყისაო,
ტყვილადმოსულა ამქვეყნად, ჰაერს აფუჭებს სხვისაო.“

ზეზვა მიხეილის ძე ბიბილაშვილი, დაბ. 1957წ. იღუმალა:

მამაჩემი 1944 წელში ჩამოსახლდეს, ომში იყო ღენინაკანში, იქიდან პირდაპირ, ოცი წლის იყო თუ ოცდაორისა, აქ ჩამოვიდა. მამაჩემი იყო პირველი სტუდენტი იღუმალაში, ჯერ ისტორიული დაამთავრა, მერე პარტიული სკოლა. უზარმაზარი დიპლომი, რას ეტყვიან, ალბომი, აქვს. კომკავშირის რაიონის პირველ მდივნამდე მიაღწია მამაჩემმა, ინსტრუქტორიც იყო, პედაგოგიც. დედაჩემი 60-იან წლებში პიონერთა სახლის პედაგოგი იყო.

ბიბილაშვილები ცუდი ხალხი არ ვიყავით, ადრე ბექაურები ვიყავით, მერე რაღაც მოუხდათ და გამოქცეულან, გახდნენ ბიბილაშვილები. ჩვენ წინაპარს ბიბილა ერქვაო და ასე დაეწერა. საკომლო სახელს ღორძლანთ ეძახიან. ჩემი თანაკლასელი გავაბრაზე, გუბეში ფეხი ჩაყვავ და გავწუწუე. რა ვიცოდი, რო ჩემი მომავალი მეუღლის ბიძაშვილი იქნებოდა. წიკლაური იყო. შეე ქოსაანო, შენა, - დავცინე. რა ვიცოდი, რო ღორძლანი ვართ. შენაო, როგორ დაგვცინიო. არც მოგკვდი, არც დავრჩი! მამაჩემსა: რას ნიშნავს-მეთქი? პაპაჩვენო, ღორძლა

ერქვაო, დეკანოზი იყო, ძაან ცუდი ენა ჰქონდაო, რო მოწამლავდა კაცსაო. დაარქვეს ღორძლაო და ღორძლანთ ჯიში ვართო.

ზეზვას ბიძაშვილი: სანამ ფასანაურში შეხვიდე, სოფელი ბიბლიანთკარია. გვარიც აქედან მოდის – ბიბილაშვილები. ბიბლიანთკარი არის მეფის ნაბოძები მიწები, პაპის დამსახურების გამო შთამომავლობას გადასცეს. აქ (იღუმალაში) ყველა ერთი კაცის ნაშიერი ვართ. **იმედანებს ეძახდნენ ჩვენ წინაპრებს, ჩვენ ღორძლანთ გვეძახიან, ენით ცოტა ისეთი კაცი იყო, კარგი მოპასუხე. დაღორძლა კაცი, ისეთი სიტყვა უთხრაო.** პაპაჩემი ჩამოვიდა ელიბო ბიბილაშვილი და ჩამოიყვანა თავისი შვილები.. საგვარეულო გერბიცა გვაქ: ზედ ჯვარია, მთვარე, თავთავი, გადაჯვარედინებული ხმლები, მყინვარწვერი. ელიბო პაპა პირველი მსოფლიო ომის მონაწილე იყო, ნიკოლოზის ჯარში იყო. ნიკოლოზი რო ჩამოაგდეს, მიწა გამომეცალა ფეხებიდანაო. სანამ დაიღუპა, რო გამოიყვანეს ურემზე დასაჯდვენად: ძია ელიბო, ნუ გეშინია-მეთქი. –არაო, ჩემი საქმე წასულიაო. ელიბო პაპას შვილებს ერქვათ: გოგია, მიშა, ვალიკო, თედო, ილო, სანდრო და ნინო. ორი ძმაც ფასანაურში ჰყავდათ. ორდენი ჰქონდათ მრავალშვილიანობისა.

ბიბილა გურკელი მოხსენებულია რაღაც საბუთებში. ჩვენი გერბიც იქ არის ნაჩვენები. გურკელი სოფლის სახელია. ასეთი ვერსიაც არის, რომ ჩვენი ძირი არის მესხეთიდან. საერისთაო ბიბილაშვილებისა უნდა ყოფილიყო ახალციხის მხარეს, უფრო აწყურისკენ.

ვლადიმერ ივანეს ძე აბულაძე, დაბ.1934წ. იღუმალა:

ჩვენს გვართან დაკავშირებით ბევრი თქმულებაა. ჯავახეთის მთა რომ არის, აბული, იმას უკავშირებენ. აბულაძეები არიან საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში: იმერელიც არის აბულაძე, აჭარელიც არის, ძველ ქართველებს ეძახიან, ეგენიც არიან აბულაძეები, მთიულელებიც არიან. მიმოფანტული არიან. იღუმალაში ორი კომლი ვართ მხოლოდ. ჩვენ მთიულეთიდან ვართ, ფასანაურის საბჭო, დუშეთის რაიონი, სოფელი ჩადისციხე. **აბულაანთ გვეძახდნენ ჩადისციხეში, ეგ იყო ჩვენი კომლის სახელი. დათაანთ ეძახდნენ, ისინიც აბულაძეები იყვნენ.** ჩემთან სკოლაში დამლაგებლად მუშაობდა ვასიას ცოლი, დედა აბულაძე ჰყოლია, არ მითხრა, სანამ ჩემთან მუშაობდა, დედა რო გარდაეცვალა, გასვენებაში წავიღე და იქ გავიგე, იმდენი ვუსაყვედურე. ძველი ქართველი იყო, თმოგვიდან, ადგილობრივი. ოშორაშიც არიან აჭარელი აბულაძეები, გიორგი და მამია აბულაძეები. ოთაში იყო ერთი აბულაძე, აჭარელი, ფინგანის გამგედ მუშაობდა, ადრე გარდაიცვალა. კიდევან აბულაძე

ოთაში, ვმეგობრობთ. ჩემი შვილიშვილი გათხოვდა და იმის გოგო გაყვა მდადედ, ხელისმომკიდედ. ოთის აბულაძეებიც აჭარლები არიან.

აქ ჩამოგვასახლეს 1944 წლის დეკემბერში. ნება-სურვილით იყო ჩამოსვლა და ვინც გამოთქვა სურვილი, კარგი ქნეს. გადმოსახლების ამბავი კარგად მახსოვს. ქისტებს ეძახდნენ, ახალხვევის რაიონში რო გაასახლეს მამაჩემი, დაატოვებინეს ქონება, როგორც აქაურ თათრებს გაუკეთეს. გააგზავნეს ყველა რაიონიდან წარმომადგენლები, რო შეეგროვებინათ ქონება, მამაჩემიც გააგზავნეს იქ. გადმოვიდა და არ გვისურვა იქ წაყვანა. იცი, რა ხდებოდა, ყაჩაღად გავარდნენ ქისტები, რო გაიგეს გვასახლებენო, იმალებოდნენ. ერთ ოჯახს შეუხტნენ, მთელი ოჯახი გაწყვიტეს. აქ რო ჩამოგვასახლეს, აქაც მამაჩემი გამოგზავნეს დელეგატად, სიტყვაპასუხიანი კაცი იყო. მამაჩემს ეს ადგილი მოეწონა, არც საშიშროება რამე იყო. მერე ჩაატარეს სოფლის კრება, მამა გამოიყვანეს სიტყვით. აბა, ვის გინდათ წასვლა? ბევრი ჩაეწერნენ, ბევრი ხალხი ვიყავით აქ მთიულები, სხვა გვარის წარმომადგენლებიც. უთაო ხელმძღვანელობის გამო, ბევრი უკანაც წავიდა. აქ რო ჩამოვედით, შეგუებით ძნელად შევეჩვიეთ, ხალხს დაწყებინა ციებ-ცხელება. წყალი არ იყო, შეეშინდა ხალხს და ბევრიც მაგის გულისთვის წავიდა აქედან. მერე თანდათან გაუმჯობესდა ყველაფერი, წყალიც გამოგვიყვანეს, კომუნისტების დროს, სახლებიც ავიშენეთ, ამოისუნთქა ხალხმა. გიორგევიჩი (მოსე ბექაური) იყო თავჯდომარედ 24 წელი, რაც ბინა-სახლია აშენებული, ამის ხელშია აშენებული. მეგობრულად ვიყავით, რაც ეს თავჯდომარე იყო და მე სკოლის დირექტორი ვიყავი, ერთმანეთს ვეხმარებოდით. ადრე შალვა იყო თავჯდომარედ, დესპოტის ერთი, სცემდა მათრახით ხალხსა, ბევრიც მაგიტო გაიქცა. მანქანის სათხოვნელად მივედი, სახლს ვაშენებდი, ქვა მინდოდა მომეტანა. ძია შაქრო- მეთქი, მანქანა მათხოვე, ქვა უნდა მოვიტანო. პაკრიშკები არა აქო, წადიო, იყიდე, დაუყენე და მოიტანეო. აესეთი კაცი იყო.

–პარტაქტივის თათბირზე (ჩაერთოსაუბარში მოსე ბექაური) ერთი სკოლის დირექტორმა თქვა, რატო გააცდინეო, რო უსაყვედურეს, აბაო, თავჯდომარემაო მანქანა არ მამცაო, არ გამაგებინესო და ფეხითა როგორაო. გადითო იდუმალაშიო, მოსე ბექაურთან გადითო და გაიგეთ, როგორ მუშაობენ სკოლის დირექტორი, საბჭოს თავჯდომარე, პარტორგანიზაციის მდივანი, როგორ არიან შეკრული ერთად, როგორ უნდა მუშაობაო. ამან თავისი მაღლი გამოიღო, ნათელ, გენაცვალე. იმიტო იყო, რო ყველაზე ადრე ვამთავრებდით მუშაობასა.

ვლადიმერ აბულაძე: ჩამოვედით აქ. აღწერა ჩაატარეს, დაგვიკითხეს, რომელ კლასში ვსწავლობდით. მერე მიგვიწვიეს სკოლაში, სულ გაღმა იყო, მიწურ ბინაში, თათრულ ბინაში. არც მერხია, არც სკამია, თათრული ტახტები იყო

გაკეთებული, იმ ტახტებზე ვიჯექით და ისე ვწერდით, ფეხებმოკეცილი. სადაც ცოტა მოსწავლეები იყვნენ, გვაერთებდნენ კლასებს. მე ექვსი წლისა მიმიყვანეს სკოლაში. პატარა ვიყავი, წერა-კითხვა რო ვიცოდი. კედელზე გახეთები იყო გაკრული, მივიდოდი, რომელი ასო რომელია, ვსწავლობდი. ჩემი დები უფროს კლასში სწავლობდნენ. ერთი და ერთი წლით ადრე სწავლობდა. მე ჯერ მისული არ ვიყავი სკოლაში, ასოებსაც ვცნობდი და ციფრებსაც. ნატოს, ჩემ დას, დაუწერე ხუთიანი: ეგ როგორ იკითხება-მეთქი. ხუთიანად იკითხებაო. კიდევ ხუთიანი მიუწერე და –არა, ეგ აღარ იკითხებაო! მერე კარგი მასწავლებლები მყავდა. მათემატიკის მასწავლებელი იყო, მეგრელი, ნასწავლი, მომზადებული. კარგად ვსწავლობდით. რვა კლასის მერე ოშორაში ვამთავრებდით. ოშორაში კარგი მასწავლებელი გყავდა მათემატიკოსი, რობაქიძე, დირექტორიც იყო. გიგო ქავთარაძე თუ გახსოვს გიორგევიჩი (მიმართა მოსე ბექაურს)? მცემა ძალიანა, რაღაცა ჩხუბი მოგვივიდა, ის დიდი იყო, მე– პატარა. ამ რობაქიძემ დაგვიბარა, კაბინეტში შეგვიყვანა. –რატო სცემეო, ბიჭო? –გამაბრაზა და ვცემე! –რო ცემე, შე შობელძაღლოო, არ იციო, რო ამას ნეკა თითში რო ცოდნა აქ, შენ მაგ ბომბორა თავშიც არა გაქო. მოარტყა და გამოაგდო.

სკოლა დავამთავრე, იმავე წელს გორის პედაგოგიურ ინსტიტუტში ჩავაბარე მათემატიკის ფაკულტეტზე, ოთხწლიანი იყო. მერე ამ ჩემ სოფელში დავიწვე მუშაობა, არ გამაჩერეს. განათლების განყოფილების გამგე თამაზაშვილი იყო, ყოველ კურსს რო დაამთავრებდი, განათლების განყოფილების გამგეები ჩადიოდნენ ინსტიტუტებში და რაც კადრი სჭირდებოდათ, ითხოვდნენ და მოჰყავდათ. ჩემ დროს დირექტორი იყო ხარაული. აი, თქვენებური კაციო, აბულაძეო, ასპინძის რაიონიდან არიო, ერთ რამეს გეტყვიო, ამ კაცის ცოდვა არ დაიდო, რვაწლიან სკოლაში არ გაუშვა, საშუალო სკოლაში გაუშვი, ძალიან კარგი სტუდენტიო. ხუთებზე ვსწავლობდი. მებრძოლეს, მაგრამ მაინც არ წავედი. დამიბარა რაიკომის მდივანმა: ახალგაზრდა კაცი ხარ, წინსვლა გინდა, პარტიაში მიგიღებთ, დაგაწინაურებთ. გამაგზავნა ოშორის საშუალო სკოლაში სასწავლო ნაწილის გამგედ და მათემატიკის მასწავლებლად. ოთხი წელი ვიმუშავე იქ. წამოვედი, გადმომიყვანეს რუსთავში მათემატიკის მასწავლებლად. აღარც იქ გამაჩერეს, მერე გადმომიყვანეს იღუმალაში, მის მერე ვმუშაობ აქ, მუშაობის 60 წელი მისრულდება. 47 წელი სკოლის დირექტორად ვიმუშავე. ეს სკოლა ჩემს ხელში აშენდა, ჩემამდე ცხრა დირექტორი იყო, არცერთმა სკოლის მშენებლობის საკითხი არ დააყენა. თათრულ ბინაში ვსწავლობდით. ჩემი მუშაობის დაწყებიდან მესამე წელს ახალ სკოლაში შევედით. თბილისი მოვიარე, სად არ ვიყავი, რო ეს საქმე მომეგვარებინა. ძველი სკოლა როგორი

იყო, იცი? ფერდობი იყო, ფერდობიდან წყალი წამოვიდოდა, ფანჯარაში შემოვარდებოდა ეს ტალახიანი წყალი, მთელ იატაკს მოედებოდა. აბა, ვინ მოითმენდა მაგას, ადგილობრივი კაცი მოითმენდა? ჰოდა, გავიგე რო მშენებლობის დარგში მინისტრი იყო ქონაკიძე, გიორგი ერქვა, ჩამოსულია ხიზაბავრის სკოლის მშენებლობის ამბავზე. გავიგე თუ არა, რაიკომში გავიქეცი. მითხრეს, მდივანთან არიო. ისაკაძეა მდივანი. გამოვიდა თუ არა (ერთი საათი ველოდე), ვუთხარი, პატივცემულო მინისტრო, თქვენი ჩამოსვლით უნდა ვისარგებლო, მე ვარ რაიონიდან სამი კილომეტრით დაშორებულ სოფელ იღუმალიდან, ძველ მიწურ ბინაში გვაქ სკოლა, როდის ჩამოვარდება და ბავშვებს როდის დაიტანს, არავინ იცის. ისაკაძეს გულო მოუვიდა: შენაო, ვინ გკითხავსო, ჩვენაო, რა, არ ვიცითო?! ქოცაკიძემ იმწუთშივე იყიდა ყველაფერი. მითხრა, გენაცვალეო, საბჭოს თავჯდომარე მოიყვანე სკოლაშიო, კოლმეურნეობის თავჯდომარე, ერთ საათში გამოგივლით და დავილაპარაკოთო. მართლაც გამოვიდნენ ერთი საათის მერე. თან პურმარილის შეკვეთა მივეცი. ქონაკიძემ მითხრა, აბა, სკოლის დღიური მომეციო. დღიური იწერებოდა, რამდენი მოსწავლე დადიოდა, რამდენმა გაააცდინა. ჩანაწერები იყო. ცოტა ბავშვები მყავდა სკოლაში, ორმოცდაათი იყო. დახედა ამ დღიურსა. ბიჭო, 50 ბავშვზე სკოლა გაგიკეთოთო, თბილისში ერთ კლასში გვყავს ამდენი ბავშვიო, შენ აქ სკოლას თხოულობო. იქიდან-აქედან ვუთხარით: ერთიც რომ იყოს, არ უნდა სკოლაო? ილია აბრამიძემ უთხრა, წამობრძანდითო, ჩემი ცოლი რომელ კლასშიც ასწავლის, იქ შევიდეთო. შევედით, რო კედელია გამობერილი, დანგრევას არი მისული. უთხრა: აქაო ჩემი ცოლი მუშაობსო, ეს კედელი რო გადმოინგრევა, დაიტანს ჩემს ცოლსაო, შენაო სხვა ცოლს მამიყვანო. –რა მოხელე კაცი ხარო? –სამხედრო პირი ვარო. –მე კიდე მშენებელი ინჟინერი ვარ, მე უფრო ვიცი, როდის გამოინგრევაო, რამდენ ხანს იმუშავებს კიდევაო. ამანაც უთხრა, ჩამოსახლებული ხალხი ვართ, მხარდაჭერა გვჭირდება, დაგვეხმარეთო. როგორც იქნა, პირჯვარი დაწვერე. მითხრა, სკოლის მშენებლობის ადგილი თუ გაქვს შერჩეულიო. როგორ არა მაქ, სამი ადგილი მაქ შერჩეული, წამობრძანდი და რომელიც მოგეწონება... სამივე ადგილი ნახა. რაიკომის მდივანიც გამოვიდა. მდივანმაც და მინისტრმაც მოიწონეს ეს ადგილი (მისი სახლის მეზობლად), ეს არიო სასკოლე ადგილი. ბუღალტერმა კი წაიწუნკლა: რო გავაშენებთ სკოლასაო, ბორბლებზე შევედგათო, აბუღაძეს რო გამოცვლიან დირექტორობიდან, ახლა ვინც იქნება, იმასთან მივაგოროთო. მდივანმა უთხრა, მეც ყოველთვის მდივანი არ ვიქნები, რა შუაშუია დირექტორი, ადგილი კარგია, მთავარი ეგ არი, აბუღაძე დღეს არი, ხვალ შეიძლება აღარ

იყოს დირექტორიო. გადაწყდა სკოლის აშენება. წავედით მერე პურმარილზე. მეჩქარება, მეჩქარებაო,— მინისტრმა, მარა შუადამემდე ვიქეიფეთ მანქანის შუქზე. თამადა მოსე გვყავდა. სოფელში არ იქნებოდა ჭირი, ლხინი, რო ეს პირველი არ მისულიყო. რო ჯდებოდა მინისტრი მანქანაში, მივედი: ყოველივე ამი მერე რამის იმედი გვქონდესო? იფიქრა, იფიქრა და ბოლოს მითხრა, გამოგიგზავნი ხალხსაო, ნიადაგს შეისწავლიანო და დავიწყებთ მშენებლობასაო. ღმერთმა აცხონოს, ნამდვილად კარგი კაცი იყო.